ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოსო მასურაშვილი

ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა

(მესამე გამოცემა)

2010

უაკ 338.22(479.22) + 338.24(479.22)
მ-372

წიგნში განხილულია ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციის და მართვის საფუძვლები. ინოვაცია წარმოიშობა სამეცნიერო კვლევების გამოყენებით და მიმართულია საწარმოო პროცესების, ეკონომიკური, ფინანსური, სამართლებრივი და სოციალური ურთიერთობების სრულყოფისაკენ.

ინოვაციური პროცესი აერთიანებს მეცნიერებას, ტექნიკას, ეკონომიკას, მეწარმეობას და მართვას. იგი მოიცავს, როგორც სიახლის მიღებას იდეის ჩასახვიდან მის კომერციულ რეალიზაციამდე, ასევე ურთიერთობათა მთელ კომპლექსს (წარმოება, გაცვლა, მოხმარება).

ნაშრომი განკუთვნილია სტუდენტებისათვის, მეცნიერებისა და ბიზნესის სპეციალისტებისათვის.

რედაქტორი:
ლეო ჩიქავა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

რეცენზენტი:
ნუგზარ თოდუა, სრული პროფესორი

ISBN 978-9941-9107-6-0

დაიბეჭდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010
© ს. მასურაშვილი, 2007, 2008, 2010

Introduction

In the book it is considered bases of the organisation by innovative activity and productions of economic subjects in the conditions of market relations and introduction of innovations. The innovation results from use of results of scientific researches and the workings out directed on perfection of process of industrial activity, economic, financial, legal and social relations in the field of a science, culture, formation, in other fields of activity of a society. Strategic targets of Georgia in the field of an innovative policy and high-grade development of structural elements of the innovative mechanism in creation of a market infrastructure, a competition and creation of the national innovative system providing stable and safe development of the country, its partner economic appeal in world economic system are shown. Innovative process unites a science, technics, economy, business and management. It consists in reception of an innovation and is stretched from origin of idea before its commercial realisation, uniting all complex of relations: manufactures, an exchange, consumption. Problems of financing of innovations and creation of an infrastructure of the market of innovations are widely considered at construction of national innovative system of Georgia.

The Basis of efficiency of national economy of modern Georgia makes alongside with natural and a manpower and the scientific and technical potential of the country, which use opens opportunities of transition during a postindustrial information epoch. A necessary condition of use of achievements of science and technology in real sector of economy is innovative activity of managing subjects.

Absence of such researches is one of the reasons of impossibility to generate the rational mechanism of stimulation of innovative activity and backlog of the Georgian industrial potential from similar potentials of other countries.

Die Einleitung

Im Buch wird die Grundlagen der Organisation von der innovativen Tätigkeit und den Produktionsprozessen der ökonomischen Subjekte unter den Bedingungen der Marktbeziehungen und der Einführung der Innovationen betrachtet. Die Innovation entsteht im Ergebnis der Nutzung der Ergebnisse der wissenschaftlichen Forschungen und der Entwicklungen, die auf die Vervollkommnung des Prozesses der Produktionstätigkeit gerichtet sind, der ökonomischen, Finanz-, rechtlichen und sozialen Beziehungen auf dem Gebiet der Wissenschaft, der Kultur, der Bildung, in anderen Sphären der Tätigkeit der Gesellschaft. Es sind die strategischen Ziele Georgiens auf dem Gebiet der innovativen Politik und die vollwertige Entwicklung der strukturellen Elemente des innovativen Mechanismus in der Bildung der Marktinfrastruktur, die Konkurrenz und die Bildung des nationalen innovativen Systems, das die stabile und sichere Entwicklung des Landes gewährleistet, ihre Partner-ökonomische Attraktivität im weltweiten ökonomischen System gezeigt. Der innovative Prozess vereinigt die Wissenschaft, die Technik, die Wirtschaft, das Unternehmertum und die Verwaltung. Er besteht im Erhalten der Neuerung und erstreckt sich von der Entstehung der Idee bis zu ihrer kommerziellen Realisierung, den ganzen Komplex der Beziehungen vereinigend: die Produktionen, des Austausches, des Konsums. Breit werden die Probleme der Finanzierung der Innovationen und die Bildung der Infrastruktur des Marktes der Innovationen bei der Konstruktion des nationalen innovativen Systems Georgiens betrachtet.

Die Abwesenheit solcher Forschungen - einer der Gründe der Unmöglichkeit, den rationalen Mechanismus der Anregung der innovativen Tätigkeit und des Rückstands des georgischen industriellen Potentials von den ähnlichen Potential anderer Länder zu erzeugen.

„ეკონომიკურმა წინსვლამ უნდა გააუმჯობესოს
არა მარტო ადამიანთა ცხოვრების დონე, არამედ
მათი ცხოვრების ხარისხიც....
ეკონომიკის ზრდა თვითმიზანი არ არის, იგი
მხოლოდ საშუალებაა ადამიანთა ცხოვრების პირობების
განსხვავებულობის დასაძლევად“.

(პარიზი, 1972 წ., ევროგაერთიანების სახელმწიფოების
მეთაურთა შეხვედრის დეკლარაცია).

შესავალი

ინოვაციურ სფეროში ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებისა და სრულყოფის პრობლემამ მეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღება მეოცე საუკუნის ორმოციანი წლების დასასრულს მიიპყრო, ამ დრომდე ეკონომიკური მეცნიერება პრაქტიკულად არ იხილავდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე. გამონაკლისს წარმოადგენდა ავსტრიელი წარმოშობის ამერიკელი მეცნიერი ი.შუმპეტერი, რომელიც გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას უკავშირებდა ტექნიკურ განვითარებას. მან ჯერ კიდევ 1911 წელს თავის ნაშრომში „ეკონომიკური განვითარების თეორია“, ტექნიკური ნოვაცია განიხილა როგორც ეკონომიკური საშუალება, რომელსაც მეწარმე უფრო მაღალი მოგების მიღების მიზნით იყენებს.

ეკონომიკის გადასვლამ ხარისხობრივად ახალ მდგომარეობაში თანდათანობით გაზარდა ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების მნიშვნელობა, კერძოდ გაზარდა ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის ფორმირების პრობლემები, რომელიც მეცნიერებით გაჯერებული წარმოების განვითარების საშუალებას იძლევა და მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა მოგვევლინოს როგორც ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის, ასევე ეკონომიკური ზრდის პირობების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

თანამედროვე სამყაროში ღირებულებათა ახალი სისტემა ყალიბდება. მსოფლიოს განვითარება გადავიდა პოსტინდუსტრიულ, ინფორმაციულ ეპოქაში. ამასთან მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს კაპიტალის ინოვაციური ხასიათი, რომელიც დაფუძნებულია მეცნიერულ

მიღწევებზე, ახალი ტექნოლოგიების სწრაფ ათვისებასა და ეფექტურ მართვაზე. ეკონომიკის კონკურენტული მდგომარეობა განსაზღვრავს საზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივებს, თითოეული ჩვენგანის ცხოვრების დონეს.

საქართველოს წინაშე მდგარი ამოცანებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის უზრუნველყოფა. განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული სამეცნიერო – კვლევით სამუშაოებსა და ტექნოლოგიურ პროგრესზე. თანამედროვე ინოვაციურმა რევოლუციამ მოიცვა ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებები, როგორიცაა: ინფორმატიკა და ავტომატიზაცია მიკროელექტრონიკის საფუძველზე, ახალი მასალებისა და არატრადიციული ენერგეტიკული რესურსების გამოყენება, ბიოტექნოლოგია და მენეჯმენტის სფერო. ინოვაციური განვითარების ახალი ეტაპი უპირატესად ინტენსიური ტიპის კვლავწარმოების საფუძვლად იქცა, რომლისთვისაც დამახასიათებელი თავისებურებებია: ორიენტაცია ხარისხობრივ და არა რაოდენობრივ ასპექტებზე ეკონომიკაში, ფართოდ შეჭრა არამატერიალურ სფეროში, ცვლილებები სამუშაო ძალის ხარისხსა და სტრუქტურაში, ტრადიციული ტექნოლოგიების ეფექტიანობის ამაღლება.

ინოვაციური საქმიანობა მჭიდრო კავშირშია საინვესტიციო საქმიანობასთან. ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკა, სწორედ საინვესტიციო საქმიანობის მართვის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. შეზღუდულია საინვესტიციო რესურსები სამეცნიერო, გრძელვადიანი პროექტების განხორციელებისათვის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ეკონომიკის რეალური სექტორის ეფექტიან განვითარებას აფერხებს, რეგიონების მომსახურებისათვის საჭირო ფინანსური კაპიტალის უკმარისობაა. საწარმოების ფინანსური რესურსების დიდი ნაწილი ქვეყნის ცენტრშია თავმოყრილი. რეგიონის ბანკები აკონტროლებენ ადგილობრივ საწარმოთა ფინანსური წყაროების დაახლოებით 35%-ს, რაც ადგილობრივი ბანკებისა და საწარმოების განვითარებას სერიოზულად აფერხებს. ამ გარემოებას კიდევ უფრო ამძიმებს რეგიონებიდან ადამიანური კაპიტალის გადინების ნეგატიური ტენდენცია. მეტად აქტუალური გახდა საქართველოში ინოვაციური საქმიანობის პრობლემების მეცნიერული ანალიზი.

თავი I. ინოვაციური საქმიანობის კონცეპტუალური მიმართულებები

1.1. ინოვაციური საქმიანობის ეკონომიკური ასპექტები

„ინოვაციის“ ცნება სამეცნიერო გამოკვლევებში XX ს-ში გამოჩნდა და თავდაპირველად ერთი კულტურის ზოგიერთი ელემენტის მეორეში შეღწევას ნიშნავდა (ადათ-წესები, ცხოველქმედების ორგანიზაციის საშუალებები, მათ შორის წარმოებაც). ინოვაცია წარმოადგენს წინა საქმიანობის განახლების, გარდაქმნის ღონისძიებათა შედეგს, რომელიც იწვევს ელემენტთა ერთი ნაწილის მეორეთი შეცვლას, ან უკვე არსებულის ახლით შევსებას. ამგვარ საქმიანობას ზოგადი კანონზომიერებანი გააჩნია: განისაზღვრება ცვლილების მიზნები, ხდება სიახლის დამუშავება, გამოცდა, წარმოების მიერ მისი ათვისება და გავრცელება და ბოლოს, იგი „კვდება“, ფიზიკური და მორალური ამოწურვის გამო. ინოვაციური საქმიანობის პროცესში, დადგენილი წესრიგის ინერციის დაძლევისას თითქმის ყოველთვის იქმნება შედეგების პრობლემა – მოსალოდნელის, სასურველისა და მავნესი.

საგნის ახალ მდგომარეობაში გადასვლა ან მის მიერ ახალი თვისებების შეძენა სიახლეთა სახით წარმოგვიდგება. თავდაპირველად ისინი ცნობიერებაში პრობლემის სახით ყალიბდება, რომელიც სინამდვილესა და შესაძლო მდგომარეობას შორის წინააღმდეგობის არსებობას უკავშირდება. ამ უკანასკნელის სუბიექტური შინაარსი გულისხმობს სოციალურ სუბიექტთა მიზანმიმართულ ინოვაციურ საქმიანობას, რომლის მსვლელობის დროსაც წყდება მოცემული წინააღმდეგობა. ინოვაციური საქმიანობა წინააღმდეგობების გადაჭრის საშუალებას იძლევა, რაც იმას უკავშირდება, რომ თითოეულ ნივთში (პროცესში, მოვლენაში, ურთიერთობაში) განვითარების (პოტენციის) ობიექტური ტენდენცია დევს. მათი რეალიზაცია სოციალურ და ეკონომიკურ სუბიექტთა მიზანმიმართული ინოვაციური საქმიანობის მეშვეობით ხორციელდება.

ინოვაციები (იტალ. INNOVATIONE - სიახლეთა დანერგვა) თანამედროვე ლიტერატურაში განიხილება როგორც შრომისა და მართვის ორგანიზების ახალი ფორმები, ტექნოლოგიების ახალი სახეობები, ინვესტიციები ინოვაციებში. ეს განმარტებები მოიცავს არა მხოლოდ დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს,

არამედ — ეკონომიკის ცალკეულ დარგებსა და სფეროებსაც.

ყველაზე ფართო გაგებით ინოვაცია წარმოების ისეთი ფაქტორია, რომელიც ხანგრძლივ პერსპექტივაში მწარმოებლურობასა და მთლიანი ეროვნული პროდუქტის ფორმირებას განაპირობებს.

ინოვაციური სფეროს — მეცნიერების, მეცნიერებატევადი დარგების, ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზრის განვითარება განაპირობებს მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის განსხვავებას და ქმნის სტაბილური ეკონომიკური ზრდის საფუძველს. ტექნოლოგიურმა პროგრესმა არა მარტო შეცვალა ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების წარმოების სტრუქტურა და მოცულობა, არამედ შესამჩნევად იმოქმედა მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე, მათ დამოკიდებულებაზე გარე სამყაროს მიმართ.

ინდუსტრიულად განვითარებულმა, ასევე დინამიურად განვითარებადმა ქვეყნებმა, ბოლო წლებში, შთამბეჭდავ შედეგს მიაღწიეს უმეტესად წარმატებული საინოვაციო საქმიანობით და შექმნილი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების თანამედროვე სისტემის მეშვეობით, რომლის საფუძველს სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავების შედეგების კომერციალიზაციის ეფექტური მექანიზმი წარმოადგენს. დღეს მსოფლიო პრაქტიკაში ეკონომიკის განვითარების საინოვაციო რეჟიმზე გადაყვანის მდიდარი გამოცდილება არსებობს, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პირობებში.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო სამეურნეო პროცესი წარმოუდგენელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა გამოყენების გარეშე. საერთაშორისო შრომის სტრუქტურაში სულ უფრო იზრდება ინტელექტუალური შრომის წილი. საზოგადოების პროგრესირებადი ახალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მეცნიერებატევადი პროდუქციითა და მომსახურებით შეუძლებელია ინოვაციათა ფართოდ გამოყენების გარეშე. კაცობრიობა მუდმივად ისწრაფვის ბუნებრივი რესურსებისა და შრომის ნაკლები დანახარჯებით დოვლათის წარმოების გადიდების, სამუშაო დროის შემცირების, მეტი მატერიალური და სულიერი სიმდიდრის შექმნისა და დაგროვებისაკენ.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების საერთო კომპლექსში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი

მიეკუთვნება ინოვაციური პოტენციალის განვითარებას და ამ პროცესის აქტიური მხარდაჭერის პრობლემას, რამდენადაც ქვეყნის წინაშე მდგარი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ტექნოლოგიური საქმიანობის მკვეთრ გააქტიურებაზე.

„არც ერთი პრობლემა, რომელსაც აწყდება ბიზნესი, არ არის ისეთი რთული და მნიშვნელოვანი, როგორიცაა ინოვაციების პრობლემა“ (ა. ტოფლერი).

ინოვაციების არსის მიმართ არსებობს აგრეთვე სხვა თვალსაზრისი. ყველაზე მეტად გავრცელებულია ორი მიდგომა: პირველ შემთხვევაში, სიახლეთა დანერგვა განიხილება როგორც შემოქმედებითი პროცესის შედეგი, რომელსაც თან სდევს ახალი პროდუქციის, ტექნიკის, ტექნოლოგიის და ა.შ. შექმნა. მეორე შემთხვევაში კი, — ახალი ნაკეთობების,მიდგომების,პრინციპების დანერგვა ძველის სანოვაციოდ.

ამგვარად, ინოვაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც ინვესტიციები ნოვაციებში, სახსრების დაბანდება ტექნიკის, ტექნოლოგიის დამუშავებაში, სამეცნიერო გამოკვლევებში ყოველგვარი ცვლილება, სიახლე საქონელსა და მომსახურებაში, ტექნოლოგიასა და წარმოების ფაქტორებში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინოვაციების უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს უნდა წარმოადგენდეს მისი სამომხმარებლო ხასიათის სიახლე. ამასთან ტექნიკური სიახლე ასრულებს მეორეხარისხოვან როლს.

ინოვაციების სისტემური აღწერის მეთოდოლოგია დაფუძნებულია საერთაშორისო სტანდარტებზე, რომელთა შესახებ რეკომენდაციები მიღებულია 1992 წელს ქალაქ ოსლოში. ისინი შემუშავებულია ტექნოლოგიურ ნოვაციებთან მიმართებაში და მოიცავენ ახალ პროდუქტებსა და პროცესებს, აგრეთვე მათ მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ სახე-ცვლილებებს. ინოვაცია ითვლება განხორციელებულად, თუ იგი დანერგილია ბაზარზე ან საწარმოო პროცესში. შესაბამისად, განასხვავებენ ტექნოლოგიური ინოვაციების ორ ტიპს: პროდუქტიულსა და პროცესულს.

პროდუქტიული ინოვაციები გულისხმობს ახალი ან განახლებული პროდუქტების დანერგვას, ხოლო პროცესული ინოვაციები, — ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქციის, წარმოების ორგანიზების ათვისებას. ამგვარი პროდუქციის გამოშვება შეუძლებელია არსებული მოწყობილობების გამოყენებით.

ინოვაციების ყველა არსებითი განსაზღვრების კლასიფიცირება შეიძლება ხუთი ძირითადი მიდგომის საფუძველზე: 1) ობიექტური, 2) პროცესული, 3) ობიექტურ-უტილიტალური, 4) პროცესულ-უტილიტარული, 5) პროცესულ-ფინანსური.

ობიექტური მიდგომის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ინოვაციის სახით გამოდის ობიექტი–მტპ-ს შედეგი ახალი ტექნიკა, ტექნოლოგია. ამ თვალსაზრისით, განასხვავებენ საბაზისო ინოვაციებს, გაუმჯობესებულ ინოვაციებს და ფსევდო ინოვაციებს.

ახალი პროდუქციის დანერგვა განისაზღვრება, როგორც საბაზისო პროდუქტიული ინოვაცია. საბაზისო ინოვაციების მაგალითს წარმოადგენს ორთქლის ძრავის შეცვლა შიდა წვის ძრავით.

გაუმჯობესებული ინოვაციები ეხება უკვე არსებულ პროდუქტს, რომლის ხარისხობრივი და ღირებულებითი მახასიათებლები უკვე იყო გაუმჯობესებული უფრო ეფექტიანი კომპონენტების გამოყენებით, ტექნიკური ქვესისტემების ნაწილობრივი ცვლილებით.

ფსევდო-ინოვაციები მიმართულია მოძველებული ტექნიკისა და ტექნოლოგიის ნაწილობრივ გაუმჯობესებაზე. საუბარია იმ ტექნოლოგიებზე, რომლებიც ამუხრუჭებენ ტექნოლოგიურ პროგრესს.

პროცესული მიდგომის ფარგლებში, ინოვაციების ქვეშ იგულისხმება კომპლექსური პროცესი, რომელიც მოიცავს ახალი სამომხმარებლო ფასეულობების - საქონლის, ტექნიკის, ტექნოლოგიის, ორგანიზაციული ფორმებისა და ა. შ. შემუშავებას, წარმოებაში დანერგვასა და მათ კომერციალიზაციას.

ინოვაციების განსაზღვრების ობიექტურ-უტილიტარული მიდგომა ხასიათდება ორი ძირითადი მომენტით: პირველი, ინოვაციის ქვეშ იგულისხმება ობიექტი-ახალი სამომხმარებლო ღირებულება, რომელიც დაფუძნებულია მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე. მეორე,, აქცენტი კეთდება სიახლეთა უტილიტარულ მხარეზე - ინოვაციების შესაძლებლობაზე, დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნილებები დიდი სასარგებლო ეფექტით. ობიექტურ-უტილიტარულისაგან განსხვავებით, პროცესულ-უტილიტარული მიდგომა ინოვაციების განსაზღვრებისადმი მდგომარებს იმაში, რომ მოცემულ შემთხვევაში ინოვაცია წარმოდგენილია როგორც კომპლექსური პროცესი ახალი პრაქტიკული სახსრების შექმნის, გავრცელებისა და მოხმარებისთვის. ხოლო პროცესულ-ფინანსური მიდგომის ფარგლებში, ინოვაციების

ქვეშ იგულისხმება ინვესტირების პროცესი ნოვაციებში, სახსრების დაბანდება ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის, სამეცნიერო კვლევების დაფინანსებისათვის.

მსოფლიო ეკონომიკის გადასვლამ მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების ახალ საფეხურზე განაპირობა ინოვაციური აქტივობის გაძლიერება და სიახლეთა დანერგვისადმი ახალი მიდგომა. გასული საუკუნის 90-იანმა წლებმა ახალი კორექტივები შეიტანა ეკონომიკურ გარემოსა და დამოუკიდებელი კონკურენტი სამეურნეო სუბიექტების ინოვაციური საქმიანობის ურთიერთდამოკიდებულების პროცესში, სწორედ ინოვაციები იძენს "მთავარი მოქმედი პირის" ფუნქციას თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში, მათ ერთგვარად შეაფასეს ინვესტიციების როლი, როგორც წლების მანძილზე გაბატონებული ეკონომიკური ზრდის ძირითადი ფაქტორისა. ინოვაციების მნიშვნელობის პრინციპული ზრდა გამოწვეულია, უწინარეს ყოვლისა, საბაზრო სიტუაციით: კონკურენციის ხასიათით, ჩვეული სტატიკური კონკურენციიდან დინამიურზე გადასვლით; ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად განაპირობა ინოვაციებისა და ბაზრის თავისებურებათა ურთიერთქმედება თანამედროვე ეტაპზე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინოვაციური საქმიანობა ფინანსური ინვესტიციების ამოქმედებით იწყება, რომელიც ფულადი კაპიტალის გარდასახული ფორმაა. სწორედ ფულადი კაპიტალი იწყებს და ამთავრებს კლასიკური წარმოების პროცესს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინოვაციური საქმიანობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინვესტიციების ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც ფულადი სახსრების აკუმულირების მომენტიდან კაპიტალურ ქონებაში გაავანსებული ღირებულების რეალურ ანაზღაურებამდე მოძრაობას გულისხმობს.

ინოვაციური პროცესი - ეს მეცნიერული ცოდნის გარდასახვაა ინოვაციებში, რომელიც შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც მოვლენათა თანამიმდევრული ჯაჭვი, რომლის დროსაც ხდება ინოვაციათა მომწიფება იდეიდან კონკრეტულ პროდუქტამდე და შემდგომში მისი პრაქტიკული გამოყენება.

ინოვაციური პროცესი მოიცავს სამ ძირითად სტადიას (ეტაპს): 1) გამოკვლევის დაწყებიდან მისი შედეგების პირველ ათვისებამდე.

2) სიახლეთა დანერგვიდან, ამ პროცესის უზრუნველყოფის ჩათვლით (ინფორმაციული, ორგანიზაციული, ფინანსური, საკადრო, მატერიალურ-ტექნიკური და სხვა) სასარგებლო ეფექტის მიღებამდე; 3) ბოლო, მე-3 ეტაპი უზრუნველყოფს სამეცნიერო გამოკვლევების შესრულებასა და კოორდინაციას,ინფრასტრუქტურის გადაიარაღებას პრინციპულად ახალ საფუძველზე, ბიზნესის ორგანიზების ეფექტიანი ფორმების დანერგვას.

ინოვაციური პროცესის საფუძველს წარმოადგენს ახალი ტექნიკის (ტექნოლოგიის) შექმნისა და ათვისების პროცესი. ტექნიკა შეიძლება განვიხილოთ როგორც წარმოების ფაქტორი, შრომის საშუალებათა და იარაღების ერთობლიობა, რომლებშიც მატერიალიზებულია ადამიანის ახალი ცოდნა და გამოცდილება. ხოლო ტექნოლოგია ეს არის ტექნიკის დამზადებისა და გამოყენების ხერხების ერთობლიობა და ბუნებრივი რესურსების გარდაქმნა სამრეწველო სამომხმარებლო დანიშნულების პროდუქტებად.

ამგვარად, ინოვაციური პროცესი შეიძლება, აგრეთვე, განვსაზღვროთ როგორც მეცნიერული ცოდნის ინოვაციებად გარდაქმნის პროცესი იგი მთლიანობაში მოიაზრება როგორც საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ახალ შესაძლებლობათა მუდმივ ძიებას, დასმული ამოცანების გადასაწყვეტად სხვადასხვა რესურსული წყაროს გამოძებნას, მოზიდვასა და ეკონომიკურ კლავწარმოებით პროცესში ჩართვას, მეცნიერებატევადი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას ახალი ტექნოლოგიის საშუალებით.

როგორც პრაქტიკით დასტურდება, თანამედროვე საწარმოების ეფექტიანობა და მათი განვითარების ტემპები სწორედ ინოვაციური პროცესის აქტივობით განისაზღვრება. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა, რომ ინოვაციათა საბაზრო თავისებურება მდგომარეობს მათ მჭიდრო კავშირში ინვესტიციურ პროცესთან. საქმე ეხება იმ ინვესტიციებს, რომელთა მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება. თავის მხრივ, ეკონომიკური ინვესტიციები კავშირშია ფინანსურ ინვესტიციებთან, ანუ აქტივების შეძენასთან ფასიანი ქაღალდების ფორმით. ამრიგად, სიახლეთა ბაზარი ყალიბდება მატერიალური საქონლის ბაზრისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის გადაკვეთაზე.

ინოვაციური საქმიანობა ეკონომიკაში ორი ჰიპოთეზით აიხსნება. პირველის თანახმად, ამ პროცესს საფუძვლად ტექნოლოგიური ბიძგი

უდევს, მეორეს მიხედვით კი, — ბაზრის მოთხოვნის ზეწოლა. ტექნოლოგიური ბიძგის ჰიპოთეზა ეფუძნება მეცნიერების ავტონომიური განვითარების იდეას, რომელიც მნიშვნელობას არ ანიჭებს უკუკავშირს ეკონომიკურ გარემოსა და ტექნოლოგიური პროგრესის მიმართულებას შორის (ი. ვან ვეინი, ი.ვ. იაკოვეცი). ამ ჰიპოთეზასთან ძალიან ახლოსაა ეკონომიკური ეფექტის ჰიპოთეზა, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს გამომგონებლურ აქტივობასა და მომდევნო ინოვაციათა სიხშირეს. მართლაც, მეცნიერული აზრის განვითარება შედარებით დამოუკიდებელია პრაქტიკისაგან და სამეცნიერო პარადიგმათა ცვლილების სახით გამოიხატება. მეცნიერების განვითარების რეტროსპექტული ანალიზი საშუალებას იძლევა მოვახდინოთ შემდეგი კონსტატაცია: მსოფლიოში ოთხი სამეცნიერო რევოლუცია მოხდა, განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნების ტექნიკურ ბაზისში კი თანმიმდევრულად ოთხი ტექნიკური წყობა შეიცვალა. თითოეულ სამეცნიერო რევოლუციას ახასიათებს გამოგონებათა რაოდენობის მკვეთრი ზრდა წინასთან შედარებით.

ახალი სამეცნიერო აღმოჩენები გარე სამყაროს შეცნობის, ე.ი. ადრე უცნობი, ობიექტურად არსებული კანონზომიერებების, თვისებების, მატერიალური, სოციალური და სულიერი სინამდვილის მოვლენათა დადგენის პროცესში ხორციელდება, რომელთაც ძირეული ცვლილებები შეაქვთ შემეცნების დონეში. გამოყენებითი გამოკვლევების პროცესში, აღმოჩენები ხორციელდება პრაქტიკულ ამოცანათა გადაჭრის საშუალებებში, მათ შორის გამოგონებებშიც, რომლებიც გარკვეული სამეცნიერო სიახლითა და სარგებლიანობით გამოირჩევა.

როგორც სიახლის საწყისი მომენტი, გამოგონება წარმოიშობა სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით როგორიცაა: ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ტექნიკური, სამეცნიერო, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორები.

გამომგონებლობას ანალოგიური ამოცანების გადაწყვეტის წინა გამოცდილების დაგროვების ანუ კუმულატიურობის (დაგროვების) უნარი გააჩნია. სამეურნეო პრაქტიკაში გამოცდილებისა და ცოდნის დაგროვება პრობლემის არსის ჩაწვდომაში მისი სირთულის შეფასებაში გვეხმარება. პრიორიტეტული ფაქტორი ეკონომიკური აგენტების მოთხოვნილებების არსებობაა, რაც ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციებთანაა დაკავშირებული. საზოგადოების

წინაშე მდგარი პრაქტიკული ამოცანების ეკონომიკურ მდგომარეობას, რაოდენობასა და მასშტაბებს შორის მჭიდრო კორელაცია არსებობს. ინოვაციურ საქმიანობაზე საზოგადოებრივი მოთხოვნილების ფორმირება ეკონომიკურ აგენტებს აიძულებს, რომ მოახდინონ ინოვაციაზე გაწეული დანახარჯების შედარება მატერიალურ წარმოებაში მათი ათვისების შედეგებთან.

ამ საქმიანობის განხორციელების მეორე კრიტერიუმია სოციალური ეფექტი კონკრეტული ეკონომიკური სისტემის მიზნებთან შესაბამისობაში. შედეგებისა და დანახარჯების შეფარდება, რომელიც ინოვაციური საქმიანობის განხორციელებას განსაზღვრავს, შემდეგ ვითარებაში მიმდინარეობს:

პირველი სიტუაცია — მოთხოვნა და მიწოდება ერთი სიდიდისაა — მოგების წყარო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაა, ინოვაციები კი, მოგების მიღების თვალსაზრისით მეწარმის მიერ არასაკმარის დონეზე გამოიყენება.

მეორე სიტუაცია — ერთობლივი მოთხოვნა მიწოდებას აღემატება, რაც იწვევს წარმოებაში რეზერვთა და ინოვაციათა ჩართვას, დამატებითი დანახარჯების ზრდას, რომლებიც წარმოების მოცულობის ზრდის ხარჯზე იფარება.

მესამე სიტუაცია — მოთხოვნა მიწოდებაზე დაბალია — მცირდება ფასები და სახსრები ინოვაციურ საქმიანობაზე, ბრუნვიდან ამოიღება მოძველებული არაეფექტური ფაქტორები, მათი უტილიზაციის კონსერვაციის მეშვეობით. მოგების მიღწეული დონე შენარჩუნებულია მხოლოდ დანახარჯთა შემცირების ხარჯზე.

ეროვნული ეკონომიკის განვითარებას განსაზღვრავს მოთხოვნილება სიახლეებზე და არა მეცნიერების შემოთავაზებანი. სამეცნიერო-ტექნიკური გამოგონებანი უმოქმედოდ რჩებიან, ვიდრე მათი გამოყენებისათვის აუცილებელი პირობები არ შეიქმნება.

შესაბამისად, ინოვაციური საქმიანობის განხორციელებისათვის პრიორიტეტულია ეკონომიკური პირობები. რეტროსპექტული ანალიზი ადასტურებს: ეკონომიკურ ეფექტს ღებულობს უმეტესწილად ეკონომიკური სუბიექტი, რომელიც ყოველთვის არ ქმნის სიახლეს, მაგრამ იყენებს მას. არა მხოლოდ ტექნიკა, არამედ მეცნიერებაც ძლიერაა დამოკიდებული პრაქტიკაზე. „მეცნიერული ჭეშმარიტება არა მხოლოდ ლოგიკურია, არამედ სამეურნეოც“[3, გვ. 143].

სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის საკმარისი არაა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სფეროში დანახარჯების გაზრდა, რაც ამცირებს სიახლის შექმნისა და დიფუზიის მთელ ინოვაციურ პროცესზე მიზანმიმართული ზემოქმედების შესაძლებლობებს. „ყოველი იარაღი გულისხმობს მისთვის ზუსტად შესაბამის მოთხოვნებს და მათი დაკმაყოფილების ზუსტად დადგენილი მიზანი გააჩნია“[12, გვ. 213].

ჰიპოთეზა – „ბაზარი-მიდრეკილება“ ეკონომიკის ინოვაციურ შესაძლებლობათა ზრდას უკავშირებს ბაზრის მოთხოვნებს, ახალ სფეროთა წარმოშობასა და ძველთა რეკონსტრუქციას (კ. ფრიდმანი, ჯ. კლარკი, ლ. სუტო, კ. ოპენლენდერი). იაპონელი ეკონომისტი კონო თეცლის, რომ არსებობს იდეათა ოთხი წყარო, რომელთაც ინოვაცია ეყრდნობა: 1. ბაზრის მოთხოვნილება; 2. მეცნიერების შესაძლებლობანი; 3. კომპანიათა მოთხოვნა და პოლიტიკა; 4. მოქმედი კომპანიებისადმი მიბაძვა.

ბაზრის მოთხოვნილებათა ჰიპოთეზა სრულად ვერ ხსნის გამომგონებლური აქტივობის რყევებს, ინოვაციური შრომის შედეგთა გაურკვევლობას. აქ უარი უნდა ვთქვათ სამეცნიერო გამოკვლევათა და ეკონომიკურ მოთხოვნილებათა გამარტივებულ სწორხაზოვან დამოკიდებულებაზე. ასე მაგალითად, ნ. კონდრატიევი წერდა მიწოდების შესაბამისობის აუცილებლობაზე მის პრაქტიკულ გამოყენებასთან. ა. ანჩიშკინმა სისტემური ანალიზის მეთოდების გამოყენებით დაასაბუთა ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო, სოციალურ ცვლილებათა ერთიანობა, რაც თან ახლავს ტექნოლოგიურ წინსვლას.

ინოვაციურ საქმიანობაზე მოქმედი ყველა ფაქტორი კომპლექსურად ფუნქციონირებს და ურთიერთგანპირობებულია რეალურ სინამდვილეში. სიახლეთა წარმოშობა დამოკიდებულია ურთიერთმოქმედ ფაქტორებზე, რაც მთგან პრიორიტეტულის გამოყოფას ართულებს. ახალშემოღებათა სიახლეთა წარმოშობის კანონზომიერების ანალიზისათვის შემთხვევითობის პრინციპზე დაფუძნებული მოდელის გამოყენებაა მიზანშეწონილი.

დ. სახალის მიერ შემოთავაზებული ინოვაციური საქმიანობის შესაძლო მოდელი შემდეგი პრინციპებიდან გამომდინარეობს:

- ტექნიკური მოვლენის წარმოშობის განმსაზღვრელი ფაქტორები მრავალია, არაერთგვაროვანი და არათანაბარმნიშვნელოვანი.

ურთიერთქმედებენ რა ერთმანეთთან, სიახლეები საშუალებას არ გვაძლევს გავითვალისწინოთ და გავაანალიზოთ მათი ზემოქმედება, რამეთუ ინოვაციური საქმიანობა შემთხვევითობითაა განსაზღვრული;

- სიახლე, როგორც პრობლემის გადაჭრის მეთოდი, მისი არსითა და გადაჭრის მცდელობათა სიხშირეზეა დამოკიდებული;
- მთელი დაგროვილი გამოცდილება მისი ხელმისაწვდომობის პირობით წარმატებული ინოვაციური საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.

ინოვაციური საქმიანობის მიზნები, მეთოდები, ფორმები და განხორციელების ვადები ცალკეულ ეკონომიკურ აგენტთა და მთელი საზოგადოების რესურსული შესაძლებლობებით განისაზღვრება. ეს უკანასკნელნი ზემოქმედებენ ინოვაციური საქმიანობის მასშტაბებზე, მათი გადაჭრის თანმიმდევრობაზე და ყველაზე ფართო განსაზღვრებაში მოიცავენ პრაქტიკულად ყველაფერს, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას ინოვაციურ პროცესში, მის საბოლოო შედეგთა მიღების უზრუნველსაყოფად. ეს უკანასკნელნი ინოვაციური პროგრესის საწყის პუნქტებად იქცევიან, ამიტომაც ასევე რესურსთა საზითაც შეიძლება იქნან გამოყენებულნი.

ინოვაციები ეკონომიკურ აგენტთა საწარმოო და კომერციულ ამოცანათა გადაჭრის საშუალებად გვევლინება. ეკონომიკურ აგენტთა დაინტერესება განპირობებულია ინოვაციური საქმიანობის საბოლოო შედეგთა ეფექტის განაწილების წილით ე.ი. სიახლეთა რეალიზაციიდან მიღებული მოგების განაწილებით. სამეურნეო სფეროში განვითარება ყოველთვის არ ხორციელდება სიახლეთა მეშვეობით. ასე მაგალითად, პროდუქციის ერთი და იმავე რაოდენობის ან საწარმოო საქმიანობის მაჩვენებლების თანმიმდევრული ზრდა არ წარმოადგენს ინოვაციას. ეს უკანასკნელი უკავშირდება სამეურნეო სისტემის ერთიდან მეორე მდგომარეობაში გადასვლის პროცესებს, რომლის დროსაც ხორციელდება ინიცირებადი და კონტროლირებადი ცვლილებები.

იმის მიხედვით, თუ რა ზემოქმედებას ახდენს ინოვაციები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე (მათ შორის ეკონომიკურ საქმიანობაზეც), სიახლეები კლასიფიცირდება სხვადასხვაგვარად. ინოვაციური თეორიის ფუძემდებელი ი.შუმპეტერი სიახლეებს ორად ჰყოფდა — ბაზისურად და მეორადად. შემდეგ

მენშმა გამოყო ბაზისური, გაუმჯობესებული და ფსევდოსიახლეები, ცრუ სიახლეები. ბაზისური სიახლე ახალ სფეროთა და ახალ ბაზართა წარმოქმნას ემსახურება. გაუმჯობესებული სიახლეები არ ეხება ძირითად ტექნოლოგიურ სქემას, მაგრამ აუმჯობესებს ნივთის ხარისხს ან უმნიშვნელოდ ცვლის ტექნოლოგიური პროცესის ელემენტებს რესურსების ეკონომიის მიზნით. ფსევდოსიახლეებს ცვლილებები შემოაქვს სამომხმარებლო არჩევანის მოკლევადიანი რყევების ზემოქმედებით. ა. ანჩიშკინის მიერ შემუშავებული კლასიფიკაცია სიახლეთა სამ ტიპს გამოყოფს,რომლებიც სხვადასხვა დონის სამეცნიერო ცოდნის მატერიალიზაციის ხარისხით განსხვავდებიან:

— პირველ რიგში,ესაა პრინციპულად ახალი სამეცნიერო იდეების შემცველი და რევოლუციონირებული საწარმოო ძალები;

— მეორე, ესაა ტექნიკურ თაობათა ცვალებადობაზე დაფუძნებული ახალი ტექნოლოგიების წარმოშობა, საწყისი ფუნდამენტური სამეცნიერო პოტენციალის შენარჩუნების პირობით;

— მესამე, ესაა მოდიფიცირებადი, რომელიც დაკავშირებულია ტექნიკის მოცემული თაობის ცალკეულ პარამეტრთა რაოდენობრივ გაუმჯობესებასთან.

ეკონომიკური საქმიანობისათვის დამახასიათებელია ინოვაციათა შემდეგი ტიპოლოგია:

- რადიკალური (საბაზო),ეი. პრინციპულად ახალი ტექნოლოგიები, პროდუქციის სახეები, მართვის მეთოდები;
- კომბინირებული, რომელიც გულისხმობს წარმოების ფაქტორთა სხვადასხვა შეხამების გამოყენებას;
- მოდიფიცირებადი, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის საბაზო კონსტრუქციის, სამეურნეო საქმიანობის პრინციპებისა და ფორმების გაუმჯობესებასა და დამატებასთან.

სიახლეთა დანერგვის სიჩქარისა და სისრულის თვალსაზრით, მნიშვნელოვანია შემდეგი განმასხვავებელი ნიშნები:

- ჩანაცვლებადი ინოვაციები, რომელიც ითვალისწინებს მეურნეობათა და ტექნოლოგიათა მოძველებული მეთოდების სრულ ამოღებას;
- შემცვლელი, რომელიც დაკავშირებულია რაიმე სახის ოპერაციის, ნაწარმის გამოშვების გამორიცხვასთან;

- დაბრუნებადი, რომელიც დაკავშირებულია სიახლის დისკრედიტაციის ან მისი ეფექტური რეალიზაციისათვის სამეურნეო და საწარმოო პირობათა მოუმზადებლობის გამოვლენის შემდეგ ძველ წესზე დაბრუნებასთან;
- გამხსნელი საშუალებანი, რომელთაც არ გააჩნიათ შესადარი ფუნქციონალური წინამორბედები და ფუნდამენტურ გამოგონებებზე არიან დაფუძნებულნი;
- რეტროსიახლენი, რომლებიც უზრუნველყოფენ ადრე გამოყენებული ნაწარმის ახალ დონეზე გადაყვანას, მათი წარმოების საშუალებებისა და მეთოდებისა აღწარმოებას.

ინოვაციური საქმიანობის შედეგიანობა განისაზღვრება სიახლეთა ეფექტიანობის ხარისხით მეწარმის მიერ მათ განხორციელებასა და რეალიზაციაზე გაწეულ დანახარჯებთან შედარებით. ინოვაციას, როგორც წესი, გადავადებული ეფექტი მოაქვს, რომელიც უცებ არ ვლინდება. ამიტომაც მისი ეფექტიანობის განსაზღვრა დანახარჯების მიხედვით ყოველთვის არაა მისაღები.

თუ სრულყოფათა რეალიზაციისათვის საკმარისია ხელსაყრელი საბაზრო კონიუნქტურა, რაც ხელს უწყობს მეურნე სუბიექტის დაინტერესებას წარმოების მატერიალური ბაზის მუდმივ მოდიფიკაციასა და ასორტიმენტის გაფართოებაში, (რადიკალურ) ბაზისურ სიახლეთა განსახორციელებლად საჭიროა მეურნეობის გარე პირობათა ცვალებადობა, რაც მეურნე სუბიექტს უბიძგებს ამგვარი სიახლის რეალიზებისათვის გასწიოს რისკი მნიშვნელოვან დაბანდებათა განსახორციელებლად.

გ. მენშის მიერ ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ ბაზისულ სიახლეთა კლასტერები (ინოვაციათა დაგროვებანი, რომელთაც გამოყენების სფეროსა და დროში სიახლოვე ახასიათებთ) ისეთ მიმართულებებში დაემთხვა ერთმანეთს, როგორიცაა ენერგომატარებლები, ინფრასტრუქტურა, შრომის საშუალებები, საკონსტრუქციო მასალები და სამომხმარებლო საქონელი, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არსებითი გაუარესების პერიოდებით, თვით სიახლეები კი მისი დაძლევის ფაქტორად მოგვევლინა. ბაზისური სიახლეები წარმოიშვება იმ პერიოდში, როცა ტექნოლოგიურ სისტემებს ამოწურული აქვთ საკუთარი ღირსებები და ახალი ტექნოლოგიური სისტემის აუცილებლობა არსებობს.

ხშირად სიახლეთა კლასტერის წარმოშობის ფაქტი ახალი ტექნიკური მოწყობის ფორმირების საწყისზე მეტყველებს, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეკონომიკური განვითარების ტემპების არსებით ზრდას.

რადიკალური სიახლეები წარმოიქმნება მოთხოვნების შემცირების, სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებელთა გაუარესების მომენტში. ამ სიახლეთა შერჩევა გულისხმობს კონკრეტულ სიტუაციაში როგორც მიზნების, ასევე მათი მიღწევის საშუალებების აღრიცხვას. ეს კი სიტუაციის ეკონომიკური ანალიზის ჩატარებას მოითხოვს. ახალი ტექნოლოგიური წყობის ფორმირების პირობას წარმოადგენს ეკონომიკის ექსპრესული მდგომარეობა, მისი თვითგანვითარების ბირთვის მდგომარეობა (მანქანათმშენებლობა, მშენებლობა), სტრუქტურული არამდგრადობა. ეკონომიკის ბიფურკაციის წერტილში მდებარეობა ხასიათდება განუსაზღვრელობის მკვეთრი ზრდით საინვესტიციო აქტივობის მიმართულების არჩევის დროს. ბიფურკაციის წერტილის დაძლევა ხორციელდება ინვესტორთა სტრატეგიის ხარჯზე.

რადიკალური სიახლეები იმ პერიოდში ჩნდება, როცა ცვლილებები გამოყენებული კაპიტალის შედეგიანობაში ავლენს შემცირების ტენდენციას, რის გამოც მეწარმე იძულებულია მისი გამოყენების ახალი სფეროები ეძებოს. 70-80-იან წლებში წინააღმდეგობა ეკონომიკური დაგროვების შესაძლო შემცირებასა და განვითარებული ქვეყნების ნაციონალურ-ეკონომიკურ სისტემათა ტექნიკურ-ტექნოლოგიური ბაზის რადიკალური გარდაქმნის აუცილებლობას შორის, გადაწყდა ინვესტიციათა მიმართვით ახალ ტექნოლოგიებსა და დაფინანსების დამატებით წყაროთა მობილიზაციაზე. ამგვარად, ბაზისურ ინოვაციათა წარმოშობა გულისხმობს „კაპიტალის ხელახლა დაგროვებას, ორი ძირითადი ქვედანაყოფის პროპორციათა და ქვეყნის პოლიტიკის დარღვევას“[8, გვ 94].

ინოვაციური საქმიანობის დინამიკასა და მოცულობაზე, ასევე სიახლეთა დიფუზიის პროცესზე, ზემოქმედებს მოგების ნორმის მოძრაობა. „მთელი ეკონომიკური სტრუქტურის მოძრაობაში წამყვან ბერკეტს წარმოადგენს, როგორც მიმდინარე, ასევე მომავალ კაპიტალურ დაბანდებათა მომგებიანობის დინამიკაც“[8, გვ.94]. ინოვაციური აქტივობის მაქსიმუმი მოდის კრიზისის პერიოდზე, დაბალ მოგებაზე, მაშინ როდესაც ტექნოლოგიური წყობის პოტენციალის ამოწურვა შეიმჩნევა. სიმძლავრეთა გადაჭარბება, საბაზო სფეროთა სტაგნაცია

განაპირობებს მათი ძირეული მოდერნიზაციისა და ახალ სფეროთა წარმოქმნის არსებით მოთხოვნილებას.

მატერიალურ-საგნობრივ საწარმოო ძალთა ფართომასშტაბიანი კომპლექსური განახლება თან სდევს საზოგადოების მნიშვნელოვნად გაზრდილ ან ახლად წარმოშობილ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები უკვე არ სჯერდება ტექნიკის მხოლოდ უპირატესი, ტრადიციად ქცეული თაობების სრულყოფას, იმ პირობით, რომ შექმნილია ტექნიკის ახალ თაობებზე გადასვლის წინაპირობები, როგორიცაა აღმოჩენები და მსხვილი გამოგონებები, რაც ადრე იქნა გაკეთებული, მაგრამ ვერ მოხდა რეალიზება საჭირო პირობათა არარსებობის გამო, ან ახლა გამოჩნდა საზოგადოებრივი მოთხოვნილების ზემოქმედებით. წარმოების ეკონომიკური შედეგიანობა ასახავს ობიექტურ მოთხოვნას, შეცვალოს ამოწურული ტექნოლოგიური წყობა და კაპიტალის გადანაწილებას ახალ დარგებში.

ბაზისურ სიახლეთა განხორციელება ეკონომიკური ზრდის პერიოდში ხშირად გართულებულია, ვინაიდან ძირითადი სიახლეები უკვე რეალიზებულია, ახალი კი ჯერ არაა ჩამოყალიბებული. ცოდნის, პატენტთა, გამოგონებათა, „ნოუ-ჰაუს“ დაგროვების ხანგრძლივი პროცესი, რაც წინ უსწრებდა რადიკალურ სიახლეებს, აიხსნება მათი რეალიზაციის პირობების არარსებობით, რაც მოიცავს არა მხოლოდ ტექნოლოგიური შესაძლებლობებისა და ეკონომიკური თვისების შესაძლებლობას, არამედ ინსტიტუციონალურ და სოციალურ ფაქტორებსაც.

შესაბამისად, არსებობს ინოვაციური საქმიანობის შემაფერხებელი და ხელშემწყობი პერიოდები, რომელიც გრძელვადიანი ციკლური რყევებისადმი მიდრეკილების მქონე ტექნიკურ-ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედებით რეალიზდება. ეროვნული ეკონომიკის ეკონომიკურ აგენტთა ინოვაციური პოლიტიკის განხორციელებისას გარეგანი გარემოს რყევები უნდა იქნეს გათვალისწინებული.

მიზანთა (განზრახვათა) და მათი განხორციელების დასაშვებ მეთოდთა ერთობლიობა, რომელთაც ეკონომიკური სუბიექტები ინოვაციური საქმიანობის პროცესში ირჩევენ, განსაზღვრავს მათი სიახლეების რეალიზაციის ინოვაციურ პოლიტიკას. ამ უკანასკნელთა შექმნის შესაძლებლობას თვით სინამდვილე ქმნის და საზოგადოების ინოვაციურ პოტენციალი შეიცავს. სიახლეების რაოდენობრივი და

ხარისხობრივი მახასიათებელი (ინოვაციური პოლიტიკის ობიექტები) განისაზღვრება თვით სიახლეთა პოტენციითა და საზოგადოების ინოვაციური პოტენციალით – ინოვაციური პროცესის საწყისი პირობით.

სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკა უნდა უზრუნველყოფდეს ინოვაციურ პროცესში მონაწილეთა ინტერესების შეთანხმებულობას. ეს აუცილებელია, რათა მათი მოტივაცია სრულად იქნას მიმართული საერთო-ეროვნული მიზნების რეალიზაციაზე. ინოვაციური პოლიტიკის შინაარსს წარმოადგენენ ინოვაციურ პროცესში მონაწილე ეკონომიკური სუბიექტების მიერ მიღებული პრინციპები.

ინტერესთა სისტემა თავის გამოხატულებას ჰპოვებს ყოველი სუბიექტის მეურნეობის კონკრეტულ მიზანთა განსაზღვრასა და მათ სტრატეგიაში. ინოვაციური პროცესის სუბიექტთა „პერსონიფიკაცია“ წარმოებს მათ შორის შრომის დანაწილების საფუძველზე და საკუთრების უფლებათა დადგენაზე მათი შედეგების მიმართ. ინოვაციური საქმიანობის მონაწილეთა ეკონომიკური ინტერესები წინასწარ განსაზღვრავს მართვის სისტემას, ორგანიზაციულ-სამართლებრივ სტრუქტურათა არჩევას, მოზიდულ მუშაკთა რაოდენობას. ინოვაციური პოტენციალის ორგანიზაციული სტრუქტურა ვლინდება ინოვაციური საქმიანობის ყველა მონაწილეს შორის სამეურნეო კავშირებში. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი ინოვაციურ სფეროში ვლინდება სიახლის რეალიზაციის მეთოდებში: უშუალო გაყიდვის საფუძველზე ან პროდუქციის დამზადების დანახარჯთა შემცირების ხარჯზე მისი შიდასაფირმო გამოყენებისას.

ინოვაციურ პროცესში რეალიზდება ეკონომიკური ურთიერთობანი სიახლის შემქმნელთა შორის, ასევე რესურსთა მესაკუთრეებს, სიახლეთა მომხმარებლებს შორის მათი დამზადების, გამოყენებისა და ეკონომიკურ აგენტთა (პროცესში მონაწილე) რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით, რომლებიც ფულადი კაპიტალის (ვენჩურული კაპიტალი) განსაკუთრებული ფორმის მოძრაობით არიან გაშუალებულნი.

ჩვენ ვეთანხმებით ლ. ჩიქავასეულ განმარტებას ინოვაციური ციკლის შესახებ: ინოვაციური ციკლი მოიცავს მანძილს, რომელიც იწყება ინოვაციის (სიახლის) შექმნის იდეის შემუშავებით და მთავრდება ამ სიახლის დანერგვით [1“, გვ.34].

ინოვაციურ საქმიანობას გააჩნია მიმართულება, ციკლურობა,

მონაწილეთა სპეციფიკურ კავშირთა არსებობა ფინანსური და ინფორმაციული ნაკადების მეშვეობით, ხშირად სპეციალიზებული აგენტებისაც, რომლებიც ინოვაციური პროცესის ყველა ეტაპზე მონაწილეობენ, ან მის ცალკეულ ეტაპებზე. ინოვაციური პროცესი მოიცავს საქმიანობის სამეცნიერო-ტექნიკურ, მმართველობით, მარკეტინგულ, შემოქმედებით შემადგენელს.

ინოვაციური პროცესი ბოლომდე არ იქნება დასრულებული, თუ ის რომელიმე შუალედურ სტადიაზე გაჩერდება; კერძოდ ასეთებია ჩასახვა (ინოვაციის მოთხოვნილებისა და შესაძლებლობის გაცნობიერება); ათვისება (წარმოებაში დანერგვა, ექსპერიმენტი); დიფუზია (ტირაჟირება); რუტინიზაცია (სიახლეთა რეალიზაცია მეურნეობის სტაბილურ პირობებში). ლოკალურად დასრულებული სიახლის მაგალითია მისი რეალიზაცია ერთეულ (საგამოფენო) ეგზემპლარში. ინოვაციური პროცესი დაუსრულებელია, თუ შეძენილი ან დამუშავებული მოწყობილობანი (ტექნოლოგია) არ გამოიყენება მუდმივ რეჟიმში, მაგ.: პერსონალის მოუმზადებლობის მიზეზით და ა.შ. ანუ, თუ მიღწეული არაა საბოლოო სტადია – რუტინიზაცია.

სიახლეთა დიფუზია სრულყოფს ეროვნული ეკონომიკის ტექნიკურ ბაზას, აფართოებს მის მიერ სოციალურ-ეკონომიკურ მიზანთა მიღწევის შესაძლებლობებს, უზრუნველყოფს წარმოების ეფექტიანობის ზრდას სამეურნეო რესურსების უკეთესი, უფრო სრული გამოყენების ხარჯზე და თან სდევს სტრუქტურული ძვრები ეკონომიკაში. ამ პროცესის მასშტაბი და სიჩქარე, თავის მხრივ, დამოკიდებულია ინოვაციური სფეროსათვის გარეგანი გარემოს მდგომარეობაზე, რომელშიც ის ვრცელდება. თავის მხრივ, გარემოს აღქმადობა დამოკიდებულია ეკონომიკურ და ტექნიკურ ფაქტორებზე.

ძირითად ფაქტორს, რომელიც სიახლის გავრცელების სიჩქარესა და მასშტაბზე ახდენს ზემოქმედებას, წარმოადგენს მასზე მოთხოვნა, რომელიც გადახდისუნარიანი მოთხოვნილების სახით გამოდის და განპირობებულია ეკონომიკური სიტუაციით, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხარისხით, მომხმარებლის შესაძლებლობით და ა.შ. მოთხოვნა ბაზისურ სიახლეზე, როგორც წესი, ეკონომიკური კონიუნქტურის გაუარესებისას წარმოიქმნება, როცა მწარმოებელი ვერ ასაღებს თავის პროდუქციას, მომხმარებელი კი თავისი ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო ვერ ყიდულობს მას.

სიახლეთა ფართომასშტაბიანი გავრცელება ხორციელდება მომხმარებელთა მიერ მისი აღიარებისას, როცა მათი გამოყენების პრაქტიკული შედეგები ყველაზე უფრო სრულად უზრუნველყოფს მათ მოთხოვნილებებს. მოთხოვნილების სიდიდე დამოკიდებულია მყიდველთა მოთხოვნებზე საქონლის ხარისხის მიმართ, ფასების ელასტიურობაზე, მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების შემოსავლის დონესა და მოთხოვნათა აქტუალიზაციაზე და ა.შ.

სიახლეთა დიფუზია მნიშვნელოვნად ჩქარდება, როდესაც სიახლეები უშუალოდაა დაკავშირებული ეკონომიკის სამომხმარებლო სექტორთან. მოთხოვნილებას ახალშემოღების აუცილებლობა განაპირობებს. მათი შესაძლო გავრცელების სფერო კი დამოკიდებულია ეკონომიკურ აგენტთა საინვესტიციო პოლიტიკაზე, ინვესტიციათა სტრუქტურასა და მოცულობაზე.

საქართველოს საწარმოო სფეროში კრიზისული სიტუაცია, მაგალითად, ვერ ახდენს მეურნე სუბიექტთა სტიმულირებას, რათა მათ სახსრების ინვესტირება განახორციელონ წარმოებით საჭიროებებში.

ახალ წარმოებებს ინვესტიციის მიღების მცირე შანსები გააჩნიათ. სიახლეთა დიფუზია დამოკიდებულია წარმოების ტექნოლოგიურ თავისებურებებზე. სიახლეთა შემოღებას ხანგრძლივი პროცესი უსწრებს წინ, კონკრეტულად კი ეს არის მისი სრულყოფის პერიოდი. სიახლის დამუშავებამდე დაგროვილი ცოდნა და მისი გამოყენება, რაც ასევე ადრეულ საწარმოო ნიმუშთა გამოყენების გამოცდილებასაც შეიცავს, საშუალებას გვაძლევს:

— თავიდან ავიცილოთ უპერსპექტივო ვარიანტების დამუშავება;

— გავაუმჯობესოთ სიახლეთა მახასიათებლები წარმოების ათვისების პროცესში;

— მისი დამზადება ტექნოლოგიურ თავისებურებებს მივუსადაგოთ, კონკრეტული წარმოების ორგანიზაციისა და მართვის მეთოდების გამოყენებით.

სიახლის ათვისების პროცესში წარმოებაში იზრდება მის მონაწილეთა გამოცდილება, მათი შრომის მოტივაცია, რაც, თავის მხრივ, აფართოებს თვით სიახლეთა ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს.

სიახლეთა გავრცელების სიჩქარეზე ზემოქმედებს სიახლეთა ეფექტიანობა და მისი პროგრესულობის ხარისხი, რაც საშუალებას

იძლევა გაუმჯობესებულ იქნას საწარმოს მეურნეობის პარამეტრები და ინვესტიციათა ამონაგების ვადები, რომლებიც სიახლის ათვისებისათვის იყო მოზიდული.

ნაციონალური ეკონომიკისა და ცალკეული ფირმის შეძენილი უპირატესობებით უზრუნველყოფა დაკავშირებულია სიახლის ეფექტურად შექმნისა და გამოყენების შესაძლებლობასთან, რაც ზრდის საწარმოო რესურსთა გამოყენების პროდუქტიულობას მიკრო- და მაკრო დონეებზე.

შეფარდებით კონკურენტულ უპირატესობათა პოტენციალის ზრდა ხელს უწყობს იმ პროდუქტთა ფართომასშტაბიან დიფუზიას, რომლის დამზადებაშიც გამოიყენებოდა როგორც საკუთარი და ისე გარეთ შეძენილი ეკონომიკური სიახლეები, მათ შორის ინტელექტუალურიც, რომელიც თავის მხრივ ეფექტურ სიახლეებსაც შეიცავდა.

წარმოების კონკერენტული უპირატესობებით გამდიდრება სისტემატურ საქმიანობას გულისხმობს, რომელიც ინოვაციათა საწარმოო პროცესში გამოყენებაზეა მიმართული ცალკეული ფირმების, სფეროებისა და ნაციონალური ეკონომიკის (საერთოდ) მიერ, ის ასევე მიმართულია ეკონომიკურ აგენტებში სტრატეგიული ორიენტირების ფორმირებაზე და ინოვაციების მეშვეობით კონკურენტული უპირატესობების მიღებაზე.

ეროვნული ეკონომიკის ინოვაციურ სფეროში გამოიყოფა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განსაკუთრებული მიმართულება, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო სფეროს პროდუქტის რეალიზაციას მატერიალურ წარმოებაში და იმავდროულად, საზოგადოებრივი წარმოების განსაკუთრებულ საწარმოო ფაზას. მისი ფუნქციონირების პირობას წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრება და საკუთრება ინოვაციური საქმიანობის პროდუქტზე. ინოვაციური სფეროს თეორიულმა გამოკვლევებმა განსაკუთრებული აქტუალობა მარკეტინგულ კონცეფციათა ფორმირების პირობებში (60-იანი წწ.) და ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაციის (70-იანი წწ.) პერიოდში შეიძინეს.

ინოვაციური საქმიანობის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ი.შუმპეტერმა, რომელმაც დაასაბუთა კრედიტის შემოქმედებითი როლი და მისი „მსყიდველობითი ძალა“ ნოვატორულ საქმიანობაში. მანვე განსაზღვრა ინოვაციური სფეროს ფუნქციონალური

დანიშნულება:

- ინოვაციების პოტენციურ მომხმარებელთა კომერციული ანალიზი;
- ფუნქციონირების წყაროთა, პერსპექტიულ იდეათა ძიება;
- სიახლის შექმნისა და დანერგვის ორგანიზაცია;
- ტირაჟირება;
- მხარდაჭერა და უტილიზაცია.

ინოვაციური სფერო წარმოადგენს სახალხო მეურნეობის, საზოგადოებრივი საქმიანობის სახეების სფეროთა ერთობლიობას, რომლებიც პირდაპირ მონაწილეობას არ ღებულობენ მატერიალურ სიკეთეთა შექმნაში, მაგრამ აწარმოებენ განსაკუთრებული სახის სამომხმარებლო ღირებულებებს, მათ ხშირად არ გააჩნიათ საგნობრივი სუბსტანცია, მაგრამ აუცილებელი არიან მატერიალური წარმოების ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის.

ინოვაციური სფეროს ფუნქციური დანიშნულება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების სისტემაში დაკავშირებულია მის მიერ მატერიალური წარმოების სიახლეებში მოთხოვნილებების ფორმირებისა და დაკმაყოფილების ფუნქციის შესრულებასთან.

ინოვაციური სფეროს პროდუქციის სამომხმარებლო ღირებულების ძირითად ნაწილს საქონლის ფორმა გააჩნია, მისი მოძრაობა გაცვლის მეშვეობით ხორციელდება.

ინოვაციური საქმიანობის რეალიზება შეიძლება იქნეს სიმდიდრის არამატერიალურ ფორმებშიც, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა სახით, რაც დაგროვების ორი ფორმიდან მეორეს შეესაბამება.

ინოვაციური სფერო მოიცავს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ობიექტებს, მარკეტინგს, სამეწარმეო სტრუქტურებს, რომელთა საქმიანობაც მიმართულია მატერიალური წარმოების ინოვაციებზე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში.

ინოვაციურ სფეროში განცალკევებული პროცესები ერთიან ინოვაციურ პროცესში ერთიანდება, რომელიც, საწარმოო სფეროს მოთხოვნების შესაბამის სიახლეებს ქმნის და უზრუნველყოფს მის ათვისებას საწარმოებისა და მომხმარებლების მიერ.

მთლიანობაში, ინოვაციური სფეროს ეკონომიკური ურთიერთობანი მატერიალური წარმოების ურთიერთობიდან არიან წარმოქმნილნი, თუმცა მათ გარკვეული სპეციფიკაც გააჩნიათ.

სამეცნიერო სფეროსაგან განსხვავებით, ინოვაციურ სფეროში გაცვლითი ოპერაციები ჭარბობს. პროდუქტის გადაცემისას, მკაფიოდ განისაზღვრება საკუთრების უფლებები — სუბიექტებს შორის გაცვლითი ოპერაციების წარმოებისას. მართვა ინოვაციურ სფეროში ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმს ეყრდნობა, ინოვაციური პროდუქტის წარმოებით სფეროში გადაცემა კი მარკეტინგულ გამოკვლევებს საჭიროებს.

ინოვაციური სფეროს განვითარება საშუალებას გვაძლევს, შევამციროთ წარმოების მიერ სამეცნიერო პროდუქციის ათვისების დრო, სწრაფად ამოვიღოთ ავანსირებული კაპიტალი და კვლავ მივმართოთ იგი გაფართოებულ კვლავწარმოებაზე.

ინოვაციურ სფეროს ფინანსური საქმიანობის განსაკუთრებული ფორმა ახასიათებს, ესაა ვენჩურული კრედიტირება და მარკეტინგული მიმართვა სამეცნიერო პროდუქციის ბაზარზე გატანასთან დაკავშირებით.

ინოვაციურ სფეროს საგნობრივ პროდუქტში იდეათა მატერიალიზაციის სტადიაზე ნოვატორული შრომის შემდეგი თავისებურებანი გააჩნია:

— ალბათობითი ხასიათი, რისკი და ნეგატიური შედეგების დაშვება;

— მისი პროდუქტის უნიკალური თვისებების კვლავწარმოების შეუძლებლობა.

ინოვაციური სფეროს პროდუქტს, როგორც წესი, წარმოადგენს ის ნიმუში, რომელიც მის საფუძველზე მასობრივი მოხმარებლისათვის შეიქმნება. ინოვაციური პროდუქტის ღირებულება განისაზღვრება არა გაწეული დანახარჯებით, არამედ იმ ფუნქციონალური სიახლით, რომელსაც პროდუქტი შეიცავს ახალი საქონლის წინაპირობის სახით, რომელსაც შეუძლია საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება გაცილებით მაღალ ხარისხობრივ დონეზე და/ან ნაკლები დანახარჯების ქონა. ინოვაციურ სფეროში ეკონომიკური კანონები ეკონომიკური მექანიზმის კოორდინაციისა და მართვის სპეციფიკურ ფორმებში ვლინდებიან.

ეკონომიკური მექანიზმი ინოვაციურ სფეროში ორგანიზაციულ-სამეურნეო ფორმათა და ინოვაციური სფეროს მმართველობის მეთოდთა ერთობლიობაა, რაც ეროვნული ეკონომიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ორგანიზაციულ ფორმებში იგულისხმება ინოვაციური

საქმიანობის ორგანიზაციის ფუნქციონალური, დარგობრივი და ტერიტორიათაშორისი, დარგთაშორისი და ნაციონალური ფორმები.

1.2. ეკონომიკური გარემოს წინააღმდეგობები

გარდაქმნამდე („პერესტროიკამდე“) პერიოდის ეკონომიკურ ლიტერატურაში ინოვაციური საქმიანობა დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შეისწავლებოდა, რომელიც გულისხმობდა „მთელის გაორებასა და მისი წინააღმდეგობრივი ნაწილების შეცნობას“. ასეთი მიდგომის განმასხვავებელი თავისებურება მდგომარეობს იმ წარმოდგენაში, რომ წინააღმდეგობრიობის მოგვარება ხდება ურთიერთგამომრიცხავი მხარეების (ტენდენციების) ბრძოლის (ანტაგონიზმის) პროცესში. თვით ურთიერთსაპირისპიროს გამოყოფა (დანაწევრება) გულისხმობდა სხვადასხვა მხარის ურთიერთგამომრიცხავი პარამეტრების აღმოჩენას.

ფორმალური ლოგიკა არ ცნობს წინააღმდეგობრიობას, როგორც იგივეობის მსგავსი ყოფის არსებით და იმანენტურ განსაზღვრებას. პირიქით, გ. ჰეგელის დიალექტიკაში ცენტრალური ადგილი უკავია წინააღმდეგობის კატეგორიას, როგორც ურთიერთგამომრიცხავი, და იმავდროულად, ურთიერთსავარაუდო დაპირისპირებულობის ერთობლიობას. „ყველა საგანი წინააღმდეგობრივია; სახელდობრ, ამ წინადადების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ის სხვა დანარჩენთან შედარებით ყველაზე მეტად გამოხატავს საგნების არსსა და სინამდვილეს“. წინააღმდეგობა ყოველგვარი მოძრაობის და განვითარების წყაროა, „იმდენად, რამდენადაც თავად წინააღმდეგობაში არის რაღაც ისეთი, რაც ცხოვრობს, მოძრაობს და სურვილის აღძვრა da Semoqmedeba axasiaTebs~. აქედან გამომდინარე, წინააღმდეგობრიობა ყოველი თვითმოძრაობის,განვითარების პრინციპს წარმოადგენს; თავად მოძრაობაც წინააღმდეგობაა, რადგანაც ის მიმდინარეობს „აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ“, სულ უფრო სრულისაკენ, შიგნიდან მრავალგვარად დანაწევრებულისაკენ, „ჭეშმარიტისა და შედეგისაკენ“.

ვაღიარებთ რა ეკონომიკური რეალობის შეცნობაში წინააღმდეგობრიობის პრინციპის მეთოდოლოგიური მნიშვნელობას,

მიგვაჩნია: XX ს. საზოგადოებრივმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ განვითარების პროგრესულობა მდგომარეობს არა იმდენად ურთიერთსაწინააღმდეგო საზოგადოებრივი მხარეების (ტენდენციების) ანტაგონისტური ბრძოლის მეთოდებში, არამედ ნეიტრალიტეტის, დაპირისპირებულთა შერიგების შედეგში. ეს ეხება გარე დაპირისპირებებსაც, რომლის დროსაც დაპირისპირებული მხარეები ხშირად უფრო თანაფარდობით კავშირში არიან, ვიდრე – დაპირისპირებულში (საწინააღმდეგოში).

გარდაქმნამდე (ე.წ. „პერესტროიკამდე") პერიოდში წინააღმდეგობრიობის შესახებ დიალექტური მატერიალიზმის შეხედულებების თანმიმდევრულმა და სრულმა გავრცელებამ მოიცვა პროცესები, რომლებიც დამახასიათებელია კაპიტალისტური სისტემის მეურნეობისათვის. სოციალისტური სისტემისათვის დამახასიათებლად მიიჩნეოდა არაანტაგონისტური (ე.ი. არა ურთიერთგამომრიცხავი) დამოკიდებულებები. ამიტომ სოციალიზმის პირობებში, ეკონომიკური პროცესების წინააღმდეგობის გადაჭრის ძირითად პრინციპს წარმოადგენს „სახელმწიფოს, მმართველი სუბიექტის, პიროვნების ინტერესების სწორი შერწყმა". სინამდვილეში, ამგვარი მეთოდი (ხერხი) არა სპეციფიკურად სოციალისტურია, არამედ იმანენტურია ინდუსტრიული და პოსტ-ინდუსტრიული განვითარების დონეზე მყოფი ქვეყნებისათვის; იმ დროს, როცა მმართველობითი პრაქტიკის მოძველებული ფორმების და მეთოდების უარყოფა, მათი ახალი ტიპების გამოჩენა და გამყარება ხდება, როგორც ევოლუციური პროცესის მსვლელობა, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტების არა დამანგრეველი, არამედ შემოქმედებითი აქტივობის შედეგად.

ეკონომიკური წინააღმდეგობრიობის გადაწყვეტა მეურნეობის მოძველებული ფორმებისა და მეთოდების უარყოფით, ახლის ფორმირებითა და დამკვიდრების გზით საზოგადოების (ერის) ინოვაციური საქმიანობის ერთ-ერთ გამოვლენას წარმოადგენს.

„ინოვაციური საქმიანობა" ფართო გაგებით ნიშნავს საზოგადოების ცხოველმოქმედების (სიცოცხლისუნარიანობის) მომენტს, რაც მოიცავს საზოგადოებრივი განვითარების ბუნებრივ და ხელოვნურ, სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა ფაქტორებს.

ვიწრო (სპეციფიკურად ეკონომიკური) გაგებით, ტერმინი

„ინოვაციური საქმიანობა" მიმართულია ახალი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის გამოყენების საშუალებით წარმოების ფაქტორების ურთიერთქმედების ახალი დონის უზრუნველყოფაზე. ბუნებრივ და საზოგადოებრივ გარემოსთან სოციალური სუბიექტის ურთიერთქმედების საშუალებაში ნებისმიერი ცვლილება განპირობებულია ამ სუბიექტების პრაქტიკული (მათ შორის სულიერი) საქმიანობით.

საკუთრივ ინოვაციურ საქმიანობაზე მაშინ შეიძლება საუბარი, როცა სოციალურ-ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობას მიზანმიმართული, გაცნობიერებული ხასიათი აქვს, ანუ გულისხმობს, რომ ახალი თვისება (ხარისხი) ჩნდება ბუნებრივ-საზოგადოებრივი გარემოს (მათ შორის ეკონომიკურისაც) მიზნობრივი გარდაქმნის პროცესში. ამგვარად, მიკროეკონომიკურ დონეზე ეს ვლინდება ეკონომიკური მიკროაგენტის სუბიექტურად გააზრებულ შემოქმედებაში, რომელიც წარმოების ფაქტორების ახალი კომბინაციის რეალიზაციას ახდენს. ამ შემოქმედების ობიექტურ საფუძველს წარმოადგენს საზოგადოებრივი (ეროვნული) ეკონომიკის ხელოვნური, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული რესურსების სრულყოფის უნარი, რამდენადაც ის თვით ადამიანის შემოქმედებითი უნარის გამოვლენაა. მოცემული რესურსების გადასვლა სირთულის, ოპერატიულობის, პროდუქტიულობის ახალ დონეზე, ეი. პროგრესის უნარი წარმოადგენს მათ შინაგან (შიდა) რესურსს. სწორედ ეს შინაგანი რესურსი იძლევა როგორც ტექნიკური, ასევე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციების მოხდენის საშუალებას. „პროგრესის პოტენციალის ფლობა მეურნე საზოგადოების (ერის) უმთავრესი რესურსული მონაპოვარია, რაც მას კოლოსალურ უპირატესობას ანიჭებს სხვა საზოგადოებებთან ეკონომიკური შეჯიბრების დროს"[10, გვ. 232]. ეს თეზისი ვრცელდება მიკრო-, მეზო- და მაკროდონის ყველა ეკონომიკურ აგენტზე, ისევე როგორც მათ სამეურნეო საქმიანობაზე.

ეკონომიკურ სფეროში ინოვაციური საქმიანობის შინაარსს წარმოადგენს მატერიალურ წარმოებაში სიახლეების დანერგვა და გავრცელება; მატერიალური წარმოება შუალედურ რგოლს წარმოადგენს სამეცნიერო და საწარმოო სფეროებს შორის და თავისებური მწარმოებლური ძალაა, რომელიც მეცნიერული და

მატერიალური წარმოების ინტეგრაციას და მეცნიერული პროდუქციის გამოყენების საშუალებით ეკონომიკური აგენტების ტექნიკურ-ეკონომიკური მოთხოვნილებების რეალიზაციას ახდენს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ინოვაციური საქმიანობის განხორციელება კომერციული მიზანშეწონილობით განისაზღვრება.

ინოვაციური სფერო სამეცნიერო და საწარმოო სფეროებისაგან განსხვავდება სპეციფიკური მარკეტინგული ფუნქციებით, ფინანსების, კრედიტირების სპეციფიკური მეთოდებით და სამართლებრივი რეგულირების მეთოდებით, ინოვაციური საქმიანობის სუბიექტების მოტივირების განსაკუთრებული სისტემით და ა.შ. საბოლოო ჯამში, ეს მეთოდები წინასწარ განისაზღვრება ინოვაციური შრომისა და თანხების ბრუნვის სპეციფიკით, ეკონომიკური შემოსავლისა და ინოვაციური პროდუქტის მიღებით.

ინოვაციური პროდუქტი სპეციალიზებული შრომის შედეგია, რომელიც საბაზრო ეკონომიკაში საქონლის ფორმას იღებს, გააჩნია სამომხმარებლო ფასი (სარგებლობა) და აგრეთვე ფასი, რომლის ქვედა ზღვარი აბსტრაქტული შრომითი დანახარჯებით განისაზღვრება.

ეროვნულ ეკონომიკაში, როგორც ერთიან სისტემაში, გარდაუვალია სამეურნეო საქმიანობის განსაკუთრებული სფეროს ფორმირება – ეს არის ინოვაციური სფერო, რომელიც განკერძოებულია (გამოყოფილია) მატერიალური წარმოებიდან და, კერძოდ, მეცნიერული სფეროდან. ინოვაციური საქმიანობისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ეკონომიკური დამოკიდებულება, რომელიც ანაწევრებს მისი სუბიექტების ინტერესებს და „უფარდებს" მათ სამეცნიერო სფეროსა და მატერიალური წარმოების სუბიექტების ინტერესებს ისე, რომ მიიღოს მთლიანი პროცესის რეალიზაცია: მატერიალურ სფეროში ახლის შექმნიდან დაწყებული მისი მოხმარებით (გამოყენებით) დამთავრებული ჯაჭვური პრინციპით „მეცნიერება – ინოვაცია – წარმოება". საბაზრო ეკონომიკის პირობებში ახლის შექმნისა და გამოყენების პროცესში ყველა მონაწილის დამოკიდებულება ემყარება იმას, რომ კერძო საკუთრება ვრცელდება ინტელექტუალური საქმიანობის პროდუქტზე.

საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია მისი საბაზრო ინსტიტუტებისათვის მეურნეობის საორგანიზაციო-სამართლებრივი ფორმების მრავალგვარობის არსებობა, რაც აგრეთვე ინოვაციურ

სფეროზეც ვრცელდება ისევე, როგორც წინააღმდეგობრიობის მთლიანობის არსებობაზე თვით ინოვაციურ სფეროში. ინოვაციური პროცესები ხორციელდება მიკრო-, მეზო- და მაკროდონეზე, რაც გულისხმობს შესაბამისი ეკონომიკური სუბიექტების ინტერესების შეთანხმების მიღწევას. არსებობს გარკვეული „დროში წყვეტა“ ერთიან პროცესში „მეცნიერება – ინოვაცია – წარმოება“, სხვადასხვა მონაწილის შესვლასა და მათ მიერ მიღებულ შემოსავლებს შორის. წინააღმდეგობა (აზრთა სხვაობა) ერთიანი პროცესის მონაწილეთა შორის საერთო შემოსავლის განაწილების პროცესში ვლინდება. ეს შემოსავალი მოპოვებულია კონკრეტული სამომხმარებლო ღირებულებების მატერიალური წარმოების ერთიანი ჯაჭვის ბოლო სტადიაზე. ინოვაციური საქმიანობა საზოგადოებრივი შრომის ეკონომიას განაპირობებს, ამიტომაც მისი მონაწილეების ეკონომიკური ინტერესები მიმართულია ამ ეკონომიის რეალიზაციაზე, გავრცელებასა და გამოყენებაზე.

ინოვაციების შექმნასა და გამოყენებაში მონაწილე ყველა სუბიექტის ინტერესების შეთანხმებაზეა დამოკიდებული საზოგადოების მწარმოებლური ძალების ინოვაციური განვითარების მიმართულებები, ტემპები და შედეგები. მოგებისა და დანახარჯების თანაფარდობა განსაზღვრავს მონაწილეთა დაინტერესებულობას.

საწარმოო სფეროში, საბოლოო ჯამში კი – ეროვნული ეკონომიკის მასშტაბით, დანახარჯების ეკონომიის მოთხოვნილება ინოვაციურ სფეროშიც განაპირობებს დანახარჯების ეკონომიის აუცილებლობას, ე.ი. ამ უკანასკნელის დანახარჯები განსაზღვრავს მატერიალური წარმოების ეკონომიას, რაც არის სხვადასხვა სფეროებს შორის შიდა წინააღმდეგობის მაჩვენებელი ერთიანი ეროვნული სამეურნეო გაერთიანების ფარგლებში. ინოვაციური საქმიანობის პროდუქტის უნარი, უზრუნველყოს დანახარჯების ეკონომია მატერიალურ სფეროში, აყალიბებს მის სპეციფიკურ მოთხოვნილებით ღირებულებას. თუმცა, სიახლის გამოყენების შედეგად მიღწეული ეკონომია წარმოიქმნება აგრეთვე მატერიალური წარმოების სფეროშიც და მოითხოვს ერთიანი პროცესის „მეცნიერება-ინოვაცია-წარმოება“ ყველა მონაწილეს შორის გადანაწილებას. მატერიალური წარმოების სფეროში ინოვაციური საქმიანობის ეკონომიკური ეფექტი მონოპოლიური ჭარბი მოგების სახით ჩნდება, რომელსაც იღებს მწარმოებელი საშუალო და

ინდივიდუალური დანახარჯების სხვაობის ხარჯზე.

საწარმოსათვის ინოვაციების გამოყენების ეკონომიკური მიზანშეწონილობა დამოკიდებულია შესაძლებლობებზე, მათი საშუალებით უზრუნველყოფს საწარმოო დანახარჯების ეკონომია და ეკონომიკური ზრდა ინტენსიური ფაქტორების ხარჯზე. გარდა ამისა, პოსტინდუსტრული განვითარების ფაზაში მყოფი ქვეყნის სამრეწველო საწარმოების გადარჩენა ხშირად დამოკიდებულია არა პროდუქტის დამზადების უნარზე, არამედ მათ მიერ ახალი საზოგადოებრივი მოთხოვნილების აღმოჩენასა და საზოგადოებისათვის საკუთარი პროდუქტის (მომსახურების) შეთავაზებაზე, რითაც ეს საზოგადოებრივი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნებოდა. რა თქმა უნდა, მწარმოებელს ამ შემთხვევაში შეუძლია მონოპოლიურად მაღალი მოგების მიღება. ინოვაციის ლოკალური ეფექტის ფორმირება ხდება მმართველი სამეურნეო სუბიექტის განკერძოებული ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის დონეზე. საბოლოო ჯამში, ინოვაცია გარდაქმნის მატერიალური წარმოების ეროვნულ შედეგიანობას, უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობას და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების რეალიზაციას.

ამგვარად, ინოვაციური საქმიანობა „ჩართული" ხდება ეკონომიკური სისტემის ძირითადი წინააღმდეგობრიობის (აზრთა სხვაობის) გადაწყვეტის პროცესში, რომელიც მიმდინარეობს მზარდ მოთხოვნილებებსა და ცალკეული კონკრეტული დროის განმავლობაში მიღწეული მატერიალური და ინტელექტუალური კეთილდღეობის განვითარების დონეს შორის. თავის მხრივ, წინააღმდეგობრივი (ეს არ ნიშნავს ურთიერთგამომრიცხავს, თუმცა ყოველთვის ურთიერთგანპირობებულია) კავშირი ეკონომიკურ ინტერესებსა და ინოვაციური საქმიანობის განხორციელებას შორის, ეროვნული ეკონომიკის განვითარების დეტერმინირებას იწვევს, ასეთი ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების საშუალებით. ეს უკანასკნელნი ხელს უწყობენ სამეურნეო კავშირების ფორმირებას, რომლებიც კერძო საკუთრების მეშვეობით რაციონალიზაციას უწევენ წარმოების მიერ სამეცნიერო-ტექნიკური სიახლეების ათვისების პროცესს (სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიუხედავად), მათ შორის, — ინტელექტუალური შრომის პროდუქტსაც.

ინოვაციური საქმიანობის ძირითადი ეკონომიკური

წინააღმდეგობრიობა ასახავს მწარმოებლური ურთიერთობების განვითარების უმთავრეს თავისებურებებს მათ საწარმოო ძალებთან ურთიერთქმედებაში. ეს წინააღმდეგობრიობა ახასიათებს ინოვაციური სფეროს საზოგადოებრივი ხასიათის შემდგომი გაძლიერების ტენდენციას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი (ეროვნული) ეკონომიკის მასშტაბებში, მეცნიერებისა და მატერიალური წარმოების სფეროებში განცალკევებული (გათიშული) პროცესების ინტეგრაციას, „მეცნიერება-ინოვაცია-წარმოების“ ჯაჭვის ყველა მონაწილის ეკონომიკური განკერძოებულობის ინტეგრაციას.

თავად ინოვაციური პროცესის წინააღმდეგობების გამოკვლევა აქტუალურია, იმდენად რამდენადაც ისინი ეკონომიკის და მთელი საზოგადოების მამოძრავებელი და დამამუხრუჭებელი ფაქტორებია. გარდა ძირითადი წინააღმდეგობრიობისა, ადგილი აქვს არაძირითად წინააღმდეგობრიობებს (რომლებიც წარმოიშვა ინოვაციური საქმიანობის სხვადასხვა სახეებს შორის ხარისხობრივი განსხვავების, მიზნებისა და შედეგების შეუთანხმებლობის შედეგად). მათი მოგვარება ურთიერთშეთანხმებით შეიძლება.

ინოვაციური პროცესის შიდა წინააღმდეგობრიობის შედეგს წარმოადგენს ინოვაციური სფეროს ციკლური განვითარების სტადიებზე სიახლის გავლის შეფერხება, ხოლო გარე შედეგს — ინოვაციური სფეროს მეცნიერებასა და მატერიალური წარმოების საზღვრებს შორის შეფერხება.

ინოვაციური პროცესის სპეციფიკური წინააღმდეგობრიობა ვლინდება გარდამავალ პერიოდში, როცა მეურნე სუბიექტების მოტივაციაზე გავლენა აქვთ ეკონომიკის პირობებში შექმნილ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ტიპის მითითებებს (დადგენილებებს).

ამგვარად, ხელმძღვანელობის ჩვევა, იმუშაონ სახელმწიფო დაკვეთის რეჟიმში, მისი განაწილების სფეროში საკონკურსო საწყისების უქონლობა, მწარმოებლის მონოპოლიური მდგომარეობა აჭიანურებს წარმოებაში სიახლის გამოყენებას და საზოგადოებრივის ხარჯზე კერძო ინტერესების დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა. სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკოსტრუქტორო შედეგების პრაქტიკული გამოყენება ხშირად სახელმწიფოებრივ მონაწილეობას მოითხოვს, რადგან პროდუქციის ასათვისებლად, ახალი სამეურნეო კავშირების საორგანიზაციოდ და დარგობრივი ბარიერის

გადასალახავად, საჭიროა მნიშვნელოვანი ფინანსური ხარჯები.

სიახლეების ათვისებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებას დროის ხანგრძლივი მონაკვეთი სჭირდება, რაც აუარესებს სამეურნეო სუბიექტის ეკონომიკურ მდგომარეობას. მოცემული გარემოების (წინააღმდეგობის) მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ მნიშვნელოვანი ოდენობის მოგების საშუალებით, რის გარანტიასაც სიახლე პერსპექტივაში იძლევა. ამიტომაც ინოვაციური საქმიანობა გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს ბიზნეს-დაგეგმარებას, სტრატეგიულ და მარკეტინგულ კვლევებს.

სუბიექტის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როცა ჭიანურდება ადრე ათვისებული ტექნოლოგიების გამოყენება და ტრადიციული პროდუქციის გამოშვება, ე.ი. როცა კონსტრუქციაში შეაქვთ გაუმჯობესების გარკვეული ელემენტები, მაგრამ პროდუქტის ან ტექნოლოგიის ევოლუციური განვითარების რეზერვები ამოწურულია. სამეურნეო პრაქტიკაში, აუცილებელია წარმოების გარკვეული დაცემის შესაძლებლობის გათვალისწინება ციკლიდან – ციკლზე, ერთი ტექნოლოგიური ყაიდიდან (წყობიდან) მეორეზე გადასვლის პერიოდში. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, ინოვაციურ პროცესში ფინანსირების წყაროების მოზიდვის პრობლემასთან ერთად, აუცილებელია მისი მონაწილის სამართლებრივი გარანტიების უზრუნველყოფა, რაც შეამცირებს სახსრების მარაგში შებოჭვას, ასევე ინფორმაციისა და სხვა რესურსების გაცვლას გააქტიურებს.

სიახლის მიღების პროცესი სახელმწიფო მხარდაჭერას საჭიროებს, რადგანაც ზოგჯერ ის ინოვაციის შექმნის პერიოდზე დიდხანს გრძელდება. მომხმარებლები შეიძენენ სიახლეს (ახალ პროდუქციას), როცა მისი შემოღების ეფექტი გადაფარავს შესყიდვასა და მოხმარებაზე გაწეულ ხარჯებს, და ასევე, თუ უზრუნველყოფილი იქნება გამოშვებული პროდუქციის კონკურენტული უპირატესობები. საწარმოს მიერ სიახლის ათვისების სტადია საჭიროებს განუწყვეტელ შემცირებას, რასაც ხელს არ უწყობს სახელმწიფოს მხრიდან უსაფუძვლო ჩარევა, რესურსების ხელმისაწვდომობაზე მონოპოლიური შეზღუდვები, ინვესტორისათვის საკანონმდებლო არეალის არარსებობა, ინოვაციური საქმიანობისადმი არასაკმარისი მოტივაცია.

ინოვაციურ პროცესში ფორმირდება შემდეგი ფინანსური ნაკადები:

- გადასახადი ფინანსურ, კაპიტალურ რესურსებზე;
- ინტელექტუალური პროდუქტის (იდეის მატარებლის) მფლობელის შემოსავალი;
- მატერიალური ხარჯები და მონაწილეთა ხელფასები დადგენილი მოლაპარაკებებისა და კონტრაქტების საფუძველზე;
- მეწარმის განკარგულებაში დარჩენილი შემოსავალი.

ინოვაციური პროცესების მონაწილეთა ეკონომიკური ინტერესების შეუთანხმებლობას, სიახლის რეალიზაციიდან ერთობლივი ეფექტის განაწილების გარდა, თან სდევს ინოვაციური საქმიანობის შემდეგი თავისებურებები: მისი შედეგის მომატებული (ზედმეტად) გაურკვევლობა; დროსა და სივრცეში ინოვაციების ეფექტის ინოვაციური პროცესის ცალკეული მონაწილეების მიერ ინოვაციის განხორციელების მომენტსა და ადგილთან დაშორება.

საზოგადოებისა და ცალკეული მეურნე სუბიექტების წინააღმდეგობის მოხსნისათვის (მოგვარების) სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს წამგებიანი, რეკონსტრუქციისთვის არამიზანშეწონილი საწარმოების სანაცია. ეს კაპიტალტევადი ამოცანა გადაჯაჭვულია მომუშავეთა ინტერესებთან, ცალკეული საწარმოებისა და დასახლებული პუნქტების სოციალური საკითხების მოგვარებასთან.

საქართველოში მეურნე სუბიექტების დიდ ნაწილს არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები სიახლეების შექმნისა და ათვისებისათვის. ინოვაციური პროცესისათვის სახსრებზე მოთხოვნილება ციკლურ ხასიათს ატარებს. მათი დაგროვება (მოგროვება) დროში არ თანხმდება სიახლის შექმნის დასაწყისთან.

მიმდინარე და პერსპექტიულ ინტერესებს შორის წინააღმდეგობრიობის მოგვარებას ხელს უწყობს კრედიტი, რომელიც საშუალებას იძლევა რომ საბრუნვი სახსრების ამ მიზნისათვის გამოყენების გარეშე შენარჩუნებული იქნას მოგების გარკვეული დონე და მიღწეული იქნას მისი (მოგების) ზრდა ინოვაციების რეალიზაციის ხარჯზე. კრედიტირების პროცესი დაკავშირებული უნდა იყოს ინოვაციურ სფეროში ეროვნულ პრიორიტეტებთან, რაც განისაზღვრება სესხის პროცენტის მოცულობით, რომელიც ინვესტიციის ეფექტურობას ასტიმულირებს.

ინოვაციის პროცესი დარგთაშორის ხასიათს ატარებს და დროში, სივრცესა და ღირებულებაში ხარჯებსა და შედეგებს შორის

გარღვევით აღინიშნება. ეს განაპირობებს პროცესის მონაწილეთა ეკონომიკური ინტერესების წინააღმდეგობრიობას, ართულებს ინოვაციური სფეროს სხვა მეზობელ სფეროებთან ურთიერთქმედების ფორმების ძიებას და მისი ფუნქციონალური და ორგანიზაციულ-კანონმდებლობრივი საზღვრების განსაზღვრას. მეურნეობის სხვადასხვა სისტემები სხვადასხვაგვარი საშუალებებით აგვარებენ ამ პრობლემას. სოციალისტურ ეკონომიკაში ინოვაციური პროცესის მონაწილეებს წარმოადგენდნენ მეცნიერულ-ტექნიკური კომპლექსები, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა ამოცანასაც შეადგენდა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შექმნის ვადების შემცირება. ეს განაპირობებდა მათ სტრუქტურაში იმ ქვეგანყოფილებების ჩართვას, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში და ამ ინოვაციების წარმოებაში დანერგვით. რადგანაც არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ დარგობრივ გაერთიანებებს, ამიტომ დარგთაშორისი მიდგომის რეალიზაციამ უზრუნველყო სამეცნიერო სფეროს ინტეგრაცია წარმოებასთან, რომლის შედეგად შეიქმნა დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსები. ამ უკანასკნელის შემადგენლობაში შედიოდნენ აკადემიური და დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საცდელი ქარხნები, საპროექტო ორგანიზაციები, რათა უზრუნველეყოთ მთელი ინოვაციური ციკლის მონაწილეთა ეკონომიკური ინტერესების შეთანხმებულობა თვისებრივად ახალ დონეზე. თუმცა უწყებრივი და ადმინისტრაციული განცალკევება (შეუთანხმებლობა) დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების მუშაობაში სერიოზულ სირთულეებს ქმნიდა. ამ გაერთიანებებიდან ისინი სუსტად კოორდინირებულ კონგლომერატებად იქცნენ. საერთოდ, მეცნიერულ-ტექნიკური და ინოვაციური პროცესების მართვის ცენტრალიზების საკითხები პრაქტიკულად გადაუჭრელი დარჩა საბაზრო რეფორმების დაწყებამდე (1992 წ.).

ინოვაციური პროცესის ინტენსიფიკაციის ეროვნული პრობლემების გადაჭრა მოითხოვს მისი ყველა მონაწილის საქმიანობის კოორდინაციის ახალი მექანიზმის შექმნას, როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად, საბაზრო ბერკეტების საშუალებით. მხედველობაში გვაქვს: გადასახადები, ფასები, სახელმწიფო დაკვეთები, კრედიტები, კადრების გადამზადება, ბიზნეს-პარკები, სხვადასხვა პროგრამები,

საინფორმაციო-საკონსულტაციო და მარკეტინგული მხარდაჭერა და სხვა.

ინოვაციური პროცესის ეკონომიკური წინააღმდეგობის გადაჭრის ფორმად გვევლინება მეურნე (მმართველი) სუბიექტების საქმიანობის ორგანიზაციის სხვადასხვა მიმართულებები. საბაზრო პირობებში ინოვაციური საქმიანობის სუბიექტები შეიძლება ჩამოყალიბდნენ საპაიო-წილობრივ საფუძველზე, ჰოლდინგური ტიპის სტრუქტურებში გაერთიანებით. ინოვაციური სფეროს მსგავსი სუბიექტები შეიძლება მივაკუთვნოთ შუალედურ, მეზოდონის ეკონომიკას, მისი ტერიტორიათაშორისი და უწყებათაშორისი ხასიათის გათვალისწინებით. ეს საშუალებას აძლევს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს განახორციელონ ვიწრო სპეციალიზაცია ინოვაციური ციკლის ეტაპებისა და სტადიების შესაბამისად, მათ მოცულობასა და ფუნქციებში განსხვავებების წყალობით. ანალოგიური ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები ინოვაციური ბიზნესის პატარა ფორმებს მსხვილ ფორმებთან მიმართებაში გადარჩენის საშუალებას აძლევენ. ჩვენი ქვეყნის გარდამავალ ეკონომიკაში ასეთი სტრუქტურების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ არასაბაზრო ფირმები, დამწერგავი კოოპერატივები, რომლებიც სუფთა ინოვაციური ფირმებიდან გამოირჩევიან თავიანთი მომსახურების მუდმივი ტირაჟირებით (ინოვაციური ფირმები თავიანთ ნიმუშებს ქმნიან მხოლოდ ერთხელ). შექმნის სტადიებზე ინოვაციების გავლის სიჩქარე დამოკიდებულია ინოვაციური ინფრასტრუქტურის მდგომარეობაზე, მათ შორის ინოვაციური მეწარმეობის ვენჩურულ ფორმებზე. ამიტომაც საბოლოო ეფექტის გაურცელება უნდა ითვალისწინებდეს ინოვაციური პროცესის ამ ინსტიტუტის ინტერესებსაც.

ინოვაციური პროცესის არსებითი შინაგანი წინააღმდეგობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი რეალიზაცია მატერიალური წარმოების ეფექტიანობას ამაღლებს და იმავდროულად გრძელვადიანი ხარჯების გაწევას მოითხოვს. მოცემული წინააღმდეგობა მუდმივად წარმოიქმნება საინოვაციო სფეროს ფარგლებში. მეწარმეების პერსპექტიული ინტერესები ეჯახება მიმდინარე ინტერესებს, რომლებიც სამეურნეო საქმიანობის შედეგებითაა განსაზღვრული და რომლებიც უარესდება ახალი პროდუქციის თუ ტექნოლოგიის ათვისების გამო. მიმდინარე წარმოების მოთხოვნები საჭიროებს ბრუნვიდან რესურსების ამოღებას

და ამ რესურსების მიმართვას ინოვაციებზე. მოცემული წინააღმდეგობის გადაჭრის ფორმები დაკავშირებულია ეკონომიკური პირობების ფორმირებასთან, რომლებიც ყველაზე მეურნე სუბიექტებსაც კი აიძულებს, თავიდან აიცილოს პროდუქციისა და გამოყენებული ტექნოლოგიების მოძველება. ეს პირობები ჩვენს ქვეყანაში ყალიბდება საბაზრო მექანიზმის საქმიანობის შედეგად და სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის საფუძველზე.

ეროვნული ინტერესების რეალიზაცია თანამედროვე ეტაპზე უნდა ხდებოდეს გარკვეული ეკონომიკური პირობების შექმნის გზით, რომლის დროსაც „მეცნიერება-ინოვაცია-წარმოების" ჯაჭვის მონაწილეთა მიზნები ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიზნების ადეკვატურია. თავად ინოვაციურ პოლიტიკაში პრიორიტეტი არ უნდა ენიჭებოდეს ადმინისტრაციულ ზომებს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სოციალისტური მეურნეობის საბჭოთა პრაქტიკაში. სახელმწიფო შეკვეთისა და საწარმოს პროდუქციაზე ადმინისტრაციული ფასების დადგენის პირობებში, მომხმარებელს არ შეიძლება აზღვევინონ (გადაასხდევინონ) საკუთარი მაღალი ხარჯები, რაც მათ მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების გამოყენების სტიმულს არ მისცემს.

სახელმწიფო დაკვეთის შემსრულებელ, ინოვაციურ პროცესებში მონაწილე საქონელმწარმოებლების დაინტერესებაზე უარყოფითად მოქმედებს საანგარიშო ეფექტის გამოყენება, რომელიც მოქმედ მეთოდებზე დაყრდნობით სიახლეების ათვისებაზე ხარჯების გაზრდის საშუალებას იძლევა. ამას „ყალბი ახალი" პროდუქციის გავრცელებამდე მივყავართ, ამასთანავე მისი ღირებულების ზრდა სამომხმარებლო პარამეტრების ზრდას უსწრებს და ამ დარგის მეწარმეთა კონკურენტულ პოტენციალს ამცირებს. ამგვარი ტექნიკის გამოყენება საბოლოო პროდუქციაზე ფასების ზრდას იწვევს, მოითხოვს დამატებით კრედიტებსა და კომპენსაციებს და მთლიანობაში, ეკონომიკაში, ინფლაციის ტემპებს ზრდის.

ტექნოლოგიების, წარმოების საშუალებების (სახსრების), ლიცენზიების, პატენტების ბაზრის ჩამოყალიბება ცვლის სამრეწველო საწარმოების, ორგანოების კომერციული მომსახურების ფუნქციებს და რაციონალიზაციის პრინციპს უკეთებს რეალიზაციას. ეს უკანასკნელი გვაუწყებს: რესურსი უნდა მოხვდეს ისეთი ადამიანის ხელში, რომელსაც მეტის გადახდა შეუძლია ანუ იმის ხელში, ვინც

მის გამოყენებაში დიდ პერსპექტივას ხედავს.

სიახლეების შეძენაში მეურნე სუბიექტების დაინტერესებაზე გავლენა აქვს საბაზრო და ინოვაციური ინფრასტრუქტურის, ვენჩურული დაფინანსების ინსტიტუტების მდგომარეობას და მსოფლიო ბაზარზე გასვლის შესაძლებლობებს.

ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების შექმნისა და გავრცელებისათვის დაბრკოლებად რჩება მათი მფლობელების უფლებების დაუცველობა, რაც იწვევს ინოვაციური იდეების საზღვარგარეთ გადინებას, ეროვნული ეკონომიკის ინტელექტუალური პოტენციალის შემცირებას. მფლობელის (შემმუშავებელის, პატენტის მფლობელის), სიახლის მასობრივ გამოყენებაში დაინტერესებულ საზოგადოებისა და მომხმარებლის, ასევე წარმოებაში ახალი პროდუქტის მასობრივად ათვისების ხელშემწყობი მეწარმეების ინტერესებს შორის წინააღმდეგობრიობა მოითხოვს ჯამური შედეგის გადანაწილების აუცილებლობას დროსა და სივრცეში, ყველა მონაწილეს შორის.

ინოვაციური საქმიანობის ყველა მონაწილის ინტერესების შეთანხმების მნიშვნელოვან ფორმად გვევლინება „ლიზინგური“ სქემები, ფრანჩაიზინგი, კომერციული და ინდუსტრიული კრედიტირება, არენდა, კაპიტალსა და რისკების დაზღვევაში წილობრივი მონაწილეობა ინოვაციური პროცესის ყველა ეტაპზე.

ინოვაციური პროცესის სხვადასხვა მონაწილეთა ინტერესების შეთანხმება უნდა ხორციელდებოდეს მათ შორის სამეურნეო კავშირების განვითარების საფუძველზე საბაზრო ფასწარმოქმნის საშუალებით, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების წონადი (სერიოზული) გარანტიების დაწესების დროს.

1.3. შრომა ინოვაციურ პროცესში

სოციალური და ეკონომიკური სუბიექტების ფორმირების ობიექტურ ფაქტორებად გამოდის მოთხოვნილებანი, რომლებიც განსაზღვრავენ სუბიექტის აზროვნებაზე ზემოქმედ რეალურ კომბინაციებს, მათი აზროვნებისა და განვითარების კონკრეტულ პირობათა შინაარსიდან და აქტუალურობიდან გამომდინარე. ბაზისურ მოთხოვნილებათა

დაკმაყოფილების გარეშე შეუძლებელია სოციალური სუბიექტის არსებობა, ამიტომ მოთხოვნილება გამოდის, როგორც მისი საქმიანობის მიზეზი, თვით საქმიანობა კი მოთხოვნილების საგნად იქცევა, რომელიც, თავის მხრივ, ახალ მოთხოვნილებათა ფორმირებას უწყობს ხელს, რამდენადაც ყოველი საქმიანობა საჭიროებს მისი განხორციელებისათვის აუცილებელ სახსრებს.

საქმიანობის ცნება მოიცავს მიზანშეწონილ, მიზანმიმართულ, ძიებითი ხასიათის მქონე აქტივობას, რომელსაც გარე სამყაროს ცვალებადობასთან მივყავართ. საგნობრივი საქმიანობა ან პრაქტიკა იწვევს სამყაროს გარდაქმნას, რომელიც სუბიექტის მიერ გამოყენების შედეგად წარმოიშვება. სუბიექტისა და გარემომცველი სამყაროს ურთიერთზემოქმედების კერძო შემთხვევას წარმოადგენს შემოქმედება, რომელიც სუბიექტის სრულყოფის პროცესისა და მის მიერ გარემოს განვითარების პროცესის მეშვეობით რეალიზდება.

საქმიანობის კატეგორია ასახავს წინააღმდეგობის გადაჭრის პროცესს სასურველსა და რეალურ მდგომარეობას შორის იმ მიდგომასთან მიმართებაში, რომელსაც „ინდივიდის გარეგანი გარემო“ ეწოდება. ადამიანური საქმიანობა გულისხმობს ინდივიდის გარეგანი სამყაროდან გამოყოფას მისი გარდაქმნის მიზნით, ამისათვის კი ტექნიკის მეშვეობით დროსა და სივრცეში ენერგიისა და მატერიის გადანაწილების ცვლილებებს იყენებს. ადამიანთა საზოგადოების ევოლუციამ იმასთან მიგვიყვანა, რომ ინდივიდის მატერიალურ სამყაროსთან ურთიერთზემოქმედება ხორციელდება უპირატესად ტექნიკური საშუალებების მეშვეობით, რომლებიც, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, „სულის ობიექტივიზაციის პროდუქტს“ წარმოადგენენ.

სოციალური სუბიექტის მატერიალური და სულიერი საქმიანობის სტრუქტურაში გამოიყოფა: მოთხოვნები (მოტივები), რომლებიც საქმიანობისაკენ უბიძგებენ; მიზნები და შედეგები, რომელთა მიღწევისკენაა მიმართული საქმიანობა; საშუალებანი, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება საქმიანობა. საქმიანობის ნაირსახეობას წარმოადგენს შრომა.

შეხედულებებმა შრომასა და შრომის ურთიერთობებზე და შრომის შესახებ პრაქტიკულმა წარმოდგენებმა ევოლუცია განიცადა. პრაქტიკულად ყველა მეცნიერებამდელ წარმოდგენაში შრომის შესახებ პრიორიტეტი ენიჭებოდა შრომით საქმიანობას, ისევე როგორც მის

მატერიალურ ხასიათსა და ბუნებრივ მოვლენებთან კავშირს, ეს კი შრომის პროცესს უპირატესად ტექნოლოგიურად აქცევდა. მეთოდოლოგიურად მსგავსი წარმოდგენები განავითარა ჰეგელმა, რომლის ფილოსოფიითაც შრომის ცნება მხოლოდ პრაქტიკული საქმიანობის სფეროზე ვრცელდება და წყვეტს კავშირს თეორიასა და პრაქტიკას შორის. ჰეგელი თეორიასა და პრაქტიკას განიხილავს არა როგორც ურთიერთდაკავშირებულ, არამედ როგორც საფუძვლადდებულ ცნებას, პრაქტიკული და თეორიული საქმიანობა კი უბრალოდ დროში თანაარსებულად მიაჩნია, ამასთან, გრძნობად-მატერიალური შრომა (სინამდვილესთან პრაქტიკული მიმართება) თეორიული საქმიანობის (შემეცნებითი) პირობად მხოლოდ იმდენად იქცევა, რამდენადაც უტილიტარულ-პრაქტიკული საქმიანობა გამოვა როგორც სუბიექტის ფიზიკური თვითაღდგენის საშუალება, ეს უკანასკნელი კი გარემომცველ სამყაროსთან აზრობრივი მიმართების მთელი სიმდიდრის გაშლას ემსახურება. შრომის პროცესში ხორციელდება პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა, რომელიც მდგომარეობს პროფესიონალურ ცოდნასა და ოსტატობაში და ამავდროულად თვით შრომის ჩვევასა და შრომის მოთხოვნილებაში.

ჰეგელს ეკუთვნის დებულება შრომის, როგორც ადამიანური ყოფიერების საყოველთაო სუბსტანციის შესახებ. შრომაში რეალიზდება სული, რომლის განვითარებასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მიუხედავად იმისა, რომ შრომაში ადამიანი თვითრეალიზდება, ადამიანთა საწარმოო საქმიანობა მეორადად გვევლინება მოთხოვნილებებთან მიმართებაში. შრომის ხასიათი და მისი დანაწილება (თეორიული შრომა, საგანთა წარმოებითი შრომა, შრომა საერთო ინტერესებისათვის, შემოქმედებითი, მხატვრული საქმიანობა, რწმენის ფუნქციათა განხორციელება) მოთხოვნილებათა ხასიათზეა დამოკიდებული. შრომისა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ურთიერთდამოკიდებულებაში, სუბიექტური ეგოიზმი გადაიქცევა სხვათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხელშემწყობ ფაქტორად.

დასავლეთის სოციოლოგებს შორის გავრცელებულია წარმოდგენები შრომის, როგორც მხოლოდ უტილიტარულ-პრაქტიკული საქმიანობის შესახებ, რაც ადამიანის არსებობის პირობას წარმოადგენს, თუმცა არ შეიცავს სულიერებისა და შრომითი საწყისის ელემენტებს. ასე

მაგალითად, პერსონალისტები თვლიან, რომ სულიერება საკუთარი არსებობისათვის ობიექტურად საჭიროებს შრომას, ამასთან შრომა არ ერწყმის მოაზროვნე ადამიანის გვარობით არსებას. პერსონალისტების მიერ უტილიტარულ-პრაქტიკული საქმიანობა ადამიანთან მიმართებაში გარეგანადაა გამოცხადებული, მაშინ როდესაც მხატვრულ-თეორიული საქმიანობა, მათივე აზრით, ჭეშმარიტ ადამიანურ არსებას ახასიათებს. მსგავს შეხედულებებში მატერიალური და სულიერი მეტაფიზიკურად ურთიერთწინააღმდეგობრივად იქცევა.

შრომითი საქმიანობის პრობლემისადმი მატერიალური მიდგომის თავისებურებით გამოირჩევა კ. მარქსის შეხედულებანი, რომელიც წარმოების ფუნქციონირებისა და განვითარების ძირითად მექანიზმებს ობიექტურ რეალობად განიხილავს და საზოგადოებრივი ყოფიერების საფუძვლად მიიჩნევს. მარქსი შრომას განსაზღვრავს, როგორც მიზანშეწონილ საქმიანობას და აზროვნების საქმიანობისა და ხელების საქმიანობის განუწყვეტელ ერთობად ახასიათებს. მისივე აზრით, შრომა პროცესია, რომელშიც ერთიანობაშია შერწყმული ბუნებაზე მატერიალურ-საგნობრივი ზემოქმედება და მიზანმიჩნევა იდეალურ-სულიერ ფორმაში. შრომის განხორციელება შეუძლებელია მისი ორი კომპონენტის – მოქმედებისა და ცნობიერების ურთიერთდაყრდნობის გარეშე. ე.ი. შრომის პროცესში ადამიანი ახორციელებს იდეალურ ჩანაფიქრს, ის იდეას სუბიექტური მდგომარეობის სფეროდან გარეგან რეალურ ყოფიერებას ამცნობს.

მარქსიზმმა შრომის ფუნქცია დაასაბუთა ანთროპო-სოციოგენეზისში (შრომამ ადამიანს საშუალება მისცა გამოყოფოდა ცხოველს, შრომამ შექმნა ადამიანი) და გვიჩვენა, რომ შრომა საზოგადოებრივი პირამიდის ძირში იმყოფება, როგორც საზოგადოების პროგრესის წყარო და მამოძრავებელი. შრომა სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებულად ავლენდა თავის სოციალურ ბუნებას და ისტორიულად განპირობებული ფორმები გააჩნდა.

კ. მარქსის შეხედულებების მიხედვით, წარმოება იშლება როგორც საზოგადოებრივი შრომის პროცესი, მის მსგავს ხასიათსა და დანიშნულებაში. საზოგადოებრივი წარმოებისა და შრომის პროცესის საწყის მონაცემებად გამოდიან თვით შრომა, შრომის იარაღები და საგნები. „ეკონომიკური ეპოქები განსხვავდებიან არა იმით, რაც იწარმოება, არამედ იმით, თუ როგორ იწარმოება, შრომის როგორი

საშუალებებით".

სწავლული სოციოლოგები ჯერ კიდევ მარქსამდე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ისტორიას ადამიანები საკუთარი პრაქტიკული საქმიანობით ქმნიან. ა.სმიტისა და დ.რიკარდოს ღირებულების შრომითი თეორია მარქსიზმის ერთ-ერთ თეორიულ წყაროდ იქცა. თუმცა, მარქსმა გამოყო არა საქმიანობა საერთოდ, არა წარმოება საერთოდ, არამედ მატერიალური წარმოება, არა ყოველგვარი შრომა, არამედ ცოცხალი წარმოებითი შრომა წარმოების ფაქტორის სახით.

კ. მარქსის მეთოდოლოგიური დებულებანი შრომის შესახებ ხსნიან წარმოების როგორც რეალობის ფუნქციონირებისა და განვითარების მექანიზმებს. მარქსიზმის კლასიკოსთა მიზანდასახულობა, მიმართული კომუნისტური საზოგადოების შექმნისაკენ, აისახა მათ გნოსეოლოგიასა და მეთოდოლოგიაზე, რაც ამართლებს კრიტიკულ შენიშვნებს მარქსიზმთან მიმართებაში, მათ შორის შრომის საკითხებზეც. მოცემულ სწავლებაში,შრომის დანაწილების საერთო-სოციოლოგიური პრინციპი ტრანსფორმირდა და საზოგადოების ფორმირების მექანიზმიდან იქცა სოციალური ანტაგონიზმის წყაროდ შრომასა და კაპიტალს შორის, რომელიც მხოლოდ რევოლუციური გზით აღმოიფხვრება.

XIX საუკუნეში რუსეთის ფილოსოფოს-იდეალისტები უარყოფდნენ სამყაროს მატერიალურ ხედვას, ამტკიცებდნენ შრომის ზნეობრივ საფუძვლებს, უპირატესობას ეთიკურ საწყისს ანიჭებდნენ ეკონომიკურთან მიმართებაში, სამეურნეო საქმიანობის მიზნებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასე მაგალითად, სოლოვიოვი აღნიშნავდა, რომ არსებობის წყაროს შოვნის მიზნით შრომის აუცილებლობა მხოლოდ ბიძგს წარმოადგენს, რაც ადამიანს საქმიანობას აიძულებს, მისი შემდგომი მსვლელობა კი უკვე ფსიქოლოგიური და ეთიკური თვისებების მიზეზებით აიხსნება. შრომით ურთიერთობათა ზნეობრივი საწყისები იდეალისტურად განწყობილი რუსი მოღვაწეების შეხედულებებში იშლებოდა ცნებებით: შრომა-ღირსება, შრომა-ბედნიერება და ა.შ.

სოციოცენტრისტული და ეკონომიკოცენტრისტული პარადიგმებისაგან განსხვავებით, შრომასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, რაც მარქსიზმისა და პოზიტივიზმისთვისაა დამახასიათებელი, რუსული სოციალურ-ფილოსოფიური აზრი შრომა და შრომით ურთიერთობებს მსოფლიოს კოსმიური სურათის

მსოფლმხედველური პოზიციებიდან ხსნიდა. ვ.სოლოვიოვი და ნ.ტოლსტოი შრომით ურთიერთობებს განიხილავდნენ სულიერი გამოვლენის ჭრილში, რომელსაც რელიგიური ზნეობრივი საფუძველი ჰქონდა. ს.ფრანკი, ი.ილინი, პ.ნოვგოროდცევი სულიერების საწყისებს სამოქალაქო საზოგადოებაში ეძებდნენ, რომლის არსებით ნიშნებადაც გამოდიოდა თავისუფლება და თანამშრომლობა ადამიანებს შორის. აღსანიშნავია, რომ შრომითი ურთიერთობანი მთლიანად ვერ იქნება რეგლამენტირებული ზემოდან — სახელმწიფოსაგან, რომელიც სამოქალაქო ცხოვრებას ადამიანის მოცემული გვაროვნული არსების ფარგლებში არეგულირებს. სახელმწიფოსა და საზოგადოების დაპირისპირება წარმოადგენს „კერძო ცხოვრების თავისუფლებისა და მრავალფეროვნების გამოხატულებას, რაც არც ითრგუნება და არც შთაინთქმება საერთო სახელმწიფოებრივი მიზნის ერთიანობით“.

საბაზრო ურთიერთობანი განუწყვეტლივ ააქტიურებენ შრომით საქმიანობას. შრომა არა მარტო ქმნის მატერიალურ და სულიერ დოვლათს, არამედ ადამიანური კულტურის სოციოშემოქმედებით ხასიათსაც განსაზღვრავს, რასაც ყურადღებას აქცევდნენ XX საუკუნის დასაწყისის ფილოსოფოსები. შრომის პრობლემის ეს ანალიზი ასაბუთებს ამ დეფინიციის გაანალიზების ეკონომიკური ასპექტების საკითხის დასმას.

ჩვეულებრივი მნიშვნელობით, შრომა წარმოადგენს კუნთოვანი და ნერვული ენერგიის დანახარჯს. ეკონომიკურ გამოკვლევებში ადამიანის მოქმედება (გონებრივი თუ ფიზიკური) განისაზღვრება როგორც საქმიანობა, შრომას კი სპეციალურ საქმიანობას მიაკუთვნებენ, ეკონომიკური დოვლათის წარმოების თვალსაზრისით.. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ცალკეული სუბიექტი თავისუფლად ირჩევს თავისი საქმიანობის მიზანს აზრობრივი საქმიანობის თავისუფლებაზე დაყრდნობით, მაშინ როდესაც განსაზღვრული ქცევების თავისუფლებას სუბიექტის მოთხოვნები ზღუდავენ.

შრომის არჩევის თავისუფლება ინდივიდის ან ჯგუფების მიერ მიკროდონეზეა შეზღუდული იმ სიკეთეთა განსაზღვრული რაოდენობის მოთხოვნით, რომლებიც ამ საქმიანობით მიიღებიან, რაც კონკრეტული შრომის განსაზღვრულ აუცილებლობას ადგენს და იმ პირთა შორის კონკურენციას ბადებს, რომელთაც ამ საქმიანობის უფლების მოპოვება სურთ.

თავისუფალი საქმიანობისა და შრომისათვის აუცილებელია ყველა სამეურნეო სუბიექტის შესაძლებლობათა თანასწორობა.

შრომას როგორც სპეციფიკურ საქმიანობას შემდეგი თავისებურებანი ახასიათებს:

- მწარმოებლური ხასიათი, რომელიც ვლინდება დოვლათის წარმოების განსაკუთრებულ მიმართებაში.
- საზოგადოებრივი ხასიათი, რომელიც უზრუნველყოფილია შრომის ცალკეულ სახეობათა კავშირით (ინდივიდუალური და კონკრეტული), რამდენადაც სოციალურ მოვლენათა დონეზე ინდივიდი საზოგადოების (სოციუმის) წევრად გამოდის.

შესაბამისად, შრომა არის ადამიანური საქმიანობის სპეციფიკური ფორმა, რომლის განხორციელების შედეგადაც წარმოიქმნება დოვლათი. შრომა გამოირჩევა მიზანშეწონილებით, სპეციალიზაციით, რაც შრომის სხვადასხვა სახეობებს ერთმანეთთან აკავშირებს და შრომას საზოგადოებრიობის თვისებას ანიჭებს.

შრომითი საქმიანობა, რომელიც არ ქმნის მატერიალურ და არამატერიალურ დოვლათს, ან არ ახდენს დოვლათის ნაკლებობის კომპენსირებას მოთხოვნილების თვალსაზრისით, არ შეიძლება ჩაითვალოს მწარმოებლურად.

„მწარმოებლური შრომის“ ცნება ახასიათებს საქმიანობას, რომლის პროდუქტიც აკმაყოფილებს განსაზღვრულ მოთხოვნებს ან შესაძლოა გამოყენებულ იქნას ახალი დოვლათის საწარმოებლად. შრომა გამოდის წარმოების პირველად ფაქტორად, რამეთუ მის შედეგს სიკეთე წარმოადგენს.

როგორც მიზანშეწონილი საქმიანობა, შრომა უნდა შეესაბამებოდეს რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც მისსავე მიზანს — სიკეთის წარმოებას.

სოციალური სუბიექტის მოთხოვნილებასა და მის დაკმაყოფილებას შორის დგას შრომითი საქმიანობა. შრომის საშუალებები და იარაღები გადაიქცევა მოხმარების საგნებად და საზოგადოებრივი სიმდიდრის საფუძველს იმით აყალიბებენ (მოხმარების საგნებისაგან განსხვავებით), რომ არ ქრებიან გამოყენების პროცესში. შრომის მიზანს მისი შედეგები წარმოადგენს, რომლებიც კონკრეტულ სიკეთეებში გამოიხატება, მათ კი მიეკუთვნება არა მხოლოდ მატერიალური

სამყაროს საგნები, არამედ იდეალური პროდუქტებიც, ასევე ადამიანთა ერთობლივი თანაცხოვრების ორგანიზაციის მეთოდებიც, რომლებიც სოციალურ სუბიექტთა კვლავწარმოებისათვის არის აუცილებელი და ა.შ.

შრომითი საქმიანობის კლასიფიცირება შეიძლება ინოვაციურად – რომელსაც მივყავართ ახალი პროდუქტის შექმნასთან (შედეგთან), ან მიზნის მისაღწევად ახალ საშუალებათა გამოყენებასთან და რეპროდუქტიულად (რუტინულად) – რომლის შედეგადაც ხდება ძველი შრომითი პროცესების მუდმივი კვლავწარმოება. ინოვაციური საქმიანობა აქტუალიზირებულ წინააღმდეგობათა დაძლევის საშუალებად გამოდის სოციალურ სუბიექტსა და გარეგან გარემოს შორის, რომლებიც საზოგადოებრივი წარმოებისთვის დამახასიათებელი ახალი საზოგადოებრივი მოთხოვნილებებისა და წინააღმდეგობების ფორმირებას ახდენენ. საზოგადოებრივი მოთხოვნილება სიახლეთა წარმოშობას განაპირობებს. ამგვარად, სუბიექტის მიერ ახალი მდგომარეობისა და მოთხოვნილებათა აღმოჩენა (რაც თავად წარმოადგენს განსაზღვრულ შემოქმედებით საქმიანობას), წარმოადგენს ინოვაციური აქტივობის განხორციელების მიზეზს.

ინოვაციური და რუტინული შრომითი საქმიანობები წარმოადგენს საზოგადოებრივი და არა მხოლოდ ინდივიდუალური აქტივობის ფორმებს, რომლებშიც ხდება სპეციალიზებული ინდივიდების მოზიდვა. სოციალური მოქმედება განასხვავებს სხვა სუბიექტებზე ორიენტირებულობასა და გააზრებულობას. შრომითი საქმიანობის სუბიექტს არ წარმოადგენს პირი ან ჯგუფი, რომელიც შრომით საქმიანობას გაუაზრებლად (ტრადიციულად და მიბაძვით) ახორციელებს; ან ახორციელებს აფექტიანად, ან რაციონალურად გაუაზრებლად, ღირებულებით-რაციონალურად ან გააზრებულად მხოლოდ მეთოდთან მიმართებაში. ფსევდოსუბიექტს წარმოადგენს პირი, რომლის საქმიანობასაც ახასიათებს დამანგრეველი და არა აღმშენებლობითი ხასიათი.

შრომითი საქმიანობის სუბიექტს გამოარჩევს მიზნის რაციონალურობა (მიზანრაციონალურობა), ე.ი. საბოლოო მიზნისა და საქმიანობის მეთოდთა გააზრებულობა, მისი აღმშენებლობითი ხასიათი. სუბიექტი ინოვაციურ საქმიანობაში ახორციელებს მიზანმიჩნევის ფუნქციას (მიზნის არჩევა, საქმიანობის მეთოდი, მისი

შედეგების კონტროლი), მაშინ როდესაც რუტინულ საქმიანობაში რეალიზდება მიზანგანსახიერების ფუნქცია.

შრომითი საქმიანობა შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას როგორც შემოქმედებითი და აღსრულებითი, მმართველობითი და მართვადი. შრომითი საქმიანობა „თავად ადგენს საკუთარ მიზნებს და თავისივე ფუნქციას ასრულებს". მმართველობით და მართვად შრომას შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ „მმართველობითი შრომა უპირატეს მდგომარეობას ფლობს მართვადთან შედარებით, მმართველობითი შრომა რაღაც შემოქმედებითს მოიცავს".

ახლის შემქმნელი შრომის შემოქმედებითი ხასიათი ეფუძნება სუბიექტისა და გარემომცველი სამყაროს ურთიერთზემოქმედების თავისებურებებს. ეს თავისებურებანი წარმოადგენენ პოტენციური და მუდმივად აქტუალიზირებადი უკუზემოქმედების გამოხატულებას სამყაროდან გამოყოფილი მისი ნაწილისა, რომელიც დამოუკიდებელი მთლიანობის სახით წარმოგვიდგება, და უნარი შესწევს გარდაქმნას, გადაამუშაოს ასახული გარეგანი ზემოქმედება და შიდა განვითარების საკუთარ მექანიზმად აქციოს, ასევე გაიხსნას გარეგან სამყაროში. სუბიექტის შემოქმედებითი აქტივობა გარეგან სამყაროს შინაგანის ზემოქმედებით ცვლის. სუბიექტის შინაგანი განვითარება წარმოადგენს მისი გარემომცველი სამყაროს ხარისხის შეცვლის შედეგს. აქტივობა განპირობებულია სუბიექტის შინაგანი არჩევანით, მაგრამ გადამწყვეტ ზემოქმედებას სუბიექტის აქტივობაზე ახდენს გარემომცველი სამყარო.

შრომითი საქმიანობისაგან განსხვავებით, შემოქმედება თავისუფალია ფიზიკური მოთხოვნილებისაგან, რომლის დასაკმაყოფილებლადაც არის განკუთვნილი შრომის პროდუქტი. შემოქმედებითი შრომა შინაგანი ან გარეგანი იძულებით არ არის დეტერმინირებული. ამიტომ შემოქმედებითი შრომა დაკავშირებულია აქტუალური საზოგადოებრივი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ახალი მეთოდის პოვნასთან, ადამიანისა და სამყაროს პროგრესული განვითარებით, რაც სუბიექტის შესაძლებლობათა გახსნას უწყობს ხელს.

შესაბამისად, შრომის მიერ შემოქმედებითი ხასიათის შეძენა უკავშირდება საქმიანობის მიზეზობრიობის ცვალებადობას – საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილების ნაცვლად, პირველ ადგილზე გადადის მათში ადამიანის უნივერსალურ შესაძლებლობათა განსახიერება, ანუ ადამიანის შესაძლებლობათა მატერიალიზაცია საკუთარ

შემოქმედება წარმოადგენს სუბიექტის განვითარების ისეთ დონეს, რომელიც გულისხმობს მოქმედებათა რეფლექსიას, მოტივის ხარისხისა და შრომითი საქმიანობის პირობის თვითშეფასებას. საზოგადოებაში ყოველგვარი სამუშაო არ არის შემოქმედებითი, რაც უკავშირდება ადამიანზე დამოკიდებულ ცხოვრებისეულ პროცესებზე ზემოქმედების რეალიზაციის პირობებს, და რაც ყოველთვის არის გაშუალებული სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა მდგომარეობით.

XX საუკუნის მეორე ნახევარში გამოიკვეთა შემოქმედებითი შრომის წარმოებით შრომასთან მიკუთვნების ტენდენცია. შემოქმედებითი შრომის შედეგი ინფორმაციის ფლობაა, ე.ი. ახალი იდეების, ცოდნის ფლობა და მისი გარდაქმნა ისეთ ფორმებად, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების სულიერი ცხოვრების გამდიდრებას ან წარმოების მართვას, რაც შრომის ახალ საშუალებასა და მოხმარების საგნებს შექმნის. შემოქმედებითი შრომის შედეგები წარმოადგენს საზოგადოებრივ სარგებლობას, შრომა კი, — მისი შემქმნელი, წარმოებითს წარმოადგენს. შემოქმედებითი შრომის შედეგები ნაციონალურ შემოსავალს შეადგენს და საზოგადოებრივი სიმდიდრის მნიშვნელოვან ელემენტად იქცევა.

შემოქმედებითი აქტივობა, დაკავშირებული ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციასთან, წარმოადგენს არა ინდივიდის ბუნებრივ თვისებას, არამედ სოციალური სფეროს მახასიათებელს. შემოქმედებითი საქმიანობა ალნიშნავს სუბიექტის აქტივობას კონკრეტულ პირობებში, რომლებიც დეტერმინირებულია სოციალურ-ეკონომიკური სისტემით; მათ ნაწილს თვით სუბიექტიც წარმოადგენს, რომელიც ამავდროულად თვითგანვითარების წყაროდ გვევლინება. ეკონომიკური სუბიექტის შემოქმედებითი საქმიანობის მოტივაციაში, პირველ ადგილზე გამოდის თვითრეალიზაციის მოთხოვნილება, რომელიც მწარმოებლური შრომის პროდუქტთა რეალიზაციისა და წარმოების სფეროში ადამიანის შესაძლებლობათა გაშლასა და გამაგრებას გულისხმობს, რისი დამსახურებითაც იცვლება (გარდაიქმნება) წარმოების სოციალურ-ეკონომიკური პირობები. შემოქმედებითი აქტივობის რეალიზაციას ახორციელებენ წარმოების სუბიექტები, ანუ მასში გამოვლინდება ინდივიდის ბუნებრივ თვისებათა სოციალიზაცია. ინდივიდის სუბიექტური თვისებები საზოგადოების მიერაა ინიცირებული ადამიანთა

და კოლექტივთა შემოქმედებითი აქტივობით დამყარებული ურთიერთკავშირებით, რაშიც გამოიხატება მისი სოციალური გარემოთი დეტერმინირება.

შემოქმედებითი აქტივობა ვითარდება და რეალიზდება მატერიალური სამყაროს განვითარების კანონზომიერებებთან შესაბამისობაში, რაც მოიცავს შემოქმედებითი აქტივობის სუბიექტთა ეკონომიკურ ურთიერთობებს, მის ობიექტებს, თვით ეკონომიკურ სინამდვილეს. შემოქმედებით აქტივობას ახასიათებს იდეალური კომპონენტი, რაც სუბიექტების მიერ საკუთარი საქმიანობის შეფასებასთანაა დაკავშირებული (რეფლექსაცია); ეი. შემოქმედებითი აქტივობის სუბიექტებში პერსონიფიცირებულია (ასახულია) არსება, მეთოდები, საქმიანობის შედეგები, უშუალოდ ეკონომიკურ სფეროში კი, — კორპორაცია და შრომის დანაწილება, საკუთრების ურთიერთობათა კომბინირება, ეკონომიკური საქმიანობის მიზანთა მიღწევა და ა.შ.

ინოვაციურ შრომაში შემოქმედებითი პოტენციალი ინდივიდუალური ბიძგის მიმცემ ობიექტურ საზოგადოებრივ მოთხოვნილებად გადაიქცევა. ინდივიდუალური საქმიანობის მეშვეობით პიროვნებას გააჩნია საკუთარი ინდივიდუალურობის შენარჩუნებისა და გამოვლენის შესაძლებლობა, როგორც კანონზომიერებისა და მისი განვითარების აუცილებლობისა. საკუთრების გამეფებული ფორმა წინასწარ განსაზღვრავს მიზანს, პირობებსა და შესაძლებლობებს შემოქმედებითი აქტივობის გამოვლენისათვის.

შრომითი საქმიანობა იყოფა შემდეგ სახეობებად: ფიზიკურად და გონებრივად, კვალიფიციურად და არაკვალიფიციურად. კვალიფიციური შრომა არაა გაიგივებული შემოქმედებით შრომასთან; პირველი მიმართულია მუშაკისკენ, მეორე კი — სუბიექტისკენ. შემოქმედებით მოქმედებას მივყავართ ცოდნათა გარდაქმნასთან, რომელიც სამეცნიერო და ინტუიციური გზითაა მიღებული. ინტუიცია წარმოადგენს ინდივიდის ინდივიდუალურ-ფსიქიკურ უნარს, გენერირება გაუწიოს ახალ იდეებს ჭეშმარიტების უშუალო ხედვის მეშვეობით. შემოქმედებითი საქმიანობის პროცესში ხდება გამოცდილების, ოსტატობის შეძენა, გამომუშავდება უნარი, რასაც ამ საქმიანობის რუტინულ საქმიანობად გადაქცევისკენ მივყავართ.

ინოვაციური საქმიანობა ინტელექტუალური, შემოქმედებითი და

სუბიექტურია, რომლის შედეგადაც ხდება სიახლეების რეალიზაცია. ინოვაციური საქმიანობის იმპულსს წარმოადგენენ შემეცნების პროცესები (სამეცნიერო და ინტუიციურ ფორმაში), რომლებიც ახალშემოღებათა იდეალური პოტენციალის ფორმირებას ახდენს და რომელიც რეალურ (საგნობრივ) განხორციელებას პოულობს ინოვაციური საქმიანობით. შემდგომში პროდუქტის მიღების განმეორებითი და მომდევნო შემთხვევები, რაც ადრე სიახლეს წარმოადგენდა და პირველად ხორციელდება ინოვაციურ პროცესში, ეყრდნობა რუტინულად ქცეულ წარმოებით პროცესებს, რომლებიც შედგება აპრობირებული მეთოდებისაგან, შესაძლებლობებისა და ოპერაციებისაგან, რომლებიც ფასეულობის მიღების საშუალებას იძლევიან.

„ინოვაციური საქმიანობა წარმოადგენს ადამიანური ყოფიერების მენტალური და მატერიალური საგნების უწყვეტ და საყოველთაო პროცესს, რაც გამოიხატება მის ობიექტთა გამდიდრებაში და ხელოვნური წარმოშობის კავშირებში“[7, გვ.68]. ინოვაციურ საქმიანობას (არტიფიკაციას) ახასიათებს სხვადასხვაგვარი შედეგები. ფიზიკურ ობიექტთა სამყაროში მის შედეგებს წარმოადგენს საწარმოო სიახლენი, სამყაროში კი, რომელიც ცნობიერების განსხვავებულ მდგომარეობებს მოიცავს, სახეთა ფორმირებული იდეები, აზროვნების ობიექტური შინაარსის სამყაროში – სამეცნიერო იდეები, როგორც სამყაროს ექსპლიკაციის (გარკვეულობის) ფორმები. თვით სიახლე ამ დროს გამოდის როგორც ანომალია, ნორმის უარყოფა.

ინოვაციური საქმიანობა იწყება „სუბიექტი-გარეგანი გარემოს“ წინააღმდეგობის გაცნობიერებით და საქმიანობის მიზნის ფორმირებით, რომელსაც გამოვლენილი წინააღმდეგობის გადაჭრა შეუძლია კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-ეთნიკური და სხვა პირობების გათვალისწინებით, რაც სოციალური სუბიექტისა და სიახლეთა შექმნის სიცოცხლისუნარიანობას აშუალებს და წინააღმდეგობათა გადაჭრას უზრუნველყოფს. მოქმედებას წინ უსწრებს მისი იდეალური მოდელი მიზნის სახით, თვით საქმიანობის შინაარსი და მისი საშუალებანი.

ინოვაციური საქმიანობის მენტალური განჭვრეტა ობიექტური მოთხოვნილების მიღებას უკავშირდება, რაც შესაბამისი მოტივაციის, როგორც აზროვნებითი საქმიანობის გაშლის პირობის ფორმირების

გამომწვევია. რეალური ინოვაციური საქმიანობა ყოველთვის პოლიმოტივირებულია, რამდენადაც შემოქმედებითი მოქმედებანი სიახლის მიღების გამო (გარეგანი მოტივაცია) სუბიექტის შემეცნებითი აქტივობის გამოვლენით ძლიერდებიან (შინაგანი მოტივაცია).

ინოვაციური აზროვნება, როგორც ინოვაციური საქმიანობის ფორმა, ხასიათდება (მეცნიერული აზროვნებისაგან განსხვავებით) სუბიექტის ორიენტაციით კომერციულად ეფექტური სიახლის შექმნაზე. შემოქმედებითი საქმიანობის სხვა სახეებისაგან განსხვავებით (სამეცნიერო, მხატვრული და ა.შ.), რომელთაც ახასიათებთ ფარული შედეგი და მისი ემოციური შეფასების მაღალი მნიშვნელობა, ინოვაციური საქმიანობა ორიენტირებულია დარწმუნებით-პროგნოზირებადი შედეგის უზრუნველმყოფ რაციონალურად შეფასებად მოქმედებაზე, რომელიც რეალურად უკავშირდება გარეგანი სამყაროს წინმსწრებ მდგომარეობას, მათ შორის, – არსებულ რესურსებსაც. ალმოჩენები სამეცნიერო საქმიანობაში ხორციელდება, ამ სფეროს კი მიეკუთვნება გამოკვლევები, რომლებიც სამეცნიერო ცოდნის საზოგადოებრივ პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობათა ძიებასთანაა დაკავშირებული. ფუნდამენტურ გამოკვლევათა სპეციფიკას შეადგენს შემდეგი თვისებები: არამატერიალური განუმეორებლობა, განუსაზღვრელობა, მოსალოდნელი შედეგების მიღების ალბათობითი ხასიათი.

ინოვაციური საქმიანობის შინაარსობრივ საფუძველს წარმოადგენს გამოყენებითი მეცნიერება, რომელიც გულისხმობს სიახლეთა ათვისებას საზოგადოებრივ წარმოებაში. აღნიშნულის მიზნობრივი ორიენტაცია ვარაუდობს სოციალურად მნიშვნელოვან შედეგთა მიღწევას ინოვაციური საქმიანობის მეშვეობით.

ინოვაციური საქმიანობა ეკონომიკურ ურთიერთობათა მეშვეობით რეალიზდება, უშუალოდ საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს და გამოდის როგორც საზოგადოებრივი წარმოების, ასევე ეკონომიკურ ურთიერთობათა სუბიექტების განვითარების არსებითი წინაპირობა. რეტროსპექტული ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ეკონომიკურ ურთიერთობათა სუბიექტების ინოვაციური აქტიურობის ზრდის კანონზომიერების არსებობაზე, როგორც საწარმოო ძალთა დონეზე, ასევე ეკონომიკურ ურთიერთობათა თვალსაზრისიდან გამომდინარე. დაქირავებულ მუშაკთათვის ეკონომიკური თავისუფლების

ხარისხის გაფართოებამ XX საუკუნეში ინოვაციური საქმიანობის ისეთი სპეციფიკური ფორმების წარმოშობასთან მიგვიყვანა, როგორიც არის ინტრამეწარმეობა, ხარისხის რგოლები და ა.შ. აღნიშნული კანონზომიერება ჩვენი ისტორიის მთელ პერიოდს ახასიათებს, თუმცა მისი რეალიზაციის კონკრეტული ფორმები განსხვავებულია და ინოვაციური საქმიანობის უშუალო სუბიექტთა ეკონომიკური თავისუფლების ხარისხზეა დამოკიდებული.

ინოვაციური საქმიანობა თავის უპირატეს ნაწილში წარმოადგენს რთული, თავისი შინაარსით ინტელექტუალური შრომის დამკვიდრების ადგილს. ინოვაციური საქმიანობის განმახორციელებელი მუშაკის შრომის სპეციფიკას წარმოადგენს არა მხოლოდ შრომის შინაარსი (ინტელექტუალური შრომა). მსხვილი მანქანათწარმოების ტექნოლოგია მკაცრად აფიქსირებს საწარმოო მუშაკის ფუნქციონალურ როლს და მას სამუშაო ადგილზე ამაგრებს. ინოვაციური საქმიანობა არსებითი ხარისხით უკავშირდება ინფორმაციის გაცვლას, ასევე მონაცემებისა და ცოდნის გაცვლას და მატერიალურ და აბსტრაქტულ-იდეალურ მხარეთა ერთობას წარმოადგენს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინოვაციური საქმიანობის უმთავრესი სუბიექტია მეწარმე, რომელიც ეკონომიკური განვითარების დინამიზმს განსაზღვრავს და გვეცლინება იმ ცვლილებათა მამოძრავებელ ძალად, რომელიც არღვევს ეკონომიკური სისტემის წონასწორობას. ამგვარად, მეწარმე წარმოადგენს პერსონიფიცირებულ ეკონომიკურ ძალაუფლებას, რომელსაც შემთხვევითობის ელემენტი შეაქვს ეკონომიკაში, მაშინ როდესაც სხვა სუბიექტები, პირიქით, მისი გაწონასწორებისაკენ მიისწრაფიან. ასე მაგალითად, მმართველობითი შრომა, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული საკუთრებასა და ბაზარს შორის ურთიერთობებთან, როგორც ეკონომიკური სისტემის რეგულატორთან, მოწოდებულია მოქმედებით უპასუხოს გარემოს მაჩვენებელთა ცვლილებებს, ე.ი. მმართველი ფუნქციონირებს გარედან დასახულ ჩარჩოებში. მეწარმე ცვლის მეურნეობის პირობებს, მენეჯერები კი იძულებით მისდევენ ცვლილებებს და საწარმოს შეცვლილ პირობებს უსადაგებენ.

გამომგონებლისა და მეცნიერ-მუშაკისაგან განსხვავებით, მეწარმე არ წარმოადგენს „ახალ კომბინაციათა სულიერ შემოქმედს“, მაგრამ

ცხოვრებაში ახორციელებს მათ. სამეწარმეო საქმიანობის შედეგს წარმოადგენს ეკონომიკური სისტემის წონასწორობის დარღვევა. სიახლის იძულებით გამავრცელებელნი არიან მმართველები, რომლებიც ამ წონასწორობის დარღვევის პროცესში, გასალების ბაზრის შემცირების მიზეზით, მოგებას კარგავენ.

შემოქმედება ახლოებს მეწარმესა და სამეცნიერო შრომას, თუმცა მეწარმის შრომა ძირითადად მის ჩანაფიქრთა პრაქტიკულ განხორციელებაზეა ორიენტირებული და არა დოვლათის მოხმარებაზე. სამეწარმეო საქმიანობის მოტივებში დიდი როლი ეთმობა წარმატებისკენ ლტოლვასთან, შემოქმედებით სიხარულთან, ძალაუფლებასთან დაკავშირებულ სოციალურ-ტექნოლოგიურ ასპექტებს. უკანასკნელი ხორციელდება საწარმოს საზღვრების გაფართოებითა და დაგროვილი კაპიტალის ზრდით, რაც მეწარმის პირადი თავისუფლების გაფართოებას უზრუნველყოფს.

მეწარმის ინოვაციური შრომა განსაზღვრავს ეკონომიკური სისტემის განვითარებას, თუმცა შედეგის გამოყენებულ საშუალებათა და მოტივთა თვალსაზრისიდან გამომდინარე, ის არ წარმოადგენს შრომას სიტყვის ეკონომიკური მნიშვნელობით (მიმართულს სამომხმარებლო ფასეულობის მიღებაზე). ინოვაციური სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტი თვით იმყოფება ეკონომიკური სისტემის ჩარჩოებს მიღმა (მოქმედებს არა სიკეთეთა შესაქმნელად და მოსახმარებლად), და ძირითადად სოციალურ-ფსიქოლოგიური მოტივებით ხელმძღვანელობს. მეწარმის სამეურნეო საქმიანობის თავისუფლება შეზღუდულია საკუთარი კაპიტალის მოცულობით, სხვა მეწარმეთა მხრიდან კონკურენციით და ნაკლები ხარისხით საბაზრო ურთიერთობათა სხვა მონაწილეების მხრიდან – მომხმარებელი, სახელმწიფო, დაქირავებული მუშაკები და ა.შ.

სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ინოვაციური საქმიანობა წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეთა მიზანმიმართულ გარდაქმნას სოციალური, ეკონომიკური და სხვა პრაქტიკული შედეგების მიღების მიზნით. სიტყვის უფრო ვიწრო გაგებით, ინოვაციური საქმიანობა ვრცელდება საზოგადოებრივ წარმოებაზე, მის სტრუქტურაზე, პროდუქტთა რეალიზაციის პროცესებსა და მართვაზე. საბაზრო რეფორმათა დაწყებამდე, სამამულო მეცნიერებაში ინოვაციურ საქმიანობას კიდევ უფრო მცირე

სფეროს მიაკუთვნებდნენ; ეს იყო სიახლის საწარმოო ათვისების პროცესი, რომელიც უკავშირდებოდა განსაზღვრულ სახეებს – ტექნიკასა და ტექნოლოგიას, უფრო იშვიათად კი – წარმოების ორგანიზაციის მართვის მეთოდებსაც. ინოვაციური საქმიანობის შინაარსის წარმომქმნელ სამუშაოთა სტადიებს მიაკუთვნებდნენ გამოკვლევებს, დამუშავებებს (საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები), ახალი ტექნიკის დანერგვას წარმოებაში. პირველი ორი სტადია ასაბუთებდა სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა წარმოებაში პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობებს. დანერგვა – ესაა რეალიზაციის პროცესი, დამუშავების შედეგები კი – კონკრეტული გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხებოდა შექმნილ იარაღებსა და შრომის საგნებს, ასევე სამუშაო დოკუმენტაციის კომპლექტში გაფორმებულ საცდელ ნიმუშებს. დანერგვის შედეგებს მიეკუთვნებიან ანალოგიური გადაწყვეტილებანი, გაფორმებულნი სამუშაო დოკუმენტაციის კომპლექტში ნიმუშის ერთჯერადი ან საწყისი სერიული წარმოების სახით.

საცდელ-საკონსტუქტორო სამუშაოების განხორციელება მრავალ ვარიანტად შეიძლება. მაგ.: დამუშავების საკონსტრუქტორო გადაწყვეტიდან საცდელ სტადიებზე გადასვლამ შეიძლება მოითხოვოს მისი მოდელის შექმნა და გამოცდა, შეთავაზებულ საკონსტრუქტორო გადაწყვეტათა წინასწარი მატერიალიზაცია. ამ მხრივ გადაწყვეტილების მიღება უკავშირდება ნაკეთობის სირთულის ხარისხს, ფინანსთა მოცულობას, მისი განხორციელების ვადებს და ა.შ. აღნიშნულის შეუსრულებლობა ზრდის სასურველი შედეგების მიუღებლობის რისკს. მსგავსი პრაქტიკა დასაშვებია მოდერნიზებადი სიახლების დროს, რომლებიც, მაგ.: ტიპოზომების სრულყოფას მიეკუთვნება, მაგრამ არ ეხება მათი ფუნქციონირების ბაზისურ პრინციპებს.

საბაზრო რეფორმების განვითარებასთან ერთად, საქართველოში ინოვაციურ საქმიანობაში იმ ღონისძიებათა ჩართვაც დაიწყება, რომლებიც მიმართულნი არიან საწარმოთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისაკენ, ასორტიმენტის გაფართოებისაკენ და ა.შ. ანუ, იმის აღიარება ხდება, რომ ინოვაციური საქმიანობა ატარებს არა მხოლოდ პროდუქტიულ ხასიათს, მიმაგრებულს შრომის იარაღებთან და საგნებთან, ტექნოლოგიურ პროცესებთან და ა.შ., არამედ

ფუნქციონალურსაც, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს ნაციონალური ეკონომიკის, მისი სექტორებისა და სფეროების შემდგომი განვითარების პერსპექტივებს. სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროდუქცია ინოვაციური პროდუქციის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც გამოირჩევა სარგებლიანობით, მოთხოვნილებით სარგებლობს და მოხმარების ობიექტს წარმოადგენს. ინოვაციური პროდუქტის ფორმირება ხდება არა მხოლოდ ინკუბაციურ სტადიებზე – მეცნიერება, დამუშავებანი. ინოვაციური საქმიანობის განხორციელებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სიახლის კომერციული მიზანშეწონილობისა და მისი ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრის შედეგებს, რაც უკავშირდება კონკურენტუნარიანობის დონის ზრდას, დამატებითი მოგების მიღებას სიახლის გამოყენების ხარჯზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში ინოვაციური საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მახასიათებლებს მიაკუთვნებენ ინოვაციურ ციკლს, ის წარმოადგენს პერიოდს ახალ იდეათა ძებნის მომენტიდან მის გამოყენებამდე, ანუ კონკრეტული შედეგის მიღებამდე. განასხვავებენ ინოვაციურ ციკლს და ინოვაციის ცხოვრებისეულ ციკლს, რაც გულისხმობს წარმოებაში ახალშემოღების დანერგვის მომენტიდან მისი მოძველების მომენტამდე არსებულ დროს. ინოვაციური ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლები საინტერესოდ აქვს გადმოცემული ლ.ჩიქავასაც. [1", გვ.40].

ინოვაციის ცხოვრებისეული ციკლის ცალკეული ეტაპები შემდეგნაირად კლასიფიცირდება: ინოვაციური პერიოდი, რომელიც ასახავს დამუშავებული პერიოდის თავისებურებებს; დიფრაქციის ეტაპი (გაშლა), რომელიც გულისხმობს ახალშემოღების გავრცელებას საზოგადოებრივ პრაქტიკაში საბაზრო ფინანსირების პირობებზე; ინკუბაციური პერიოდი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს იდეის ჩასახვის, სიახლის შექმნის (საცდელი ნიმუშის სახით) და სიახლის შემოღების ეტაპს, რომელიც ასევე მოიცავს სიახლის წარმოებაში პირველადი ათვისებისა და დანერგვის სამუშაოებს. ბოლო ეტაპი უკავშირდება სიახლის საბოლოო დამუშავებას კონკრეტულ მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად, ეფექტის მიღებას პრაქტიკული გამოყენების სფეროში სიახლის დანერგვით. ახალი იდეის სიახლედ გადაქცევას, ანუ მატერიალურ პროდუქტს, მივყავართ დიფრაქციის სტადიასთან, რომელიც მოიცავს სიახლის გამოყენების

მასშტაბთა შემცირებას.

თუ ინოვაციური ციკლი მთავრდება კომერციულ საფუძველზე წარმოებაში იდეის გამოყენების ეტაპით, ინოვაციის ცხოვრებისეული ციკლი იწყება სიახლის წარმოებაში დანერგვის მომენტიდან მისი გამოყენების შეწყვეტამდე. ინოვაციური ციკლი სამეცნიერო იდეათა შექმნის სტადიას უკავშირდება, მაშინ როცა ინოვაციის ცხოვრებისეული ციკლი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა პრაქტიკული გამოყენების სტადიასთანაა დაკავშირებული. ერთსა და იმავე სამეცნიერო იდეამ შეიძლება საფუძველი დაუდოს რამდენიმე სიახლეს ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში. სხვადასხვა იდეათა ცხოვრებისეულ ციკლთან დაკავშირებული ინოვაციური ციკლი, შეიძლება სკსსს-ს (სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები) სტადიაზე შეწყდეს, მაშინ, როდესაც ინოვაციის ცხოვრებისეული ციკლი იწყება არა სკსსს დამოუკიდებელი განხორციელებით, არამედ მათი შედეგების ლიცენზიათა, ნოუ-ჰაუს, პატენტების სახით სხვა ორგანიზაციებისაგან შეძენით. სკსსს გამოდის, როგორც ახალი ნაკეთობის ნულოვანი ციკლი.

შესაბამისად, კვლავწარმოების პროცესი განუყოფელი ურთიერთშემავსებელი ნაწილების სახით მოიცავს ინოვაციურსა და წარმოებით საქმიანობას, რაც განპირობებულია ინოვაციის როლით წარმოების განვითარების პროცესში. ინოვაციები ცვლიან წარმოებითი საქმიანობის სტრუქტურასა და შემადგენლობას, ძველი სიახლის ცხოვრებისეული ციკლის დასრულებული სტადიიდან იწყება ახალი პროდუქტის გამოყენების პროცესი.

ინოვაციურსა და წარმოებით საქმიანობას შორის ერთიანი კვლავწარმოებითი პროცესის ფარგლებში წინააღმდეგობებს აქვთ ადგილი. წარმოებითი პროცესი მიმდინარე პერიოდში აღწევს ეფექტურობას სტაბილურობის პირობებში, მაშინ როცა ინოვაციურ საქმიანობას მისი შემადგენლობისა და სტრუქტურის შეცვლასთან მივყავართ. ინოვაციათა დანერგვით წარმოება უფრო მაღალ ხარისხობრივ მდგომარეობას აღწევს,პრინციპულად ახალი შრომის იარაღების, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების, წარმოების ორგანიზაციის, შრომის, მართვის მეთოდების გამოყენებითა და დანერგვით, რაც საბოლოო ჯამში ამცირებს პროდუქციის წარმოების დანახარჯებს.

წარმოების პროცესის მატერიალურ ელემენტებზე უშუალო ზემოქმედების განხორციელებით, ინოვაციური საქმიანობა ცვლის ადამიანურ ფაქტორს, აღრმავებს შრომის ფუნქციონალურ დანაწილებას, და შრომით რესურსთა პროფესიულ-კვალიფიციურ შემადგენლობას აფორმებს, ზრდის შრომით საქმიანობაში გონებრივი შრომის ერთობლივ დანახარჯებს. ინოვაციური საქმიანობის შედეგად საზოგადოებრივი შრომის ეკონომიის უზრუნველყოფას თან სდევს გამოშვებული პროდუქციის ნატურალური შემადგენლობისა და სტრუქტურის ცვალებადობა, ნაკეთობათა ახალი სახეობების გამოვლენა, მათ შორის როგორც რთულის, ისე მეცნიერებატევადისაც.

ინოვაციური საქმიანობის შედეგს წარმოადგენს საბოლოო პროდუქციის ისეთი სახეობაც, როგორიცაა ინტელექტუალური საკუთრება, რომელიც განკუთვნილია რეალიზაციისათვის და ახალ ინფორმაციას მოიცავს (პატენტი, გამოვლინება და ა.შ.). სიახლე წარმოადგენს მეწარმეთა ინსტრუმენტს, საშუალებას, რომლის მეშვეობითაც ისინი ცვლილებებს იყენებენ ბიზნესის სფეროში საკუთარი ჩანაფიქრების განსახორციელებლად. საბაზრო ეკონომიკაში ინოვაციური საქმიანობის ცალკეული შედეგები საქონლის სახით რეალიზდება. ამ შედეგების კომერციული მნიშვნელობა სამართლებრივ ფორმას იურიდიულ თუ ფიზიკურ პირთა ინტელექტუალური საკუთრების სახით ღებულობს ტექნოლოგიებზე, ნოუ-ჰაუზე, პატენტებზე, სკსსს შედეგებზე, უნიკალურ ობიექტთა ლიზინგზე და ა.შ.

საბოლოო ჯამში ინოვაციური პროდუქტი, მისი სამომხმარებლო და ღირებულებითი პარამეტრები უზრუნველყოფენ მეურნეობის სუბიექტის განმსაზღვრელ სასაქონლო პარამეტრებს, მის ნაკეთობათა (მომსახურება) კონკურენტუნარიანობას. წარმოებით სფეროზე ზემოქმედების გარდა, ინოვაციური საქმიანობა ზრდის პროდუქციის რეალიზაციის პროცესს და ეფექტურობას. ინოვაციური საქმიანობის შედეგები ამ სფეროში საქონლის ბაზარზე წინსვლისა და საქონლის რეალიზაციისას ცალკეული კომერციული მომსახურების პირობათა (კრედიტი, დაზღვევა, ტრანსპორტირება და ა.შ.) ტექნოლოგიების ფორმებს ღებულობენ. ინოვაციურ საქმიანობას საწარმოს დონეზე მივყავართ მართვის ახალ ტექნოლოგიათა ფორმირებასთან, როგორც შიდა პროცესებთან, ასევე გარეგან ურთიერთობებთან მიმართებაშიც.

მართვის ტექნოლოგიები, რომლებიც მოიცავს მის პროცედურულ, ორგანიზაციულ, ფსიქოლოგიურ და ა.შ. ასპექტებს, თავის მხრივ შეიძლება ინოვაციათა საგნად იქცნენ სიახლეთა შეტანით – მომზადებაში, დამუშავებაში, გადაწყვეტილებათა მიღებაში და ა.შ. ამ მხრივ აღსანიშნავია განვითარებული წარმოების მქონე ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული შეთანხმებანი მეურნეობის სტრატეგიისა და მეთოდების („ბიზნესის ფორმულები“) გამოყენების შესახებ. ყველაზე მსხვილი ბაზარი „ბიზნესის ფორმულის“ გადაცემის შეთანხმებების თვალსაზრისით, აშშ-ში ფუნქციონირებს და წელიწადში 100 მილიონი დოლარის ბრუნვა გააჩნია. შესაბამისად, მართვის სისტემათა და მის ელემენტთა შექმნა და სრულყოფა ინოვაციური საქმიანობის ისეთივე საგანია, როგორიც ტექნოლოგიურ პროცესთა სრულყოფა, ან პროდუქციის (მომსახურებათა) ბაზარზე რეალიზაცია. მსოფლიო ეკონომიკაში რეალიზდება აშშ-ს პროექტები, რომელთაც CALS ტექნოლოგიათა სახელწოდება მიიღეს. მოცემული პროექტები ნაკეთობის (პროდუქტის) სიცოცხლის ინფორმაციულად ხელშემწყობი, ტერიტორიულად განსაზღვრული სისტემაა მთელი მისი ცხოვრებისეული ციკლის განმავლობაში – დაწყებული შექმნის იდეის ჩასახვიდან, პროექტირებიდან, დამზადებიდან და კონკრეტული მიწოდებით, ექსპლუატაციითა და უტილიზაციით დამთავრებული. ეს საშუალებას იძლევა შეიქმნას ინფორმაციული ბაზა, მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებული სტანდარტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა ეფექტურ გაცვლას შემკვეთსა და მიმწოდებელს შორის, რომლებიც დედამიწის ნებისმიერ პუნქტში შეიძლება იმყოფებოდნენ.

CALS-ტექნოლოგიათა მომსახურებით სარგებლობენ აშშ-ის ფირმები და კორპორაციები, განვითარებული ევროპის ქვეყნები, კანადა, წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნები, სადაც ფუნქციონირებენ შესაბამისი საწარმოო კავშირები, რომელთა მუშაობაც კოორდინირებულია საერთაშორისო CALS-კონგრესის მიერ. ძირითად ძალისხმევებს ის ორგანიზაციები მიმართავენ უნიფიცირებულ მონაცემთა ინფორმაციული წარდგენისადმი არსებულ მოთხოვნათა დაცვასა და დამუშავებაზე, რომლებიც ნაკეთობის ცხოვრებისეული ციკლის განსხვავებულ ეტაპებზე გამოიყენება მისი სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების მიუხედავად. CALS-ტექნოლოგია სახსრების ეკონომიას

უზრუნველყოფს მრავალვარიანტული პროექტირების, სამეცნიერო სამუშაოთა ეტაპების პარალელური წარმართვის, ნაწარმის ექსპლუატაციის ოპტიმიზაციის ხარჯზე მომწოდებელთან ელექტრონული ფოსტით დიალოგურ რეჟიმში კავშირის არსებობისას.

ინფორმაციულ სფეროში ჩამორჩენილობა საქართველოს მისი ტრადიციულად მყარი პოზიციების დატოვებას უქადის მეცნიერების, სამხედრო და სამხედრო-ტექნიკურ სფეროებში. CALS – ტექნოლოგიის უპირატესობათა არქონით, სამამულო მრეწველობა ჩამორჩა განვითარებულ ქვეყნებს, ეს კი მეწარმეებს აიძულებს უცხოური კომპლექტური კვანძები თანმხლები დოკუმენტაციითურთ ძვირადღირებული პროგრამული პროდუქტების სახით შეიძინონ, ამით პროდუქცია არაკონკურენტუნარიანი გახდება. ჩვენი ქვეყნის მიზანმიმართული პოლიტიკის გარეშე, და CALS-ტექნოლოგიების დანერგვის გარეშე, ჩვენ ვერ შევძლებთ საზოგადოებრივი განვითარების ხარისხობრივად ახალ სტადიაზე გადასვლას – ანუ ინფორმაციულ თანამეგობრობათა სტადიაზე გადასვლას, რომელმაც განვითარებულ ქვეყნებს საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და თავდაცვითი პოტენციალის უზრუნველყოფის საშუალება მისცა.

1.4. სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი

სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი – ეს არის საზოგადოების მიერ დაგროვილი ცოდნის დონე, შერწყმული მატერიალურ და ორგანულ პირობებთან, რომელიც უზრუნველყოფს ამ ცოდნის გამოყენებას მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესისათვის. სამეცნიერო პოტენციალი ნიშნავს სამეცნიერო სისტემის უნარს დააკმაყოფილოს საკუთარი და იმ საზოგადოების მოთხოვნები, რომელსაც ის ემსახურება. საბოლოო მეცნიერული შედეგია სუფთა მეცნიერული პროდუქციის შექმნა, კერძოდ, მეცნიერული წვლილის სიდიდე ამ პროდუქციაში არის მეცნიერული პოტენციალის მდგომარეობის ინტეგრაციის მაჩვენებელი.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის ფორმირება ხდება ადამიანების ინტელექტუალური შემოქმედებითი საქმიანობის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებასა და საზოგადოებაზე ცოდნის შევსებას,

გავრცელებასა და გამოყენებას წარმოების სრულყოფისათვის, ახალი პროდუქციის შექმნისათვის, მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის, ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთკავშირის რაციონალიზაციისათვის.

მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი — ესაა:

— დაგროვილი ცოდნის (ინფორმაციის) ერთობლიობა, კადრების ერთობლიობა;

— მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა, ინფორმაციული უზრუნველყოფა და ორგანიზაციული ფაქტორები, რომლებიც მოიცავს როგორც მეცნიერულ-ტექნიკური დაწესებულების შიდა ორგანიზაციას, ისე ნაციონალურ სტრუქტურებს მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროში, რომელიც აერთიანებს მეცნიერულ-ტექნიკურ დაწესებულებებს.

მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები და ინოვაციური საქმიანობა არის მატერიალური სიმდიდრის ზრდის მთავარი წყაროები.

ძვირი აღჭურვილობის გამოყენება განსაზღვრავს აგრეთვე დანახარჯების ზრდას მუშა ძალის ხარისხის ამაღლებაზე. მაგ.: იაპონიაში 80-იანი წლების დასაწყისში კაპიტალდაბანდების ერთეული ღირდა 2,4-ჯერ ძვირი, ვიდრე 50-იან წლებში, მაშინ როცა სამუშაო ძალის ფასი ამავე პერიოდში გაიზარდა 15,6-ჯერ. აშშ-ში დანახარჯები სამუშაო ძალაზე გაიზარდა 1947-1989 წლებში 5,5-ჯერ, მაშინ როცა დანახარჯები კვლავწარმოებაზე ძირითად კაპიტალზე — 3,7-ჯერ, ხოლო ხარჯები მეცნიერებაზე — 13-ჯერ.

კანონზომიერად იქცა მეცნიერების წინმსწრები განვითარება. წარმოების 2-ჯერ გაზრდისათვის ცოდნის დონე უნდა გაფართოვდეს 4-ჯერ, ხოლო წარმოების მოცულობის 10-ჯერ გაზრდა მოითხოვს ცოდნის 100-ჯერ გაზრდას.

საბჭოთა ეკონომიკისთვის დამახასიათებელი იყო მეცნიერებაში სახსრების წინმსწრები დაბანდება. თუმცა ადამიანის განვითარებაში ეს მექანიზმი არ აკმაყოფილებდა ნაციონალური სიმდიდრის ინტელექტუალურ-ინფორმაციული ელემენტების ფორმირების აუცილებელ ტემპებსა და ხარისხს. მოდერნიზება და ნაციონალური ეკონომიკის გაშიფვრა ექვემდებარება პრიორიტეტულ მიმართულებებს მეცნიერებასა და ტექნიკაში, რაც ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ეფექტურ ფორმირებასა და გამოყენებაზე დაყრდნობით

ეკონომიკის განვითარებას. ამ პოტენციალის ყოველ შემადგენელ ნაწილს აქვს თავისი დამოუკიდებელი შინაარსი. ისინი არაერთმნიშვნელოვანია და ერთმანათისგან დამოუკიდებელი. კადრობრივი შემდგენელი არის ახალი ცოდნის (ინფორმაციის) გენერატორი, მაშინ როდესაც დანარჩენები ასრულებენ უზრუნველმყოფელ ფუნქციებს. მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ფორმირება შესაძლებელია გარკვეულ საზღვრებში ან შემცირების ფარგლებში. ამგვარად, ინფორმაციების დონე ხანდახან შემადგენელი ნაწილების შემცირების დონემდე დადის.

მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი წარმოადგენს ნებისმიერი ინტეგრირებული ქვესისტემის მახასიათებელს: გლობალური (მსოფლიო), მსოფლიოს ცალკეული რეგიონების, ქვეყნის, რეგიონის ან დარგების ეკონომიკის, ცალკეული საწარმოს ან მეცნიერულ-ტექნიკური ორგანიზაციისა. ნებისმიერი დონის იერარქიის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი იზოლირებულად არ არსებობს. მიმდინარეობს მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალების მუდმივი ცვლა რომლებიც მიმართული ყოველი ქვესისტემის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის განვითარებისაკენ. მსგავსი თავისუფალი ცვლა ვრცელდება ინფორმაციებზე, რომლებიც ეხება ფუნდამენტურ კვლევებსა და სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შედეგებს.

ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურიზაცია უზრუნველყოფს მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის დარგობრივ და რეგიონულ სტრუქტურებს.

დარგობრივი სტრუქტურა მოიცავს დარგის მატერიალური წარმოების დარგთა, არაწარმოებითი სფეროს მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალს; ასევე მათში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების პოტენციალებს.

რეგიონული სტრუქტურის დეტალიზება ხდება ქვეყნის ადმინისტრაციული და ეკონომიკური დაყოფის შესაბამისად (ეკონომიკური რეგიონები, ქალაქები). მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის სხვაგვარი კვალიფიკაცია, რომელიც ფაქტობრივად არ არსებობდა საბაზრო რეფორმებამდე, დაკავშირებულია საკუთრების ფორმებთან. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ვილაპარაკოთ სახელმწიფო და კერძო საკუთრების ფორმების პოტენციალზე.

მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გამდიდრება შეიმჩნევა რეგიონულ დონეზე. რეგიონის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ფორმირება უმეტეს შემთხვევაში ხდება იმ მიღწევების ხარჯზე, რომლებიც დაგროვდა სხვა რეგიონების მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის მიერ და არა მათ ტერიტორიაზე განლაგებულ მეცნიერულ-ტექნიკური საწარმოებისა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროების ხარჯზე.

სახელმწიფოთაშორის დონეზე ეროვნული მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალთა ურთიერთქმედება ხელს უწყობს საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობას.

მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალის ხარისხობრივი მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ მეცნიერების განვითარების დონე, კვალიფიციური შემადგენლობა, წევრობა საერთაშორისო მეცნიერულ ორგანიზაციებში, საერთაშორისო პრემიების ლაურეატების რიცხვი, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები და ახალი ტექნიკის ნიმუშები, რომლებიც პასუხობენ ან აღემატებიან მსოფლიო დონეს, აგრეთვე — არამატერიალური აქტივები.

სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შედეგები ფასდება შემდეგი მაჩვენებლებით:

— დარგობრივ მეცნიერებაში დარეგისტრირებული აღმოჩენების რაოდენობა;

— გამოგონებების რაოდენობა;

— საავტორო უფლებებისა და პატენტების რაოდენობა;

— ახალი ტექნიკის ნიმუშების შექმნის რაოდენობა.

საგულისხმოა არამატერიალური აქტივის საანგარიშო შეფასება (პატენტების გაცვლა, ლიცენზიების გაცვლა, „ნოუ-ჰაუ"). მაგრამ საპატენტო სტატისტიკა საქართველოში არ მოიცავს ინფორმაციას არსებულ პატენტებსა და მათ მოძრაობაზე. პერიოდულად აუცილებელია არამატერიალური აქტივების შესახებ მონაცემების გაანალიზება. მონაცემები მიიღება შერჩევითი გამოკვლევებით, ისე როგორც ეს ხდება დასავლეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში.

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის საინფორმაციო ბაზა — ესაა სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციებისა და უმაღლესი სასწავლებლების სტატისტიკურ ანგარიშთა მონაცემები. მათში შედარებით სრულად არის წარმოდგენილი საკადრო და მატერიალურ-

ტექნიკური ბაზის მონაცემები, შეარებით უფრო ნაკლებად კი — ზოგადი საინფორმაციო მონაცემები.

რიგი ქვეყნების სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ფორმირების დინამიკის შეფასება უნდა მოხდეს არა მხოლოდ აბსოლუტური სიდიდით სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯებით, არამედ მათი დამოკიდებულებით ეროვნული პროდუქტის მიმართ, რაც ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების ინტენსივობის დახასიათების საშუალებას იძლევა.

სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის საკითხების შეფასება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თეორიულად, არამედ მისი განვითარების პროგნოზირებისთვისაც.

როგორც ცნობილია, სიახლის დანერგვის საბოლოო ეფექტიანობა არ შეიძლება იყოს სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გლობალური მახასიათებელი. თუმცა დღემდე ვერ შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასების საერთო მეთოდიკა.

მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი მნივშნელოვან როლს ასრულებს კონკრეტული ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში, მაგრამ თავისთავად თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის განვითარება ვერ იძლევა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების მიღწევებში რეალური ეფექტის გარანტიას. ეს მიღწევები დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე, რომელიც არ მოიცავს მისი მოღვაწეობის სფეროს. მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეების რეალიზაციის მასშტაბების შეზღუდვა შეიძლება დაკავშირებული იყოს ინოვაციებისა და საწარმოს პოტენციალის, ან მათი ცალკეული მდგენელების მოუმზადებლობასთან, ეფექტურად და დროულად მოახდინონ მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის მიერ მინიჭებული შესაძლებლობების რეალიზება.

სამეცნიერო ლიტერატურაში მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის აღწერისათვის გამოიყენება ცალკეული მდგენელების დახასიათება (საკადრო, მატერიალურ-ტექნიკური) და ფინანსური მაჩვენებლები (ჯამური მიმდინარე ხარჯები და კაპიტალდაბანდება).

რაოდენობრივი მაჩვენებლები მოიცავს: სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული ხარჯების მოცულობას — მეცნიერების დარგებში, სექტორებსა და ეროვნული

ეკონომიკის დარგებში.

სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სფეროში დაკავებულთა რაოდენობა, მეცნიერულ-ტექნიკური შემოქმედების ფინანსური უზრუნველყოფა არ არის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის შემადგენელი, თუმცა ახასიათებს მას. ის ასახავს ეკონომიკური ფაქტორების განვითარების შესაძლებლობებს და ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ზრდას.

საკადრო შემადგენლობის შეფასება ხორციელდება შემდეგი მაჩვენებლებით:

— სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებთან დაკავშირებულ პირთა საერთო რაოდენობა;

— პერსონალის რაოდენობა მათი საქმიანობის მიხედვით. ფუნდამენტური კვლევები, შემუშავება, კვალიფიციურ ჯგუფებში შემავალ პირთა რაოდენობა (დოქტორები, მეცნიერების კანდიდატები, მეცნიერ-მუშაკები სამეცნიერო ხარისხის გარეშე და სპეციალური საშუალო განათლებით, დამხმარე პერსონალი, მუშა კადრები);

— რაოდენობრივი დანაწილება თანამდებობრივ სტრუქტურებში.

საერთო რაოდენობის მაჩვენებლები და თანამდებობრივი და კვალიფიციური ჯგუფების რაოდენობა არის კადრების შემადგენლობის მცდარი შეფასება და არ იძლევა სხვადასხვა ქვესისტემის ერთმნიშვნელოვნად შეფასების საშუალებას. მაგალითად, 1992 წლიდან 1998 წლამდე პერსონალის რაოდენობა სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში შემცირდა 1,8-ჯერ. შენარჩუნდა ყველა კატეგორიის თანამშრომლის შემცირების ტენდენცია.

მთლიანობაში, საქართველოში მკვეთრად შემცირდა თანაფარდობა ტექნიკოსებსა და გამომგონებლებს შორის, მაშინ როცა თანაფარდობა დამხმარე და მომსახურე პერსონალსა და გამომგონებლებს შორის გაიზარდა. გამოვლენილი ცვლილებები დაკავშირებულია არა იმასთან, რომ დაინერგა უფრო თანამედროვე ტექნიკა, არამედ „მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურებიდან“ კვალიფიციური თანამშრომლების უფრო მაღალი ტემპებით გადინებასთან, არაკვალიფიციურ თანამშრომლებთან შედარებით.

1994 წ-დან 1998 წ-ის ჩათვლით პერსონალის რაოდენობა გაიზარდა მხოლოდ კერძო, წამგებიანი ორგანიზაციების სექტორში.

სახელმწიფო, სამეწარმეო სექტორსა და უმაღლეს განათლებაში ის შემცირდა შესაბამისად – 1,13; 1,36 და 1,38-ჯერ.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებისა და მეცნიერ-პედაგოგების ნახევარი და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთა 40%-მდე დაკავებულია მწარმოებლურ დარგებში, შენარჩუნებულია არსებითი განსხვავება რიგი დარგების მეცნიერულ-ტექნიკური კადრებით გაჯერებულობაში. მაგ.: მრეწველობაში ხარისხის მქონე პირთა ხვედრითი წონა მეცნიერებისა და მეცნიერ-პედაგოგთა კადრებს შორის 90-იანი წლების დასაწყისში 2-ჯერ მაღალი იყო, ვიდრე სოფლის მეურნეობაში.

საწარმოო გაერთიანებების მეცნიერულ-ტექნიკურ ქვედანაყოფებში მომუშავეთა რაოდენობა თანაზომადია სამეცნიერო დაწესებულებებსა და კონსტრუქტორულ-ტექნოლოგიურ ორგანიზაციებში მომუშავეთა რაოდენობასთან. მაგ.: სამრეწველო დარგების საწარმოო ორგანიზაციათა და გაერთიანებათა მეცნიერულ-ტექნიკურ ქვეგანყოფილებებში დაკავებულია მომუშავეთა მთელი რაოდენობის 2-6%, რაც შეადგენს დარგის მთელი საინჟინრო-ტექნიკური თანამშრომლების 25%-ზე მეტს. ამასთან, საწარმოო გაერთიანებების მეცნიერულ-ტექნიკური პერსონალი ხშირად უთავსებს საგამომგონებლო, საცდელ-კონსტრუქტორულ, ექსპერიმენტულ სამუშაოებს წარმოების მიმდინარე მოთხოვნილებების უზრუნველყოფას.

მეცნიერულ-ტექნიკური საქმიანობისათვის კადრებს მეზობელ რუსეთში ამზადებენ უმაღლესი განათლების სისტემასა და ასპირანტურაში, სადაც უზრუნველყოფენ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებისა და უმაღლესი კვალიფიკაციის მეცნიერი თანამშრომლების მომზადებას.

მეცნიერი თანამშომლების მომზადება უმაღლესი კვალიფიკაციით ხორციელდება სამეცნიერო დაწესებულებებში და უმაღლეს სასწავლებლებში. უმაღლესი კვალიფიკაციის მეცნიერ-მუშაკთა მომზადება ხორციელდება სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების დოქტორანტურის მეშვეობით. იმ პერიოდშიც კი, როდესაც ასპირანტთა გამოშვება მაქსიმალური იყო, დროულად დისერტაციის დამცველთა პროცენტული რაოდენობა რჩებოდა დაბალი (8.6%). 1980 წლიდან მეცნიერული კადრების

მომზადება ასპირანტურაში შემცირდა. 1990-იან წლებში იმ პირთა რაოდენობა,რომლებიც სამეცნიერო ხარისხს მოიპოვებდა მაძიებლობით, გაუტოლდა დისერტაციის დამცველ ასპირანტთა რაოდენობას. 90-იან წლებში ხდება შემცირება როგორც მკვლევართა რიცხვისა საერთოდ, ისე მეცნიერების ხარისხის კანდიდატთა რიცხვის, მაგრამ იზრდება დოქტორის ხარისხის მქონე სწავლულთა რიცხვი მეცნიერების ყველა დარგში.

1992 წლიდან იზრდება იმ უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი, სადაც ხდება ასპირანტების მომზადება. ასპირანტების რაოდენობა 1992 წლიდან 1998 წლისათვის გაიზარდა 1,9-ჯერ, მაშინ როცა იმ ასპირანტურადამთავრებულთა წილი, რომლებმაც დისერტაცია დაიცვეს, გაიზარდა 21-დან 26%-მდე.

საკანდიდატო დისერტაციების უმეტესი ნაწილი დაცულია ტექნიკურ მეცნიერებებში (35%-ზე მეტი საერთო რაოდენობიდან) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში — 25%-ზე მეტი. უმაღლესი კვალიფიკაციის მეცნიერული კადრების მომზადებასთან მიმართებაში 90-იან წლებში გაწონასწორდა უმაღლესი სასწავლებლებისა და მეცნიერული დაწესებულებების როლი.

მსგავსი სურათი იკვეთება დოქტორანტთა გამოშვებაშიც. სადოქტორო დისერტაციების მესამედის დაცვა ხდება ტექნიკურ მეცნიერებაში, 10%-ზე მეტი მოდის ზუსტ, ეკონომიკურ და სამედიცინო მეცნიერებებზე. მთლიანად 1992 წელს მიღება დოქტორანტურაში გაიზარდა 2,9-ჯერ, მაშინ როცა კურსდამთავრებულთა წილი დისერტაციის დაცვით არ აღემატებოდა 40%-ს.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონეზე მეცნიერულ-ტექნიკური საქმიანობა გულისხმობს საკმარის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას: რთული და ძვირადღირებული ხელსაწყოები და დანადგარები, გამოთვლითი მანქანები, კაპიტალური საკვლევი ნაგებობანი, საზღვაო და საჰაერო ფლოტი, კოსმოსური აპარატურა.

მეცნიერ-სპეციალისტის ფონდით აღჭურვა მეცნიერებაში ჯერ კიდევ 1992 წელს იყო 2-3-ჯერ უფრო დაბალი, ვიდრე მრეწველობაში. საკვლევი აღჭურვილობით მომარაგება ამ პერიოდისათვის მოთხოვნილების 10-15%-ს შეადგენდა. მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება

დაკავშირებულია არა მხოლოდ აგრეგატებისა და ხელსაწყოების რაოდენობასთან, არამედ მათ ხარისხზე და უპირველესად მათ უნიკალურობასა და სპეციალიზირებულობაზე. ამავდროულად, არსებული ხელსაწყოების გამოყენების კოეფიციენტი ძალიან დაბალია – 0,1-0,3%, მაშინ როცა კვლევისათვის საჭირო ხელსაწყოების მომარაგება 10-25%-იან დონეზეა.

არასაკმარისად არის გამოყენებული კვლევითი აღჭურვილობის ექსპლუატაციის კოლექტიური ფორმა, რომელიც განსაკუთრებით მიზანშეწონილია უნიკალური და ძვირადღირებული ხელსაწყოებისა და აგრეგატებისათვის.

მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის მატერიალურ-ტექნიკური მდგენელის გაზომვის გავრცობილი მახასიათებელია ძირითადი ფონდების ზომა (გამოხატული ღირებულებით).

მონაცემების სტატისტიკურ ანგარიშში გამოყოფილია ძირითადი ფონდების ისეთი ელემენტები, როგორიცაა შენობები და აღჭურვილობა, მანქანები და აგრეგატები, სატრანსპორტო საშუალებები. მოქმედი ანგარიში უნდა შეიცვალოს იყოს ინფორმაციით საინჟინრო, სამეწარმეო და სამეცნიერო აღჭურვილობების შესახებ. მონაცემები სამეცნიერო აღჭურვილობაზე (აღჭურვილობაში ჩართული უნდა იყოს საკვლევი დანადგარები და მოწყობილობები, რთული და უნიკალური საზომი და საკვლევი ხელსაწყოები, გამოთვლითი ტექნიკა, სპეციალიზებული საზომი ხელსაწყოები და დანადგარები, ორგტექნიკა და გასამრავლებელი ტექნიკა) წარმოდგენილი უნდა იქნეს როგორც ღირებულებით, ისე რაოდენობრივად. ყოველ დანადგარზე მოცემული უნდა იქნეს მათი დახასიათება და გამოყენების ხარისხი. მიზანშეწონილია გათვალისწინებული იქნეს მონაცემები ლაბორატორიების ფართობებზე, საწარმოო და სხვა შენობებზე, რომელიც მოიცავს საარენდო ფართს.

მეცნიერულ-ტექნიკური საქმიანობის სპეციფიკა (ბუნებრივი რესურსების ნაკლები ხარჯი, ინფორმაციული რესურსების დიდი როლი, განათლების დონე და კადრების კვალიფიკაცია) მატერიალური წარმოებისაგან განსხვავებით, გულისხმობს ასოციაციური სტრუქტურების არსებობას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ინფორმაციის მოპოვება. უმთავრესი რესურსი მეცნიერულ-ტექნიკური მოღვაწეობისა არის მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაცია, რადგანაც

ინფორმაციული ბანკიდან მიღებული მონაცემები 2-3-ჯერ უფრო მომგებიანია, ვიდრე ახალი კვლევების ჩატარება.

ინფორმაცია ორმაგ როლს თამაშობს მეცნიერულ-ტექნიკური შემოქმედების პროცესში: პირველი — ის არის საწყისი მასალა ნებისმიერი კვლევითი სამუშაოსათვის და მეორე, — ის არის შედეგი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისა. წარმოებასა და ინოვაციურ საქმიანობაში მეცნიერულ-ტექნიკური საქმიანობის შედეგების გამოყენება ხდება ინფორმაციის გადაცემით. დღეისათვის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის საინფორმაციო რესურსების კომპლექსური შეფასება არ ხდება. განიხილება ინფორმაციული საქმიანობის მხოლოდ რიცხობრივი მონაცემები, აგრეთვე ხარჯები საინფორმაციო საქმიანობაზე. რამდენადაც ინფორმაციის დამუშავების საშუალებები არსებითად განსაზღვრავს მეცნიერულ-ტექნიკურ საქმიანობას, მიზანშეწონილია კომპიუტერული მოწყობილობების ხვედრითი წონის გათვლა. წარმოების ძირითად ფონდებში, რომელიც ასრულებს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს. საქართველო ძველებურად ჩამორჩება მრეწველობაგანვითარებულ ქვეყნებს მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის განვითარების მხრივ. მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის დაგვიანება 2 წლით უკან სწევს მეცნიერულ-ტექნიკური შედეგების შეფასებას ერთი თაობის ტექნიკისათვის. ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის საკითხები საინტერესოდ არის წარმოდგენილი ლ. ჩიქავას ნაშრომშიც (1", გვ. 135).

მეცნიერულ-საინფორმაციო საქმიანობის ხარჯები საქართველოში არ აღემატება სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ხარჯების 2%-ს, რაც 3-4-ჯერ დაბალია მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. საქართველოში არ არსებობს აგრეთვე ერთიანი ეროვნული კომპიუტერული ქსელი.

უმთავრეს როლს მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის შენახვასა და გავრცელებაში ასრულებს საინფორმაციო სისტემები, რომლებიც კრებენ, ამუშავებენ, ინახავენ მეცნიერულ-ტექნიკურ ინფორმაციას და აერცელებენ მას სწავლულებს, სპეციალისტებსა და მენეჯერებს შორის. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე მსოფლიო დონეზე, ათეულ ათასობით მეცნიერულ-კვლევითი, კონსტრუქტორული ორგანიზაციების არსებობა და ინფორმაციების

გაცვლა განაპირობებს ხარისხს, ვადებსა და დანახარჯების მოცულობას სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე. სწორედ ინფორმაცია იძლევა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების კორექტირების საშუალებას, მიღებული შედეგები კი განაპირობებს მათ წინსვლას. მკვლევარების, კონსტრუქტორების, ინოვაციებზე მომუშავეებისა და სპეციალისტების ინფორმაციული უზრუნველყოფა გავლენას ახდენს მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის განვითარებასა და მის ეფექტიან გამოყენებაზე.

რეფორმამდელ პერიოდში, 1992 წლამდე, მეცნიერულ-ტექნიკური მოღვაწეობის ინფორმაციული უზრუნველყოფა ძირითადად აგებული იყო პირდაპირ კავშირზე დარგობრივი საინფორმაციო ცენტრებისა ყველა წარმოებასა და ორგანიზაციასთან, რომლებიც ამ დარგის თემატიკაზე მუშაობდნენ. სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების განმახორციელებელი ორგანიზაციები და გაერთიანებები წარმოადგენდნენ ინფორმაციებს კვლევების შედეგებზე, კონსტრუქტორულ და საპროექტო დოკუმენტაციებს და ნორმატიულ ტექნიკურ დოკუმენტებს.

ასეთი მეცნიერულ-ინფორმაციული ორგანოების მეცნიერული ცენტრებისა და ბიბლიოთეკების კომერციული მოქმედება მოსახლეობის მაქსიმალურად ფართო წრისათვის ობიექტურ პროცესად ყალიბდება. იგი ვლინდება კომერციული ინფორმაციული ორგანოების ზრდაში, ნაწილობრივ კომერციული სახის მოღვაწეობის გამოყენებაში მეცნიერულ-ინფორმაციული ორგანიზაციების მიერ.

კომერციული საინფორმაციო დაწესებულებების ზრდა ასახავს თანამედროვე ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობების განვითარების პროცესს და ნოვაციებს ერთ-ერთ მთავარ მასობრივ საქონლად წარმოაჩენს. კომერციული საინფორმაციო დაწესებულებების სწრაფვა, საკუთარი პროდუქციის ფასების ზრდისაკენ შეზღუდული უნდა იქნეს არა მხოლოდ კონკურენციით, არამედ საერთო სახელმწიფო პოლიტიკით, რომელიც მიმართული იქნება მონოპოლიზაციის წინააღმდეგ და ხელს შეუწყობს ეკონომიკური სუბიექტებისათვის ინოვაციური პროდუქტის ხელმისაწვდომობას. სახელმწიფო ქსელის საქმიანობა, მიაწოდოს სამეცნიერო ინფორმაცია დაბალ ფასებში ან უფასოდ, დაკავშირებულია იძულებით კომერციალიზაციასთან. მათ

მიერ მიღებული სახელმწიფო ან სპონსორული საშუალებები არ არის საკმარისი აუცილებელი მოცულობის სამუშაოების ჩასატარებლად. ეს ორგანიზაციები კომერციული საქმიანობისაგან მიღებულ მოგებას გამოიყენებენ იმისათვის, რომ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია მიაწოდონ ყველას, ვისაც ის ესაჭიროება. თანაფარდობა კომერციული და არაკომერციული საქმიანობის მოცულობებს შორის დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ საშუალებებზე.

კომერციის ხარისხი მეცნიერულ-საინფორმაციო სფეროში ყოველთვის იქნება შეზღუდული. სამეცნიერო-ინფორმაციული პროდუქციის ნაწილი ყოველთვის მიწოდებული უნდა იქნეს უფასოდ ან საზოგადოებრივ ფასებში, სახელმწიფო დაფინანსების გადანაწილების ხარჯზე. ასეთია პრაქტიკა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, რომლებშიც ეროვნული პროგრამებით გამოიყოფა მნიშვნელოვანი დოტაციები სხვადასხვა საინფორმაციო ინსტიტუტებისათვის, მაგრამ ამ ქვეყნებშიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი საინფორმაციო ორგანიზაციები იძულებულნი არიან მოახდინონ, თავიანთი საქმიანობის კომერცირება, რადგანაც ეკონომიკურად ყველაზე ძლიერ ქვეყანაში, ზე-სახელმწიფოში — აშშ-შიც კი დოტაციური თანხები ვერ უზრუნველყოფენ საინფორმაციო ორგანიზაციების მოთხოვნებს.

სამეცნიერო ინფორმაციის წარმოების კომერციულობის ობიექტური აუცილებლობა გამოწვეულია არა მხოლოდ დოტაციური თანხების ნაკლებობით. კომერციული საინფორმაციო ორგანიზაციები, რომელთა არსებობა დამოკიდებულია მოგების მოცულობაზე, გამოდიან ეკონომიკური ფაქტორის როლში, რომელიც განსაზღვრავს დანახარჯების მოცულობას ინოვაციური პროდუქტის შესაქმნელად. ისინი ექვემდებარებიან საბაზრო მექანიზმის მარეგულირებელ ზემოქმედებას, უზრუნველყოფენ მეცნიერულ-ტექნიკურ სიახლეზე ინდივიდუალური ხარჯების შეფასებას.

სახელმწიფო დოტაციური მხარდაჭერის სისტემა მეცნიერულ-ინფორმაციული წარმოებისადმი ხელს უწყობს დანახარჯების შემცირებას. ასე მაგალითად, სახელმწიფო სექტორში შექმნილი მონაცემთა ბაზა შეადგენს მათი საერთო რიცხვის $^1/_5$-ს, მაგრამ მოაქვს სულ 6%-ის მოგება. როდესაც ინფორმაციული მომსახურება მთლიანად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასეთი საქმიანობის

ეფექტიანობა და რენტაბელურობა მცირდება. საინფორმაციო მომსახურების რეალიზაცია უნდა მოხდეს მარკეტინგის პრინციპით. საინფორმაციო ბაზრის თავისებურებანი პრინციპში იგივეა, რაც მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ბაზრისა. ინფორმაციული ბაზრის სპეციფიკური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას ახასიათებს ზუსტი სეგმენტირება და ინდივიდუალურობა. საინფორმაციო ბაზარზე არ არსებობს ფაქტორები, რომლებიც ართულებენ ბაზრის სეგმენტაციას. ამასთან, ის გაცილებით ფართოა, ვიდრე სხვადასხვა სამრეწველო დანიშნულების საქონლის სპეციალიზებული ბაზრები. ანუ საინფორმაციო ბაზარზე მოქმედებს სეგმენტაციის სხვა კრიტერიუმები, განსხვავებით სამრეწველო და სამომხმარებლო საქონლის ბაზრებისგან.

ბაზრის სეგმენტაციის კონცეფცია ჩაისახა 50-იან წლებში. უ. სმიტი, რომელიც ეყრდნობოდა რობინსონისა და ჩემბერლენის არასრულყოფილი კონკურენციის თეორიას, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დიფერენცირება ბაზარზე არის არა გამონაკლისი, არამედ წესი.

სეგმენტაციის კონცეფციის თანმიმდევრული ასახვა წარმოადგენს თითოეული ინდივიდუალური მომხმარებლის განხილვას, როგორც სპეციალიზებული საბაზრო სეგმენტისა, მაშინ როცა ტრადიციული ეკონომიკისათვის ასეთი მიდგომა გამონაკლისის გარდა არარეალურია, რადგანაც მასთან დაკავშირებულ დანახარჯებს მივყავართ ფასების ისეთ დონემდე, რომ მომხმარებელი ვერ იყიდის ან არ მოისურვებს ასეთი საქონლის ყიდვას.

თანამედროვე პირობებში ინფორმაციული ბაზრისათვის სეგმენტაციის კონცეფციის რეალიზაცია შესაძლებელი ხდება. მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის სტრუქტურა, ანუ სამეცნიერო ორგანიზაციების შემადგენლობა და განვითარება, მათი ურთიერთდამოკიდებულების ფორმები და მათი კავშირი საინფორმაციო და საწარმოო სფეროებთან განსაზღვრავს არსებული საკადრო და საფინანსო რესურსების ეფექტურ გამოყენებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფორმაციულ უზრუნველყოფას.

მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის სტრუქტურა შეიძლება შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს განკარგულებაში მყოფი რესურსების კონცენტრაციის შესაძლებლობებს, საზოგადოებისათვის

პრიორიტეტული პრობლემების გადასაწყვეტად.

საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების ქსელი მოიცავს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და მათ ფილიალებს, დამოუკიდებელ საცდელ-საკონსტრუქტორო და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ ბიუროს, საპროექტო ინსტიტუტებს, კომპლექსურ ინსტიტუტებს, მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტებსა და ცენტრებს, პრობლემურ და დარგობრივ ლაბორატორიებს, ექსპერიმენტულ ბაზებს, საცდელ საწარმოებს, გამოთვლით ცენტრებსა და სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს. საქართველოს მეცნიერების სტრუქტურა წარმოდგენილია აკადემიური და უმაღლესი დარგობრივი სისტემებით. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ჰქონდა მეცნიერული ორგანიზაციების დატოტვილი ქსელი. ფუნდამენტალური კვლევები ძირითადად ტარდებოდა მეცნიერებათა აკადემიის ორგანიზაციებში. ფუნდამენტალური კვლევების ნაწილი კი ხორციელდებოდა უმაღლესი სკოლების ჩარჩოებში. ნებადართული კვლევების უმეტესად მნიშვნელოვანი ნაწილი და შრომების უდიდესი ნაწილი ტარდებოდა მეცნიერულ-ტექნიკურ და დარგობრივ საწარმოო დაწესებულებებში.

ქვეყნის უმაღლესი სკოლა წარმოდგენილია სახელმწიფო და არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებით. უმაღლესებში სამეცნიერო კვლევები ტარდება სპეციალიზებულ სამეცნიერო-კვლევით ქვეგანყოფილებებში, კათედრის პროფესორ-მასწავლებლების პერსონალის მიერ. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობის ძირითადი ფორმებია მათი შეთავსებითი ჩართვა კათედრებზე ხელშეკრულებით საკვლევი თემების კვლევაში. კათედრებზე სახელმწიფო თემების შესრულებაში მონაწილეობა, შეთავსებითი მუშაობა დარგობრივ და პრობლემურ ლაბორატორიებში, სამეცნიერო მუშაობა საზოგადოებრივ საწყისებზე.

უნივერსიტეტის სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებებია: მათემატიკური მოდელირება, ინფორმაციული უზრუნველყოფა, საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია და რობოტიზაცია, იმპულსური ტექნოლოგიების დამუშავება, მასალათდამუშავების პრობლემები და ახალი მასალების მიღების ტექნოლოგიები. ბევრ მიმართულებას აქვს შესაბამისი სტრუქტურული

ქვეგანყოფილება: „ექსპერტიზა, დიაგნოსტიკა, შემოწმება“.

უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეკვეთა-განაწესის საშუალებით, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამებითა და გრანტებით, აგრეთვე სამეურნეო ხელშეკრულებებით. დაფინანსების არასაბიუჯეტო ხარჯების გაფართოება არის უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელთა სტრატეგიული მიზანი.

მაგრამ მთლიანობაში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების წვლილი კვლევებში არ შეესაბამება მათ საკადრო პოტენციალს. ქვეყნის სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური თანამშრომლების 30% აწარმოებს კვლევებს, რომელიც მეცნიერებაზე გაწეული ხარჯების მხოლოდ 7%-ს შეადგენს. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ უმაღლესი სასწავლებლები ნაკლებად არის ჩართული სახელმწიფო, დარგობრივი და რეგიონული პროგრამების შესრულებაში. არ ტარდება მსხვილი დისციპლინათაშორისი კვლევები. უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-ლაბორატორიული, ექსპერიმენტული და კვლევითი-საკონსტრუქტორო ბაზები ითხოვენ გაძლიერებას.

1991 წლამდე მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის უმეტესი ნაწილი თავმოყრილი იყო დარგებში. დარგობრივი მეცნიერების სამეცნიერო დაწესებულების ქსელი მოიცავს სამეცნიერო დაწესებულებებს, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ბიუროებს, მეცნიერულ-ტექნიკურ ცენტრებს, მეცნიერულ-ტექნიკურ ქვეგანყოფილებებსა და ლაბორატორიებს. ბევრი დარგობრივი მეცნიერულ-ტექნიკური დაწესებულება შედიოდა მეცნიერულ-საწარმოო გაერთიანებებში. მრეწველობის დარგებს გააჩნდათ განვითარებული საცდელი წარმოებები, ექსპერიმენტული ბაზა, საინფორმაციო სამსახური, რომელიც წარმოდგენილი იყო მეცნიერულ-ტექნიკური საინფორმაციო ცენტრებით, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების საინფორმაციო ქვეგანყოფილებებით, საწარმოებითა და გაერთიანებებით. საწარმოო გაერთიანებებსა და წარმოებებში მეცნიერულ-ტექნიკური ქვეგანყოფილებების ძირითად ტიპებს წარმოადგენდნენ ცენტრალური საქარხნო ლაბორატორიები და საპროექტო-საკონსტრუქტორო განყოფილებები, მცირე ქვეგანყოფილებები, რომლებიც ასრულებდნენ

სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს.

რიგ რეგიონებში ფუნქციონირებდა გაერთიანებები, რომლებიც მოიცავდნენ სხვადასხვა სისტემისა და უწყებების მეცნიერულ-ტექნიკურ ორგანიზაციებს – აკადემიური სამეცნიერო დაწესებულებები, უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო ქვეგანაყოფები, დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საკონსტრუქტორო ბიუროები, საწარმოო დაწესებულებები. ასეთ გაერთიანებებში ცალკეული ორგანიზაცია და დაწესებულება ინარჩუნებს იურიდიულ დამოუკიდებლობას, ხოლო გაერთიანება ასრულებს კოორდინატორის როლს.

რეგიონებში მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის შენარჩუნებისა და გაძლიერების პრობლემები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ. ყოველ რეგიონს გააჩნია სპეციალიზებული მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი. ერთიანი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ცალკეული ელემენტები (საკადრო მატერიალურ-ტექნიკური, ინფორმაციული, ფინანსური) უკიდურესად არათანაბრად არის გადანაწილებული რუსეთის მთელ ტერიტორიაზე. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი 80-იან წლებში შთანთქავდა მეცნიერულ კვლევებზე სახელმწიფო ხარჯების 75%-ს, რის გამოც მისი პროდუქციის მეცნიერტევადობა 20-ჯერ აღემატებოდა სამოქალაქო დარგებს.

90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი გამოირჩეოდა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მაღალი დონით. განვითარება ჰპოვა მრავალმა მეცნიერულმა მიმდინარეობამ, რომლებიც საზღვარგარეთ არ ტარდებოდა. მათ რიცხვს მიეკუთვნება ფიზიკის რიგი მიმდინარეობა (აკუსტიკა, ოპტიკა, მყარი სხეულების ფიზიკა, კვანტური ელექტრონიკა) ზოგადი და ტექნიკური ქიმია (კოლოიდური ქიმია, ფიზიკურ-ქიმიური მექანიკა, ქიმიური ფიზიკა, ელექტროქიმია, მაღალი ენერგიების ქიმია), ფიზიკო-ქიმია, არაორგანული მასალების ტექნოლოგია (მეტალურგიის ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლები: ქიმიური ტექნოლოგიების თეორიული საფუძვლები), ენერგეტიკა (ბირთვული ენერგეტიკა, ზეგამტარიანობის ენერგეტიკა), გეოლოგიური მეცნიერება, ინფორმატიკა, კვლევები ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიურ დარგში, ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის სტრუქტურული საფუძვლები და ა.შ. ამავე დროს შეიმჩნეოდა

ძლიერი ჩამორჩენა მსოფლიო დონიდან ინფორმატიზაციის დარგში (ინფორმაციულ-გამოთვლითი ქსელი, პრობლემურ-საორიენტაციო სისტემები და მეცნიერებათა ბაზები), მყარი სხეულის ფიზიკის რიგ მიმართულებებში, ენერგეტიკაში, ბიოქიმიაში და სხვა.

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის სერიოზული პრობლემებია:

— ეკონომიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების მოუთხოვნელობა;

— მეცნიერულ-ტექნიკურ სიახლეებზე წამახალისებელი მოთხოვნების არქონა;

— სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სფეროში არასაკმარისად მაღალი ეფექტიანობა, რომელიც აწინაურებს ციკლს „კვლევა-შექმნა მეცნიერულად ტევადი პროდუქციისა“;

— სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში დაკავებულთა გაზრდილი რიცხვი, დაკავებულთა ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესება (ყოფილ საბჭოთა კავშირში 40 წელს გადაცილებულ მეცნიერ თანამშრომელთა რიცხვი შეადგენდა 54%-ს, მათ შორის დოქტორებისა და კანდიდატებისა — 77%); ამჟამად საქართველოში ამის სტატისტიკა არ არსებობს.

— მწირი დაფინანსება და არადამაკმაყოფილებელი კავშირი წარმოებასთან.

ეს პრობლემები რეფორმების პერიოდში კიდევ უფრო გამწვავდა, რაც დაკავშირებულია რეალური დაფინანსების შემცირებით და ფაქტობრივად სახელმწიფო მხარდაჭერის არქონით. ეკონომიკური კრიზისის პირობებში მკვეთრად შემცირდა მოთხოვნა მეცნიერულ შრომებზე, მდორედ ვითარდება საბაზრო პირობებისათვის ადეკვატური კავშირები მეცნიერებასა და წარმოებას შორის.

70-80-იან წლებში საქართველოს მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი ვითარდებოდა ექსტენსიურად; ანუ რაოდენობრივი ზრდის პროცესში, შეინიშნებოდა ხარისხის დონის შემცირება. საერთო კრიზისის პირობებში 90-იან წლებში მკვეთრად შემცირდა რაოდენობრივი მაჩვენებლები. მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ხარისხობრივი დონის ვარდნა გამოიხატა ახალი ტექნიკის ნიმუშების, აღჭურვილობის, აპარატების, ხელსაწყოების, ავტომატიზაციის

საშუალებების შემცირებაში. ეს ნეგატიური ტენდენცია შეიმჩნეოდა ჯერ კიდევ 1981-86 წლებში (35%), მაგრამ 1991 წელს მოხდა მათი შემცირება (23%-ით) 1990 წელთან შედარებით. გრძელდებოდა ახალი ტიპის ტექნიკის წილის შემცირება. 1987 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 9,5%, 1990 წელს – 3,9%. 90-იან წლებში სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დანახარჯის წილმა შეადგინა (0,75-1,23%) და გაუტოლდა 50-იანი წლების დონეს.

სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ერთადერთი მაჩვენებელია საბიუჯეტო ასიგნაციების წილი ფუნდამენტალურ კვლევებზე და ცენტრალური ბიუჯეტის საერთო ხარჯებიდან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისადმი მხარდაჭერა.

მკვეთრად შემცირდა ხარჯები მეცნიერებაზე, მათი წილი ეროვნულ შემოსავალში შემცირდა 3,6%-დან 1990 წელს 0,73%-მდე 1996 წელს. მაშინ როცა ის შეადგენს: იაპონიაში – 3%-ს, გერმანიაში – 2,8%-ს, აშშ-ში – 2,75%-ს, საფრანგეთში – 2,4%-ს. წამყვან ქვეყნებში სახელმწიფოს წილი შეადგენს (მშპ) მთლიანი შიდა პროდუქტის 1%-ს, ან 33%-ს საერთო დაფინანსებისა, რაც წარმოადგენს ზღვრულ მნიშვნელობას, რომლის ქვემოთაც იწყება მეცნიერულ-ტექნიკური პროცესის რღვევა [11, გვ.122].

საქართველოში წარმოების მიერ ინოვაციური პასიურობის გამო მეცნიერების შენახვა პრაქტიკულად ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯზე. ფუნდამენტურ კვლევებზე ხარჯების წილი მეცნიერებაზე ყოფილ სსრკ-ში შეადგენდა შიდა მიმდინარე ხარჯების 10%-ს. ამჟამად ეს მაჩვენებელი შენარჩუნებულია 12-16%-ის დონეზე.

მშპ მოცულობის შეკუმშვის გათვალისწინებით ხარჯები სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე შემცირდა 1990 წლიდან 1998 წლისათვის 15-18-ჯერ, რამაც გამოიწვია ხანგრძლივი ფუნდამენტური კვლევების შეწყვეტა, ამიტომ მცირე ტექნიკური სიახლეების ძირითადი წილი არის იმის გამეორება, რაც უკვე გაკეთდა, რამაც გამოიწვია არაკონკურენტუნარიანობა მსოფლიო და შიდა ბაზარზე.

მეცნიერ-მუშაკების ანაზღაურება დაბალი რჩება, მაშინ როცა 1990 წელს მეცნიერებით დაკავებულთა ხელფასი იყო საშუალოზე

12,5%-ზე მეტი, ამჟამად ის 25-40%-ით დაბალია. მეცნიერული შრომის პრესტიჟი დაეცა. მეცნიერულ-ტექნიკური კადრების მომზადების სისტემაში მოხდა ცვლილებები. გრძელდება მეცნიერთა კადრების დაჩქარებული როტაცია მეცნიერებიდან სხვა დარგებში. ყოველწლიურად კონტრაქტის საფუძველზე საზღვარგარეთ ბევრი უმაღლესი და მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერი მიემგზავრება.

ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის პირობებში აუცილებელია სტაბილიზაციის შენარჩუნება და გადასვლა ეკონომიკურ ზრდაზე, აუცილებელია მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის შესანარჩუნებლად ღონისძიებათა სისტემის შემუშავება.

მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის შენარჩუნება და ზრდა საქართველოში დაკავშირებულია როგორც ეკონომიკური ზრდის აღდგენასთან, ისე ინოვაციური პოტენციალის ფორმირებასთან, რომელიც უნდა წარმოადგინონ ორგანიზაციებმა, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკურ საქმიანობას მიიყვანენ მათ პრაქტიკულ გამოყენებამდე, აგრეთვე იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ემსახურებიან ინოვაციური მომსახურების ბაზარს.

1.5. ინოვაციური პოტენციალი ეკონომიკაში

ინოვაციური განვითარების საკითხები თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებათა წამყვან საკითხებს განეკუთვნება. ეკონომიკური ზრდის ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი ინოვაციური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება. ქვეყნის ინოვაციურ პოტენციალს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის, სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პროგრამების კომპლექსის დამკვიდრებისათვის, ასევე მეურნეობრიობის საბაზრო პირობებისადმი მისადაგებული ინოვაციური სტრუქტურებისა და ინსტიტუტების დამკვიდრებისათვის, რომლის მიზანსაც წარმოადგენს წარმოების სფეროში სამეცნიერო იდეათა (მსვლელობის) უზრუნველყოფა ჩასახვიდან პრაქტიკულ გამოყენებამდე.

„პოტენციალი" (ლათ. potentia–ძალა) ფართო მნიშვნელობით გულისხმობს–საშუალებებს, მარაგს, წყაროებს, რომლებიც არსებობს

და მათი გამოყენება რაიმე მიზნის მისაღწევად ან გეგმის განსახორციელებლად რომელიმე განსაზღვრულ სფეროში შეიძლება.

როგორც არისტოტელე აღნიშნავდა, პოტენცია, როგორც ახალ განსაზღვრულობათა წარმოშობის შესაძლებლობა, თვით რეალურ სინამდვილეშია ფესვგადგმული. მოძრაობა მატერიის განუყოფელი თვისებაა და მისი ერთი ფორმიდან (მდგომარეობიდან) მეორეში გადასვლაში გამოიხატება, ანუ პოტენციიდან განხორციელებაში (ე.წ. ენტელეხია). პოტენციალი ახასიათებს მოძრაობის უნარს, მატერია გადაიყვანოს რეალურად არსებულიდან ახალ მდგომარეობაში, რამეთუ მატერია (სინამდვილე) აქტუალური და პოტენციური არსის ერთობად გვევლინება. თვით სინამდვილე ფაქტიური (არსებითი) მხრიდან რეალური სინამდვილის კონკრეტულ ფორმებში რეალიზდება, რომლებიც აზრობრივი (არსობრივი) თვალსაზრისით სინამდვილეში, როგორც პოტენციაში არიან დაფუძნებულნი. მატერია მხოლოდ პოტენციურობის მინიჭებით იძენს არსებობას, რომელიც ცვალებადობის უნარით წარმოგვიდგება და ჩადებულია თვით მატერიაში (რეალურ სინამდვილეში). ამასთან, თვით ცვლილებები შეიძლება თავად გაფორმებულ (კონკრეტულ), ცვლილებებს დაქვემდებარებულ, ნივთში აღმოვაჩინოთ, ან მისთვის უცხო ნივთების მიერ გამოწვეულად მოვნათლოთ. პოტენციას არისტოტელე განიხილავს როგორც ნივთის ცვლილების საწყისს, როგორც მოძრაობის უნარს და ამ მოძრაობის მოაზრების შესაძლებლობასაც. ყოველ ნივთს ორგვარი პოტენცია გააჩნია – სხვა მდგომარეობაში გადასვლა და საკუთარი მდგომარეობის უცვლელად შენარჩუნება.

თანამედროვე ეკონომიკური ცოდნა „პოტენციალს" ფიზიკას დაესესხა, სადაც ის განსაზღვრავს იმ ენერგიის რაოდენობას, რომელიც სისტემამ დააგროვა და რომლის რეალიზებაც მუშაობის პროცესში შეუძლია. ამ მხრივ საინტერესო მოსაზრებები გააჩნია გ.მ. დობროვს, რომელმაც სამეცნიერო პოტენციალის კონკრეტულ მაჩვენებელთა ჯგუფები გამოყო (კადრებით უზრუნველყოფა, მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო უზრუნველყოფა, სამეცნიერო სისტემის ოპტიმალური ორგანიზაცია). სამეცნიერო პოტენციალი წარმოადგენს ხარისხობრივი (სამეცნიერო რესურსები) და რაოდენობრივი განსაზღვრულობის (მეცნიერების განვითარების დონე) ერთობლიობას, სინამდვილის ერთობლიობის საზომს, ანუ მეცნიერებით მიღწეულს, შესაძლებელს.

ე.ი. მეცნიერების ხარისხობრივი და რაოდენობრივი პარამეტრების სრულად გამოყენების შემთხვევაში მისაღწევს.

ზემოთ აღნიშნული სამეცნიერო პოტენციალის განსაზღვრება მდიდრდებოდა ახალ სტრუქტურულ ელემენტთა ჩართვის ხარჯზე (მაგ.: ცოდნის დაგროვების და ა.შ.), ასევე ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის მსოფლიო დონესთან მიახლოების ხარჯზე. მეცნიერები მმართველი სუბიექტის პოტენციალის საფუძველს განიხილავენ როგორც „შრომის საშუალებათა და საგანთა, თვით მუშაკთა და მათ შორის არსებულ ურთიერთობათა, მათ უნართა, მოტივთა და სტიმულთა სისტემურ ერთობლიობას, რაც შრომითი ტრადიციების საფუძველზე წლების განმავლობაში მკვიდრდებოდა"[4, გვ. 23].

„ინოვაციური პოტენციალის" ცნება ინოვაციური საქმიანობის ფენომენის კონცეპტუალურ გამოსახულებად იქცა. ის მეთოდოლოგიური, თეორიული და ემპირიული გამოკვლევების მსვლელობისას იშლებოდა და ზუსტდებოდა, ამასთან, განვითარება 80-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო.

ავტორები თავიანთ მრავალრიცხოვან გამოკვლევებში მთელ ძალისხმევას ინოვაციური პოტენციალის ცალკეულ მხარეთა გამოკვლევას ახმარენ, ამიტომაც ლიტერატურაში ხშირად წარმოდგენილია ისეთი სფეციფიკური განსაზღვრებანი, რომლებიც ნაკლებად შეესაბამება ერთმანეთს. ეკონომიკურ ლიტერატურაში ინოვაციურ პოტენციალს, როგორც წესი, შემდეგ ცნებებთან აიგივებენ. ესენია: სამეცნიერო, ინტელექტუალური, შემოქმედებითი და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი.

ამჟამად არ არსებობს ერთიანი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორი ეკონომიკური სფერო იგულისხმება მოცემულ ცნებაში. „ინოვაციური პოტენციალის" ცნების ეკონომიკურ ასპექტთა ანალიზი მის შესასწავლად მიდგომათა ფართო სპექტრს ავლენს. ინოვაციური პოტენციალის არსის განხილვისას მას უნდა მიეუდგეთ როგორც ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც ცნებათა იერარქიულად ორგანიზებულ სისტემას წარმოადგენს. ამასთან, განსახილველ ცნებაში აშკარა ხდება არა ძირეულ კატეგორიათა ერთობლიობა, არამედ ლოგიკურად გამომდინარეთა, ანუ ერთმანეთის მიმართ სუბორდინირებულთა და კოორდინირებულთა იმ ეკონომიკური ურთიერთობებიდან გამომდინარე, რომელთაც ისინი ასახავენ. სწორედ

ამაში მდგომარეობს ინოვაციური პოტენციალის მრავალდონიანი არსი.

ინოვაციური პოტენციალის რესურსთა ბაზის ფორმირების მიზნით წარმოშობილი ეკონომიკური ურთიერთობანი უშუალოდ წარმოების სფეროში ახასიათებენ შესაბამისად ინოვაციურ პროცესს (მეორე დონე) და მატერიალურ წარმოებას (ეკონომიკურ ურთიერთობათა მესამე დონე).

ზემოთაღნიშნული მიდგომა ყველაზე ადეკვატურად ასახავს ინოვაციური საქმიანობის მიერ განხორციელებულ შუამავლის ფუნქციას. ნებისმიერი ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის მდგომარების სწორი შეფასება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ინოვაციური საქმიანობა უწყვეტ ერთიანობაში იქნება განხილული სამეცნიერო–ტექნიკურ და საწარმოო საქმიანობასთან მიმართებაში. ანუ მეცნიერება, ინოვაცია და წარმოება ერთ მთლიან ორგანულ სისტემას წარმოადგენენ. საქმიანობის ამ სამი სახეობის გარდაქმნა ერთიან სისტემაში „მეცნიერება–ინოვაცია–წარმოება" წარმოადგენს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის გაშლის პირობასა და შედეგს. ამ სისტემის თითოეული რგოლის პოტენციალს უნარი შესწევს, მაქსიმალურ ეფექტიანობას მიაღწიოს არა თავისთავად, არამედ სხვებთან მჭიდრო ურთიერთობით. ამ სისტემის ფარგლებში მეცნიერება ფუნქციონირებს როგორც უშუალო ძალა.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ იმ ცნებათა ეკონომიკური შინაარსი, რომლებიც წარმოქმნიან კომპლექსურ ეკონომიკურ კატეგორიას – „ინოვაციურ პოტენციალს". ინოვაციური საქმიანობის სამეურნეო რესურსთა ეკონომიკური ცნება სარგებლიანობას გამოხატავს, როგორც რესურსთა თვისებას; რესურსის სამომხმარებლო ღირებულებას, როგორც სარგებლიანობის საზოგადოებრივ ფორმას; რესურსულ პოტენციალს, როგორც რესურსთა სამომხმარებლო და გაცვლითი ღირებულების ერთიანობას.

ლიტერატურულ წყაროთა უმრავლესობაში ინოვაციური პოტენციალი „რესურსთა ერთობლიობად" მოიხსენიება (რასაც პირობითად შეიძლება რესურსული მიდგომა დავარქვათ). ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ ინოვაციური პოტენციალის ბუნებისა და საზღვრების ცნებას ჩავწვდებით. რამეთუ ინოვაციური პოტენციალი არ დაიყვანება რესურსებზე მთლიანად

თუნდაც იმიტომ, რომ გამოყენების განსხვავებულ პირობებში თანაბარი სამეურნეო რესურსები არ წარმოადგენს ერთიანი ეკონომიკური შედეგების გარანტიას. გარდა ამისა, ინოვაციური პოტენციალის რესურსთა ერთობლიობის მეშვეობით განსაზღვრა მიზანშეწონილია როგორც ემპირიული განზოგადების საწყისი სტადია.

ინოვაციური პოტენციალი შეიცავს გამოყენებულ, დაფარულ შესაძლებლობებს დაგროვილი რესურსებისა, რომლთა ამოქმედებაც შესაძლებელი ხდება ეკონომიკურ სუბიექტთა მიზნების მისაღწევად.

საინტერესოა კ. მისკოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პოტენციალი რეალიზებულ და არარეალიზებულ პერსპექტივას წარმოადგენს. ის რესურსული პოტენციალის ამ ცნებას იყენებს, როგორც საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესში რესურსების გამოყენების რეალიზებული და არარეალიზებული შესაძლებლობების ჯამურ სიდიდეს, და შემდეგ დასკვნას აკეთებს: პოტენციალის გაზრდა მდგომარეობს არა მისი მოცულობითი მახასიათებლების სიბრტყის ზრდაში, არამედ რესურსთა ღრმა სტრუქტურულ-კომპონენტურ ანალიზში.

ინოვაციური პოტენციალის რესურსული შემადგენლობა დამოკიდებულია ინოვაციურ პროცესში სამეურნეო რესურსის ყოველი ერთეულის გამოყენების შესაძლებლობაზე. ინოვაციური საქმიანობის ინტენსიფიკაცია საშუალებას იძლევა, გავზარდოთ რესურსული მდგენელის გამოყენების ეფექტიანობა, შესაბამისად, მთლიანად ინოვაციური პოტენციალიც.

ინოვაციური პოტენციალის რესურსული ელემენტების გამოყოფის ძირითად პრინციპს წარმოადგენს მათი ფუნქციური როლი ინოვაციურ პროცესში. გარდა საკმარო, ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ინფორმაციული, ორგანიზაციული შემადგენლობისა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში არანაკლები მნიშვნელობა გააჩნიათ ფინანსურ რესურსებსაც, რომლებიც დანარჩენი ელემენტების რეალიზაციის პირობებს უზრუნველყოფს და მათი რაოდენობრივი შემფასებლის როლს ასრულებს.

ინოვაციური პოტენციალის ფინანსური რესურსები შემდეგ ფუნქციებს ასრულებენ:

- ფინანსურ საშუალებათა შემოსავლის უზრუნველყოფა ინოვაციურ პროცესთა შესასრულებლად;
- ინოვაციური პროცესის ეტაპების მიმდინარეობის შესაბამისად

შემოსული ფინანსური რესურსების აუცილებელი ელასტიურობის რეალიზაცია;

- ინოვაციურ პროცესთა განხორციელებაზე ზემოქმედება;
- ინოვაციათა დასამუშავებლად საჭირო სტიმულებისა და პირობათა შექმნა;
- ინოვაციური პროექტების თემატიკის შერჩევაზე ზემოქმედების მოხდენა, თვით ინოვაციური სფეროს განვითარებისა და ფუნქციონირების მოთხოვნების შესაბამისად;
- ინოვაციებზე დანახარჯთა ეფექტური ფორმირების ხელშეწყობა.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ინოვაციური პოტენციალის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ისინი მის ნივთობრივ საფუძველს წარმოადგენენ, განსაზღვრავენ პოტენციალის ტექნიკურ-ტექნოლოგიურ ბაზას, ზემოქმედებენ ინოვაციური საქმიანობის მასშტაბებსა და ტემპებზე. მატერიალურ-ტექნიკური რესურსები იქმნება საწარმოო საშუალებათა დამამზადებელ სფეროებში. ამ სფეროებს მაღალი ტექნოლოგიური დონე უნდა გააჩნდეთ (როგორც გამოყენებადი ტექნოლოგიებისა, ისევე გამოშვებული პროდუქციისა). ინოვაციური პოტენციალი, თავის მხრივ, იმ სფეროებზე ზემოქმედებს, რომლებიც მას მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფს. ეს, უპირველეს ყოვლისა, შეეხება იმ სფეროებს, რომლებიც მაღალ ტექნოლოგიებს იყენებენ და თავად საჭიროებენ ახალ ტექნოლოგიურ შემოთავაზებათა გადაწყვეტას ახალი ტექნიკის შექმნისა და გამოყენებისას.

ინოვაციური პოტენციალის ფორმირება გართულებულია მატერიალურ რესურსთა მიღების არსებული შესაძლებლობებით. ამიტომაც ის ორიენტირებული უნდა იყოს არამატერიამომცველ სიახლეთა შექმნაზე, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, მაქსიმალურად კომპლექსურად გამოვიყენოთ ეროვნულ ეკონომიკაში არსებული ნედლეულის ბაზა, მასალათა ახალი სახეობები, ეკოლოგიურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში ჩატარდეს ნარჩენთა უტილიზაცია და იმ მოთხოვნათა დაკმაყოფილება, რასაც საზოგადოება მწარმოებლებს უყენებს.

ინოვაციათა გამოყენების შესაძლებლობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ენერგორესურსებზე, რომელთაც შემცირებისა და გაძვირების მდგრადი ტენდენცია გააჩნიათ. ეს წინა პლანზე აყენებს

ენერგიის მოხმარების რაციონალიზაციის პრობლემებს ყველაზე ინოვაციურ პროცესებში და ენერგოშემნახველ ტექნოლოგიათა შექმნას, ასევე ენერგოუზრუნველყოფის ახალ წყაროთა დამუშავებას.

ტექნიკური ხასიათის ფაქტორთა შორის მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტანდარტიზაცია, რომელიც სიახლეთა სწრაფი ათვისებისა და მათი მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანად გადაქცევის შესაძლებლობას იძლევა. სტანდარტიზაცია, პირველ რიგში, იმ სფეროთა პროექტებშია აუცილებელი, რომლებიც წარმოების საშუალებებს აწარმოებენ, სადაც შეუძლებელია შემადგენელ ელემენტთა მთელი ნომენკლატურის დამზადება საბოლოო პროდუქტის უშუალო მწარმოებლის მიერ. პირადი მოხმარების მომსახურე სფეროებში სტანდარტიზაცია შესაძლოა ნეგატიურ გავლენასაც ახდენს, რამდენადაც ის გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტის განახლების შესაძლებლობას ამცირებს.

ინფორმაციის ფორმით ახალი ცოდნის მიღება ინოვაციურ სფეროში ხორციელდება სამეცნიერო ცენტრებიდან, საწარმოებიდან, უმაღლესი სკოლიდან, სპეციალური გამოცემებიდან.

შესაბამისად, ინოვაციური პოტენციალი რესურსულ პოტენციალს საკუთარი ნაწილის სახით მოიცავს, რომელიც, თავის მხრივ, ძირეულ ცნებას წარმოადგენს კონკრეტულ სამეურნეო რესურსებთან მიმართებაში; რომლებიც ინოვაციურ საქმიანობაში გამოიყენება და ამ საქმიანობის მიმართულებებსა და შესაძლებლობებს განსაზღვრავს. რესურსი, როგორც ცნება, უკვე მოიცავს თავის თავში მის განსაზღვრულ სოციალურ–ეკონომიკურ ფორმაში გამოყენების შესაძლებლობას.

მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მარტო რესურსების მატერიალური ასპექტი, გასათვალისწინებელია ისიც, რომ რესურსები სამეურნეო ბრუნვაში განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობების პირობებში ერთვებიან. რესურსები „შესაძლებლობათა ერთობლიობას საზოგადოებრივი წარმოების განვითარებას" წარმოადგენს. რესურსები, რომლებიც ინოვაციურ პროცესში შესაძლოა გადამუშავდეს, იყვნენ, ინოვაციური პროდუქტის მიღებას უზრუნველყოფს. თუმცა ამგვარი საქმიანობის საბოლოო შედეგები გარკვეული მნიშვნელობით, შემდეგი ან ახალი ინოვაციური პროცესის საწყისის რესურსად იქცევიან. ამიტომაც ისინი (საბოლოო შედეგები)

ასევე შეიძლება განიხილონ მისი რესურსების სახით.

ინოვაციური საქმიანობის რესურსი იმ ფაქტორად იქცევა, რომლის ინოვაციური ციკლის ჩარჩოში გამოყენებაზეც (რომელიც ინოვაციური პროდუქტის შექმნისა და დიფუზიის ხანგრძლივობას განსაზღვრავს) შემდეგი შეზღუდვები ვრცელდება:

- მასში მოთხოვნის მოცულობა მის არსებით მოცულობას შეეფარდება, რომელიც ბუნებასა და საზოგადოებაში არსებობს (დანაზოგის სახით);
- მოცემული ფაქტორის გამოყენების ინტენსივობა დამოკიდებულია მის დანაზოგთა მოცულობაზე და ინოვაციურ პროცესში განხორციელებულ ფაქტორთა მოსაზიდად გაწეულ დანახარჯებზე.

ინოვაციური პოტენციალის ეკონომიკური მხარე უკავშირდება მის წარმომქმნელ აგენტთა საქმიანობასა და ურთიერთმიმართებას შეზღუდულ რესურსთა სფეროში, რომლებიც ინოვაციურ პროცესში არიან ჩართულნი. მასში მოთხოვნილების ფაქტორთან შეფარდება მოცემულ ფაქტორს ეკონომიკური რესურსის კატეგორიას მიაკუთვნებს. მსგავსი შეზღუდულობა ინოვაციური საქმიანობის რესურსებზე საკუთრების პრობლემის წარმოშობას უწყობს ხელს. ინოვაციურ საქმიანობაში რაიმე ფაქტორის შეზღუდულობის გაცნობიერება განაპირობებს რესურსებსა და მისი წყაროების გამოყენების იურიდიულ ნორმათა გამომუშავებას (საკუთრების სუბიექტთა პერსონალიზაციით), ასევე მესაკუთრეთა ურთიერთობების იურიდიულ კლასიფიკაციასა და რესურსთა გამოყენებას. ამგვარად, ინოვაციური პოტენციალის აუცილებელ თვისებად გვევლინება მისი გამოყენების სამართლებრივი რეგლამენტაცია.

ინოვაციურ პოტენციალში მიზნებისა და რესურსების ურთიერთზემოქმედებას რთული ურთიერთკავშირი გააჩნია. არსებულ და პროგნოზირებად რესურსთა მოცულობა და სტრუქტურა განსაზღვრავს ინოვაციური პოტენციალის რაოდენობრივ პარამეტრებს და ინოვაციური საქმიანობის საგნობრივ შინაარსს. შესაბამისად, ინოვაციური პოტენციალის მიზნები და რესურსები მისი განვითარების საინფორმაციო და საგნობრივ ფაქტორთა განუყოფელ ერთიანობას წარმოქმნის. მიზანთა და რესურსთა უშუალო შეთავსება ხორციელდება ინოვაციურ პოტენციალთა რეალიზაციის

მსვლელობისას სოციალურ-ეკონომიკური სუბიექტების პროექტების რეალიზაციით.

ნაციონალური ეკონომიკისა და ცალკეულ სუბიექტთა ინოვაციური პოტენციალის დაგროვებისა და გამოყენების პროცესში რესურსები ორ ძირითად ფუნქციას ასრულებენ:

- წარმოადგენენ ინოვაციური საქმიანობის გეგმის მიზანთა მიღწევის მატერიალურ-საგნობრივ და ინფორმაციულ ბაზას;
- წარმოადგენენ მართვის ობიექტს, რომლის განვითარებაზეც ინოვაციური საქმიანობის ერთ-ერთი მიზანთაგანია მიმართული.

თანამედროვე პირობებში საზოგადოებრივი წარმოების ინოვაციური პოტენციალის მიზანმიმართული მართვა შემდეგ ძირითად თავისებურებათა აღრიცხვას გულისხმობს:

- ეკონომიკურ სუბიექტთა ინოვაციური განვითარების რესურსული ბაზის შემადგენლობის, სტრუქტურისა და დინამიკის გართულებას;
- რესურსთა გამოყენების ვარიანტების გაფართოებას ინოვაციური საქმიანობის მიზანთა მისაღწევად;
- ალბათობით ფაქტორთა როლის გაზრდას, რაც ინოვაციური პოტენციალის რესურსთა გამოყენების მიმართულების განსაზღვრას უკავშირდება;
- სახელმწიფოს ფუნქციათა გაძლიერებას ინოვაციურ რესურსთა ეფექტიანი გამოყენებისა და მობილიზაციისათვის;
- ინოვაციური რესურსების გამოყენების ინტენსიფიკაციის მზარდ მნიშვნელობას და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

მსგავსი პოზიცია ემთხვევა თ.ს. ხაჩატუროვის მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომელიც რესურსს განსაზღვრავს როგორც „საწარმოო ძალას“ (შესაძლებლობას, უნარს), რომელიც არსებობს (კინეტიკურია) და გამოყენებადია (პოტენციალურია)”. პოტენციალი წარმოადგენს რესურსის საწარმოო ძალის გამოყენების დაფარულ შესაძლებლობას, რომელსაც თვით „არსებული რესურსი“ შეიცავს.

პოტენციალთან მიმართებაში ლიტერატურაში დიდი ადგილი ეთმობა სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს, საზოგადოებრივ წინაპირობებს, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკური სივრცის თავისებურებას გამოხატავს, რაც ეკონომიკური სუბიექტების მიერ რესურსთა

სხვადასხვა ფორმით გამოყენების შედეგად წარმოიქმნება და საზოგადოებრივ ურთიერთობებში ერთიანდება. ამ ურთიერთობათა სისტემის გაჯლით რეალიზდება რესურსთა სასარგებლო თვისებები, გარდა ამისა ხორციელდება აგრეთვე გარეგან ფაქტორთა პოტენციალის სიდიდეზე ზემოქმედებაც.

ერთიანი ციკლი — „მეცნიერება-ინოვაცია-წარმოება", თანამედროვე ეპოქაში განვითარებული ქვეყნებისათვის უმეტესწილად განისაზღვრება მასში გაბატონებული ეკონომიკური წყობილებით.

ეკონომიკურ ურთიერთობებს საწარმოო ძალებთან საკუთარი შესაბამისობით ან შეუსაბამობით, შეუძლიათ ამ განვითარების, მათ შორის მეცნიერების შეფერხება ან დაჩქარება.

ინოვაციური საქმიანობის სოციალურ-კულტურულ რესურსთა გამოყენება, რომლებიც არასამეურნეო საზოგადოებრივი სფეროებიდან მიმდინარეობენ, გამოხატულებას პოულობენ კულტურულ ორიენტაციებში, ქცევის ნორმებში, ინოვაციური პროცესის სუბიექტთა ღირებულებებში და ა.შ. იგივე რესურსები, განხილული როგორც ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობის საწყისი პირობები, იმ ფაქტორებად გვევლინება, რომლებიც წინასწარ განსაზღვრავს სხვადასხვა ვარიანტებს და, შესაბამისად, — ინოვაციური საქმიანობის ორგანიზების ნაციონალური მეთოდების განსხვავებულ ეფექტიანობასაც, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ სისტემათა პირობებში.

და მაინც, პოტენციალი არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ რესურსთა ერთობლიობად და მათი გამოყენების შესაძლებლობებად. წარმოების ორგანიზაციისას რესურსები არ შეიძლება იყოს უბრალო ნაკრების მდგომარეობაში. რესურსთა გამოყენება ყოველთვის მიზანორიენტირებულია, ისინი გარკვეული სახით უნდა იყვნენ ორგანიზებულნი საზოგადოებისა და მეურნეობის სუბიექტთა მოთხოვნილებების რეალიზაციისათვის.

შესაბამისად, რესურსული პოტენციალი განხილული უნდა იყოს როგორც სამეურნეო რესურსთა ორგანიზაციის იერარქიული სისტემა. ინოვაციური პოტენციალის რეალიზაცია საბაზრო სივრცეში დამოკიდებულია რესურსთა მატერიალურ-საგნობრივ ნაწილზე, მაგრამ უფრო მეტად კი, — მათი გამოყენების სოციალურ-ეკონომიკურ ფორმებზე სუბიექტთა მიზნების განსაზღვრის პროცესში, რომლებიც ინოვაციურ პროცესში ღებულობენ მონაწილეობას.

რესურსული პოტენციალი, როგორც ინოვაციური პოტენციალის შემადგენელი, განსაზღვრულ სოციალურ-ეკონომიკურ ფორმებში საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი ინოვაციური პროდუქციის წარმოებისათვის გამოიყენება. რესურსული პოტენციალი გამოვლინდება, როგორც რესურსთა გასწორებული სისტემა მატერიალურ-ღირებულებით გამოხატულებაში, რაც ინოვაციური სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად გამოიყენება.

რესურსული მიდგომის უკმარისობის გაცნობიერებამ ბიძგი მისცა ინოვაციური პოტენციალის ახალ დეფინიციათა ძიებას. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს რესურსული პოტენციალის ძიება ინოვაციური საქმიანობის „გამოსვლის“ ანალიზის მეშვეობით. ეს მიდგომა შედეგობრივად მიიჩნევა. მას ნაყოფიერად იყენებენ საკუთარ შრომებში ლ.ს. ბლიახმანი, ფლ. მერსონი, ემ. ტორფი. სხვა ავტორები რესურსული და შედეგობრივი მიდგომების კომბინაციით ინტერესდებოდნენ, თუმცა ყოველთვის ვერ ამყარებდნენ საკუთარ დასკვნებს შესაბამისი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტარით. ამ შემთხვევაში ინოვაციური პოტენციალი არის ინოვაციურ რესურსთა ერთობლიობა, წარმოდგენილი წარმოების სფეროში ინოვაციური საქმიანობის პროდუქტის სახით.

ინოვაციურ პოტენციალს მიეკუთვნება ასევე ცნება, რომელიც ახასიათებს თვით ინოვაციური სფეროს შინაგან შესაძლებლობას, განახორციელოს მიზანმიმართული საქმიანობა, რათა კონკრეტული სამეურნეო რესურსები მოიზიდოს ინოვაციური პროდუქტის ფორმირებისათვის, მათი რაციონალური გადამუშავებით. ინოვაციური პოტენციალის შიდა შემადგენლის ანალიზი გულისხმობს სტრუქტურულ-ინსტიტუციონალური და ფუნქციონალური მიდგომის გამოყენებას.

სტრუქტურულ-ინსტიტუციონალური მიდგომა გამორიცხავს ინოვაციური საქმიანობის სტრუქტურას ინსტიტუციონალურ სუბიექტთა სისტემის თვალსაზრისიდან გამომდინარე, რომელიც ინოვაციურ საქმიანობას ახორციელებს, ისევე როგორც, — ეკონომიკურ კავშირებს მისთვის გარეგან სფეროებთან — მეცნიერებასა და წარმოებასთან.

ფუნქციონალური მიდგომა გამოავლენს ინოვაციური პროცესის დროებით კანონზომიერებებს — ინოვაციური პროდუქტის წარმოებას, მის გაცვლას, განაწილებას, მოხმარებასა და ინოვაციური პროცესის

ციკლის აღდგენას.

მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვანია „ინოვაციური სფეროსა“ და „ინოვაციური პოტენციალის“ კატეგორიათა გამიჯვნა. ინოვაციური სფერო წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის ნაწილს წარმოების, განაწილების, გაცვლისა და სიახლეთა გამოყენების სფეროში საბაზრო ეკონომიკის პირობათა გათვალისწინებით. ნაციონალური ეკონომიკის შესაძლებლობას, ტექნოლოგიურად და კომერციულად გამოიყენოს სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნა, ახასიათებს ინოვაციური პოტენციალი.

ინოვაციური სფერო წარმოადგენს საზოგადოებრივი კვლავწარმოების, კაპიტალის მოძრაობის განსაკუთრებულ ქვესისტემას, განსაკუთრებულ ინსტიტუციონალურ ერთობას, რომელიც მოიცავს სახელმწიფო რეგულირების ორგანოთა და სტრუქტურაწარმომქმნელ ელემენტთა ერთობლიობას.

ინოვაციური სფეროს ანალიზისას აქცენტი გადადის კაპიტალის მოძრაობის სპეციფიკაზე, იმ განსაკუთრებულზე, რაც ამ სფეროს სპეციფიკურად აქცევს; მაშინ, როდესაც ინოვაციური პოტენციალის მაკროდონეზე ანალიზისას, მნიშვნელოვნად გვეკლინება მისი წარმოების სფეროს ინოვაციური მომსახურების უნარი, რაც მსოფლიო მოთხოვნათა ადეკვატურ კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფს.

ინოვაციური პოტენციალი, როგორც ცნება, — წარმოადგენს სპეციალიზებული სფეროს კონცეპტუალურ ანარეკლს. რეალურ ცხოვრებაში ინოვაციური პოტენციალი ურთიერთქმედებს გარე სფეროებთან, რაც ინოვაციურ სფეროს აიძულებს ეროვნული ეკონომიკის სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემათა პირობებსა და მსოფლიო საბაზრო სისტემის მოთხოვნებთან შეგუებას.

ინოვაციური პოტენციალის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მხარეზე ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკური განვითარების ციკლთა საშუალო და გრძელტალღოვანი რხევები, რომელთაც საფუძვლად ძირითადი კაპიტალის ნაწილის შეცვლის მოთხოვნილება უდევს. ეკონომიკური ციკლის ფაზათა შეცვლის თანმიმდევრობა ძირითადი კაპიტალის დაგროვების სტრუქტურითაა დეტერმინირებული, ასევე — მისი ორგანიზაციული სტრუქტურითა და მოგების საშუალო ნორმის რხევებით. კაპიტალის განახლების ობიექტურ წინაპირობად გამოდის რესურსთა ამონაგები, რაც „ეკონომიკურ კომბინაციას“ შეადგენს.

ეკონომიკური ციკლის ყოველი სტადია ზემოქმედებას ახდენს ინოვაციური პოტენციალის რაოდენობრივ და ხარისხობრივ პარამეტრებზე.

მომხმარებელთა ინოვაციურ პოტენციალზე ზემოქმედებისას ადგილი აქვს მოთხოვნის ფაქტორთა მოქმედებას სიახლის კომერციალიზაციასა და შექმნასთან მიმართებაში. მოცემული ფაქტორი განსაზღვრავს ინოვაციათა საგნობრივ მიმართულებას, პროექტის ეკონომიკური რიცხვის ხარისხს, მისი სიახლის დონეს და ა.შ.

ინოვაციურ პროცესში გამოვლინდება საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ეკონომიკური კანონები: მოგების ნორმის კანონი; ეკვივალენტური გაცვლა; მოთხოვნა და მიწოდება; კონკურენცია; ციკლური განვითარება.

ინოვაციური პოტენციალის მდგომარეობა ნაციონალური ეკონომიკის შესაძლებლობას უსვამს ხაზს, რომლითაც მას უნარი შესწევს, რაციონალურად გამოიყენოს დაგროვილი სიმდიდრე და ოპტიმალურად შეუსაბამოს საწარმოო პროცესს. ინოვაციური პოტენციალის გამოყენების მასშტაბი და ხარისხი, მისი ზრდა საშუალებას იძლევა, შევაფასოთ ქვეყნის მდგომარეობა მსოფლიო თანამეგობრობაში და განვსაზღვროთ მისი ეკონომიკური განვითარების მიმართულებანი. ნაციონალური ეკონომიკის ეკონომიკური სისტემის თავისებურებანი იმ ეკონომიკურ ფაქტორთა ხასიათს განსაზღვრავენ, რომლებიც ინოვაციურ პოტენციალზე ახდენენ ზემოქმედებას. აქ იგულისხმება: სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა, საკრედიტო დაწესებულებათა პოლიტიკა, მიკროსუბიექტთა კონკურენტული სტრატეგია, სამომხმარებლო უპირატესობათა ცვალებადობა და ა.შ.

ობიექტურად მოქმედ გარე ფაქტორთა ბალანსი და განზრახ ფორმირებულ გარეგან ზემოქმედებათა ბალანსი სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას განაპირობებს, რომელიც ინოვაციური საქმიანობის წამომწყებ გარეგან მოტივებს ქმნიან. ნაციონალური ეკონომიკის ეკონომიკური სისტემა ინოვაციური საქმიანობის სუბიექტთა მოტივაციის გარეგან მიმართულებას განსაზღვრავს, ისევე როგორც მისი კომერციული რეალიზაციის შედეგებს, მათ შინაგან მოტივებს, რომელთაც გარდა ეკონომიკური შემადგენლისა, შემოქმედებითი, შემეცნებითი და სხვა მიზნები გააჩნიათ.

მომხმარებელთა ინოვაციურ პოტენციაზე ზემოქმედებისას ასევე

ხდება მოთხოვნილების ფაქტორთა მოქმედება სიახლის კომერციალიზაციასა და შექმნასთან მიმართებაში.

სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს იმ მექანიზმთა განვითარების სფეროში, რომლებიც ინოვაციურ სფეროს მატერიალურ წარმოებასა და მეცნიერებას დაუკავშირებენ. ეს შუამავალი დაწესებულების შექმნით მიიღწევა ახალი ტექნიკის გაცვლისა და ნაციონალურ პროგრამათა შემუშავების სფეროში.

გარეგანი ხასიათის ფაქტორთა ჯგუფში, ნოვაციათა გამოყენებასთან მიმართებაში, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის აქტივობას და სამეურნეო კონიუნქტურას.

ამ მხრივ, პირველი პოზიციის მომხრეები იქიდან გამოდიან, რომ ინოვაციური აქტივობის სწრაფ ზრდას წარმოების ზრდა უწყობს ხელს, მეორის მომხრეები კი იქიდან, რომ აქტივობა დამახასიათებელია კონიუნქტურის გაუარესების პერიოდისათვის. მესამენი აღნიშნავენ, რომ ინოვაციური პოტენციალი მაქსიმალურადაა საჭირო მატერიალური წარმოების მხრიდან მოთხოვნილების საშუალო დონის პირობებში.

ჩვენი აზრით, უნდა განვასხვაოთ სამეურნეო აქტივობის ზემოქმედება თვით ინოვაციური პროცესის ფორმირების პირობებზე და ინოვაციათა გამოყენების პროცესზე მატერიალურ წარმოებაში. ინოვაციური პოტენციალის ფორმირებისათვის სამეურნეო კონიუნქტურის არა კეთილსასურველია.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ინოვაციური პოტენციალის გამოყენებაზე ზემოქმედებას კონკურენციის ხასიათი ახდენს, რაც მწარმოებლებს ინოვაციათა გამოყენებას აიძულებს, მაგრამ საქონელმწარმოებელთა კონკურენცია სერიოზულად არ ზემოქმედებს თვით პოტენციალის ჩამოყალიბების ტემპებზე. ინოვაციური პოტენციალისათვის უფრო მისაღებია კონკურენტული ბაზარი, რამეთუ გამოგონებათა პატენტირების შედეგად ბაზრის მონოპოლიზაცია ზღუდავს მათი გამოყენების მასშტაბებს. ინოვაციური პოტენციალის გამოყენება დამოკიდებულია ნოვატორ ფირმათა კონკურენტულ სტრატეგიაზე.

განასხვავებენ ორ ძირითად კონკურენტულ სტრატეგიას: ლიდერობისა და მხარდაჭერის. ლიდერები რეალიზაციის შემდეგ მონოპოლისტები ხდებიან, რაც მათ გრძელვადიან მოგებას უქადის. მიმდევრები, ლიდერთა გამოცდილების გამოყენებით, ეუფლებიან

წარმოებისა და გასაღების ტექნოლოგიას ნაკლები დანახარჯებით, რაც ამცირებს რისკის დონეს და განსაზღვრული სტაბილურობის მიღწევის შესაძლებლობას.

პოტენციალის ფორმირების მასშტაბი განისაზღვრება მეურნე სუბიექტთა შესაძლებლობებით იმ შემთხვევაში, როცა ნოვაციათა მაღალი კაპიტალტევადობა შეიმჩნევა. ფინანსური წყაროების არახელმისაწვდომობა, საინვესტიციო საშუალებათა უარყოფითი დინამიკა ეკონომიკაში, კრედიტორთა უნდობლობა, – ყოველივე ეს ამცირებს ინოვაციური პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობას სიახლეთა აშკარა ეფექტიანობის პირობებშიც კი.

ინოვაციები ინვესტიციათა რეალიზაციის პირობებს ქმნის, რამდენადაც დაგროვილი გამოცდილება სიახლის შექმნისა და დაუფლებისას მისი სრულყოფის წყაროდ იქცევა. ინოვაციათა დიფუზია ამცირებს მონოპოლისტის მოგების ნორმას.

საზოგადოებრივი კრიტერიუმების გამოუყენებლად არ შეიძლება ინოვაციური პოტენციალის განვითარების შეფასება. ბაზრის ინსპირირებული როლი ინოვაციური პოტენციალის ფორმირებისას მწარმოებელთა აქტივიზაციას უკავშირდება: პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, დანახარჯთა შემცირების, გამოშვებული საქონლის სტრუქტურის და ასორტიმენტის შეცვლის მიზნის გათვალისწინებით. ინოვაციური პოტენციალის ფორმირებაზე ზემოქმედებას ახდენენ მოხმარების საგანთა და საწარმოო საშუალებათა საბოლოო მომხმარებლები, რამეთუ საბოლოო მომხმარებელთა მოთხოვნა მწარმოებლებში მოთხოვნილებას წარმოშობს და მათ მიერ სიახლეთა დანერგვისათვის საჭირო ფინანსურ ბაზას უზრუნველყოფს.

ბაზრის მიერ ხდება ინოვაციურ საქმიანობის მატერიალურ წარმოებაში დეტერმინირება და განსაზღვრავს:

- ახალ ინოვაციურ გადაწყვეტილებათა გამოყენების აუცილებლობას;
- ალტერნატივებს კონკურენტული ინოვაციური პროექტის არჩევისას;
- მისი განხორციელებისა და ბაზარზე რეალიზაციის ვადებს;
- სიახლის საბაზრო რეალიზაციის წესს;
- ინოვაციის გავრცელების მასშტაბს;
- ინოვაციის გამოყენებისა და მისი ახლით შეცვლის ვადებს.

ინოვაციური პოტენციალის შიდა გარემოს ობიექტური ფაქტორები განსაზღვრავს მის რაოდენობრივ პარამეტრებს, ინიცირების შესაძლებლობას, სიახლის გავრცელების შესაძლებლობას, კომერციული შედეგიანობის პრინციპებით რესურსთა მოზიდვას. შიდა გარემოს განეკუთვნება ფაქტორები, რომლებიც ობიექტურ შიდა ინსტიტუციათაშორისო კავშირების მდგომარეობას განსაზღვრავს.

ინოვაციური პოტენციალის სუბიექტური ფაქტორები ვლინდება გადაწყვეტილებათა შეგნებულად მიღებისა და განხორციელების პროცესში, რომელიც ინოვაციური პროცესის სუბიექტთა მხრიდან სიახლეთა შემოღების გზით ხორციელდება (მეწარმეები, სპეციალისტები, მენეჯერები, ინვესტორები), რომლებიც აანალიზებენ გარეგან გარემოებებს და ინოვაციური პოტენციალის შინაგან შესაძლებლობებს. ინოვაციურ პოტენციალზე უშუალოდ ზემოქმედებს ინოვაციური შრომის არსებითი მხარე და მისი მიმდინარეობის კანონზომიერებანი. თუ ინოვაციური საქმიანობის რესურსული პოტენციალი მისგან გარეგანი გარემოს მიერაა წინასწარ განსაზღვრული, ხოლო საბოლოო ინოვაციური პროდუქტი კი — საზოგადოებრივი (ნაციონალური) ეკონომიკის მოთხოვნებით, მაშინ ინოვაციური საქმიანობის შინაგანი პოტენციალი წინასწარ განისაზღვრება მისივე უნარით — რესურსთა ეფექტური გარდაქმნით ინოვაციურ პროდუქტად. ინოვაციური პოტენციალის დონეთა გამოყოფა (რესურსული, შედეგობრივი, შინაგანი) ლოგიკურ ოპერაციას წარმოადგენს. რეალობაში ისინი არსებობს, ერთმანეთს განსაზღვრავს და გამოყენებისას გამოვლინდება ინოვაციური პოტენციალის სამპიროვანი არსების სახით.

ინოვაციური პოტენციალი, როგორც რესურსულ, შინაგან და შედეგობრივ შემადგენლობათა ერთობლიობა, განისაზღვრება ჯამობრივი მაჩვენებლით — ძირითად სიახლეთა მოცულობით, ინოვაციური სფეროს პროდუქციის (რეალიზებული) დანახარჯთა მოცულობითა და კერძო მაჩვენებლებით — ძირითად ფონდთა ცვეთით, ფონდუკუგებით, ხელფასის წილით პროდუქციაში და ა.შ.

შექმნილი სინამდვილე განსაზღვრავს ინოვაციური პოტენციალის ხარისხობრივ-რაოდენობრივ მაჩვენებლებს, რომლებიც დინამიკურ პარამეტრებად გვევლინებიან. ინოვაციური პოტენციალის რესურსული მდგენელი წარმოადგენს კონკრეტული სახის რესურსთა გამოყენების

პერსპექტიულ შესაძლებლობებს პროგნოზებთან და მოლოდინთან შესაბამისობაში.

შედეგობრივი შემადგენელი ასახავს არსებული შესაძლებლობის რეალიზაციის შედეგს, იმ რეალურ ფაქტიურ ინოვაციურ პროდუქტს, რომელიც ინოვაციურ პროცესში არის მიღებული, ანუ პოტენციალის მიღწეულ დონეს, რომელიც წინასწარ თვით ინოვაციური სფეროს შინაგანი მდგომარეობით, მისი „გამშვები უნარითაა" განსაზღვრული.

ინოვაციურ სფეროს, ისევე როგორც ეროვნული ეკონომიკის სხვა სფეროებსა და სექტორებს, გააჩნია სამეურნეო რესურსები: ბუნებრივი, შრომითი, ხელოვნური, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული. რესურსთა გამოყენებას ინოვაციურ საქმიანობაში მოაქვს სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი — ინოვაციური საქმიანობის პროდუქტები, წარმოებითი სფეროს შემავსებელი რესურსები, სადაც ისინი მოიხმარებიან, ან რეზერვს შეადგენს, ინოვაციურ პროდუქტთა ნაწილი კი ისევე გამოუყენებელი და მოუხმარებელი რჩება წარმოების მიერ.

ინოვაციური პოტენციალის ფორმირებას წინააღმდეგობრივი ხასიათი აქვს, რომლის სპეციფიკაც იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერება და წარმოება დაგროვილი პოტენციალის მეშვეობით ეწინააღმდეგება ერთმანეთს. მატერიალური წარმოება, როგორც მატერიალურ მოთხოვნილებათა გასაგნობრიობის პროცესი, გარეგან გარემოს წარმოადგენს ინოვაციური სფეროსათვის. ეკონომიკურ სუბიექტთა საწარმოო პოტენციალი (დაწესებულებანი, რეგიონები, ნაციონალური ეკონომიკა) განსაზღვრავს პროდუქციის მაქსიმალურად შესაძლებელ გამოშვებას, წარმოების ფაქტორთა ეფექტიანი გამოყენების პირობებში. ამ უკანასკნელს გააჩნია რაოდენობრივი შეზღუდვა, რაც ტექნიკისა და ტექნოლოგიის მიღწევებზე, წარმოების ორგანიზებაზე, კადრების შეჩვევაზეა დამოკიდებული და ა.შ. პირველი საწარმოო რევოლუციის დასაწყისიდან ინოვაციები ეკონომიკური განვითარების რეზერვად იქცა, რაც საშუალებას იძლეოდა, გაუმჯობესებულიყო წარმოების ზრდის ეფექტიანობა, გაფართოებულიყო წარმოების შესაძლებლობები და სოციალურ სუბიექტთა და საზოგადოების მოთხოვნათა ადექვატური გამხდარიყო.

სამეურნეო სინამდვილეში შეიმჩნევა რესურსთა, მოხმარებისა და წარმოების შესაძლებლობათა გამოყენების არასრულყოფილება. წარმოების სფეროს უნარი არ შესწევს, გადაამუშაოს მის

განკარგულებაში არსებული რესურსთა სრული მოცულობა, მათ შორის ინოვაციური სფეროდან შემოსული პროდუქტები, რომლებიც, თავის მხრივ, არასრულად ითვისებს მეცნიერებაში დაგროვილ სამეცნიერო-ტექნიკურ სიახლეებს. ნაციონალური ეკონომიკის ყველა სფეროში რესურსთა რეალური გამოყენება ყოველთვის ნაკლებია არსებულთან შედარებით. ამასთან, შეიძლება გამოითვალოს ნაციონალური ეკონომიკის კონკრეტული სფეროს აბსოლუტური პოტენციალი, რომელიც წარმოადგენს მის განკარგულებაში მყოფ სამეურნეო რესურსთა ერთობლიობას, გარდა ამისა, — შეფარდებითი პოტენციალიც, რომელიც რესურსთა შესაძლო ეფექტურ გამოყენებას შეეხება, რაც უტილიზაციასა და მოხმარებაზეა დამოკიდებული.

რესურსთა აბსოლუტური პოტენციალის ამომწურავი გამოყენება მიუღწეველია, რაც სულაც არ ნიშნავს ნაციონალური ეკონომიკის არაეფექტიანობას. ამ გამოუყენებლობის მიზეზები შეიძლება იყოს შინაგანი და გარეგანი, რასაც თვით ინოვაციური პროცესი წარმოშობს. ინოვაციური სფერო, კერძო სამეურნეო ორგანიზების ნაწილში, ვალდებული არაა მოიზიდოს პრაქტიკულ გამოყენებაში მთელი სამეურნეო სიახლენი, რომლებიც მეცნიერების სფეროშია შექმნილი. ინოვაციური სფერო ინოვაციურ პროცესში მათ საჭიროებისამებრ რთავს. ინოვაციური პოტენციალის რეალიზაციაზე ზემოქმედებას ახდენს ნაციონალური ეკონომიკის ეკონომიკური განვითარების ციკლურობა, რაც საქონელ-შწარმოებელთა მიერ ინოვაციათა ათვისების მოტივაციასა და შესაძლებლობებს განსაზღვრავს. ეს და სხვა, ინოვაციური სფეროსათვის დამახასიათებელი გარეგანი გარემოებები, არ არის დამოკიდებული ინოვაციური საქმიანობის განმახორციელებელ იმ მეურნე სუბიექტთა ქცევაზე, რომლებიც იძულებულნი არიან, მათ მიესადაგონ.

ინოვაციური პოტენციალი შეზღუდვათა ორ სახეს მოიცავს:

- ფუნქციურს, რომელიც მის ხარისხობრივ შესაძლებლობას განსაზღვრავს;
- კვლავწარმოებითს, რომელიც მისი არსებობის საზღვრებზე მიუთითებს, და რომელთა მიღმაც ის კარგავს საუკეთესო თავისებურებებსა და განსაკუთრებულობებს.

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, ნაციონალური ეკონომიკის ინოვაციურმა პოტენციალმა შეიძლება შემდეგი მდგომარეობა

მიიღოს:

- აბსოლუტური პოტენციალი, რომლის დროსაც არსებული რესურსები სრული მოცულობით იძლევიან ინოვაციურ ფუნქციათა რეალიზების საშუალებას.
- მაქსიმალური რეალური პოტენციალი, რომლის დროსაც ინოვაციური პროდუქტი დამატებით დანახარჯთა ხარჯზე პრაქტიკულად არ იზრდება, ამასთან, ზღვრული დანაზოგი მის გასაზრდელად მკვეთრად იზრდება.
- ეფექტური პოტენციალი, რომლის დროსაც ინოვაციური საქმიანობის ზღვრული შემოსავალი ზღვრულ დანახარჯებს უტოლდება, შესაბამისი მოთხოვნისა და მიწოდების ფონზე.
- ოპტიმალური პოტენციალი, რომლის დროსაც ინოვაციური საქმიანობა მინიმალური დანახარჯებით მიიღწევა მოკლევადიანი საკრედიტო სახსრების ხარჯზე.

ინოვაციურ პოტენციალში უნდა გროვდებოდეს რეზერვები, ასევე დამზღვევი ელემენტები, რათა თავიდან იქნას აცილებული ინოვაციურ დამკვეთთა დანაკარგები. ნაციონალური ეკონომიკის რეალური ინოვაციური პოტენციალი შესაძლოა სტაბილურად ბოლომდე არ იქნას გამოყენებული შინაგანი მიზეზების გამო, რომლებიც ახასიათებს თვით ინოვაციურ პროცესს, როგორც სპეციფიკური მეურნეობის ერთ-ერთ სახესხვაობას.

ამგვარ მიზეზებად შეიძლება დასახელდეს სპეციფიკურ ეკონომიკურ რესურსთა მოცულობის შეუსაბამობა იმ შესაძლებლობებთან, რომლებიც სამეცნიერო სფეროს პროდუქტში არიან დაგროვილი, ასევე ამ რესურსთა არაეფექტიანი გამოყენება თვით ინოვაციურ პროცესში, ანუ მათი არასაკმარისი პროდუქტიულობა; ინოვაციური პროდუქტის რეალიზაცის შეზღუდვა ინოვაციურ საქმიანობაში (ვენჩურული კაპიტალი); გამოყენებული ვენჩურული კაპიტალის აუნაზღაურებლობა.

ამგვარი გამოუყენებლობის შინაგანი მიზეზები წარმოადგენს მიმდინარესა და შედარებით მოკლევადიანს, რამდენადაც ფასების გადახრა სამეურნეო რესურსებზე ხანგრძლივად არ შეიძლება შინაგანი კაპიტალისათვის უსარგებლო მხარეზე, ისევე როგორც თვით ინოვაციურ პროცესში მისი არაეფექტიანი გამოყენება.

თავი II. ინოვაციურ სფეროში საკუთრებითი ურთიერთობები

2.1 საკუთრებითი ურთიერთობები ინოვაციურ პროდუქტზე

ინოვაციური საქმიანობის შედეგები (ინოვაციური პროდუქტი) უმეტესწილად უკავშირდება ამა თუ იმ მატერიალურ ფორმას. ინოვაციური პროდუქტის ეკონომიკური შემადგენლობის საკითხები ნაკლებადაა შესწავლილი.

საკუთრებითი ურთიერთობები განსაზღვრავს ინოვაციური პროდუქტის სასაქონლო ფორმას, რომლის რეალიზაციაც ხდება ინოვაციური ბაზრის მეშვეობით და არ არსებობს მატერიალური რესურსებისაგან, აგრეთვე, შრომის, ფინანსური საშუალებების, მეცნიერულ-ტექნიკური პროდუქციებისაგან განცალკევებით. ეს კი თავის მხრივ განსაზღვრავს ინოვაციური პროდუქტის ბაზრის განვითარების რაოდენობრივ, ხარისხობრივ და დინამიკურ მხარეს. არსებული კავშირების სისტემა ზემოთხსენებულ ბაზრებს შორის წარმოადგენს თითოეული მათგანის ფუნქციონირების პირობას, რადგანაც მათი პოტენციალის რეალიზაცია ხორციელდება სხვა ბაზრებთან ურთიერთქმედების საშუალებით. ერთ ბაზარზე წარმოქმნილი ცვლილებები იწვევს ცვლილებებს სხვა ბაზრებზეც.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში საკუთრება ინოვაციურ პროდუქტებზე აფართოებს საზღვრებს საკუთრების ობიექტზე. საკუთრების მოცემული ნაირსახეობა ვრცელდება მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც ინოვაციური საქმიანობა ხდება ფართომასშტაბიანი, ხოლო ინვესტიციები ინოვაციური პროდუქტის შექმნაში — შემოსავლიანი. ეს ინვესტიციები წარმოადგენს კაპიტალდაბანდებებს ადამიანზე, მის მიერ შეძენილ ცოდნაზე, მატერიალურ დანახარჯებზე ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების შეძენისათვის. ამ ყველაფერმა ინოვაციური ბაზრის მესაკუთრეს უნდა მოუტანოს შემოსავალი ინოვაციური შრომის პროცესში.

ეკონომიკური გაგებით, საკუთრება ინოვაციურ პროდუქტზე განსხვავდება წარმოების სხვა ფაქტორების საკუთრებისაგან. მისი ობიექტი არის არა თვით ინოვაციური საქმიანობა, არამედ ამ

საქმიანობის შედეგი – ინოვაციური პროდუქტი, რომელიც შედის ეკონომიკურ ბრუნვაში და ექვემდებარება განკერძოებას შემქმნელ-მესაკუთრისგან (ინოვატორ-მეწარმისგან). საკუთრება ინოვაციურ პროდუქტზე – ეს არის სუბიექტის ინტელექტუალური შესაძლებლობების ერთიანობა ინოვაციურ საქმიანობაში, აგრეთვე ინოვაციური საქმიანობის შედეგი, რომელსაც მესაკუთრეთათვის შემოსავალი მოაქვს.

ინოვაციურ პროდუქტზე საკუთრების უფლებების სპეციფიკაციის გარეშე, შეუძლებელია მდგრადი ეკონომიკური გარემოს შექმნა ინოვაციურ სფეროში, რომელიც შესაძლებელს ხდის, შემცირდეს გაურკვევლობა და მოხდეს სტაბილური მოლოდინის ფორმირება ეკონომიკური აგენტებისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რისი მიღება შეუძლიათ მათ მიიღონ თავიანთი მოქმედების შედეგად და რაზე შეუძლიათ მათ იმედის ქონა სხვა ეკონომიკურ აგენტებთან ურთიერთობაში.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი განუწყვეტლივ ბადებს ახალ ექსტერნალიებს (გარეგანი ეფექტები). ახალი რესურსების აღმოჩენა და ახალი პროდუქტის შექმნა წარმოადგენს შინაგანი ეფექტების გამოჩენის მიზეზს.

რესურსების ურთიერთკავშირი აძნელებს ცალკეული რესურსების განკერძოებას საერთო შედეგში, რაც ართულებს საკუთრების უფლებების სპეციფიკაციის პროცესს რესურსებზე. შემსრულებლობითი შრომისა და კაპიტალის გაზომვა გარკვეული სიზუსტით შეიძლება, მაგრამ ისეთი რესურსები, როგორიცაა სამეწარმეო შესაძლებლობა და ცოდნა, ვერ იქნება ზუსტად განსაზღვრული. ეფექტიანობის მოთხოვნილება საზოგადოებას უჩენს სურვილს, რომ კონცენტრირება (თავმოყრა) მოახდინონ, შედარებით ისეთი იშვიათი რესურსების უფლებების დაცვაზე, რომელთაც გააჩნიათ ყველაზე მაღალი ზღვრული მწარმოებლურობა. ამ ფაქტორების მფლობელებმა უნდა მიიღონ კონკრეტული უპირატესობა და შესაძლებლობა, რომ განსაკუთრებული ეკონომიკური ეფექტიანობით რეალიზაცია გაუწიონ თავიანთ მესაკუთრეობრივ უფლებებს. თუ საზოგადოება იგნორირებას გაუკეთებს იშვიათი რესურსების მნიშვნელობას, მაშინ შეუქცევადი ხდება წინააღმდეგობების გამძაფრება ეკონომიკურ აგენტებს შორის, რაც მთლიანობაში იწვევს ეკონომიკის დაცემას.

საკუთრების უფლებების გამიჯვნის გარეშე ვერ მოხდება ვერანაირი გარიგება მათი გადაცემის ან რეკომბინირების დროს. ამიტომაც საკუთრების უფლებების ზუსტი სპეციფიკაცია ინოვაციურ პროდუქტებზე შესაძლებელს ხდის, შინაგანი ეფექტებისა და მასთან დაკავშირებული რესურსების დანაწილებასთან გაუგებრობების გადალახვას.

ინოვაციურ საქმიანობაში საკუთრებაზე განვითარებული ურთიერთობების არქონას მივყავართ იქამდე, რომ შედეგებს იმკიან არა მასში მოქმედი სუბიექტები, არამედ მესამე პირები. ამასთან ერთად, ვერ ხდება ზუსტი აღრიცხვა ხარჯების, ან შემოსავლების, რომლებიც გადაიქცევა შინაგან ეფექტებად. ამიტომ ინოვაციურ სფეროში გამოყენებული რესურსების დანაწილება არაეფექტური გამოდის.

ინოვაციურ საქმიანობაში ექსტერნალიების გადალახვა გულისხმობს ახალი საკუთრების უფლებების ფორმირებას საქმიანობის იმ დარგებში, სადაც ისინი ჯერ კიდევ არ იყვენენ დასმულნი, რასაც მივყავართ საბაზრო ურთიერთობების გაფართოებასთან ნაციონალურ ეკონომიკაში.

ინოვაციური საქმიანობის სუბიექტები ფლობენ შედარებით უპირატესობებს ეკონომიკაში ტრანსაქციური ხარჯების გარკვეულ კატეგორიებზე იმ საწარმოებთან შედარებით, რომლებიც მოიხმარენ ინოვაციურ პროდუქტს. ასე რომ, ინოვაციური საქმიანობის სუბიექტები აკეთებენ ეკონომიას ინფორმაციულ ხარჯებზე, სიახლეების წარმოების ათვისებაზე.

ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით, ინოვაციის, როგორც საქონლის სამომხმარებლო ღირებულება, რომელიც გამოიყენება მატერიალურ წარმოებაში, — ეს არის შრომის ერიანობისკენ მიმართული ცვლილებების გამოწვევის და მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

ინოვაციური საქმიანობის სუბიექტის შემოქმედებითი საწარმოო ძალების, მისი საგანმანათლებლო და ინტელექტუალურ-კვალიფიციური პოტენციალის რეალიზება ხდება ადამიანური კაპიტალის ფორმაში. სამეწარმეო შესაძლებლობანი, მით უმეტეს, შესაძლებლობები ინოვაციურ საქმიანობაში წარმოადგენს ადამიანური კაპიტალის შემადგენელ ნაწილს, რომელიც უზრუნველყოფს მფობელისათვის შემოსავლის ზრდას. უნარიანობა ინოვაციურ საქმიანობაში, როგორც

იშვიათი თვისებების წარმოჩინება, არ იყიდება. შეიძლება გაიყიდოს მხოლოდ ის მომსახურება, რომელიც იქმნება ადამიანური კაპიტალის მიერ. ამიტომაც ინოვაციური საქმიანობის უნარის გამოყენება კონტროლდება მისი მფლობელის, ამ უნარის მატარებლის მიერ.

საბაზრო ეკონომიკაში იშვიათობას წარმოადგენს რესურსი, რომელსაც მოცემულ პირობებში გააჩნია უდიდესი მწარმოებლურობა. ეკონომიკური ევოლუციის გზაზე იშვიათობის საზოგადო გაგება გადადის ერთი რესურსიდან მეორეში. თანამედროვე დროში იშვიათი საბაზრო რესურსის როლი გადადის მატერიალურ-ნივთიერი კაპიტალიდან ადამიანურ კაპიტალზე, რომლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს სამეწარმეო უნარიანობა.

ლ. ედვინსონმა და მ. მელოუნმა განსაზღვრეს ინტელექტუალური კაპიტალი, როგორც შემოქმედებითი კატეგორია, ჰქონდათ მისი წილის გამორიცხვის მცდელობა კომპანიის საბაზრო ფასში. სწავლულებმა ივარაუდეს ინტელექტუალური კაპიტალის გაფართოება, მოახდინეს მასში კონცენტრირება საწარმოო რესურსების ყველა სახეობისა, რომელიც არ ექვემდებარება ტრადიციულ შეფასებას, იმ პირობებში გამომჟღავნებისას, როდესაც საწარმოს აქციების ფასი იზრდება გაცილებით მალალი ტემპებით, ვიდრე სამეურნეო საქმიანობის რეალური შედეგი, გამოანგარიშებული სამეურნეო აღრიცხვის ტრადიციული სისტემის საფუძველზე.

დღეისათვის 100 მილიონზე მეტი კერძო პირი აშშ-ში ფლობს ისეთი რაოდენობის აქციებს, რომ ისინი სრულიად საფუძვლიანად შეიძლება ითვლებოდნენ საკონტროლო პაკეტების მფლობელებად, ინსტიტუციონალურ ინვესტორებთან მიმართებაში. ყოველდღიურად მსოფლიო ფინანსური სისტემა 1,5 ტრილიონ დოლარზე მეტი თანხის ოპერირებას ახდენს, რომელიც ათჯერ აღემატება აქტივების ფასს რეალურ ეკონომიკურ სექტორში.

ინტელექტუალურ კაპიტალს ყოფენ ორ შემადგენელ ნაწილად, რომელიც ჯერ კიდევ ვერ პოულობს გამოხატულებას საბუღალტრო აღრიცხვის ტრადიციულ მოდელებში:

1) ადამიანური კაპიტალი ანუ კომპანიების მოსამსახურეთა ცოდნის, პრაქტიკული ჩვევებისა და შემოქმედებითი უნარების ერთობლიობა, რაც მიმართულია მიმდინარე დავალებების შესრულებაზე; კომპანიების მორალური ფასეულობები, შრომის კულტურა და საქმისადმი საერთო

მიდგომა. ადამიანური კაპიტალი არ შეიძლება იყოს კომპანიის საკუთრება;

2) სტრუქტურული კაპიტალი, ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა, ორგანიზაციული სტრუქტურა, პატენტები, სავაჭრო მარკები და ყველაფერი ის, რაც უფლებას კომპანიის მომუშავე პერსონალს თავიანთი სამეწარმეო პოტენციალის, კომპანიასა და მის მსხვილ კლიენტებს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების რეალიზაციის საშუალებას აძლევს. ადამიანური კაპიტალისაგან განსხვავებით, სტრუქტურული კაპიტალი შეიძლება იყოს კომპანიის საკუთრება და ამასთანავე ყიდვა-გაყიდვის ობიექტი.

ინტელექტუალური კაპიტალის ფორმირების საშუალებას წარმოადგენს ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში და საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომლებიც თანამედროვე ეკონომიკაში წარმოადგენს ახალი ფასეულობების შექმნის საკვანძო საშუალებას. ფასეულობების რიცხვს, რომელიც კონცენტრირებულად გამოხატავს დინამიკური და მაღალტექნოლოგიური კომპანიის რეაქციებს ეკონომიკური საქმიანობის პირობების შეცვლაზე, მიეკუთვნება ცოდნა, წამყვანი თანამშრომლების კომპეტენცია, მომუშავეთა მისწრაფება სრულყოფილებისა და განვითარებისაკენ. „ინტელექტუალური კაპიტალის წარმოშობა სავსებით კანონზომიერია, თუ მხედველობაში მივიღებთ დაუძლეველი ისტორიული და ტექნოლოგიური პროცესების მოქმედებას, მით უმეტეს, – საინვესტიციო ნაკადებს, რომელმაც გადაუარა თანამედროვე მსოფლიოს და ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას, სადაც ცოდნა თამაშობს ძირითად როლს. ინტელექტუალური კაპიტალი მალე გახდება ჩვენი კომპანიებისა და დაწესებულებების შეფასების მთავარი კრიტერიუმი იმიტომ, რომ მხოლოდ მას შეუძლია ორგანიზაციული მდგრადობისა და ფასეულობების შექმნის პროცესის დინამიკის ასახვა“[9, გვ. 447].

ინტელექტუალური კაპიტალის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მისი ფორმირება ხდება განსაკუთრებული რესურსის – საწარმოში მომუშავეთა მიერ, რომელთა მფლობელობაც საწარმოთა მესაკუთრეებს არ შეუძლიათ. ინტელექტუალური კაპიტალი, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის ეფექტიანობას ბაზარზე, არ შეიძლება იყოს მისი აქტივი, გამოვლენილი რა საფონდო ბაზრის აქტივების მზადყოფნისას, შეაფასოს საწარმოს პოტენციალი თავის აქტივებზე

მაღლა, რომელიც ექვემდებარება ფულად შეფასებას. ამის მაგალითია ამერიკული კომპანიების აქტივების ათჯერ უფრო მეტად გაზრდილი საბაზრო ფასი, ამ აქტივების რეალურ ფასთან მიმართებაში, რომელიც მჟღავნდება საბალანსო აღრიცხვაში.

კომპანიის ინტელექტუალური კაპიტალი არის მისი ინოვაციური საქმიანობის პროდუქტი. რაც უფრო მაღალია ინოვაციური აქტივობა, მით უფრო იზრდება ინტელექტუალური კაპიტალის მდგენელები. ამიტომაც ინოვაციურ პროდუქტზე საკუთრებრივი ურთიერთობების ფორმირება და განვითარება აუცილებელია მთლიანი ეკონომიკის, როგორც საბაზრო სისტემის განვითარებისათვის.

თანამედროვე პირობებში ინოვაციურ საქმიანობაში არსებული შესაძლებლობები, რომლებიც ხორციელდება როგორც ადამიანური კაპიტალის გამოვლინება, შემდგომში ეფექტურ ეკონომიკურ რესურსად იქცევა.

საკუთრება ინოვაციურ პროდუქტზე ვარაუდობს შემოსავლის ამოღებას მისი ობიექტების გაყიდვებისაგან. თუ მას მოაქვს უმნიშვნელო შემოსავალი, ინოვაციური პროდუქტი განიცდის მორალურ ცვეთას.

ინოვაციური პროდუქტი არის ინტელექტის მატერიალური ჭვრილება, ამიტომ საკუთრება ასეთ პროდუქტზე იძენს სამართლებრივი გაფორმებისა და დაცვის შესაძლებლობის უფლებას, რომელიც აუცილებელია მესაკუთრეთათვის შემოსავლის მისაღებად, ხოლო მომხმარებელს, რომელიც იყენებს ინოვაციურ პროდუქტს – მოგებისათვის, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება მას შემდეგ, რაც მოხდება ეკონომიკაში ინოვაციური საქმიანობის შედეგების ფართომასშტაბიანი დანერგვა.

ობიექტები, რომლებიც შეიცავს ინოვაციურ პროდუქტს, არის შედეგი და საშუალება ინტელექტუალური შრომისა. თვით ინოვაციური პროდუქტი არის შედეგი სულიერი შემოქმედებისა. ის გამოდის, როგორც იდეალური, ასევე მატერიალური, როგორც ერთეულ, ასევე განმეორებად ფორმებში, რომელთაც მივყავართ ცოდნის (ინფორმაციის) საკუთრებასთან, რომლის მატარებლებიც ისინი არიან. მაშასადამე, ინოვაციურ პროდუქტზე საკუთრების თავისებურებანი დაკავშირებულია ცოდნის ისეთ უნარებთან, როგორიცაა გამოუცდელობა, რომელიც განსაზღვრავს „მფლობელობის“ და „შეცნობის“ იგივეობას და

შესაძლებლობას, ერთდროულად რამდენიმე პირმა მიისაკუთროს ინოვაციური პროდუქტი, მოახდინოს გამოყენებული ურთიერთობების რეალიზაცია მესაკუთრისაგან დამოუკიდებლად.

საკუთრების იდეალური ობიექტების მფლობელობა ინოვაციურ პროდუქტზე რეალურად ვერ გამოვლინდება. მის მეპატრონედ იქცევა ნებისმიერი სუბიექტი, რომელიც ინფორმირებულია ამ ობიექტზე, რადგან მფლობელობას, ტრადიციული გაგებით, მივყავართ მატერიალურობის მატარებელთან, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, — მასში განსახიერებული იდეის მატარებელთან. განსხვისება შეიძლება მოხდეს მხოლოდ მატერიალურობისა (ზოგიერთ შემთხვევაში არამატერიალურობისაც, მაგ.: პატენტი), განსხვავებით იდეისა და ინოვატორული შესაძლებლობებისაგან. პროდუქტის ინოვაციურობის იდეალური და ნივთიერი ობიექტების მიტაცების შესაძლებლობა (ხელიდან ხელში გადაცემა, კომპიუტერიდან კომპიუტერში გადაწერა, ანალოგიური საქონლის დამზადება კოპირების გზით და ა.შ.) ითხოვს გადაცემის გარკვეული პირობების ფორმირებას, რომელსაც იცავს სამართალი, რათა დაიცვას მონოპოლია, როგორც მოცემული საკუთრება ინოვაციურ პროდუქტზე.

ამრიგად, ინოვაციური საქმიანობის განხორციელების საწყის პირობას წარმოადგენს საკუთრება ინტელექტუალურ პროდუქტზე. ინტელექტუალური პროდუქტის გარკვეული ობიექტები, ისევე როგორც მეცნიერული აღმოჩენები, არ შეიძლება იყოს მიმაგრებული კონკრეტულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე. მის გამოყენებას თან არ ახლავს განსაკუთრებული უფლებები, საკუთრების უფლებებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში, მეცნიერულ აღმოჩენებში შემავალი იდეები, ცოდნა და ინფორმაცია გადადის უშუალოდ საზოგადოების განკარგულებაში, ზრდის რა ეროვნულ სიმდიდრეს.

ინოვაციურ საქმიანობაში ხდება ინტელექტუალური პროდუქტის მითვისება, რაც გულისხმობს საკუთრების უფლების გადაცემას ავტორისაგან (მესაკუთრისაგან) ინოვაციური საქმიანობის სუბიექტისათვის ორმხრივი შეთანხმების, „სარგებლობის“ ორმხრივი გაცვლის საფუძველზე. ინტელექტუალური პროდუქტის თავდაპირველი მესაკუთრე, როდესაც თმობს საკუთარ უფლებას (საკუთრების ფუნქციის გარკვეულ ნაწილს), იღებს ფულად ან სხვა რაიმე მსგავს ეკვივალენტურ ჯილდოს (ანაზღაურებას). ინტელექტუალური

პროდუქტის ახალი მეპატრონე სარგებელს ნახულობს ინოვაციური საქმიანობის დროს მისი საბოლოო რეალიზაციისას, ან მისი გაყიდვისას. ინოვაციური საქმიანობის ინტელექტუალური ობიექტები დამოკიდებულია სუბიექტებზე, მათ ცოდნაზე, გამოცდილებასა და ტალანტზე. ინოვაციური პროდუქტის შემადგენელ ნივთიერ ობიექტებს გააჩნია დამოუკიდებლობა ინოვაციური საქმიანობის სუბიექტისაგან. ისინი უნდა იყვნენ იურიდიულად მიმაგრებულნი ამ სუბიექტებზე, რაც მათ მფლობელებს აძლევს განუყოფელი განკარგვის გარანტიას შემოსავლებისადმი, რომელსაც იძლევა ინოვაციური პროდუქტები. საკუთრების ობიექტები ინოვაციურ პროდუქტზე, — ეკონომიკური კეთილდღეობის ნაირსახეობა როგორც საზოგადო, ისე ინდივიდუალური თვალსაზრისით. ინოვაციური პროდუქტისათვის სასაქონლო ფორმის მიცემა აქცევს მას კერძო ფასეულობად რეალიზებული ცოდნის ფორმით.

ინოვაციური პროდუქტის ბაზარზე გატანის დროს მისი კომერციული გამოყენება დამოკიდებულია ერთმანეთს შორის მომხმარებელთა კონკრეტულ რაოდენობაზე. ინოვაციურ პროდუქტზე მონოპოლიური ფლობის კომერციული ეფექტი არ იქნება ამ პროდუქტის სარგებლობის შესატყვისი, თუ იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება. არჩევანი ამ შემთხვევაში ინოვაციური პროდუქტის საკუთრების გაცილებით ეფექტურ ფორმებს შორის დამოკიდებულია ინოვაციური საქმიანობის კონკრეტულ შედეგებზე. ამ უკანასკნელთა მრავალფეროვნება, საზოგადო ან ინდივიდუალური კეთილდღეობის მოცემული თვისებებით, აგრეთვე ამ თვისებების შეთავსების საშუალებებით, იძლევა სოციალურ-ეკონომიკური ფორმების გამოყენების საშუალებას, აგრეთვე საშუალებას ზომების სტიმულირებისათვის და საზოგადო მნიშვნელობის სახეობების მხარდაჭერას ინოვაციურ საქმიანობაში.

ინოვაციური საქმიანობის კომერციული გამოყენების ეკონომიკური საფუძველი შეადგენს კაპიტალის მისწრაფებას შემოსავლის გაზრდისადმი. მეცნიერებატევად წარმოებაში ინოვაციურ პროდუქტებზე ეკონომიკური საკუთრების გაჩენას წინ უძღვის ინტელექტუალური საკუთრების ფორმირება, რომელიც წარმოადგენს ცალკეული სამეცნიერო კოლექტივების შრომის შედეგს, გაკეთებული მრავალრიცხოვანი ცდებით, თანამედროვე საშუალებებისა და მეთოდების

გამოყენებით. ეს იძლევა ინოვაციური პროდუქტის კონკრეტულ ობიექტებში მატერიალიზაციის საშუალებას, მათ შორის, საწარმოო სახეობებშიც.

საკუთრებრივი ურთიერთობების განვითარება ინოვაციურ პროდუქტზე განაპირობებს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციების მოძრაობის დაჩქარებას, აგრეთვე საჭირო მოდელების დანერგვას, რომლებსაც სამეცნიერო-ტექნიკური იდეების კრიტერიუმით არ გააჩნია მეცნიერული აღმოჩენების პოტენციალი, თუმცა გააჩნია მოთხოვნილება საწარმოთა მხრიდან. აგრეთვე განაპირობებს რაციონალიზატორულ წინადადებებს ნაციონალურ ეკონომიკაში, რაც უზრუნველყოფს მისი ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის დონის გაზრდას.

წარმოადგენს რა ადამიანთა შორის ურთიერთობის გამომხატველ ეკონომიკურ კატეგორიას, საკუთრებას ინოვაციურ პროდუქტებზე აქვს საკუთრების ობიექტების მითვისებისა და გასხვისების თვისება. მატერიალური წარმოების სფეროში ინოვაციური პროდუქტის რეალიზაციას მფლობელისათვის მოაქვს შემოსავალი. ეკონომიკური შემადგენლობის წყალობით, საკუთრება ინოვაციურ პროდუქტებზე წარმოადგენს აუცილებელ მატერიალურ ფაქტორს ეკონომიკის განვითარებისათვის. როგორც ეკონომიკური კატეგორია, საკუთრება ინოვაციურ პროდუქტებზე იძენს აგრეთვე რაოდენობრივ შეფასებას, დამოკიდებულს იმ პირობებზე, როდესაც ინოვაციური საქმიანობის ობიექტები ერთვება სამეურნეო ბრუნვაში. კომერციული პირობები გულისხმობს ინოვაციური პროდუქტის შეფასების გაცილებით სრულყოფილ ასახვას, მაშინ როდესაც არაკომერციული პირობები იძლევა საშუალებას ინოვაციური საქმიანობა განხორციელდეს უსასყიდლო საფუძველზე ან შეღავათიან ფასებში, რის გამოც წარმოიშვება ინოვაციური საქმიანობის რეალური წვლილის არასრული გათვალისწინება ეკონომიკაში.

ახლანდელ დროშიც კი ინოვაციური პროდუქტის საკუთრების დაბანდების შეფასება ეკონომიკურ განვითარებაში, არ არის განმტკიცებული საკმარისად უტყუარი მეთოდებით ინოვაციური პროდუქტის საქმიანობის შეფასების ღირებულებაში.

საკუთრება ინოვაციურ პროდუქტზე საბაზრო ეკონომიკურ პირობებში არ შეიძლება იყოს სრულყოფილი, თუ ყველა რესურსი, დახარჯული მის შექმნაზე, არ არის მთლიანად განაღდებული მათი

მფლობელისაგან. საკუთრება ინოვაციურ პროდუქტზე არის არა იმდენად სინამდვილის საბოლოოდ ჩამოყალიბებული ეკონომიკური მოვლენა და მისი ადეკვატური ცნება, რამდენადაც ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობის რთულად და დინამიკურად განვითარებული სისტემა.

ინოვაციური საქმიანობის ყოველ ეტაპზე ხდება ინოვაციური პროდუქტის სპეციფიკური ობიექტების ფორმირება და განვითარება. იმ მუშაკის საქმიანობას, რომელიც აწარმოებს ინოვაციურ პროდუქტს, გააჩნია მრავალი მიმართულება – კვლევითი სამუშაოებიდან უშუალოდ წარმოებამდე. მისი შექმნის ყოველ სტადიაზე ინოვაციურ პროდუქტს შეუძლია ჰქონდეს სამომხმარებლო ფასი და წარმოადგენდეს დამოუკიდებელ საქონელს. ინოვაციური საქმიანობის სახსრებისა და შედეგების მითვისების გამო ურთიერთობების სისტემა, განსახიერებული ინოვაციური პროდუქტის ობიექტურ ფორმებში, შეადგენს ინოვაციურ პროდუქტზე საკუთრების ურთიერთობის არსს. საკუთრების ამ სახეობის თავად სპეციფიკა განსაზღვრავს კერძო ფაქტორის მნიშვნელოვან როლს. ამ შემთხვევაში წარმოიქმნება ინოვაციურ პროდუქტზე საკუთრების განსაკუთრებული უფლება, დაკავშირებული განსაკუთრებულ უფლებასთან ინოვაციური საქმიანობის შედეგების გამოყენებაზე. ინოვაციურ პროდუქტზე საკუთრების რეალიზაციის მექანიზმი დაკავშირებულია ლეგალური მონოპოლიის დამყარებასთან და ვარაუდობს კომერციული საიდუმლოებების დაცვას, ისევე როგორც ინოვაციურ პროდუქტში სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონტროლო სამუშაოების სფეროდან ჩართული საწარმოო და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები.

ინტელექტუალური საკუთრების ცნება წარმოიშვა XVII-XVIII სს-ში, როდესაც დაიწყო იურიდიულად დამკვიდრების პრაქტიკა ცალკეული პირების უფლებებისა მათი გონებრივი საქმიანობის შედეგებზე სამეცნიერო, სამეწარმეო, ხელოვნების სფეროებში და ა.შ. ინტელექტუალური საკუთრება გამოხატავს ავტორის საქმიანობის შედეგების იურიდიულად დაცვის უფლებას. ავტორი შეიძლება იყოს ცალკეული ფიზიკური პირი, პირთა ჯგუფი ან იურიდიული პირი. ავტორის იურიდიული დაცვის უფლებას ასახავს გაცემული დოკუმენტები მეცნიერულ აღმოჩენებზე, ხელოვნების ნაწარმოებებზე, სასაქონლო და საფირმო მარკებზე და სხვა. ურთიერთობა საავტორო

უფლებების დაცვის გამო და შესაბამისი ჯილდო რეგულირდება სამოქალაქო სამართლითა და საერთაშორისო კონვენციებით. დღესდღეობით საქართველო საერთაშორისო ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციის წევრია, რომელიც ფუნქციონირებს როგორც სპეციალიზებული უწყება გაეროს სისტემაში. ჩვენთან საავტორო უფლებების დაცვის ფუნქციას ახორციელებს ინტელექტუალური საკუთრებისა და პატენტების კომიტეტი. ეს უწყება არეგისტრირებს ავტორთათვის გაცემულ დოკუმენტებს და მოქმედებს მათი ქონებრივი უფლებების დასაცავად, ამ სექტორში არსებული კანონების გათვალისწინებით. მთავარ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს ინტელექტუალური საკუთრების გამოყენების ფაქტს სხვა პირებისა და ორგანიზაციების მიერ, წარმოადგენს ლიცენზია (ავტორის ნებართვა) ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებაზე სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ, რომლებიც ავტორს უხდიან გარკვეულ ჯილდოს შეთანხმებული ოდენობითა და დათქმულ ვადაში.

ეროვნულ და საერთაშორისო პრაქტიკაში ტერმინი „ინტელექტუალური საკუთრება“ დამკვიდრდა ხელოვნებაში და კულტურული საქმიანობის სხვა სფეროებში. უკვე დამკვიდრებული სახელწოდებები ისეთი ინტელექტუალური პროდუქტებისა, როგორებიცაა: პატენტები, სამეცნიერო აღმოჩენა, გამოგონება, „საწარმოო საიდუმლოებანი“ (KNOW-HOW), წარმოადგენს „სამრეწველო საკუთრებას“. სამრეწველო საკუთრების ჯგუფში შედის შემდეგი ობიექტები:

1. გამოგონება – ეს არის ახალი პროგრესული შემოქმედებითი გადაწყვეტილება ტექნიკური ხასიათის ამოცანებისა – მეცნიერებაში, კულტურასა და ეკონომიკაში. მისი ნიშნებია: აბსოლუტური სიახლე, პროგრესულობა, სარგებლიანობა. გამოგონების დაცვის ფორმას წარმოადგენს ლიცენზია.

2. პატენტი – ეს არის გამოგონების დაცვის დოკუმენტი, რომელსაც გასცემს კომპეტენტური ორგანოები. ის ამტკიცებს სახელმწიფო აღიარებას ტექნიკური გადაწყვეტილების სიახლისა, გამოგონების პოტენციური სარგებლიანობისა; მის მფლობელს აძლევს მონოპოლიურ უფლებას ამ გამოგონებაზე გარკვეულ ვადაში და არ უშვებს სხვა პირებს ამ დაპატენტებული გამოგონების წარმოებაზე, გამოყენებასა

და გაყიდვაზე.

3. ლიცენზია – ეს არის კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც გამოგონების მფლობელი გამოყენებისათვის გადასცემს სხვას (ლიცენზიატს) ტექნიკურ მიღწევას (ანუ დაპატენტებულ გამოგონების, სასარგებლო მოდელის და სხვ. გამოყენების უფლებას) ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობებით ანაზღაურების სანაცვლოდ, რომელსაც ლიცენზიატი იხდის ან თანახმაა, რომ გადაიხადოს.

4. სასაქონლო მარკები – ეს არის ნიშანი (ასოთა შეერთება, ნახატები, სიტყვები), დარეგისტრირებული გარკვეული წესის მიხედვით, რომელიც თავსდება საქონელზე (შეფუთვაზე) სამრეწველო და სასაქონლო საწარმოების მიერ სხვა საწარმოებისგან საქონლის განსხვავებისათვის და მათი რეკლამისათვის.

5. სამრეწველო ნიმუში – ეს არის ნაკეთობის გაფორმება. მისი გარეგნული სახე წარმოადგენს ახალ მხატერულ-კონსტრუქტორულ გადაწყვეტილებას, რომელიც მიანიშნებს, თუ როგორი უნდა იყოს ამა თუ იმ სამრეწველო ნიმუშის ფორმა. სამრეწველო ნიმუში უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკური ესთეტიკის მოთხოვნებს, რომლებიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს თავად ნაკეთობის გასაღებას.

6. მოდელი – გადაწყვეტა, რომელსაც გააჩნია ტექნიკური ხასიათი და ეხება გარეგნულ იერსახეს, კონსტრუქციებს ან თანაფარდობას ნაკეთობის სხვადასხვა ელემენტს შორის (მანქანები, მოწყობილობები, ინსტრუმენტები და სხვა), რომელსაც გააჩნია ახალი სახე და სარგებლობის პერსპექტივა.

7. საფირმო ნიშნები – განსაკუთრებული გამოსახულება, რომელიც ემსახურება საწარმოს (ორგანიზაციის) სხვა საწარმოებისაგან განსხვავებას.

8. „ნოუ-ჰაუ“ – ეს არის საწარმოთა მიერ დაგროვილი მეცნიერული და ტექნოლოგიური ცოდნა, სამეწარმეო გამოცდილება, რომელიც მოიცავს შემდეგ სახეობებს:

– კონსტრუქტორული „ნოუ-ჰაუ“ – ცოდნა და გამოცდილებაა; ის ემყარება, როგორც წესი, მანამდე არსებულ მრავალწლიან პრაქტიკას და, აგრეთვე ცოდნას, რომელსაც იღებენ სამეცნიერო კვლევითი სამუშაოებისა და საპროექტო-კონსტრუქტორული სამუშაოების

შედეგად.

— ტექნოლოგიური და სამეწარმეო „ნოუ-ჰაუ“ — გარკვეული სახის ნაკეთობების დამზადების, ოპერაციის შესრულებაში ორიგინალური ხერხებისა და სპეციალისტების პროფესიული ოსტატობის ერთობლიობაა, რომლის გადაცემა შეიძლება უშუალოდ სწავლების დროს.

— მმართველობითი „ნოუ-ჰაუ“ — მართვის განსაკუთრებით ეფექტიანი სტრუქტურებისა და მეთოდების, მოვალეობებისა და მათი შინაარსის მკაფიო განსაზღვრაა.

— კომერციული „ნოუ-ჰაუ“ — ბაზრის კონიუნქტურის მონაცემების, პროდუქციის რეალიზაციის სფეროში ცოდნისა და გამოცდილების, მისი რეალიზაციისა და რეკლამის გაცილებით მიზანდასახული შესაძლებლობების ქონაა.

— ფინანსური „ნოუ-ჰაუ“ — ესაა ცნობები ფულადი სახსრების გამოყენებისათვის ყველაზე სარგებლიანი ფორმისა, ვალუტის კურსის ცვლილებებისა და ფინანსური სამყაროს თავისებურებების გათვალისწინებით.

9. არამატერიალური აქტივების სხვა სახეობები, მათ შორის, შემდეგი ელემენტები:

- რაციონალიზატორული წინადადებები;
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება — ხარჯების ერთობლიობა, დაკავშირებული ასეთი საკუთრების შესაძენად საბუთების გაფორმების ხარჯებთან;
- ფირმის კარგი რეპუტაცია — ფულადი შეფასება ფირმის ხელში არსებული მოგებისა, რაც განპირობებულია მისი ავტორიტეტით;
- ფირმის საქმიანი კავშირები — იმ მოგებათა ერთობლივი ღირებულება, მიღებული სხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან საქმიანი ურთიერთობების ქსელის შექმნიდან;
- ფირმის გამოთვლითი სისტემების პროგრამული უზრუნველყოფა — სპეციალურად ფირმის საჭიროებებისათვის შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების ჯამური ღირებულება.

სასაქონლო ბრუნვა სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის არანივთიერი ფორმებისა მიმართულია საწარმოს ტექნიკური უზრუნველყოფით

ხელახლა აღჭურვაზე და ეროვნული ეკონომიკის ყველა დარგის ორგანიზაციაზე, მათი განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის. სამრეწველო საკუთრება შედის საწარმოს რესურსების ჯგუფში, აგრეთვე ირიცხება ფირმის საწესდებო კაპიტალის საწარმოო ბალანსზე დაბანდების სახით. ამ დარგის პრაქტიკამ საქართველოში ჯერ კიდევ ვერ მოიკიდა ფეხი, საერთაშორისო რეკომენდაციები ზღუდავს არამატერიალური სახსრების ფუნქციონირების ზღვარს 10 წლით, უტოვებს რა საწარმოს ხელმძღვანელობას გადაწყვეტილების მიღების უფლებას კონკრეტული ვადების გასარკვევად. სამრეწველო საკუთრების ობიექტებს არამატერიალური აქტივების გარდა, ეკუთვნის აგრეთვე მიწის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენების უფლება, სასაქონლო ბირჟაზე ადგილის ყიდვა, თუ ის საწარმოს მოგებას აძლევს.

არამატერიალური აქტივების შეფასება და აღრიცხვა ჩვენს ეკონომიკაში 1991 წლიდან დაიწყო, როდესაც არამატერიალური აქტივების გეგმაზე ჩაერთო ბუღალტრული ანგარიში ყველა იმ საწარმოსათვის, რომელსაც გააჩნდა დამოუკიდებელი ბალანსი.

არამატერიალური აქტივები წლიურ ბუღალტრულ ბალანსში ასახება მათ ყიდვაზე დანახარჯების ჯამით, მათ შორის დანახარჯების იმ მდგომარეობამდე მისაყვანად, როდესაც ისინი გამოსადეგი გახდებიან საწარმოთა მიერ დაგეგმილი მიზნებისათვის. ასეთი არამატერიალური აქტივების ღირებულება გადადის გარკვეულ პერიოდში საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქციის (მომსახურების) ღირებულებაზე, რომლის დროსაც მათ უნდა მოიტანონ შემოსავალი და ითვლებოდნენ ამ საწარმოების აქტივთა შემადგენლობაში (ძირითადად 5-10 წელი).

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვისას, გამოდიან აქტივების თავდაპირველი ღირებულებებიდან და მათი სარგებლიანი სამსახურის ვადებიდან (ვადა, რომლის დროსაც ობიექტი არის გამოყენებული და მოაქვს შემოსავალი). არამატერიალური აქტივების ცვეთის სიდიდე იზომება ყოველთვიურად, ხოლო თუ მათი სარგებლიანი გამოყენების ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ცვეთის ნორმები ივარაუდება 10 წელზე (მაგრამ არა თვით საწარმოს საქმიანობის ვადაზე მეტხანს).

ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედ პრაქტიკაში „ნოუ-ჰაუ“ ირიცხება ამა თუ იმ კონკრეტული დოკუმენტის ღირებული ფასის

ბალანსზე, რომლის შედგენაც ხდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე მიღებული აქტებით, სადაც თანხმდებიან დოკუმენტაციის გადაცემის პირობებსა და ვადებზე. „ნოუ-ჰაუ“-ს ცვეთა აგრეთვე ირიცხება, როგორც სხვა არამატერიალური აქტივები და განისაზღვრება გამომდინარე აქტივების ღირებულებისა და მათი საქმიანობის ვადებზე თავდაპირველად დადგენილი შეთანხმებიდან (ან სხვა დოკუმენტებიდან).

ინოვაციური საქმიანობის შედეგების მიღების პროცესში საკუთრების ობიექტებად გვევლინებიან საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური, სამეწარმეო, მმართველობითი და ფინანსური საიდუმლოებანი (რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ შეხედულებათა ერთობლიობას, სამეწარმეო გამოცდილებასა და ჩვევებს, აუცილებელს ინოვაციური პროცესის ორგანიზაციისათვის); საცდელი ნიმუშები; საექსპერიმენტო დანადგარები; კონსულტაციები; და სხვა. მათი განმასხვავებელი ნიშანია — პირდაპირი იურიდიული დაცვის არქონა, როგორც ინტელექტუალური, ასევე სამრეწველო საკუთრების შემთხვევაში.

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია ინოვაციური პროდუქტების ნომენკლატურის ზვავისებური ზრდა. ეს არის ახლებური ცოდნის დარგი, სამრეწველო და ლაბორატორიული პროცესები ახალი სახეობის პროდუქციის მისაღებად, მომსახურეობის გასაწევად და სამუშაოების ჩასატარებლად. ეს არის ინფორმაციის გადამუშავების ორიგინალური სისტემები, ახალი ნიმუშები, ახალი პროგრამები და სხვა ობიექტები. მონოპოლია ინოვაციური პროდუქტის საკუთრების უფლებაზე უზრუნველყოფს მათში საწარმოების შეზღუდულ შელწევას, რაც ზრდის კონკურენციის დონეს ნაციონალურ ეკონომიკაში.

ინოვაციური ინიციატივების უმეტესობა საჭიროებს სხვადასხვა სახის თანადგომას სახელმწიფოსაგან, ინოვაციური ფონდებისა და სხვა ორგანიზაციებისაგან, ამიტომაც ინოვაციურ პროდუქტზე საკუთრების უფლება წარმოადგენს შერეულ ინსტიტუციონალურ-ფინანსურ უფლებას, რომელიც ვრცელდება შემდეგ სუბიექტებზე: სახელმწიფო დაწესებულებები და ორგანიზაციები, ფინანსური ინსტიტუტები, ცალკეული ფირმები და მოქალაქეები.

ეკონომიკური ურთიერთობები, გამოხატული საკუთრებაში ინოვაციურ პროდუქტზე, გულისხმობს, რომ მათ მეპატრონეს აქვს

ყოველგვარი უფლება, გამომდინარე საკუთრებრივი უფლებებიდან. გამოყენების უფლება ნიშნავს, რომ ინოვაციური პროდუქტი გამოიყენება მათგან შემოსავლის მიღების მიზნით, მეპატრონის ინტერესებიდან გამომდინარე. საბოლოო ჯამში, ინოვაციური საქმიანობის ეკონომიკური გამოყენების დროს მიღებულმა შედეგებმა უნდა უზრუნველოს მფლობელის დანახარჯების კომპენსირება შემოსავლებში და მოუტანოს მას მოგება. განკარგვის უფლება შესაძლებელს ხდის ინოვაციური საქმიანობის ობიექტების შეღწევას სხვა ეკონომიკურ სუბიექტებში იმის წყალობით, რომ მათ გამომყენებელს შეუძლია მათ საფუძველზე მოახდინოს ახალი სახეობის პროდუქტების წარმოებისა და მომსახურების ორგანიზება, აგრეთვე უკვე არსებულის მოდერნიზება.

საკუთრების სუბიექტების სტრუქტურა ინოვაციურ პროდუქტზე განაპირობებს საკუთრების ობიექტების სტრუქტურას შრომის იმ საშუალებებზე, რაც გამოიყენება ინოვაციურ საქმიანობაში.

ინოვაციური პროდუქტის შემქმნელია ინოვაციურ პროდუქტზე საკუთრების თავდაპირველი სუბიექტი, მისი ობიექტის აუცილებელი მონაწილე. მეორეხარისხოვანი მონაწილე შეიძლება იყოს სახელმწიფო და სხვა მეპატრონე სუბიექტები.

ინოვაციური პროდუქტის შექმნის სტადიაზე საკუთრებრივი ურთიერთობა ჩნდება, როგორც „პერსონიფიცირებული ფუნქციები", პროდუქტის შექმნის პროცესში. განაწილების სტადიაზე ხორციელდება სოციალურად გამყარებული პერსონიფიკაცია, შექმნილი პროდუქტის გარკვეულ წილზე. შექმნილი ინოვაციური პროდუქტები, მიზიდული ინტელექტუალური საკუთრების 'სხვა" ობიექტებით ან შრომის საშუალებებით, მხოლოდ ნაწილობრივ მიეკუთვნება მათ შემქმნელებს. პროდუქტთა ნაწილი სხვისდება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების მფლობელთა შორის. ამ სახით ინოვაციური პროდუქტის მითვისების პროცესი გამოდის, როგორც შეძენა-გასხვისების პროცესთა ერთობლიობა, რომელიც რეალიზდება გაცვლის სტადიებში. მომხმარებლის მიერ შეძენილი ინოვაციური პროდუქტის სტადია იძლევა მისი რეალური ასიმილაციის საშუალებას.

ინოვაციური პროდუქტის მოძრაობის კერძო სამართლებრივი რეგულირების რეჟიმის გავრცელება წინასწარ განსაზღვრავს შემოსავლის განკარგვაზე ობიექტური კრიტერიუმების პრობლემების მნიშვნელობას, ინოვაციური საქმიანობის ყველა სუბიექტს შორის

გამოყენებულ შედეგებზე. შემოსავალთა განკარგვის არსებული სისტემა, მათი დიფერენციაცია რუსეთში ჩამოყალიბდა იმ ფაქტის გაუთვალისწინებლად, რომ საკუთრება ინოვაციურ პროდუქტზე და თვით შესაძლებლობა მისი შექმნისა — წარმოადგენს წარმოების იშვიათ ფაქტორს.

საკუთრებრივი ურთიერთობების სისტემა, რომელიც ინოვაციურ სფეროში ფუნქციონირებს, გულისხმობს მრავალრიცხოვან სუბიექტებსა და დონეებს, როგორებიცაა მაკროდონე, მეზო- და მიკროდონე.

ინოვაციური საქმიანობის კომერციალიზაცია საბაზრო პირობებში ობიექტური პროცესია, რომელიც გამოიხატება კომერციული საწარმოების რიცხვის ზრდაში, სპეციალიზდება ამ სახეობის საქმიანობაში (ინოვაციური საწარმოები), აგრეთვე მსხვილ საწარმოებში ინოვაციური პროცესების დამოუკიდებლად განხორციელებაში.

საკუთრებითი ურთიერთობა მიკროდონეზე წარმოდგენილია სხვადასხვა მონაწილით, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა მნიშვნელობა გააჩნია ამ მონაწილეს ინოვაციურ საქმიანობაში შედეგების მისაღებად. საკუთრებრივი ურთიერთობა მიკროდონეზე იძლევა ადამიანის მოქმედების რეგულირების საშუალებას, ფორმდება ურთიერთობა, ჩამოყალიბებული სამეურნეო ფაქტორების მფლობელთა შორის მათი ერთობლივი საქმიანობის მსვლელობისას. ამას გარდა, განსაზღვრავენ შემოსავლისა და გასავლის ზომებს ინოვაციური პროდუქტების წარმოებაზე, უზრუნველყოფენ კონტროლს რესურსების გამოყენებაზე საკუთრების სხვადასხვა მონაწილეთა მხრიდან.

ინოვაციური საწარმოს ჩარჩოებში კონტრაქტული შეთანხმებები იერარქიაში მონაწილის ადგილის განსაზღვრით ამყარებს საკუთრების უფლებების ერთობლიობას, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი მართვის უფლებამოსილებათა მოცულობას. მაშასადამე, საკუთრების დაყოფა ასახავს უფლებების დანაწილების პროცესს კოალიციის სხვადასხვა მონაწილეთა შორის. ინოვაციური საწარმოს მფლობელთა ოპტიმალურ სტრუქტურას მივყავართ ეფექტიანობის მიღწევამდე რესურსების დანაწილებისას. დოვლათის დაკარგვის რისკის ხარისხი, რომელიც აქვთ მესაკუთრეებს წარმოების სხვადასხვა ფაქტორებში, აყალიბებს მათი დამოუკიდებლობის დონეს ინოვაციური საწარმოს მოქმედების შედეგებისაგან, ე.ი. ამ ფაქტორის როლს საწარმოს მართვაში, მესაკუთრის უფლებამოსილების ხვედრით წონას მართვის

იერარქიაში.

რამდენადაც ინოვაციური საწარმოებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და სწავლულების საშემსრულებლო შრომა, ისინი ხდებიან პრეტენდენტები აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლობაზე. სპეციფიკური რესურსების (ინფორმაცია, ცოდნა, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები და სხვა.) მესაკუთრენი მეტად არიან დაინტერესებულნი არიან ინოვაციური საწარმოს საქმიანობის სტრატეგიის არჩევანში, რადგანაც მენეჯერების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგი გავლენას ახდენს მათ შემოსავლებზე, რომელთა წარმოდგენა შეიძლება სპეციფიკური რესურსების გამოყენებისაგან რენტის სახით.

თუ ინოვაციური საწარმოს ხელმძღვანელობა გამომდინარეობს სპეციალური რესურსების მესაკუთრეთა ინტერესებიდან, ამით აგრეთვე ზრდის შემოსავალს სხვა რესურსების მესაკუთრეთათვის. საწარმოს შემოსავლების პოლიტიკა წარმოადგენს საკუთრებრივ ურთიერთობაში ცალკეულ მონაწილეთა მიღწეული შეთანხმების იმ მექანიზმს, რომელიც შედის საწარმოო ჩარჩოების კოალიციაში, უზრუნველყოფს მეტ შემოსავალს, ვიდრე ის, რომლის მიღებაც მათ შეეძლოთ ღია საბაზრო გარიგებაში.

ინოვაციური საწარმოს თანამშრომლების შრომის ანაზღაურების სქემა სხვადასხვაგვარია: ფიქსირებული გამომუშავებული ხელფასი, მონაწილეობა შემოსავლის განაწილებაში და სხვა.

ინოვაციურ სფეროში საკუთრებრივი უფლებებისა და ურთიერთობების თავისებურებებს განეკუთვნება:

— მოძრაობა, ცვალებადობა, „არაფორმალურობა", დაკავშირებული ინოვაციური პროდუქტის მითვისებასთან, განკერძოებასა და განკარგვასთან, აგრეთვე სხვადასხვა ობიექტებისა და ინოვაციური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებთან.

— საკუთრებრივი უფლებები არამკაფიოდაა განსაზღვრული, რაც არა მარტო ფორმალურ, არამედ შინაარსობრივ მხარესაც ეხება, რის გამოც ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალურ სუბიექტებს შორის საკუთრებრივ ურთიერთობაში არ არსებობს მოვალეობებისა და უფლებების ზუსტი დიფერენციაცია.

— საკუთრებრივი უფლებებისა და ურთიერთობების ფორმირება ხდება მნიშვნელოვანი ინერციულობისას საკუთრებათა და უფლებათა

სფეროში.

– უწყვეტი ხარისხობრივი ცვლილებები საკუთრებით ურთიერთობაში და უფლებათა გაურკვევლობა განსაზღვრავს ინოვაციურ სფეროში ინსტიტუციონალური და სუბიექტური ფაქტორების მნიშვნელოვან როლს თანამედროვე საკუთრებრითი ურთიერთობების ფორმირებისათვის. საკუთრების რეალური უფლება აგრძელებს თვითუზრუნველყოფას არა ფორმალური უფლებების შემოღებით, არამედ იმ ურთიერთობებით, რომლებიც არსებობს სუბიექტებს შორის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ინოვაციური საწარმოების ქონებაზე საკუთრებრივი უფლებების სტრუქტურას აქვს თავისი ფუნქციები, წარმოდგენილი სხვადასხვა საკუთრებრივი უფლებამოსილებით და პასუხისმგებლობის მოცულობით, რომელიც შედის უფლებათა იერარქიაში, რესურსების სპეციფიკისა და მისი მფლობელის მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად.

კონკრეტული ნაკრები უფლებებისა გამოხატავს და განსაზღვრავს შემოსავლის ოდენობას ინოვაციურ საწარმოებში მონაწილეობისაგან, რომელიც ახდენს სტიმულების ფორმირებას ყოველი მონაწილე საწარმოებისათვის, სამეურნეო საქმიანობაში. ინოვაციური პროდუქტის შექმნის ყველა სტადიას შემოქმედებითი იდეის შემუშავებიდან წარმოებაში ახლად შემოღებული წესების გამოყენებამდე, თან ახლავს მითვისებისადმი მიდრეკილება, მათ შორის ინოვაციურებზე. ეს ყველაფერი, თავის მხრივ, წარმოადგენს საკუთრებრივ ურთიერთობას ინოვაციურ პროდუქტზე.

თანამედროვე საბაზრო სისტემას არ შეუძლია ეფექტური განვითარება ინოვაციურ პროდუქტზე საკუთრებრივი ურთიერთობების გარეშე. მონოპოლიის არსებობის პირობებში, ცოდნასა და სიახლეებზე მონოპოლიის არსებობისას ნოვატორი ფირმები ღებულობენ დამატებით მოგებას, რომელიც წარმოადგენს თავისებურ რენტას. პერიოდი, როდესაც ბაზარი გაჯერებული იქნება ადგილობრივი საქონლითა და მომსახურებით, ჩვენთან ჯერ არ დამდგარა. მაგრამ ისევე როგორც საბაზრო ეკონომიკის მქონე ყველა ქვეყანაში, არც ისე შორეულ პერსპექტივაში მოთხოვნა ორიენტირებული იქნება გაცილებით რთულ, მეცნიერებატევად პროდუქტებზე, რომლებიც, თავის მხრივ, გააძლიერებს მოთხოვნას ინოვაციურ პროდუქტებზე და აქტუალურს გახდის საკუთრებრივი ურთიერთობების განვითარებას ინოვაციური საქმიანობის

სფეროში.

დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში კომპანიების მიერ ხორციელდება არა უბრალოდ ყიდვა ან საკუთრივ ინოვაციური პროდუქტის შექმნა, არამედ ხდება აგრეთვე მწვავე პაექრობა ინოვაციური პროდუქციის ობიექტებზე, კონკრეტულ პროდუქციაზე მათი უსწრაფესად რეალიზაციის მიზნით. მთლიანობაში ეს აძლევს სტიმულს ინტელექტუალურ საქმიანობას, ხდის რა მას მაღალმომგებიანს, თან ზრდის როგორც ხარისხობრივ, ასევე რაოდენობრივ მოცულობას ყოველდღიურად წარმოებული ინოვაციური პროდუქტებისა, რომლებიც აუცილებლად იქცევა საკუთრების ობიექტებად.

2.2. ინოვაციური საქმიანობის პროდუქტის ეკონომიკური შინაარსი

ადამიანური კაპიტალის ზრდის როლის გაძლიერება, შრომის გადაქცევა წარმოების დომინირებულ ფაქტორად, სამეცნიერო ცოდნა, ინფორმაცია, აღმოჩენები და მათი გამოყენება შესაბამისად განსაზღვრავს წარმოების ეფექტიანობას, მის კონკურენტუნარიანობას და განაპირობებს ნაციონალური ეკონომიკის საწარმოებისა და დარგების დინამიკურ ზრდას. ამიტომ აუცილებელია ინოვაციური პროდუქციის გამოკვლევა, როგორც ეკონომიკური ანალიზის დამოუკიდებელი ობიექტისა და მისი ეკონომიკური არსის გამოყოფა. ინოვაციური პროდუქტის ეკონომიკურ ანალიზში ძალზე მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რა ხერხით მოხდება სუბიექტის ჩართვა, რომელიც ახორციელებს ინოვაციურ საქმიანობას ეკონომიკურ პროცესებში, და აგრეთვე — ინოვაციური პროდუქტის მიკუთვნებისა და გასხვისების პროცესის ხასიათის განსაზღვრა.

ინოვაციური პროდუქტის განმასხვავებელი ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ მისი შემადგენელი ნაწილები, როგორიცაა მეცნიერული ცოდნა, ინფორმაცია და გამოცდილება, შეიძლება მიენიჭოს ეკონომიკურ სუბიექტს გაუსხვისებლად, მატერიალურ-ნივთობრივი ფორმის ინოვაციური პროდუქტისაგან განსხვავებით, რომლებიც მას რეალიზაციის დროს ჩამოშორდება.

ამრიგად, ინოვაციურ პროდუქტებზე სარგებლობის უფლება არ

მოითხოვს მისი ყველა ობიექტის გასხვისებას. ეს, პირველ რიგში ეხება საინფორმაციო ობიექტებს. ამასთანავე, ინოვაციური პროდუქციის გადაცემის უფლება აუცილებლად გულისხმობს, რომ მესაკუთრეებს, აქვთ მათი სარგებლობისა და შემოსავლების მიღების გარკვეული უფლებები. ამჟამად სრულიად ჩამოყალიბებულად შეიძლება ჩაითვალოს უფლებები ინტელექტუალურ საკუთრებაზე, რომელიც წარმოადგენს საწყის რესურსს ინოვაციური საქმიანობისათვის.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ინოვაციური პროდუქციის მომხმარებლებს ყოველთვის აქვთ არჩევანის უფლება, რაც ტრადიციულად არ ხდება მატერიალური პროდუქტების შემთხვევაში. მომხმარებელს უფლება აქვს, უარი თქვას ინოვაციური პროდუქციის კონკრეტული მწარმოებლის მომსახურებაზე, უპირატესობა მიანიჭოს სხვას ან საერთოდ უარი თქვას ინოვაციაზე. ინოვაციური საქმიანობის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ მოთხოვნას თან მოსდევს შეთავაზებანი, რათა მოხდეს ამ სიახლის „თავს მოხვევა“ ინოვაციური პროდუქციის მომხმარებლებისათვის.

ინოვაციური საქმიანობა ხშირად სცდება ეკონომიკური კანონების ჩარჩოებს. მოთხოვნა-მიწოდების კანონიდან გამომდინარე ლიკვიდურ და განვითარებულ ბაზრებში უნდა შეიმჩნეოდეს წონასწორობა, რომელთა დარღვევა განაპირობებს ინოვაციურ საქმიანობაზე ფასწარმოქმნის მექანიზმს. იგი დატვირთულია ინფორმაციით და მასზე მოთხოვნა-მიწოდების კანონი არ ვრცელდება, რამდენადაც ინოვაციური საქმიანობის პროდუქტის ნაწილი, მაგ.: კონსალტინგური მომსახურება, მწარმოებლებისა და მომხმარებლების მიერ ერთდროულად იქმნება.

ინოვაციურ საქმიანობას ცალკეული კორექტივები შეაქვს ეკონომიკის კიდევ ერთ კანონში, რომელსაც შემოსავლების კლებადობის კანონი ეწოდება და რომლის თანახმადაც ნებისმიერი საწარმო თავისი საქმიანობისას აღწევს ისეთ ზღვარს, რომლის იქით დამატებითი კაპიტალდაბანდების პროდუქტიულობა წინასთან შედარებით იკლებს. წარმოება-განვითარებული ქვეყნების პრაქტიკიდან გამომდინარე ჩანს, რომ ინოვაციური საქმიანობა ხასიათდება მზარდი შემოსავლებით, რაც მისი მასშტაბების ზრდით მიიღება. ინოვაციური პროდუქტის შექმნისა და მითვისების პროცესის დროს წარმოიშობა ეკონომიკური ურთიერთობანი, რომელიც მოითხოვს სამართლებრივ გაფორმებას

და ღირებულებით (რაოდენობრივ) შეფასებას.

ინოვაციური პროდუქტის ეკონომიკური ბუნება განისაზღვრება ინტელექტუალური შრომის სპეციფიკურობით, რომელიც წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის განუყოფელ სუბიექტს. მეწარმეობა, როგორც ინოვაციური ფუნქციის რეალიზაცია ეკონომიკურ სფეროში, არის წარმოების სპეციფიკური ფაქტორი. თვითონ ინოვაციური საქმიანობა, როგორც ინტლექტუალური შრომის სახესხვაობა, ინარჩუნებს თავის ძირითად თვისებებს. ინოვაციური საქმიანობის ობიექტები თავად შეიცავს რაღაც ახალს, ხოლო მათი მიღება ატარებს ალბათურ ხასიათს.

ინოვაციური პროდუქტი, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, წარმოადგენს საქონელს, ყიდვა-გაყიდვის გარიგებათა ობიექტს. ხშირად ინოვაციური პროდუქტი იწარმოება უნიკალური სამომხმარებლო რესურსის „ბუნებრივი მონოპოლიის" პირობებში, რომელიც შეზღუდულია მხოლოდ ინოვაციური შრომის სუბიექტის ინტელექტის ზრდით. შესაბამისად, ინოვაციური პროდუქტები პერსონიფიცირებულია.

ინოვაციურ პროდუქტს უნდა გააჩნდეს საზოგადოებრივი სარგებლიანობა, რადგან მას აქვს უნარი (მაგრამ არა მწარმოებლისათვის), იყოს „საგანი სხვათათვის" (იგი იქმნება სუბიექტის მიერ შემოქმედებითი ინოვაციური საქმიანობის დროს).

ინოვაციური პროდუქცია შექმნის საწყის სტადიაზე „ისრუტავს" ინფორმაციას, იდეებს, ცოდნას, აღმოჩენებს, მიღწევებს მეცნიერების სფეროში, რომლებიც ინტელექტუალური საქმიანობის ობიექტებია.

ძირითადი განსხვავება ინფორმაციას, ცოდნასა და სხვა საზოგადოებრივ (ფულად, მატერიალურ და შრომით) დოვლათს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ცოდნა არ კლებულობს მისი გამოყენების შემდეგ. განხილული რესურსი არსებობს სივრცეში დამოუკიდებლად, მისი არსებობა შესაძლებელია რამდენიმე ადგილზე ერთდროულად. ე.ი. მატერიალური საგნებისაგან განსხვავებით, მწარმოებელს შეუძლია მიჰყიდოს ერთი და იგივე ინფორმაცია მრავალ გამყიდველს. ამასთანავე ცოდნა შემდგომშიც არ არის შეზღუდული სივრცეში, იგი უფრო მეტადაა დამოკიდებული დროის ფაქტორზე.

სამეცნიერო-ინფორმაციული პროდუქტი არ წარმოადგენს ფიზიკურ ნივთს, თუმცა წარმოგვიდგება განსაზღვრული მატერიალური

ინფორმაციის მატარებლის სახით. იმ სამეცნიერო-ინფორმაციული პროდუქტის ელემენტებისათვის, რომლებიც არ არიან წარმოდგენილი ნივთიერი სახით, გაცვლა-გამოცვლის განმარტების მიცემა აუცილებელია. გაცვლა ხდება მაშინ, როცა კონკრეტული ფასეულობანი – ფული, საქონელი, ინფორმაცია და სხვ. – ვილაცის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არის საჭირო.

გაცვლის ცნების ფართო განსაზღვრას სამეცნიერო-ინფორმაციულ ბაზარზე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ამ პროდუქციის მწარმოებლებისათვის, რათა ეს ინფორმაცია შემდგომში იქცეს საქონლად.

გაცვლის ცნების გაფართოებულ ახსნას აქვს მნიშვნელოვანი თეორიული აზრი, რომელიც გაფართოებულ საზოგადოებრივ წარმოებაში, საინფორმაციო პროდუქტის მოძრაობის პროცესის ეკონომიკური ანალიზისადმი ახლებური მიდგომის საშუალებას იძლევა.

ეკონომიკური თეორიის შემეცნებითი აპარატის გაგება საბჭოთა პერიოდში ეფუძნებოდა ღირებულებით შეფასებას ისეთ კატეგორიაზე, როგორიცაა შრომა, კაპიტალი, საქონელი, წარმოების საშუალებები, მოთხოვნა და ა.შ.

ჩვენს ქვეყანაში საზოგადოების მიერ გაწეული გონებრივი შრომა დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა არამწარმოებლურად, მას მოიაზრებდნენ საკმაოდ მცირე დანახარჯად იმ ფიზიკურ შრომასთან შედარებით, რომელიც დაკავშირებული იყო მატერიალური ფასეულობების წარმოებასთან. ამასთან გონებრივი შრომის რაოდენობისა და ღირებულების გაზომვა საკმაოდ ძნელი იყო მატერიალური პროდუქტების, მათი ღირებულებისა და წარმოების რაოდენობასთან შედარებით. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიებში გაფართოებული კვლავწარმოების პროცესების შესწავლისას „ინფორმაცია“ არ არსებობდა.

XX საუკუნის II ნახევრიდან არსებითად შეიცვალა ფიზიკური და გონებრივი შრომის მოცულობა, რაც აისახა მატერიალურ შეფარდებაში. მოხდა ცოდნისა და ინფორმაციის გარდაქმნა უშუალოდ მწარმოებლურ ძალად, რის შედეგადაც წარმოიქმნა ინფორმაციული ეკონომიკა, რომელიც ემყარებოდა ხალხის აუცილებელ საზოგადოებრივ საქმიანობას. ეს დაკავშირებული იყო ინფორმაციული პროდუქციის შეგროვებასთან, გადამუშავებასა და შენახვასთან.

განსხვავება მატერიალურ და ინფორმაციულ პროდუქციას შორის მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული მატერიალური პროდუქტი, უმეტეს შემთხვევაში, იწვევს ინფორმაციული პროდუქტის წარმოქმნას. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა ინფორმაციული პროდუქტის ფორმირება არ იწვევს მატერიალური პროდუქტის შექმნას.

ინფორმაციულ პროდუქტს (მატერიალურისაგან განსხვავებით) არ ემუქრება განადგურება, ცვეთა, ამორტიზაცია; ინფორმაციული პროდუქტი ძველდება და ხდება მათი დავიწყება, თანდათანობით კლებულობს მისდამი მოთხოვნილება და ადგილს უთმობს ახალს. ინფორმაციული პროდუქტის მოძველება ხშირად ხდება მატერიალური პროდუქტების ბაზრიდან გაძევების მიზეზი.

ინფორმაციული პროდუქტის განხილული თავისებურებანი მიუთითებს მარკეტინგული მიდგომის გამოყენებაზე ინფორმაციული წარმოების სფეროს ანალიზისათვის. მოთხოვნისა და მიწოდების მარკეტინგული რეგულირების პრინციპზე გადასვლა საშუალებას აძლევს ინფორმაციულ დაწესებულებებს, გადაწყვიტონ თავიანთი შიდა ამოცანები, როგორიცაა ინფორმაციული წარმოების თვითღირებულების უზრუნველყოფა, მოგების მიღება და თავისი სოციალური ფუნქციის შესრულება. ეს ნიშნავს, რომ მწარმოებელმა უნდა შექმნას კონკრეტული მომხმარებლისათვის (მომხმარებელთა ჯგუფისათვის) უაღრესად სარგებლიანი საინფორმაციო პროდუქტი. ამავე დროს, მან უნდა აუწყოს მომხმარებელს შეთავაზებული საინფორმაციო პროდუქტის სარგებლობის შესახებ.

სამეცნიერო-ინფორმაციული პროდუქტის სახმარი ღირებულება და ფასები სიტუაციურია, რომელიც ასახავს კონკრეტულ ურთიერთობას ბაზარზე მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. ინფორმაციულ პროდუქტზე ფასის ფორმირებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციული პროდუქტის სამომხმარებლო და არა შრომით ღირებულებას.

ინფორმაციის შინაარსიდან გამომდინარე, პროდუქცია ხდება სახმარი ღირებულების მიკუთვნების ობიექტი განსაზღვრული მიზნის მიღწევისათვის და მომხმარებლის სპეციფიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

ინფორმაციის მითვისება ხდება მართვის განხორციელების პირობა, რომელიც იწვევს მის გამყარებას როგორც წარმოების ფაქტორით,

აგრეთვე კონკრეტული პირებისა და სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფის მიერ, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს საზოგადოებრივ სტატუსს. უძველესი დროიდან სახელმწიფოებრივი მითვისების ობიექტი ხდებოდა მოწინავე ტექნიკური ინფორმაცია, რომელსაც გააჩნდა როგორც – სამხედრო (დენთი - ჩინეთში, „ბერძნული ცეცხლი“ – ბიზანტიაში), ისე სამეურნეო-ტექნიკური მნიშვნელობა (აბრეშუმი ჩინეთი). სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროცესის რევოლუციური ხასიათი შესაძლებელია მხოლოდ მონოპოლიის წარმოქმნისას, რომელიც ახერხებს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის მითვისების რეალიზებას, რამდენადაც მისი მუდმივი და განახლებული ფლობა ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა მონოპოლიის შენარჩუნებისათვის. ამ მიზნით გამოიყენება მონოპოლიური იურიდიული უფლება (შესყიდვა და პატენტის კონსერვაცია) და მეცნიერების ჩართვა ინფორმაციის მონოპოლიზაციის ეკონომიკური მეთოდების საშუალებით მსხვილი კორპორაციების შიდა სტრუქტურებში, ამასთანავე სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი ფირმების წარმოქმნა მონოპოლიის სტრუქტურებში. ისტორიამ გვიჩვენა, რომ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის კონცენტრირება წარმოების პროცესში შეუძლებელია ერთი მონოპოლიის ორგანიზაციულ ჩარჩოში. მეცნიერებას აქვს ზოგადი და ინტერნაციონალური ხასიათი და არ შეიძლება იყოს მონოპოლიურად „ლოკალიზებადი“.

საწარმოო ორგანიზაციები გადავიდნენ საინფორმაციო მითვისების უფრო მოქნილ სისტემაზე, როდესაც მისი წარმოება დამოკიდებულია შეკვეთაზე, მაგრამ პირდაპირ წარმოებას არ ექვემდებარება. გამონაკლისია მონოპოლია ინფორმაციაზე სამხედრო წარმოების სფეროში.

ინფორმაციის უნიკალური ეკონომიკური მნიშვნელობა, რომელიც აქცევს მას სამეურნეო საქმიანობის განსაკუთრებულ რესურსად, მდგომარეობს იმაში, რომ დაგროვილი ცოდნა მოქმედებს წარმოების ეფექტიანობაზე და ეკონომიკურ ზრდაზე ტრადიციული რესურსების ფიზიკური ზრდის გარეშე. ინფორმაციული რესურსი უშუალოდ მოქმედებს წარმოების სუბიექტურ ფაქტორებზე, ადამიანზე, ცვლის რა მის ეკონომიკურ და სოციალურ ქცევას, მის ხასიათს. ის განსაზღვრავს პირდაპირი სამეურნეო კავშირების განვითარებას, მარკეტინგს და საბითუმო ვაჭრობას. სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს

პროდუქტი წარმოგვიდგება გამოგონების სახით, რომელიც ხდება ყიდვა-გაყიდვის ობიექტი პატენტებისა და ლიცენზიების სახით. გაყიდვის ეკონომიკური შინაარსია მყიდველისათვის გამოგონებებზე კერძო უფლების გაცემა. ლიცენზიის გაყიდვის დროს პატენტის მფლობელი ინარჩუნებს კერძო საკუთრების უფლებას გამოგონებაზე და უფლებას აძლევს მყიდველს განსაზღვრულ ფარგლებში ისარგებლოს ამ უფლებით.

განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნებისათვის დამახასიათებელია პატენტების რეგისტრაციის მაღალი დონე. ლიცენზიებით ვაჭრობის განვითარების ტემპი აშშ-ში, გერმანიაში, იაპონიაში, ინგლისსა და საფრანგეთში წინ უსწრებს წარმოებას და შიდა ვაჭრობას ნივთიერი ფორმით[5, გვ.32].

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში ინფორმაცია, წარმოების საერთო პირობებიდან გამომდინარე თვითონ ხდება შრომის საგანი, ხოლო ადგილობრივ ეკონომიკაში იქმნება მისი წარმოების სფერო – ინფოსფერო. ამ უკანასკნელის სპეციფიკა განისაზღვრება საბოლოო პროდუქტის თავისებურებებით – ინფორმაციული მომსახურება, მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდება მისთვის სასურველი ფორმით და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ანუ ინფორმაციული პროდუქტის არანივთიერი ფორმით, რომელიც თვითონ მოწესრიგებულ ინფორმაციას წარმოადგენს. ასეთი ინფორმაციის ყიდვის ან მიღების დროს (თანამედროვე პირობებში ის წარმოადგენს პროგრამას, რომელიც შეიცავს მოწესრიგებული სახის მონაცემებს, ხერხებს მათი მართვისა და დამუშავების შესახებ) მომხმარებელი ხდება მისი „საბოლოო გამომყენებელი". ინფორმაციული მომსახურების მოთხოვნის პროცესი წარმოადგენს რაღაც ახალი პროცესის დასაწყისს.

ინფორმაციის წარმოებას აქვს მიზანი, მისცეს მას სახმარი ღირებულება, რისი საშუალებითაც ის რეალიზდება საწარმოო ან პირად მოხმარებაში. ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის სარგებლობას, გარდაიქმნება სახმარ ღირებულებად, რომელიც არის ინფორმაციული დოკუმენტი. მისი სარგებლობა დამოკიდებულია მასში არსებული ინფორმაციის შემეცნებით უნარზე. საბუთის ფორმით ინფორმაცია შეიძლება გადავიდეს ერთი მომხმარებლიდან მეორეზე. მომხმარებლის მიერ გამოყენებული სასარგებლო ინფორმაცია რეალიზდება საბოლოო შედეგის პროდუცირებით – წარმოებული

პროდუქტი, მომსახურება, პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს გონებრივი საქმიანობის სფეროში.

ახალი ინფორმაციის წარმოების პროცესი აძლევს მას სახმარი ღირებულების ფორმას გადამუშავებული და მოწესრიგებული საბაზრო ინფორმაციის შედეგად.

ინოვაციური საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ბაზარზე ახალი პროდუქციის შემოტანის შესაძლებლობებს. ეს კი მოითხოვს ინოვაციური პროდუქციის მომხმარებელთა პოტენციური მიზნების ცოდნას, ხოლო ინოვაციური საქმიანობა ამ მიზნის მიღწევის საშუალებად გვევლინება. შესაბამისად, ინფორმაცია მომხმარებლის საჭიროების შესახებ განსაზღვრავს ინოვაციური პროდუქტის ირიბი მოთხოვნის ფორმას. ინოვაციური საქმიანობის დროს სუბიექტის შემოთავაზებანი განისაზღვრება როგორც მისი საკუთარი პოტენციალით (კადრები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა), ასევე სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში ფორმირებული ინტელექტუალური საკუთრების ფორმებით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ახალი საქონლის ინფორმაციულ მოდელს, ან ტექნოლოგიური პრობლემის გადაწყვეტას, რომელსაც მივყავართ საბაზრო ურთიერთობების გაფართოების შესაძლებლობისაკენ.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპები დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის შესაძლებელი ეკონომიკური სუბიექტების ინფორმირება ამა თუ იმ ინფორმაციის შესახებ, ე.ი. დამოკიდებულია ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიის განვითარების დონეზე. „ინფორმაცია განიხილება, როგორც გასაღები“ საბაზისო რესურსების თანამედროვე ეკონომიკური საქმიანობისა. დღეს ამას ისეთივე მნიშვნელობა ენიჭება, როგორიც ადრე კაპიტალს ჰქონდა („მიწა და სამუშაო ძალა“). ინფორმაციის გარდაქმნა ყველაზე მნიშვნელოვან რესურსად აძლიერებს მისი დამუშავების ტექნოლოგიების როლს. ამა თუ იმ ქვეყნის უპირატესობა დღეს განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად ეფექტიანად ხდება ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

1990 წლიდან აშშ-ში ინფორმაციის გადაცემასა და მასზე ოპერაციების წარმოებაში დასაქმებული იქნა მოსამსახურეთა 25%; წარმოების ახალი კაპიტალდაბანდებების და აღჭურვილობის 40%-ზე მეტი მოდის ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროზე, რაც 2-

ჯერ მეტია, ვიდრე 80-იან წწ.-ში.

სუბიექტებს შორის ინფორმაციის გაცვლის ხარისხი სამეცნიერო-ტექნიკურ, ინოვაციურ და საწარმოო საქმიანობაში განსაზღვრავს საქონლის საბაზრო პოზიციებს. თუ არ არსებობს საინფორმაციო კავშირი ბაზარსა და ინოვაციური საქმიანობის მქონე სუბიექტებს შორის, ვერ მოხდება დაგროვილი ინოვაციური პოტენციალის გამოყენება და პროდუქტის რეალიზაციის შედეგად არ იქნება მიღებული მოგება, და პირიქით, ინფორმაცია, რომლისთვისაც დამახასიათებელია ახალი ცოდნის წარმოებაში გადატანის პროცესი, ქმნის ახალი საქონლის წარმოშობის შესაძლებლობებს, ხოლო ინფორმაცია მისი უპირატესობის შესახებ გვაძლევს ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების საშუალებას ბაზარზე გასატანად.

სამეცნიერო ცოდნას, პრაქტიკაში განხორციელებულ იდეებს, უფრო მეტი მოგება მოაქვს, ვიდრე საგნობრივი საკუთრების ობიექტებს. პრაქტიკაში რეალიზებული ცოდნა საბოლოო ანგარიშით იძენს იდეების მატერიალურ არსს, რომელიც დაკავშირებულია საგნობრივ-სივრცულ დისკრეტულობასთან. ინოვაციური საქმიანობის შედეგად წარმოიშობა ინოვაციური პროდუქტი, რომელთა დანიშნულებაც წარმოების სფეროში გამოყენებაა.

ინოვაციურ პროდუქტებზე დანახარჯთა დიდი ნაწილი მოდის მოსამზადებელ სამუშაოებზე. ამიტომ ახალი საცდელი ნაკეთობის ნიმუშის ან პირველი ეგზემპლარის თვითღირებულება გაცილებით დიდია შემდგომის თვითღირებულებაზე. ეს ტენდენცია დამახასიათებელია ავიამშენებელი, საავტომობილო და სხვა პროდუქტებისათვის.

ინოვაციური პროდუქტის განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ დანახარჯი ინტელექტუალური საკუთრების შეძენისას ვერ განსაზღვრავს ბოლო სტადიაზე დამზადებული პროდუქტის დანახარჯის მოცულობას. ამასთანავე, ინოვაციური პროდუქტის ღირებულება ყოველთვის არ შეესაბამება მის დამზადებაზე გაწეულ დანახარჯს.

ინოვაციურმა პროდუქტმა, როგორც საქონელმა, უნდა დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნილება, უშუალოდ თავისი ღირებულების საწარმოო პროდუქტებზე გადატანით და მისი სახმარი ღირებულების ფორმირებაში მონაწილეობის მიღებით. ინოვაციური

პროდუქტის გამოყენება უზრუნველყოფს ერთეული პროდუქციის ღირებულების შემცირებას, ამიტომ ინოვაციური პროდუქტის თვითღირებულება მხოლოდ მაშინ ჩანს, როდესაც მის საფუძველზე შექმნილი საბოლოო პროდუქტი ბაზარზე პოპულარული ხდება.

ინოვაციური პროდუქტის გაცვლის დროს მჟღავნდება შემდეგი თავისებურებანი: მაღალი კონკურენტუნარიანობა; ფასწარმოქმნის სპეციფიკა; დამოკიდებულება მომხმარებელთა ცვალებად მოთხოვნილებებზე.

იაპონელი მეცნიერი ტ.საკაია აღნიშნავდა, რომ „ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ისეთ სამყაროში საცხოვრებლად, სადაც ახალი აღმოჩენები, ტექნიკური სიახლეები და საქონელი, რომელიც გვთავაზობს სხვადასხვა ფუნქციის განუმეორებელ შეხამებებს, უწყვეტად შემოვა და მაშინვე ადგილს დაუთმობს კიდევ უფრო ახალ ორიგინალურ გამოგონებებს და საქონელს; ასე რომ, ცოდნით შექმნილი ღირებულება გადაიქცევა ისევ „ერთჯერადი მოხმარების“ საქონლად, რომლის გამოყენების შემდეგ რაც შეიძლება სწრაფად უნდა გათავისუფლდეს მისგან“. ცოდნით შექმნილი ღირებულება მკვეთრად მერყეობია. მისი ყოველი გარდაქმნა გარდამავალია, რომლის ფასიც იცვლება ახალი ტექნოლოგიის გამოჩენასთან ერთად.

ცოდნით შექმნილი ღირებულება წარმოადგენს პროცესს, რომლის დროსაც შრომა და წარმოების საშუალებანი უწყვეტად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ხოლო ადამიანი თვითონ ხდება წარმოების ძირითადი საშუალება.

ცოდნით შექმნილი ღირებულების განსაზღვრისთვის შეუძლებელია შრომითი ღირებულების თეორიის გამოყენება. ასეთი პროდუქციის ფასს არა აქვს პირდაპირი და ირიბი დამოკიდებულება დანახარჯებთან, რომელიც დაკავშირებულია მის შექმნასთან. ფასი შეიძლება რამდენჯერმე დიდი იყოს საშუალებათა მოცულობაზე და სხვაობა მათ შორის ფორმირდება მომხმარებელთა ხარჯზე. ამასთანავე ასეთი გარღვევა ბაზარზე ახალი ცოდნის საფუძველზე გამოშვებული პროდუქტის წყალობით შეიძლება დასრულდეს კიდევ ახალი ვარიანტის გამოჩენით, რომელიც უფრო უპირატესი იქნება მომხმარებლისათვის. ამრიგად, საზოგადოებაში, სადაც განხილული ინფორმაცია დიდი მასშტაბებით გამოიყენება, ნებისმიერი ახალი პროდუქტის

სიცოცხლისუნარიანობა ხანმოკლეა.

ინოვაციურ პროდუქტზე მოთხოვნის გაჩენის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ძველის ნაცვლად ახალი ტექნიკის მოთხოვნა. კაპიტალის ზღვრული ეფექტიანობის შეცვლა ან ეკონომიკური ვარდნა, რომელსაც მივყავართ კაპიტალდაბანდების ღირებულების დაქვეითებისაკენ, იწვევს ტექნოლოგიური სიახლეების გაჩენას. მეცნიერებასა და ტექნიკაზე მოთხოვნის გაჩენის სხვა პირობა ეს არის – რესურსების შეზღუდულობა. ტექნოლოგია იძლევა არსებული ბუნებრივი რესურსების მარაგის, მათი გამოყენების ეფექტიანობის, ძიების, მოპოვების, განაწილებისა და შენახვის შესაძლებლობების განსაზღვრის საშუალებას. ასეთ კავშირებში ჩნდება მოთხოვნა რესურსების დამზოგავ, უდანაკარგო ტექნოლოგიებზე.

ინფორმაცია მომხმარებელთა საჭიროებაზე ინოვაციური პროდუქტის მოთხოვნის მრუდის ფორმულის განსაზღვრისას, ქმნის იმის პირობას, რომ ეს პროდუქტი გადაიქცევა საქონლად, ამასთანავე ინოვაციის ბაზრის მონოპოლიზაციის მაღალი ხარისხი, მოთხოვნისა და შეთავაზებების დაუბალანსებლობა აფერხებს ინოვაციურ საქმიანობაზე მოთხოვნის ფორმირებას.

ინოვაციურ პროდუქტზე მოთხოვნის ფორმირება, თავის მხრივ, ქმნის იმის პირობას, რომ გაჩნდეს მოთხოვნა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე, რომელიც უფრო სრულად განაპირობებს სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შედეგად მის გამოყენებას. ინოვაციური პროდუქციის ბაზარი არ შეიძლება არსებობდეს იზოლირებულად, ეს საბაზრო სისტემის ერთ-ერთი უნიშვნელოვანესი ელემენტია. ინოვაციური პროდუქციის ბაზრის მოცულობა განისაზღვრება პოტენციური მყიდველის გადახდისუნარიანობით, ხოლო შეთავაზება დამოკიდებულია ინოვაციური ორგანიზაციების რაოდენობასა და პოტენციალზე. ინოვაციურ ბაზარზე მოქმედებს ღირებულების კანონი, რომლის მიხედვითაც პროდუქციის ღირებულება განისაზღვრება მისი სარგებლიანობით. ინოვაციური ორგანიზაციების რაოდენობაზე დამოკიდებულებით, ინოვაციური პროდუქციის ბაზარი შეიძლება იყოს მონოპოლიური ან სრულყოფილი კონკურენციის ბაზარი.

ინოვაციურ პროდუქციაზე საბაზრო მოთხოვნილების გაზრდა მოწმობს ინოვაციურ პროდუქტებზე კონკურენციის არსებობას, რომლებიც, თავის მხრივ, განაპირობებენ ბაზარზე ახალი სახის

პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინოვაციური პროდუქტი ხდება საბაზრო ურთიერთობების ობიექტი. ინოვაციური პროდუქტი, როგორც საქონელი – ეს არის პროდუქციის „ბუნებრივი მონოპოლია". ის ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს, რომელიც ხშირად მოიცავს განუმეორებელ ინფორმაციას. ინოვაციური პროდუქტი შეიძლება გაიცვალოს, მაგრამ სრულად არ მოხდება მისი გასხვისება, უპირველეს ყოვლისა, იმ ინტელექტუალური ობიექტების ნაწილში, რომლებიც მხოლოდ გასესხებას ექვემდებარებიან. ინოვაციური პროცესის სუბიექტების მიერ ინტელექტუალური ობიექტების საბოლოო გასხვისება არ ხდება. ნივთიერი პროდუქციისგან განსხვავებით, ისინი შეიძლება რამდენჯერმე გაიყიდოს. ამასთანავე, ინოვაციური პროდუქტი არ ქრება, ის მოხმარების პროცესში გარდაიქმნება ინოვაციური პროდუქციის მატერიალურ-ნივთობრივ ობიექტად.

ინოვაციური პროდუქციის ნაწილი თავის თავში მოიცავს თვისებას – იყოს „საგანი სხვისთვის". ის იწარმოება პროდუქციის ნომენკლატურის სწრაფი ცვლილების პირობებში და, შესაბამისად, ემსახურება სამეურნეო ობიექტების, ეროვნული ეკონომიკის ეკონომიკური ზრდის მიზანს.

თავი III. ინოვაციური სფერო და ბაზარი

3.1. ინოვაციური ორგანიზაციები

ინოვაციური ორგანიზაციების, ე.ი. ინოვაციური საქმიანობის სუბიექტების კლასიფიკაცია, რომლებსაც მიეკუთვნება სახელმწიფო და სამეწარმეო სექტორების საწარმოები და ორგანიზაციები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ცალკეული მეცნიერები და სპეციალისტები, მიზანშეწონილია განხორციელდეს ინსტიტუციონალური სექტორების მიხედვით. ინოვაციური საწარმოები და ორგანიზაციები ამ ნიშნით მიეკუთვნება სახელმწიფო სამეწარმეო სექტორებს, უმაღლესი განათლების სფეროს ან კერძო არაშემოსავლიან (არაკომერციულ) სექტორს. სახელმწიფო სექტორისადმი განკუთვნილი ინოვაციური ორგანიზაციების თავისებურება იმაშია, რომ ისინი ძირითადად ფინანსდება და კონტროლდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ და ძირითადად ახორციელებს მოქმედებას, დაკავშირებულს საზოგადო და ადმინისტრაციული ფუნქციების რეალიზაციასთან.

საბაზრო რეფორმის მნიშვნელოვან ამოცანად რჩება არასახელმწიფოებრივი სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური ფირმების დახმარება. მათი მესაკუთრეები შეიძლება იყვნენ ცალკეული მეცნიერები, მრეწველები, სამრეწველო და კომერციული საწარმოები, მათ შორის უცხოურიც, რომლებიც ეძებენ კაპიტალდაბანდების ეფექტურ სფეროებს. მიზანშეწონილია, რომ ის სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციები, რომელთა კვლევები არ შევიდა პრიორიტეტულ შემადგენლობაში და მათ მიმართ შეწყდა სახელმწიფო დაფინანსება, გადაეცეს კერძო კაპიტალს. ამასთან, უნდა შედგეს წინასწარი შეთანხმება, რომ განსაზღვრული დროის განმავლობაში ამ ორგანიზაციებმა აწარმოონ სამეცნიერო მუშაობა.

სამეწარმეო სექტორით გარემოცული ინოვაციური საწარმოები დაკავშირებულია ინოვაციური პროდუქციის წარმოებასთან (გაყიდვის მიზნით), აგრეთვე კერძო არაკომერციული მომსახურების გაწევასთან სამეწარმეო მოქმედების სუბიექტებისათვის, რომელთაც შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საგანმანათლებლო დაწესებულებანი. უმაღლესი განათლების სფერო მოიცავს უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს

(დაფინანსების წყაროს ან სამართლებრივი სტატუსისაგან დამოუკიდებლად), სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, საცდელ სადგურებს, კლინიკებს, რომლებიც იმართება უმაღლესი სასწავლებლებიდან, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების კონტროლის ქვეშ მყოფ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებს, საწარმოებს და სხვა.

კერძო ინდივიდუალური ორგანიზაციები, რომელთა მიზანი არაა შემოსავლის მიღება, საზოგადოებრივი, საქველმოქმედო ორგანიზაციები და ფონდები შედის კერძო არაშემოსავლიან სექტორში.

დასავლეთის განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში განვითარება ჰპოვეს არაშემოსავლიანმა (არაკომერციულმა) ორგანიზაციებმა, რომლებიც ემსახურებიან პროექტების მართვასა და კოორდინაციას. მათ რიცხვს მიეკუთვნება „სპეციალიზებული კორპორაციები", რომლებიც მართავენ მსხვილ სახელმწიფო პროგრამებს, როგორც კოორდინატორები და ადმინისტრატორები. საქართველოში ისეთი ორგანიზაციების შექმნა, როგორიცაა "REND ქორფორეიშენი", ბრუკლინის ინსტიტუტი, ბეტელის მემორიალური ინსტიტუტი, სტენფორდის საერთაშორისო კვლევის ცენტრი, ქმედითობას შემატებდა სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა პროგრამების მართვას.

ჩამოთვლილი ინოვაციური ორგანიზაციები და საწარმოები დაფინანსების წყაროს მიხედვით იყოფა სუბიექტებად, რომლებიც ფინანსდება ძირითადად სახელმწიფო, რეგიონული, ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, არასაბიუჯეტო ფონდებიდან, კერძო წყაროებიდან, ან კიდევ შემოაქვთ პრაქტიკაში შერეული დაფინანსება.

მოხდა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარებაზე ხარჯვის სტრუქტურის სტაბილიზაცია ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში. სახელმწიფო სექტორი ახორციელებს დაახლოებით 44% დანახარჯს ფუნდამენტურ გამოკვლევებზე, 20%-ზე მეტს ხარჯავს გამოყენებით გამოკვლევებზე და 36%-ზე მეტს ხარჯავს დამუშავებაზე. სახელმწიფოს წილი ერთობლივ დანახარჯებზე შეადგენს 25%-ზე მეტს. კერძო სექტორი აფინანსებს 70%-მდე დანახარჯს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონტსრუქტორო სამუშაოებზე, მათგან 4%-მდე ფინანსდება ფუნდამენტური გამოკვლევები, 14% - გამოყენებითი გამოკვლევები, 82%-მდე — დამუშავება.

ინოვაციის სიახლის დონის ნიშან-თვისების მიხედვით, ინოვაციური

მოქმედების სუბიექტებს შეუძლიათ რადიკალურ ან ორდინარულ სიახლეთა დამუშავება (დანერგვა). ინოვაციური მოქმედებით სუბიექტებს შეუძლიათ საქონლის (ან სიახლის) სასიცოცხლო ციკლის ცალკეულ სტადიაზე სპეციალიზება, ან ცალკეულ პრობლემაზე მოიცავდეს საქონლის სასიცოცხლო ციკლის რამდენიმე სტადიის კომპლექსურად ჩართვა. მათ რიცხვს მიეკუთვნება:

- სტრატეგიული მარკეტინგი;
- ფუნდამენტური გამოკვლევები;
- გამოყენებითი გამოკვლევები;
- საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები;
- საწარმოს ტექნოლოგიური მომზადება;
- ათვისება, წარმოება, ტაქტიკური მარკეტინგი;
- ინოვაციის სერვისი;
- საქონლის, ინოვაციის რემონტი.

ამრიგად, ინოვაციურ ორგანიზაციებს მიეკუთვნება მარკეტინგის სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საპროექტო-ტექნოლოგიური ორგანიზაციები, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროები, ფირმები, საწარმოები, კორპორაციები, კონცერნები, სასერვისო და სარემონტო ორგანიზაციები.

მარკეტინგული ორგანიზაციების საქმიანობა დაკავშირებულია ბაზრის სეგმენტაციასთან, კონკურენტუნარიანობის ნორმატივების დამუშავებასთან, ფირმების ქვედანაყოფების მარკეტინგის კონცეფციის რეალიზაციასთან, მათი სტრატეგიის დამუშავებასთან, გასაღების, რეკლამისა და პირობების სისტემასთან, რომელიც სტიმულს აძლევს საქონლის გასაღების დაჩქარებას.

ინოვაციურ ორგანიზაციებს მიეკუთვნება სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები და კვლევითი ცენტრები, რომლებიც ასრულებენ ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს; მიღებული შედეგების მატერიალიზაციის შესაძლებლობის მეცნიერულ და ექსპერიმენტულ შემოწმებას, სიახლეთა დამუშავებას, მათ აპრობაციასა და დიფუზიას, მათ დანერგვას, ან სხვა ორგანიზაციებზე გაყიდვას.

საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები და სპეციალიზებული საკონსტრუქტორო ბიუროები ატარებენ ექსპერიმენტებს და ცდიან საქონლის ახალ ნიმუშებს მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად, აგვარებენ სერთიფიკაციის

საკითხებს.

საპროექტო-ტექნოლოგიური ორგანიზაციები ამუშავებენ და ამზადებენ საქონლის წარმოების ტექნოლოგიურ სისტემებს, შრომის, რესურსების, წარმოების ორგანიზაციის ნორმატივებს. სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები კაპიტალური მშენებლობის ობიექტებზე ახორციელებენ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავებას ახალი მშენებლობებისთვის, გაფართოებისთვის, რეკონსტრუქციისთვის ან ტექნიკური გადაიარაღებისთვის და აწარმოებს მშენებლობას სიახლეთა შემუშავებისათვის ან ინოვაციათა დანერგვისათვის.

ინოვაციური საწარმოები (კომპანიები, ფირმები) სპეციალიზდება სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შედეგების მატერიალიზაციასა და წარმოების ტექნოლოგიურ მომზადებაზე. ანალოგიურ საქმიანობას ეწევიან პროდუქციის მწარმოებელი და მომსახურე საწარმოები. საბაზრო პირობებში თავის გადასარჩენად ისინი აუმჯობესებენ საქონლის ხარისხს, ამცირებენ მათ თვითღირებულებას, სრულყოფილს ხდიან წარმოების ტექნოლოგიასა და ორგანიზაციას, ან გადიან ახალი საქონლით ბაზარზე.

ორგანიზაციათა ინოვაციური საქმიანობის სტრატეგია დამოკიდებულია ინოვაციური პროდუქტის რეალიზაციისა და ინოვაციის მიზნობრივი მხარეების მექანიზმზე, რაშიც სპეციალიზდება კონკრეტული ორგანიზაცია. ინოვაციურ ორგანიზაციას შეუძლია სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის შედეგების სხვადასხვაგვარად რეალიზება. შედეგის მისაღებად ინოვაციურ ორგანიზაციებს შეუძლიათ დამოუკიდებლად აწარმოონ ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები, ან მიიღონ სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქტები იმ ორგანიზაციებსა და პირებთან ურთიერთობით, რომლებიც აწამოებენ ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს.

სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციები, რომლებიც მთლიანად არიან დაკავებული ფუნდამენტური გამოკვლევების ჩატარებით, კონცენტრირდებიან ძირითადად მეცნიერების სფეროში. ფუნდამენტალური გამოკვლევების შედეგები მთლიანად გადაეცემა სამეცნიერო-კველევითი სამუშაოების შემკვეთს, რომელიც ხშირ შემთხვევაში არის სახელმწიფო. სამეცნიერო ორგანიზაციებს

შეიძლება მიენიჭოს ცენტრების სტატუსი, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკის რეალური სექტორის მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარების მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტას. ეს პრობლემები დაჯგუფებულია სხვადასხვა მიმართულებად, რომელთაგან თითოეული შედგება რამოდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემისაგან და განსაზღვრავს ეკონომიკის რეალური სექტორის დარგების განვითარებას.

საკუთრივ ინოვაციური ორგანიზაცია შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, როდესაც სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაცია რეალიზაციას უკეთებს ფუნდამენტური დამატების ან ფუნდამენტალური დანერგვის სტრატეგიებს, რითაც სამრეწველო საწარმოებთან ერთად ქმნის ერთობლივ საწარმოს სიახლეთა კომერციალიზაციისათვის. ინოვაციური ორგანიზაცია შეიძლება გახდეს გაერთიანების (შერწყმის) პროდუქტი. ამ შემთხვევაში ის განახორციელებს ფუნდამენტურ და გამოყენებით სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, აგრეთვე საკუთრივ წარმოებას.

სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონტსრუქტორო სამუშაოების შედეგების რეალიზაცია სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციების მიერ მათი შინაგანი ტრანსფერის ჩარჩოებში ახალ საწარმოო ქვედანაყოფებზე გარეგანისგან განსხვავებით კონტროლისა და თანმხლები პრობლემების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.

სიახლეთა საწარმოო რეალიზაციისათვის სამეცნიერო-ტექნიკურ ორგანიზაციებს შეუძლიათ საწარმოო სიმძლავრეების შექმნა, სამეურნეო სუბიექტებთან ერთობლივი წარმოების ორგანიზება, მოქმედი საწარმოების საკუთრებაში მოპოვება ან საწარმოო სტრუქტურების (კონცერნების, კორპორაციების) ჯგუფურ შემადგენლობაში გაერთიანება. საწარმოო სიმძლავრეთა შექმნა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შედეგების რეალიზაციის მიხედვით, შეიძლება განხორციელდეს აქციების ემისიის მეშვეობით, ხანგრძლივი კრედიტების მოზიდვით, ხანგრძლივი ვალდებულებების გამოშვებით, ხანგრძლივი არენდით (ლიზინგი).

სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციის სამრეწველო საწარმოებთან შერწყმის კონკრეტული საშუალებაა აქტივებისა და აქციების შესყიდვა. სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციის დაქვემდებარება ჯგუფური საწარმოო-ეკონომიკური სტრუქტურის შემადგენლობისადმი

საშუალებას იძლევა, მოხდეს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონტრუქტორო სამუშაოების დაფინანსების წყაროების უფრო საიმედო უზრუნველყოფა, განვითარდეს სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერაცია საწარმოებთან, რომლებიც შედიან ჯგუფში, და განხორციელდეს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შედეგების რეალიზაცია.

ინოვაციურ ორგანიზაციებს შეუძლიათ, სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციებისაგან მიიღონ (გამოყენებითი) კვლევების შედეგები და დამოუკიდებლად დანერგონ წარმოებაში. ერთობლივი დანერგვის მიზნით დასაშვებია სიახლის შემმუშავებლისა და ინოვაციური ორგანიზაციის კოოპერაცია, ან სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციის გარდაქმნა ინოვაციურ ორგანიზაციად, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების (სკსსს) შედეგების დამოუკიდებლად დანერგვისათვის. საბაზრო რეფორმების პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა სკსსს-ის შემსრულებელი ორგანიზაციების რიცხვი. გამონაკლისს შეადგენს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები (სკი), რომელთა დაფინანსება ხშირ შემთხვევაში ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკის კრიზისულ მდგომარეობასთან.

მრავალი სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო პრობლემის კომპლექსური გადაჭრა ხორციელდება ინოვაციური საქმიანობის ისეთი ნაირსახეობით, როგორიცაა ინჟინირინგი. მხედველობაშია მოლაპარაკების საფუძველზე საინჟინრო-ტექნიკური კომპლექსური მომსახურების ან მომსახურების ცალკეული სახეობების გაწევა, რაც დაკავშირებულია გამოკვლევებთან, პროექტირებასთან, მშენებლობასთან, ექსპლუატაციაში შეყვანასთან, ახალი ტექნოლოგიური პროცესების დამუშავებასთან (შემკვეთის საწარმოებზე), არსებული საწარმოო პროცესების სრულყოფასთან (უშუალოდ ახალი ნაკეთობის წარმოებაში დანერგვამდე).

ინჟინირინგული ფირმები ხელს უწყობენ „ინტელექტუალური კაპიტალის“ უსწრაფეს ათვისებას ეკონომიკის რეალურ სექტორში, ახორციელებენ სამუშაოთა სრული ციკლის ორგანიზაციას: იდეიდან მზა პროდუქციის წარმოებამდე და ბაზარზე მის წარმატებით გასაღებამდე. სამუშაოთა ყველა სტადიის რეალიზაცია – იდეიდან წარმოებამდე და სახალხო მეურნეობაში პროდუქტის გავრცელებამდე

– არ არის აუცილებელი ინჟინირინგული ფირმების ქმედების პრაქტიკაში. თუმცა ეს უკანასკნელნი პოულობენ ოპტიმალურ შემსრულებლებს სამუშაოთა თითოეული სტადიისათვის, გამომდინარე ვადის, ხარისხის, სამეცნიერო-ტექნიკური დონიდან და სხვა პარამეტრებიდან, იმისათვის, რომ უფრო ეფექტიანად იქნეს უზრუნველყოფილი საბოლოო შედეგის მიღწევა.

ინჟინირინგული ფირმები აერთიანებენ ინოვაციური პროცესის ყველა სტადიას, რითაც უზრუნველყოფენ მის კომპლექსურობასა და უწყვეტობას, რისკის მინიმიზაციასა და სამეურნეო რესურსების ხარჯვას, აგრეთვე დანაკარგებს ინოვაციური ქმედების ცალკეულ სტადიებზე.

ინჟინირინგულ მომსახურებას ახორციელებენ მსხვილი სამრეწველო კომპანიები და სამშენებლო-საიჯარო საწარმოები. მსხვილი სამრეწველო კომპანიები საკუთარი ძალებით წარმოადგენენ ისეთ ინჟინირინგულ მომსახურებას, როგორიცაა ტექნიკური გამოცდილების, საწარმოთა ექსპლუატაციის მეთოდების გადაცემა, წარმოების ორგანიზაცია და წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია.

სამშენებლო-საიჯარო ფირმები ახორციელებენ ობიექტების პროექტირებას, მშენებლობას, ტექნიკური აღჭურვილობის მიწოდებას. სპეციალიზებული ინჟინირინგული ფირმები ასრულებენ პარალელურად რამდენიმე შეკვეთას სხვადასხვა დარგში და სხვადასხვა ქვეყანაში. გარე ინჟინირინგის წყალობით, ექსპორტირდება სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონტროლო სამუშაოთა შედეგები იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანას არ შეუძლია საბოლოო პროდუქციის ექსპორტირება, რაც უზრუნველყოფს ქვეყანას დამატებითი სავალუტო შემოსავლებით. ამრიგად, ინჟინირინგი ხელს უწყობს ინტელექტუალური შრომის საერთაშორისო დაყოფასა და ინოვაციების საგარეო ეკონომიკურ გაცვლას.

ინჟინირინგი მოიცავს საპროექტო-საკონსულტაციო, საიჯარო და მმართველობით საქმიანობას.

საპროექტო-საკონსულტაციო საქმიანობა დაკავშირებულია შეკვეთების შესრულებასთან – ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევებზე და სამრეწველო ობიექტების ახალი საწარმოების, ნაგებობებისა და რეკონსტრუქციების დაფუძნებაზე. ინჟინირინგული კომპანიები ახორციელებენ პროექტების, საერთაშორისო და შიდა ვაჭრობის

ტექნიკური პირობების დამუშავებას, ატარებენ ნიმუშების ექსპერტიზასა და გამოცდას, კონსულტაციას აძლევენ შემკვეთებს მიმწოდებლის შერჩევისას, აკონტროლებენ მოიჯარეების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას და იბარებენ მზა ობიექტებს.

ინჟინირინგულ ფირმებს შეუძლიათ გენერალური მიმწოდებლისა და გენერალური მოიჯარის ფუნქციების განხორციელება კომპლექსური მოწყობილობისა და ობიექტების აგებისას. „გასაღების გადაცემამდე“ აგებული ქარხნის მშენებლობისას, ინჟინირინგული ფირმა პასუხს აგებს ობიექტის მშენებლობის მთელ ციკლზე, წინასაპროექტო ძიების, პროექტირების, ლიცენზიის წარდგენის, კომპლექსური მოწყობილობის დაყენების, მონტაჟისა და გამშვებ-ამწყობი სამუშაოების, ტექნიკური კონსულტაციების, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის, და სხვათა ჩათვლით.

ინჟინირინგული ფირმების მმართველობითი საქმიანობა დაკავშირებულია მათ მიერ მომსახურების გაწევასთან საწარმოო სტრუქტურისა და ადმინისტრაციული მართვის, წარმოების დაგეგმვის, ბაზრების მარკეტინგული კვლევის ორგანიზებისადმი, აგრეთვე სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზებისადმი.

განასხვავებენ შემდეგი სახის ინჟინირინგულ, ტექნიკურ მომსახურებას (სადაც თითოეული მათგანი შეიძლება იყოს დამოუკიდებელი საქმიანობის საგანი):

საკონსულტაციო ინჟინირინგი (ობიექტების პროექტირება, მშენებლობის გეგმების დამუშავება, ჩატარებული სამუშაოების რეკონსტრუქცია და კონტროლი);

- ტექნოლოგიური ინჟინირინგი (ტექნოლოგიების შეკვეთაზე წარდგენა, პროექტების დამუშავება ენერგო-, წყალმომარაგების, ტრანსპორტის და სხვ. მიხედვით);

- სამშენებლო (საერთო) ინჟინირინგი (მოწყობილობის, ტექნიკის დაყენება, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება).

ინჟინირინგული საქმიანობის სხვადასხვა სახემ თავიდანვე განსაზღვრა ინჟინირინგული კომპანიების შემდეგი ჯგუფები — საინჟინრო-საკონსულტაციო, საინჟინრო-სამშენებლო, საკონსულტაციო ორგანიზაციისა და მართვის საკითხებში და საინჟინრო-კვლევითი.

მომსახურების, საქონლის ან ტექნოლოგიის გაყიდვის სპეციალურ ფორმას წარმოადგენს ფრანჩაიზინგი. ფრანჩაიზინგის ხელშეკრულების

მიხედვით, ფრანჩაიზერი (გამყიდველი) ანიჭებს უფლებას ფრანჩაიზანტს (მყიდველს) გამოიყენოს თავისი საფირმო დასახელება და სასაქონლო ნიშანი ან მომსახურების ნიშანი, ნოუ-ჰაუ, ტექნოლოგიური მეთოდები და ინტელექტუალური საკუთრების სხვა ტიპები. მინიჭებული უფლებებისა და გაწეული დახმარებისათვის ფრანჩაიზანტი ვალდებულია, აუნაზღაუროს ფრანჩაიზერს მთელი ხარჯები და გადაიხადოს დაპირებული გასამრჯელო.

სასერვისო ორგანიზაციები ახორციელებენ პროდუქციის ხარისხის მხარდაჭერას დამამზადებლიდან მის მომხმარებლამდე, უზრუნველყოფენ რა სიმარტივეს, საიმედოობასა და ეკონომიურობას მისი გამოცდის, შეფუთვის, ტრანსპორტირების, მონტაჟის, საგარანტიო მომსახურების ჩათვლით. სარემონტო ორგანიზაციები მოწოდებულნი არიან განახორციელონ ტექნიკური მომსახურება და პროდუქციის რემონტი, ვინაიდან გარანტიის შემდგომი ტექნიკური მომსახურება და რემონტი საქონლის პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაციის მთავარი პირობებია.

ინოვაციურ ორგანიზაციებს შეუძლიათ სპეციალიზირება სამეცნიერო დარგების (საბუნებისმეტყველო, ტექნიკური, ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი მეცნიერებანი) და სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით, რომლებშიც ისინი ფუნქციონირებენ (მეცნიერება და განათლება, ინფორმატიკა, მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა).

ინოვაციური საქმიანობის სუბიექტები მუშაობენ საპროდუქციო, სარესურსო, საპროცესო ან დოკუმენტურ ინოვაციებთან, რომლებიც ჰპოვებენ როგორც შიდა, ისე გარე გამოყენებას (გაყიდვა, გაცვლა). განასხვავებენ ეფექტის სახეებს, რომლებზედაც ორიენტირებულები არიან ძირითადად ინოვაციური ორგანიზაციები: კომერციული (ეკონომიკური), სამეცნიერო-ტექნიკური (ალმოჩენები, გამოგონებანი და სხვ.), ეკოლოგიური, სოციალური ან ინტეგრალური.

მრავალფეროვანია ინოვაციური ორგანიზაციების საორიენტაციო-სამართლებრივი ფორმები:

- ინდივიდუალური მეწარმეობა ფიზიკური პირებისათვის;
- სამეურნეო ამხანაგობა და საზოგადოება;
- საწარმოო კოოპერატივები;
- სახელმწიფო და მუნიციპალური უნიტარული საწარმოები;

- არაკომერციული ორგანიზაციები (ასოციაციები, კავშირები და ა.შ.).

ინოვაციური ორგანიზაციები ეროვნულია, თუ ისინი ან მათი ფილიალები განთავსებულია ერთ ქვეყანაში. ტრანსნაციონალურია, თუ მათი ფილიალები განთავსებულია რამდენიმე ქვეყანაში. ეროვნებათშორისია, როდესაც მათ შემადგენლობაში შედიან სხვა ქვეყნების ორგანიზაციები. მოქმედების პერიოდის მიხედვით, ინოვაციური საქმიანობის სუბიექტები შეიძლება იყოს დროებითი ან მუდმივი, ხოლო იურიდიული სტატუსის მიხედვით — იურიდიულად დამოუკიდებელი ან იურიდიულად დამოკიდებული.

ინოვაციურ საწარმოებს თავიანთი სიახლით შეუძლიათ გამოვიდნენ უკვე ათვისებულ ბაზრებზე, ან ახალ ბაზრებზე. საკუთარი პროდუქციის (მომსახურების) კონკურენტუნარიანობის მისაღწევად ისინი ძირითადად ასაღებენ სტრატეგიების შემდეგ ტიპებს:

- საპატენტო, დამახასიათებელი ფირმისათვის, რომლებიც ითვისებენ ვიწროსპეციალიზებულ საქმიანობებს. მათი პროდუქტები მიმართულია მომხმარებლის შეზღუდული წრისაკენ. ასეთი საწარმოები ეძებენ სხვებისთვის მიუწვდომელი საქმიანობის სფეროებს;

  კომუტანტური (შემაერთებელია). მათ ირჩევენ ფირმები, რომლებიც შეგუებულნი არიან ინდივიდუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, კლიენტის არცთუ ისე დიდი მოცულობის ან ხანმოკლე მოთხოვნილებებს;

- ექსპლერენტული (პიონერული). ის დაკავშირებულია ბაზრის ახალი სეგმენტების შექმნასთან ან მოძველებულის რადიკალურ გარდაქმნასთან პრინციპულ სიახლეთა დანერგვის საფუძველზე.

ზომების მიხედვით, ინოვაციური ორგანიზაციები შეიძლება იყოს მცირე, საშუალო და მსხვილი.

მსხვილ ინოვაციურ ორგანიზაციებს მიეკუთვნება კორპორაციები, რომლებიც წარმოადგენენ ნებაყოფლობით გაერთიანებებს დამოუკიდებელი სამრეწველო საწარმოების, სამეცნიერო, საპროექტო, საკონსტრუქტორო და სხვა ორგანიზაციებისა ნებისმიერი სახის ქმედების ეფექტურობის ამაღლების მიზნით, კოლექტიური მეწარმეობის საფუძველზე.

თავის მხრივ, კორპორაციებს შეუძლიათ შედარებით რთულ

ორგანიზაციულ სტრუქტურებში შესვლა, კერძოდ, — საფინანსო-სამრეწველო ჯგუფებში, ჰოლდინგურ კომპანიებში, ტრანსნაციონალურ კორპორაციებსა და კონსორციუმებში. უკანასკნელის საორგანიზაციო ფორმის თავისებურება იმაშია, რომ მსხვილი ფირმების მოცემული დროებითი გაერთიანება ფირმათაშორისი კოოპერაციის ჩარჩოებში გულისხმობს არა მარტო ერთობლივ დაფინანსებას, სტრატეგიული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარებას, ტექნოლოგიებისა და სტანდარტების დამუშავებას დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, არამედ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისა და ნოუ-ჰაუს შედეგების აუცილებელ გავრცელებას მონაწილეთა შორის შემდგომი დამოუკიდებელი წარმოებისათვის. კონსორციუმებში შეიძლება მიიღონ მონაწილეობა უნივერსიტეტებმა და სხვა უმაღლესმა სასწავლებლებმა. ამასთან შენარჩუნებულია ერთი ფირმის შესაძლებლობა მონაწილეობდეს კონსორციუმის რამდენიმე პროექტში. წარმატებული საორგანიზაციო სტრუქტურის მაგალითია ამერიკული კონსორციუმი, „მიქროელექტრონიქს ენდ ქომფიუთერ ტექნოლოჯი“, რომელიც დაარსდა 1982 წელს 12 უმსხვილესი კორპორაციის მიერ, მათ შორის „კონტროლ დეიტა“, „დეკი“, „მოტოროლა“, „სპერი“ და სხვა. რუსეთში კონსორციუმმა „ორმაგი ტექნოლოგია“ გააერთიანა სამხედრო-სამრეწველო საინვესტიციო კომპანია, ინჟინირინგული „ინტექპრო“ და კონსალტინგური SONKOF. სწორედ ეს ფირმები ახორციელებენ მეცნიერებატევადი პროექტების შერჩევას, მომზადებასა და ინვესტირებას.

სტრატეგიული ალიანსი — სხვა საორგანიზაციო ფორმაა, რომელიც აერთიანებს ინოვაციურ ორგანიზაციებს. მისი განმასხვავებელი თვისებაა — კორპორაციათა ფირმათაშორისი კოოპერაცია რთული სამუშაოების კომპლექსის ჩატარებაზე მთელი ინოვაციური ციკლისათვის, მიღებული შედეგების კომერციალიზაციის ჩათვლით. შეთანხმების მონაწილენი ფინანსურ რისკს ინაწილებენ თანაბრად რადიკალური ახალი პროდუქციის, ტექნოლოგიის, გამოგონებათა დამუშავებისა და ათვისებისას. კომერციული ეფექტი მიიღწევა კოოპერაციაში მაღალი მანევრულობის, სიახლეთა შექმნის ინოვაციური ციკლის შემცირების, ახალი საქონლის წარმოების ტექნოლოგიური მომზადების ავტომატიზაციის მაღალი ხარისხის, ინოვაციათა სწრაფი

დიფუზიის წყალობით. აშშ-ში სტრატეგიულ ალიანსთა თითქმის ნახევარი კონცენტრირდება გამოკვლევათა და გადამუშავებათა განვითარებაზე, თანაც მათი მონაწილეები უზრუნველყოფენ ტექნოლოგიური და ეკონომიკური ინტეგრაციის მაღალ დონეს, ინოვაციური პროექტების სარეალიზაციოდ.

რასაკვირველია, ინოვაციური ქმედების სუბიექტის როლის შესრულება, სპეციალიზირებული ინოვაციური ფირმების (საწარმოების) არარსებობის შემთხვევაში, შეუძლიათ როგორც სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის მწარმოებლებს, ისე საწარმოებს, რომლებიც უშვებენ საქონელს. თუმცა მაღალგანვითარებული ეკონომიკური ქვეყნების პრაქტიკა ადასტურებს, რომ მათში ინოვაციის ბაზრის მნიშვნელოვან სუბიექტებს წარმოადგენენ მცირე ინოვაციური ფირმები, რომლებსაც მფარველობენ ვენჩურული კაპიტალის მქონე კომპანიები.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა ვენჩურული ბიზნესი დამოუკიდებელი პატარა ფირმების სახით. ისინი სპეციალიზებული არიან კვლევებზე, დამუშავებაზე, ახალი პროდუქციის წარმოებაზე. ვენჩურული ფირმები შეიძლება იყვნენ მსხვილი კომპანიების შვილობილები. ხშირად ვენჩურული ფირმები დასაქმებულნი არიან არა პროდუქციის წარმოების ორგანიზებით, არამედ გადასცემენ თავიანთ კვლევებს კომპანიებს, რომლებიც საქმიანობენ მსხვილი წარმოების სფეროში.

მეწარმეს, რომელიც მზადაა ინოვაციის შეთავაზებული იდეის საფუძველზე შექმნას ახალი ფირმა, სჭირდება სარისკო კაპიტალი ვენჩურული საწარმოს დასაფინანსებლად. ვენჩურული დაფინანსება ხორციელდება ახალი ფირმების აქციების მოპოვების საფუძველზე ან სხვადასხვა სახის კრედიტის მინიჭებით ჩვეულებრივ აქციებში კონვერსიის უფლებით. სახსრების მინიჭებით ხანგრძლივი დროით, ინვესტორი მოიპოვებს უფლებას ვენჩურული კომპანიის კაპიტალში საქმიან მონაწილეობასა და მის მართვაზე.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ვენჩურული კაპიტალის წყაროს წარმოადგენს მსხვილი კორპორაციებისა და ბანკების სახსრები, პირადი დანაზოგები, საპენსიო და საქველმოქმედო ფონდები, სადაზღვევო კომპანიის სახსრები და სხვა. სხვადასხვაგვარია ვენჩურული კაპიტალის მცირე ინოვაციურ საწარმოებზე გადაცემის ფორმები: პირდაპირი დაფინანსება, სპეციალური საინვესტიციო

კომპანიების გზით, აგრეთვე სახელმწიფო სუბსიდიების სახით.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მთლიან შიდა პროდუქტში მცირე საწარმოების პროდუქცია შეადგენს 50-60%-ს. აშშ-ში 60%-ზე მეტი მცირე საწარმო დაკავებულია ინოვაციურ სფეროში, ე.ი. ქმნიან ახალ პროდუქტს და გააქვთ ის ბაზარზე. დიდ ბრიტანეთში ინოვაციურ საწარმოებს მიეკუთვნება მცირე საწარმოთა 40%. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ინვესტიციების პრიორიტეტულობა მცირე ბიზნესში დაკავშირებულია მის ორიენტირებულობასთან ბაზარზე. მცირე ბიზნესს აქვს მოთხოვნები საზოგადოებისთვის აუცილებელ საქონელზე, აკმაყოფილებს მასზე მოთხოვნებს. ამერიკელი მეცნიერების აზრით, კერძო პატარა ფირმებს სჭირდებათ საშუალოდ 2,22 წელი, რათა თავიანთი სიახლეებით შევიდნენ ბაზარზე, მაშინ როცა მსხვილ ფირმებს უნდათ 3,05 წელი [14, გვ. 123].

ინოვაციური ფირმების შექმნის მოტივს წარმოადგენს სადამფუძნებლო შემოსავლის მიღების შესაძლებლობა. პირველად ინოვაციური საწარმოს კაპიტალი ყალიბდება დამფუძნებელთა საკუთარი სახსრების ანგარიშზე (გამომგონებლების, რაციონალიზატორების, დამმუშავებლების, მეცნიერების, მენეჯერების) და სესხის წყალობით. ბაზარზე სიახლეთა გატანის ეტაპზე საწარმოს შეუძლია გამოუშვას თავისი აქციები საფონდო ბაზარზე, დამატებითი ფულადი სახსრების მისაღებად საქმიანობის გასაფართოებლად. აქციების ემისიას დამფუძნებლების საწარმოსთვის მოაქვს სადამფუძნებლო შემოსავალი. აქციების ემისიის შედეგად, მცირე რისკულ საწარმოს მეცნიერებატევად კორპორაციად გადაქცევა შეუძლია. მათმა ფასიანმა ქაღალდებმა ბირჟაზე შეიძლება ფასში მოიმატოს ნომინალზე ზევით მიუხედავად იმისა, რომ ისინი ვერ მოიპოვებენ დივიდენდებს მთელი მიღებული შემოსავლის რეინვესტირების გამო, ძირითადი საწარმოს გაფართოებაში.

სადამფუძნებლო შემოსავალს იღებენ დამფუძნებლები მაშინაც, როცა თავიანთ საწარმოს ასყიდებენ მსხვილ კორპორაციას. ხშირ შემთხვევაში მიღებული თანხები იხარჯება ახალი ინოვაციური საწარმოების შესაქმნელად.

მსხვილი ფირმების ჩარჩოებში მოქმედი ინოვაციური საქმიანობის განსაკუთრებული ფორმა არის ინტერმეწარმეობა. ის წარმოდგენილია სტრუქტურული ერთეულების მიერ, რომლებიც დამოუკიდებლად

აწარმოებენ ინოვაციური პროექტების რეალიზებას იმ პირობებში, რომლებიც ფაქტიურად არსებობს მცირე ინოვაციურ ბიზნესში.

მცირე ფირმებისადმი (საწარმოებისადმი) მიკუთვნების კრიტერიუმები თითოეულ ქვეყანას თავისი აქვს. როგორც წესი, მცირე ფირმებს (საწარმოებს) მიეკუთვნება სამეწარმეო საქმით დაკავებული ფირმები, თანაც ამ ფირმების წარდგენა შესაძლებელია როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებით.

აშშ-ში მცირეს მიეკუთვნება 99 კაციანი საწარმო (მათ შორის 24 კაცამდე რაოდენობით ითვლება უმცირესად, 25-დან 99-მდე – მცირედ). 100-დან 499-მდე – შუალედურად, 500-დან 999-მდე – მსხვილია, 1000-ზე ზევით – უმსხვილესი. იაპონიაში მომსახურების სფეროში მცირე საწარმოებს მიეკუთვნება ფირმები 50-მდე კაცით, ხოლო დანარჩენ დარგებში – 200 კაცამდე[14].

ინოვაციურ სფეროში მცირე მეწარმოების განვითარებას ხელს უწყობს შემდეგი ფაქტორები:

- ინოვაციური საქმიანობის შედარებით მეტი ეფექტიანობა მცირე ფირმებში და ინვესტიციების უფრო სწრაფი ამოღება მსხვილ საწარმოებთან შედარებით - თანამშრომელთა ინტელექტუალური პოტენციალის უფრო სრული მობილიზაციის ხარჯზე შემოქმედებითი საქმიანობის პირობებში, აგრეთვე ბაზრის მოთხოვნილებებთან მცირე ფირმების მოქნილობისა და ადაპტირების ხარჯზე;

  სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მიკროელექტრული ტექნიკის დანერგვა, რომელიც არ მოითხოვს დიდ სამრეწველო ფართს და სასტარტო ინვესტიციებს, თუმცა აიაფებს საკომუნიკაციო კავშირებს.

მცირე ინოვაციური საწარმოები ფუნქციონირებენ მომატებული რისკის პირობებში, რომლებიც დაკავშირებულია მათ მიერ წარმოებული საქონლისა და შესრულებული მომსახურების ვიწრო ნომენკლატურასთან, აუცილებელი სარესურსო უზრუნველყოფის არქონასთან და დიდ დანახარჯებთან სპეციალურ მოწყობილობებზე, სპეციალისტებით მაღალკვალიფიციური შრომის ანაზღაურებაზე და სხვ. ხდება ინოვაციური ორგანიზაციების რაოდენობის ზრდის შეჩერება. შემაბრკოლებელი ფაქტორები აიძულებენ მცირე ფირმებს სპეციალიზდებოდნენ (დასპეციალდნენ) ძირითადად, სამეცნიერო-

კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სტადიაზე. თუმცა, ეს სამუშაოები ნაკლებად ძვირადღირებულია, ვიდრე სიახლეთა ათვისება ან დიფუზია, ან ახალი პროდუქციის წარმოება. საქონლის სასიცოცხლო ციკლის დიდი სტადიების ასათვისებლად მცირე საწარმოები ხშირად გაფართოვდნენ, გადაიქცნენ მსხვილ კომპლექსურ ფირმებად, ან შეუერთდნენ მსხვილ ორგანიზაციებს.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა მცირე ინოვაციური საწარმოების დახმარების შემდეგი ფორმები:

- პირდაპირი დაფინანსება (სუბსიდიები, სესხები), რომლებიც აღწევენ გასავლების 50%-ს ახალი პროდუქციისა და ტექნოლოგიის შექმნაზე (აშშ., საფრანგეთი);
- სესხების წარდგენა, მათ შორის პროცენტის გადაუხდელად (შვედეთი);
- დოტაციები (პრაქტიკულად, ყველა განვითარებულ სამრეწველო ქვეყანაში);
- ინოვაციათა დანერგვის შექმნის ფონდი შესაძლებელი რისკის გათვალისწინებით (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, შვედეთი, ჰოლანდია);
- აუნაზღაურებელი სესხები, რომლებიც აღწევს დანახარჯის 50%-ს ინოვაციის დანერგვაზე (გერმანია);
- სახელმწიფო ბაჟის შემცირება ინდივიდუალური საწარმოსთვის (აშშ, გერმანია, ავსტრია);
- ბაჟის გადასახადის ვადის გაგრძელება ან მთგან გათავისუფლება, თუ გამოგონება ეხება ენერგიის ეკონომიას (ავსტრია); საქმეთაწარმოების უფასო წარმოება ინდივიდუალური გამომგონებლების განაცხადის მიხედვით, საპატენტო რწმუნებულთა უფასო მომსახურება, ბაჟისაგან გათავისუფლება (გერმანია, ჰოლანდია).

სახელმწიფო პროგრამებისა და სახელმწიფო სამეცნიერო ცენტრების გარეშე, რომლებიც თავის გარშემო აერთიანებენ მცირე ინოვაციური საწარმოების ქსელს, შეუძლებელია ყველაფერი იმის გამოყენება, რაც დაგროვდა რუსეთის სამეცნიერო პოტენციალში. სამწუხაროდ, რუსეთში მსხვილ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებთან ჩამოყალიბებული მრავალი საწარმო წარმოადგენს არა იმდენად შუამავალს ფუნდამენტურ მეცნიერებასა და საწარმოს შორის,

რამდენადაც იმ საწარმოებს, რომლებიც გამოიყენებენ ინსტიტუტებში შექმნილ სამეცნიერო სამუშაოს. ისინი ყიდიან ინტელექტუალური საკუთრების ყველა იმ ობიექტს, რომლებმაც ვერ დაიმსახურეს სათანადო დაცვა, ამით ისინი ობიექტების შემქმნელებს ართმევენ სამეცნიერო დამუშავებების რეალიზაცის შედეგების გამოყენების უფლებას.

ამრიგად, საწარმოში სიახლეთა სამეცნიერო-ტექნიკური რეალიზაციის დარგში სპეციალიზებული ინოვაციური ორგანიზაციები დაკავშირებულია კონსულტაციების, პროექტირების, მოწყობილობის, დაყენებისა და მონტაჟის, გამშვები სამუშაოსა და სხვათა შესრულებასთან.

მათი საქმიანობის სავაჭრო ხასიათი გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ამ საქმეში დაკავებული ფირმები და ორგანიზაციები თავის პროდუქციას აწარმოებენ არა საკუთარი საჭიროებისათვის, არამედ მესამე ფირმების მხრიდან ინოვაციურ შრომაზე მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ეს განსაზღვრავს როგორც მათი შედეგების სავაჭრო ხასიათს, ისე პროდუქციის რეალიზაციას ინოვაციის ბაზარზე, ე.წ. გაცვლის სფეროს დახმარებით და იწვევს ინოვაციური სფეროს ამ ინსტიტუტის ფუნქციონირების შინაარსისა და თავისებურების გამოკვლევის აუცილებლობას.

3.2 ინოვაციური ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურა ეკონომიკის დამოუკიდებელი სფეროა. ინფრასტრუქტურის დარგების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი აწარმოებენ არა მატერიალურ პროდუქტს, არამედ მომსახურებას. მეურნეობის საბაზრო სისტემაზე გადასვლა საქართველოში დაკავშირებულია დიდი რაოდენობით ახალი ტიპის მწარმოებლების გამოჩენასთან, ამიტომ ინფრასტრუქტურის ელემენტების ამოცანაა ეკონომიკურ სუბიექტებს შორის მყარი სამეურნეო კავშირების შექმნა და მხარდაჭერა. აქედან გამომდინარე, ინფრასტრუქტურის ძირითადი ფუნქციაა, როგორც ეკონომიკური სუბიექტების, ისე მთლიანად ეკონომიკის, მეურნეობრიობის გარეგანი

ფაქტორების ფორმირება. საქართველოში საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან დაკავშირებით წყდება ახალი ამოცანა, ადექვატური საბაზრო ინფრასტრუქტურის სამეურნეო მექანიზმის ფორმირება. როგორც სამეურნეო მექანიზმის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი, ის ხელს უნდა უწყობდეს სამეურნეო რესურსების თავისუფალ გაცვლას, თვითრეგულირების ფუნქციების რეალიზაციასა და ნაციონალური ეკონომიკის მოწესრიგებას ბაზრის კონიუნქტურული რყევების პირობებში.

ქართულ ეკონომიკაში,რომელიც წარმოადგენს შერეული ტიპის სისტემას, საბაზრო ინფრასტრუქტურასთან ერთად კიდევ დიდხანს იარსებებს არასაბაზრო ორგანიზაციული სტრუქტურები და ეკონომიკური ფორმები, რომლებიც ფუნქციონირებენ მეურნეობის ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულ პრინციპებთან შესაბამისობაში და ეკუთვნიან „არასაბაზრო ინფრასტრუქტურას“.

დასავლეთის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ბაზრის ქვეშ იგულისხმება ეკონომიკური სისტემა მთლიანობაში, ამიტომ ტერმინი „ინფრასტრუქტურა“ გამოიყენება მთლიან ეკონომიკურ სისტემასთან მიმართებაში.

ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურა ანუ ინოვაციური ინფრასტრუქტურა — ეს არის ორგანიზაციულ-ეკონომიკური ინსტიტუტების კომპლექსი, რომელიც უშუალოდ უზრუნველყოფს სამეურნეო სუბიექტების ინოვაციური პროცესების რეალიზაციის პირობებს (სამეურნეო სუბიექტებში იგულისხმება სპეციალიზებული ინოვაციური ორგანიზაციები). ყოველივე ამის საფუძველი არის ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპი,როგორც მთლიანობაში ქვეყნის, ასევე მისი ეკონომიკური სუბიექტების ბაზრის კონიუნქტურული რყევების პირობებში.

ყველა ორგანიზაცია, რომელიც განეკუთვნება ინოვაციურ ინფრასტრუქტურას, არსებობს განსაზღვრულ ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ კავშირში. ისინი გამოხატავენ ინოვაციური საქმიანობის ეტაპების ერთიანობას.

სამეცნიერო-ტექნიკურ სიახლეებთან დაკავშირებული საინვესტიციო და ინოვაციური ფონდები, ბანკები, ბიზნეს-ინკუბატორები, ეკონომიკური ასოციაციები, ფინანსური ჯგუფები და სხვა — წარმოადგენენ მიკროდონეზე ინოვაციური ორგანიზაციების ხელშემწყობ საბაზრო

ინფრასტრუქტურის ინსტიტუტებს საქართველოში. მაკროდონეზე კი ფუნქციონირებენ – მეწარმეთა საქმიანობის მხარდამჭერი ფონდები.

ინოვაციური ინფრასტრუქტურისათვის დამახასიათებელია მსოფლიოში გავრცელებული „ეკონომიკის სერვიზაცია“ ანუ განვითარების სწრაფი ტემპი, ინოვაციური ორგანიზაციების განვითარებასთან შედარებით. ინოვაციური ინფრასტრუქტურა გადაიქცევა ეკონომიკის ინოვაციური პროცესების ძალიან მნიშვნელოვან რესურსად. ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების დაჩქარებულ განვითარებას ხელს უწყობს აგრეთვე, მათ მომსახურებაზე მოთხოვნილების ზრდის მაღალი მულტიპლიკაციური ეფექტი, ინფრასტრუქტურის დაბალი მგრძნობელობა მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების ციკლურ მერყეობაზე და მოთხოვნილების ზრდა ინოვაციური ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების მომსახურებაზე, ე.წ. დეპრესიიდან გამოსვლის პერიოდში.

ინოვაციური სფეროს ინფრასტრუქტურის ეფექტური მოქმედება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის ადაპტაციას პროგრესული ტექნოლოგიის ასიმილაციასთან. იგი დაფუძნებულია ბაზარსა და ინოვაციურ სფეროს შორის მრავალფეროვან, კომპლექსურ და ხანგრძლივ ურთიერთობაზე.

ადმინისტრაციულ-მბრძანებლობითი ტიპის ეკონომიკის პირობებში, წარმოებაში ინოვაციის დანერგვა უნდა გადაეწყვიტათ ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულ ორგანოებს და არ იყო გათვალისწინებული ეფექტიანობის საერთაშორისო ნორმები. მას შემდეგ, რაც დაიშალა სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზებული და პოლიტიზებული სისტემა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დანერგვას ხელს უშლიდა ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული იყო ეკონომიკის საბაზრო რეფორმებთან, წარმოებისა და სოციალური სფეროს კრიზისთან. ყოველივე ამან გამოიწვია ინოვაციური საქმიანობის შეჩერება. ასე მაგალითად, 1991 წელს იმ საწარმოთა ხვედრითი წილი, რომლებიც ახალ პროდუქციას უშვებდნენ, არ აღემატებოდა 7%-ს. ამან, თავის მხრივ, არსებითად შეამცირა მოთხოვნილება სამეცნიერო-ტექნიკურ სიახლეებსა და ახალ ტექნოლოგიებზე. ამავე დროს, ინოვაციური საქმიანობის აქტივაცია შეუძლებელია ინოვაციების ბაზრისა და მისი თანმხლები ინფრასტრუქტურის გარეშე.

ერთი ეკონომიკური სისტემის მეორეში გადასვლის პერიოდში ინოვაციური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო სტიქიურად, აუცილებელი სახელმწიფო რეგულირების გარეშე. ხშირად ინოვაციური ინფრასტრუქტურის ელემენტები მანამდე ჩნდება, ვიდრე ინოვაციური საქმიანობა ვითარდება.

საქართველოში ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საჭიროა ეკონომიკის რეალურ სექტორში სწრაფად და ფართო მასშტაბებით ინოვაციური პროცესების განვითარება. ეს კი შესაძლებელი გახდება მას შემდეგ, რაც დაძლეული იქნება ეკონომიკური ვარდნა და გატარდება ნაციონალური ეკონომიკის ინტენსიური სტრუქტურული გარდაქმნა.

იმ პირობებში, როცა ერთმანეთის პარალელურად არსებობენ ინოვაციური ინფრასტრუქტურის სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებები, უნდა არსებობდეს კანონები და ეკონომიკური მექანიზმები, რომლებიც განაპირობებს მათ შეთანხმებულ მოქმედებას. ისინი რომ თანაბარ პირობებში ჩავაყენოთ, საჭიროა გამოვიყენოთ საგადასახადო მექანიზმები და საფინანსო-საკრედიტო ბერკეტები.

ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურა იყოფა შემდეგ ფუნქციურ სფეროებად:

- ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა;
- ინფორმატიკა და ტელეკომუნიკაცია, და საკრედიტო-საფინანსო სფერო;
- საფონდო ბაზარი;
- შუამავლების ინსტიტუტი;
- კომპანიები და ფირმები, რომლებიც სპეციალური ხასიათის მომსახურებას ახორციელებენ.

ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას, კომუნიკაციურ და ინფორმაციულ სისტემებს აქვთ საერთო-სამეურნეო დანიშნულება და მონაწილეობენ ნაციონალური ეკონომიკის ყველა სფეროში. სახელმწიფო დოტაციების მკვეთრი შემცირება, თავისუფალი ფასებისა და ტარიფების დაშვება მაშინ, როცა ამ სფეროში მონოპოლიზების მაღალი ხარისხია, ზღუდავს მათი მომსახურების ხელმისაწვდომობას ინოვაციური საქმიანობისათვის. კავშირგაბმულობის სირთულეები რჩება არსებით დაბრკოლებად საქართველოს ინტეგრაციისათვის საერთაშორისო საზოგადოებაში.

თანამედროვე ინფორმაციული სისტემების შესაქმნელად უმნიშვნელოვანესი ამოცანებია:

- იმ ორგანოებისა და ორგანიზაციების სისტემების ფორმირება, რომლებიც აზორციელებენ ინფორმაციის წარმოქმნას, დაგროვებას, გადაცემასა და გამოყენებას;
- ქართული საზოგადოების მიერ ინფომაციული კულტურის ათვისება და კომპიუტერული განათლების შეძენა.

ეროვნული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ძირითად ელემენტებად რჩება: ბიბლიოთეკები, წიგნებით ვაჭრობა, სამეცნიერო გამოცემები და მეორადი სამეცნიერო ინფორმაციის სისტემები (რეფერატული და ბიბლიოგრაფიული გამოცემები, მონაცემთა ბაზა, სასიგნალო ინფორმაცია და სხვა), სამეცნიერო ჟურნალები, მონოგრაფიები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სამეცნიერო ლიტერატურაზე მოთხოვნილების შემცირებამ გამოიწვია გამოცემული წიგნებისა და ბროშურების ტირაჟის შემცირება, რაც გარკვეულად კომპენსირდება სამეცნიერო-ტექნიკური და საზოგადოებრივი სამეცნიერო ჟურნალების გამოცემების გაზრდით.

ინფრასტრუქტურულ ფუნქციებს უშუალოდ აზორციელებენ: საქპატენტი, სახსტნდარტი. იმისათვის, რომ ინოვაციურმა ინფრასტრუქტურებმა კარგად იმუშაოს, აუცილებელია მთელი რიგი საორგანიზაციო პრობლემების მოგვარება. ასე მაგალითად, საქპატენტის შემადგენლობაში არ არის ბევრი სამსახური, მაგალითად, არ არის სამსახური, რომლის ფუნქცია სამართალთან არის დაკავშირებული. ბევრ ორგანიზაციაში არ არის ქვეგანყოფილებები, რომლებიც ოპერატიულად დანერგავენ შედარებით პერსპექტიულ სიახლეებს, ანდა განახორციელებენ სიახლის დასანერგად კოოპერაციას სხვა ინოვაციურ ორგანიზაციებთან.

ინოვაციურ ორგანიზაციებს ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მიეკუთვნება: მთავრობასთან არსებული სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ინფორმაციული რესურსების გაერთიანება, სავაჭრო-სამრეწველო პალატის ერთიანი საინფორმაციო სისტემა, სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტი, ბიბლიოთეკები (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბიბლიოთეკა, სახელმწიფო საჯარო

სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა და სხვა). საქართველო კი ამ მხრივ ძალიან ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს.

საზღვარგარეთ ეკონომიკის სამინისტროს დეპარტამენტის მიერ ფორმირებული სამეცნიერო-ტექნიკური მონაცემების, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ნაშრომების მონაცემთა ბანკი, რომელიც განუწყვეტლივ ივსება, ასევე სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროექტები სახელმწიფოს ეკონომიკურ სუბიექტებს საშუალებას აძლევს, ამოირჩიონ ტექნოლოგიური განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტები და კონკურენტული პროექტები. მონაცემთა ბანკი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები ემსახურება სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის მონიტორინგს და პროგნოზირების პროცესს, ასევე ეკონომიკის მოთხოვილებას, აითვისოს ესა თუ ის სამეცნიერო-ტექნოლოგიური სიახლე. მონაცემთა ბანკი, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც სახელმწიფო დაკვეთის საფუძველი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე და ასევე იმაზე, რომ შემოიტანონ ქვეყანაში ის საჭირო იმპორტული ტექნოლოგია, რომელიც აქ არ იწარმოება.

საინფორმაციო-ანალიტიკური სისტემა, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების პროექტების საკონკურსო გადარჩევით, როგორც მონაცემთა ბაზის ელემენტი, შევაფასოთ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დანერგვით მიღებული პროექტების ინვესტიციური მიმზიდველობა და რესურსების ეკონომიის ეფექტის შეფასების საშუალებას გვაძლევს.

ინფორმაციის მომპოვებელს შეუძლია ჩაატაროს მონაცემების ანალიზი და დაადგინოს, თუ რამდენი პროექტია თითოეულ მიზნობრივ პროგრამაზე; რამდენია დანახარჯი პროექტის შესრულებისათვის, პროდუქციის მოსალოდნელი წლიური მოცულობა ამ პროექტის შესრულების შემდეგ, მზად არის თუ არა სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა პროდუქციის გამოსაშვებად წარმოების ორგანიზაციისათვის და ა.შ.

ტექნოლოგიური მიღწევების მონაცემთა ბაზა მრეწველობის ცალკეულ დარგებში — ეს არის იმ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ინოვაციათა კრებული, რომელიც თავისი ტექნიკურ-ეკონომიკური

მაჩვენებლებით უკეთესია ტრადიციულზე, რომლებითაც უშვებენ პროდუქციის ძირითად მასას. მსგავსი ტექნოლოგიების შეძენა საშუალებას მისცემდა სახელმწიფოს, წარმოებული პროდუქცია უკეთესი ხარისხის ყოფილიყო და ასევე დაზოგავდა სათბობ-ენერგეტიკულ და მატერიალურ რესურსებს.

სახელმწიფოს აქტიურ მხარდაჭერას იმსახურებს ის ზომები, რომლებიც აუცილებელია საქართველოში ისეთი ერთიანი სამეცნიერო-ტექნოლოგიური კომპლექსის შესაქმნელად, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე ტექნიკითა და საექსპერტო სამსახურის ორგანიზაციით.

ქვეყანაში უამრავი სპეციალისტია, რომლებიც მონაწილეობენ სწორედ იმ პროექტებისა და ორგანიზაციების ამორჩევაში, რომელთათვისაც გამოიყოფა სახელმწიფო რესურსები. ხშირად საექსპერტო ფუნქციებს ასრულებენ არაპროფესიონალური კომისიები ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, ამის გამო კი არაეფექტური პროექტები შეიძლება დამტკიცდეს.

საქართველოში მკვეთრად შემცირდა იმ ბიბლიოთეკების რიცხვი, რომლებიც იღებს საზღვარგარეთულ სამეცნიერო გამოცემებს, რამაც გამოიწვია საქართველოს ჩამოცილება მსოფლიო მეცნიერების დოკუმენტალურ-ინფორმაციული სივრცისაგან. ეს კი წყვეტს კომუნიკაციურ კავშირს საქართველოსა და საზღვარგარეთის მეცნიერებს, სპეციალისტებსა და მწარმოებლებს შორის.

ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ტექნიკურ ობიექტებს მიეკუთვნება ელექტრონული ტელეგადაცემების სახელმწიფო სისტემები, თანამგზავრული ვიდეო- და რადიოტელეფონები, ფაქსები, თანამგზავრები, საქართველოს მობილური ციფრული რადიოსატელეფონო კავშირები.

მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში აქტიურად ვითარდება ელექტრონული საინფორმაციო სისტემები. მეტად მნიშვნელოვანი და მოცულობის მიხედვით მუდმივად მზარდი სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია გადაიცემა მხოლოდ ელექტრონული მატარებლებით ჩაკეტილი ინფორმაციული კონტურების საზღვრებში. მათთან კავშირი აქვთ მხოლოდ ელექტრონული სისტემის მომხმარებლებს. საქართველო ეკონომიკურად ჩარმორჩება განვითარებულ ქვეყნებს, სადაც „ონ ლაინ“ რეჟიმი და ოპტიკური დისკები წარმოადგენს სამეცნიერო-

ტექნოლოგიური ინფორმაციის გავრცელების ძირითად არხებს. იმისათვის, რომ საქართველოს მონაცემთა ბაზა გახდეს ინოვაციური საქმიანობის ინფორმაციული გარემოს აქტიური ელემენტი, საჭიროა საქართველოს მონაცემთა ბაზის შევსების დონე გაიზარდოს და ჩატარდეს იმ მოძველებულ მანქანათა პარკის მოდერნიზება (ძირითადად ეს EC სერიის მანქანები), რომლებზეც ის რეალიზებულია.

90-იან წლებში მეცნიერებმა, სპეციალისტებმა და მეწარმეებმა მიიღეს მსოფლიო ელექტრონულ ინფორმაციულ სისტემებთან მუშაობის უფლება, მათ შორის კომერციულ ქსელთან Relcom, აკადემიურ ქსელებთან - SUEARIV და FREENET.

ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურის საკრედიტო-ფინანსურ სფეროს აქვს სპეციფიკური თავისებურება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმიანობის ხასიათთან და გამოირჩევა კომერციული რისკის მაღალი ხარისხით. მაგალითად, აუცილებელია, მოიზიდოს გრძელვადიანი ინვესტიციები და სხვა.

ინოვაციურ სფეროში ბანკების მთავარი ფუნქცია არის სამეცნიერო-ტექნოლოგიური სიახლეების დაფინანსება და დაკრედიტება. ბანკებს შეუძლიათ სიახლეთა სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპისათვის კრედიტის გაცემა. კრედიტი, ჩვეულებრივ, გაიცემა განმცხადებლის კუთვნილებაში არსებული ფონდის საფუძველზე, მასზე მაღლა მდგომი ორგანიზაციის გარანტიით. ასევე ხდება ხელშეკრულების დადება, რომელიც ითვალისწინებს რომ ბანკის უნარს, შეიძინოს ის ახალი პროდუქცია, რომელიც გამომუშავებული იყო მიღებული კრედიტით. ამავე დროს, კრედიტის პროცენტული ნორმა ინოვაციური საქმიანობისათვის დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დროში მოხდება იმ დანახარჯის ამოღება, რაც დახარჯა, სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტის შესაბამისად და კრედიტირებული ღონისძიებების რისკის ხარისხზე.

ბანკი შეიძლება გახდეს მიღებული შედეგის მფლობელი, რითაც ის თავისი დანახარჯების კომპენსირებას მოახდენს. მას შეეძლება მიღებულ სიახლეთა ექსპლუატაცია. ფინანსირების ხელშეკრულებაში შეიძლება ჩაიდოს ვადა, რომლის გასვლის შემდეგაც ინოვაციისათვის დახარჯული ფულის ნაწილის გამოსყიდვა, სურვილის შემთხვევაში, თანხის მიმღებ იურიდიულ პირს ბანკისაგან შეუძლია.

ლიზინგური ოპერაციების საშუალებით, ბანკს შეუძლია

ინოვაციური საწარმოს მესაკუთრედ გადაქცევა ან ახალი საწარმოს შექმნა. რეკონსტრუირებული საწარმო, რომლის მფლობელი ან თანამფლობელიც შეიძლება იყოს ბანკი, თავის მხრივ, შეიძლება გაიცეს არენდით. ამ დროს არენდატორის ფული მიდის ბანკის ხარჯების კომპენსაციისათვის. არენდატორთან ხელშეკრულებაში შეიძლება ჩადებული იყოს ის პირობები, რომლის დროსაც ბანკი დათმობს მთლიანად ან ნაწილობრივ თავის უფლებებს წარმოებაზე, განსაზღვრული თანხის საფასურად.

ბანკებს შეუძლიათ ჩაატარონ სიახლის ექსპერტიზის ორგანიზება. ეს ექსპერტიზა იქნება სამეცნიერო, ტექნიკურ-ეკონომიკური, ეკონომიკური და სხვა; ამისათვის ის მოიწვევს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს. კომპლექსური ექსპერტიზის ღირებულება დამოკიდებულია სამუშაოს ფასზე.

ბანკს შეუძლია, ინოვაციურ საწარმოებს გაუწიოს მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მომსახურება: ინფორმაციული, საშუამავლო, კონსულტაციური, სამეცნიერო-ტექნიკური, სარეკლამო, საპროგნოზო და კონიუნქტურული. ბანკი შეიძლება გახდეს ერთობლივი საწარმოების ორგანიზატორი. ის შეიძლება შეიქმნას აქციათა საფუძველზე.

ინოვაციური საწარმოების მოქმედების დაკავშირება რისკთან ხელს უშლის ინოვაციურ პროექტებში ბანკების ფართოდ ჩართვას. ეს დაკავშირებულია არა მარტო მოთხოვნილი თანხის ხანგრძლივ მოხმარებასთან, არამედ ხშირად იმასთან, რომ კრედიტორებისათვის თანხის დაბრუნების, ასევე — დივიდენდების მიღების მყარი გარანტიები არ არსებობს. ყველა ამ გარემოების გამო კომერციული ბანკები თავს იკავებენ ინოვაციური საწარმოების დაფინანსებისაგან. ამას გარდა, არ არსებობს ინოვაციური საწარმოების დაფინანსებისადმი მეთოდური მიდგომა და რისკის ფაქტორების გათვალისწინება.

ჩვენი აზრით, ინოვაციურმა საწარმომ კომერციული ბანკებისათვის კრედიტის დაბრუნების მიზნით უნდა გაითვალისწინოს პროცენტული ნორმის მიმართ დიფერენციალური მიდგომა. პროცენტული ნორმის სიდიდე უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ როგორია ინოვაციური პროექტებისა და ინოვაციური საწარმოების მუშაობის ძირითადი მაჩვენებლების ეფექტიანობა. საქმე იმაშია, რომ პროექტის დისკონტირებული ღირებულების კრიტერიუმი ინფლაციის ზრდის ტემპის შეზღუდვის პირობებში და ნაციონალური ვალუტის კურსის

განმტკიცებისას, სულ უფრო ნაკლებ გავლენას მოახდენს გადასახდელი პროცენტის სიდიდეზე.

გადასახადის პროცენტული სიდიდის დადგენისას, მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი ფაქტორები:

— ინოვაციური პროექტების რეალიზაციისას მიღებული მოგება.;

— იმ დანახარჯების რაოდენობა, რომელიც საჭირო იყო საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისათვის;

— ინვესტიციური ფონდის ან ბანკის სესხის ხვედრითი წილი ხარჯების ანაზღაურების საერთო თანხაში;

— ინოვაციური პროექტების განხორციელების ვადა; პროექტის შესრულებისათვის საჭირო თანხის მობილიზაციის და შემდეგში მათი კრედიტორისათვის დაბრუნების დრო.

თუ გავითვალისწინებთ ინოვაციური პროექტების სარისკო ხასიათს და იმას, რომ საბოლოო შედეგი გაურკვეველია, შეიძლება ამ ფაქტორების დაგეგმილი მნიშვნელობები არ დაემთხვეს ფაქტიურს. ფაქტიურ და დაგეგმილ სიდიდეებს შორის შეფარდებას მივყავართ იქამდე, რომ იცვლება კრედიტის გადასახდელი პროცენტი. ეს გამოიწვევს იმას, რომ კრედიტის მიმღები დაინტერესებულია, რაც შეიძლება კარგი შედეგი მიიღოს კრედიტიდან.

ფაქტიური მაჩვენებლის გადახრა დაგეგმილისაგან ინოვაციური პროექტის რეალიზაციის დროს გვიხასიათებს სამეურნეო რისკის მაჩვენებელს (რისკის კოეფიციენტი).

ინოვაციური პროექტების რეალიზაციის დადებითი შედეგები ხასიათდება რისკის კოეფიციენტის დადებითი მაჩვენებლებით, რასაც თან უნდა ახლდეს კრედიტის დაფარვისათვის საჭირო შედარებით ნაკლები სახსრები, ე.ი. პროცენტული ნორმების შემცირება. როცა რისკის კოეფიციენტი ნულის ტოლია, ინოვაციური მწარმოებელი კრედიტს იხდის პროცენტული ნორმის ნორმატიული სიდიდით. რისკის კოეფიციენტის უარყოფითი მნიშვნელობის დროს მას მოუწევს კრედიტის გადასახდელი თანხის გაზრდა იმის გამო, რომ იზრდება პროცენტული ნორმის სიდიდე დაგეგმილთან შედარებით.

თუ დავუკავშირებთ ერთმანეთს რისკის კოეფიციენტის შკალასა და პროცენტული ნორმის სიდიდეს, უნდა გავითვალიწინოთ, რომ პროცენტული ნორმის ზედა ზღვრის რიცხობრივი მნიშვნელობის მკვეთრი ზრდა ნორმის ზევით, სახსრის მიღებისას მნიშვნელოვნად

შეამცირებს მომგებიანობას. შემცირდება მოთხოვნა კრედიტზე, რადგან მისი მცირე სიდიდე მასტიმულირებელი არ იქნება ამ კრედიტის ეფექტიანად გამოყენებისათვის. პროცენტული კრედიტორების მიმდინარე ხარჯების დაფარვამ ხელი უნდა შეუწყოს, რომ მათი მუშაობა მომგებიანი გახდეს და სახსრების მიმღებთა წრე გაფართოვდეს.

კომერციული ბანკების მიერ პროცენტული ნორმების შემოღებამ კრედიტისათვის იმის გამო, რომ ინოვაციურ პროექტებს სარისკო ხასიათი აქვს, მათ არა მარტო თავიანთი აქტივების შენარჩუნების, არამედ გაზრდის საშუალებაც მისცა. ეს, თავის მხრივ, იწვევს ეკონომიკის სტაბილიზაციას. პერსპექტიულია ასევე კომერციული ბანკების საშუამავლო როლი შემკვეთებსა და მწარმოებლებს შორის.

ახალი პროდუქციის ათვისება და გამოშვება მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციას. ოფციონი უფლებას აძლევს წარმოებას მიიღოს უპროცენტო კრედიტი; ამ დროს მყიდველი — ბროკერი ახორციელებს ნაწილობრივ გადახდას. კონტრაქტი ითვალისწინებს, რომ თუ წარმოება უარს იტყვის უპროცენტო მიწოდებაზე, უპროცენტო კრედიტი იქცევა კომერციულად. ე.ი. არანაკლები გადასახადით, ვიდრე კომერციული საბანკო კრედიტი.

აუცილებელია ინოვაციური საწარმოების რისკიანი დაფინანსების სისტემის ფორმირება, დაფუძნებული რისკიან ფონდებზე. ასეთი ფონდები აქტიურად ფუნქციონირებენ ათწლეულების განმავლობაში საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ინოვაციური საქმიანობის სფეროში; ხოლო საქართველოში ის ფინანსური ინფრასტრუქტურის სიახლეს წარმოადგენს.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ინოვაციური საქმიანობის ყველაზე ადეკვატური ფორმაა „რისკიანი ბიზნესი“. ის ორგანულად იხამებს საქმიანობის ორ მხარეს: ფინანსურსა და საკუთრივ ინოვაციურს. ამან რისკიან ბიზნესში გამოყო ორი ტიპის ეკონომიკური სუბიექტი: რისკიანი კაპიტალის კომპანიები და მათ მიერ დაფინანსებული მცირე ინოვაციური ფირმები. რისკული ბიზნესი საბაზრო ეკონომიკაში ასრულებს მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას — იწვევს კონკურენციის სტიმულირებას.

რისკიანი კაპიტალი გამიზნულია იმისათვის, რომ განხორციელდეს ხანგრძლივი და პოტენციურად მაღალი მოგების მქონე სარისკო ინვესტიციები, რასაც საფუძვლად უდევს ახალი ინოვაციური

კომპანიების შექმნა, განვითარება და არსებული ფირმების განახლება, ასევე სახელმწიფო ქონების პრივატიზების ფინანსირება.

რისკიანი ინვესტიციები აფინანსებს მეწარმეთა იმ პროექტებს, რომლებსაც მაღალი რისკის გამო ისინი არ იღებენ ფინანსირების ტრადიციული წყაროებიდან, რადგან სარისკო საწარმოების ქონება და მათი აქტივები ბანკებისათის კრედიტის მისაღებად გარანტი არ არის. ძალიან მნიშვნელოვანია რისკული კაპიტალის როლი სამეცნიერო-ტექნიკური სიახლეების გავრცელებაში.

რისკიანი კაპიტალი, რომელიც აფინანსებს კერძო ფირმების ინოვაციურ პროექტებს, ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, რითაც იგი განსხვავდება საბანკო და სამრეწველო კაპიტალისაგან. რისკული კაპიტალი ფუნქციონირებს „დასაშვები რისკის" პირობებში. კრედიტორი წინასწარვე უნდა იყოს მზად იმისათვის, რომ შეიძლება ფირმაში ჩადებული ფული დაკარგოს, მოგების ნაცვლად. რისკული კაპიტალი გათვალისწინებულია ხანგრძლივი ინვესტირებისათვის. კაპიტალისტს უხდება 3-5 წლის ლოდინი იმისათვის, რომ დარწმუნდეს ახალი იდეის პერსპექტიულობაში და 5-დან 10 წლამდე დრო, რომ მიიღოს ჩადებული კაპიტალიდან მოგება.

რისკიანი კაპიტალი ჩაიდება არა კრედიტის სახით, არამედ მცირე ფირმის საწესდებო კაპიტალში პაის სახით, ამავე დროს კაპიტალის ჩამდები ხდება პარტნიორი შეზღუდული პასუხისმგებლობით (ჩადებული კაპიტალის სიდიდის მიხედვით). რისკიანი კაპიტალისტები ფულის განსაზღვრული რაოდენობის საწარმოში ჩადებისას, ამ რაოდენობის შესაბამისად, მომავალში მოგების წილის განკარგვის უფლებას იღებენ. რისკიანი კაპიტალის მთავარი სტიმული არის, არა მწარმოებლის, არამედ დამფუძნებლის შემოსავლის მიღება. კრედიტორი თავის მფარველობაში მყოფ საწარმოს ავითარებს იმ დონემდე, რომ შემდეგში, როცა მისთვის ხელსაყრელი იქნება, მიჰყიდოს რომელიმე მსხვილ კორპორაციას ან გამოუშვას და გაყიდოს საფონდო ბირჟაზე მისი აქციები. თუ ეს აქციები უფრო მაღალ ფასად გაყიდა, ვიდრე კრედიტორი ფიქრობდა თავიდანვე და ჩადებულ კაპიტალზე დიდი თანხა ამოიღო — ეს არის მისი მთავარი მიზანი, ანუ დამფუძნებლის მოგება.

პროექტების მაღალი რისკიანობა და დასაფუძნებელი კომპანიის თანამფლობელის სტატუსი განაპირობებს კაპიტალისტის პირად

დაინტერესებას ახალი საწარმოს წარმატებაში. ამიტომ რისკიანი კაპიტალისტები არ იზღუდებიან რა სახსრების გამოყოფაში, აწარმოებენ მმართველობით, კონსულტაციურ და სხვა საქმიან მომსახურებას ისე, რომ კომპანიის საქმიანობის ხელმძღვანელობაში არ ერევიან.

დაფინანსების ადრეულ სტადიაზე რისკიანი მწარმოებლების ამოცანაა, მიიღონ პირველად ინვესტიციაზე 10-ჯერ მეტი მოგება 5-7 წლიან პერიოდში.

რისკიანი დაფინანსების სამშობლო არის აშშ. აქ პირველი რისკიანი ფონდები წარმოიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. აშშ-ში ჩამოყალიბდა რისკიანი კაპიტალის სამი ძირითადი ორგანიზაციული ფორმა:

— მცირე ბიზნესის საინვესტიციო კომპანიები, რომლებიც არიან ფედერალური მთავრობის მფარველობაში;

— რისკიანი კაპიტალის სპეციალიზებული კერძო კომპანიები;

— მსხვილი კორპორაციების სპეციალიზებული რისკიანი ფილიალები (მათ შორის, შიდა კორპორაციული რისკიანი დაფინანსებისათვის).

რისკიანი კაპიტალის სპეციალიზებული კომპანიები მიმართავენ რამდენიმე ფინანსურ ფონდს, რომლებიც ხელს უწყობენ მცირე ინოვაციური ფირმების საქმიანობას მრეწველობის განსაზღვრულ დარგებში ან განსაზღვრულ ტერიტორიაზე.

თავისი იურიდიული სტატუსის მიხედვით, რისკიანი კაპიტალის კომპანიები და მათთან ოპერატიულ მართვაში არსებული ფულადი შემოსავლები, ჩამოყალიბებულნი არიან საპენსიო ფონდების, სადაზღვევო კომპანიებისა და ბანკების, კორპორაციებისა და მოსახლეობის სახსრების მეშვეობით და წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორობას ან დახურულ კორპორაციებს. ასეთ იურიდიულ სტატუსს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა არა მარტო შეღავათიანი დაბეგვრის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ცალკეულ ინვესტორებს არა აქვთ თავიანთი ფულის განსაზღვრულ დრომდე ან სხვათა ნებართვის გარეშე ამოღების შესაძლებლობა. ეს განაპირობებს ინვესტიციის ამოღების გახანგრძლივებულ ვადებს, რამდენადაც ინოვაციურ ფირმაში ინვესტიციის მაღალი რისკი თხოულობს ხანგრძლივ სტაბილურ პოლიტიკას და მყარ ფინანსურ

ბაზას.

რისკიანი კაპიტალის ბევრი კომპანია ხშირად იყენებს „განაწილებული რისკის“ პრაქტიკას. კერძოდ, სახსრების ჩადებას არა ერთ მცირე ინოვაციურ ფირმაში, არამედ მის განაწილებას სხვადასხვა ფირმის რამდენიმე პროექტში. ეს გამოიწვევს იმას, რომ თუ ერთმა პროექტმა არ გაამართლა, სხვების წარმატება გადაფარავს ამ დანაკლისს. შედეგად ინოვაციური ფირმები მიიღებენ სახსრებს რამდენიმე კომპანიისაგან, ხოლო ინვესტორებს იმის მიხედვით ეძნებათ წილი, თუ რამდენი ფულიც აქვთ ჩადებული.

80-იანი წლების დასაწყისში, მცირე საწარმოებში ინოვაციური პროექტების დაფინანსების ფაქტორები დალაგებულია შემდეგნაირად (ათქულიანი სისტემით):

მცირე ფირმის სპეციალისტების კლასიფიკაცია – – – 9,8
საბაზრო ნიშნის არსებობა – – – – – – – – – – – 8,8
სიახლის ტექნიკური შეფასება – – – – – – – – – – 7,7
ჩადებული სახსრების ამოღების დრო – – – – – – – –5,5
დაფინანსებულ ფირმაში მონაწილეობის წილი – – – –5,4

რისკიანი კაპიტალისტების ფუნქციაში შედის ფასიანი ქაღალდების მართვა და ამის საფუძველზე ისინი აწარმოებენ გარიგებებსა და ოპერაციებს, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიების გაერთიანებას და ერთის მიერ მეორის შთანთქმას, გამოსყიდვის გზით, მსხვილი კრედიტის საშუალებით („bai-auts“). გამოსყიდვები ხორციელდება ინოვაციური ჯგუფების ან მმართველთა ჯგუფების მიერ (მენეჯერები). რისკიანი კაპიტალის ბევრი ფირმა გვთავაზობს ოპერაციის ფინანსირებას გამოსყიდვით, რასაც თან ახლავს მესაკუთრის შეცვლა, მმართველობითი პერსონალისა და დანიშნულების შეცვლაც.

რისკიანი კაპიტალის გამოყენება გარიგებათა დასადებად გამომსყიდველისათვის, საწარმოს ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე ნასესხები კაპიტალის მცირე რაოდენობის შენარჩუნების შესაძლებლობას იძლევა. ამავე დროს, შეძენილი საწარმოს აქტივები გამოიყენება გარანტის სახით ახალი მოკლევადიანი კრედიტის ასაღებად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გამოსყიდვათა გარიგებების ზრდა არ წარმოადგენს კომპანის განვითარების ძლიერ, ხანგრძლივ ვადიან საფუძველს და უფრო მეტად სპეკულაციური ხასიათი აქვს. ასეთი სახის გარიგებებისადმი არსებობს ნეგატიური დამოკიდებულება,

რადგან ეს იწვევს რისკიანი კაპიტალიდან მსხვილი თანხის ჩამოცილებას მაშინ, როცა მაღალტექნოლოგიური და ინოვაციური კომპანიები განიცდიან სახსრების ნაკლებობას სამეცნიერო კვლევებისა და სამუშაოებისათვის.

რისკული დაფინანსების სხვა უფრო დამახასიათებელი წყაროებია:

– კორპორაციული ვენჩური; მისი სახესხვაობაა „spinofs"-ი (დამოუკიდებლობის მიცემა ინიციატივიანი მეწარმეებისადმი კორპორაციის ჩარჩოებში) და „spin-auts" (ახალი ფირმების ჩამოყალიბება, როცა თანაინვესტორი იძლევა სახსრებს იმ გარანტიით, რომ მეწარმე იქნება თავისუფალი). კორპორაციულ ვენჩურში ინვესტორის მონაწილეობა შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ ახალი ფირმა ჩართონ თავის ე.წ. „საპორტფელო" კომპანიებში, დააფინანსონ კორპორაციიდან საპროექტო ჯგუფის ან მცირე საწარმოს გამოყოფა, მეწარმე-ნოვატორებთან ერთობლივი საქმიანობა ინვესტიციური ციკლის საწყის ბაზაზე.

– კომპანიის ხელმძღვანელის ან თანამშრომლების მიერ მმათველობითი გამოსყიდვები იმ კაპიტალის წილიდან, რომელიც ეკუთვნის გარე ინვესტორებს.

– გარე გამოსყიდვები – სახსრები მოდის გარე ინვესტორებისაგან, რომლებიც ცდილობენ კომპანიის საწარმოო და მმართველობითი მიმართულების შეცვლას, რაც განასხვავებს ამ ფირმას ერთი კომპანიის მიერ მეორის შთანთქმისაგან.

უკანასკნელ წლებში ინტენსიურად ვითარდება რისკიანი დაფინანსების კიდევ ერთი ფორმა – ე.წ. შეზღუდული კვლევითი პარტნიორობა (შკპ).

ამჟამად აშშ-ში ფუნქციონირებს დაახლოებით ათასი რისკიანი ფონდი (რისკული ფინანსირების კომპანიები), მათ რიცხვშია მცირე ბიზნესის ინვესტიციური კომპანიები (მბიკ), რომლებიც მოქმედებენ მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის ეგიდით (მბა) (ვენჩურული კომპანიების დაახლოებით 40%), მსხვილი კორპორაციების ფონდები და დამოუკიდებელი (კერძო) ფონდები (ცხრილი 1).

მეორე და მესამე ჯგუფის ფონდების მიერ შექმნილი ფინანსური სახსრების მოცულობა შეადგენს 4,0 - 4,5 მლრდ. დოლარს წელიწადში. ამ კომპანიების განმასხვავებელი ნიშანია ფინანსური წინადადებების გადარჩევის დაბალი კოეფიციენტი (3-დან 11%-მდე

ფონდის სახეობის მიხედვით).

ცხრილი 1

აშშ-ში რისკიანი დაფინანსების კომპანიების მოქმედების დასახელება

მაჩვენებელი	კომპანიები		
	მბიკ	კორპორაციული	დამოუკიდებელი
- ფონდების მოცულობა, %	4	32	39
- ყოველწლიური წინადადებების რიცხვი	212	485	547
- წინადადებათა ხვედრითი წილი, რომლებიც იღებენ დაფინანსებას, %	11	5	3
- ხვედრითი წონა იმ მცირე ინოვაციური ფირმებისა, რომლებიც ფინანსდებიან, %	44	89	90

კერძო რისკიანი კაპიტალის წყაროს წარმოადგენს: საპენსიო ფონდი (47% ჩადებული კაპიტალის საერთო რიცხვიდან), სადაზღვევო კომპანია (13%), კორპორაციები (12%), კერძო დანაზოგი (12%), საზღვარგარეთული შენატანი (12%), საქველმოქმედო ფონდები (4%).

კორპორაციები მცირე ინოვაციურ ფირმებში სპეციალური ფილიალების საშუალებით დებენ სახსრებს, კერძოდ, საინვესტიციო ვენჩურული ფირმებით, ანდა ქმნიან ათეულობით საინვესტიციო ფირმას, რომლებიც აყალიბებენ განშტოებულ ქსელს, რათა მონახონ და გამოიყენონ ტექნიკური იდეები. მაგალითად, კომპანია „ექსონ კორპორეიშენ“-ს აქვს 30 საინვესტიციო ფირმისგან შემდგარი ბადე. კორპორაცია „ქსეროქს“-ში ჩადებულია 100 მლნ. დოლარზე მეტი ფული ინვესტირებისათვის. მცირე ბიზნესის ინოვაციური კომპანიები აშშ-ში ფუნქციონირებენ მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის კონტროლისა და მფარველობის ქვეშ და მცირე კომპანიებს გრძელვადიან სესხებს აძლევენ.

შეზღუდული კვლევითი პარტნიორობის (შკპ) ტიპის რისკული კაპიტალის ფონდი შედგება ძირითადი პარტნიორისაგან, რომელიც გამოდის ინოვაციური პროექტის დაფინანსების ინიციატივით, და

რამდენიმე პარტნიორისაგან, რომელსაც აქვს შეზღუდული პასუხისმგებლობა. ძირითადი პარტნიორი დებს ხელშეკრულებებს ფირმებთან, რომლებიც მონაწილეობენ პროექტის კომერციულ რეალიზაციაში, აკონტროლებს მუშაობის მიმდინარეობას. შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორები არ მონაწილეობენ პროექტის შესრულების კონტროლში, თუმცა დამუშავების შედეგები ეკუთვნის ყველას, ვინც პარტნიორობაში შედის. მათ შეუძლიათ თავისი უფლებების მიყიდვა მთავარი პარტნიორისათვის ან მონაწილეობის მიღება სიახლის კომერციული რეალიზაციის შედეგად მიღებულ შემოსავლებში.

შპ-ს სწრაფ ზრდას ხელი შეუწყო საგადასახადო შეღავათებმა, რომლებიც დაუწესეს პარტნიორობის მონაწილეებს. კერძოდ, ბიუჯეტში მათი შენატანის თითქმის 80-90% გამოიქვითება მოგებიდან, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას, ხოლო პარტნიორების მიღებული გადარიცხვები შემოსავლებიდან პროექტების რეალიზაციის დროს იბეგრება შემცირებული სიდიდით.

ვენჩურული კაპიტალის სულ უფრო მზარდ წყაროს წარმოადგენს მცირე ბიზნესის ინოვაციური კომპანიები. მცირე ბიზნესის ფედერალური სამმართველოდან ლიცენზიების მიღებისთანავე მათ უფლება ეძლევათ, თავისი ინვესტიციებისათვის გარანტია მიიღონ სახელმწიფოსაგან. მცირე ბიზნესის საინვესტიციო კომპანიები სრულიად დამოუკიდებელნი არიან თავიანთ საქმიანობაში და სახსრებს არასარისკო კაპიტალის სახით გამოყოფენ, რის გამოც ისინი მიეკუთვნებიან ტრადიციული ტიპის საფინანსო დაწესებულებებს.

საინტერესოა აიოვას შტატის ეკონომიკური განვითარების რეგიონული ფონდის ექსპერიმენტი. იმ შემთხვევაში, როცა პოტენციური პროექტი ჩაითვლება დაფინანსებისათვის პერსპექტიულად, ფონდი ახალ კომპანიასთან დადებს ხელშეკრულებას 2 წლით. ფონდის მაღალკვალიფიციური თანამშრომლები კურირებენ დაფინანსებულ ორგანიზაციას, რათა დროულად გამოასწორონ შეცდომები და გააკეთონ პროგნოზი. მსგავსმა პრაქტიკამ ფონდს რისკის 4-ჯერ შემცირების საშუალება მისცა. ბოლო 6 თვეს ხელშეკრულების გასვლამდე, ფონდის თანამშრომლები კომპანიის მენეჯერებთან ერთად შეიმუშავებენ სტრატეგიულ გეგმას, თუ როგორ უნდა იმუშაოს კომპანიამ შემდეგში.

ინოვაციური კომპანიების დაფინანსების ალტერნატიულ წყაროს წარმოადგენს ბანკის სახსრები. ბანკები ვენჩურულ ბიზნესში ხშირად ერთვებიან შვილობილი ჰოლდინგური კომპანიების მეშვეობით. ბანკები ემსახურებიან ვენჩურულ კომპანიებს ტრასტული და ტრანსფერტული ოპერაციების საშუალებით მაშინ, როცა კომპანიები გამოდიან ღია ბაზარზე. ბანკების როლი მნიშვნელოვანია ინვესტორების მოზიდვაში რისკიანი დაფინანსებისათვის იმით, რომ შეისყიდონ ინოვაციური ფირმის აქციები. თუ ბანკმა იყიდა ვენჩურული ფირმის საკონტროლო პაკეტი, ეს ფირმა გადავა ბანკის ხელში.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ვენჩურული ფონდების 40%-ზე მეტი ბანკებისაა და 10% — სახელმწიფო ბიუჯეტისა. ინდივიდუალური ინვესტორების წილი მნიშვნელოვნად დაბალია აშშ-სთან შედარებით.

მეურნეობის თანამედროვე ფორმები, რომლებიც გამოხატავენ ვენჩურული მეწარმეობის საორგანიზაციო ფორმების გამსხვილების ტენდენციას, წარმოადგენენ „ვენჩურული კაპიტალის კლუბს“ — სარისკო კაპიტალის სხვადასხვა ფირმების, ასევე ფინანსისტების, მსხვილი კორპორაციებისა და ინდივიდუალური ინვესტორების გაერთიანებას. ეს კლუბები ფინანსურადაც ეხმარებიან ვენჩურულ საწარმოებს ეკონომიკის განსაზღვრულ დარგებში ან კონკრეტულ რეგიონში.

80-იან წლებში ვენჩურული ბიზნესის განვითარების ტენდენცია გამოიხატა კონსორციუმებში ვენჩურული ფონდების გაერთიანებით, რათა დაეფინანსებინათ მსხვილი პროექტები და მომხდარიყო ვენჩურული კაპიტალის ბაზრის ინტერნაციონალიზაცია. ეს კი საშუალებას აძლევდა მის მონაწილეებს, ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში ემოქმედათ შვილობილი საზღვარგარეთული კომპანიების საფუძველზე. 1984 წელს შეიქმნა ვენჩურული კაპიტალის ევროპული ასოციაცია, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო დაფინანსებას. ასოციაციის მეშვეობით დადებული ბევრი გარიგება გაერთიანებულია და ფინანსდება სხვადასხვა ქვეყნიდან.

სამეურნეო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა ძირითადად ხუთი სახის ხელშეკრულება ინვესტორსა და რისკიან მეწარმეს შორის:

— შეთანხმება რისკის განაწილების შესახებ; ეს შეთანხმება განსაზღვრავს თითოეული მხარის პოზიციას რისკის ფაქტორთან დაკავშირებით;

– შეთანხმება წარმოების მოგების განაწილების შესახებ;
– შეთანხმება, რომელიც განმარტავს, თუ როგორ შეუძლია მეწარმეს გამოისყიდოს საწარმო წინასწარ დასახელებული ფიქსირებული თანხის გადახდის საფუძველზე;
– შეთანხმება, რომელიც შეიცავს მოთხოვნებს მეწარმისა და საწარმოს საქმიანობის მმართველობითი და საწარმოო შედეგების მიმართ;
– შეთანხმება საწარმოს მომავალი დაფინანსების შესახებ. ის ითვალისწინებს იმას, თუ როგორ უნდა მოხდეს საწარმოს დაფინანსება მისი ჩამოყალიბების პირველ და შემდგომ ეტაპებზე.

აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში არსებული ვენჩურული ფინანსების სისტემა ერთმანეთს უკავშირებს რისკიანი კაპიტალის წყაროს ინვესტიციების საჭირო რაოდენობასა და განვითარების სტადიას, რომელშიც იმყოფება ვენჩურული კაპიტალის ფირმა-რეციპიენტი, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული სიახლის ათვისების ეტაპთან. პირველი სტადია (სტარტამდელი ეტაპი) დაკავშირებულია ავტორების მიერ პროექტის განხორციელებასთან (ახალი პროექტი, ახალი ტექნოლოგია, ახლებური მიდგომა მარკეტინგის ორგანიზებასთან და სხვა). სიახლისათვის პოტენციური ბაზრის წინასწარი გამოკვლევა და დამუშავება, ასევე მომავალი კომპანიის მუშაობის გეგმის შემუშავება („ბიზნეს-გეგმა"). ეს ეტაპი ინვესტორებისათვის ყველაზე სარისკოა, რადგან მისი დამთავრების შემდეგ 70% ახალი პროექტებისა, რომლებიც ადრე ითვლებოდა კომერციულად მომგებიანად, იმედს არ ამართლებს. ამავე დროს, იმ პროექტებს, რომელმაც იმედები გაამართლა, მოაქვს ვენჩურული კაპიტალისტებისათვის სტარტამდელ ეტაპზე მაღალი მოგება – 52-დან 75%-მდე.

სასტარტო ეტაპზე იქმნება ახალი კომპანია. შეირჩევიან მისი ახალი თანამშრომლები, მთავრდება სიახლის დამუშავება და გამოცდა, შეისწავლება ბაზრის ათვისების შესაძლებლობა. ამ ეტაპზე, რომელიც საშუალოდ გრძელდება ერთი-ორი წელი, პრაქტიკულად ხორციელდება რამდენიმე ვენჩურული ინვესტორის ერთობლივი კაპიტალდაბანდება. მოგების მოსალოდნელი ნორმა ინვესტიციიდან ამ ეტაპზე შეადგენს 39-დან 63%-ს.

ამ ეტაპზე რისკის დონე ძალიან მაღალია და ამიტომ დაფინანსება ხშირად ხდება მხოლოდ თავისი წყაროებიდან ან პარტნიორების

დახმარებით. ხშირად სახელმწიფო გამოყოფს სუბსიდიებს კვლევებისა და დამუშავების ჩასატარებლად. აშშ-ში ისინი სტიმულირდება საგადასახადო შეღავათებით, საფრანგეთში სახელმწიფო სააგენტო „ანვარ"-ი ანაზღაურებს დანახარჯებს. ზოგიერთი ბანკი მონაწილეობს ახალი ფირმების დაკრედიტებაში მათი ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე. ამისათვის გამოიყენება ბანკის მიერ აქციების გარკვეული რაოდენობის ყიდვის ხელშეკრულების ფორმა; ან მათ მიერ კომპენსირდება დაწყები ფირმების კრედიტირების რისკი იმით, რომ დაადგენენ ფიქსირებულ პროცენტულ ნორმას ბანკის კრედიტზე და ამავე დროს შეუნარჩუნებენ ბანკის დამატებითი შემოსავლის მიღების უფლებას, იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება საწარმოთა მომავალი შემოსავლები.

არსებობს საწარმოთა აქციების განთავსებისაგან მოგების განაწილების შემდეგი სქემა: ბანკი მიიღებს 5%, როცა კაპიტალის ნამატი იქნება 1 მლნ დოლარი; 4%-ს, როცა ნამატი იქნება 2 მლნ დოლარი; 3%-ს — 3 მლნ დოლარი და 2%-ს — როცა კაპიტალის ნამატი იქნება 4 მლნ დოლარი და 1%-ს, თუ კაპიტალის ნამატი იქნება 4 მლნ. დოლარზე მეტი.

ვენჩურული დაფინანსების შემდეგი ოთხი ეტაპი უშუალოდ არის დაკავშირებული ახალი კომპანიის განვითარების სტადიებთან. პირველი სტადია (ადრეული განვითარება) ვითარდება მას შემდეგ, რაც მიიღებენ დადებით შედეგებს სიახლეთა პროტოტიპების გამოცდისას და დარწმუნდებიან, რომ ბაზრის ათვისება შესაძლებელია. შემდეგ ხდება წარმოებაში სიახლის ჩაშვება. ამ ეტაპზე მოგება არ მიიღება.

გაფართოების სტადიაზე, რომელზეც ხშირად მოგება არ არის, ხდება იმ ხარისხობრივი ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც ხელს უწყობენ სიახლის ბაზარზე გამოსვლას. ამ ეტაპზე ხორციელდება დამატებითი კაპიტალდაბანდება ძირითად ფონდებში და სხვა საწარმოო ხარჯები.

კომპანიის განვითარების მესამე ეტაპზე ხდება გამოშვებული პროდუქციის მოცულობის სწრაფი ზრდა, ხოლო მიღებული მოგება ამცირებს რისკის დონეს ინვესტიციებისათვის. ახალი ინვესტიციები ხელს უწყობს წარმოების მოცულობისა გაზრდას, ასევე, — გამოშვებული პროდუქციის დახვეწას. ამ ეტაპზე ბანკები აძლევენ კრედიტს ახალ ფირმებს ძირითადი კაპიტალის საფუძველზე.

მეოთხე სტადიაზე ჯერ კიდევ რჩება მოთხოვნა ვენჩურულ

ფინანსირებაზე, რათა შენარჩუნებული იყოს წარმოების ზრდის მაღალი ტემპი. თუმცა ინვესტიციის რისკი, წინა ეტაპთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირებულია. ასევე იზრდება იმის შესაძლებლობა, რომ დაფინანსებისათვის მოვიწვიოთ ბანკი. ეს კი საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ახალი აქციების გამოშვება. მეოთხე სტადია ვენჩურული კაპიტალისტებისათვის მთავრდება იმით, რომ ისინი გაყიდიან ახალი კომპანიის აქციებს. ეს შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით: აქციების გამოტანით ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ახალი კომპანიის შთანთქმით დაინტერესებული ფირმის მიერ ან შეღავათიანი აქციების გამოსყიდვით კომპანიის მენეჯერების მიერ.

საწარმოს აქციათა ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად საჭიროა სპეციალური ეტაპი, რომლის დროსაც მენეჯერი და ინვესტორი ამოარჩევენ შესაბამის ფორმას და დროს ლიკვიდირებისათვის, ეკონომიკური სიტუაციიდან, ფასიანი ქაღალდების ბაზრიდან, პროცენტული ნორმიდან და სხვა პირობებიდან გამომდინარე.

ვენჩურული დაფინანსების ბოლო ეტაპი არის ლიკვიდურობის უზრუნველყოფა. აშშ-ში აქციები იყიდება ფასიანი ქაღალდების ბირჟის გარე ბაზარზე, ბირჟის დილერების ნაციონალური ასოციაციის ავტომატური კოდირების სისტემით. ეს ბაზარი არ არის ლოკალიზებული ერთ რომელიმე ადგილზე და ოპერირებს ფასიანი ქაღალდებით მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. გარიგებები ბროკერებს შორის ხორციელდება კომუნიკაციის არხების საშუალებით.

ახალი კომპანიის ფასიანი ქაღალდების ემისიის დროს მათი გადანაწილება ხორციელდება ინვესტიციური ბანკების მეშვეობით. ისინი გამოდიან გარანტად (ანდერაიტერი), თავზე იღებენ რა პასუხისმგებლობას განათავსონ გამოსული აქციების (ობლიგაციების) გარკვეული რაოდენობა მათი შესყიდვების გზით, რათა შემდეგ მიჰყიდონ ინვესტორებს.

ვენჩურული ინვესტიცია წარმატებულად ითვლება, თუ მოგების ნორმა მთელი დროის განმავლობაში გადააჭარბებს მოგების საშუალო ნორმას გადამამუშავებელ მრეწველობაში და საშუალო კაპიტალზე საბანკო პროცენტს. იმ 38 ამერიკული ფონდის მონაცემების ანალიზმა, რომლებიც სპეციალიზდება სარისკო კაპიტალდაბანდებებზე, გვიჩვენა, რომ მათი მოგების საშუალო ნორმამ დაბეგვრამდე 40%-ს მიაღწია

90-იან წლებში.

სარისკო კაპიტალდაბანდებები იმის გარდა, რომ აფინანსებს კომპანიის განვითარებას, გამოიყენება ასევე იმისათვის, რომ ინვესტორების ან მენეჯერების განსაზღვრულმა ჯგუფებმა გააკონტროლონ წარმოება, შეცვალონ ფირმის ხელმძღვანელები, მათ შორის მაშინაც, როცა ისინი არაკომპეტენტურნი არიან. ასე რომ ვენჩურული კაპიტალის ბაზარი აწარმოებს იმ თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირებას, რომლებიც მიეკუთვნება სხვადასხვა კერძო და ინსტიტუციონალურ ინვესტორებსა და ფინანსურ ორგანიზაციებს და ახდენს ამ თანხების გადანაწილებას ინოვაციურ მწარმოებლებს შორის.

ყველა იმ ქვეყანაში, რომლებშიც წარმოება კარგად არის განვითარებული, ვენჩურული დაფინანსების სისტემის ფორმირებაში განსაზღვრულ როლს ასრულებს სახელმწიფო, რომელიც აწარმოებს მიზანმიმართულ პოლიტიკას: გადასახადების საკითხში, ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხში, ინფრასტრუქტურის შექმნასა და საკანონმდებლო სივრცეში.

სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ვენჩურული ფონდების მოქმედების კანონებით რეგულირებას. გათვალისწინებული უნდა იყოს ფონდებში მიმართული მოგების მთელის ან ნაწილის შეღავათიანი დაბეგვრა.

ნორმატიულ-საკანონმდებლო აქტების კომპლექსში, შეღავათიანი დაბეგვრის გარდა, გათვალისწინებული უნდა იყოს ფონდის ფინანსური სახსრების გაფართოებული კვლავწარმოქმნა იმ მოგებიდან გადარიცხვების ხარჯზე, რომელიც მიიღეს ინოვაციური პროექტების რეალიზაციიდან; შეღავათები საკრედიტო რესურსების ფორმირების დროს, როცა ისინი წარმოადგენენ ფონდის საბრუნავ ხარჯებს; ინოვაციური პროექტების მონაწილეთათვის შეღავათები საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლების ნაწილში, გენერალური ლიცენზიების მიღება და ბარტერული ხელშეკრულებები.

ჩვენი აზრით, ვენჩურული ფონდის სახსრებს უნდა ჰქონდეს შერეული ხასიათი და უნდა ივსებოდეს არა მარტო აქციონერთა შენატანებით, არამედ ფონდის სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო საქმიანობიდანაც, საწარმოთა მოგებიდან, სამინისტროს ნებაყოფლობითი შენატანიდან, ბანკების, საწარმოების, ცალკეული მოქალაქეების,

საზღვარგარეთული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფირმებისაგან.

პერსპექტიულად გვესახება ისეთი მიდგომა, როცა სახელმწიფო გამოყოფს რაღაც განსაზღვრულ თანხას ბიუჯეტიდან ინოვაციურ ფონდში შენატანის სახით საწესდებო კაპიტალში, ხოლო თვითონ ფონდი შემდეგში ფუნქციონირებს საწარმოთა მოგების გადარიცხვის ხარჯზე, რომელიც მიიღება ფონდის მიერ დაფინანსებული ინოვაციური პროექტების რეალიზაციიდან, ასევე ამ საწარმოთა გადასახადებისა და შემოსავლების ნაწილიდან და სხვა დაინტერესებული ინვესტორებისაგან.

ვენჩურული ფონდების დამფუძნებლებად შეიძლება გამოვიდნენ კომერციული ბანკები, საერთაშორისო ფინანსური სტრუქტურები (საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია და სხვა), მეცნიერებათა აკადემია და მისი დაწესებულებები, ინოვაციური საწარმოები, რომლებიც ჩამოყალიბდა მეცნიერებათა აკადემიასთან, და სხვა იურიდიული და ფიზიკური პირები.

ვენჩურული ფონდის მოქმედების ძირითად მიზანს წარმოადგენს დამფუძნებლების მიერ ჩადებული სახსრების შემოსავლიანობის უზრუნველყოფა, რაც მიიღწევა მისი ინვესტირებით კომერციულ რეალიზაციაში. ფონდის მიზანს აგრეთვე წარმოადგენს სახელმწიფო სამეცნიერო კვლევები და ნამუშევრები, რომლებიც შექმნიან კონკურენტუნარიან ინოვაციურ საწარმოებს და რესპუბლიკაში ჩამოაყალიბებენ ახალი მეცნიერების შემცველ საწარმოებს.

ვენჩურული ფონდის საქმიანობის ძირითადი სახეები შეიძლება იყოს:

- წინასწარი კვლევებისა და ნამუშევრების დაფინანსება, სიახლეთათვის პოტენციური ბაზრის შეფასება, მომავალი კომპანიების ბიზნეს-გეგმების შემუშავება, გამოგონებათა დაპატენტება, პატენტსა და ლიცენზიაზე უფლების მოპოვება;
- ინოვაციური საწარმოების შექმნა, რომლებიც განახორციელებენ სიახლეთა ათვისებას. ასეთი საწარმოების საქმიანობის გაფართოების დაფინანსება და მათ მიერ პროდუქციის გაყიდვათა მოცულობის გაზრდა.
- ინოვაციური საწარმოების აქციათა ლიკვიდურობის უზრუნველყოფა, მათი აქციების გაყიდვა ფასიანი ქაღალდების

მეორად ბაზარზე.

ამ სახის საქმიანობისთვის ვენჩურული ფონდები აწარმოებენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ანალიზს, ამუშავებენ საფონდო ქაღალდების გამოსვლის სტრატეგიას, კონსულტაციას უწევენ დამმუშავებლებსა და მწარმოებლებს იმის შესახებ, თუ როგორ ჩაატარონ ინოვაციური პროექტების ექსპერტიზა. შექმნილი ფონდის მიერ ინოვაციურ საწარმოებს სთავაზობენ მომსახურების ფართო სპექტრს, რომელიც დაკავშირებულია კონტრაგენტების, შუამავლების შერჩევასთან, კადრების მოზიდვასთან, საინფორმაციო უზრუნველყოფასთან და სხვ.

ფონდს შეუძლია, დაამუშაოს და მის მიერ შექმნილი ინოვაციური საწარმოს სტრატეგიული გეგმის რეალიზება მოახდინოს დივიდენდური პოლიტიკის სფეროში, რეკაპიტალიზაციის პროგრამის გატარებაში, კაპიტალის სწრაფად გაფართოებაში და სხვა.

ვენჩურული ფონდის მოგება უნდა შეიქმნას დივიდენდებისაგან და ფასიანი ქაღალდების შემოდინებებისაგან, ფონდის მიერ შექმნილი სააქციო საწარმოებისაგან, ასევე იმ შემოსავლებისაგან, რომლებიც მიიღება ფასიან ქაღალდებზე ოპერაციების შედეგად. ფონდის მოგება, რომელიც მიმართება დივიდენდების გადასახდელად, უნდა განაწილდეს მის აქციონერთა შორის პროპორციულად იმის მიხედვით, თუ რამდენი აქცია აქვს თითოეულ აქციონერს.

ფონდის სახსრების მიმღებთა შორის შეიძლება იყვნენ ცალკეული ორგანიზაციები, კოლექტივები, ცალკეული მეცნიერები, გამომგონებლები და სპეციალისტები, რომლებიც სთავაზობენ რისკიან პროექტებს. ასეთი ფონდების შექმნა მიზანშეწონილია თითოეულ რეგიონში.

ვენჩურულ ფონდებს შეუძლიათ ინოვაციური საწარმოების პრიორიტეტული მიმართულებების სტიმულირებისათვის, კერძო მეწარმეობისა და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის რეგიონული პროგრამების ფარგლებში, გამოუყონ რისკიან საწარმოებს კრედიტი.

ვენჩურული ფონდების ჩამოყალიბების დროს უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ სუფთა ადმინისტრაციული სახის კონტროლი მათ საქმიანობაზე, არამედ კონტროლი იმ საწარმოთა მხრიდანაც, რომლებიც წარმოადგენს ფონდის მიერ დაფინანსებული ინოვაციური სამუშაოების მომხმარებელს. შეიძლება ფონდის სახსრების ნაწილი გადავაქციოთ ფასიან ქაღალდებად, ნაწილი კი ინოვაციური

პროექტების კრედიტირებაზე დავხარჯოთ. მხოლოდ მოლაპარაკებებით უნდა დადგინდეს კრედიტის დაბრუნების პირობები და, ინოვაციური პროექტის მაღალშემოსავლიანობის შემთხვევაში, მოგების განსაზღვრულ ნაწილზე უფლება (ფონდის „როიალტი"). ასეთი წინადადება უზრუნველყოფს უკუკავშირის დამყარებას ფონდის საქმიანობის ეფექტიანობასა და მის ფორმირებაზე მიმართული სახსრების მოცულობას შორის.

ვენჩურული კაპიტალის ბაზრის შექმნა, რომელიც დაფუძნებულია ვენჩურული ფონდების საქმიანობაზე, ხელს შეუწყობს ინოვაციური პროექტებისადმი კომერციული ბანკებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის ძირითადი მომხმარებლების დაინტერესების გადალახვას მაღალი ინფლაციისა და მწარმოებელი სტრუქტურების არასტაბილური მდგომარეობის გამო. ასევე ორიენტაცია აღებული იქნება იმ ინოვაციური საწარმოების მუშაობაზე, რომლებიც ახორციელებენ სამეცნიერო-ტექნიკური სიახლეების კომერციულ რეალიზებას.

საფინანსო-საკრედიტო სფეროს ფუნქციონირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინოვაციური ფონდები. რეგიონული ინოვაციური ფონდების ძირითად ფუნქციას მიეკუთვნება საინტერესო გამომგონებლურ-ინოვაციური პროექტების ფინანსური, მატერიალური და საინფორმაციო მხადაჭერა.

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალიზებულ ინოვაციურ ფონდებს საქმიანობის ძალიან მცირე მოცულობა და ფორმირების არასრულყოფილი მეთოდები აქვთ, ისინი აფართოებენ ინოვაციური საქმიანობის სფეროს. აღსანიშნავია იმ საბაზრო ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების მრავალფეროვნება, რომლებიც ემსახურება ინოვაციურ საქმიანობას, ობიექტის ინფრასტრუქტურის სახეებსა და დონეებს. მათი ფუნქციონირების სირთულეები დაკავშირებულია იმასთან, რომ წარმოების ეკონომიკურ სფეროში, ერთი მხრივ, არ არის მოთხოვნილება ბაზარზე სიახლეების გამოყენებისა და მეორე მხრივ, ბანკების მხრიდან ვენჩურული კაპიტალის სფეროში არ ჩამოყალიბდა ისეთი ბანკების სპეციალიზაცია, რომლებიც უზრუნველყოფდნენ კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების დანერგვას.

კომპლექსურ საშუამავლო მომსახურებათა (ანალიტიკური, ექსპერტული, სარეკლამო, ინფორმაციული, კონსალტინგური, ინჟინირინგული, აუდიტორული და სხვა) ბაზარი მნიშვნელოვნად

რეაგირებს ინოვაციური პროცესების გავრცელების ინტენსივობაზე. აღნიშნული მომსახურება შეიძლება გაეწიოს: სპეციალიზებულ ბირჟებს, ანალიტიკურ ცენტრებს, რომლებიც დასაქმებულნი არიან სიახლეთა ლიცენზირების, სტანდარტიზაციისა და სერთიფიკაციის სფეროში; ასევე სხვადასხვა არაკომერციული ორაგანიზაციების – ფონდების, ასოციაციების, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებებისა და კავშირების.

საბაზრო გარდაქმნათა პერიოდში, მაგალითად, მეზობელი ქვეყნის, რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკურ დაწესებულებებში და ინსტიტუტებში, დაფუძნდა და განვითარდა კომერციული ინფრასტრუქტურის წარმონაქმნები: კონსალტინგური და მარკეტინგული სამსახურები, ტექნოპოლისები და ტექნოპარკები, ინჟინირინგული და ვენჩურული ფირმები და სხვა. მაგრამ გარდამავალი პერიოდის სირთულეები (ქვეყანაში კონკურენტული გარემოს არარსებობა, წარმოებათა მოცულობის ვარდნა, ინფლაციის ზრდა) ნეგატიურად აისახა ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების პირობებზე.

სპეციალიზებული ფირმების ინოვაციური შუამავლების მიზანია, საშუამავლო მოგების მიღება ინოვაციური პროცესის ან მისი ცალკული სტადიის ოპტიმიზაციით. საშუამავლო საქმიანობა შეიძლება გავრცელდეს ინოვაციური პროცესების ფინანსურ, ინფორმაციულ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე, ბაზარზე საქონლის გატანაზე და სხვა. ინოვაციურ ინფრასტრუქტურაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სპეციალიზებული ორგანიზაციები მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის ინოვაციური პროცესის ყველა სტადიაში, გარდა შეკვეთების მიღებისა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მოზიდვის შესახებ. სპეციალიზებულ ფირმებს შეუძლიათ ექსპერიმენტების, გამოთვლითი სამუშაოების ჩატარება და სხვა. მსგავსი ფირმების ფორმირებისა და განვითარების ბაზა შეიძლება იყოს ექსპერიმენტული პოლიგონები და სამეცნიერო-კვლევითი ინტიტუტის სხვა ქვედანაყოფები, წარმოებები, რომლებიც შემდეგ დამოუკიდებელ საწარმოებად ან კოლექტიური სარგებლობის ცენტრებად შეიძლება ჩამოყალიბდნენ.

საქართველოში ინოვაციური ინფრასტრუქტურის მეტად მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა გახდეს ინოვაციური ცენტრების, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკების და ინკუბატორების

ფორმირება, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს საწარმოს რეგიონული და ინოვაციური პოლიტიკის ელემენტებს.

ორგანიზაციული თვალსაზრისით, საწარმოო ან ტექნოლოგიური პარკი — ეს არის ტერიტორიის ნაწილი, სადაც კომპაქტურად არის განლაგებული სამრეწველო, სამეცნიერო საწარმოები და სამეცნიერო-სამრეწველო ფირმების დიდი ნაწილი, რომლებიც ექსპლუატაციას უწევენ ინფრასტრუქტურის ცალკეულ ობიექტებს. პარკი, როგორც წესი, დაყოფილია ცალკეულ ფუნქციურ სექტორებად. ის ინფრასტრუქტურულად ისეა მოწყობილი, რომ აქ განთავსდეს, და აქვს მართვის ერთიანი ორგანო (პარკის ოპერატორის სახით). პარკის ოპერატორი დებს ხელშეკრულებებს მომხმარებელ საწარმოებთან, აწარმოებს მიზანმიმართულ მუშაობას საინვესტიციო პროექტების შერჩევაზე (პარკის შექმნის მიზნის შესაბამისად), აკონტროლებს პარკის მიმდინარე ფუნქციონირებას და პასუხისმგებელია ინფრასტრუქტურის მიერ შექმნილი ობიექტების ექსპლოატაციაზე.

სამრეწველო ზონა და სამრეწველო მოედანი, სადაც კომპაქტურად არის განთავსებული საწარმოები — ინვესტორების სელექციას არ აწარმოებენ, არა აქვთ ტერიტორიის განვითარების მართვის ორგანო და ინფრასტრუქტურის მოწყობის მაღალი დონე.

მსოფლიოში არსებული თავისუფალი ეკონომიკური ზონების 90% მოწყობილია სამრეწველო პარკების სახით. აქ წარმატებით მოქმედებს შეღავათების სისტემა — საბაჟო, საგადასახადო-ინვესტიციური და სხვა.

სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური პარკების ოჯახს აქვს ბირთვი სამეცნიერო ცენტრების სახით და თავიდანვე ორიენტირებულია სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო სამუშაოებზე და საცდელი ნიმუშების მცირე რაოდენობით გამოშვებაზე. სამეცნიერო-სამრეწველო პარკებში ეკონომიკური ეფექტი მიიღწევა რეინდუსტრიალიზაციის ხარჯზე, რადგან სამეცნიერო ბირთვი შერწყმულია მსხვილსერიულ წარმოებასთან. სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური პარკი უზრუნველყოფს ახალი ტექნოლოგიური მოწყობის განვითარებასა და პოსტინდუსტრიულ განვითარებაზე გადასვლას.

ეკონომიკური თვალსაზრისით, პარკი წარმოადგენს ტერიტორიულ-წარმოებრივ წარმონაქმნს, რომელიც აგებულია ორი კომპლექსის – ინფრასტრუქტურულისა (რომელიც მომსახურების გენერირებას ახორციელებს) და მწარმოებლურის (მომხმარებელი საწარმოს სახით) ურთიერთმოქმედებაზე. ამ ორი კომპლექსის არსებობა პრინციპულად განასხვავებს პარკის შექმნის ინვესტიციურ პროექტს კლასიკური საწარმოო პროექტებისაგან, საერთო დანიშნულების ტრადიციული ინფრასტრუქტურის პროექტებისაგან და ა.შ. პარკი უნდა მივაკუთვნოთ ინფრასტრუქტურის იმ პროექტების განსაკუთრებულ კატეგორიას, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების უძრავი ქონების ექსპლუატაციასთან (ანუ მიწა, შენობები, ნაგებობები და სხვა უძრავი ობიექტები, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის).

პარკებში საწარმოს მფლობელობაშია ინფრასტრუქტურული მომსახურებისა და ხელშეწყობის (კომუნალური მომსახურება, დამატებითი საწარმოო მომსახურება) მთელი აუცილებელი პაკეტი, თანაც საბაზრო ფასებზე იაფად. ინფრასტრუქტურის ობიექტების ერთიანი ექსპლუატაცია საშუალებას აძლევს მომხმარებელ საწარმოებს არსებითად შეამცირონ დანაკარგები და მოახდინონ სარგებლის მაქსიმალური ზრდა. პარკებში დისლოცირებისას საწარმოები იღებენ ეკონომიკურ სარგებელს, როგორც მინიმუმ იმ ოდენობით, რომლის მიღებაც მას შეეძლო შელავათიანი კრედიტირებისა და სხვა ფინანსური პრეფერენციების დროს.

პარკული განთავსების უპირატესობები:

- სასტარტო და ინვესტიციური დანახარჯების შემცირება – იმის გამო, რომ ხდება მზა შენობებისა და ნაგებობების არენდა (შეძენის ნაცვლად), ადრე აშენებული ინფრასტრუქტურის შენობების გამოყენება და სამრეწველო მოწყობილობების ლიზინგი, და ეს ხდება, როგორც წესი, ბაზრის საშუალო ფასებზე დაბლა;
- წარმოების მიმდინარე დანაკარგების შემცირება (კომუნალური მომსახურების ტარიფები შედარებით დაბალია);
- სატრანსპორტო დანაკარგების შემცირება – იმის გამო, რომ თავიდანვე აწყობილია პარტნიორული კავშირები;
- რისკების შემცირება და სამეწარმეო საქმიანობის უსაფრთხოების ზრდა;

— ზედნადები ხარჯების შემცირება დამხმარე სამსახურების გამოყენებისას (დასაწყობება, ხარისხის კონტროლი და ა.შ.)
— ეს იმიტომ ხდება, რომ პარკში შედიან სპეციალურად ამ მომსახურებისათვის საჭირო ფირმები.

სწორი ორგანიზებისა და წარმატებული განლაგების შემთხვევაში პარკები შეიძლება იქცეს ზრდის რეგიონულ პოლუსებად, უზრუნველყონ მთელი რეგიონის წარმატებული და სწრაფი განვითარება როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი ეფექტების საშუალებით. ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი საბაზო ეფექტი მიიღწევა პარკებში იმის ხარჯზე, რომ ინფრასტრუქტურაში ჩადებული ყოველი ერთეული იძლევა მრავალჯერად ზრდას (25-მდეც კი), ხოლო ჩადებული კაპიტალის ერთეულ წარმოებაში — იწვევს მოთხოვნის გაზრდას თანმხლებ დარგებზეც და შერეული წარმოებების განვითარებას პარკის გარე ტერიტორიაზე. ამავე დროს, საინვესტიციო პროექტების სელექციური გადარჩევა, რომელსაც აწარმოებს პარკის ოპერატორი, უზრუნველყოფს საწარმოში ჩადებულ ერთეულზე ინოვაციური სარგებლის მაქსიმიზაციას. ყოველივე ამის გამო, პარკები ხდება სტრუქტურული გარდაქმნის სტიმულირების ინსტრუმენტები, რომლებიც დადებითად მოქმედებს ტექნიკურ-ინდუსტრიული ძვრების სისწრაფესა და მიმართულებაზე.

ახალი საწარმოების წარმოქმნის, რეალური სექტორის განვითარებისა და ცალკეული ტერიტორიების მასშტაბებში წარმოების ზრდის ხელშეწყობით, პარკები ახალ სამუშაო ადგილებს ქმნის. საბოლოო ჯამში, ეს იწვევს ბაზრის გაფართოებასაც, შესაბამისად, ბიუჯეტშიც მეტი ფული შედის. საკუთრების სხვადასხვა ფორმის პარკული წარმონაქმნები — კერძო, სახელმწიფო, შერეული (ხელისუფლების ადგილობრივი და რეგიონალური ორგანოების მონაწილეობით) — ფართოდ გავრცელდა წარმოება-განვითარებულ, განვითარებად და ახალი ინდუსტრიის ქვეყნებში, ხოლო ბოლო წლებში ჩინეთში, უნგრეთში, კუბაში, ფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნებში პარკების შენებას ხელს უწყობს ის, რომ მათ საკანონმდებლო ხასიათი აქვთ.

სამეცნიერო პარკები პირველად გავრცელდა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში. ესენია უნივერსიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული კომპლექსები, რომლებიც ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი და

საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების განვითარებას მოწინავე ტექნოლოგიების სფეროში, ლაბორატორიებისა და უნივერსიტეტის კვლევითი ჯგუფისა და სამრეწველო კომპანიების, ასევე ცალკეული მეცნიერების, გამომგონებლების, ინოვაციური მწარმოებლების გაერთიანებას.

სამეცნიერო პარკების ამერიკული მოდელი (აშშ, დიდი ბრიტანეთი) შეიცავს სამ ტიპს:

- სამეცნიერო პარკები;
- კვლევითი პარკები, რომლებშიც ინოვაციები გამომუშავდება მხოლოდ ტექნოლოგიური პროტოტიპის სტადიამდე;
- „ინკუბატორი" აშშ-ში და ინოვაციური ცენტრები დიდ ბრიტანეთსა და დასავლეთ ევროპაში, რომლებშიც უნივერსიტეტები ახალწარმოქმნილ კომპანიებს ზომიერ ფასად სთავაზობენ მომსახურებათა კომპლექსს (მიწას, შენობებს, ლაბორატორიულ ხელსაწყოებს და სხვა). უნივერსიტეტებთან არსებული და უმეტესწილად მათგანვე დაფინანსებული ინკუბატორები შეიძლება იყოს კორპორაციული, საზოგადოებრივი და კერძო იმის მიხედვით, თუ დაფინანსების რომელი წყაროა მეტი: საწარმოო ფირმები, ხელმძღვანელობის ადგილობრივი ორგანოები, ცენტრალური ხელისუფლება თუ კერძო პირები. ინკუბატორი შეიძლება არსებობდეს იმ სახრებით, რომლებიც მიიღება პროცენტის სახით ინკუბატორიდან გამოსული აქციების გაყიდვისას, როცა მცირე საწარმოები წარმატებით ფუნციონირებენ ასევე სპონსორების შემოწირულობათა ხარჯზე.

ინკუბატორის შექმნის მიზანია პირველადი დახმარება მცირე ინოვაციური საწარმოებისათვის, მეცნიერებისათვის, გამომგონებლებისა და სპეციალისტებისათვის, რომელთაც საკუთარი წარმოების ორგანიზება სურთ. ინკუბატორი მათ შეღავათიანი პირობებით სთავაზობს ისარგებლონ იმ წარმოებისა და კანტორის შენობებით, რომლებიც აღჭურვილია მინიმალური სამეურნეო ინფრასტრუქტურით, სამეცნიერო მოწყობილებებით, ვენჩურული კაპიტალის ფონდებით და ა.შ.

„ბიზნეს-ინკუბატორის" ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ეხმარება მას სახელმწიფოს ხელმძღვანელობა და მსხვილი წარმოებები. ინკუბატორების მართვა დაკავშირებულია მწარმოებელთა პროექტების სელექციასთან, ფინანსური დახმარების განაწილებასთან,

კონსულტაციების ორგანიზებასა და ექსპერტიზასთან.

ინკუბატორთან შექმნილი მცირე საწარმო ფუნქციონირების პირველი 6-10 თვე კონტროლდება ინკუბატორის მიერ, რადგან მისი კაპიტალის 80% ინკუბატორისაა. ხშირად საწარმოსაც უშუალოდ ის მართავს საკუთარი ან მოწვეული თანამშრომლების მეშვეობით. ისინი ასრულებენ ადმინისტრაციულ ფუნქციას.

გერმანიის და დიდი ბრიტანეთის სამეცნიერო პარკებში სტრუქტურის წარმომქმნელ ორგანიზაციებად გვევლინება ინოვაციური ცენტრები და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები. საფრანგეთსა და ბელგიაში სამეცნიერო პარკები ყალიბდება, როგორც სამრეწველო ზონები, რომელთა საწარმოებს აქვთ მაღალ-განვითარებული სამსახურები სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩასატარებლად. ამის გამო, საფრანგეთში სამეცნიერო პარკს ეწოდება ტექნოპოლისი, გერმანიაში – ინოვაციური და ტექნოლოგიური ცენტრი და ა.შ. ეს სახელწოდებები ასახავს თითოეული ქვეყნის სამეცნიერო პარკის თავისებურებას. მათთვის საერთო ის არის, რომ ისინი ახორციელებენ სამეცნიერო-ტექნიკური სიახლეების დანერგვას წარმოებაში. პარკის საზღვრებში თავმოყრილი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები თანამშრომლობენ იმ უნივერსიტეტებთან, რომლის გარშემოც ჩამოყალიბდა აღნიშნული პარკი.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების ფართოდ გავრცელებული ინოვაციური ცენტრები ისეთივე ფუნქციებს ასრულებენ, როგორც ამერიკული ინკუბატორები. სწავლულებისა და გამომგონებლების მწარმოებლებთან დაკავშირებით ინოვაციური ცენტრი მიიზიდავს საზოგადოებრივ და კერძო სახსრებს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისათვის, სიახლეების საწარმოში ათვისებასა და ლიცენზიის გაფართოებისათვის ახალ პროდუქტებზე და სხვა. ინოვაციური ცენტრების ბრიტანული ასოციაცია ორგანიზებას უკეთებს, ნოვატორი ფირმებისათვის სახელმწიფო სუბსიდიების გამოყოფას, ინოვაციური საქმიანობის მაღალი რისკის კომპენსაციისათვის.

სამეცნიერო პარკების იაპონური მოდელი განსხვავდება სხვებისაგან იმით, რომ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკოსტრუქტორო სამუშაოები და მეცნიერება-ტევადი (შემცველი) სამრეწველო საწარმოები თავს იყრის ახალ ქალაქ-ტექნოპოლისებში. მათ ხელი

უნდა შეუწყონ ქვეყნის გადაქცევას „იმიტატორიდან“ და „რაციონალიზატორიდან“ ტექნოლოგიურ ლიდერად, რომელიც განახორციელებს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს საინფორმაციო სისტემების, ბიოტექნოლოგიის, ახალი მასალების შექმნისა და სხვ. სფეროში. ამავდროულად ხდება ქვეყნის ეფექტიანი რეგიონული განვითარების პრობლემების გადაწყვეტაც. „ტექნოპოლისების სტრატეგია — ეს არის გარღვევის სტრატეგია მოქმედების ახალ სფეროში, რისი საფუძველიც უნდა იყოს უმაღლესი ტექნოლოგიური დონის რეგიონული ცენტრის ქსელის განვითარება; ამით ეს სტრატეგია მთელი იაპონური მეურნეობის ინტელექტუალიზაციის სტრატეგიად გვევლინება“.

ტექნოპოლისების შესაქმნელად ამორჩეული ზონები თანაბრად არის განაწილებული ოთხივე კუნძულზე და იკავებს ტერიტორიას, რომელიც არ აღემატება 50 კვადრატულ მილს. ტექნოპოლისების საზღვრებში განთავსებულია დაბალანსებული კრებული თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი და სამრეწველო ინსტიტუტებისა. ტექნოპოლისები აღჭურვილია არა მარტო სამეურნეო, არამედ კულტურული და რეკრეაციული ინფრასტრუქტურით.

ტექნოპოლისების მშენებლობა ძირითადად ხორციელდება რეგიონული სახსრებით — ადგილობრივი გადასახადებისა და კორპორაციის შენატანების ხარჯზე. ცენტრალური ხელისუფლება უფლებას აძლევს ინოვაციურ სუბიექტებს, რომლებიც ტექნოპოლისის საზღვრებში ფუნქციონირებენ, ისარგებლონ საგასახადო შეღავათებით შენობებისა და იარაღების დაჩქარებული ამორტიზაციისას და სუბსიდიებით, რომლებიც შეიძლება იყოს მესამედი იმ აუცილებელი თანხისა, რაც საჭიროა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების პროექტის განხორციელებისათვის რეგიონის საწარმოო სფეროში. ტექნოპოლისებში განხორციელებული პროექტები საკრედიტო დახმარებას იღებენ მცირე ბიზნესის კორპორაციისაგან, იაპონიის განვითარების ბანკებისაგან და სხვა. ტექნოპოლისების უმეტესობა უზრუნველყოფს ვენჩურული კაპიტალის მოზიდვას სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსრუქტორო სამუშაოების პრაქტიკაში განსახორციელებლად.

საფრანგეთსა და გერმანიაში ჩამოყალიბდა სამეცნიერო პარკების შერეული ფორმა. ის ითვალისწინებს პარკის შექმნას ახალ

ტერიტორიაზე. მიწა შეღავათიან ფასად გადაეცემა სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებსა და სამრეწველო კომპლექსებს.

სამეცნიერო პარკებისაგან განსხვავებით, რეგიონალურ აგლომერაციებს უკავია დიდი ტერიტორია. მასში ინტეგრირებულია ბევრი სამრეწველო კომპანია, რომელიც შედგება სამეცნიერო დარგებისაგან, სამეცნიერო-კლევითი დაწესებულებისგან (ზოგჯერ გაერთიანებულია სამეცნიერო პარკში), ასევე ვენჩურული კაპიტალის ფირმებისგან.

აშშ-ში რეგიონული აგლომერაციის მაგალითად წარმოგვიდგება „სილიკონის ველი", რომელიც შეიცავს ქალაქს 3 მლნ. მოსახლეობით, მასზეა განლაგებული კალიფორნიის კომპანიების 40% ელექტრონიკის, ინფორმატიკისა და კომუნიკაციის სფეროში. აგლომერაციის უშუალო სიახლოვეს ფუნქციონირებს 12 კვლევითი ცენტრი, აგლომერაციის შიგნით – სტენფორდის კვლევითი ცენტრი. ამ ველის წილზე მოდის აშშ-ის რისკული ინვესტიციების მეოთხედი. კერძო ფირმები მონაწილეობენ ინოვაციურ საქმიანობაში, ისინი გასცემენ სუბსიდიებს გამოკვლევების ჩასატარებლად, ერთობლივი პროგრამების რეალიზაციისათვის უნივერსიტეტებისა და წარმოებების დაკავშირებისას, შედიან რა კონსორციუმში დაუმთავრებელი პროექტების დასამთავრებლად. სამეცნიერო პარკებისაგან განსხვავებით, რეგიონული აგლომერაციის ორგანიზება ერთი ცენტრიდან არ ხდება.

მთლიანობაში, სამეცნიერო, ინოვაციური და ეკონომიკური პოტენციალის კონცენტრაციის სხვადასხვა ფორმას აქვს მომსახურებათა განვითარებული ინფრასტრუქტურა, რასაც ახორციელებენ ინოვაციური საქმიანობის სუბიექტები.

ტექნოპარკები ან სამეცნიერო პარკები მეზობელ რუსეთში შექმნილია უნივერსიტეტებთან და ფაქტობრივად ახორციელებს ტექნოლოგიური „ბიზნეს-ინკუბატორების" ფუნქციას, რადგან ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების კომერციულ რეალიზაციას. რუსეთის ტექნოლოგიური და სამეცნიერო პარკი სთავაზობს ინოვაციურ მცირე საწარმოებს მომსახურებათა შემდეგ სპექტრს: შენობების არენდა, სატელეფონო და სხვ. მომსახურებანი, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შედეგების გაცნობა, ტექნიკური პროექტებისათვის სპეციალისტების მომზადებასა და შერჩევაში დახმარება და ა.შ.

ტრადიციულ წარმოდგენაში სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკი არის ბიზნეს-ინკუბატორზე უფრო დიდი კოოპერაციული კომპლექსი როგორც მონაწილეთა რიცხვის, ისე დაფინანსების მასშტაბებით და ინოვაციური საქმიანობის განხორციელებით. მათი ფორმირება ხდება გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამების შესაბამისად, სახელმწიფო და კერძო სუბიექტების სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთქმედებით. ტექნოლოგიური (სამეცნიერო) პარკის ტერიტორიაზე განლაგებული ურთიერთშემავსებელი საწარმოების არსებობა განაპირობებს იმას, რომ იდეის წარმოქმნიდან მისი დანერგვა მასობრივ წარმოებაში 2–3-ჯერ უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე მაშინ, თუკი კომპლექსი არ იქნებოდა.

საქართველოში სამრეწველო და ტექნოლოგიური პარკების შექმნა ხელს შეუწყობს შემდეგი საკითხების გადაჭრას:

- სამრეწველო ინფრასტრუქტურის განვითარების გაადვილება და პრინციპულად ახალი მიმართულების საქმიანობა,რომელიც დაკავშირებულია სამრეწველო უძრავი ქონების განვითარებასთან;
- საწარმოთა ტექნოლოგიური მოდერნიზაციის გაადვილება და ცალკეული რაიონების რეინდუსტრიალიზაცია, აგრეთვე საწარმოო გამოყენებისათვის სამრეწველო ზონების ტერიტორიათა რეანიმაცია (თუ გავითვალისწინებთ, რომ სამრეწველო ფონდების მასობრივი გამოფიტვა მოხდა);
- თანამედროვე (ასევე მაღალტექნოლოგიური) წარმოებების ორგანიზება სამრეწველო კომპლექსის დაკონსერვებული ინფრასტრუქტურული კომპლექტების ბაზაზე;
- რეალურ სექტორში ინვესტიციათა დინების სტიმულირება (იმის გამო, რომ პარკებში არის ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი);
- მცირე და საშუალო ბიზნესის, ასევე ვენჩურული ბიზნესის განვითარების სტიმულირება მსხვილ ქალაქებში (იმის გამო, რომ ხარჯებთან ერთად, იაფი ხდება და მცირდება ბარიერები რეალურ სექტორში შესაღწევად);
- ეკონომიკური ბაზის განმტკიცება საშუალო პრობლემურ რეგიონებში;
- სამრეწველო საწარმოთა პრობლემური და ეკოლოგიური გაუმჯობესება.

3.3. ინოვაციების ბაზარი

ინოვაციური საქმიანობის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ის ასრულებს ეკონომიკურ ფუნქციას: ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საწარმოო გამოცდილების გავრცელების ხელშეწყობით კომერციულ და არაკომერციულ გაცვლაში ჩართავს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს. არაკომერციული გაცვლის საშუალებით ხდება სამეცნიერო-ტექნიკური, საინფორმაციო, სარეკლამო-ტექნიკური ხასიათის ცოდნის გადაცემა, რაც განკუთვნილია წარმოების განსაზღვრულ დარგებში სპეციალისტთა მომზადებისა და სწავლებისათვის, და რაც მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების განვითარების მდგომარეობისა და პერსპექტივების გაანალიზების საშუალებას გვაძლევს. არაკომერციულ გაცვლაში მონაწილეობს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ხასიათის ცნობები, მასალები და პუბლიკაციები; კანონზომიერებათა და მეცნიერების ახალი თეორიული პრინციპების გამხსნელი მეცნიერული აღმოჩენები, რომელთა გადაცემა არ შეიძლება კერძო საკუთრებაში, რადგან წარმოადგენს ზოგადსაკაცობრიო მონაპოვარს. ზოგადი ფორმით მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და ტექნოლოგიური სიახლეების ცვლა ხორციელდება სამეცნიერო-ტექნიკური პუბლიკაციების (წიგნები, მიმოხილვები, რეფერატები, სტატიები, საპატენტო ფონდები და სხვ.), გამოფენების, ბაზრობების, კონფერენციების, სიმპოზიუმების, სემინარების მეშვეობით; კადრების გადამზადებისა და განათლების სისტემაში ტექნიკური სწავლების ორგანიზაციის, დაკვირვების, ინფორმაციის შეკრებისა და გაცვლისათვის. გამოყენებული მეცნიერებისა და სპეციალისტების ურთიერთვიზიტებისა და საქმიანი კონტაქტების საშუალებით. გაცვლის კომერციული მეთოდების გამოყენებას იმ დარგებში, სადაც ამჟამად გამოიყენება არაკომერციული მეთოდები, შეეძლო ტექნიკური პროგრესისა და განათლების შეფერხება საზოგადოებაში, ცოდნის გადაცემისა და დაგროვების პროცესების გართულება.

ინოვაციური პროდუქტის სხვადასხვა ობიექტების კომერციული გაცვლა ხორციელდება ინოვაციების ბაზარზე. ინოვაციების ბაზარი წარმოადგენს ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობას, რომლებიც წარმოიქმნება ინოვაციური საქმიანობის

შედეგების გაცვლისა და მისი მონაწილეების ინტერესთა (ასეთი გაცვლის მასშტაბების, ვადებისა და ფასების) შეთანხმების პროცესში.

ინოვაციათა ბაზრის კლასიფიცირება შეიძლება ინოვაციათა ხასიათის (კონტრაქტული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების-სკსსს ბაზარი, ლიცენზიების ბაზარი, ტექნოლოგიების ბაზარი), მყიდველთა ტიპის (საწარმოები და ორგანიზაციები), საკუთრების ფორმების, ინოვაციათა რეალიზაციის ადგილის მიხედვით. კონტრაქტული სკსსს ბაზარზე ხორციელდება სკსსს შედეგთა ყიდვა-გაყიდვა, რომლებიც შესრულებულია დაინტერესებული სუბიექტების შეკვეთის მიხედვით მათი პრაქტიკული დანერგვის, ან შემდგომი კვლევებისა და შემუშავებების ჩატარების მიზნით. ლიცენზიათა ბაზარზე გაცვლის საგანი ხდება ინტელექტუალური პროდუქტების, აგრეთვე, აპრობირებული ტექნოლოგიების გამოყენებაზე არსებული უფლება. ამ ბაზრის საშუალებით ხდება იმ ტექნოლოგიური პროცესებისა და წარმოებადი პროდუქტების ყიდვა-გაყიდვა, რომლებმაც უკვე დაამტკიცეს თავიანთი ეფექტურობა პრაქტიკაში.

საკუთრების ფორმების მიხედვით ინოვაციათა ბაზრის სტრუქტურა, რომელიც ასახავს სიახლეთა ნაკადებს საკუთრების სხვადასხვა ფორმას შორის, წინასწარ განსაზღვრავს სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის მრავალ მიმართულებას, ისეთებს, როგორებიცაა ვენჩურული კაპიტალის მცირე ინოვაციური საწარმოებისა და ორგანიზაციების სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებები, ტექნოლოგიური ტრანსფერის პირობები სახელმწიფო სექტორიდან კერძოში, ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირება და სხვ.

განასხვავებენ ინოვაციათა შიდა და საგარეო ბაზრებს. გარკვეულ ქვეყნებში მოძველებული ტექნოლოგიები შეიძლება გადაეცეს ქვეყანა-რეციპიენტებს,რომლებისთვისაც აღნიშნული ტექნოლოგიები შეიძლება დარჩეს საკმაოდ ახლებად, ანუ ინოვაციებად.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბებული ინოვაციების (ინოვაციური პროდუქტების) ბაზარი რიგი მახასიათებლებით შეესაბამება საქონლის ბაზრებს. ინოვაციური პროდუქტის ობიექტებს, რომლებზეც უფლების შემოთავაზება ხდება ბაზარზე, გააჩნიათ სამომხმარებლო ღირებულების საერთო ნიშნები (სიახლე, რისკიანობა, სამრეწველო ვარგისობა),

რაც საშუალებას აძლევს მათ მომხმარებლებს, მიიღონ დამატებითი მოგება. ეს ობიექტური ნიშნები, მიუხედავად ინოვაციური პროდუქტის კონკრეტულ ობიექტთა მრავალფეროვნებისა, იმ ბაზარში გაერთიანების საშუალებას იძლევიან, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას გამყიდველებსა (ინოვაციური პროდუქტის ობიექტთა შემქმნელებსა) და მის მომხმარებლებს (მყიდველებს) შორის.

ინოვაციათა ბაზრის ეკონომიკური არსი და სპეციფიკა მდგომარეობს შემდეგში:

- ინოვაციური საქმიანობის პროდუქტების კომერციული გაცვლის ჩამოყალიბება გახდა ინოვაციურ სფეროზე საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქონლის წარმოების საყოველთაო ხასიათის გავრცელება, საწარმოო ურთიერთობათა ისტორიული განვითარების კანონზომიერი შედეგი. მოცემული პროცესი ორგანულადაა დაკავშირებული შრომის საყოველთაო დანაწილების გაღრმავებასთან, სპეციალიზაციასა და კოოპერირებასთან სამეცნიერო-ტექნიკური, ინოვაციური და საწარმოო საქმიანობის დარგებში;
- გაცვლის სფეროში შემომავალი ინოვაციური პროდუქტები პასუხობს საქონლის ყველა ნიშანს, ხოლო მათი კომერციული გაცვლა ხორციელდება გარიგებათა დადების გზით, რომლებიც ასახავს ამ ობიექტების, როგორც საქონლის, სპეციფიკას;
- ინოვაციური პროდუქტის ობიექტთა ვაჭრობის დარგში ჩამოყალიბდა და მოქმედებს საბაზრო მექანიზმი, რომლის ძირითად ელემენტებს წარმოადგენს მოთხოვნა, მიწოდება და ფასები. ისევე, როგორც ტრადიციულ საქონელთა ეროვნულ ბაზრებს, ინოვაციური პროდუქტის ობიექტთა ეროვნულ ბაზრებსაც გააჩნიათ რაოდენობრივი მახასიათებლები, დარგობრივი და გეოგრაფიული სტრუქტურა, რეკლამის საკუთარი ფორმები, ფასთა გამოანგარიშების მეთოდიკა, სამართლებრივი ნორმები. გარიგებები ინოვაციური პროდუქტის ობიექტების გაცვლის თაობაზე შეიძლება გულისხმობს კომერციულ გარიგებათა სხვა სახეების სამართლებრივ პირობათა გამოყენებას, ისეთებს, როგორებიცაა ყიდვა-გაყიდვის საიჯარო ხელშეკრულებები, მომსახურებათა გაწევის, კაპიტალის, სესხის,

ამხანაგობების ინვესტირების შესახებ. ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ეროვნული ბაზრების საფუძველზე ყალიბდება ინოვაციათა მსოფლიო ბაზარი.

— პროდუქტის ინოვაციათა ეროვნულ ბაზარზე მუდმივ ზეგავლენას ახდენს კონიუნქტურული ფაქტორები. ზოგად ფაქტორებს მიეკუთვნება ციკლური რყევები. სპეციფიკურ კონიუნქტურის წარმომქმნელ სპეციფიკურ ფაქტორებს მიეკუთვნება ბაზარზე ინოვაციური საქმიანობის კონკრეტულ ობიექტთა რეალიზაციის სავაჭრო-პოლიტიკური პირობები, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალისა და საწარმოო სფეროს მდგომარეობა.

ინოვაციათა ბაზარი მოიცავს სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის მწარმოებელთა, ინოვაციური პროდუქტის მწარმოებელთა ბაზრებისა და მათი მომხმარებლების ერთობლიობას. ინოვაციური საქმიანობის სპეციფიკა განსაზღვრავს მისი სუბიექტების ორმაგ როლს, რომლებიც მომხმარებლებთან გარიგებებში გამოდიან სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის მწარმოებელთა ბაზარზე სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის მომხმარებლებად (მყიდველებად) და ინოვაციური პროდუქტის მწარმოებლებად (გამყიდველებად). უკანასკნელებს შორის კონკურენტული ბრძოლა უბიძგებს მათ წარმოების (მომსახურების) ტექნიკური დონის ხარისხის გაუმჯობესების, წარმოების დანახარჯების შემცირების, ეფექტიანობის ამაღლებისკენ. კონკურენცია, ახდენს რა ინოვაციათა ბაზრის ინიცირებას, ასტიმულირებს მის განვითარებას. ინოვაციათა ბაზარზე კონკრეტულ ურთიერთობათა უშუალო და ძირითად სუბიექტად გამოდის ინოვაციური ფირმა, რომელიც გარიგებას დებს სამეცნიერო ორგანიზაციებთან, დროებით სამეცნიერო კოლექტივებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის მწარმოებელთა ბაზარზე. ამ უკანასკნელის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მასში უარყოფილია სიახლე, დიდი სამეცნიერო-პრაქტიკული ღირებულების მქონეც კი, თუ ის არ პასუხობს საბოლოო მომხმარებლების — საქონლის (მომსახურეობის) მწარმოებელი ფირმების (საწარმოების) მოთხოვნებს.

ამრიგად, ინოვაციური ფირმების საქმიანობის შესაძლებლობები და, აქედან გამომდინარე, მათ მიერ შესაძენი სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის მოცულობებიც შეზღუდულია იმ ინოვაციური

პროდუქტის მომხმარებელთა გადახდისუნარიანი მოთხოვნის მოცულობით, რომლებიც ეწევიან კონკრეტულ ბრძოლას მათთვის მისაწვდომ ბაზრის სეგმენტებზე.

საბაზრო ეკონომიკაში კონკურენცია საშუალებას აძლევს მეწარმეს, აირჩიოს ოპტიმალური მომხმარებელი კონკრეტულ მონაწილეებს შორის ურთიერთხელსაყრელი ტექნოლოგიური კავშირის საფუძველზე. ინტელექტუალური და სამრეწველო ღირებულების შემცველ საქონელზე, ინოვაციური პროდუქტის ობიექტებზე მუდმივად ცვლადი ფასების, კრედიტზე საპროცენტო განაკვეთის საშუალებით, ბაზარი გვთავაზობს ობიექტურ ინფორმაციას ჩამოყალიბებული ეკონომიკური სიტუაციის შესახებ, რომელიც ასახავს თანაფარდობას მოთხოვნასა და მიწოდებას, ფასთა დონესა და სხვ. შორის; ე.ი. კონიუნქტურის შესახებ, რაც ბაზრის მონაწილეებს რესურსების მწარმოებლებზე ან პროდუქციის მომხმარებლებზე ორიენტირების საშუალებას აძლევს. ბაზარი ავლენს როგორც სამეცნიერო-ტექნიკური, ისე ინოვაციური პროდუქტის წარმოების დანახარჯებს, რაც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მათი საბაზრო ღირებულება, რომლის საფუძველზეც ყალიბდება ფასები.

ინოვაციური პროდუქტის, როგორც საქონლის, განუყოფელ მხარეს წარმოადგენს ღირებულება, ე.ი. ბაზარზე შეფასებული მისი სამომხმარებლო ღირებულება. ინოვაციური პროდუქტის სამომხმარებლო ღირებულების სპეციფიკა ზეგავლენას ახდენს ფასწარმოქმნის მეთოდისა და მისი ღირებულების განსაზღვრაზე.

ინოვაციურ პროდუქტზე ფასწარმოქმნის სირთულე დაკავშირებულია იმასთან, რომ მის ობიექტებს წარმოადგენს არა მარტო მატერიალური, არამედ იდეალური სუბსტანციებიც, რომლებმაც ვერ ჰპოვეს სრული მატერიალური განსახიერება და არ გამოავლინეს ღირებულება მატერიალური წარმოებით შეზღუდული ღირებულების შრომითი თეორიის ჩარჩოებში.

ამავე დროს, ინოვაციური პროდუქტის ობიექტთა თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ისინი, როგორც წესი, იქმნება ერთეულებად და არ ხდება მათი კვლავწარმოება სხვა მეწარმეების მიერ, რაც არ გვაძლევს სამუშაო დროით ინოვაციური საქმიანობის კონკრეტული სუბიექტის საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის გაზომვის საშუალებას, რადგან მის მიერ შექმნილი უნიკალური სამომხმარებლო

ღირებულება არ განმეორდება სხვა ობიექტების საზოგადოებრივ შრომაში. გაცვლის სფეროში შრომის შეფასება, ფაქტიური ინდივიდუალური დროის მიხედვით, ეწინააღმდეგება თვით საქონლის ღირებულების ცნებას და არ ითვალისწინებს ინოვაციური პროდუქტის სამომხმარებლო ღირებულების თავისებურებებს, რომლის ფასეულობა განისაზღვრება არა მისი შექმნის დროით, არამედ მისი გამოყენებისაგან მისაღები მოგების კომერციული მნიშვნელობითა და ოდენობით.

რადგან ინოვაციური პროდუქტის ობიექტები განსხვავდება სიახლით და ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს, მათზე შეუძლებელია მყარი ფასების დადგენა, რომლებიც მიბმულია სიახლეთა შექმნის დანახარჯების სიდიდესთან, რადგან ინოვაციურ სფეროში ხშირად არ არის პირდაპირი დამოკიდებულება მოგების ოდენობასა და დანახარჯების ფაქტიური ოდენობის სიდიდეს შორის.

გარდა ამისა, ფასი ინოვაციურ პროდუქციაზე განისაზღვრება მრავალი ფაქტორის ზეგავლენით, ამიტომ საბაზო ფასის განსაზღვრისათვის შეიძლება ინოვაციურ პროდუქტზე ფასთა მერყეობების ზედა და ქვედა ზღვარის ანალიზის გამოყენება, რომელიც მისაღებია მყიდველისა (ზედა ზღვარი) და მფლობელისთვის (ქვედა ზღვარი).

ინოვაციური პროდუქტის მფლობელისთვის ფასი ყალიბდება მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე დანახარჯებისა და მატერიალური დანახარჯების ოდენობიდან, აგრეთვე ინოვაციური ხასიათის პროდუქციაზე ჩვეულებრივი მოგებიდან. მყიდველის ფასი წარმოიქმნება, როგორც სხვაობა შემოსავლებს, რომლებიც მიღებულია წარმოებაში ინოვაციური პროდუქტის გამოყენებისაგან მისი გამოყენების მთელი პერიოდის განმავლობაში, და დანახარჯებს შორის, რომლებიც დაკავშირებულია ინოვაციური პროდუქტის გამოყენებასთან.

სიახლეთა გამოყენებისაგან ეკონომიკური დიდი ეფექტის მიღება შეიძლება მის შექმნაზე გაწეული შედარებით მცირე დანახარჯებისას. ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც წარმოებულმა დანახარჯებმა ინოვაციური პროდუქტის შექმნის ცალკეულ სტადიებზე არ მოიტანა რეალური ეკონომიკური შედეგები, ხოლო თვით შექმნილი ობიექტების გამოყენება შემდგომ სტადიებზე არ შეიძლება. ამრიგად, ინოვაციურ პროცესებში დანახარჯებსა და შედეგებს გააჩნია ნაკლები ურთიერთზეგავლენა, ვიდრე მატერიალური წარმოების სფეროში.

უფრო მართებულად გვეჩვენება ინოვაციურ სფეროზე იმ მიდგომის გავრცელება, რომელიც ფორმულირებულია ზღვრული სარგებლიანობის თეორიაში, რომლის თანახმად ინოვაციათა ღირებულება განისაზღვრება მისი სარგებლობიდან გამომდინარე, ე.ი. – მისი უნარიდან,, დააკმაყოფილოს ეკონომიკური სუბიექტის მოთხოვნილებები.

მომხმარებლისთვის ინოვაციური პროდუქტის ობიექტის ღირებულება დამოკიდებულია (სიახლის გამოყენებით) ამ პროდუქტის სარგებლიანობის ურთიერთობაზე მისსავე ფასთან, ე.ი.:

$$C = \frac{P_ა \cdot C_{ძვ}}{C_ა} - P_{ძვ}$$

Pა., Pძვ. - ახალი და ძველი პროდუქტის სარგებლიანობა;

Cა.Cძვ, - ახალი და ძველი პროდუქტის ფასი;

C - ახალი პროდუქტის ღირებულება მომხმარებლისთვის.

მწარმოებლისთვის ინოვაციური პროდუქტის ღირებულება დამოკიდებულია იმ დამატებით მოგებაზე, რომელსაც ის იღებს. საბოლოო ჯამში, მომხმარებლისთვის ინოვაციური პროდუქტის ღირებულება განისაზღვრება აგრეთვე დამატებითი მოგებით, რომლის მინიმალური ოდენობა დამოკიდებულია კაპიტალის გამოყენების ფასზე. ე.ი. დამატებითი მოგების ოდენობა უნდა იყოს დეპოზიტის პროცენტებზე მეტი, თუ მომხმარებელი ინოვაციური პროდუქტის შეძენაზე იყენებს საკუთარ სახსრებს, და კრედიტის პროცენტებზე მეტი, თუ გამოიყენება სასესხო სახსრები. ამრიგად, სიახლეთა გამოყენებამ უნდა მოიტანოს მაქსიმალური საერთო მოგება, ე.ი. დამატებითი მოგება, რომელიც აღემატება კაპიტალის გამოყენების საშუალო-დარგობრივ ეფექტიანობას, და რომელიც სრულყოფილ საბაზრო ეკონომიკაში ყველა დარგში ერთნაირია და ტოლია იმ პროცენტისა, რომლითაც ბანკები იზიდავენ დეპოზიტებს.

ამ მიზეზით, ინოვაციურ სფეროში გამოიყენება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასები მყიდველსა და გამყიდველს შორის შეთანხმების მიხედვით; თანაც თვით ფასმა ინოვაციური პროდუქტის ობიექტებზე შემდეგი ფორმები შეიძლება მიიღოს:

- ფასი, რომლითაც ხორციელდება ინოვაციური პროდუქტის ღირებულების ერთდროული გადახდა შემკვეთის (მომხმარებლის) მიერ მისი მიღებისას (ჩაბარებისას)

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად – ფასის პაუშალური (ერთჯერადი) ფორმა;

- ფასი, რომლითაც ხორციელდება ინოვაციური პროდუქტის ღირებულების ეტაპობრივი გადახდა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
- ფასი, რომელიც გულისხმობს გადარიცხვებს (ფიქსირებულ გადასახადებს) შემკვეთის მიერ რეალურად მიღებული მოგების ან ეკონომიკური ეფექტის მიხედვით სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის (როიალტის) შესაბამისად.

ინოვაციური პროცესის სხვადასხვა სტადიაზე ინოვაციური პროდუქტის ობიექტთა ჩამოყალიბების თავისებურებები გულისხმობს ცალკეულ ობიექტებზე ფასწარმოქმნის დიფერენცირებული მეთოდების გამოყენებას. ასე, გამოსაშვები საქონლის უწინდელი პარამეტრების გამაუმჯობესებელი ინოვაციებისათვის მიზანშეწონილია „პაუშალური“ ფასების გამოყენება იმის გამო, რომ ასეთი ინოვაციების რეალიზაციის პერიოდი შედარებით მცირეა, ხოლო ეფექტი ხშირად ექვემდებარება უტყუარ რაოდენობრივ შეფასებას. ამავე დროს, პატენტების შეძენისას, ხშირად გამოიყენება შერეული ტიპის ფასები: წინასწარ აღნიშნული ეფექტისა და მისი რეალიზაციის ვადების წანამატებით, რადგან საბაზო გამოგონების რეალური ეფექტი განსხვავდება მოსალოდნელისაგან არა მარტო განუსაზღვრელობის მაღალი ხარისხის გამო, არამედ მრავალი ფაქტორის გამოც, რომლებიც მასზე მოქმედებს სხვადასხვა ტექნოლოგიურ სტადიაზე. დაბოლოს, გამოგონებიდან მიღებული ეფექტის რეალიზება შეიძლება დროის ხანგრძლივი მონაკვეთის შემდეგ, რასაც პასუხობს მყიდველის სწრაფვა „როიალტის“ ტიპის ფასის გამოყენებისადმი.

მსოფლიო ბაზარზე ჩამოყალიბებული ლიცენზიის ფასი, განისაზღვრება, მაგალითად, სიახლის შემმუშავებლის წილის სახით იმ დამატებით მოგებაში, რომელიც მიიღება მოცემული ინოვაციური პროდუქტის გამოყენებისას.

$$C = A \cdot R \cdot V \cdot T$$

სადაც, A - ხელშეკრულებით წინასწარ შეთანხმებული მოგების განაწილების კოეფიციენტია ინოვაციური პროდუქტის ლიცენზიარსა (გამყიდველსა) და ლიცენზიატს (მყიდველს) შორის;

R - ინოვაციათა გამოყენების შედეგად მიღებული გამოსაშვები

პროდუქციის ერთეულზე დამატებითი მოგებაა; V - პროდუქციის გამოშვების წლიური მოცულობაა; T ლიცენზირებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაა წლებში.

ამრიგად, ინოვაციური პროდუქტის, როგორც საქონლის, სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ფასი უნდა დაფუძნდეს არა მარტო შექმნის ხარჯებზე, არამედ მომხმარებლის მიერ ინოვაციური პროდუქტის ობიექტთა პოტენციური ღირებულების რეალიზაციის ხარისხის შეფასებაზეც.

ინოვაციური პროდუქტის ფასის ზღვრული ოდენობები რეგულირდება საბაზრო კონკურენციის კანონებით. ასე მაგალითად, მწარმოებლებს არა აქვთ შესაძლებლობა დააწესონ ეკონომიკურად დაუსაბუთებელი ფასები ღირებულების კანონის მიუხედავად. ღირებულების ზღვარი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ინოვაციური პროდუქტის მყიდველს (მომხმარებელს) მისადმი ინტერესი უჩნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სიახლეს მოაქვს დამატებითი შემოსავალი, უფრო მეტი, ვიდრე მიიღებდა მომხმარებელი, თუკი თვითონ განახორციელებდა სიახლეთა დანერგვასა და შეძენას.

კონკურენცია ავლენს სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური საქმიანობის იმ სახეებს, სადაც დანახარჯები შეიძლება შემცირდეს იქნეს, განსაზღვრავს როგორც სამეცნიერო-ტექნიკური, ისე ინოვაციური პროდუქტის სამომხმარებლო პარამეტრთა ნაკრებს, ავლენს მოქმედ და პოტენციურ კონკურენტებს, მათ სისუტეებსა და საქმიანობის ძლიერ მხარეებს. კონკურენციის ანალიზი ხორციელდება ბაზარზე მოქმედი ინფორმაციის შეკრებისა და მოპოვების ზოგადი სისტემის ფარგლებში, მის წყაროებს წარმოადგენს გამოფენები, ფირმის ხელმძღვანელთა მოხსენების ტექსტები და ყოველწლიური ანგარიშები, მიმოხილვები პერიოდიკაში და ა.შ.; აგრეთვე, სახელმწიფო სამართლებრივი და ეკონომიკური დაწესებულებების მიერ შემოთავაზებული ცნობებისა და ინფორმაციის ოპერატიული წყაროები. კონკურენტთა საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, გამოიყენება მომხმარებლებისა და მათი დილერების გამოკითხვები.

მოქმედი და პოტენციური კონკურენტების გამოვლენა დაკავშირებულია ბაზრის გარკვეულ სეგმენტთან, რომლის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს კონკურენტი. ამასთანავე, კონკურენტების დაჯგუფება შეიძლება შემდეგნაირად:

- კომპანიები (ორგანიზაციები, ფირმები), რომლებიც გულისხმობენ საქონლის (მომსახურების) ანალოგიურ სახეს მოთხოვნილებათა მთელ კომპლექსზე, ან მხოლოდ სპეციფიკურ მოთხოვნილებებზე, აგრეთვე კომპანიები, რომლებსაც უნდათ ბაზარზე გასვლა ანალოგიური საქონლით (მომსახურებით);

კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ პროდუქტებს (მომსახურებებს) – შემცვლელებს, რომლებსაც ძალუძთ ბაზარზე მოცემული პროდუქტის (მომსახურების) განდევნა.

ინოვაციური საწარმოებისთვის მნიშვნელოვანია საქმიანობა, შემავსებელ საქონელზე (მომსახურებაზე) საქონლის (მომსახურების) უშუალო მწარმოებელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მომხმარებელთა „ასოციაციური" გამოკითხვები საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ მოხმარების პირობები და სასარგებლო თვისებები, რომლებთანაც მომხმარებელი აკავშირებს ბაზარზე ცნობილი კონკურენტის საქონელს. ინოვაციური ფირმებისთვის უმნიშვნელოვანესია ინფორმაცია კომპანიების ორიენტაციის შესახებ, რომლებიც აწარმოებენ საქონელს (მომსახურებას) მათი პროდუქციის, ფასთა პოლიტიკისა და ხარისხის პოლიტიკის დარგში მათი სტრატეგიების, აგრეთვე ტექნოლოგიის დარგში სტრატეგიების ბაზრებზე ექსპანსიისათვის.

ასე მაგალითად, 80-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში საწარმოთა უმრავლესობამ სტრატეგიის შემდეგი ტიპებიდან არჩევანი ერთ-ერთ მათგანზე შეაჩერა:

- პირველ ჯგუფს მიეკუთვნება იაპონური კომპანიები „ჰიტაჩი", „ფუჯიცუ" და სხვ., რომლებისთვისაც დამახასიათებელია უცხოური ტექნოლოგიური სიახლეების გამოყენება ხარისხიანი, საიმედო და იაფი პროდუქციის უზრუნველყოფისათვის; წარმოების დივერსიფიკაციის მაღალი ხარისხი, ფართო შესაძლებლობები კრედიტების გამოყენებაში;
- მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ამერიკული ფირმები „მოტოროლა", „ტექსას ინსტრუმენტს" და სხვ., რომლებიც წარმოებაში იყენებენ საკუთარ ტექნიკურ იდეებს და წარმოადგენენ პროდუქციის ახალი სახეების მოწინავე მწარმოებლებს, რომლებზეც ისინი არიან სპეციალიზებულნი.

ინოვაციური პროდუქტების კონკურენტუნარიანობა აუცილებელი

პირობაა ბაზარზე მათი რეალიზაციისათვის. წარმატება არანაკლებადაა დამოკიდებული ბაზარზე ჩამოყალიბებულ კონიუნქტურაზე, რომლის მიმართაც ანალიზი და პროგნოზი განსაზღვრულია ერთი-ორი წლით. კონიუნქტურული კვლევები მოიცავს ბაზრის ტევადობის, იმ პროდუქციის გასაღების პერსპექტივების, მოთხოვნისა და „სასიცოცხლო ციკლის“ განსაზღვრას, რომლის წარმოებაშიც გამოიყენება ინოვაციური პროდუქტები.

ინოვაციური საქმიანობის არასაკმარის კონიუნქტურულ კვლევებსა და ხარვეზებს იმ წარმოებათა პერსპექტივების პროგნოზირებაში, რომლებშიც ისინი გამოიყენება, მიჰყავთ საწარმოები ბაზარზე მათი პოზიციების დაკარგვამდე, მაშინ, როდესაც ინოვაციათა ღრმა შესწავლა მათი გამოყენების პერსპექტივების რეალური პროგნოზის საფუძველზე, საშუალებას აძლევს საწარმოს, დაიკავოს ბაზარზე მტკიცე პოზიციები და უზრუნველყოს დიდი მოგების მიღება.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარების პირობებში, საწარმოო ფირმების სპეციალიზებული სამსახურები სისტემატურად ადევნებენ თვალს მსოფლიოში შექმნილ სიახლეებსა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტენდენციებს წარმოების საინტერესო დარგებში, მათი კომერციული გამოყენების პერსპექტივათა განსაზღვრისათვის. ამავე საქმიანობით დაკავებულნი არიან სპეციალიზებული ფირმები და ორგანიზაციები — საინჟინრო-საკონსულტაციო კომპანიები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები და სხვ.

ამერიკული ფირმების 90%-ზე მეტი დაკავებულია ტექნოლოგიური პროგნოზირების საკითხებით, ხარჯავენ რა ამ მიზნებზე სკსსს-ზე გამოყოფილი მთელი თანხის არანაკლებ 1%-ისა. კონკრეტულ ინოვაციურ პროდუქტებზე კონიუნქტურული კვლევების ჩატარება და საწარმოს კონკრეტულ წარმოებებში მათი გამოყენების პროგნოზირება საშუალებას აძლევს მათ, განახორციელონ სხვა ფირმების მიერ შემოთავაზებული საკუთარი ინოვაციებისა და სიახლეების შედარებითი შეფასება, მიიღონ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად ინოვაციური საქმიანობის ჩატარების ან მისთვის სპეციალიზებული ფირმების მოწვევის აუცილებლობის შესახებ. ასეთი კვლევების აქტუალობა იზრდება ე.წ. მეცნიერულ-ტექნიკური ნახტომების პერიოდში, როდესაც მკვეთრად იცვლება ტრადიციული საქონლის წარმოების დანახარჯთა დინამიკა. ასეთი ნახტომი ახდენს

საქონლის ახალი სახეობების, ხერხების, ტექნოლოგიების გამოვლენის პროცესის ინტენსიფიცირებას და საწარმოო სიმძლავრეების გაფართოებასა და რეკონსტრუქციაზე მოთხოვნილებას ზრდის.

მრეწველობაგანვითარებული ქვეყნების უმსხვილესი ფირმები ხშირად იყენებენ სხვა ფირმების სიახლეებს, რაც მათ საშუალებას აძლევს, მუდმივად დაუჭირონ მხარი მსოფლიო ბაზრებზე საკუთარი საქონლის მაღალ კონკურენტუნარიანობას. ამავე დროს იაპონური კომპანიები ფართოდ ახორციელებენ ლიცენზიით შეძენილი სამეცნიერო-ტექნიკური სიახლეების ბოლომდე დამუშავებასა და დანერგვას, რაზეც ხარჯავენ სკსსს-ზე საკუთარი დანახარჯების დაახლოებით მესამედს ლიცენზიის გამცემზე უფრო სრულყოფილი პროდუქციის საწარმოებლად.

ინოვაციური საქმიანობის ობიექტთა გამოყენების პირობების ანალიზი და პროგნოზირება საშუალებას აძლევს ინოვაციური პროდუქტის მყიდველს, განსაზღვროს ახალი საწარმოების შექმნის ან მის საწარმოზე ტექნოლოგიათა რადიკალური გარდაქმნის მიზანშეწონილობა. ინოვაციური პროდუქტის შეძენის შედეგები შეიძლება აისახოს საწარმოს მთელ საქმიანობაზე, ამიტომ მისი გამოყენების პირობათა გამოვლენა დაკავშირებულია წარმოების მარკეტინგის, სპეციალიზაციისა და კოოპერირების საკითხების გადაჭრასთან.

ინოვაციური პროდუქტის ყიდვა-გაყიდვის კონიუნქტურა-წარმომქმნელ ფაქტორებს მიეკუთვნება გარიგების კომერციული პირობები, შეთანხმებით მიღებული უფლებების მოცულობა, ინოვაციური სამუშაოების განხორციელების ვადები, ტექნიკური დახმარება, უნიკალური მოწყობილობისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების საკითხები, გარანტიები და სხვ.

ბაზარზე კონკურენციის გაძლიერებასა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მივყავართ წარმოებაში შექმნადი და გამოყენებადი სიახლეების რაოდენობათა შორის გარღვევათა ზრდამდე. შემოთავაზება ინოვაციური პროდუქტის ობიექტთა გაყიდვის შესახებ შეიძლება შემოვიდეს სხვადასხვა წყაროებიდან – მრავალრიცხოვანი წვრილი ფირმებიდან, ცალკეული გამომგონებლებისაგან, რომლებსაც არ გააჩნიათ მატერიალური და ფინანსური შესაძლებლობები გამოგონებათა ბოლომდე დამუშავებისა და საწარმოო გამოყენებისთვის.

თუ ინოვაციური პროდუქტები წარმოადგენს თანმხლებს და არ შეესაბამება უმსხვილესი კომპანიების საწარმოო საქმიანობის პროფილს, ამ უკანასკნელთ შეუძლიათ, აგრეთვე, ინოვაციათა ბაზარზე მათი გასაყიდად შეთავაზება. ყველაზე ხშირად ბაზარზე აღმოჩნდება მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა ჯგუფი, რომელიც მოიცავს, ჩვეულებრივ, პატენტებით დაცულ ნიმუშებს, საფრენ დანადგარებს, ტექნოლოგიურ პროცესებს, ახალ კონსტრუქციებს. მათ ნაწილს შეადგენს ინოვაციური პროდუქტები, რომლებიც შეიქმნა კომპანიების მიერ საკუთარ წარმოებაში გამოყენებისთვის, თუმცა მოხვდა ბაზარზე კონიუნქტურის ცვლილების გამო, რაც აიძულებს საწარმოს უარი თქვას მისთვის კუთვნილი სიახლეების მონოპოლიურ (და, მაშასადამე, ყველაზე მომგებიან) გამოყენებაზე. შემთხვევათა უმრავლესობაში ინოვაციათა კომერციული რეალიზაციის მიზანშეწონილობა და მისი ეკონომიკური ეფექტიანობა დგინდება მფლობელის მიერ სხვაობათა განსაზღვრის გზით, საწარმოს შემოსავლებს შორის ინოვაციური პროდუქტის გაყიდვისას და შემოსავლების ბოლომდე მიუღებელი ოდენობისას, რომლის მიღებაც შეეძლო საწარმოს საკუთარ წარმოებაში სიახლეთა მონოპოლური რეალიზაციიდან. ეს სიდიდე ბაზარზე კონიუნქტურული ცვლილებების პირობებში ატარებს ცვლად ხასიათს.

სასაქონლო ბაზრის კონიუნქტურის გაუარესება იმ პროდუქციისთვის, რომელთა გამოშვება ხდება ინოვაციების გამოყენებით, როგორც წესი, განსაზღვრავს სიახლეთა გაყიდვის მიზანშეწონილობას. მთლიანობაში სასაქონლო ბაზარზე რეალიზაციის პრობლემის გამწვავებას მივყავართ შემოთავაზებათა რაოდენობის მატებამდე და ინოვაციათა ბაზარზე ოპერაციათა ზრდამდე. ამასთანავე, ინოვაციური საქმიანობის ცალკეულ ობიექტებს შეიძლება ჰქონდეთ კარგი მოთხოვნა, მთლიანობაში, არახელსაყრელი კონიუნქტურისას, საქონელთა და ინოვაციათა ბაზარზეც.

კომერციალიზაციის პროცესის მართვის ამოცანები იყოფა სტრატეგიულად (ინოვაციათა წინსვლის მიმართულებათა არჩევა თითოეული ეტაპის დასრულების შემდეგ, პარტნიორებისა და დაფინანსების წყაროთა ძებნა, ფინანსური უზრუნველყოფის გეგმის შემუშავება) და ტაქტიკურად (მარკეტინგი, რეკლამა, გაყიდვათა განხორციელება, ინოვაციური საკუთრების მართვა გაყიდვისას).

ინოვაციათა კომერციალიზაციის სფეროს წარმოადგენს ინოვაციური პროდუქტის შემუშავებისა და ბაზარზე გატანის ეტაპები. პირველი ეტაპი მოიცავს შემდეგ სტადიებს:

- კონცეპტუალურს, რომლის საწყისს შეადგენს ფუნდამენტური სკს, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ, დავასაბუთოთ ახალი პროდუქტის იდეა. მოცემულ სტადიაზე რეალიზდება გამოყენებითი კვლევები, საბუთდება ახალი პროდუქტის კონცეფცია და მისი ტექნიკური განხორციელებადობა;
  ტექნიკური განხორციელებადობის შემოწმებას, რაც დაკავშირებულია ახალი პროდუქტის შექმნის ტექნოლოგიის დამუშავებასთან საცდელ-კონსტრუქტორული სამუშაოების დროს. ამის შედეგს კი წარმოადგენს ახალი პროდუქტის პროტოტიპის (ნიმუშის) შექმნა;
- სამრეწველო გამოყენების შემოწმებას, რომლის დროსაც იქმნება ახალი პროდუქტის წარმოების მატერიალურ-ტექნიკური და ორგანიზაციულ-მმართველობითი პირობები, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში – ახალი საწარმო-მწარმოებელი.

მეორე სტადია – ინოვაციური პროდუქტის საბაზრო რეალიზაციის შემოწმება – ემთხვევა სასიცოცხლო ციკლის მეორე ეტაპს (ბაზარზე გატანა) და იწყება საქონლის წარმოებიდან ბაზარზე მის გატანამდე.

სხვადასხვა სტადიებზე ფინანსური სახსრების გამოყენების რისკის ხარისხი მით უფრო მაღალია, რაც უფრო შორს იმყოფება იდეა რეალიზაციიდან, მაგრამ მით უფრო მეტია სამუშაოთა ინვესტირებაზე მიღებული შემოსავლების ოდენობაც, ინოვაციათა კომერციალიზაციის საწყის სტადიებზე.

ინოვაციური პროდუქტის კომერციალიზაციის მართვის სტადიები კრიტიკულია იმასთან დაკავშირებით, რომ თითოეულ მათგანზე გადაწყვეტილების მიღება შეიძლება ბაზარზე ამ სტადიაზე მიღებული შედეგის (ინოვაციური პროდუქტის ცალკეული ობიექტის) გატანის შესახებ საქონლის სახით, რომელიც გამოდის არა საბოლოო პროდუქტის სახით, არამედ – გაფორმებულია შესაბამისი ბაზრის სტანდარტებით – იდეები, სკს შედეგები, პროექტები და ა.შ.

ცხადია, ინოვაციური პროდუქტის ყველა ობიექტს არ გააჩნია საკმარისი საფუძვლები კომერციალიზაციისათვის. ინოვაციური პროდუქტის მომხმარებლები, უპირველეს ყოვლისა, ელოდებიან

პოტენციური ეკონომიკური ეფექტის მიღებას, რომელიც მოიცავს:

- პირდაპირ ეკონომიკურ ეფექტს (შრომის მწარმოებლურობის ამაღლება, რესურსების ეკონომია, ამის შედეგად პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების შემცირება);
  ტექნიკურ ეფექტს (პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, მისი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა შიდა და საგარეო ბაზარზე, შესაძლებლობა, დააკმაყოფილოს პრინციპულად ახალი მოთხოვნილება რევოლუციური ტიპის გამოგონებათა გამოყენების შედეგად);
  სოციალურ ეფექტს, რომელიც გამოხატავს ნაწარმის ერგონომიულ პარამეტრთა, ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცების, შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენების, მათი ყოველმხრივი განვითარების პირობათა გაუმჯობესებას, აგრეთვე გამოგონებათა მიმართულებას მოსახლეობისათვის მომსახურეობისა და საქონლის წარმოების გაზრდასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე;
- საზღვარგარეთ ლიცენზიების, გამოგონებებზე დაფუძნებული სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის, კონკურენტუნარიანი პროდუქციის გაყიდვისაგან, აგრეთვე, სამამულო, არანაკლებ ეფექტური პროდუქციით იმპორტის შეცვლისაგან მიღებულ საგარეო-ეკონომიკურ ეფექტს;
- მანქანათა სისტემაში ან ერთ ობიექტზე ურთიერთშემავსებელი გამოგონებების ბლოკის გამოყენებისაგან მიღებულ სისტემურ (სინერგიულ) ეფექტს.

საბაზრო პირობებში, ინოვაციური საქმიანობა ორიენტირებულია ეკონომიკურ მიზანშეწონილობაზე, მომგებიანობაზე. სიახლის ეკონომიკური შეფასების ძირითად შედეგს წარმოადგენს ეკონომიკური ეფექტი. ეკონომიკური ეფექტი — ესაა სიახლეთა (ინოვაციათა) გამოყენებისაგან მიღებული პოტენციური მოგება.

ეკონომიკური შეფასების შედეგების მიხედვით ხორციელდება სტრატეგიული დაგეგმვა, ყალიბდება ბიზნეს-გეგმა, გაითვალისწინება საწარმოს მომავალი მოგება. ამრიგად, ეკონომიკური ეფექტი — ეს ზარალის ან მოგების ეკონომიკური შეფასების განმაზოგადებელი მაჩვენებელია.

საპროექტო ინოვაციებისას ყველაზე ხშირად გამოიყენება ტექნიკურ

გადაწყვეტილებათა რამდენიმე ვარიანტის შედარება, მოყვანილი დანახარჯების მინიმუმის განსაზღვრებიდან გამომდინარე, ფორმულით:

$$D + K \cdot S \rightarrow \min$$

სადაც, D – მიმდინარე დანახარჯები (თვითღირებულება);

K – კაპიტალური დაბანდებები;

S - შედარებითი ეფექტიანობის ნორმატიული კოეფიციენტი.

ინოვაცია-პროდუქტის წინასწარი თვითღირებულებისა და ფასის გამოანგარიშება მისი წარმოების შესაძლებლობის შესახებ საკითხის გადაჭრის სტადიაზე შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ვარიანტებით:

- საანგარიშო პერიოდზე ერთი ნორმა-საათის ჩამოყალიბებული ღირებულების მიხედვით;
- გარკვეულ პერიოდში ჩამოყალიბებული თვითღირებულების შემადგენელი ცალკეული ნაწილების დადგენილი თანაფარდობით.

ახალი ნაწარმის სრული თვითღირებულება გამოიანგარიშება, როგორც მიმდინარე დანახარჯების ოდენობა პროდუქციის წარმოებაზე, მოქმედი საკანონმდებლო აქტების თანახმად თვითღირებულებაში შემავალი აუცილებელი გადარიცხვებისა და ზოგადი საწარმოო და არასაწარმოო ხარჯების ოდენობა. ეკონომიკურ შეფასებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ახალი ნაწარმის ფასში საჭირო მოგების არსებობას. გარკვეულ პერიოდში, ახალი პროდუქტის წარმოებიდან (M) დამატებითი მოგება განისაზღვრება, როგორც სხვაობა პირველი წლის წარმოების თვითღირებულებასა (G_1) და შესაბამისი პერიოდის ფაქტურ თვითღირებულებას (G) შორის, ახალი ნაწარმის რეალიზაციის მოცულობის (W) მიხედვით, ე.ი. ფორმულით:

$$M = (G_1 - G) \cdot W$$

ახალი ნაწარმის წარმოებიდან მიღებული წინასწარი ეკონომიკური ეფექტი (E) ყველაზე ხშირად განისაზღვრება ფორმულით:

$$E = (L_ჯ - J) \cdot U$$

სადაც: $L_ჯ$ - ახალი ნაწარმის წინასწარი პროექტირებადი ფასია;

J - ახალი ნაწარმის წინასწარ პროექტირებადი თვითღირებულებაა;

U - ახალი ნაწარმის წარმოების (გამოშვების) წინასწარ დაგეგმილი მოცულობაა.

ახალი ნაწარმის წარმოების მოცულობა დამოკიდებულია

ხელშეკრულებაზე ამ ნაწარმის შემკვეთთან, ან გასაღების ბაზარზე ამ ნაწარმის შემოთავაზებისა და მოთხოვნის მდგომარეობაზე.

ინოვაციური პროდუქტის მომხმარებელს აუცილებლად სჭირდება იმის გამოვლენა, თუ რა დაუჯდება მას სიახლეთა არა მარტო შეძენა, არამედ გამოყენებაც. სასარგებლო ეფექტის ერთეულზე ინოვაციური პროდუქტის ფასის შემცირებაზე გავლენას ახდენენ ინოვაციური პროდუქტის გამოყენებისას შესრულებული სამუშაოების ერთეულის, ან მისი პარამეტრის (ფუნქციის) ერთეულის ღირებულების კუთრი შემცირება; ანალოგიურებთან შედარებით სიახლეთა დანერგვაზე კაპიტალურ დაბანდებათა შემცირება, რომლებიც საჭიროა ბაზისური ტექნოლოგიების მუშა მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის, აგრეთვე ინოვაციათა მომსახურეობაზე მიმდინარე ხარჯების შემცირება ბაზისური ტექნიკის ფუნქციონირებაზე დაბახარჯების მიმართ.

საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციათა ბაზრის ფორმირების გარეშე, ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის პრობლემის გადაჭრა არ შეიძლება მრეწველობის მსხვილ საწარმოებში მნიშვნელოვანი თავისუფალი სიმძლავრეების არსებობის, მათში წარმოების ნამატის მიუხედავად, მოთხოვნის სახელმწიფო სტიმულირების პოლიტიკის ჩატარებისას, სპეციალური საბაზრო შეღავათების შეთავაზებითა და სოციალური გადასახადების გაზრდით.

ახალი ბაზრის ათვისება ახალი საქონლის (მომსახურების) წარმოების შედეგად, მათზე კონტროლის დადგენა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, დავაწესოთ, მონოპოლიურად მაღალი ფასები და მივიღოთ მონოპოლიურად მაღალი მოგება, რაც მოითხოვს დიდ დანახარჯებს მსხვილი საწარმოებისთვის. ერთი პროდუქტის სწრაფი ცვლა მეორეთი მოითხოვს დიდ ფინანსურ სახსრებს მასობრივი წარმოების პირობებში. ამიტომ ახალი პროდუქციის წარმოების ათვისება ხშირად ხორციელდება წვრილი და საშუალო მეწარმეების მიერ, რომლებიც მიისწრაფვიან ახალ ნაწარმთა კომერციალიზაციის ხარჯზე ბაზრის გარკვეული წილის მიღებისაკენ, რადგან საყოველთაო ტენდენციას წარმოადგენს ის, რომ სიახლეთა რაოდენობის შეფარდება დანახარჯებისადმი სამეცნიერო კვლევებზე მცირე და საშუალო ფირმებში 3-4-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე მსხვილ ფირმებში. ხშირად სიახლეები, რომლებსაც იყენებენ მსხვილი საწარმოები, არის წვრილი და საშუალო და, მათ შორის, ვენჩურული, ინჟინირინგული და

დამნერგავი ფირმების ინოვაციური საქმიანობის შედეგი. ვენჩურული საქმიანობის შედეგს წარმოადგენს ისეთი პროდუქტები, როგორიცაა: ცელოფანი, ბურთულებიანი ავტოკალამი, ვერტმფრენი, ტურბორეაქტიული ძრავი, კინესკოპი, ინსულინი, ფერადი ფოტოგადაღება და ფოტობეჭდვა, მიკროპროცესორი და სხვ.

პროგრესი ტექნოლოგიურ საფუძველზე მცირე მეწარმეობის ინვესტირება მოითხოვს ნაკლებ რესურსებს კერძო კაპიტალის მოზიდვის გათვალისწინებით და ახალი სამამულო ტექნოლოგიების დანერგვაზე ამ სუბიექტთა გადაჭარბებული ორიენტაციით. პრიორიტეტული თანმიმდევრობით მიზანშეწონილია მცირე მეწარმეობის განვითარების სტიმულირება წარმოებაში დასანერგად მომზადებული იმ ტექნოლოგიების სამოქალაქო გამოყენების დარგში, რომლებიც შემუშავებულია თავდაცვით საწარმოებში.

საქართველოში ჩამოყალიბებად ინოვაციათა ბაზარს გააჩნია რიგი თავისებურებები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკის კრიზისულ მდგომარეობასთან კარდინალური საბაზრო გარდაქმნის განხორციელების პერიოდში. მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ის, რომ:

- მეცნიერულ-ტექნიკურმა სფერომ ჩამოაყალიბა გასული წლების დამუშავებული სკისს საკმაო მარაგი, მაგრამ მომხმარებელ-შემკვეთებს მათი რეალიზაციისათვის და ახალი კვლევებისა და შემუშავების ჩატარებისათვის არა აქვთ საკმარისი სახსრები;
- ინოვაციური ბაზარი შედგება არა თვით პროდუქციისაგან, არამედ ორგანიზაციების, კოლექტივების, ცალკეული სპეციალისტების ნაკრებისაგან, რომლებსაც პოტენციურად შესწევთ ინოვაციური საქმიანობის განხორციელების უნარი;
- ამჟამად ინოვაციურ ორგანიზაციებს უმრავლეს შემთხვევაში არ შეუძლიათ განახორციელონ საინიციატივო სამუშაოები, ვენჩურული კაპიტალის ორგანიზაციათა გარედან მოზიდული სახსრების ხარჯზე.

საქართველოში ჩამოყალიბდა ძალზე სპეციფიკური სიტუაცია, რომელიც არ ჰგავს მსოფლიოში არსებულ სიტუაციას, დაგროვების დარგში: სავაჭრო, საბანკო და სადაზღვეო სექტორებში აკუმულირებული კაპიტალი არ შედის საწარმოო და ინოვაციურ სფეროში. საჭიროა, რომ უახლოეს წლებში ეს კაპიტალი იქცეს ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების სერიულ წყაროდ.

ინოვაციური პროდუქტის მწარმოებლებისა და მომხმარებლების პროდუქტიული ურთიერთობისთვის საჭიროა ინოვაციური საქმიანობის კომერციალიზაციის სუბიექტთა ერთობლივი ინტერესების მდგრადი მაკროსტრუქტურული დარგის ჩამოყალიბება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის საშუალებით, რომელიც ასტიმულირებს ინოვაციური საქმიანობის სუბიექტთა, ინვესტორების ინტერესთა დაახლოებას და განსაზღვრავს მართვადი სუბიექტების საბაზრო მოთხოვნას.

საქართველოს სიტუაციურ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ინოვაციური ბაზარი ქვეყანაში მხოლოდ ყალიბდება, თანაც კომერციალიზაციისათვის არსებულ სიახლეთა უმრავლესობის შესახებ მომხმარებელს არა აქვს წარმოდგენა და არ არის მზად ჩამოაყალიბოს მოთხოვნა. ინფრასტრუქტურულმა ცვლილებებმა, რომლებიც გამოწვეულია სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციით, არ შეიძლება დააჩქარონ ბაზარზე ინოვაციათა კომერციალიზაციის პროცესი.

სკსსს შესრულება რჩება, აგრეთვე, სამრეწველო საწარმოებზე ინოვაციური საქმიანობის გავრცელებულ სახედ. ისინი ხორციელდებოდა ინოვაციურად აქტიური საწარმოების ნახევარში, უპირველეს ყოვლისა, ტრადიციულად განვითარებული სამეცნიერო პოტენციალის მქონე დარგებში (ქიმიურ მრეწველობაში, მეტალურგიაში, მანქანათმშენებლობაში). თუმცა მრეწველობის საერთო მასშტაბების ფონზე, იმ საწარმოთა რაოდენობა, რომლებიც ასრულებენ სკსსს, მეტისმეტად უმნიშვნელოა და აღწევს მათი საერთო რაოდენობის 3-4%-ს. მოწინავე ინდუსტრიული ქვეყნების პრაქტიკისაგან განსხვავებით, საქარხნო მეცნიერება საქართველოში რჩება ადგილობრივი მეცნიერების ყველაზე სუსტ სექტორად.

დარგებისათვის, რომელთა პროდუქცია კონკურენტუნარიანია შიდა ბაზარზე და იმყოფება უფრო უკეთეს ფინანსურ მდგომარეობაში, ვიდრე სხვები, დამახასიათებელია საწარმოთა მაღალი წილი, რომლებიც ჩაბმულნი არიან ტექნოლოგიათა მიღებასა და გადაცემაში. მაღალი შიდადარგობრივი აქტივობა შეინიშნება მომპოვებელ, ქიმიურ, ნავთობგადამამუშავებელ, აგრეთვე, — კვების მრეწველობის დარგებში.

ისეთ დარგებში, როგორებიცაა კვების პროდუქტების წარმოება, ქიმიური მრეწველობა, ახალ ტექნოლოგიათა შეძენაში საწარმოთა

აქტივობა, აღემატება მრეწველობის მიხედვით საშუალო დონეს.

სხვა დარგების მართვადი სუბიექტებისათვის ტექნოლოგიათა გადაცემის პროცესში, მანქანათმშენებელი საწარმოების აქტივობის მიუხედავად, თვით მანქანათმშენებელ საწარმოებს არ გააჩნიათ სახსრები ტექნოლოგიათა შესაძენად აუცილებელ მოცულობებში. ახალ ტექნოლოგიათა შეძენაში მონაწილე ამ დარგის საწარმოთა წილი არ აღემატება 5%-ს.

ნასესხები ტექნოლოგიების საფუძველს (70%-ზე მეტი) შეადგენენ ადგილობრივი ტექნოლოგიები. უცხოური ტექნოლოგიები საქართველოში ძირითადად შემოდის შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (იმპორტირებადი ტექნოლოგიების ორი მესამედი). ტექნოლოგიათა იმპორტში ყველაზე მეტ აქტივობას იჩენს ექსპორტ-ორიენტირებული დარგები, აგრეთვე დარგები, რომლებიც დაკავშირებულია არიან სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებასთან. ინოვაციათა შეძენის ყველაზე გავრცელებულ ფორმებს წარმოადგენს: მოწყობილობის შესყიდვა და სკსსს შედეგების გამოყენება, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთა (ლიცენზიების, სამრეწველო ნიმუშების, სასარგებლო მოდელების. ნოუ-ჰაუ და ხელშეკრულებათა ტექნოლოგიათა გადაცემაზე) შესყიდვა.

ინოვაციათა ბაზრის გამოვლენილი თავისებურებები უნდა გავითვალისწინოთ სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის შემუშავებისას. მაკროინოვაციურ (საერთო) ღონისძიებათა რიცხვს მიეკუთვნება სახელმწიფოს მონაწილეობა ინოვაციაზე მოთხოვნის ჩამოყალიბებაში. პრიორიტეტულ ტექნოლოგიათა დარგში მოთხოვნის ინიციაციის მაგალითს წარმოადგენს სილიკონის ველი, რომელიც გაჩნდა ნახევარგამტარების დარგში შემუშავებაზე, ხოლო შემდეგ ნახევარგამტარი მრეწველობის პროდუქციაზე აშშ თავდაცვის სამინისტროს შეკვეთის შედეგად. შემდეგ თავდაცვითმა ტექნოლოგიებმა გამოყენება ჰპოვა სამოქალაქო სფეროში.

კერძო ღონისძიებებს მიეკუთვნება სკსსს ცალკეული სფეროების, წარმოებებისა და პროდუქტების სახელმწიფო მხარდაჭერა. სახელმწოფოს ფუნქციები დაკავშირებულია სიახლეთა დიფუზიისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნასთან. ბაზრის მიერ ინოვაციური პროდუქტის აღიარებისას, სახელმწიფო უნდა მიისწრაფვოდეს კონკურენტული გარემოს შექმნისკენ,

ასტიმულირებდეს შემავსებელი ინოვაციების გამოვლენას. პროდუქტის მოძველებისას და ეფექტიანობის შემცირებისას სახელმწიფომ უნდა განდევნოს მისი წარმოება ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რათა გამოათავისუფლოს რესურსები ახალი პროდუქტების საწარმოებლად.

მაშასადამე, ინოვაციური პროდუქტის შექმნის ადრეულ სტადიებზე მაღალი დანახარჯების კომპენსაციის გარდა, ინოვაციათა ბაზარზე სახელმწიფოს ქცევის სტრატეგია გულისხმობს შემდეგი მოთხოვნების რეალიზაციას, ინოვაციათა ეფექტიანობის მიხედვით:

- ბაზარზე გასვლის სტადიაზე ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- ინოვაციათა მასობრივი გავრცელების პერიოდში კონკურენტული პირობებისა და საექსპორტო ორიენტაციის ჩამოყალიბება;
- შიდა ბაზრიდან მოძველებული ტექნოლოგიებისა და პროდუქტების განდევნა და რესურსების გადანაწილება.

ინოვაციათა ბაზრის განვითარების ხასიათი მჭიდროდაა დაკავშირებული კონკურენტუნარიანობის სტადიასთან, რომელშიც იმყოფება ქვეყანა. კონკურენტუნარიანობის სხვადასხვა სტადიებისათვის იმანენტურია ექსპორტ-იმპორტის ოპერაციათა სხვადასხვა წილი პროდუქტებისა და ტექნოლოგიურ ნაკადთა სფეროში. წარმოების ფაქტორთა სტადია ხასიათდება ტექნოლოგიებისა და პროდუქტების იმპორტით. ამ სტადიაზე ძირითად ამოცანას წარმოადგენს პროდუქტების ექსპლუატაციის პროცესთა ათვისება. შემდეგ სტადიაზე, იმპორტულ ტექნოლოგიათა საფუძველზე, საქონელთა იმპორტთან ერთად ხორციელდება პროდუქტების დამოკიდებული წარმოება. ნაწარმის ხარისხის ამაღლებისა და საწარმოო გამოცდილების შეძენის მიხედვით ხორციელდება მათი ექსპორტი. ინვესტიციათა სტადია დაკავშირებულია ქვეყნის უნართან, დამოუკიდებლად შეიმუშაოს ტექნოლოგიები შიდა გამოყენებისთვის. სიახლეთა სტადიაში ქვეყანა შედის, შეუდგება რა ტექნოლოგიათა ექსპორტსა და საქონელთა წარმოების სხვა ქვეყნებში გადატანას იმისათვის, რომ გადაანაწილოს შიდა რესურსები უფრო მაღალი ტექნოლოგიური ყაიდის საქონელთა დამზადებისათვის. მაკროტექნოლოგია მოიცავს მთელი ტექნოლოგიური პროცესების (სკს, სსს, წარმოების მომზადება, წარმოება, გასაღება და პროექტის სერვისული მხარდაჭერა) ერთობლიობას მოცემული პარამეტრების მქონე გარკვეული სახის პროდუქციის შექმნის თაობაზე. სინგაპურის, ტაივანის, ჰონკონგის სწრაფი ეკონომიკური განვითარება

დაკავშირებულია იმასთან, რომ ამ ქვეყნებში დაინერგა 1-2 მაკროტექნოლოგია. ასე, მაგალითად, სინგაპურის მიერ მხოლოდ ერთი მაკროტექნოლოგიის – მიკროელექტრონიკის გამოყენებას ამ ქვეყნისთვის მოაქვს 7 მლრდ. დოლარი ყოველწლიურად. 46 მაკროტექნოლოგიიდან, რომლებსაც ფლობენ დიდი „შვიდეულის" ქვეყნები, აშშ-ის წილად მოდის 22, რომლის მიხედვითაც ისინი ინარჩუნებენ ლიდერობას, გერმანიის წილად – 10-მდე, იაპონიაზე – 7, ინგლისსა და საფრანგეთზე – 5-მდე, იტალიასა და კანადაზე – 1-2. მეცნიერებატევადი პროდუქციის წილის გაზრდას მივყავართ შრომის ანაზღაურების ზრდამდე საქონლის ღირებულებაში, მაშასადამე – ქვეყნის შიგნით გადახდისუნარიანი მოთხოვნის ზრდამდე. იმასთან დაკავშირებით, რომ სამრეწველო წარმოებისათვის კონიუნქტურა ჯერ კიდევ დაბალია, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოების ორიენტირება ექსპორტზე. კონკურენტუნარიან მაკროტექნოლოგიათა ათვისებისა და გაზრდის მექანიზმი გულისხმობს ქვეყანაში კრიტიკულ ტექნოლოგიათა ჩამოყალიბებას, რომელთა არარსებობა მაკროტექნოლოგიის რეალიზების საშუალებას არ გვაძლევს. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა ორი მიდგომა კრიტიკულ ტექნოლოგიათა ჩამოყალიბებისადმი. თუ ქვეყანას უკვე დაკავებული აქვს მეცნიერებატევადი პროდუქციის ბაზრის მდგრადი სეგმენტი, მაშინ სახელმწიფო, ჩვეულებრივ, ეხმარება საწარმოებს, შეინარჩუნონ ეს ნიშა. სამეცნიერო ფირმებისა და ორგანიზაციების გამოკითხვის შედეგად ხელმისაწვდომი ხდება ინფორმაცია, რომელიც პრიორიტეტების განსაზღვრის საფუძველს ქმნის, რომელთა მიხედვითაც სახელმწიფო მხარს უჭერს საწარმოებს. უკანასკნელნი მიუთითებენ, თუ რომელი ტექნოლოგიები ითამაშებენ მრეწველობაში მოწინავე როლს შემდგომ 5-10 წელიწადში. იმ ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც კრიტიკული ტექნოლოგიების შესახებ პროგნოზის ფორმირება ხდება „ქვევიდან", იაპონიაში თავდაპირველად ახორციელებენ ახალი ტექნოლოგიების პროგნოზს, რომელიც უზრუნველყოფს ახალი პროდუქციის გასვლას შიდა და საგარეო ბაზრებზე. ჩვენი აზრით, საქართველოში სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა განისაზღვროს პროდუქციის კონკრეტული სახეები და მათი საშუალებით გამოვლინდეს კრიტიკულ ტექნოლოგიათა ჩამონათვალი.

თავი IV. ფინანსები ინოვაციურ საქმიანობაში

4.1. ინოვაციური საქმიანობის დაფინანსება

ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების სისტემა შედგება იერარქიული თანადაქვემდებარებისა და სპეციფიკური ფუნქციური თავისებურებების მქონე ურთიერთდაკავშირებული ელემენტებისგან. აღნიშნული სისტემა მოიცავს:

- ინოვაციური საქმიანობის განხორციელებისთვის ფინანსური სახსრების მოზიდვის წყაროებს (დაფინანსების პროცესი);
- სხვადასხვა წყაროებიდან მოზიდული სახსრების აკუმულაციის მექანიზმს; სამობილიზაციო კაპიტალის დაბანდების პოლიტიკას (პრინციპები და პროცედურები);
- ინვესტიციებზე კონტროლის მექანიზმს;
- ინოვაციურ პროცესებში ავანსირებული სახსრების დაბრუნების მექანიზმს.

ინოვაციური საქმიანობის მომსახურე ფინანსური სისტემის ელემენტებს წარმოადგენს ფულადი სახსრების მიწოდების ფინანსური წყაროები, რომლებიც მოქმედებაში მოჰყავს მათი აკუმულაციის მექანიზმებს და, რომლებიც ჩადებულია ინოვაციურ პროექტებსა და პროგრამებში, აგრეთვე, მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს ინვესტიციების გამოყენებაზე კონტროლს, მათ მოზიდვას და ინოვაციურ საქმიანობაში მოზიდული კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის შეფასებას.

ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების ორგანიზაციის განმასხვავებელ თავისებურებებს (მათი მიზნობრივი ორიენტაციის გარდა) წარმოადგენს დაფინანსების წყაროების სიმრავლე, რომლებიც უზრუნველყოფს ინოვაციური პროცესისა და მისი სხვადასხვა სუბიექტების მრავალფეროვანი მიმართულებების დაფინანსების კომპლექსურობას და გარემოს დინამიკურად ცვლად პირობებთან მოქნილად შეგუების შესაძლებლობას ფინანსური რესურსების გამოყენების მაქსიმალური ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით. ინოვაციური პროექტების რეალიზაციიდან ფინანსური უკუგების ზრდა მიიჩნევა უმთავრეს განმაზოგადებელ მაჩვენებლად, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება ინოვაციური საქმიანობის საბოლოო

შედეგები და ფინანსური პოლიტიკის ქმედითობა, რომელთა რეალიზაციას ახდენენ თვით სამეურნეო სუბიექტები და კომპლექსური ეკონომიკური სუბიექტი — სახელმწიფო.

ფინანსური უზრუნველყოფის არსი აისახება კვლავწარმოების, განაწილებისა და კონტროლის შეფარდების ხედვიდან გამომდინარე, ფინანსური სფეროების ინოვაციურზე ზემოქმედების ფუნქციურ მიმართულებებში.

ფინანსური უზრუნველყოფის კვლავწარმოების ფუნქცია რეალიზებას უკეთებს ვენჩურული კაპიტალის ბრუნვის ყველა სტადიაზე, მისი მარტივი და გაფართოებული აღწარმოების პროცესში, მატერიალური და ფინანსური რესურსების ბალანსირების პრინციპს. ფინანსური უზრუნველყოფის კვლავწარმოების ფუნქცია გამოიხატება ინოვაციური ინვესტიციების წრებრუნვაში.

ფინანსური რესურსები განაპირობებს ინოვაციური კაპიტალის მოძრაობას ინოვაციური ინვესტიციების წრიული ბრუნვის ყველა სტადიაზე (სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქტების შეძენა; კაპიტალური ქონების ზრდა; ინოვაციური კაპიტალის ბრუნვის წარმოებითი, სავაჭრო და ფულადი ფაზა). ამრიგად, ფინანსური რესურსები, ინოვაციურ ბაზარზე ჩამოყალიბებული ფულადი კონიუნქტურიდან გამომდინარე, ზრდიან ან ანელებენ ინოვაციური საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში ინვესტიციების გადანაცვლების სიჩქარეს.

ფინანსური უზრუნველყოფის გამანაწილებელი ფუნქცია, კაპიტალის სტრუქტურის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, მდგომარეობს ფულადი რესურსების ფონდების ფორმირებაში და გამოყენებაში, როგორც მაკრო-, მეზო- და მიკროდონეებზე სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის თვალსაზრისით, ასევე ინოვაციური საქმიანობის სუბიექტის ფინანსურ სახსრებში გამოყენების თვალსაზრისით. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ინოვაციური კაპიტალის წარმოქმნა ხდება ვენჩურული დაფინანსების ორგანიზაციებში და უნივერსალური დაფინანსების სხვა სტრუქტურებში.

საკონტროლო ფუნქცია მდგომარეობს ინოვაციურ სფეროში რეალურ ფულად ბრუნვაზე ფინანსური მონიტორინგის განხორციელებაში და რეალიზდება ინოვაციების შექმნის პირობებზე, მათ ფინანსირებაზე, ფინანსური მაჩვენებლების ცვლილებებზე, ინოვაციური საწარმოს და შემკვეთების გადახდისუნარიანობისა და

ანგარიშსწორების მდგომარეობაზე კონტროლის ფორმით.

ფინანსური მონიტორინგი:

- ავლენს შეფარდებას ფულადი სახსრების სტრუქტურულ ფონდებსა და ინოვაციური საქმიანობის დაგეგმილ მიზნებს შორის;
- ახდენს ინოვატორის შემოსავლებსა და გასავლებს შორის შეუსაბამობის კორექტირებას;
- საზღვრავს არაეფექტურ სფეროში დაფინანსების შეჩერების და ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების ახალი მიმართულებების აღმოჩენის შესაძლებლობებს.

ფინანსური უზრუნველყოფა — ესაა კაპიტალის მოზიდვის, განაწილებისა და გამოყენების მიმართულებით საქმიანობა, აგრეთვე მათი მართვა სარისკო კაპიტალის ბაზარზე. ინოვაციური კაპიტალი, როგორც ინოვაციური სფეროს შემადგენელი ნაწილი, აშუალებს ინოვაციური საქმიანობის თითოეულ ეტაპს. ეროვნული კაპიტალი, რომელიც ემსახურება ინოვაციურ საქმიანობას, ყველაზე მნიშვნელოვან თვითმყოფად შემადგენელ ნაწილებს აერთიანებს, ესენია: სახელმწიფო კაპიტალი, სასესხო კაპიტალი, ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში, ვენჩურული კაპიტალი, უცხოური კაპიტალი, აგრეთვე სამეურნეო სუბიექტების საკუთარი კაპიტალი.

კაპიტალის ფორმირების პროცესმა, რომელიც რეალურად მიმართულია ინოვაციური საქმიანობისკენ, ეკონომიკური რეფორმების განმავლობაში განიცადა საკმაოდ მნიშვნელოვანი ხარისხობრივი და რაოდენობრივი ცვლილებები.

კაპიტალი, რომელიც მიმართულია ინოვაციისკენ, ვლინდება ინვესტიციების კონკრეტულ ფორმებში, რომელთა სისტემატიზაცია შესაძლებელია შემდეგი მახასიათებლებით:

- ინოვაციურ საქმიანობაზე კონტროლის დაფუძნებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით: პირდაპირი (ნოვაციის წარმოებაში ფინანსური, ინტელექტუალური და სხვა ალტერნატიული სახსრების უშუალო ჩადება ან რეალური აქტივების შეძენა); პორტფელური (შეძენილი ფასიანი ქაღალდები) ან მოწოდებული სახსრები კრედიტების სახით;
- ინვესტირების სახეების მიხედვით: ფინანსური ინვესტიციები ან ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების (მიზნობრივი

ანაბრები, ბრუნვადი საშუალებები, ფასიანი ქაღალდები, წილები, სესხები და ა.შ.) ჩადება, ინტელექტუალური ინვესტიციები, ქონებრივი უფლებები;

- საკუთრების ფორმების მიხედვით: სახელმწიფო, მუნიციპალური, კერძო, შერეული;
- ღია ეკონომიკური სისტემისადმი დამოკიდებულების მიხედვით: რეზიდენტული; არარეზიდენტული.
- ფინანსური უზრუნველყოფის ალტერნატიული საშუალებების მიხედვით: ვენჩურული, ლიზინგური, ფაქტორინგული, ერთობლივ-წილობრივი.

ინოვაციებში ინვესტიციების ძირითადი წყაროები:

- დაფინანსების საკუთარი საშუალებები, სხვა სახის აქტივები (ძირითადი ფონდები, მიწის ნაკვეთები, სამრეწველო საკუთრება და ა.შ.) და მოზიდული საშუალებები;
- ასიგნება ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან;
- უცხოური ინვესტიციები, რომლებიც წარმოდგენილია საწესდებო კაპიტალში ფინანსური ან სხვა სახის მონაწილეობის ფორმით;
- კომერციული ბანკებისა და უცხოური ინვესტორების, მათ შორის, (უკან დაბრუნების საფუძველზე), სახელმწიფო კრედიტები.

ინოვაციურ სფეროში ინვესტიციების მასშტაბები განსხვავებულია ციკლის სხვადასხვა ფაზაში. საბაზისო ინვესტიციების ათვისება, რაც მოითხოვს მსხვილ და გრძელვადიან პერიოდში დაფარვად ინვესტიციებს, მიმდინარეობს კრიზისიდან გამოსვლისა და გამოცოცხლების პერიოდში. რადგანაც კრიზისის პერიოდში ინოვაციებისადმი და დაგროვებისადმი მოდრეკილება შესუსტებულია, სახელმწიფო უშუალოდ (საბიუჯეტო დაბანდებების საფუძველზე) და ირიბად (ეკონომიკური შეღავათების მინიჭების გზით) ხელს უწყობს ინოვაციურ აქტიურობას, ახდენს რა ეკონომიკის გამოცოცხლებას და მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდას. აღმავლობისა და სტაბილური განვითარების ფაზებში სახელმწიფო მხარდაჭერის მასშტაბები მცირდება, ხოლო თვითონ ინოვაციური პროცესი ხორციელდება კონკურენტულ საფუძვლებზე. ამ პერიოდში ჭარბობს გამაუმჯობესებელი ინოვაციები, რომლებიც მოითხოვს ნაკლებ

ინვესტიციებს და დაკავშირებულნი არ არიან ისეთ მნიშვნელოვან რისკთან, როგორც ბაზისური ინოვაციების შემთხვევებში. ეს შესაძლებლობას იძლევა შემცირდეს ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერის მასშტაბებიც. კრიზისის ფაზაში, როდესაც ვითარდებიან ფსევდოინოვაციები, რომლებიც არ მოითხოვენ მნიშვნელოვან გაუმჯობესებებს, ინოვაციურ-ინვესტიციური აქტიურობის დონე მინიმალურია.

შესაბამისად, წარმოდგენილი მიზნებით და ფორმებით, სარისკო ფულადი კაპიტალის მოძრაობით განპირობებული ინოვაციური საქმიანობა შეიძლება დახასიათდეს შემდეგნაირად:

1. ინოვაციურ პროცესში არსებობს ავანსირებული კაპიტალის დაკარგვის რისკი, რაც განპირობებულია შესაძლო მცდარი იდეებით, რომლებიც წარმოადგენს ინოვაციური პროექტის საფუძველს, შემოქმედებითი პროცესის წინასწარ გაუთვალისწინებელი შედეგების არსებობით; მისი ტექნიკური რეალიზაციის სიძნელეებით; სიახლის გამოჩენაზე ბაზრის გაუთვალისწინებელი რეაქციებით და სხვ.;
2. ინოვაციური საქმიანობა ხასიათდება დროებითი ლაგით ინოვაციაში ფინანსური სახსრების ავანსირების მომენტიდან, მათგან კომერციული პასუხის მიღების მომენტამდე;
3. ინოვაციური საქმიანობის შედეგების მნიშვნელოვანი გაურკვეველობა არ უზრუნველყოფს ნასესხები სახსრების ანაზღაურების გარანტირებულ ხასიათს, რაც ზრდის კრედიტის „ფასს“, ან აძლევს სესხის გამცემებს ინოვაციის თანაფლობის უფლებას; თვითონ ნასესხები სახსრების შემოსვლა ინოვაციურ სფეროში შესაძლებელია, თუკი შექმნის პროცესში მყოფი ინოვაციის კომერციული გამოყენება იქნება უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე კაპიტალის ჩადების ალტერნატიული სფეროების შემოსავლები;
4. ინვესტირების სუბიექტების ცვალებადობა და მრავალფეროვნება (სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, კორპორაციების ფინანსები, ბანკები, სპეციალური დანიშნულების საინვესტიციო ფონდები, უცხოური ინვესტორები და სხვ.) იწვევს კაპიტალის მიწოდების ფორმებისა და პირობების მრავალფეროვნებას. ცნება „სარისკო კაპიტალი“ ყველაზე

ადეკვატურად გამოხატავს ინოვაციურ სფეროში ფულადი სახსრების გამოყენების ხასიათს, ინოვაციური ციკლის სხვადასხვა ეტაპებს შორის კავშირის ხასიათს. ინოვაციებში ინვესტიციების რისკის ხარისხი მერყეობს მათი საბოლოო შედეგის განუსაზღვრელობის ხარისხის მიხედვით. აღნიშნული გარემოებები, აგრეთვე საკუთარი სახსრების უკმარისობა, იძულებულს ხდის მეწარმეს, გამოიყენოს ინოვაციების დაფინანსების საკრედიტო ფორმები. საბანკო კრედიტირებისგან დაფინანსების სარისკო (ვენჩურული) მექანიზმის განმასხვავებელ თავისებურებებს მიეკუთვნება ის, რომ სარისკო კაპიტალდაბანდების დროს კრედიტის მიცემა ხდება პერსპექტიული იდეის გამო და ვერ იქნება მისი აუცილებლად დაფარვის გარანტიები ფირმის ქონების, ფონდების ან სხვა აქტივების ხარჯზე; სხვა სიტყვებით, ნავარაუდევია დაბანდებული საშუალებების დაკარგვის შესაძლებლობა, თუკი ინოვაციური პროექტი რეალიზაციის შემდეგ არ მოიტანს მოსალოდნელ შედეგებს.

ვენჩურული (სარისკო) კაპიტალი არის ფული, რომელიც ჩადებულია ახალ საწარმოში ვალდებულებითი პასუხისმგებლობის ან ჩვეულებრივი აქციების სახით. აღნიშნული კაპიტალი არ რეგისტრირდება მრავალი წლის განმავლობაში, რამეთუ არ შეიძლება ვალდებულებითი პასუხისმგებლობის (ჩვეულებრივი აქციების) გაყიდვა, სანამ დარეგისტრირებული არ არის მათი გამოშვება, ე.ი. რამდენიმე წლის განმავლობაში არ შეიძლება მათი ლიკვიდაცია.

ამრიგად, ვენჩურული ინვესტიციები — ეს არის სარისკო კაპიტალი, რომელიც მიმართულია სწრაფად ზრდადი ფირმების განვითარებისკენ, რომლებიც ყალიბდება კომერციულად პერსპექტიული სამეწარმეო პროექტის რეალიზაციის პროცესში. ვენჩურულ კაპიტალს არ გააჩნია შემოსავლის მიღების გარანტია ფიქსირებული პროცენტის, აგრეთვე ინვესტორისათვის მისი დაბრუნების ან გირაოს სახით.

პირველად ვენჩურული კაპიტალის ინსტიტუტიზაცია მოხდა აშშ-ში 1946 წელს, როდესაც ბოსტონში ჩამოყალიბებულმა გამოკვლევებისა და დამუშავების ამერიკულმა კორპორაციამ დაფინანსა ფირმა „დეკ“-ი, რომელიც შემდგომში გახდა გამოთვლითი ტექნიკის ერთ-ერთი დიდი მწარმოებელი. 1958 წელს შემოღებულმა კანონმა მცირე

საინვესტიციო კომპანიების შესახებ საშუალება მისცა შერწყმულიყო სახელმწიფო სახსრები და კერძო კაპიტალი, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელი გახადა პროფესიულად მართვადი მცირე კომპანიების აღნიშნული სახსრების მცირე საწარმოების ჩამოყალიბების მიზნით გამოყენება.

60-იანი წლების ბოლოს ჩნდებიან მცირე კერძო ვენჩურული ფირმები, რომელთა ჩამოყალიბება მოხდა შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობების სახით. ვენჩურული კომპანია ხდებოდა მის მიერ ფინანსირებადი ინვესტიციური საწარმოს მთავარი პარტნიორი და ღებულობდა ანაზღაურებას გაწეული სამუშაოსადმი და მოგების განსაზღვრულ პროცენტს. ვენჩურულ კომპანიებს ფინანსურ სახსრებს აწვდიდნენ შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორები — სადაზღვეო კომპანიები, საქველმოქმედო და საპენსიო ფონდები.

ამჟამად აშშ-ში ფუნქციონირებს 600-მდე დამოუკიდებელი ფონდი, რომელიც ახორციელებს ვენჩურულ დაფინანსებას და ყოველწლიურად მცირე საწარმოებს აძლევს 4-4,5 მლრდ. დოლარს.

60-იან წლებში მსხვილ ამერიკულ კორპორაციებში დაიწყეს გამოჩენა ვენჩურული კაპიტალის განყოფილებებმა, რომლებიც ფუნქციონირებდნენ როგორც ბანკებთან და სადაზღვეო კომპანიებთან დაკავშირებული ფირმები და კორპორაციებისთვის აფინანსებდნენ საქმიანობის ახალი სფეროების ტექნიკურ პროექტებს. ვენჩურული დაფინანსების სხვა ტიპის ფირმები გახდნენ შტატების მიერ ხელშეწყობილი ვენჩურული კაპიტალის ფონდები, რომლებიც იღებდნენ პასუხისმგებლობას, ჩაედოთ თავიანთი შტატის კომპანიებში აღნიშნული კომპანიების მიერ ინვესტირებადი სახსრების განსაზღვრული პროცენტი. აღნიშნული საინვესტიციო ფონდების მოცულობები სხვადასხვაა — 22 მლნ. დოლარიდან დაწყებული (კოლორადოში) 42 მლნ. დოლარით დამთავრებული (მიჩიგანში).

50-იანი წლების ბოლოს ვენჩურული დაფინანსების პრაქტიკამ გავრცელება ჰპოვა სილიკონის ველში. ვენჩურული კაპიტალიდან გაიზარდა კორპორაციები „მაიკროსოფთი“, „სანი“, „ინტელი“.

ვენჩურული კაპიტალი, როგორც წესი, გაიცემა ხანგრძლივი პერიოდით — 5-7 წლით, ხოლო თანამედროვე კომპიუტერულ სფეროში, 1-2 წლით, ხანმოკლე პროექტების განხორციელების დროსაც. თანამედროვე კომპანიისთვის ვენჩურული ინვესტირება მარტივია და

იაფი, ვიდრე სესხებით გასვლა უცხოურ საფონდო ბაზრებზე, საკუთარი ფასიანი ქაღალდების ემისია, კრედიტის მიღება. ამჟამად ვენჩურული ინვესტიციების ბაზარი შეფასებულია 75-100 მლრდ. დოლარად წელიწადში. ვენჩურული კაპიტალის სწრაფად ზრდად რეციპიენტებს მიეკუთვნება ინტერნეტ-ტექნოლოგიები, რომლებიც მოიცავს მასობრივი საინფორმაციო საშუალებებს, გართობის ინდუსტრიას, რეკლამას, ვაჭრობას, კომუნიკაციებს, განათლებას, მედიცინას, საფინანსო ბაზარს; კომპანიებს ბიოტექნოლოგიების, მშენებლობის, ტრანსპორტის, მომსახურების, სამრეწველო წარმოების სფეროებში.

ინოვაციების განხორციელების მიზანი ყოველთვის არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება — საკუთარი სახსრების გაზრდა ინოვაციური შემოსავლების კაპიტალიზაციის ხარჯზე. საწარმოს დონეზე გარანტირებული ფინანსური უზრუნველყოფა წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმარების განხორციელების წინაპირობას (ინოვაციური პროდუქტების განსაზღვრა, მათი შექმნისადმი მიმართულებები, რესურსების მოცულობის განაწილება დროის და რაოდენობრივი ასპექტების მიმართებაში და ა.შ.). დივერსიფიცირებული დაბანდების პირობებში, საწარმოს საქმიანობის საფინანსო-საკრედიტო უზრუნველყოფის მიზნით, სხვადასხვა წყაროებიდან სახსრების ფორმირება თვით ინოვაციური საქმიანობის მრავალი მიმართულების მომსახურების საშუალებას იძლევა, რაც ყველაზე მეტად პასუხობს ინოვაციურ პროდუქტებზე გადახდისუნარიანობის მოთხოვნებს.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მეწარმეები ახორციელებენ „ინოვაციურ პოლიტიკას“, რაც დაფუძნებულია პროდუქტიულ ინოვაციებზე, რომლებიც ბაზარს მისი კონიუნქტურის შესაბამისად უზრუნველყოფს. თანამედროვე საწარმოების ინოვაციური პოლიტიკა დაფუძნებულია მარკეტინგის თეორიაზე, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ინოვაციურ მექანიზმზე, რაც ბაზრიდან მოთხოვნილების ფორმირების ინიციატივის ხელში ჩაგდების, მასობრივ ახალ საქონელზე და მომსახურებაზე სამომხმარებლო მოთხოვნილებების შექმნის საშუალებას იძლევა. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში „სამომხმარებლო საზოგადოების“ ჩამოყალიბება დაკავშირებულია მოსახლეობის ცხოვრების წესსა და პირობებში ინოვაციების აქტიურ შეჭრასთან.

ეფექტიანი ინოვაციური პოლიტიკა მეწარმისგან მოითხოვს არსებულ სამეცნიერო დამუშავებებში ორიენტირების უნარს, სწრაფი, უწყვეტი ცვლილებებისადმი საწარმოს მომსახურების შეგუების პირობების შექმნას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევებში – საკუთარი კვლევითი ქვედანაყოფების ფორმირებას ნოვატორული გამოგონებების, მათი გამოცდითა და სერიული გამოშვებით, ორგანიზაციული გაერთიანების მიზნით. ეს საშუალებას იძლევა, ერთიან პროცესში, მაქსიმალურად შერწყმულ იქნას ყველა სტადია – იდეების გენერაცია, დამატებითი გამოგონებები, წარმოება, გასაღება, ექსპლუატაცია.

მეწარმისთვის განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს ახალი პროდუქციის გასაღების სტადია, ე.ი. მისი გადაცემა „დონორიდან“ (მომწოდებელი) „რეციპიენტისადმი“ (მომხმარებელი). მეწარმე-საქონელმწარმოებელი, ინოვაციების ბაზარზე „შეჭრის“ მიზნით, ჩვეულებრივ გამოდის ორი სტრატეგიიდან; ესენია, „პროგრამირებული დანერგვა“, რაც ნიშნავს, რომ რეციპიენტი ეჩვევა ახალ საქონელს, და „ადაპტირებული დანერგვა“, რაც დაკავშირებულია ამ უკანასკნელის ცვლილებასთან რეციპიენტის მოთხოვნის შესაბამისად.

ინოვაციის მომხმარებელზე გადაცემა ხშირად მოითხოვს ამ უკანასკნელის განსწავლას საქონლის მოხმარებასთან მიმართებაში. ამიტომაც, არც თუ იშვიათად, მეწარმეები თავის თავზე იღებენ არა მარტო თვითონ შესწავლას, არამედ ამასთან დაკავშირებულ ხარჯებსაც. ამავდროულად, მეწარმეები ახორციელებენ საკუთარი აგენტების – კომივოიაჟერების ტრენინგს, რაც საშუალებას იძლევა განავითარონ მათი უნარი, დაარწმუნონ რეციპიენტი; წინასწარ მზადდება ფსიქოდრამატული ხასიათის სხვადასხვა სიტუაციური ხერხები, რომლებსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს პოტენციური შემკვეთის მხრიდან. ინოვაციის გავრცელების (დიფუზიის) ხარისხზე დამოკიდებულია ინოვაციების შემოსავლიანობა. ამიტომაც მეწარმემ უნდა გაითვალისწინოს არა მარტო ეკონომიკური და სამრეწველო პირობები, არამედ სხვადასხვა ქვეყნების და რეგიონების მომხმარებლების კულტურული და ფსიქოლოგიური განსხვავებებიც, აგრეთვე,რეციპიენტების ასაკობრივ-სქესობრივი თავისებურებები. ერთი ინოვაციის კომერციული წარმატება ხდება საფუძველი შემდგომი ინოვაციებისა, მაშინ, როცა „ინოვაციური შიში“ წარმოადგენს წინა წარუმატებელი ინოვაციების შედეგს, რაც იწვევს „ფსიქოლოგიური

ბარიერის“ ჩამოყალიბებას, ეს კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია სტატუსის დაკარგვის, გაკოტრების შიშთან და ა.შ. ხშირად ფსიქოლოგიური ბარიერი გამოწვეულია მეწარმის არასათანადო კვალიფიკაციით, სხვადასხვა თანამდებობის პირების ინოვაციური საქმიანობისადმი მიზიდვის უუნარობით, საწარმოს ადამიანური ფაქტორის სპეციფიკის ეფექტიანად გამოყენების შეუძლებლობით.

ინოვაციური პროექტის განხორციელების გადაწყვეტილების მიღებას წინ უძღვის მის რეალიზაციაზე სავარაუდო დანახარჯების (ტექნიკური და კომერციული რისკის შეფასების გათვალისწინებით) და კომპანიის ფინანსური შესაძლებლობების გულდასმით შედარება, რაც გამოხატულებას ჰპოვებს ბიზნეს-გეგმაში. კომპანიის ფინანსური მდგომარეობა განსაზღვრავს ინოვაციების განხორციელებისათვის ნასესხები სახსრების გამოყენების შესაძლებლობასა და ეფექტიანობას.

თანამედროვე პირობებში, ინოვაციური საქმიანობის რეალიზაციის ეფექტურ ფორმას წარმოადგენს ინოვაციებში ჩადებული კაპიტალის მართვა ინოვაციური პროცესის მიმდინარეობის თავისებურების გათვალისწინებით.

ინოვაციური პროცესების თავისებურებები ხელსაყრელ პირობებს ქმნის ინოვაციებისა და შესაძლებლობების შექმნის პროცესში ავანსირებადი რესურსების ოპტიმალური გამოყენებისა და საინვესტიციო რესურსების მოცულობის მინიმიზაციის, ინოვაციური და ინვესტიციური ციკლების ხანგრძლივობის შემცირებისა და ინოვაციური პროდუქტის რეალიზაციიდან კომერციული ეფექტის მიღწევის მიზნით, მათი ურთიერთქმედებისთვის, ინოვაციური და ინვესტიციური ციკლების ურთიერთგავლენისთვის.

ტრადიციულად ინოვაციური საქმიანობა წარმოადგენს ინვესტიციების თანმიმდევრობას და არა ნოვაციების სასიცოცხლო ციკლის ყველა ან რამდენიმე ეტაპის პარალელურ ინვესტირებას.

ინოვაციური და საინვესტიციო ციკლების შეთავსების თეორიას საფუძვლად უდევს შემდეგი მდგომარეობა: ნოვაცია არის საქმიანობის შედეგი. ინოვაციური ციკლის თითოეულ, შედარებით დამოუკიდებელ სტადიაზე შეიძლება იყოს განსაზღვრული შედეგი, რომელიც შესაძლოა გახდეს დამოუკიდებელი საქონელი. თუმცა ინოვაციური ციკლის კონკრეტული სტადიის შედეგი, მისი ურთიერთგარდაქმნის უწყვეტ ციკლში, საბოლოო ინოვაციური პროდუქტისადმი დამოკიდებულებაში

წარმოდგენილია მხოლოდ როგორც მისი შუალედური ფორმა, ე.ი. შუალედი პროდუქტი.

ამიტომაც ინოვაციის ათვისების ინვესტიციური პოლიტიკა შეიძლება ორიენტირებული იყოს საბოლოო პროდუქტზე და ინოვაციური პროცესის ნებისმიერ შედარებით დამოუკიდებელ სტადიაზე ნოვაციის ეფექტიან კვლავწარმოებაზე. აღნიშნულ ვარიანტში თვითონ ინოვაციური ციკლის მოძრაობის პროცესი შეიძლება შეწყდეს, თუკი ინვესტორი ხედავს შუალედური პროდუქტის საქონელში გარდაქმნის მიზანშეწონილებას (გამოკვლევის მეთოდიკა, „ნოუ-ჰაუ“ ტექნოლოგიები და ა.შ.).

ზემოთ მოყვანილი შეხედულებები შემდეგი ფორმალიზაციის ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა. თუკი m სტადიაზე ფულად ნაკადს აღვნიშნავთ S(m), მაშინ დროის შესაბამის ბაზისურ მომენტში ის ტოლი იქნება:

$$S(t_m, t_1) = S(m) \times k_1 \times k_2 \times k_3$$

ხოლო ინტეგრალური შეფასება მთელ ინოვაციურ ციკლზე:

$$\sum S(t_m, t_1) = \sum S(m) \times k_1 \times k_2 \times k_3$$

სადაც k_1 – კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს ინფლაციის ზომას დროის t_m მომენტში, რაც შეესაბამება m სტადიის ბოლოს.

k_2 – კოეფიციენტი, რომელიც მიუთითებს რისკის გავლენას m სტადიაზე.

k_3 – კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს ფულადი ნაკადების განაწილებას m სტადიაზე.

ფუნქციების აღნიშნული კოეფიციენტები არა მარტო სტადიის ნომრებია, არამედ პერიოდისაც, რომლის განმავლობაშიც „გროვდება“ ინფლაცია, რისკი და ფულის გაუფასურება. სხვადასხვა სტადიებზე და ინოვაციური ციკლის ბოლოსთვის ფულადი ნაკადების სიდიდეთა ურთიერთდაპირისპირება საშუალებას აძლევს ინოვაციური პროდუქტის ობიექტების მეწარმეს, გადაწყვიტოს ყველა სტადიის განხორციელების მიზანშეწონილების საკითხი, ან შემოიფარგლოს კონკრეტულ მათგანზე სამუშაოებით.

შესაბამისად, სიახლე – ეს არის პროცესის და შედეგის

ერთობლიობა, ხოლო ინოვაციების ინვესტიციური ციკლი აგრეთვე მოიცავს პროცესის შემდეგ ნიშნებს: თანმიმდევრობა, სტადიურობა, სტადიებისა და ეტაპების შედარებითი დამოუკიდებლობა. რადგან საინვესტიციო ციკლი მოიცავს ინოვაციური ციკლის ყველა სტადიას, ინოვაციური პროდუქტის რეალიზაციის მიზნით აუცილებელია სიახლეების ათვისებისა და შექმნის პროცესების გამჭოლი ინვესტირება. ინოვაციური და ინვესტიციური ციკლის ურთიერთკავშირი გამოიხატება მათი ფინანსური უზრუნველყოფის შემდეგი სახეების რეალიზაციის საშუალებით:

პირველი ეტაპია – ინოვაციური პროდუქტის შექმნისა და გამოყენების ეკონომიკური მიზანშეწონილობის შეფასება.

მეორე ეტაპია – ინოვაციური ურთიერთობების სუბიექტების, მათი დაფინანსების წყაროებისა და ფორმების განსაზღვრა; ავანსირებადი სახსრების განაწილება ინოვაციური საქმიანობის ფაზების მიხედვით; თითოეულ ფაზაში რისკის ხარისხის და ეფექტის პროგნოზირების განსაზღვრა.

მესამე ეტაპი დაკავშირებულია რესურსების გარდაქმნასთან ინოვაციური პროდუქტის კონკრეტულ ობიექტებად.

მეოთხე ეტაპია ინოვაციებისა და ინვესტიციების რეალიზაციიდან შუალედური ეფექტების გამოვლინება.

მეხუთე ეტაპი – ინოვაციების გაფართოებული კვლავწარმოების ფინანსური უზრუნველყოფა.

მეექვსე ეტაპი – დახარჯული საფინანსო-საკრედიტო სახსრების ანაზღაურება და კომერციული ეფექტის მიღება.

როგორც ინვესტიციური პროექტების ეფექტიანობის შეფასების ერთ-ერთი შესაძლო მიმართულება, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ეკონომიკის სპეციფიკას (ინფლაცია, რისკი და სხვ.), ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ის მეთოდიკა, რომელშიც გამოიყენება პროექტისგან რეალურად წმინდა ეკონომიკური (არა ბულალტრული) ეფექტის კრიტერიუმები[6, გვ.59], რაც უდრის:

$$RNTV^h = PFV^h - \sum_{i=0}^{i=1} OC_i$$

სადაც PFV^h – პროექტის მომავალი ღირებულებაა ფულადი

ნაკადების რეინვესტირების h სტრატეგიისას, რაც მიღებულია ცალკეულ m ნაბიჯებზე, ნაკადის ელემენტებში რესურსების ალტერნატიული ღირებულების გათვალისწინების გარეშე;

OC_i – პროექტში მატერიალური (i = 1,2,....) და ფინანსური რესურსების (i=0) გამოყენებისგან კომპენსირებული, ხელიდან გაშვებული მოგება.

OC_0 –ის სიდიდე განისაზღვრება ალტერნატიულ პროექტებში სახსრების (K) ჩადებისგან უარისთვის მაქსიმალური, პოტენციური დანაკარგებით.

$$OC_0^{'} = k(1+d)^m,$$

სადაც d – დისკონტის საძიებელი ნორმაა, რომელიც უდრის ალტერნატიულ შემოსავლიანობას.

რეგულირებადი საბაზრო ურთიერთობების პირობებში ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების სისტემა წარმოდგენილია სახელმწიფოს ფინასური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ელემენტად, რომელიც მოწოდებულია, უზრუნველყოს უმნიშვნელოვანესი ამოცანები:

- ნაციონალური ეკონომიკის სტრუქტურულ-ტექნოლოგიური გარდაქმნის უზრუნველყოფა სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების დანერგვის გზით.
- ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებში, სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პოტენციალების შენარჩუნება და განვითარება.

იმისათვის, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოვახდინოთ ზემოქმედება ინოვაციურ აქტიურობაზე, აუცილებელია საბაზრო მექანიზმის ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება, რომელთაც გააჩნიათ ინოვაციური საქმიანობის მოტივებზე ზემოქმედების შესაძლებლობა. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების ძირითად ფორმებს – ფინანსებსა და კრედიტს – უდავოდ გააჩნიათ ინოვატორების მოტივებზე ზემოქმედების შესაძლებლობა.

უკვე თვითონ მატერიალური და ფინანსური რესურსების დანაწევრებაში ჩადებულია სამრეწველო წარმოებაზე ფინანსებისა და კრედიტის ზემოქმედების ობიექტური მხარე, რამდენადაც ინოვაციურ სფეროში მატერიალური კეთილდღეობების მიმართულებებისა და

ღირებულების ცალკეული ნაწილების გადაჯგუფების გზით, ჩნდება სამეწარმეო საქმიანობის ძირითად მოტივზე ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობა, ანუ წარმოების მაღალი შემოსავლიანობის მიღწევა მინიმალური დანახარჯების პირობებში. ამ შემთხვევაში ფინანსური და საკრედიტო კატეგორიები ასრულებენ თავიანთ მასტიმულირებელ ფუნქციას, მოქმედებენ რა ბერკეტის სახით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არსებობს ფინანსური ბერკეტის ცალმხრივი განსაზღვრება. ფინანსური ბერკეტები განისაზღვრება, როგორც რეგულირების ფინანსური მეთოდების ინსტრუმენტი, რომელიც ემსახურება სახელმწიფოს ეკონომიკური ზემოქმედების რეალიზაციას წარმოების სუბიექტების ინტერესებზე, რომლებიც, თავის მხრივ, დაფუძნებულია კონკრეტულ პირობებში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების გამოყენებაზე.

სტაბილური ეკონომიკური სისტემების პირობებში ჩამოყალიბებული ეკონომიკური ურთიერთობები სთავაზობს ინოვაციურ საქმიანობას აუცილებელ პირობებს. პირველ რიგში, ამას უნდა მივაკუთვნოთ ინოვაციური საქმიანობის საკანონმდებლო გაფორმება, აგრეთვე ინოვაციურ აქტიურობაზე ფინანსური ბერკეტების ზემოქმედების ხასიათის დამაგრება ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების დონეზე. ამრიგად, ფინანსური ბერკეტები წარმოადგენს ეკონომიკური ურთიერთობების გამოხატულებას, რომლებიც დამაგრებულია ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში და მიმართულია ეკონომიკური აგენტების, როგორც საწარმოო პროცესის მონაწილეების, სტიმულირებისკენ.

ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობის კრიტერიუმები საფუძვლად უნდა დაედოს ფინანსური პოლიტიკის ოპტიმალური ბერკეტების შერჩევას. ეფექტიანობის გადამწყვეტი კრიტერიუმი — შემოსავლის დონე, რომელიც რჩება ინოვაციური საწარმოს განკარგულებაში — მიზნის ეკონომიკურ პრობლემებში მისი საქმიანობის მთავარი წარმმართველია.

უცხოური პრაქტიკა ადასტურებს, რომ არასტაბილური ეკონომიკური სისტემების პირობებში, რაც ხასიათდება ინფლაციური პროცესების მაღალი დონით, აგრეთვე ეკონომიკური აგენტების მოქმედებაზე მათი ძლიერი გავლენით, პირდაპირი სტიმულირების ბერკეტებმა (დოტაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სუბვენციები) უნდა

გადაიწიოს მეორე პლანზე. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი ენიჭება ირიბი სტიმულირების ბერკეტებს: საგადასახადო შეღავათებს, კრედიტს, კრედიტზე საპროცენტო გადასახადებს, დაზღვევას, ამორტიზაციულ გადარიცხვებს და ა.შ. მოცემულ შემთხვევაში, მასტიმულირებელი გავლენის ხარისხის ცალმხრივად განსაზღვრა არ შეიძლება ირიბი ზემოქმედების ფინანსური ბერკეტების ყველა ჩამოთვლილი ტიპისთვის. ძალიან ხშირად ის (დონე) დამოკიდებულია ეკონომიკურ სისტემაში წინადადებების და ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდების მდგომარეობაზე და ამ ინსტრუმენტების ბუნებაზე, რომლებსაც ახასიათებთ ერთმანეთისგან მნიშვნელოვანი განსხვავებები. სამრეწველო წარმოების სფეროში ინოვაციური აქტივობის ირიბი სტიმულირების ძირითად ბერკეტებს უნდა წარმოადგენდეს გადასახადები და კრედიტი (კერძო საფინანსო ინსტიტუტების საკრედიტო რესურსები, აგრეთვე სახელმწიფო კრედიტი, მაგრამ მიმართული მხოლოდ რეალური სამრეწველო წარმოების სფეროში). ამორტიზებული გადარიცხვები იმყოფება მრეწველობის კონკრეტულ დარგებში მოთხოვნილი შეზღუდვების დონის მკვეთრი გავლენის ქვეშ, ამიტომაც ინოვატორების სხვადასხვა ჯგუფის სტიმულირებისთვის მისი გამოყენება ერთმნიშვნელოვანი არ არის. დაზღვევა, როგორც ირიბი სტიმულირების ბერკეტი, ეფექტიანია მხოლოდ ინფრასტრუქტურისა და ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზის სათანადოდ განვითარებისა და ინოვაციური საქმიანობისთვის სადაზღვევო ფონდების სახსრების მიზნობრივი გამოყენების შემთხვევებში.

ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების ადგილობრივი სისტემა მუდმივად ვითარდება. 1991 წლამდე ის დაფუძნებული იყო საბიუჯეტო ასიგნებაზე და მიზნობრივი დანიშნულების დეცენტრალიზებულ წყაროებზე. 1990-1991 წლებში ჩატარებული რეორგანიზაციული ღონისძიებების განმავლობაში, ჩვენს ქვეყანაში გაუქმდა შემოსავლის რეგლამენტირებული განაწილება ეკონომიკური სტიმულირების ფორმების მიხედვით, ლიკვიდირებულ იქნა დარგობრივი ცენტრალიზებული ფონდების უმეტესობა, გამარტივდა შრომის ანაზღაურებაზე კონტროლის სისტემა, მოხდა ფასების ლიბერალიზაცია. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ინოვაციური პროექტების დაფინანსების თანმიმდევრობა დამოკიდებული გახდა

დანერგილი ღონისძიებებისა და ინოვაციური საქმიანობის სუბიექტების მიერ მოზიდული ფინანსური წყაროების ხასიათზე. ამჟამად სახსრების ძირითად წყაროებს, რომლებიც გამოიყენება ინოვაციური საქმიანობის დაფინანსებისთვის, წარმოადგენს:

- ბიუჯეტური ასიგნებები, რომლებიც გამოიყოფა ცენტრალურ და რეგიონულ დონეებზე;
- სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების (სკსსს) დაფინანსების სპეციალური არასაბიუჯეტო ფონდების სახსრები, რომლებიც იქმნება საწარმოებისა და მმართველობის რეგიონული ორგანოების მიერ;
- კომერციული სტრუქტურების სხვადასხვა ტიპების ფინანსური რესურსები (საინვესტიციო კომპანიების, კომერციული ბანკების და სხვ.);
- სახელმწიფოს მიერ სპეციალური რწმუნებულებით აღჭურვილი ინვესტიციური ბანკების საკრედიტო რესურსები;
- ინოვაციური პროექტებისთვის რეალიზებული კონვერსიული კრედიტები;
- უცხოური ინვესტიციები;
- სამამულო და უცხოური სამეცნიერო და ინოვაციური ფონდების სახსრები;
- ფიზიკური პირების კერძო დანაზოგები.

4.2. ლიზინგი ინოვაციურ საქმიანობაში

ლიზინგი — ეს არის თანამედროვე პირობებში საწარმოო ან ფინანსური საშუალებების გასესხებისა და გაქირავების ალტერნატიული ფორმა, რომელიც ხელს უწყობს სამეწარმეო აქტიურობის ზრდას და გვევლინება მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობ მეთოდად. ლიზინგის ქვეშ მოიაზრება სამეწარმეო საქმიანობის ისეთი ფორმა, რომელიც მიმართულია დროებით თავისუფალი ან მოზიდული ფინანსური რესურსების ინვესტირებისაკენ.

ლიზინგის განვითარებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა „ახალი

თეორია, რომელიც ხსნის, თუ რატომ დაიწყეს მომხმარებლებმა სულ უფრო და უფრო ხშირად გამოყენება ორი ცნებისა: 1) ქონებაზე საკუთრების უფლების და 2) ქონების განკარგვის შესაძლებლობის. ამ თეორიის თანახმად, მწარმოებლების უმთავრეს ამოცანას აქტივების დაგროვება კი არ წარმოადგენს, არამედ მაქსიმალური წარმოება. ამიტომ მომხმარებლები აღმოჩნდნენ მზად მიეღოთ არენდის პრინციპები, ხოლო ბანკებმა, კლიენტი ფირმების განვითარების პერსპექტივისა და ბრუნვის მოცულობის გათვალისწინებით, დაიწყეს კრედიტების გაცემა.

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციებმა გამოავლინა წარმოების განახლებისა და გაფართოებისათვის ლიკვიდური საშუალებების შეზღუდულობის პრობლემები, აგრეთვე პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული მთელი რიგი სიძნელეები. ამავე დროს, საწარმოო სფეროში ინოვაციის (ინოვაციური საქმიანობის) აუცილებლობამ განაპირობა ლიზინგური ოპერაციების ფართო გავრცელება.

საწარმოების სულ უფრო მზარდი რაოდენობა, უპირველეს ყოვლისა კი, — მცირე და საშუალო ფირმები მიმართავს ძირითადი ფონდების ლიზინგს (ანუ ძირითადი საშუალებების ქირაობას, არენდას, იჯარას და ა.შ). ბევრი საწარმოსათვის ლიზინგი დაფინანსების ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. ამგვარად, ლიზინგური შეთანხმებები აქტიურებს ინოვაციურ პროცესს, აუმჯობესებს რა ლიზინგის მიმღები საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, უზრუნველყოფს მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. სალიზინგო მომსახურებას მიმართავენ აგრეთვე ტრანსნაციონალური კორპორაციებიც, რომლებიც არ განიცდიან ფინანსურ კრიზისს. მაგ,: აშშ-ში ფირმების 80% რეგულარულად იძენს ლიზინგის მეშვეობით მათთვის აუცილებელი სახეობის მანქანებსა თუ მოწყობილობებს.

ლიზინგის გამოყენება, როგორც კაპიტალდაბანდების დაფინანსების საშუალების დაიწყო ჯერ კიდევ 50-იან წლებში. ლიზინგური ოპერაციები შემდეგი ნიშნებით განსხვავდება:

- ხელშეკრულების მონაწილეთა სია;
- ლიზინგში გადასაცემი ქონების ტიპი, ხარისხი, მისი მსყიდველუნარიანობა;
- ამორტიზაციის პირობები;

– მომსახურების მოცულობა;
– ბაზრის სექტორი, სადაც ტარდება ოპერაციები;
– საგადასახადო და საამორტიზაციო შეღავათებთან მიმართება;
– სალიზინგო გადასახადთა ხასიათი და ა.შ.

ყველაზე ხშირად გამოყოფენ საფინანსო ლიზინგს, როდესაც აუცილებელია სწრაფი გაანალიზებული გათავისება მსხვილი ტექნიკური ინოვაციებისა, რომლებიც მოითხოვს ძვირადღირებული დანადგარების, ტექნიკის, ენერგეტიკული მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვათა შეძენას.

აშშ-ში ლიზინგზე მოდის მანქანებსა და მოწყობილობებში ჩადებული კაპიტალდაბანდების 30%-მდე. ფინანსური არენდის (ლიზინგის) ხელშეკრულების მიხედვით, არენდის გამცემი (ლიზინგის გამცემი) წარუდგენს თავის საკუთრებას არენდის მიმღებს (მეარენდეს) სამეწარმეო საქმიანობის მიზნით გამოყენების პერიოდში, გარკვეული გადასახადის საფასურად.

ფინანსური ლიზინგი იყოფა შემდეგ სახეებად:

1. შეთანხმების ტიპი „სტანდარტი“: გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ობიექტის მფლობელი არ გვევლინება მომავალში ლიზინგის გამცემად. ამ მოცემულ ოპერაციაში მონაწილეობს სამი პარტნიორი, ხოლო სალიზინგო ოპერაცია მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მოწყობილობის შეძენა, ლიზინგის საგნის გაქირავება და ოფციონი გასაყიდად. სალიზინგო ურთიერთქმედების სამმხრივი ხასიათი გამოყოფს ხელშეკრულებაში მონაწილე სამ სუბიექტს: 1. კაპიტალის (ობიექტის) მფლობელი; 2. მომხმარებელი (ამ ობიექტის ან საგნის ლიზინგის მიმღები); 3. საქონლის (ან ობიექტის) გამყიდველი (დამამზადებელი საწარმო).

2. შეთანხმების ტიპი „დაბრუნებადი ლიზინგი“: ამ დროს სალიზინგო საგნის მფლობელი ყიდვა-გაყიდვის აქტის საფუძველზე მიჰყიდის მას ლიზინგის გამცემს (ხშირად სალიზინგო კომპანიებს) და იმავდროულად შეიძენს ამავე საგანს ფინანსური ლიზინგის საფუძველზე. მოცემული ხელშეკრულება საშუალებას აძლევს თავდაპირველი მოწყობილობის მფლობელს, გააუმჯობესოს თავისი ფინანსური მდგომარეობა განსაზღვრულ ეტაპზე და, ამავდროულად, შეინარჩუნოს გარკვეული დროით ამ მოწყობილობით სარგებლობის უფლება. ამ ტიპის კონტრაქტით თავდაპირველ მფლობელს შეუძლია,

შემდგომში კლავ დაიბრუნოს (გამოისყიდოს) ადრე მის საკუთრებაში მყოფი ეს საგანი. ასეთმა ხელშეკრულებამ ფართო გავრცელება ჰპოვა ინოვაციური საქმიანობის წარმოების სფეროში.

3. შეთანხმების ტიპი „მიმწოდებელი“: ითვალისწინებს, რომ სალიზინგო საგანი (მოწყობილობა) იყიდება მფლობელის მიერ ლიზინგის გამცემზე და ამავდროულად შეისყიდება ფინანსური ლიზინგის საფუძველზე. ამავე დროს ფაქტიურ მომხმარებლად გვევლინება მესამე პირი. საწყის ეტაპზე ხდება „დაბრუნებადი ლიზინგის“ ტიპის ოპერაციების გატარება,მაგრამ მომავალში ყოფილი სალიზინგო საგნის მფლობელი აბარებს მესამე პირს მიღებულ მოწყობილობას „სტანდარტის“ ტიპის სალიზინგო ხელშეკრულების მსგავსად, დაბრუნებადი ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე.

სალიზინგო კომპანიები არენდის ამღებს უტოვებენ არამარტო მიმწოდებლის ამორჩევის, არამედ ობიექტის ამორჩევის უფლებასაც, ამასთან დამონტაჟებული მოწყობილობის ტექნიკური მომსახურება და რემონტი ხორციელდება ან დამამზადებელი საწარმოს, ან მეარენდის მიერ.

სალიზინგო შეთანხმებათა კონკრეტული ვადები განისაზღვრება გასაქირავებელი მოწყობილობის იმ საექსპლუატაციო ვადის და საამორტიზაციო ანარიცხების გათვალისწინებით, რომელიც დადგენილია სამთავრობო დონეზე. ფინანსური ლიზინგისათვის დამახასიათებელია, რომ არენდის ვადა ძალიან მიახლოებულია მოწყობილობის მუშაობის ვადასთან.

განასხვავებენ მოკლევადიან (ანუ ოპერატიულ) და კაპიტალურ (ფინანსურ) ლიზინგს, რომლის დროსაც ხელშეკრულება ფორმდება სალიზინგო (საარენდო) მოწყობილობის საექსპლუატაციო ვადასთან მიახლოებული დროით. იმ შემთხვევაში, როცა კონტრაქტი უქმდება, თუ არენდის გამცემი ღებულობს კომპენსაციას შეთანხმების გაუქმებასთან დაკავშირებული ყველა ზარალისათვის, პრაქტიკაშია ფინანსური ლიზინგი სრული გადარიცხვით. გვხვდება გაყიდვის შეთანხმებებიც დაბრუნებადი ლიზინგით, ანუ როდესაც ფირმა ყიდის მოწყობილობას, რომელსაც უკვე ფლობს, და იღებს მას უკანვე ლიზინგით.

პირდაპირი ფინანსური ლიზინგი ითვალისწინებს, რომ არენდატორი განსაზღვრავს მოწყობილობის სპეციფიკას, რომლის გამოყენებასაც

ის ისურვებდა – მოელაპარაკება ამ მოწყობილობის მწარმოებელს მისი ლიზინგური კომპანიისათვის მიყიდვის თაობაზე და აფორმებს ხელშეკრულებას სალიზინგო კომპანიასთან.

ფინანსური ლიზინგის სახესხვაობას წარმოადგენს ლიზინგი დამატებითი დაფინანსების წყაროების გამოყენებით.

ლიზინგში გადასაცემი ქონების მომსახურების მოცულობის მიხედვით გამოყოფენ:

– სუფთა ლიზინგს, თუ გადაცემული ქონების ყველა მომსახურებას თავის თავზე იღებს ლიზინგის მიმღები (ლიზინგის გადასახადში არ შედის ლიზინგის გამცემის მოწყობილობების მომსახურებაზე გაწეული ხარჯები).

– ლიზინგი მომსახურების სრული პაკეტით, თუ ქონებაზე მთლიან მომსახურებას ახორციელებს ლიზინგის გამცემი.

– ნაწილობრივი მომსახურების ლიზინგი, როცა ლიზინგის გამცემს მხოლოდ მომსახურების გარკვეული ფუნქციები ეკისრება.

სალიზინგო ანგარიშსწორების მიხედვით გამოყოფენ:

– ლიზინგს ფულადი გადარიცხვებით, თუ ყველა ანგარიშსწორება ხდება ფულადი ფორმით.

– ლიზინგს საკომპენსაციო გადარიცხვებით, როცა გადარიცხვები ხორციელდება საქონლის მიწოდების ფორმით, რომელიც წარმოებულია მოცემულ მოწყობილობებზე, ან საპასუხო სამსახურის გაწევის ფორმით.

– ლიზინგს შერეული გადარიცხვებით, როცა გადახდა ხორციელდება პირველი ორი ფორმით.

ლიზინგი არა მარტო წარმოების ყველაზე მოწინავე მოწყობილობებით მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის პროგრესული საშუალება, არამედ დაფინანსების წყაროცაა.

ამგვარად, ლიზინგი არის შეთანხმებათა კონტრაქტი, რომლის თანახმადაც არენდის გამცემი გადასცემს მეარენდეს განსაზღვრული ქონებით სარგებლობის უფლებას, გარკვეული ვადით და გარკვეული საარენდო გადასახადის საფასურად. ხდება რა მანქანების, აღჭურვილობის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა უძრავ-მოძრავი ქონების გრძელვადიანი არენდის ფორმა, ლიზინგი ითვალისწინებს არანაკლებ სამ მონაწილეს – ფირმას, რომელიც აწარმოებს მანქანა-მოწყობილობებს, სალიზინგო კომპანიას (ლიზინგის

გამცემს), რომელიც ამ მოწყობილობებს ყიდულობს მწარმოებლისაგან, და მიმღებს (მომხმარებელს) – ლიზინგის ხელშეკრულებით ამ მოწყობილობების მომხმარებელს. ლიზინგის ხელშეკრულების მონაწილე შეიძლება იყოს აგრეთვე ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და სხვა იურიდიული პირებიც.

სალიზინგო ოპერაციებში არენდის გამცემის როლში გამოდიან:

- საფინანსო ლიზინგური კომპანიები;
- სერვისული (სპეციალიზებული) სალიზინგო კომპანიები;
- ბროკერული სალიზინგო კომპანიები;
- განვითარებული კორპორაციებისა და ბანკების ის ფილიალები, რომლებიც ეწევიან სალიზინგო

მომსახურებას;

- საბანკო ორგანიზაციები;
- სადაზღვევო და საპენსიო ფონდები და სხვ.

გადამწყვეტი როლი ლიზინგში ეკისრებათ ბანკებს. მათი მონაწილეობა შეიძლება იყოს პირდაპირი (თუ ისინი უშუალოდ გადასცემენ ლიზინგში მანქანა-მოწყობილობებს) და არაპირდაპირი (თუ სესხებს აძლევენ სალიზინგო კომპანიებს). ჩვეულებრივ, ვერცერთი მსხვილი სალიზინგო ოპერაცია ვერ ხორციელდება ბანკის მონაწილეობის გარეშე. მაგ: აშშ-ში 70-იან წლებში ყოველი მეხუთე ბანკი 100 მილიონი დოლარის აქტივის ოდენობით მონაწილეობდა პირდაპირ ლიზინგში, ხოლო იმ ბანკების საერთო რაოდენობა, რომლებიც ეწეოდნენ სალიზინგო მომსახურებას, აჭარბებდა 500-ს.

სადაზღვევო კომპანიები, ისევე როგორც ბანკები, ლიზინგში მონაწილეობენ როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი წესით. თუ წესდების ძალით სადაზღვევო კომპანიები არ არიან უფლებამოსილნი დააბანდონ ფული მოძრავ ქონებაში, ისინი არცთუ იშვიათად ქმნიან შუალედურ ორგანიზაციებს ან იყენებენ „მინდობილობის“ ინსტიტუტს. ბოლო წლებში სალიზინგო ოპერაციებში მონაწილეობენ საპენსიო ფონდები და სხვა ინსტიტუციონალური სუბიექტები.

ლიზინგის უმთავრესი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მეწარმეს საშუალება აქვს, მიიღოს მისთვის აუცილებელი და საჭირო მოწყობილობები და დანადგარები და დაიწყოს ახალი წარმოება მსხვილი დანახარჯების გაწევის გარეშე, რაც განსაკუთრებით ხელსაყრელია მცირე და საშუალო ინოვაციური საწარმოებისათვის.

სალიზინგო ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ მეარენდის მიერ ქონების სრული ღირებულების და ასევე ყველა პროცენტის გადახდის შემთხვევაში, ეს ქონება ხდება მეარენდეს საკუთრება, ან ისევ უბრუნდება არენდის გამცემს. თუ ვისთან დარჩება სალიზინგო ქონება, დამოკიდებულია იმაზე, გადაიხადა მეარენდემ ამ ქონების მთლიანი ღირებულება თუ გარკვეული პროცენტი (გადახდის საკითხი ხელშეკრულებაშივე არის მითითებული).

ლიზინგის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი, ჩვეულებრივ, არ მოითხოვს ავანსის გადახდას, რაც განსაზღვრავს ახალი და განვითარებადი საწარმოების დაინტერესებას მატერიალური ბაზის განახლების აღნიშნული მეთოდით. ვინაიდან ხშირად საარენდო გადასახადები ფიქსირებულია, ეს მექანიზმი მეარენდეს იცავს ინფლაციისა და კაპიტალის ღირებულების გაზრდისაგან. გარდა ამისა, ძველი მოწყობილობების ახლით შეცვლის დაჩქარებით ლიზინგი ამცირებს მოწყობილობების მორალური ცვეთის რისკს. ჩვეულებრივ, ლიზინგური ხელშეკრულებები ითვალისწინებს მეარენდის სპეციფიკურ თავისებურებებს. ამასთან, ლიზინგის დაფარვა შეიძლება უკავშირდებოდეს იმ პროდუქციის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს, რომლის წარმოებაც მოხდა ლიზინგით აღებული მოწყობილობებით. ლიზინგის ერთ-ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს, აგრეთვე, ის, რომ მეარენდეს აძლევს საშუალებას, დაუყოვნებლივ გამოიყენოს პროდუქცია (ან ქონება, რომელიც ლიზინგით მიიღეს), ხოლო მისი საფასური კი გადაიხადოს შემდგომ გრძელვადიან პერიოდში. გარდა ამისა, არენდის გამცემები ხშირად გასცემენ ნებართვას არენდის გაგრძელებაზე მინიმალური გადასახადით, ლიზინგის თავდაპირველი ვადის ამოწურვის შემდეგ.

საამორტიზაციო და საგადასახადო შეღავათების გამოყენება ეკონომიკურად ხელსაყრელია სალიზინგო ოპერაციის ყველა მონაწილისათვის. ამასთანავე, არენდის გამცემი გამოიყენებს ყველა საგადასახადო შეღავათს, რომლებითაც, ჩვეულებრივ, ვერ ისარგებლებდა ამავე მოწყობილობის ყიდვისას. ამ საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით, მას შეუძლია საარენდო განაკვეთების მნიშვნელოვნად შემცირება, რომლებიც რიგ შემთხვევებში შეიძლება ჩვეულებრივზე ორჯერ ნაკლები გახდეს. ყურადსაღებია, რომ მაღალ განვითარებულ ქვეყნებში საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებს

აქვს არსებითი კავშირი ლიზინგის გამოყენებასთან.

ლიზინგის უპირატესობა გაყიდვასთან შედარებით იმ საწარმოებისათვის, რომლებიც მიისწრაფიან დამატებითი წყაროების უზრუნველყოფისკენ თავისი პროდუქციის საწარმოებლად, მდგომარეობს იმაში, რომ ლიზინგი წარმოადგენს საბაზრო ექსპანსიის საშუალებას. გასაღების პროგრამებში ლიზინგის ჩადებით მწარმოებლები იფართოებენ მომხმარებლის წრეს იმ საწარმოების ხარჯზე, რომლებიც ან არ საჭიროებენ მუდმივ კაპიტალდაბანდებებს, ან არ შეუძლიათ ქონების საკუთრებაში შეძენა, ანდა სურთ ტექნიკის პრაქტიკაში გამოცდა.

მოწყობილობების მოკლევადიანი პერიოდით გამოყენებისას თავს იჩენს კონსტრუქციული ნაკლოვანებები. ამასთან, ინფორმაცია მათ შესახებ მიეწოდება დამამზადებელ საწარმოებს, რაც, თავის მხრივ, მათ პროდუქციის სრულყოფის საშუალებას აძლევს. ლიზინგი განვითარებულ კომპანიებს საშუალებას აძლევს, დაჩქარონ მოდელების გამოცვლა და ამის საფუძველზე დაიპყრონ ახალი ბაზრები. სწორედ ასეთნაირად, ეგმ-სა და ასლების გადამღები ტექნიკის მწარმოებელი ლიდერები – ფირმები IBM და XEROX – თითქმის ყოველ წელს უშვებენ ახალ მოდელებს, ხოლო ძველებს აბარებენ ლიზინგში, რასაც 50-70%-მდე შემოსავლები მოაქვს.

ლიზინგის მეშვეობით სამეურნეო სუბიექტებს საშუალება ეძლევათ დროებით განთავისუფლდნენ გამოუყენებელი მოწყობილობებისაგან. ამას გარდა, ხშირად წარმოიშვება სიტუაციები, როდესაც ფირმებისათვის ხელსაყრელია დანადგარებისა და საწარმოო სიმძლავრეებისაგან განთავისუფლდება გარკვეული დროით (მაგ., როცა ამ მოწყობილობაზე შეკვეთა ჯერ არ შემოსულა ან გადაიდო და მოწყობილობა განიცდის მოცდენას). ამ დროს ლიზინგი საშუალებას გვაძლევს, აღნიშნული ქონება გარკვეული ვადით გადაეცეს წარმოებაში ფიქსირებული გადასახადის საფასურად. ლიზინგის დროს გამყიდველს არ უწევს კომერციული კრედიტისთვის მიმართვა, იგი ღებულობს მთლიან თანხას დაუყოვნებლივ ხელშეკრულების შესრულებისთანავე. სალიზინგო ფირმა უზრუნველყოფს შეთანხმების 100%-იან დაფინანსებას. ამით ქრება გადაუხდელობის რისკიც. ლიზინგში მიღებული მოწყობილობების გადასახადები და მათი მიმართება ლიზინგის მიმღების პროდუქციის თვითღირებულებასთან ამ

უკანასკნელს გადასახადები შემცირების საშუალებას აძლევს.

ლიზინგი ასევე გამოიყენება როგორც ეფექტური რეკლამის საშუალება. პოტენციურ მყიდველებს როგორც ასევე სხვა მეარენდეების გამოცდილების საფუძველზე, შეუძლიათ დარწმუნდნენ შეთავაზებული მანქანებისა თუ მოწყობილობების შესაძლებლობებში, მათი ექსპლუატაციის პროცესში.

მომხმარებლებისათვის ლიზინგის უპირატესობები მანქანა-მოწყობილობების კრედიტით შეძენასთან შედარებით, შემდეგში მდგომარეობს:

1. საწარმოს მომავალი გადაიარაღების შესაძლებლობა.

2. მანქანა-მოწყობილობების დაჩქარებული ამორტიზაციის გატარება, ხოლო შემდგომში კი მათი შეძენა დაბალი ნარჩენი ღირებულებით.

3. მეარენდისათვის ახალი ინვესტიციური პროდუქციის შეძენის საშუალება; კონტრაქტის ტიპისა და ვადის ამორჩევის უფლება.

4. არენდატორისათვის 100%-იანი დაფინანსების უფლების დატოვება გარეშე წყაროების მოზიდვის ხარჯზე.

5. საარენდო გადასახადის გათვალისწინება მიმდინარე გადასახადების მუხლის მიხედვით.

6. ხარჯთაღრიცხვის სიმარტივე; საწარმოს კრედიტის მიღების შესაძლებლობების გაზრდა.

7. მცირე პირველადი შენატანი მოწყობილობების შესაძენად.

8. მცირე საწარმოების მოწყობილობათა შეძენის შესაძლებლობების გაზრდა; ფინანსური სახსრების გამოთავისუფლება სხვა ინვესტიციებისათვის;

9. საგადასახადო შეღავათების მიღება.

სალიზინგო ოპერაციების განვითარებას მსოფლიოში განაპირობებდნენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა კრედიტის მიღების სიძნელეები მრავალ ქვეყანაში, ბანკების მიერ საპროცენტო განაკვეთების გაზრდა, გადასახადების გადიდება და კრედიტით გაყიდვის პირობების გაუარესება.

საყურადღებოა, რომ სალიზინგო შეთანხმებების სწრაფი გავრცელება მაღალგანვითარებულ ქვეყნებში დაკავშირებულია იმ უპირატესობებთან, რომლებსაც ლიზინგი უზრუნველყოფს:

— ქონების შეძენისა და სამუშაო პროცესის დაფინანსების პრობლემების ერთდროული გადაწყვეტა.

- მანქანა-დანადგარების დაუყოვნებლივ გამოყენების საშუალება, მათი სრული ღირებულების გადახდამდე.
- ფინანსური რესურსების ეკონომია, რაც მათი გადამისამართების საშუალებას იძლევა სხვა ინოვაციურ-საინვესტიციო ამოცანების გადაჭრისათვის.
- საწარმოს მანქანა-მოწყობილობების მორალურ ცვეთასთან დაკავშირებული დანაკარგების შემცირება.
- სალიზინგო კომპანიის ბალანსში სალიზინგო საგნის გათვალიწინება და მომხმარებლის ბალანსში ამ საგნის ღირებულების უგულებელყოფა.
- დანახარჯები ლიზინგზე ითვლება მიმდინარე ხარჯებად.

90-იანი წლების დასაწყისამდე, მაგალითად, რუსეთში ლიზინგი გამოიყენებოდა შედარებით მცირე მასშტაბით, მხოლოდ საერთაშორისო ვაჭრობაში. ლიზინგი განიხილებოდა გარე სავაჭრო ორგანიზაციების მიერ, როგორც დიდგაბარიტიანი დანადგარების, გაყვანილობის ხაზების, თვითმფრინავების, საზღვაო გემების, მანქანების, ეგმ-ის ბაზაზე შექმნილი გამომთვლელი ტექნიკის შეძენის ან რეალიზაციის ერთ-ერთი ფორმა.

ქართველი ექსპორტიორებისათვის ლიზინგი — ეს არის დამატებითი და, ამავდროულად, გადამწყვეტი შანსი ძვირადღირებული დანადგარების რეალიზაციისათვის, თავიანთი პროდუქციის ბაზრის გაფართოებისათვის და სხვ. ლიზინგი გვაძლევს საშუალებას, შევქმნათ გრძელვადიანი თანამშრომლობის შესაძლებლობა და ამით ავამაღლოთ ერთობლივი გამორჩენა, რამდენადაც ლიზინგის ხელშეკრულებას ხშირად თან ახლავს მომსახურების სხვადასხვა ფორმები (ტექნიკური მომსახურება, სწავლა, სპეციალისტების შერჩევა-გადამზადება და ა.შ.). ექსპორტიორის საზღვარგარეთელი წარმომადგენლების სავალუტო შემოსავლების გადიდება დაკავშირებულია იმასთან, რომ მიმწოდებელი, პირველ რიგში, გამორიცხავს მოგებიდან ლიზინგის კონტრაქტის შესრულებაზე გაწეულ დანახარჯებს და დარჩენილი თანხიდან იხდის გადასახადებს.

საქართველოში ფულადი სახსრების მოზიდვის შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე, ლიზინგი იმპორტის დროს უზრუნველყოფს ეკონომიკაში ინვესტიციების გაფართოებას.

1991 წლის ივნისში შეიქმნა საერთაშორისო საბჭოთა-ფრანგულ-გერმანული კომპანია „ევროლიზინგი". მისი წარმომადგენელი რუსეთის

მხრიდან გახდა „ენეშეკონომბანკი“, საფრანგეთის მხრიდან ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკი „ბანკ ნასიონალ დე პარი“, ხოლო გერმანიის მხრიდან ერთ-ერთი უმსხვილესი სალიზინგო კომპანია „მიტფინანც გმბხ“. ამ ორგანიზაციის მიზანი იყო რუსეთში ახალი თანამედროვე მოწყობილობების შემოტანა.

„ეეროლიზინგის“ მეშვეობით, საწარმოებისათვის ხელსაწყოები შსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან ჩამოაქვთ. ლიზინგის ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს საკმარისი გარანტიების მიღება ფირმების მიერ ჩადებული სახსრების უკან დაბრუნებაზე.

ინოვაციური მეწარმეობის მასტიმულირებელი ეფექტი მდგომარეობს მწარმოებლისათვის თავისი პროდუქციის რეალიზაციის დამატებით არხებში და აგრეთვე იგი არის წარმოების განახლების დამაჩქარებელი საშუალებაა. ამავე დროს, ლიზინგი უფრო ხელმისაწვდომს ხდის ბევრი სახის ძვირადღირებულ დანადგარს, აფართოებს მათი მომხმარებლების რაოდენობას მცირე და საშუალო ბიზნესის ხარჯზე.

სამწუხაროდ, საქართველოში ვერ ჩამოყალიბდა სალიზინგო მომსახურების ბაზრის ინფრასტრუქტურა, არასაკმარისია სალიზინგო კომპანიები („ტბს ლიზინგი“ და სხვ.), რომლებიც შეძლებდნენ გასწიონ ღირსეული სალიზინგო მომსახურების გაწევას. სალიზინგო ოპერაციების ძირითად მონაწილეებს – ბანკებს, ჯერ-ჯერობით არ შესწევთ უნარი, უფრო ეფექტიანად მოემსახურონ სალიზინგო შეთანხმებების აგენტებს.

სახელმწიფოს როლი სალიზინგო ბიზნესის აღორძინებასა და მისთვის ინოვაციური მიმართულების მიცემაში განსაკუთრებით დიდია. ინოვაციური პროცესების ციკლის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სალიზინგო შეთანხმებების რამდენიმე არხიანი დაფინანასების გამოყენება (ე.წ. დანაწევრებული ლიზინგი). ასეთი მიდგომა ემსახურება ინოვაციური პროცესების შერეული დაფინანსების პრობლემის გადაჭრას, იმ საწარმოს საშუალებების მოზიდვით, რომელიც იყენებს, რომლებიც ლიზინგის მეშვეობით, ბიუჯეტური რესურსებით ან ბანკის კრედიტით საწარმოში მიღებულ ტექნოლოგიებს.

სალიზინგო საქმიანობის მონაწილეთათვის ნორმატიული აქტებით დადგენილია სხვავადხვა საგადასახადო შეღავათები.

მოქმედი კანონმდებლობით, სალიზინგო შეღავათები ვრცელდება

შემდეგ მონაწილეებზე:

1. ბანკზე ან სხვა საკრედიტო დაწესებულებაზე, თუ იგი კრედიტს გასცემს სალიზინგო კომპანიის მიერ მოწყობილობების შესაძენად.

– გათავისუფლდება მოგების გადასახადიდან, რომელიც მიღებულია კრედიტის 3 წლამდე და მეტი ვადით გაცემით, ფინანსური ლიზინგის ოპერაციის რეალიზაციისათვის.

2. ლიზინგის გამცემისათვის:

– მოგების გადასახადიდან განთავისუფლება, რაც მან საფინანსო ლიზინგის ხელშეკრულების რეალიზაციის საფუძველზე მიიღო.

– პროდუქციის თვითღირებულებაში ბანკებისა და სხვა ორგანიზაციების სესხების, სალიზინგო გადასახადებისა და სხვა ვალდებულებების გათვალისწინება, რომელთა გამოყენება მოხდა ლიზინგის სუბიექტების მიერ ფინანსური ლიზინგის ოპერაციის შესასრულებლად.

– ნაწილობრივი განთავისუფლება იმ პროდუქციის განბაჟების გადასახადიდან, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე დროებით გაივლის და გვევლინება საერთაშორისო ლიზინგის ობიექტად.

3. ლიზინგის მიმღებისათვის:

– საწარმოთა ქონებაზე გადასახადის შემცირება, რადგანაც ლიზინგით აღებული ობიექტის ღირებულება ლიზინგის მიმღების ბალანსის აქტივში მხოლოდ მაშინ აისახება, როცა ეს უკანასკნელი ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ გადაიხდის სრულ ღირებულებას და გადავა მის საკუთრებაში, მანამდე კი ამ ქონების ღირებულება ირიცხება ლიზინგის გამცემის ბალანსზე.

– მოგების გადასახადის შემცირება, რამდენადაც სალიზინგო გადასახადები შედის იმ დანახარჯებში, რომლებიც გათვალისწინებულია პროდუქციის თვითღირებულებაშიც.

ახალი პროდუქციის დასამზადებლად ლიზინგი გვევლინება ხელსაყრელ, საინტერესო ინსტრუმენტად პროდუქციის ბაზარზე გავრცელებისა, ვინაიდან მანქანათმშენებელ ქარხნებს ლიზინგი გასაღების ბაზრების გაფართოების საშუალებას აძლევს.

სახელმწიფო ორგანოები არა მარტო ლიცენზიებს გასცემენ სალიზინგო მეწარმეობაში, არამედ სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამაში გამოიყოფა მიზნობრივი სახსრები საწარმოების ტექნიკური გადაიარაღებისა და მოდერნიზაციისათვის, ასევე მაღალეფექტიანი

კომერციული სალიზინგო პროექტების შესასრულებლად. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ლიზინგის წილი კაპიტალდაბანდებებში 25–30%-ს შეადგენს.

სალიზინგო ოპერაციების მოცულობის მნიშვნელოვნად გაზრდა შეიძლება კერძო-სახელმწიფო სალიზინგო კომპანიების შექმნის ხარჯზე ეკონომიკის სასიცოცხლო, თუმცა ნაკლებმომგებიან სფეროებში. ასე მაგალითად, მოცემულ მომენტში სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვის მაჩვენებელმა კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია და სალიზინგო კომპანიების განვითარების გარეშე, ნაკლებად შესაძლებელია არსებული სიტუაციის გამოსწორება.

მიუხედავად იმისა, რომ ლიზინგი ხელმისაწვდომს ხდის საწარმოებისთვის (მათ შორის მცირე საწარმოებისათვისაც) ბევრი სახის ძვირადღირებულ მოწყობილობას (რომლებზეც მოთხოვნა წარმოიშობა პერიოდულად; მაგალითად, სკსსს-ის ჩატარებისას ან ვიწრო-სპეციალიზებული პროდუქციის წარმოებისას), მისი ფართო განვითარება საქართველოში ფერხდება საინვესტიციო სფეროში, საერთო კრიზისით, ლიზინგური მომსახურების განვითარებული სამართლებრივი ბაზის არარსებობით და სხვა მრავალი ფაქტორით.

4.3. დაზღვევა ინოვაციურ სფეროში

ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებს და მათ კუთვნილ მატერიალურ თუ სხვა ფასეულობებს მიდრეკილება აქვთ სხვადასხვა საშიშროებისაკენ, რომლებიც ხელს უშლის ინოვაციური პროდუქციის წარმოების ეფექტიანობას. ეს საშიშროებები, ანუ მდგომარეობა, რომელიც გაუთვალისწინებლობის გამო არ შედის გათვლაში, შეიძლება იყოს ფიზიკური, რომლის საფუძველია ბუნებრივი და ტექნოლოგიური ფაქტორები, ასევე – საზოგადოებრივი, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკური, საზოგადოებრივი და სახალხო მეურნეობის ეკონომიკური სისტემების ორგანიზაციის ხასიათთან. იმ საშიშროებათა აღრიცხვა და ნეიტრალიზება, რომელიც ემუქრება ინოვაციურ სფეროს, შეუძლებელია, იმდენად, რამდენადაც არსებობს ზარალის წარმოშობის რისკი.

საშიშროება (განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი) მეტწილად

ემუქრება მეწარმეს. მისი საქმიანობა, როგორც მფლობელისა და ინოვაციურ პროცესებში ჩართული ფასეულობების გამომყენებლისა, დეტერმინირებულია გაუთვალისწინებელი მიზეზების ერთობლიობით, რომლებიც მას ზარალით ემუქრება. საზოგადოებრივი საშიშროების პერმანენტულობა განპირობებულია საქონლის ალტერნატიულ ღირებულებაზე გავლენის მქონე მიზეზებით.

საქონლის ფასის განმსაზღვრელი ფაქტორები ხასიათდება არამდგრადობით; თვით ფასი დამოკიდებულია დოვლათის სარგებლიანობასა (სუბიექტური ფაქტორი) და მის ღირებულებაზე (ობიექტური ფაქტორი). სარგებლიანობა, თავის მხრივ, დამოკიდებულია მოთხოვნასა და მიწოდებაზე, ხოლო ღირებულება — წარმოების დანახარჯების მერყეობაზე, ამიტომ რესურსები ექვემდებარება დანაკარგების საშიშროებას. ეს საშიშროებები სრულადაა დამახასიათებელი ინოვაციური შრომისა და ინტელექტუალური პროდუქტებისათვის. ამის გარდა, გასათვალისწინებელია, რომ გამოყენებული ინტელექტუალური პროდუქტის ღირებულება მნიშვნელოვნად მეტია ნორმალურ ღირებულებაზე, სახალხო მეურნეობაში მათ ჩართვამდე. ხოლო საშიშროება, რომელიც ემუქრება პირად საკუთრებაში მყოფ რესურსებს, ზრდის მათ სუბიექტურ ღირებულებას მეპატრონისათვის.

ინტელექტუალური ობიექტების (ინოვაციური პროდუქტების) მფლობელთათვის სერიოზული საშიშროება იმაშია, რომ მათში განხორციელებულმა მატერიალურმა დოვლათმა შეიძლება ღირებულების დაკარგვით თავისი საზოგადოებრივი სარგებლიანობა დაკარგოს. ეს ძირითადად ეხება კრედიტორებსა და ვენჩურულ კაპიტალისტებს და განიხილება, როგორც საშიშროება იმ ფასეულობათა დაუბრუნებლობისა, რომელიც დროებით სარგებლობაშია გაცემული მესამე პირისათვის.

საზოგადოებრივ საშიშროებას უნდა შეუერთდეს ტექნიკური რისკი, რომელიც ითვალისწინებს ტექნოლოგიური პროცესების ცვალებადობას, რაც, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს არასაკმარისმა დაფინანსებამ, შეფერხებებმა მომარაგებასა და გასაღებაში, მოწყობილობის დაზიანებამ, მატერიალურ-სანედლეულო და შრომითი რესურსების გამოყენების ნორმების დარღვევამ.

საზოგადოებრივი საშიშროება იყოფა:

– საზოგადოებრივ-დამანგრეველად ანუ შრომითი, მატერიალური და იდეალური სიკეთის ღირებულების სრული ან ნაწილობრივი დანაკარგის მომტანად;
– საზოგადოებრივ-გამანაწილებელი ანუ შრომითი, მატერიალური და იდეური სიკეთის შემამცირებელი მხოლოდ მეურნეობის ცალკეული სუბიექტებისათვის;

ყოველგვარ საშიშროებას მივყავართ დოვლათის კერძო სამეურნეო ფასეულობების დანაკარგებამდე.

საშიშროებებმა შეიძლება გამოიწვიონ შემდეგი შედეგები:

1. შრომის მიმართ დანაკარგები – გაუთვალისწინებელი დანაკარგებიდან გამოისახება იმ განსაკუთრებული დანახარჯების სახით, რომლებიც გავლენას ახდენს: ხელფასზე (რომლის დონე სიცოცხლის შენარჩუნებისათვის საჭირო დანახარჯებზე მეტი უნდა იყოს), ინოვაციური პროცესების დროს სამუშაო ძალის შრომისუნარიანობის შენარჩუნებაზე, შემდგომი თაობის მუშაკების აღზრდასა და განათლებაზე, დანახარჯებზე (რომლებიც ხორციელდება ავადმყოფობის, ინვალიდობის, უმუშევრობისა და მოხუცებულობის პერიოდში. მთლიანობაში ხელფასმა უნდა შეადგინოს სიდიდე, რომელიც უზრუნველყოფს ცხოვრების გარკვეულ დონეს.
2. ინტელექტუალურ ან მატერიალურ პროდუქტთან მიმართებაში – საშიშროების არსებობა ზრდის მათ ალტერნატიულ ღირებულებას. ღირებულების მოცემული გადამეტება საშუალებას იძლევა დაიფაროს დანახარჯები ინოვაციური პროდუქტების . ცალკეული ეგზემპლარების განმეორებით შექმნასა და ათვისებაზე, მათი განადგურების ან პირველი ნიმუშის უხარისხოდ შესრულების დროს. ამასთან, თავისთავად ღირებულებაზე გადამეტება წარმოადგენს მეურნეობის სუბიექტის შემოსავალს.

დანახარჯები, გამოწვეული ე.წ. „არშემდგარი“ ეგზემპლარებით, აგრეთვე შრომისუუნარო დღეებით, უნდა მიეკუთვნოს წარმოების „მკვდარ“ დანახარჯებს და ჩაითვალოს კონკრეტული სამეურნეო ობიექტის ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანახარჯებში. აღნიშნული დანახარჯები აღდგენილი უნდა იქნეს პროდუქტის ფასიდან, სხვანაირად საინოვაციო სფერო საზოგადოებისთვის საჭირო ზომით

ვერ შეძლებს არსებობას. ეს დებულება ეხება წარმოების ყველა ფაქტორს და შესაბამისად საშიშროების ყველა სახეს, რომელიც ემუქრებოდა ინოვაციურ პროცესებს.

თუ პირდაპირი დანახარჯები მეწარმეების მიერ წინასწარ იმ ზომით და დროის მონაკვეთში იგეგმება, რომელშიც ისინი უნდა განხორციელდეს, და ამასთან ერთად არსებობს გარანტია მათი ანაზღაურებისა, მაშინ „მკვდარი" ხარჯები დამოკიდებული იქნება შემთხვევითობაზე. მათი დრო და მოცულობა განისაზღვრება სავარაუდოდ, რაც ხშირად ემყარება წინა გამოცდილებას. ამასთან "მკვდარი" ხარჯები ხორციელდება მანამდე, სანამ მიღებული იქნება მათი ანაზღაურება.

იმ შემთხვევაში, თუ საშიშროების რეალიზაცია არ მოხდება, მათი დაფარვისათვის გამიზნული სახსრების ნაწილი მოგების სახით დარჩება ინოვაციური პროცესების მონაწილეს. ამ სახით დანახარჯებს ეწევა ინოვაციურ საქმიანობაში ჩართული და საშიშროებას დაქვემდებარებარებული ყველა სამეურნეო სუბიექტი. ეს ხარჯები შეიძლება საერთოდ არ განხორციელდეს, თუმცა ივარაუდება მათი შესაძლებლობა: მათმა დონემ შეიძლება მიაღწიოს საწარმოს სიცოცხლისუნარიანობისათვის საშიშ დონეს, ხოლო დაფარვის წყაროები მას იშვიათად შეესაბამება.

ყოველივე ეს გულისხმობს კაპიტალის იმ წილის აკუმულაციას, რომელსაც ფლობენ მეწარმეები „მკვდარი" დანახარჯების ასანაზღაურებლად. მიუხედავად ამ წილების არსებობისა, მათი ზედმიწევნით ზუსტად დადგენა შეუძლებელია.

საერთო წესების მიხედვით, პროდუქციის მომხმარებელი ანაზღაურებს მის შექმნასა და რეალიზაციაზე შრომის მთელ დანახარჯებს, რაც სრულად მიეკუთვნება „მკვდარ" დანახარჯებს იმ შემთხვევაშიც, თუ რისკის მატარებელი და მომხმარებელი სხვადასხვა პირები არიან.

ინოვაციურ სფეროში რისკის პირველადი მატარებელი – მეურნეობის სუბიექტი (მეწარმე) – "მკვდარ" დანახარჯებს გადასცემს მატერიალური წარმოების სიახლეების მომხმარებელს. შესაბამისად, შემოსავლების (ხელფასი, პროცენტი და მოგება) შემადგენლობა მოიცავს ჯილდოს რისკისათვის. რისკების სხვადასხვაობაში არის რაღაც საერთო. ასე მაგალითად, საჭიროა ვალიაროთ, რომ სამეწარმეო

დანაკარგები – ესაა განსაკუთრებული სახის დანახარჯები, დაკავშირებული იმ შრომითი, ინტელექტუალური და მატერიალური რესურსების გამოყენებასთან, რომლებიც გაერთიანებულია "მკვდარ" დანახარჯებში.

ინოვაციური საქმიანობისას მეწარმეობა, რომელიც ვლინდება გონებრივ ძალისხმევასა და პირად საქმიანობაში, მეწარმეს პირდაპირ დამოკიდებულებაში აყენებს ინოვაციის შემოსავლებთან და კომერციულ წარმატებებთან. შესაბამისად მეწარმეობის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს რისკი და პასუხისმგებლობა საკუთარი და ნასესხები რესურსების შენარჩუნებისა და გამრავლებისათვის.

რისკი დამახასიათებელია ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მეწარმეობისათვის. მიღებული შემოსავლების რისკისადმი დაქვემდებარებულობა საშუალებას იძლევა მეწარმეთა კატეგორიას მიეკუთვნოს ამხანაგი, კომანდიტი, საწარმოო კოოპერატივების წევრი, აქციონერი და, ბუნებრივია, ინდივიდუალური მეწარმე. მეორე მხარე მეწარმეობისა – პასუხისმგებლობა – დაკავშირებულია როგორც სამეურნეო კავშირების, ისე თვით საწარმოს მთლიანობის შენარჩუნებასთან. რისკი შეიძლება დანაწევრდეს, ხოლო პასუხისმგებლობა კი განაწილდეს სამეწარმეო კაპიტალის შესაბამისად, სადაც სვადასხვაგვარი შეხამებაა, კერძოდ:

- გაუნაწილებელ რისკთან დაკავშირებულია განუსაზღვრელი პასუხისმგებლობა, როგორც ერთობლივ საწარმოში, ისე ინდივიდუალურ სამეწარმეო საქმიანობაში.
- განაწილებული რისკის დროს არსებობს თანაზომიერი განსაზღვრული პასუხისმგებლობა (შ.პ.ს., სააქციო საზოგადოება და სხვა).
- თანაზომიერ რისკს თან ახლავს განუსაზღვრელი პასუხისმგებლობა საწარმოო კოოპერატივებსა და ამხანაგობებში. კომანდიტები რისკისა და პასუხისმგებლობის მხრივ აქციონერების მდგომარეობაში არიან, მაგრამ განსაზღვრული სარგებელი რისკთან დაკავშირებით აქვთ, საზოგადოების განმკარგავებთან შედარებით.

გაუნაწილებელი რისკი, განუსაზღვრელი პასუხისმგებლობით, შესაძლებელია მხოლოდ სამეწარმეო კაპიტალის მეწარმე პიროვნებასთან ურთიერთშერწყმის დროს, როგორც მაგალითად,

ინდივიდუალური მეწარმეობის შემთხვევაში. სწორედ ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შემთხვევაში მეწარმეობა გაუნაწილებელ რისკში უფრო დიდ სტიმულს პოულობს, რადგან წარმატების შემთხვევაში იგი ინარჩუნებს მთლიან შემოსავალს. იმავდროულად დანაკარგების განსაზღვრულ გამაფრთხილებლად გვევლინება შეზღუდული პასუხისმგებლობა. მეწარმესთან ურთიერთობაში, საწარმო არის ყველაზე თანმიმდევრული ორგანიზაციული ფორმა, განსაკუთრებით მაშინ, როცა სამეურნეო ბრუნვა ხორციელდება ერთი პირის მიერ და როცა ამ დროს რეალიზდება მეურნეობრიობის ყველა მოთხოვნა. საწინაალმდეგო ვლინდება, როდესაც ერთ პიროვნებას არ შეუძლია საქმის წაყვანა. ამ შემთხვევაში მეწარმეობა იცვლება დაქირავებული მმართველობითი შრომით, რომელიც არ ეწევა რისკს და იშვიათად ინაწილებს სამეურნეო პასუხისმგებლობას, რაც აქვეითებს ინიციატიურ საქმიანობას წარმოების განვითარების კუთხით, ხოლო ზოგჯერ კი — მისი პოტენციალის შენარჩუნებასაც. თვით მეწარმის არყოფნა ისე, რომ ადგილი არ ჰქონდეს საწარმოო პროცესებში დანაკარგებს, შესაძლებელია იქ, სადაც წარმოება ხელმისაწვდომია ყოველმხრივი კონტროლისათვის. ეს არის აგრეთვე მიზეზი ფინანსური კაპიტალისტების, სასესხო კაპიტალის მფლობელთა ფენის ჩამოყალიბების, რომელსაც არ აქვს საშუალება, დამოუკიდებლად უხელმძღვანელონ საწარმოო-კომერციულ წარმოებას, და ცუდად იცნობენ თანამედროვე ტექნოლოგიებს. გადაცემა ქირით, არენდით, ლიზინგით შედარებით ნაკლებ მეწარმეობრივ უნარს ითხოვს და ნაკლებ რისკთან არის დაკავშირებული, რომელიც თავის მხრივ სავსებით აცილებადია დაზღვევით პროცენტებში და ამცირებს ფინანსური კაპიტალის პასუხისმგებლობას. მაგრამ სასესხო კაპიტალის ნებისმიერი ჩადება ატარებს მეწარმეობრივ სახეს, რაც გულისხმობს დაზღვევის განხორციელებას საფინანსო-საკრედიტო სფეროშიც.

ამრიგად, საწარმოზე რისკისა და პასუხისმგებლობის დაკისრების პირველ ზღვარს წარმოადგენს თვით საწარმოს შესაძლებლობები. იმდენად, რამდენადაც რისკი და პასუხისმგებლობა სამეწარმეო კაპიტალს ეკისრება იმ ზომით, რომელიც აღემატება ცალკეული მონაწილის ქონებას, მეწარმეობის მეორე ზღვარს თვით საწარმოს ზომა წარმოადგენს. რისკისა და პასუხისმგებლობის დანაწევრებას ხშირად მივყავართ მისი ინიციატივის შემცირებამდე, რისკის

შეზღუდვამდე.

კორპორაციებში წარმოების მასშტაბის გაზრდა, ასევე სიახლეების გამოყენების შესაძლებლობა გულისხმობს რისკის გაზრდას და აქციონერების, პაიების და წილების მფლობელთა პასუხისმგებლობის გადანაწილებას. ამხანაგობებსა და საწარმოო კოოპერატივებში რისკის გადანაწილების დროს შენარჩუნებულია განუსაზღვრელი პასუხისმგებლობა საქმიანობის შედეგებზე, რაც აძლიერებს ასეთი საწარმოს საკრედიტო ძალას და მათ სამეწარმეო პოტენციალს, იცავს მესაკუთრეებს კონფლიქტისაგან. განუსაზღვრელ პასუხისმგებლობას მივყავართ ასეთი წარმონაქმნების მონაწილეთა შემცირებამდე, რაც საქმიანობაზე აფართოებს პიროვნული კონტროლის შესაძლებლობებს.

სახელმწიფო საწარმოში რისკი იხსნება საბიუჯეტო დაფინანსების გამო, რასაც ხშირად მივყავართ ბრუნვის ზომაზე მეტად გაფართოებისაკენ, მუდმივი კაპიტალის წილის დაუსაბუთებელ ზრდამდე, კრედიტების არარაციონალურ გამოყენებამდე და სხვა.

საწარმოო რესურსების უშუალო ოპერაციულ მართვას, როგორც დანამატს სამეწარმეო საქმიანობისა, შეუძლია უბრალოდ საქმის წარმოებაზე უბრალო გავლენიდან მივიდეს პირდაპირ შემსრულებელ შრომამდე. ამასთან, მესაკუთრეები შესაძლებელია იმდენად ჩამოშორდნენ სამეურნეო საქმიანობას, რომ მათ დარჩეთ მხოლოდ შეზღუდული გავლენა წარმოების მართვაზე, ხოლო საქმის უშუალო წარმოება გადაეცემა დაქირავებულ შრომას.

რისკი და პასუხისმგებლობა, ინოვაციური საწარმოს დაფუძნებისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებებისა და საწარმოო კოოპერატივებისათვის (მისი წევრების გამოუცდელობის გამო).

საზოგადოებაში თვით ინოვაციური ფორმის დაფუძნება ხდება სამეწარმეო საქმიანობის საგანი (სახსრების მიღება, ბიზნეს-გეგმის შემუშავება, აქციებზე ხელმოწერის ორგანიზება). ამასთან, ეს რისკი და პასუხისმგებლობა მისი დამფუძნებლებისთვის ხშირად ძალიან მოჩვენებითია, ხოლო ფირმის მომგებიანობა იზრდება აქციის კურსის ზრდით მათი გამოშვებისთანავე. ამან განსაზღვრა ვენჩურული დაწესებულებების, ინოვაციური ფონდების წარმოშობის საჭიროება, რომლებიც წარმოადგენენ შუამავლებს დამფუძნებელთა ანგარიშზე აქციის გაყიდვაში, ან უშუალოდ ყიდულობენ მათ უკანასკნელებისაგან.

შემსრულებელზე (მენეჯერზე) პასუხისმგებლობის გადაცემისას საჭიროა შემსრულებლის მისწრაფების გათვალისწინება იმისათვის, რომ თავისი საქმიანობა საკუთარი სარგებლიანობის მისაღებად წარმართოს, მისთვის მინდობილ ინოვაციურ საწარმოში მომგებიანი ოპერაციების განხორციელებით. ეს საშიშროება შეიძლება შემცირდეს დაზღვევის ისეთი სისტემის ხარჯზე, რომელიც გამოიწვევს სხვადასხვა სახის სასჯელს არაკეთილსინდისიერი მოქმედებისათვის და, პირიქით, მენეჯერის წილობრივი წახალისებით, — ინოვაციური საწარმოს ეფექტიანობის ამაღლებას.

აქციონერული ფირმა და ამხანაგობა ნდობაზე დამყარებული წარმოების ორგანიზაციის ის ფორმებია, რომელშიც სამეწარმეო კაპიტალს უპირატესად მუდმივი, ხოლო საბრუნავს — უცვლელი ფორმა აქვს და ადვილად კონტროლირებადია.

ინოვაციის განსახორციელებლად მეწარმე, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილების თავისუფლად მიღება და ხელმძღვანელობს პირადი ინტერესებით, ცვლის საკუთარ და ნასესხებ კაპიტალს რეალურზე და სამუშაო ძალაზე. ინოვაციური პროდუქტის შექმნის შემდეგ, იგი რეალიზდება და წარმოების ფაქტორების შეძენის აქტი კვლავ მეორდება შემდგომი ინოვაციური საქმიანობის მიზნით, ვინაიდან ინოვაციური პროცესი თავისი განხორციელებისა და უწყვეტი გაგრძელებისათვის საჭიროებს განმეორებად გაცვლით ოპერაციებს.

შემოსავლების წყაროს ფლობის დიფერენციაცია იწვევს რისკების ინტენსიფიკაციას, რაც სრულად ეხება ინოვაციურ სფეროსაც და მოითხოვს ისეთი მეთოდების შემუშავებას, რომელიც მოხსნის სტიქიურ და საზოგადოებრივ საშიშროებებს, ან შეამსუბუქებს მათ. მათ შორის. განმსაზღვრელია თვითდაზღვევა და სადაზღვევო დაცვა — არასასურველი შედეგების შემცირების ხერხების ერთობლიობა. დაზღვევა არის ადამიანების სამეურნეო საქმიანობის აუცილებელი დანამატი.

სადაზღვევო საქმიანობა, როგორც წესი, იყოფა მოქმედებისა და დანახარჯების სამ სახეობად: სამეურნეო ზარალის თავიდან ასაცილებელი, აღმკვეთი და ამნაზღაურებელი. კომერციული დაზღვევა ეფუძნება სამეურნეო სუბიექტების დროულ ხარჯებს, გამანადგურებელი ზარალის აღკვეთის მიზნით. გამაფრთხილებელი განსხვავებულია სხვადასხვა მოვლენის მიხედვით:

- გაუთვალისწინებელი მოვლენებისადმი, რომლებიც შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს თანაბარი ალბათობით.
- შემასუსტებელი ეკონომიკური შედეგებისა იმ გარდაუვალი მოვლენისაგან, რომელთა დადგომის ვადები უცნობია.

პირველ შემთხვევაში,დაზღვევაში მოქმედებს იგივე პრინციპები, რაც თამაშთა თეორიაში. მეორე შემთხვევაში უბედურების, ბოროტების მუხტი გათვალისწინებადია. ამდენად, დაზღვევა მიეკუთვნება საეჭვო მოვლენებს, ან შეიძლება იყოს მოვლენის საგანი, რომელიც აუცილებლად დადგება, მაგრამ არ არის განსაზღვრული დრო და ადგილი მათი დადგომისა. ამან განაპირობა დაზღვევის, როგორც სამეურნეო პროცესის ორგანიზება.

სამეურნეო სუბიექტების დაცვის ფუნქციას ახორციელებენ სადაზღვევო საზოგადოებები. არასასურველი მოვლენები შეიძლება მოულოდნელად გამოვლინდეს და მოითხოვოს თავის დასაფარავად მნიშვნელოვანი სახსრები. მეორე მხრივ, შეიძლება ის დიდი ხანი არ გამოვლინდეს, რაც დიდი ხნით თავისუფალი კაპიტალის სარგებლიანად გამოყენების საშუალებას იძლევა.

მოვლენის დაზღვევას, რომელიც აუცილებლად დადგება, აქვს სხვანაირი ხასიათი, იმდენად რამდენადაც ეფუძნება მონაცემებს, რომლებიც საშუალებას იძლევა, მიახლოებით მიუთითოს მათი დრო. აქ შეიძლება განისაზღვროს მაქსიმალური ზარალი, განაწილდეს საშიშროება წილობრივად მათზე, ვინც მას დაექვემდებარა. ზარალის გადანაწილების შესაძლებლობა პარტნიორებს შორის წილობრივად ეფექტიანს ხდის მონაწილეთა ურთიერთდაზღვევას.

არასასურველი მოვლენების გამოვლენის თავისებურებებთან დაკავშირებით, შესაძლებელია დაზღვევის ორნაირად ორგანიზება: ან კაპიტალის (საზოგადოება, სადაზღვევო კომპანია) გაერთიანებით, ან შრომითი ძალისხმევისა და მონაწილეთა (საწარმოო კორპორაციები) შენატანებით, რომლებიც არ ითხოვენ მნიშვნელოვან ერთდროულ გადახდებს.

აშშ-ს სადაზღვევო კომპანიები სთავაზობენ 3000 სადაზღვევო პროდუქტს, ხოლო რუსეთში მხოლოდ 60-ს; აშშ-ს სადაზღვევო ბიზნესში დაკავებულია 2 მილიონზე მეტი ადამიანი. გლობალურ ქსელში მომხმარებელს დაწვრილებითი ინფორმაციის ნახვა შეუძლია თითქმის ყველა მსხვილ სადაზღვევო კომპანიასა და იმ მომსახურებაზე,

რომელსაც ისინი სთავაზობენ. ზოგჯერ ასეთი კომპანია იძლევა ინტერნეტ-მომსახურებას ხელშეკრულების გაფორმებაზე.

ინოვაციური საქმიანობა დაკავშირებულია საშიშროებებთან, რომელთა დონე დეტერმინირებულია მათი მონაწილეების კვალიფიკაციით, ასევე მათ მიერ პარტნიორების სანდოობის განსაზღვრის, პროექტების პერსპექტიულობის შეფასების, გარე სფეროში რყევებთან ადაპტირების, ეფექტიანი სამმართველო გადაწყვეტილების მიღების უნარით.

ინოვაციურ საქმიანობაში კაპიტალის ძიების დროს ერთ-ერთ გარანტად გამოდის მენეჯერული გუნდის მაღალი პროფესიონალიზმი. ინოვაციური მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფცია გამოიყენება ეფექტიანი ინოვაციური იდეის შერჩევისას, დაფინანსების წყაროების მოძიებისას, კოოპერირების ოპტიმალური ფორმის შერჩევისა და პარტნიორების ძიებისას, ინოვაციური პროექტის რენტაბელობის ამაღლების მიმართულებათა განსაზღვრისას, ნოვატორული პროდუქტის რეალიზაციის მართვისას და სხვა. მრავალი ძველი ფირმის დირექტორს არ შეუძლია ინოვაციური პროცესების დანერგვის ორგანიზება. ამიტომ წარმოებული ინოვაციური პროექტები რეალიზებულია ახალ ან მცირე საწარმოებში.

მეწარმე-ნოვატორის მრავალფეროვანი ფუნქცია განჭვრეტს მოცემული საქმიანობიდან დიდი რისკის დადგომის საშიშროებას, არსებობს რამდენიმე ხერხი ინოვაციურ საქმიანობაში რისკისაგან თავის დაცვისა: თვითდაზღვევა, ხეჯირება, ფიუჩერსული გარიგებების დადება და დაზღვევა.

დაზღვევა ინოვაციურ სფეროში — ეს არის დამცავი ღონისძიებების ერთობლიობა, მიღებული მათი მონაწილეების მიერ მოსალოდნელი ზარალის ან ინოვაციური საქმიანობის შემდეგ გაშვებული სარგებლიანობის, რაც განპირობებულია სტიქიური ან საზოგადოებრივი საშიშროებებით.

დაზღვევის ობიექტებს, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობით დაკავშირებული მონაწილეების ქონებრივი ინტერესები, რაც მოიცავს იდეის შერჩევას, დამუშავებას, სიახლეების შექმნა-ათვისებას, ფინანსურ უზრუნველყოფას, მარკეტინგულ თანხლებას და სხვა. სადაზღვევო პასუხისმგებლობის აღებისას, დამზღვევი ეყრდნობა დაზღვევას დაქვემდებარებულ მოვლენათა

ალბათურ და სხვ. სადაზღვევო პასუხისმგებლობის აღების საკითხის გადაწყვეტისას დამზღვევი ეყრდნობა იმ მოვლენის სავალბათო ბუნებას, რომელიც ექვემდებარება დაზღვევას, მათ მიუწვდომლობას დამზღვევის ნებისა და კომპეტენტურობისათვის, რაც ზღუდავს მათ წვრეს მხოლოდ იმით, რომ ობიექტურ ხასიათს ატარებს.

ინოვაციის დაზღვევა უზრუნველყოფს:

- საწარმოო კაპიტალისათვის არასასურველი მოვლენის დადგომისას ზარალის ანაზღაურებას;
- იმ ირიბი (არაპირდაპირი) ზარალის დაფარვას, რომელიც დაკავშირებულია დაზღვევის მიერ ინოვაციური საქმიანობის განხორციელებასთან;
- იმ ფინანსური საშუალებების დაცვას, რომლებიც ინვესტირებულია ფინანსურ სფეროში.

ინოვაციური სფერო მასში რისკის დიდი ხარისხის გამო გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს სადაზღვევო ურთიერთობათა მონაწილეებს. მზღვეველი ვალდებულია დამზღვევს წარუდგინოს რეგისტრაციის მოწმობა, საქმიანობაზე ლიცენზია და პატენტი, რომელიც ექვემდებარება დაზღვევას; გახსნას ყველა გარემოება, რომელიც მოქმედებს რისკის დონეზე; ცნობები პარტნიორების შესახებ, დაგეგმილი ეკონომიკური მაჩვენებლები, რესურსული უზრუნველყოფის წყაროები.

ინოვაციური სფეროს სუბიექტები ფუნქციურად გაერთიანებულნი არიან ინავაციური საქმიანობის მიზნებით და ამოცანებით, ტექნოლოგიური პროცესების მსგავსებით. ფუნქციური წარმონაქმნების შიგნით ყალიბდება მისწრაფება სადაზღვევო ინტერესებისადმი: ინვესტორების, მეწარმეების, მეპატრონეების, ინჟინერულ-ტექნიკური შემადგენლობის, კომერციისა და მარკეტინგის სპეციალისტებისა. ამ წარმონაქმნთა საზღვრები განისაზღვრება ფუნქციონირებადი კაპიტალის შექმნილი სიახლის მეპატრონეთა უფლებებით, რაც დოკუმენტურად აისახება კონტრაქტებსა და ხელშეკრულებებში.

სიახლის შექმნის ინიციატორები, და შესაბამისად, რისკის ძირითადი მატარებლები არიან მეწარმეები, რომლებიც გახდნენ საბანკო სესხების ამღებები და თავის თავზე აიღეს პასუხისმგებლობა მომხმარებელთა წინაშე.

ინვესტორები (ვენჩურული კაპიტალისტები) ექვემდებარებიან კრედიტულ და სპეკულაციურ რისკს. განსხვავება ყველა შემთხვევაში

ჩადებულია საბოლოო ფასში და ანაზღაურდება ინოვაციური პროდუქციის მომხმარებლის მიერ. თუ ინვესტორი არ ითხოვს მეწარმისაგან დაზღვევას, იგი ობიექტურად რთავს ყველა რისკს, რომელიც ნოვატორის მოქმედებასთან არის დაკავშირებული, სასესხო პროცენტში, რითაც რეალიზდება თვითდაზღვევის მექანიზმი. ამ სიტუაციაში ხშირად გამოიყოფა ქონებრივი რისკი და მსესხებლის გადახდისუუნარობის რისკი. მეწარმე შედის სუბიჯარულ ურთიერთობაში კონტრაგენტთან, ანაწილებს შეკვეთებს ინოვაციური პროექტის ცალკეული ეტაპების რეალიზაციის მიხედვით და მათ აკისრებს პასუხისმგებლობის შესაბამის წილსაც.

ბაზრის პირობებში დროის ფაქტორის გათვალისწინებით, მეწარმისათვის პრიორიტეტული ამოცანაა სიახლის შექმნისა და რეალიზაციის პროცესის უწყვეტად განხორციელება და საჭირო ხარისხის უზრუნველყოფა. ეს განსაზღვრავს სადაზღვევო ფონდის ფორმირებას, ინოვაციური პროცესების მონაწილეთა ურთიერთდაზღვევის პრინციპებზე. მისი შექმნის შეუძლებლობის შემთხვევაში ზარალის ანაზღაურება ხორციელდება დამზღვევთან მიმართვის გზით.

ინოვაციური დაზღვევა საჭიროა დაიყოს ისეთი მიმართულებებად, როგორიცაა ინოვაციური სფეროს სუბიექტების სადაზღვევო უზრუნველყოფა და ინოვაციური პროცესების სტადიური დაზღვევა, რაც ასახავს დამზღვევის პასუხისმგებლობის განსხვავებულობას სადაზღვევო დაფარვაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სიახლის რეალიზაციისა და ათვისების ეტაპებს მატერიალურ წარმოებაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია რისკი:

- დაკარგვა, ნიმუშისა და ერთეული ეგზემპლიარების დაზიანება;
- საკუთრების უფლებების დარღვევა (მეკობრული კოპირება);
- კონკრეტული საწარმოს პირობებში ახალი პროდუქციის ათვისების შეუძლებლობა, რაც ითხოვს დამატებით დანახარჯებს აღნიშნული ზარალის ასანაზღაურებლად.

მასობრივი წარმოების სტადია ხასიათდება საწარმოს მუშაობის მდგომარეობით და მისი საბაზრო კონიუნქტურაზე დამოკიდებულობით. ამასთან რისკებს აქვს სამეწარმეო ხასიათი და ითხოვს საკმაოდ დიდ სახსრებს პროდუქტზე მოთხოვნის სტიმულირებისათვის.

როგორც ერთეული, ისე მასობრივი წარმოების მიმდინარეობისას საჭიროა აღინიშნოს ინოვაციური საქმიანობის მონაწილეთა, პირველ

რიგში, დაქირავებულ მუშაკთა პირადი დაზღვევის როლი, აგრეთვე საწარმოს მიერ გარემოს და მესამე პირისთვის ზარალის მიყენების შემცირების აუცილებლობა.

კომპლექსური სადაზღვევო დაცვა თავის თავში მოიცავს სამეწარმეო რისკის დაზღვევასაც და მესამე პირთან პასუხისმგებლობასაც. ქონების დაზღვევის მიზანია იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც საჭიროა დაკარგული ან დაზიანებული ქონების ნაცვლად ახლის შესაძენად. დაზღვევის მოცემული სახეობა ანაზღაურებს სტიქიური ან ტექნოგენური წარმოშობის ზარალს. დაზღვევის ობიექტების მიხედვით გამოყოფენ ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის დაზღვევას, ხოლო სადაზღვევო შემთხვევების მიხედვით განასხვავებენ დაზღვევას ცეცხლისაგან, წყლისაგან და ტექნიკური გაუმართაობისაგან.

კომერციულ-ფინანსური რისკის დაზღვევა გულისხმობს მზღვეველისთვის დაკარგული სარგებლიანობის ან დამატებით გაწეული ხარჯების ანაზღაურებას. აქ გამოიყოფა დაზღვევის ცალკეული სახეები: ინვესტიციების, ფინანსური გარანტიების, კომერციული კრედიტების დაზღვევა. წარმოების სტადიაში მყოფი კაპიტალის დაზღვევა გულისხმობს ზარალის კომპენსაციას სამეურნეო საქმიანობაში, შესვენებების გარეშე.

აღსანიშნავია დაცვის ისეთი სახეობა, როგორიცაა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა. დაზღვევის ხელშეკრულება ამ შემთხვევაში მზღვეველს იცავს იმ ფინანსური დანაკარგებისაგან, რომელიც შეიძლება მას დაეკისროს სასამართლო სარჩელით მესამე მხარისთვის ზარალის ასანაზღაურებლად. მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის დაზღვევის მოცემული სქემა იცავს მესამე პირის ქონებრივ ინტერესებსაც, იმდენად რამდენადაც ზარალის მომყენებელ მხარეს შესაძლოა არ აღმოაჩნდეს ზარალის ანაზღაურებისათვის საკმარისი სახსრები.

ინოვაციური საქმიანობის განხორციელების პროცესში გამოყოფენ:

- სამუშაოს მიმცემთა პასუხისმგებლობის დაზღვევას მუშაკთა ჯგამრთელობისთვის ზიანის მიყენებისათვის, მათ მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს;
- საქონლის მწარმოებელთა მიერ წარმოებული პროდუქციის მოხმარებით მიყენებული ზიანის დაზღვევას;

- წარმოების პასუხისმგებლობის დაზღვევას, რაც დაკავშირებულია გარემოს დაბინძურებასთან;
- სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისას მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევას;
- ვალდებულებათა შეუსრულებლობის დაზღვევას.

ინოვაციურ სფეროში ხშირია მეწარმის მიერ დაქირავებულ პირთა დაზღვევა; ასეთები არიან: ინჟინერი, ფინანსისტი, მენეჯერი. დაზღვევის მოცემული სახეობის მიზანია აღნიშნული პროფესიების წარმომადგენლთა არასწორი მოქმედების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა.

ინოვაციური პროცესისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია ოპერაციები, რომელშიც ობიექტად გვევლინება ინტელექტუალური საკუთრება, საწარმოთა ის ფონდები, რომლებიც ახორციელებს: სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო სამუშაოებს, და, აგრეთვე ტექნიკური და საკრედიტო რისკის შემცველი სიახლეების დამუშავებისა და ათვისების პროცესებს.

ინოვაციურ საწარმოებს ძალიან სჭირდებათ დაზღვევის სახელმწიფო და კერძო ფონდები, შესაძლო ინოვაციური მეწარმეობის წარუმატებლობის, რისკის სხვა ფორმების კომპენსაციისათვის; რამდენადაც ინოვაციურ საქმიანობას კომერციული რისკის მაღალი ხარისხი ახლავს. ასე, მაგალითად, აშშ-ს საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების 50-60% არასდროს არ იქცევა ახალ პროდუქციად, ხოლო სიახლეთა 30% მათი ბაზარზე გამოჩენიდან მცირე დროის შემდეგ აღარ არის მომგებიანი.

ინოვაციურ საქმიანობაში მაღალი რისკიანობა გულისხმობს საკუთრების უფლებათა ბაზრის მონაწილეების (ინტელექტუალური საკუთრების და უძრავი ქონების ბაზრის აგენტების, ნოტარიუსების, კონსულტანტების და ა.შ.) პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენებას. თუმცა სადაზღვევო დაფარვის თანხა ლიმიტირებულია და იგი ვრცელდება მხოლოდ კონკრეტული პირების უშუალო შეცდომებისა და გამიზნული მოქმედებების შემთხვევებზე.

ინოვაციური საქმიანობის მონაწილეთა სადაზღვევო დაცვის განმსაზღვრელ მომენტს სატიტულო დაზღვევა წარმოადგენს. იგი მოწოდებულია, უზრუნველყოს სამეურნეო ბრუნვაში ჩართული

ინტელექტუალური პროდუქტისა და წარმოების მატერიალურ-ნივთიერი საშუალებების მესაკუთრეთა ინტერესების დაცვა. სატიტულო დაზღვევა არის საკუთრების უფლებათა გადაცემასთან დაკავშირებულ მფლობელთა, არენდატორთა, კრედიტორთა და სხვა დაინტერესებულ პირთა ქონებრივი ინტერესების დაზღვევის განსაკუთრებული სახე. ეს პირები რისკავენ მოხვდნენ ისეთ სიტუაციაში, როცა საკუთრების უფლება შეიძლება დაირღვეს საკუთრების ობიექტის მის მესაკუთრესთან შეთანხმების გარეშე განკარგვის შედეგად და ა.შ.

თავი V. ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება

5.1. ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების საკითხები

ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების მართვის მიზანმიმართული მოქმედებით ინოვაციურ სფეროში. ასეთი საშუალებით სახელმწიფო მართვის ორგანო ხდება მარეგულირებელი ზემოქმედების სუბიექტი. მან უნდა ჩამოაყალიბოს საკუთარი მიზნები მართვის ობიექტის სასურველი მდგომარეობის ან მისი საქმიანობის სასურველი შედეგების სახით.

ფორმულირებული მიზნების მიღწევისათვის სახელმწიფო მართვის ორგანო ირჩევს ზემოქმედების კონკრეტულ საშუალებებს, რომლებიც შეესაბამება შიდა მიზნებს. ამ უკანასკნელთა ინიცირება ხდება განსაზღვრული მმართველობითი გადაწყვეტილებების გამომუშავებისთვის, ხოლო შემდგომში – რეალიზაციისათვის, რაც ცვლის ინოვაციური ორგანიზაციის ეკონომიკურ ქცევას, ინოვაციური პროდუქციის შექმნის პროცესში ან ინოვაციის ბაზარზე.

ინოვაციური ორგანიზაციის ქცევის შეცვლა, რომელიც ამავე დროს ცვლის დამოკიდებულების ფორმასა და საშუალებებს გარე გარემოს სუბიექტებისადმი, მოწმობს, რომ ამ ორგანიზაციის სახელმწიფო რეგულირება თანხვედრი უნდა იყოს ორგანიზაციის მიზნებთან. ობიექტის მოქმედების საფუძველზე სახელმწიფო მართვის

ორგანომ შეიძლება მიიღოს, რომ შეცვალოს მარეგულირებელი ზემოქმედების მიზნებისა და კონკრეტული საშუალებების შეცვლის გადაწყვეტილება.

სახელმწიფო რეგულირების ობიექტის განსაკუთრებულობა იმაშია, რომ ინოვაციური ორგანიზაციები კანონზომიერად განიხილოს, როგორც საწარმოო ტიპის ორგანიზაციები, რამდენადაც ინოვაციური სფერო, როგორც ეკონომიკურ-ორგანიზაციული ფენომენი, მიეკუთვნება არა მარტო საზოგადოებრივი სიკეთის მომხმარებელს, არამედ მის მწარმოებელსაც.

ორგანიზაციის საერთო მიზანია „თვითგადარჩენა", განვითარება, გაფართოება და სხვა. საერთო მიზნების რეალიზაციის პირობა შეიძლება იყოს როგორც შინაგანი (ორგანიზაციის წევრების მოთხოვნილების დაკმაყოფილება, სტრუქტურის გაუმჯობესება, პოტენციალის შექმნა ორგანიზაციის სამომავლო განვითარებისთვის და ა.შ.), ასევე გარგანი (სხვა ეკონომიკური სუბიექტებისაგან, მოქალაქეებისაგან და ორგანიზაციებისაგან მიღებული შეკვეთები, ორგანიზაციის ფუნქცირების ხელსაყრელი სფერო და სხვ.). ასეთი ზემოქმედება შეიძლება მიმართული იყოს უშუალოდ ორგანიზაციაზე ან იმ გარემოზე, სადაც ფუნქციონირებს ორგანიზაცია.

სახელმწიფო რეგულირებას შეუძლია ინოვაციური ორგანიზაციების მიზნების რეალიზაციის შესაძლებლობის გაფართოება. ორგანიზაცია შეასრულებს იმას, რაც სახელმწიფო ორგანოს სურს იმ შემთხვევაში, თუ იგი მისცემს შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას. მეორე მხრივ, ორგანიზაციამ შეიძლება არ შეცვალოს თავისი ქმედება იმ შემთხვევაშიც კი, როცა მას არ ეძლევა შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალება; და ბოლოს, ორგანიზაციის საშუალებების შემცირებისას იგი შეეცდება გვერდი აუაროს ამ წინაღობას, ან შეეცდება კომპენსირება მოახდინოს სხვა საშუალებების გაზრდის საფუძველზე.

სავარაუდო რეაქცია ორგანიზაციისა სახელმწიფო რეგულირების საშუალებებზე შეიძლება იყოს შემდეგნაირი:

- ახალი ბაზრების ათვისება,
- კოოპერაცია სხვა ორგანიზაციებთან,
- პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება,
- პარტნიორებისა და კრედიტების ძებნა.

შესაძლებლობების შემცირებისას ორგანიზაციის რეაქცია შეიძლება

იყოს შემდეგი სახის: არსებული პოტენციალის „ზეექსპლუატაცია", სარესურსო პოტენციალის შემცირება, რისკის დონისა და ინვესტიციების შემცირება, გაკოტრება და თვითლიკვიდაცია.

სხვადასხვა ქვეყანაში სახელმწიფო არეგულირებს ინოვაციურ საქმიანობას საბაზრო რეგულირებასთან ერთად. საქონელმწარმოებელთა კონკურენტული ბრძოლა უფრო ხშირად მიბმულია ხანმოკლე ფინანსურ ეფექტთან. ბაზრის თვითრეგულირებას არ შეუძლია მაღალი დონის რისკთან დაკავშირებულია პერსპექტიული გამოკვლევებისა და დამუშავების უზრუნველყოფა. კერძო მეწარმეები არ არიან ვალდებულნი, მონაწილეობა მიიღონ ეროვნული სამეურნეო საქმიანობის ინოვაციათა პროექტში.

ცალკეული საწარმოო სუბიექტები, უპირველეს ყოვლისა, მცირე საწარმოები, ვარდებიან საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში, ვიდრე მსხვილი საწარმოები ინოვაციის რეალიზაციის მიზეზით, რადგანაც მათ აქვთ უფრო მაღალი დანახარჯები, აგრეთვე არ შესწევთ ფინანსური სახსრების აკუმულირების უნარი ტექნიკისა და ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად. ამიტომ სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა, მცირე ინოვაციური ბიზნესისთვის ხელის შეწყობა:

. ინფორმაციული უზრუნველყოფით,
კადრების მომზადებით,
. მარკეტინგული კვლევების ჩატარებით.

როდესაც მაღალია გაურკვევლობა ინოვაციური პროექტის კომერციული წარმატებისა, ასევე დიდია ფინანსური რესურსების ხარჯვის ალბათობა; ასეთ შემთხვევაში კერძო სექტორი ამჯობინებს ორიენტაციას არა პერსპექტიულ, არამედ არსებულ მოთხოვნაზე და წინადადებებზე. სახელმწიფოს აქტიურობა ხელს უწყობს ინოვაციური პროექტების რეალიზაციისა და საზოგადოების ინტერესების განვითარებას. სახელმწიფო სექტორში შექმნილი სიახლეების, მათ შორის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში, გადაცემა კერძო სამამულო საქონელ-მწარმოებლებისათვის მათი მასობრივი გამოშვების მიზნით, ზრდის პროექტის კონკურენტუნარიანობას საშინაო და საგარეო ბაზარზე, უზრუნველყოფს სავაჭრო ბრუნვის აქტიურ სალდოს, რაც იწვევს სახელმწიფოს შემოსავლის ზრდას, საწარმოდან შემოსული გაზრდილი გადასახადების სახით. ამავე დროს, სამეურნეო სუბიექტების, მმართველობის სახელმწიფო ორგანოებისა და

საწარმოების მიერ ინოვაციური პროექტირების ერთობლივი შესრულება სახელმწიფოს მოუტანს ერთობლივ შემოსავალს, რომელიც შეიძლება მიმართული იყოს სოციალური, ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად, რათა ამაღლდეს სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პოტენციალი ქვეყანაში.

სახელმწიფოს მიზანმიმართული ზემოქმედება მეცნიერულ-ტექნიკურ, ინოვაციურ და ეკონომიკურ სფეროზე საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ორიენტირებულია ინოვაციური აქტიურობის გაზრდაზე; ეს პროცესი ნაციონალურ ეკონომიკაში მიეკუთვნება არა მმართველობით, არამედ მარეგულირებელ პროცესებს. სახელმწიფო რეგულირება წარმოადგენს სახელმწიფოს მიზანმიმართულ ზემოქმედებას ეკონომიკურ სისტემებზე, განსაზღვრული პროცესების და ეკონომიკური მოვლენების ცვლილებების უზრუნველყოფას ან ხელშეწყობას, ეკონომიკური მოღვაწეობის კოორდინაციას კერძო და საზოგადოებრივ ინტერესებში.

სახელმწიფო ორგანიზაციების ძირითად ფუნქციებს ინოვაციურ სფეროში წარმოადგენს შემდეგი:

. რესურსების აკუმულაცია სამეცნიერო-ტექნიკურ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებსა და ინოვაციებში;

. ინოვაციური საქმიანობის კოორდინაცია;

. ინოვაციის სტიმულირება, ინოვაციური რისკების დაზღვევა;

. მოძველებულ პროდუქციაზე სახელმწიფო სანქციების ამუშავება;

ინოვაციურ პროცესებში სამართლებრივი ბაზის შექმნა, მათ შორის საავტორო უფლებების დაცვა, ინოვატორების და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა;

. ინოვაციური საქმიანობის კადრებით უზრუნველყოფა;

. ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფორმირება;

. ინოვაციური პროცესების ინსტიტუციონალური უზრუნველყოფა დარგობრივი საზოგადოებრივი სექტორისა;

ინოვაციათა მიმართულების სოციალურ-ეკონომიკური უზრუნველყოფა;

. ინოვაციური საქმიანობის სტატუსის ამაღლება საზოგადოებაში;

. ინოვაციური პროცესების რეგიონული რეგულირება.

სახელმწიფო რეგულაცია ემყარება პრიორიტეტების არჩევას, გენერალური სტრატეგიული მიმართულების, მეცნიერულ-ტექნიკური

და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტურ ორიენტაციას. სახელმიფო რეგულირების ერთ-ერთი ამოცანაა კომპლექსური მეთოდების გატარება, ორგანიზაციულ-ნორმატიული და სახელმწიფო საფინანსო-სარესურსო დახმარება ინოვაციურად აქტიური მეურნეობისათვის.

სახელმწიფოებრივი რეგულირება რეალიზდება იმ ფორმებითა და მეთოდებით, რომლებსაც ქმნის საბაზრო ურთიერთობები პოტენციური შესაძლებლობების შესაბამისად და ხელს უშლის ნაციონალური ეკონომიკისათვის ნეგატიური მოვლენების განვითარებას. გერმანიასა და იაპონიაში, სადაც ტრადიციულად განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ სახელმწიფოს ზემოქმედებას საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაზე, იყენებენ პროტექციონიზმის ზომებს, რათა იყოს სტიქიური კონკურენციის შესაკავებლად, მაშინ, როდესაც ეს ხელსაყრელია ნაციონალური ეკონომიკის სუბიექტებისათვის.

მიზანმიმართულად, მეცნიერებასა და ინოვაციურ სფეროში საქმიანობის პირობების ხელშესაწყობად, სახელმწიფო აყალიბებს თავისი პოლიტიკის მიზნებს,პრინციპებსა და საკუთარ პრიორიტეტებს ამ სფეროში. ამავე დროს, უნდა განვასხვავოთ სახელმწიფოს სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პოლიტიკა. პირველ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიზანია ახალი სამეცნიერო ცოდნის მიღება და მისი რეალიზაცია ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიაში. ინოვაციური პოლიტიკის მიზანია ისეთი ინოვაციების შექმნა და გამოყენება, რომლებიც დააკმაყოფილებს პირად და საზოგადოებრივ ინტერესებს.

სახელმწიფოს მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკა მიმართულია სამეცნიერო-ტექნიკური და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების გატარებაზე. საზოგადოების განვითარების სამომავლო უზრუნველყოფა ნაკლები დონით ორიენტირებულია არსებულ სამეურნეო სისტემაზე. ინოვაციური პოლიტიკა უშუალოდ მიმართულია საწარმოო ფაქტორების მოტივაციაზე და დამოკიდებულია ინოვაციური მატერიალიზაციის დონეზე.

ამგვარად, მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკა – ეს არის მიზანმიმართულ საშუალებათა სისტემა, რომელიც ხელს უწყობს მეცნიერებისა და ტექნიკის კომპლექსურ განვითარებას. სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა – ეს არის ეფექტური ინოვაციური ბაზრის

საქმიანობის ფორმირება და დახმარება, ეკონომიკურად მომგებიანი პირობების შექმნა კრიტიკულად მნიშვნელოვანი ტექნოლოგიის ასათვისებლად, ქვეყნის ეკონომიკის ეფექტური და მტკიცე პოზიციის დასაფიქსირებლად მსოფლიო ბაზარზე. განვიხილოთ სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის მექანიზმის ფორმირება.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის შემუშავების ორგანიზაციულ ფორმად შეიძლება მივიღოთ იმ სამინისტროებისა და უწყებების ურთიერთმოქმედი ერთობლიობა, რომელიც პასუხისმგებელია სამეცნიერო-ტექნიკური, ინოვაციური და ეკონომიკური პოტენციალის სხვადასხვა სფეროებსა და შემადგენელ ნაწილებზე, ასევე სამეცნიერო საქმიანობის საზოგადოებრივი ორგანიზაციების სუბიექტები და ინოვაციური პროდუქციის მომხმარებლები – წარმოების სფეროს სუბიექტები. ინოვაციური სფეროს ფაქტიურ მდგომარეობაზე მონაცემების მიღება შეიძლება სტატისტიკური ანგარიშგების სისტემით, ხოლო კონფლიქტური სიტუაციების შესახებ მონაცემები სასამართლო სისტემით და საარბიტრაჟო სასამართლოებით. მიზანშეწონილია სპეციალიზებული კვლევები, რომლებსაც ატარებენ სამეცნიერო ორგანიზაციები, ასევე სტატისტიკური და სოციოლოგიური კვლევები ინოვაციურ საქმიანობაში და მასთან მიახლოებულ სფეროში. განსაზღვრული როლი ინოვაციური სფეროს მდგომარეობის შესახებ მონაცემების მისაღებად შეიძლება ჰქონდეს პირად ურთიერთობებს.

ინოვაციური სფეროს ფაქტიური მდგომარეობის სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა შეიძლება მოხდეს სახელმწიფო მართვის ორგანოებით, ხოლო განხორციელება – ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებით.

სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის შეუსაბამობა მიზნებთან წარმოადგენს პრობლემას და საჭიროებს სპეციალურ ანალიზს, რომელიც უნდა შეასრულონ სახელმწიფო მმართველმა ორგანოებმა და ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებმა, ან ცალკეულმა კვლევითმა ორგანიზაციებმა. პრობლემური სიტუაციების გამორიცხვა მთავრდება მისი მიკუთვნებით: არსებული ინსტიტუციონალური საშუალებების გამოყენებისადმი (კანონი, ორგანიზაცია, ინსტიტუციონალური გარიგებები).

პრობლემური სიტუაციის გადაწყვეტისათვის მიზნების კონკრეტიზაცია, ინოვაციურ პოლიტიკაში, შესაძლებელია

განხორციელდეს სახელმწიფო ინოვაციური სუბიექტების მიერ. პრობლემური სიტუაციის გადაწყვეტის ვარიანტების დამუშავება უნდა მოხდეს სტრატეგიისა და კანონის ფარგლებში. ამ საქმიანობის რეალიზება შესაძლებელია როგორც სახელმწიფო ინოვაციური საქმიანობის სუბიექტების ან დროებითი სამუშაო ორგანოების, ისე მოზიდული ორგანიზაციების მიერ. გადაწყვეტის ეტაპის ოპტიმალური ვარიანტის არჩევანი ხორციელდება პროცედურების საფუძველზე, რომელსაც აქვს შემდეგი სახეები:

. მოლაპარაკებები,

საქმიანობის შინაგანი ნორმები,

. დანიშნულება.

გადაწყვეტილება, რომელსაც აქვს სტრატეგიული ხასიათი, გარდაიქმნება კერძო გადაწყვეტილებათა სისტემად. გადაწყვეტილების კონკრეტიზაციაში მონაწილეობას იღებს სახელმწიფო ორგანოები, ისინი ახორციელებენ ცვლილებებს სუბიექტთა საქმიანობის პირობებში, რომელთა ურიერთქმედებისგანაც წარმოიქმნა პრობლემური სიტუაცია.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციის შედეგების განსაზღვრა ხორციელდება ინოვაციური საქმიანობის სუბიექტთა ქმედებების მონაცემების მიღების მსვლელობის პერიოდში, შემდეგ ხდება მიღებული მონაცემების შეპირისპირება სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებთან, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს ფაქტიურ და სასურველ შედეგებს შორის გადახრების გამოვლენამდე. გადახრების ანუ ახალი პრობლემური სიტუაციების არსებობა განაპირობებს ახალი ვარიანტების შემუშავებასა და ინოვაციურ სფეროში მოქმედების პირობების შეცვლას.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ობიექტებად გვევლინება ინოვაციური საქმიანობის მრავალი სუბიექტი, წარმოდგენილი სხვადასხვა ორგანიზაციების სახით (სახელმწიფო და არასახელმწიფო), დაკავშირებული მოლაპარაკებებითა და კოოპერაციული გარიგებებით, რომლებიც გამოიმუშავებს თავისი და სახელმწიფოს ურთიერთქმედების წესებს. ინოვაციური პოტენციალის განვითარება შესაძლებელია ნორმალურად ფუნქციონირებადი ეკონომიკის დროს, როდესაც გრძელვადიანი ინვესტირება არის მომგებიანი, ასევე არსებობს კონკურენტული სფერო. ინოვაციური საქმიანობა არის ძირითადი ფაქტორი კონკურენციაში წარმატების

მისაღწევად.

პრინციპების შინაარსი დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაზე, ეკონომიკურ საქმიანობასთან მიმართებაში. ინსტიტუტების ზემოქმედების სიღრმეზე. სამეცნიერო და ინოვაციურ საქმიანობაში სახელმწიფოს ძირითად პრინციპებს განეკუთვნება:

სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების თავისუფლება,

. ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი დაცვა,

. სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური მოღვაწეობის და განათლების ინტეგრაცია,

. მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში მხარდაჭერა, რესურსების კონცენტრაცია სამეცნიერო განვითარების პრიორიტეტული მიმართულებით,

. სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკურ და ინოვაციურ საქმიანობაში მოქმედების აქტიურობის სტიმულირება,

საერთაშორისო მეცნიერებაში ინოვაციური თანამშრომლობის განვითარება.

საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებში სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის მექანიზმი განსხვავებულია, რადგან სხვადასხვა ქვეყნებში სახელმწიფოს და ბაზრის ფუნქციების, ცენტრალიზაციისა და თავისუფალი მეწარმეობის პრინციპების გამოყენება სამეურნეო საქმიანობაში, მათი ურთიერთმიმართება განსხვავებულია. თუმცა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში წარმოების განვითარების კანონზომიერებები მსგავსია და ინოვაციური საქმიანობისადმი, კერძოდ, მისი გრძელვადიანი ტენდენციებისა და შედეგების აღრიცხვისადმი, მიდგომა ერთნაირია.

სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო და ინოვაციური პოლიტიკის განხორციელების თავისებურებაზე იხარჯება სხვადასხვა რაოდენობის სახსრები, რაც წარმოადგენს წილს მთლიანი ეროვნული პროდუქტის წილს. ლიდერად გვევლინება შვეიცარია, შემდეგ გერმანია, იაპონია, შვედეთი, სამხრეთ კორეა და აშშ. სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსების მოცულობით ლიდერობენ მსოფლიოს ისეთი მოწინავე ქვეყნები, როგორებიცაა: იაპონია, გერმანია, შვედეთი, შვეიცარია, სამხრეთ კორეა და აშშ. მეორე ჯგუფს (მაღალი ტექნოლოგიის ქვეყნები) განეკუთვნება დიდი

ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და სხვა ევროპული ქვეყნები, ასევე ტაივანი.

მსოფლიო პრაქტიკაში დახმარების დონისა და ფორმის მიხედვით გამოყოფენ სახელმწიფო ჩარევის აქტიურ სტრატეგიებს, დეცენტრირებულ რეგულირებასა და შერეულს.

როცა ხორციელდება *აქტიური ჩარევის სტრატეგია*, სახელმწიფო აღიარებს, რომ ეროვნული ეკონომიკის ზრდაში სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკურ და ინოვაციურ საქმიანობას აქვს მთავარი და განმსაზღვრელი როლი. როგორც წესი, ამ სტრატეგიის ამორჩევა ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს კანონმდებლობასა და სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში. იაპონიაში, რომელიც ხელმძღვანელობს ამ სტრატეგიით, შეიმჩნევა მჭიდრო კავშირი სახელმწიფოს მართვის ორგანოებსა და საქონელმწარმოებლებს შორის. ისინი ერთიანი ფრონტით გამოდიან მსოფლიო სამეურნეო სივრცეში. სახელმწიფო ასრულებს არა მარტო საორიენტაციო ფუნქციას, არამედ აქტიურ როლს თამაშობს იმ მრავალი მნიშვნელოვანი პროგრამის, პროექტის ორგანიზაციასა და დაფინანსებაში, რომელთა განხორციელებასაც ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. აქტიური ჩარევის სტრატეგია უმაღლესი სკოლის დაფინანსებასთან და მნიშვნელოვან შეღავათებთან ერთად იმ კომერციული ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ახორციელებენ სამეცნიერო-ტექნიკურ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს, ააქტურებს ინოვაციურ საქმიანობას იაპონიაში, საფრანგეთში, ნიდერლანდებსა და სხვა ქვეყნებში.

სახელმწიფო ზემოქმედება სამეცნიერო და ინოვაციურ საქმიანობაზე ხორციელდება ძირითადი მიმართულებით, სახელმწიფო სთავაზობს ეკონომიკურ სფეროს სახელმწიფო სექტორში მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეებისა და ინოვაციურ სფეროში ინფრასტრუქტურის შექმნას. ქმნის პირობებს ყველა იმ მონაწილის ინოვაციური აქტიურობის ასამაღლებლად, რომელიც საქმიანობას ეწევა ინოვაციურ სფეროში; გამოყოფს სახელმწიფო რესურსებს სიახლეებზე პირველადი მოთხოვნილების შესაქმნელად, რაც ფართო გავრცელებას ჰპოვებს ეროვნულ ეკონომიკაში. ასეთი სტრატეგიის გამოყენებისას, სახელმწიფო იყენებს საგადასახადო შეღავათებსა და მეცნიერულ-ინოვაციურ სტიმულებს. ასეთი სტრატეგია ხორციელდება აშშ-ში, დიდ

ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში.

ადმინისტრაციულ-ბრძანებლური ეკონომიკისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც წამყვანი როლი მეცნიერულ-ტექნიკური პრიორიტეტების არჩევაში ეკუთვნის სახელმწიფოს, დეცენტრალიზებული რეგულირების სტრატეგიის დროს მეცნიერულ-ტექნიკური და ინოვაციურ საქმიანობის წარმმართველებად გამოდიან სამეურნეო სუბიექტები, ხოლო სახელმწიფო ისწრაფვის, შეუქმნას მათ სამართლებრივი, ეკონომიკური და სხვა პირობები საქმიანობისათვის.

ჩარევის სტრატეგია გამოიყენება იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკაში დიდი როლი უკავია სახელმწიფო სექტორს. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო დაწესებულებების მიმართ სახელმწიფო იყენებს აქტიური ჩარევის სტრატეგიას, ხოლო დანარჩენებზე — დეცენტრალიზებული რეგულირების სტრატეგიას. ასეთი პრაქტიკა დაინერგა შვედეთში. სახელმწიფო როლის ამაღლება ინოვაციურ საქმიანობაში ობიექტური პროცესია, იმისათვის, რომ ფორმირებული იყოს პირობები, რომლის დროსაც ფირმისთვის მომგებიანია და მისაწვდომი უწყვეტი ინოვაციური საქმიანობა. დამატებითი სტიმული ხორციელდება სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური ინსტრუმენტების საშუალებით. ესენია:

კრედიტი,

გადასახადები,

. ანტიტრესტული საქმიანობა,

. ტექნოლოგიების გაცვლის საერთაშორისო რეგულირება.

ყოველივე ეს საშუალებას იძლევა, მოხდეს ინოვაციური საქმიანობის რისკის შემცირება, რესურსების ღირებულების დაწევა და დარეგულირება ხარისხის შესაბამისად.

ინოვაციურ საქმიანობაში სახელმწიფოს როლის ზრდის სხვა მიზეზად გვევლინება ხარჯების სწრაფი ზრდა. ინოვაციური პროცესის ყველა ეტაპის განხორციელება, საფუძვლიანი დამუშავებიდან ახალი ტექნოლოგიის დანერგვამდე, სხვა პერსპექტიულ კომერციულ სფეროში, კერძოდ, მეცნიერებასა და ტექნიკაში დაკავშირებულია მაღალ დანახარჯებთან და კომერციული ეფექტიანობა დამოკიდებულია მხოლოდ სახელმწიფოს მხარდაჭერაზე.

სამეცნიერო-ტექნიკური და საცდელ-საკონსტრუქტორო

სამუშაოების ღირებულების ზრდა და მათი შედეგების კომერციული დანერგვა დაკავშირებულია ტექნოლოგიების განვითარების ტემპებთან. კონკურენტული სიმძიმის ცენტრის გადატანა ღირებულების ფაქტორიდან ხარისხსა და საიმედოობაზე, ერთი მხრივ, და მოთხოვნის ზრდა მეცნიერების შემცველ პროდუქციაზე, მეორე მხრივ, ითვალისწინებს აღჭურვილობის ინტენსიურ შეცვლას, რაც ხელს უწყობს იმ ფუნდამენტური კვლევების სწრაფ განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია პრინციპულად ახალი ტექნოლოგიური პროცესების შექმნასთან. სამეცნიერო-ტექნიკურ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული აბსოლუტური ხარჯები იზრდება, ხოლო მათი შედეგები კომერციული თვალსაზრისით შეიძლება ნაკლებად პერსპექტიული აღმოჩნდეს. ამან შეიძლება არსებითად შეამციროს სიახლის განხორციელების კომერციული ეფექტიანობა.

ხარჯების გაზრდა ინოვაციურ საქმიანობაში განპირობებულია მეცნიერულ-კვლევითი მოწყობილობების, ინსტრუმენტების გართულებით, მაღალკვალიფიციური კადრების ხელფასების ზრდით. ინოვაციურ საქმიანობაში სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა დაკავშირებულია იმასთან, რომ აუცილებელია სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური საქმიანობის ხანგრძლივი პროგნოზირება. სიახლის ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად იქნება ამორჩეული ინოვაციის სფერო, სახე და მისი განხორციელების დრო. ამ ამოცანის შესასრულებლად ინფორმაციის მოცულობამ, მისმა ღირებულებამ და ხარჯებმა, რომლებიც საჭიროა მისი დამუშავებისათვის, შეიძლება გამოიწვიოს ცალკეული ფირმების შესაძლებლობების გაზრდა.

ინოვაციურ საქმიანობაში სახელმწიფოს ჩართვა განპირობებულია იმით, რომ ინოვაციური საქმიანობის განვითარებისათვის და იმ რესურსების მოცულობის გაზრდისათვის, რომლებიც ჩართულია ინოვაციურ პროცესში, აუცილებელია როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სუბიექტების (ფირმები, უნივერსიტეტები, სახელმწიფო ლაბორატორიები და სხვ.) თანამშრომლობა და კოოპერირება. მათი თანამშრომლობის კოორდინირება, როგორც წესი, ხორციელდება სამეცნიერო-ტექნიკური ან ინოვაციური პროექტების საზღვრებში. სახელმწიფოს ორგანიზაციული ფუნქცია ხორციელდება ინოვაციურ პროცესებში ჩართული სუბიექტების კოოპერირებით. ინოვაციური საქმიანობის

ცენტრალიზაციისა და რეგულირების სპეციფიკის მიუხედავად, სხვადასხვა ქვეყნებში ხორციელდება სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ღონისძიებები. ისინი ერთიანდება სამ ბლოკად:

. დაფინანსება,

. ტექნიკური ცოდნის გავრცელება,

. კონკურენცია.

არსებული ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერა გამოიხატება დაფინანსებაში, სახსრები შეიძლება იყოს როგორც მსხვილი, ისე საშუალო და მცირე, ინოვაციური საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე, განსაკუთრებით – პირველ ეტაპზე. შედეგების წინასწარ განსაზღვრა ძნელია, რადგან მათში ჩადებული სახსრებიდან ამონაგების შეფასება ძნელია, ინოვაციური პროცესების საწყის ეტაპზე, დიდი კაპიტალტევადობის გამო.

ტექნიკური ცოდნის გავრცელების ღონისძიებები ინდუსტრიულ ქვეყნებში მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. იგი ორიენტირებულია გამოკვლეული და გადამუშავებული შედეგების დანერგვაზე წარმოებაში და შემდგომ გავრცელებაზე ეკონომიკაში.

თანამედროვე სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოების საერთო ტექნიკური კულტურის ფორმირებაში. სახელმწიფოებრივი ღონისძიებების სისტემა, რომელიც ეხება ინოვაციურ საქმიანობაში ჩართული ბიზნესმენების კონკურენციას, მიმართულია სხვადასხვა ოლიგოპოლიური ძალების გავლენისაგან თავის დაღწევისაკენ, თვით ბაზრის საზღვრებში.

ინოვაციურ საქმიანობაზე სახელმწიფო ზემოქმედების მეთოდები შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად: ადმინისტრაციული და ეკონომიკური. მათი თანაფარდობა განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკური სიტუაციით და სახელმწიფოს მიერ არჩეული რეგულირების კონცეფციით, ბაზარზე ან ცენტრალურ ზემოქმედებაზე დაყრდნობით.

ინოვაციური რეგულირების ყველაზე უფრო მოქმედ მეთოდებს წარმოადგენს ეკონომიკური მეთოდები, რომლებიც ეფუძნება სასაქონლო წარმოების მოტივაციური ფაქტორების გათვალისწინებას. ისინი განსხვავდება ადმინისტრაციული მეთოდებისაგან არადირექტიული ხასიათით და ეკონომიკური რეგულატორების გამოყენებით. ეკონომიკური ზემოქმედების პირდაპირ მეთოდებს განეკუთვნება ფინანსური ინვესტირება (მიზნობრივი, საგნობრივად

ორიენტირებული, პრობლემურად მიმართული), დაკრედიტება, ლიზინგი, საფონდო ოპერაციები, დაგეგმვა და პროგრამირება და ასევე სახელმწიფო მეწარმეობა. სახელმწიფოს პირდაპირი ზემოქმედების ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკა, რომელიც ახორციელებს ინოვაციური პროგრამების დაგეგმვასა და შესრულებას. სახელმწიფო თვითონ ქმნის რესურსებს ინოვაციური საქმიანობისათვის. ფირმებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ და ინოვაციურ პროექტებში მონაწილეობა ცოდნისა და გამოცდილების წყაროა. სახელმწიფოს შეკვეთის შესრულებისას ფირმები სახელმწიფოდან ღებულობენ ფინანსურ სახსრებს და ძვირადღირებულ ტექნიკურ აღჭურვილობას და სხვა ტექნოლოგიურ და არატექნოლოგიურ რესურსებს, რომელიც გააჩნია სახელმწიფოს.

სახელმწიფო შემკვეთს, არასახელმწიფოსაგან განსხვავებით, არა აქვს უფლება სამუშაოს ღირებულება წარმოებიდან გამომდინარე შეცვალოს, ანდა იხელმძღვანელოს სახელმწიფო ნორმატივებით. ინოვაციური პროექტის კონკრეტული სახელმწიფო შემკვეთი შეიძლება არ იყენებდეს წარმოებაში მის შედეგებს.

უფლებების განაწილება ინტელექტუალური საკუთრების იმ ობიექტებზე, რომლებიც წარმოიქმნება ინოვაციური მუშაობის პირობებში სახელმწიფო შეკვეთის შესრულებისას, უნდა მოხდეს სახელმწიფო ნორმატიული დოკუმენტების რეგლამენტის მიხედვით და არა ყოველი ხელშეკრულების დადებისას კონკრეტული თანამდებობის პირთა კომპეტენციისა და კონიუნქტურული ინტერესების გათვალისწინებით, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო დამკვეთს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამართლებრივი დებულება აუცილებელად უნდა იყოს ჩადებული ყველა ხელშეკრულებაში, რომელიც ეხება სახელმწიფო შეკვეთებს.

აშშ-ში უკვე 100 წელია არსებობს ფედერალური საკონტრაქტო სისტემა, რომელშიც მოცემულია სახელმწიფო შემკვეთების მოვალეობა, ჩაატარონ ბაზრის შესაბამის სექტორში კონიუნქტურის ანალიზი. შეკვეთის პირობები (მათ შორის თავდაცვითი ხასიათის) პრესაში ღიად ქვეყნდება. ვაჭრობაში მონაწილე ფირმები წარმოადგენენ თავის წინადადებებს (პროექტებს) ანონიმურ-კოდირებული ფორმით. გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ ვის მიანდობენ შეკვეთის

შესრულებას, იღებენ ექსპერტული კომისიები იმ დამოუკიდებელი სამხედრო ან სამოქალაქო უწყებების კომიტეტების სახით, რომლებიც არ არიან მთავრობის ორგანოების დაქვემდებარებაში.

სახელმწიფო კანონმდებლობა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შესაქმნელად შეკვეთების განთავსებისას, სამეცნიერო-ტექნიკური და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების პროგრამირებისათვის, იძლევა საკონკურსო განსაზღვრას არა მარტო შემსრულებლისათვის, არამედ ქვემდგომ შემსრულებელთა შერჩევას, აგრეთვე საკონკურსო საფუძველზე. კონკურენციის ამ პროცესს აშშ-ში უწოდეს „მეორე შემსრულებლის კოორპორაცია“ და გულისხმობს იმას, რომ შემკვეთი უწყება წამოწევს და განიხილავს შეკვეთის შემსრულებელთა ჯგუფს ყოველ ცალკეულ ეტაპზე. ეს ხდება იმის მიუხედავად, მთლიანი შეკვეთა ან მისი ცალკეული ნაწილები წინასწარ იყო თუ არა გამოტანილი სავაჭროდ და მათი შესრულება — გადაცემული სხვა ფირმებზე.

აშშ-ში კონტრაქტების საკონკურსო მექანიზმს ემატება ირიბი უპირატესობების ფართო სპექტრი და იმ კერძო კორპორაციების პირდაპირი შეღავათები, რომლებიც მონაწილეობენ კონტაქტის რეალიზაციაში.

სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ და ინოვაციურ პროგრამებში მონაწილეობა იწვევს ფირმების ტექნოლოგიური სტრატეგიის შეცვლას. ისინი ცდილობენ, ინოვაციური სამუშაოების შესრულების პროცესში მაქსიმალურად გამოიყენონ ტექნოლოგია თავის ამჟამინდელ და მომავალ ინოვაციურ საქმიანობაში.

სახელმწიფოს ზემოქმედების დონე სამრეწველო ფირმების ინოვაციურ საქმიანობაზე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოცულობის სამეცნიერო-ტექნიკური და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები ხორციელდება ქვეყანაში სახელმწიფო რესურსების ხარჯზე. ამასთანავე, სახელმწიფოს ზემოქმედება ინოვაციურ პროცესებზე შეიძლება იყოს მუხრუჭი, თუ სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა მიმართულია ისეთი მიზნებისაკენ, რომლებიც კავშირშია არიან წარმოების განვითარების და მოხმარების პრობლემებთან, ხოლო სახელმწიფოს ხარჯები სამეცნიერო-ტექნიკურ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, მიუხედავად მათი მოცულობისა, არ უწყობს ხელს ინოვაციური რესურსების გაზრდას ფირმებში და

ხშირად იხარჯება მათი საკუთარი სახსრები კომერციულად არაპერსპექტიულ ნამუშევრებში, ამ შემთხვევაში სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ეფექტურობა, როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორი, არის დაბალი.

აშშ ორიენტირებულია მეცნიერებაში ლიდერობაზე სამეცნიერო-ტექნიკური და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დიდმასშტაბიან პროექტებში, რაც მოიცავს სამეცნიერო-საწარმოო სტადიის ყველა ციკლს. ინოვაციის პროცესში სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება შემდეგი მიმართულებით:

ლიცენზიის უფასო გაცემა დაპატენტებული გამოგონებების კომერციულ გამოყენებაზე, რომლებიც ფინანსდება ბიუჯეტიდან და ითვლება ფედერალური მთავრობის საკუთრებად;

საკრედიტო შეღავათები და მცირე გრანტები ფირმებზე;

. სახელმწიფო ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფორმირება და ინოვაციური ბაზრის ხელშეწყობა, სადაც სახელმწიფო გამოდის, როგორც შესყიდვის აგენტი;

ინოვაციური პროცესების მონიტორინგი და პროგნოზირება როგორც ქვეყანაში, ისე მის საზღვრებს გარეთ. ინოვაციური პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზა.

მორალური წახალისება გამოჩენილი მეცნიერებისა და ინოვატორებისა (სახელმწიფო ჯილდოების გაცემა, საპატიო წოდების მინიჭება, მიღწევების პროპაგანდა), ინოვატორების მონაწილეობა სახელმწიფოს მნიშვნელოვან ღონისძიებებში.

. დაბეგვრის შეღავათები ინოვაციურ საქმიანობაში.

. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან საქონელმწარმოებელთა საქმიანობას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

იაპონია და სამხრეთ კორეა ბოლო წლებში აქტიურად უჭერენ მხარს ინოვაციურ საქმიანობას ქვეყანაში, აგრეთვე უზრუნველყოფენ მსოფლიოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ათვისებას.

ამ პერიოდიდან დაიწყო ქვეყნის გარდაქმნა „იმიტატორებიდან რაციონალიზატორებამდე", ისეთ სფეროში, როგორიცაა ინფორმაციული სისტემები, ბიოტექნოლოგია და ახალი მასალები. აქედან გამომდინარე, იაპონიის საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო განსაზღვრავს საერთო სტრატეგიებს წარმოებასა და საგარეო

ვაჭრობაში.

საექსპორტო წარმოების განვითარებისათვის გამოიყენება არა მარტო პირდაპირი სუბსიდიები, არამედ ირიბი სპეციფიკური მეთოდებიც, რომელსაც მიეკუთვნება ფინანსური სახსრების მიზნობრივი განაწილება, რომელიც წარმოდგენილია კერძო ბანკებით და განთავსებულია პრიორიტეტულ სფეროში. იაპონიის სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს ახალი ქალაქების, ტექნოპოლისების მშენებლობა. აქ ხდება სამეცნიერო-ტექნიკური და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების და მეცნიერებატევადი წარმოების გაერთიანება. ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაციას ხელს უწყობს არა მარტო მაღალი ტექნოლოგიური დონის რეგიონული ცენტრების ქსელები, არამედ პროტექციონისტული პოლიტიკა ახალი მეცნიერებატევადი პროდუქციის შემუშავებისათვის (ანალოგიური პროდუქციისათვის მაღალი იმპორტული საბაჟო ტარიფი). მთელი იაპონური მეურნეობის ინტელექტუალიზაციამ იაპონია გადააქცია მსოფლიოში პირველ ქვეყანად: ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დონის წარმოების მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ზრდის ტემპებისა და ცხოვრების ხანგრძლივობის მიხედვით.

ევროკავშირის ქვეყნების მიერ განახორციელებული ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია:

. ერთიანი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა,

. მოწყობილობების დაჩქარებული ამორტიზაციის სისტემა,

სამეცნიერო-ტექნიკური და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შეღავათიანი დაბეგვრა,

. მცირე მეცნიერებატევადი ბიზნესის წახალისება,

. საწარმოთა პირდაპირი დაფინანსება.

სამეცნიერო-ტექნიკური და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შედეგების დანერგვის დაჩქარების და პროცესების გამარტივების მიზნით, მზა პროდუქტებში ეროვნულ და ზეეროვნულ დონეზე, ასევე სიახლეთა გასავრცელებლად, ევროკავშირში შემავალ ქვეყნებში, ფუნქციონირებს კონსალტინგური ფირმები ტექნოლოგიის გადასაცემად და ინოვაციური საქმიანობის მართვისათვის.

სამეცნიერო-ტექნიკური და საცდელ-საკონსტრუქტორო

სამუშაოების ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის შექმნილია ევროპული საინფორმაციო ცენტრი. 90-იან წლებში დაიწყეს მიზნობრივი პროგრამების მიღება: ევროკავშირში სამეცნიერო-ტექნიკური და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შედეგების გავრცელებისათვის („ველიუ"), ევროპული სტრატეგიული პროგრამა სამეცნიერო კვლევებისათვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში (ესპრიტი); ევროპაში კავშირების მოწინავე საშუალებების კვლევების პროგრამა „ფეისი". ამ პროგრამების მიზანია ევროპული კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაზრდა მაღალი ტექნოლოგიების ბაზაზე. ასე მაგალითად, კომპლექსური კომპანია „ევრიკა" მოწოდებულია, სტიმულირება გაუწიოს ისეთი სამრეწველო კომპანიის დაარსებას, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს ამერიკელი და იაპონელი მწარმოებლების მხრიდან კონკურენციას და განახორციელებს ევროპულ სამეცნიერო-ტექნიკურ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს შემდეგ სფეროებში: ოპტოტრონიკა, ახალი მასალები, მძლავრი ლაზერი, ნაწილაკების დამჩქარებლები, ხელოვნური ინტელექტი.

ევროკავშირის ქვეყნებში იყენებენ ინოვაციური საქმიანობის ისეთ მეთოდს, რომელიც მიღებულია მსოფლიო პრაქტიკაში. მათ შორის არის პროდუქციის სერთიფიკაცია და ინოვაციური საქმიანობის ინდიკატური დაგეგმვა. ირიბი ეკონომიკური მეთოდების ამოცანაა ინოვაციური საქმიანობის საზოგადოებრივი და არა ინდივიდუალური პირობების ფორმირება. მათ შორის ტრადიციულად გამოიყენება: საამორტიზაციო რეგულირება, საკრედიტო და საფონდო პოლიტიკა, ფასებით რეგულირება, პროტექციონიზმის პოლიტიკა.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ირიბი მეთოდები რეალიზდება ძირითადი ეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტებით. ეს მეთოდები არ არის მომართული ინოვაციური რესურსების შესაქმნელად, ისინი არბილებენ იმ რისკის შედეგებს, რომელიც თან ახლავს ინოვაციურ საქმიანობას, ზეგავლენას ახდენს სამრეწველო ფირმების ინოვაციური რესურსების ხელმისაწვდომობაზე, ფასებსა და სტრუქტურაზე. მნიშვნელოვან ირიბ მეთოდად ითვლება საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკა. საკრედიტო პოლიტიკა არეგულირებს ფინანსური რესურსების მოცულობას. ეს მიზანი ხორციელდება იმ დანაზოგების დონის რეგულირებით, რომელიც

წარმოადგენს კაპიტალის ბაზარზე კრედიტების რესურსების მთავარ წყაროს, სასესხო პროცენტის დონის მართვის საშუალებით. სახელმწიფო არეგულირებს ინოვაციის ფინანსურ რესურსებს და მათ სტრუქტურებს (ფინანსების საერთო მოცულობაში საკრედიტო სახსრების წილს), ასევე ააქტიურებს ინოვაციურ საქმიანობას. დიდ როლს ინოვაციური საქმიანობის მართვაში თამაშობს ასევე შელავათიანი კრედიტები.

საგადასახადო პოლიტიკა სახელმწიფოს უფლებას აძლევს იმოქმედოს საქმიანობის ყველა ახალ დანერგილ სფეროში. დაბეგვრის დიფერენცირება ზემოქმედებს ფირმის ტექნოლოგიის სტრუქტურაზე, ინოვაციური რესურსების ღირებულებაზე.

საგადასახადო პოლიტიკით შეიძლება განისაზღვროს საგადასახადო სუბსიდიები საქმიანობის გარკვეულ სახეებზე. კერძოდ, ამოღება იმ თანხისა, რომელიც შემოსავლების ნაწილში ექვემდებარება დაბეგვრას და საჭიროა ახალი მანქანებისა და მოწყობილობების შესაქმნელად, რაც ხელს უწყობს ძირითადი კაპიტალის განახლების დაჩქარების, ტექნოლოგიური სიახლეების შემოღების სტიმულირებას. საგადასახადო შელავათების წარდგენით სახელმწიფოს შეუძლია გრძელვადიანი კაპიტალდაბანდებების სტიმულირება.

შემოსავლების დაბეგვრის სხვადასხვა პირობები და დამატებითი შემოსავლები უზრუნველყოფს საქმიანობის სტიმულირებას ახალი ტექნიკის შექმნასა და დანერგვაში. ინოვაციურ საქმიანობაზე ირიბად მოქმედების ინსტრუმენტია კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს კონკურენციის წესებს. ანტიტრესტული კანონები, რომელიც მიმართულია ბაზრის მონოპოლიზაციის შესაკავებლად, ააქტიურებს სამეურნეო სუბიექტების ინოვაციურ საქმიანობას.

ინოვაციურ საქმიანობაზე ირიბი ზემოქმედების მეთოდი არის საერთაშორისო ტექნოლოგიური გაცვლის რეგულირება ანუ ტექნოლოგიის გადაცემაზე ექსპორტული და იმპორტული კონტროლის რეჟიმი. ტექნოლოგიური გაცვლის რეგულირების ხასიათი დამოკიდებულია სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებზე და ამოცანებზე ამ სფეროში, მაგრამ მის საერთო მიზანს წარმოადგენს: ნაციონალური მონოპოლიიის უზრუნველყოფა და დაცვა, ახალი ტექნოლოგიის გამოყენება და კომერციული რეალიზაცია, საზღვარგარეთიდან ახალი

ტექნოლოგიების შემოდინების სტიმულირება ნაციონალური ტექნოლოგიური პოტენციალის განვითარებისათვის.

სახელმწიფო ზემოქმედების სპეციფიკურ ფორმას ინოვაციურ საქმიანობაზე წარმოადგენს შეგროვება და დამუშავება იმ მონაცემებისა, რომელიც საჭიროა ტექნოლოგიური განვითარების სანგრძლივი პროგნოზირებისა და დაგეგმვისათვის, ასევე სახელმწიფოს საქმიანობა კვალიფიციური სამეცნიერო-ტექნიკური და საინჟინრო კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის. სახელმწიფოსა და ფირმების კავშირი ინოვაციურ საქმიანობაში შეიძლება იყოს პირდაპირი და შებრუნებული. შებრუნებული კავშირი ნებას აძლევს ფირმებს, კორექტირება გაუწიოს სახელმწიფოს ინოვაციურ პოლიტიკას და განსაზღვრული წესით ზემოქმედება მოახდინოს სახელმწიფო მეთოდებზე, ინოვაციურ პოლიტიკაზე; ყოველივე ეს საშუალებას იძლევა, სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ბაზრის განვითარებასთან და ობიექტურ პროცესებთან, რომელიც მიმდინარეობს ეროვნულ ეკონომიკაში.

5.2. ინოვაციური საქმიანობის საგადასახადო სტიმულირება

საბაზრო ურთიერთობათა განვითარება ობიექტურად ავიწროებს ადმინისტრაციული რეგულირების სფეროს და აფართოებს საწარმოთა საქმიანობის რეგულირების საფინანსო-ეკონომიკური, მათ შორის საგადასახადო მეთოდების გამოყენების სფეროს, ინოვაციურის ჩათვლით.

საგადასახადო პოლიტიკა მთლიანობაში წარმოადგენს საზოგადოების ეკონომიკური სისტემების ინტერესების რეალიზაციის უმნიშვნელოვანეს მეთოდს.

ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საფინანსო რესურსების საერთო-სახელმწიფოებრივი ფონდის ფორმირებაში, ანუ ქვეყნის კონსოლიდირებული ბიუჯეტის შექმნაში. გადასახადებში აისახება საზოგადოებრივი მოთხოვნა საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის საბოლოო შედეგების მიმართ. კანონმდებლობით დაწესებული გადასახადები გამორიცხავს თვითნებურ ჩარევას ურთიერთობებში, რომელიც ჩამოყალიბებულია ორგანიზაციებსა

და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის, სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების ხაზით. გადასახადები ასტიმულირებს მეწარმეობის ეფექტიანობის გაზრდას, რადგანაც საწარმოები ღებულობენ საკუთარი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრის შესაძლებლობას, თავის განკარგულებაში დარჩენილი მოგების საფუძველზე.

ინოვაციური კლავწარმოების უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ პირობად ითვლება მასტიმულირებელი საგადასახადო სისტემა, რომელიც ორიენტირებულია წარმოებისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური კლიმატის შექმნაზე, რაც, საწარმოების ძირითადი ფონდების განახლების დაჩქარების მიზნით, დაფუძნებულია გადასახადების შემცირებასა და წარმოებაში ინოაციური პროდუქციის დანერგვაზე. საგადასახადო ინსტრუმენტების გამოყენებით, ინოვაციური საწარმოების საქმიანობის რეგულირება მოწოდებულია, უზრუნველყოს სახელმწიფოს ინტერესებისა და შესაძლებლობების შეთანხმება ინოვაციურ სფეროში სახელმწიფო და კერძო ინვესტორთა საშუალებების კოორდინირებული გამოყენებისათვის.

საგადასახადო რეგულირება – ეს არის საგადასახადო დაბეგვრის სფეროში ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მოიცავს საწარმოს, დარგისა და ეროვნული ეკონომიკის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ყველა სახესხვაობას. გადასახადები ასრულებს ფისკალურ ფუნქციას, როცა კაპიტალი თავის სასაქონლო ფორმას ცვლის ფულადი ფორმით. საგადასახადო რეგულირება კი, პირიქით, რეალიზდება როგორც წარმოების სტადიაზე, ასევე მოთხოვნის სტადიაზეც. საგადასახადო რეგულირების ყველაზე გავრცელებული მეთოდებია:

– საგადასახადო შემოსავლების მასის შეცვლა;
– საგადასახადო ბეგარის ერთი ფორმისა თუ მეთოდის მეორეთი შეცვლა;
– გადასახადების განაკვეთის დიფერენციაცია;
– შელავათებისა და ფასდაკლების ცვლილება, მათი გადახარისხება მიმართულებების, ობიექტებისა და გადამხდელთა მიხედვით (გადასახადებისაგან სრული ან ნაწილობრივი გათავისუფლება, გადახდის გადავადება ან დავალიანების ანულირება და გადახდილი თანხის დაბრუნება).

წარმოების დეპრესიის ფაზაში, გადასახადების აბსოლუტური სიდიდის შემცირება ასტიმულირებს ინვესტიციების ზრდას. საგადასახადო მექანიზმების გამოყენებით, სახელმწიფო აქტიურად ახდენს გავლენას საზოგადოებრივი კლავწარმოების სტრუქტურებზე, კაპიტალის დაბანდების ხელსაყრელი პირობების შექმნით (ეროვნული ეკონომიკის თვალსაზრისით) ისეთ დარგებსა და სფეროებში, რომელთაც მიეკუთვნებათ სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური სფეროები.

გადასახადები შემადგენელ ნაწილად შედიან საწარმოს ხარჯებში; ისინი ან ამცირებენ ფულადი შემოსავლების მოცულობას და მოგებას, ან ზრდიან სამომხმარებლო ფასებს, რითაც ამცირებენ მოთხოვნას. საწარმოებიდან ამოღებული გადასახადების მთლიანი ჯამი განსაზღვრავს ფირმების სუფთა მოგების ზომებს, რომელიც გამოიყენება ფირმის შიდა სტრატეგიის რეალიზაციისათვის, რომლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ახალი პროდუქციის შექმნა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. გადასახადების გადახდის შემდეგ ფირმაში დარჩენილი მოგების სიდიდე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ინოვაციური საქმიანობის შესაძლებლობებს.

შესაბამისად, საგადასახადო ეკონომიკა ზრდის ინოვაციური საქმიანობის დაფინანსებას, რაც ხელს უწყობს საწარმოო აპარატის განახლების დაჩქარებას პრინციპულად ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე, პროდუქციის ახალი სახეობების შემუშავებას და ბაზარზე მათ დანერგვას.

კერძო კომპანიების საქმიანობის სტიმულირებისათვის საგადასახადო შეღავათების გამოყენება, რომელიც დაკავშირებულია ძირითად კაპიტალში ინვესტიციების გაზრდასთან და სამეცნიერო-კვლევითი, საცდელი, საკონსტრუქტორო სამუშაოების (სკსსს) ჩატარებაზე საკუთარი ხარჯების გაფართოებასთან, ფართოდ დაიწყო დასავლეთის ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, გასული საუკუნის 50-60-იან წლებში. საგადასახადო პოლიტიკა აგებული იყო იმის გათვალისწინებით, რომ სამრეწველო ფირმებში ინოვაციას ირიბად ხელს უწყობდა ყველა საგადასახადო ღონისძიება, რომელიც მიმართული იყო კერძო ინვესტიციების სტიმულირებისაკენ. ძირითად კაპიტალში დაბანდებების გაზრდას აუცილებლად თან ერთვის მისი განახლება ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე, რასაც მოჰყვება

შესაბამისი პროდუქტული ცვლილებები.

საგადასახადო პოლიტიკამ უნდა მოახდინოს სამეურნეო სუბიექტების საინვესტიციო და ინოვაციური აქტივობის სტიმულირება, ინოვაციური პროცესების დაფინანსების საკუთარი წყაროების ზრდა — წარმოებაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ათვისებიდან კომერციულად ეფექტიან წარმატებულ მოთხოვნილებამდე და გასაღების შემდგომ მომსახურებამდე.

იმ ქვეყნებში, რომლებიც შედიან მსოფლიო განვითარების ტექნოლოგიურ ბირთვში, გამოიყენება ინოვაციური საქმიანობის მასტიმულირებელი საგადასახადო შეღავათების შემდეგი სახეები:

- კვლევითი და საინვესტიციო საგადასახადო კრედიტის შეთავაზება (ხარჯვით ნაწილში ინოვაციურ საქმიანობაზე მოგების გადასახადის გადავადება), რომლის გამოყენებაც მიზანშეწონილია წარმოების ტექნოლოგიური მოდერნიზაციისას, მისი კონკურენციული შესაძლებლობების გაზრდის მიზნით;
- მიზნობრივი საინვესტიციო და ინოვაციური საგადასახადო შეღავათები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი შეკვეთების შესასრულებლად, წარმოების რეკონსტრუქციისათვის საჭირო სკსსს-ბის შედეგების დანერგვისა და გამოყენებისათვის, მნიშვნელოვანი პროექტებისა და პროგრამების შესაქმნელად;
- საგადასახადო შეღავათების გაკეთება მოგების იმ ნაწილში, რომელიც რეინვესტირებულია წარმოების ტექნოლოგიურ გადაიარაღებაში ან სკსსს-ში. ეს საგადასახადო შეღავათები წარმოადგენს დანამატს ამორტიზაციულ ანარიცხებზე;
- მიზნობრივი საინვესტიციო და ინოვაციური საგადასახადო შეღავათები გაკოტრების ზღვარზე მყოფ საწარმოთა ტექნოლოგიური გადაიარაღების სანირების ჩარჩოებში.
- ინოვაციური ხარჯების მატებაზე გადასახადების შემცირება;
- ინოვაციური პროექტების რეალიზაციიდან მოგებაზე „საგადასახადო არდადეგების“ დაწესება რამდენიმე წლის განმავლობაში;
- ინოვაციური ორგანიზაციების აქციებით მიღებული იურიდიული და ფიზიკური პირების დივიდენდების შეღავათიანი საგადასახადო დაბეგვრა;
- საგადასახადო ზონები („ყურეები“) დაბეგვრის

განსაკუთრებულად შეღავათიანი რეჟიმებით ტექნოპარკების, ტექნოპოლისების, სამეცნიერო-სამრეწველო ზონების საზღვრებში;

- არსებული საინვესტიციო და ინოვაციური საგადასახადო შეღავათების ინდექსაცია ინფლაციის პირობებში მათი საქმიანობის შენარჩუნებისათვის;
- კავშირი შეღავათების გაწევასა და შესასრულებელი პროექტების პრიორიტეტულობას შორის;
- შეღავათიანი საგადასახადო დაბეგვრა მოგებისა, რომელიც მიღებულია პატენტების, ლიცენზიების, „ნოუ-ჰაუ"-სა და ინტელექტუალური საკუთრების შემადგენლობაში შემავალი სხვა არამატერიალური აქტივების გამოყენების შედეგად;
- საგადასახადო მოგების შემცირება იმ ხელსაწყოებისა და აღჭურვილობის ღირებულების სიდიდით, რომლებიც გადაეცემა უმაღლეს სასწავლებლებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს და სხვა ორგანიზაციებს;
- დასაბეგრი მოგებიდან საქველმოქმედო ფონდებში შენატანების გამოქვითვა, თუ ამ ფონდების საქმიანობა დაკავშირებულია ინოვაციების დაფინანსებასთან;
- ინოვაციური ორგანიზაციის მოგების ნაწილის ჩარიცხვა სპეციალურ ანგარიშებზე, შემდგომში შეღავათიანი საგადასახადო დაბეგვრითი ინოვაციური მიზნებისათვის გამოყენების შემთხვევაში;
- საწარმოს მიერ მრეწველობის უახლესი დარგების სფეროდან მიღებული მოგების დაბეგვრისაგან გათავისუფლება (შექმნის მომენტიდან 2-3 წლის განმავლობაში);
- დაწესებულ საგადასახადო შეღავათებზე ტერიტორიული ფასდაკლების (წანამატების) გაკეთება ტერიტორიული კომპლექსების რეგიონულ თავისებურებათა რეგულირებისათვის;
- საგადასახადო შეღავათები კერძო საწარმოებისათვის, რომლებიც ხელს უწყობს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური, ინოვაციური და საინვესტიციო პროგრამების რეალიზაციას.

ინოვაციურ-საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის სტიმულირების საერთო მიზანი მდგომარეობს გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების შეკვეცაში მისი როგორც უშუალო

შემცირების გზით, ასევე ისეთი ირიბი მექანიზმის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს გადასახადის გადახდის გადავადებას ან განვადებას, რაც თავისთავად წარმოადგენს კრედიტის ფარულ ფორმას.

ძირითად კაპიტალში ინვესტიციებზე საგადასახადო შეღავათებს ყველაზე ხშირად წარმოადგენენ საინვესტიციო ფასდაკლების ფორმით, რომელმაც მიიღო ,,საინვესტიციო საგადასახადო კრედიტის" დასახელება. თვითონ ფასდაკლება გამოიქვითება (კრედიტირდება) მოგების ბეგარის თანხიდან (ჩვეულებრივი ფასდაკლებისგან განსხვავებით, რომელიც დაიქვითება შემოსავლების ან დასაბეგრი მოგების თანხიდან).

საგადასახადო კრედიტი — ეს არის პირდაპირი გამოქვითვა გაანგარიშებული ბეგარის თანხიდან და არა დასაბეგრი მოგებიდან. საინვესტიციო კრედიტი დგინდება პროცენტებში იმ დაბანდებებისა და დანახარჯების მოცულობისაგან, რომლებიც დაკავშირებულია მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასთან, წარმოების გაფართოებასა და რეკონსტრუქციასთან. დაბეგვრის თანხა ბრუნდება გარკვეული ვადის შემდეგ, მოცემული საწარმოების განვითარებიდან მიღებული მოგების ხარჯზე.

საგადასახადო კრედიტის ინოვაციური საწარმოებისათვის მიცემა პასუხობს სამეწარმეო სუბიექტებისადმი სახელმწიფო თანადგომის მიმართ სელექციური მიდგომის მოთხოვნებს. საგადასახადო შეღავათების მოცემულ ჯგუფს უპირატესად მიეკუთვნება:

- ინოვაციური საწარმოს დაინტერესება გადასახადის დროულ და სრულ აღრიცხვაში, ვინაიდან ისინი უბრუნდება საწარმოებს და იხარჯება ტექნიკური აღჭურვილობის მიზნებისათვის, სამეცნიერო-ტექნიკური და საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარებისათვის და სხვა;
- საწარმოს დაინტერესება სსსკს-ს სტადიის დაჩქარებულ განხორციელებაში, წარმოებაში ინოვაციების ათვისებასა და დანერგვაში, რადგანაც ახალი პროდუქციის წარმოების მასშტაბების გაზრდის ხარჯზე და ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენებით იზრდება მოგება, რაც კვლავ უბრუნდება საწარმოებს გაზრდილი საკრედიტო თანხების სახით.

საგადასახადო საინვესტიციო კრედიტი მოწოდებულია, უზრუნველყოს საწარმოთა დაინტერესება საკუთარი რესურსების

ხარჯზე ახალ მანქანა-დანადგარებსა და აღჭურვილობებში კაპიტალდაბანდებების გაფართოებაში. ახალ აღჭურვილობაზე ფასდაკლების უფლება მიიღება ექსპლუატაციაში ჩადგომის წლიდან (და არა შესყიდვის წლიდან), რაც იძლევა მისი უსწრაფესი ათვისების სტიმულს. ფასდაკლების სიდიდე დიფერენცირდება აღჭურვილობის სახეობისა და გამოყენების ვადის გათვალისწინებით. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ინვესტიციებზე შეღავათების დაწესება დაიწყეს ომისშემდგომ წლებში. ასე მაგალითად, დიდმა ბრიტანეთმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იანი წლების შუახანებში შემოიღო „საწყისი ფასდაკლებები“, რომლებიც ეძლეოდა ინგლისურ კომპანიებს მანქანა-დანადგარების, აღჭურვილობისა და სამრეწველო შენობების ექსპლუატაციის პირველ წელს. მათი სიდიდე არაერთხელ გაიზარდა 70-80-იან წლებში, მიაღწია რა მანქანებისა და აღჭურვილობის ღირებულების 50%-ს. ირლანდიაში ფასდაკლების სიდიდე, რომლებსაც კომპანიები ღებულობენ აღჭურვილობის ექსპლუატაციის პირველ წელს, აღწევს 100%-ს.

საინვესტიციო ფასდაკლებები გამოიყენება კანადაში, გადამამუშავებელი კომპანიების სტიმულირებისათვის. ფასდაკლების სიდიდე მერყეობს 10-დან 50%-მდე კომპანიის ტერიტორიული განთავსების გათვალისწინებით. ფასდაკლებაზე უფლება შეიძლება გადავადდეს რამდენიმე წლით, რაც კომპანიებს რამდენიმე წლის წინსწრებით თავიანთი საინვესტიციო სტრატეგიის გათვლის საშუალებას აძლევს.

იაპონიაში იმ სამრეწველო კომპანიებს, რომლებიც ახორციელებენ კაპიტალდაბანდებებს მოწინავე აღჭურვილობებში, საგადასახადო კანონმდებლობა აძლევს უფლებას, გამოქვითონ ასეთი ინვესტიციების სიდიდის 7% მოგების გადასახადისაგან. მოწინავე აღჭურვილობებში იგულისხმება ახალი მასალებისა და ტექნოლოგიების გამოკვლევებისათვის, შემუშავებისა და შექმნისათვის, სამრეწველო რობოტებისა და ელექტრონული ტექნიკის გაუმჯობესებისათვის საჭირო დანადგარები. აღნიშნული სახის შეღავათები ეხება მსხვილი ბიზნესისა და მცირე (საშუალო) კომპანიების წარმომადგენლებს, რომელთა სტიმულირებას ახდენს მთავრობა თანამედროვე ელექტრონული აღჭურვილობის შესაძენად. აშშ-ში მცირე ინოვაციური საწარმოები იხდიან 25%-ით მცირე გადასახადებს, ვიდრე სხვა მცირე საწარმოები.

საინვესტიციო საგადასახადო ფასდაკლებამ ხელი შეუწყო უახლესი აღჭურვილობის შეძენასა და ექსპლუატაციას, ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლას. თუმცა ეს შეღავათი არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ ბიძგი მიეცა საწარმოებისათვის ისეთი მოცულობითი და ძვირადღირებული საკუთარი სამეცნიერო პროგრამების შექმნისა და დაფინანსებისაკენ, რომელთა შედეგები მოკლე ვადებში არ ანაზღაურდება. ამ ფუნქციის შესრულება დაიწყო სპეციალურმა შეღავათმა – „სკსსს-ის მატებაზე საგადასახადო კრედიტი“ („კვლევითი საგადასახადო კრედიტი“). ამა თუ იმ ფორმით, ეს შეღავათი მოქმედებს პრაქტიკულად ყველა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანაში. ის იძლევა საგადასახადო განაკვეთიდან მოგების გადასახადის (კორპორაციული გადასახადები, აქციონერულ საზოგადოებათა შემოსავლებზე გადასახადები) ან საბაზისო პერიოდში სხვა გადასახადის გამოქვითვის უფლებას სკსსს-ზე გაწეული საკუთარი ხარჯების მატების გარკვეულ წილზე, ანალოგიური ხარჯებისგან განსხვავებით. საფრანგეთში ეს საბაზისო პერიოდი წარმოადგენს გასულ წელს, აშშ-ში – გასულ 3 წლის საშუალო წლიურ მაჩვენებელს. თანხის მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც შეიძლება გამოიქვითოს, დგინდება ან აბსოლუტურ ციფრებში (საფრანგეთში, საგადასახადო კრედიტის სახეობების მიხედვით, ცალკეულ წლებში იგი შეადგენდა 3 მლნ, 5 მლნ და 10 მლნ ფრანკს), ან დგინდება პროცენტებში საგადასახადო ვალდებულებათა საერთო თანხისაგან, რომლის აღებაც ხდება იურიდიული პირის მოგების გადასახადიდან (იაპონიაში – 10 ან 15%, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ხასიათიდან გამომდინარე). აშშ-ში საგადასახადო კრედიტის სიდიდემ ცალკეულ პერიოდში შეადგინა 48, 25 და 20%; საფრანგეთში – 25, 30, 50%; კანადაში – 20 და 30% (კვლევის ჩატარების ადგილისა და ხასიათის გათვალისწინებით); იაპონიაში – საკვლევ სამუშაოებზე ხარჯების მატების თანხის 20%. ადრე ეს მაჩვენებელი შეადგენდა კომპანიების საგადასახადო ვალდებულებათა საერთო თანხის არაუმეტეს 10%-ს. ამერიკული ფასდაკლების თავისებურება ისაა, რომ იგი ეძლევა კორპორაციებს, რომლებიც ამუშავებენ პრინციპულად ახალ ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ პროდუქციის სახეობებს ან ტექნოლოგიებს და არ ვრცელდება არაარსებითი მოდიფიკაციის პროდუქციაზე.

ყველა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანაში ომისშემდგომ წლებში საინვესტიციო საგადასახადო კრედიტი არ შეცვლილა იმ სახით, რომელსაც შეეძლო იმ საწარმოთა მდგომარეობის გაუარესება, რომლებიც ეწეოდნენ ინოვაციურ ხარჯებს.

ძირითადი საგადასახადო კრედიტების გარდა, აშშ-ში განსაკუთრებული ფორმით სტიმულირდება მრეწველობისა და უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერების კოოპერაცია. აგრეთვე არსებობს საგადასახადო შეღავათები იმ კომპანიებისათვის, რომლებიც უმაღლესი განათლების სისტემას აწვდიან აღჭურვილობასა და ფინანსებს. კოოპერაციულ სამრეწველო-საუნივერსიტეტო საწარმოებში (რომელთაც გააჩნიათ შეზღუდული პარტნიორობის ფორმა) შეტანილი თანხა გამოიქვითება საგადასახადო დაბეგვრის ბაზიდან მოგების გადასახადის დარიცხვისას.

ახდენენ რა მსხვილი და საშუალო ბიზნესის საწარმოო ბაზის განახლების სტიმულირებას, აგრეთვე მათი კაპიტალის მიმართვას სკსსს-ისაკენ, ამავე დროს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების სახელისუფლო ორგანოები სტიმულირების ობიექტად განიხილავენ მცირე ინოვაციურ ბიზნესს, რომელიც ხდება წამყვანი მონაწილე ინოვაციური პროცესისა ამ ქვეყნებში.

მცირე მეწარმეობის განვითარების საერთო სტიმულირების, საგადასახადო დაბეგვრის პროგრესული შკალის უშუალო გამოყენების (აშშ, იაპონია), შემოსავლებზე დაბალი პროცენტული საგადასახადო განაკვეთების გამოყენების (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი), ლიკვიდურ საშუალებათა დროებითი უკმარისობის დროს, მთელი რიგი გადასახადების გადახდის გადავადების (საფრანგეთი), მინიმალური საგადასახადო დაბეგვრის დაწესების (გერმანია, იაპონია) გარდა, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების დიდ ნაწილში ამავე დროს ფუნქციონირებს სპეციალური შეღავათები, რომლებიც ხელს უწყობს ინოვაციური სტრუქტურის განვითარებას და განსაკუთრებით ვენჩურულ დაფინანსებას.

აშშ-ს სახელმწიფო რეგულირების სისტემამ გამოიმუშავა ზემოქმედების სპეციალური მეთოდები სარისკო კაპიტალის ზრდის მოცულობასა და დინამიკაზე. ვენჩურული კაპიტალის ბაზრის რეგულირება ხორციელდება ფასიანი ქაღალდების ოპერაციებზე საგადასახადო დაბეგვრის დონის დიფერენცირებით. რისკ-ინვესტორის

საქმიანობის მთავარ მოტივად გამოდის საფონდო ბაზარზე ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული მოგება. ამავე დროს მოგების სიდიდე უშუალოდაა დამოკიდებული გადასახადზე, რომლითაც იბეგრება ფასიანი ქაღალდების გასაყიდი ღირებულება.

ამრიგად, გადასახადის განაკვეთი ხდება ის ფაქტორი, რომელიც ამაღლებს ან ამცირებს საფინანსო საქმიანობის რისკის ხარისხს: რაც უფრო მაღალია იგი, მით უფრო პასიურად მოქმედებს სარისკო კაპიტალი; გადასახადის შემცირება იწვევს ვენჩურული ფონდების მკვეთრ და მყისიერ გადიდებას.

ბოლო წლებში მრავალი ქვეყანა იყენებს ინოვაციური საქმიანობის წახალისების ირიბ-სელექციურ ან შერეულ ფორმებს, რომლებიც ათავსებს სარისკო პროექტების დაფინანსებისა და საგადასახადო დაბეგვრის სხვადასხვა ვარიანტებს, სხვა ფირმებთან საკონტრაქტო კვლევებს, აგრეთვე კაპიტალდაბანდებებს საწარმოო ფონდების განახლებაში. გერმანიაში მათ მიიღეს დასახელება — „ირიბი სპეციფიკური დახმარება", რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი და ირიბი მხარდაჭერის კომბინაციას ინოვაციურად აქტიური ფირმებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციაში. ამასთან ერთად, ფირმები ფინანსდებიან იმ პროგრამებიდან, რომლებიც თვითონ ღებულობს სახელმწიფოსგან პირდაპირ მხარდაჭერას და ამავდროულად, როგორც ნოვატორული ფირმები, ირიბად სტიმულირდებიან საგადასახადო დაბეგვრის სისტემიდან.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში შეიმჩნევა ინოვაციური საქმიანობის საგადასახადო სტიმულირების ფორმათა სხვადასხვაობა.

გერმანიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში მრეწველობის პრიორიტეტულ სფეროებში ინვესტიციების სტიმულირებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს არა საგადასახადო ფასდაკლებები, არამედ ამორტიზაციული პოლიტიკა. კანონმდებლობა ითვალისწინებს აღჭურვილობის დაჩქარებული ამორტიზაციის განსაკუთრებულად შეღავათიან განაწესს. იგულისხმება ის აღჭურვილობა, რომელიც გამოიყენება ტექნიკურად მოწინავე სფეროებში და კომპანიების მიერ სკსსს-ბის განსახორციელებლად.

რუსეთში საგადასახადო რეფორმის ძირითად მიმართულებებს განეკუთვნება:

– საწარმოებზე ნომინალური საგადასახადო ტვირთის მნიშვნელოვანი შემცირება და საგადასახადო სისტემის გამარტივება არაეფექტიანი დაბეგვრის გაუქმებითა და არასაბიუჯეტო ფონდების გამოთავისუფლებით;
– საგადასახადო ბაზის გაფართოება გაუმართლებელი საგადასახადო შეღავათების გაუქმების ხარჯზე, გადამხდელთა წრისა და გადასახადებით დასაბეგრი წყაროების შემადგენლობის გაფართოება;
– გაფართოება კომპლექსური ქმედებებისა, რომლებიც დაკავშირებულია გადასახადების აკრეფასთან და საგადასახადო კანონმდებლობის დაცვასთან და სხვა.

საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით, ინოვაციური პროცესების რეგულირების საზღვარგარეთული გამოცდილების შესწავლა ცხადყოფს, რომ მისი ფორმები და შინაარსი მრავალსახოვანია, გათვალისწინებულია სხვადასხვა უწყებებისა და ორგანიზაციების მონაწილეობა, ხელშეწყობის არხების სიმრავლე, რომელიმე ერთი სახელმწიფო უწყების მხრიდან მონოპოლიზმის არარსებობა. ამასთან, არსებობს სათავო ორგანო, რომელიც გამოიმუშავებს ეროვნულ სამეცნიერო-ტექნიკურ პოლიტიკას და ახდენს მისი განხორციელების კოორდინირებას.

საგადასახადო შეღავათებს, რომლებიც ასტიმულირებს საინვესტიციო და ინოვაციურ საქმიანობას, აუცილებლად უნდა ახასიათებს შემდეგი ნიშან-თვისებები:

- ძირითადი საგადასახადო შეღავათების სისტემა „მიჯაჭვული“ უნდა იყოს ერთიან, ყველა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანაში არსებულ, სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის სისტემასთან – საწარმოს მოგების დაბეგვრასთან.
- მოგების დაბეგვრასთან, როგორც ბიუჯეტის შევსების ერთიან (გადახდის ერთარხიან) ფორმასთან ერთად, საწარმოების დარგისა და ხასიათის განურჩევლად, გამოყენებული უნდა იყოს ყოველგვარი ფასდაკლებები, შეღავათები და გამოქვითვები, რომელიც მიმართულია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სტიმულირებისაკენ, სამეწარმეო სუბიექტების ინოვაციური და საინვესტიციო აქტივობის გათვალისწინებით;
- საგადასახადო შეღავათების სისტემის დიფერენცირება უნდა

მოხდეს დარგების (მეცნიერებატევადობის სასარგებლოდ), აღჭურვილობისა (სამეცნიერო-კვლევითობის სასარგებლოდ) და საქმიანობის მიხედვით (სკსსს-ბის ინვესტირების სასარგებლოდ), ტერიტორიულად (ძნელადმისადგომი და ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული რაიონების, საკვლევი ცენტრების, ინოვაციური ინკუბატორების, სამეცნიერო პარკების, ტექნოპოლისების სასარგებლოდ), აგრეთვე, — გამომდინარე ეროვნული პროგრამების, სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური განვითარების პროექტების რეალიზაციიდან, მას უნდა ახასიათებდეს მოქნილობა მოქმედების დროისა და მიზნობრივი წარმართვის თვალსაზრისით;

- თითოეულ შეღავათს უნდა გააჩნდეს მკვეთრი, მიზნობრივი და მიმართული ხასიათი (ახალი აღჭურვილობის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, სკსსს-ზე ხარჯების მატების შემდეგ), ხოლო საგადასახადო შეღავათის მიღების უფლება უნდა დადგეს ავტომატურად, ანუ განმტკიცებული უნდა იყოს კანონით;
- ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, ინოვაციური საქმიანობისა და სკსსს-ბის ფაქტიურად მთლიანი სფერო ამა თუ იმ სახით ხვდება საგადასახადო იმუნიტეტის ქვეშ, სახელმწიფო თუ ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე. ამ ქვეყნებში მიღებული საერთო კონცეფციის თანახმად, სკსსს-ბის სფერო, ისევე როგორც განათლება, მეცნიერება განვითარებისათვის ზოგადსაკაცობრიო საქმიანობა და ეროვნული სიმდიდრე, არ წარმოადგენს სამეურნეო, ანუ სამეწარმეო საქმიანობას, რომლებიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით.

ამიტომ სამეცნიერო და მასთან დაკავშირებული ინოვაციური საქმიანობა კანონით ამოღებულია საგადასახადო დაბეგვრის საერთო რეჟიმიდან, ხოლო უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტები, საკონსტრუქტორო ბიუროები, ლაბორატორიები, კერძო ფირმების სამეცნიერო განყოფილებები და სკსსს-ბის პროგრამების სახელმწიფო მოიჯარენი ამ ქვეყნებში ავტომატურად ხვდებიან „საგადასახადო იმუნიტეტის“ ზონაში, ანუ თავისუფლდებიან გადახდებისგან საგადასახადო სისტემის ყველა დონეზე.

შესაბამისად, საქართველოში აუცილებელია, ინოვაციურ სფეროში

შემუშავდეს მარეგლამენტირებელი კანონები, მათ შორის სამამულო საკონტრაქტო უფლებებისა, რათა რეალიზებულ იქნას ზომები საგადასახადო შეღავათების მიხედვით ინოვაციურ და სამეცნიერო საქმიანობაზე კონკრეტული ზომების რეალიზება მოხდეს. მხედველობაშია:

- სამეცნიერო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებების, საწარმოების სამეცნიერო-კვლევითი განყოფილებების ყველა ოპერაციის გათავისუფლება დღგ-სგან. აქ იგულისხმება ის საწარმოებიც, რომლებიც სპეციალიზდებიან ინოვაციურ საქმიანობაზე, ისეთი აღჭურვილობისა და მასალების შეძენაზე, რომლებიც აუცილებელია ინოვაციური საქმიანობისა და სკსსსბის განხორციელებისათვის;
- ყველა სახის საგანმანათლებლო საქმიანობის გათავისუფლება ყველა სახის გადასახადისაგან (სწავლება, საკუთარი და სხვისი თანამშრომლების კვალიფიკაციის დონის ამაღლება და სხვა);
- მიზნობრივი უანგარო შენატანების (გრანტების) ნებისმიერი სახის საგადასახადო დაბეგვრისაგან გათავისუფლება, რომლებსაც ღებულობენ სახელმწიფო სამეცნიერო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- საგადასახადო შეღავათების მინიჭება არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის და ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც უანგაროდ აძლევენ სახელმწიფო სამეცნიერო ორგანიზაციებს საჭირო საშუალებებს საწესდებო საქმიანობისათვის (სპონსორული მხარდაჭერა);
- სახელმწიფო სამეცნიერო და სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო დაწესებულებების გათავისუფლება გადასახადებისგან ძირითადი საშუალებების უანგაროდ მიღების შემთხვევაში.

ზემოთ აღნიშნულმა ზომებმა შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფო შემოსავლების რამდენადმე შემცირება. თუმცა ამან არ შეიძლება სერიოზულად დააზიანოს ბიუჯეტი, რადგანაც დღეისათვის მის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს მსხვილ მეწარმეთა საგადასახადო შემოსავლები და უახლოეს პერიოდში ცვლილებები ამ ხაზით მოსალოდნელი არ არის.

აუცილებელია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, საცდელ-

საკონსტრუქტორო სამუშაოების უზრუნველყოფა, ინოვაციური საქმიანობის ზუსტი იურიდიული დასაბუთება და კანონის ძალით განსაზღვრა. მკვეთრი ფორმულირების არარსებობა იწვევს დამბეგრავი უწყებების მიერ განსაზღვრული სახეობის საქმიანობების არასწორ ინტერპრეტაციას, უსამართლო გადასახადების ამოღებას საგადასახადო კანონმდებლობის „დარღვევისათვის".

სახელმწიფო და მსხვილი საწარმოები ხასიათდებიან დაგროვებისაკენ არც ისე მაღალი მიდრეკილებით, ამიტომ მათ მიმართ გამოყენებული უნდა იყოს ხანგრძლივი მოქმედების ნორმატივები, რომლებიც გააღვივებს ტექნიკურ გადაიარაღებასა და რეკონსტრუქციაში რეალური კაპიტალდაბანდებების ჩადების სურვილს. დაგროვების მიმართ მაღალი მიდრეკილების მქონე სამეწარმეო სუბიექტებისათვის საჭიროა დამატებითი საგადასახადო შეღავათების შემოღება. ეს ზომები იძლევა ქვეყნის მასშტაბით ინვესტიციური კლიმატის შეცვლის საშუალებას და ინოვაციური მეწარმეობისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

არსებობს აზრი, რომ სამრეწველო წარმოების შემცირებამ პროდუქციის რაოდენობისა და ნომენკლატურის მიხედვით გამოათავისუფლა უზარმაზარი სამრეწველო სიმძლავრეები, რომლებიც გამოყენებული იქნება ალმავლობის სტადიაში. ამ მიზეზით უახლოეს წლებში არ მოითხოვება ახალი სამრეწველო სიმძლავრეების შექმნა. თუმცა, ამასთან არ არის გათვალისწინებული, რომ საბაზრო მეწარმეობის პირობებში სამრეწველო სიმძლავრეების არასრული დატვირთვა მწარმოებლებს აიძულებს რეალიზება გაუკეთონ წარმოებული პროდუქციის დიფერენციაციის სტრატეგიას, რომელიც მოითხოვს წარმოების გადაწყობას და დამატებით საშუალებებს, რომლებიც მოცულობით თანაზომადია საპროექტო სიმძლავრის ჩარჩოებში მასზე გაწეული ხარჯებისა. წარმოების დიფერენციაცია წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის პროგრესული დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებისა და მისი პროგრესული ზრდის გადამწყვეტ პირობას, რაც ამორტიზაციულ ანარიცხებს აყენებს საწარმოს საგნობრივი რესტრუქტურიზაციის დაფინანსებაზე გაწეული ხარჯების უმნიშვნელოვანესი წყაროების რიგში.

უმთავრეს მომენტს, რომელიც ეხება ინოვაციური საწარმოების საქმიანობას და დაკავშირებულია საგადასახადო რეგულირებასთან,

წარმოადგენს საბრუნავ საშუალებათა შევსების პრობლემა. ახალი ნაკეთობებისა და ტექნოლოგიების ათვისების საწყის პერიოდში ასეთი საწარმოები, როგორც წესი, დაბალრენტაბელურებად რჩებიან. ინოვაციურ საწარმოებში დაბალრენტაბელური წარმოების პირობებში საჭიროა მოგების მიმართვა საკუთარი საბრუნავი საშუალებებისაკენ იმ პირობით, რომ ამ ნაწილის მოგება უნდა გათავისუფლდეს საგადასახადო დაბეგვრისაგან.

სიდიდის მიუხედავად, იმ საწარმოების ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისათვის, რომლებიც აწარმოებენ ახალ ტექნიკას ან იყენებენ ახალ ტექნოლოგიებს, მიზანშეწონილია მათი გათავისუფლება მოგების გადასახადებისაგან, საწარმოო სიმძლავრეების ათვისების ნორმატიული ვადების მტკიცე დაცვით. შემდგომ წლებში საწარმოები უნდა გათავისუფლდნენ იმ მოგების გადასახადებისაგან, რომლებიც იხარჯება საწარმოს მოდერნიზაციაზე, ინოვაციურ ინვესტირებაზე, საინფორმაციო სისტემების ფორმირებისა და განვითარებისათვის საჭირო საშუალებების შეძენაზე და სხვა. მიზანშეწონილია გათავისუფლდეს გადასახადისაგან სადაზღვევო პრემიები, შეძენილი ან გაყიდული ლიცენზიებით დაპატენტებული გამოგონებების გამოყენებით მიღებული მოგება. ამავდროულად, მიზანშეწონილია მონოპოლისტი საწარმოებისათვის შემოღებულ იქნას პროგრესული დაბეგვრა იმ მოგებისა, რომელიც მიიღება 5 წელზე მეტი ხნით გამოშვებული პროდუქციის გაყიდვით.

საჭიროა უარი ითქვას საწარმოს იმ მოგების დაბეგვრაზე, რომელიც მიმართულია ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რეგიონული საინვესტიციო პროგრამების შესრულებაზე, რაც ავრეთვე შეუწყობს ხელს ვენჩურული კაპიტალის ბაზრის ფორმირებას.

ინოვაციურ სფეროში საგადასახადო შეღავათების სასურველ ფორმას უნდა წარმოადგენდეს საგადასახადო კრედიტი. მისი გამოყენება საშუალებას იძლევა, განსაზღვრული პერიოდის შემდეგ, ინოვაციურ საქმიანობაში აქტიურობის გაფართოების შედეგად, გაიზარდოს ბიუჯეტში საგადასახადო შენატანები.

შესაძლებელია საგადასახადო კრედიტის გაცემის მოქნილი შეთავსება საგადასახადო შეღავათების სხვადასხვა ფორმებთან, როგორიცაა გადასახადის განაკვეთის შემცირება, საგადასახადო კრედიტის შეთავსება „საგადასახადო არდადეგებთან“, წინასწარ

გადახდილი გადასახადის დაბრუნება, საგადასახადო ამნისტიის სხვადასხვა ფორმები, წინასწარ გადახდილი გადასახადის ჩათვლა, გადასახადის გადახდის შეცვლა. ამ შეღავათებთან ერთად საჭიროა სპეციალური შეღავათიანი საგადასახადო წესების გამოყენება სარისკო კაპიტალის დასაბეგრად, რომელიც ემსახურება ნოვატორულ წარმოებებს.

ფინანსური სახსრების გამოყენებისათვის და მიზნობრივი ხასიათის კონტროლისათვის საჭიროა ფინანსური აუდიტის დანერგვა. საგადასახადო მოლაპარაკების ხელშეკრულების ფარგლებში საჭიროა ბანკის ვალდებულების გამოყენება და საგადასახადო ვალდებულების დაფარვის დაზღვევა.

საგადასახადო კრედიტის პროცენტები უნდა დაირიცხოს საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირებულ განაკვეთზე ნაკლები, თუ კრედიტი წარდგენილია საინვესტიციო ან ინოვაციური ხასიათის საფუძველზე, ან საერთოდ არ დაირიცხება, თუ გადამხდელი გამოიყენებს თავის საშუალებებს სტრატეგიული საწარმოებისა და ტექნოლოგიების განვითარების პროგრამების მიხედვით. თვით ინოვაციურ-საინვესტიციო საგადასახადო კრედიტი შეიძლება იყოს წარდგენილი არა მარტო სათითაოდ, არამედ რამდენიმე გადასახადით.

ფინანსურმა აუდიტმა უნდა დაამტკიცოს საგადასახადო კრედიტის გამოყენების ეფექტიანობა. ამის გამოყენება შეიძლება, ხელისუფლების ორგანოს რწმუნებულის მხრიდან, წარმოებისათვის ახალი საგადასახადო კრედიტის შეთავაზების საფუძვლად. ბიზნესის სხვადასხვა სფეროში მონაწილე წარმოებებმა შესაძლოა ერთდროულად გამოიყენონ რამდენიმე საგადასახადო კრედიტი. საჭიროა შემცირდეს რწმუნებულის ორგანოს გადაწყვეტილების მიღების ვადა ერთი თვით, ასეთი კრედიტის მისაღებად წარმოების მიერ განაცხადის გაკეთების დღიდან. განაცხადში შედის: განცხადება საგადასახადო კრედიტის მიღებისათვის, აუდიტის ცნობები, ბიზნეს-გეგმა, საინვესტიციო პროექტი, ბალანსი და სხვა.

ინოვაციურ-საინვესტიციო პროექტს უნდა ჰქონდეს მიზანდასახული ხასიათი და მკაცრი კონკრეტული მისამართი მის რეალიზაციაში მონაწილეების მიმართ.

სასურველია, რომ საინვესტიციო საგადასახადო კრედიტის ფორმით გადასახადების ფასდაკლების სიდიდე გამოითვალოს საწარმოს

დარიცხული მოგების გადასახადის ჯამიდან და არა შემოსავლების ჯამიდან, ხოლო სიდიდე დიფერენცირებულ იქნას აღჭურვილობის სახეობისა და მისი გამოყენების ვადის მიხედვით. ახალ აღჭურვილობაზე ფასდაკლების უფლების მიღება უნდა შეიძლებოდეს მხოლოდ მისი ექსპლუატაციაში შესვლის წელს, და არა გაშვების დროს. რეკომენდაციები საგადასახადო ფასდაკლების მოხსნაზე იმ აღჭურვილობაზე, რომელთა გამოყენების ვადა 3 ან 5 წელზე ნაკლებია, არ შეუწყობს ხელს მცირე ნოვატორული წარმოებების ტექნიკურ გამართვას.

საჭიროა გავრცელდეს ფასდაკლება მოგების გადასახადზე იმ წარმოებებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლად ახორციელებენ ან დებენ კონტრაქტებს გარე პარტნიორებთან მის ჩატარებაზე. კერძო წარმოებების აკადემიურ და უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო დაწესებულებებთან კოოპერაციის სტიმულირებისათვის, საჭიროა გამოიყოს დოტაციები, რომლებიც გათავისუფლებულია სკსსს-ბის ჩატარებაზე გაწეული ხარჯების დაბეგვრისაგან.

რწმუნებულ ორგანოებს არ უნდა ჰქონდეთ საგადასახადო ვალდებულებების ვადის შეცვლის უფლება, თუ გადამხდელი არ არღვევს მასზე დაკისრებული ხელშეკრულების პირობებს, საგადასახადო კრედიტის თაობაზე. თუ საინვესტიციო საგადასახადო კრედიტის მოქმედება წყდება დროზე ადრე, მაშინ გადამხდელს უნდა ჰქონდეს უფლება, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განსაზღვრული დროის განმავლობაში გადაიხადოს დავალიანების თანხა, ასევე ყოველდღიური საურავი, დაწყებული გადაწყვეტილების მიღების მომდევნო დღიდან და პროცენტი გადაუხდელი გადასახადის ჯამიდან, დაანგარიშებული რეფინანსირების განაკვეთიდან, რომელიც მოქმედებს საგადასახადიო კრედიტის შესახებ ხელშეკრულების პერიოდში.

ბიუჯეტში იმ ფინანსური დაძაბულობის გადალახვა, რომელიც დაკავშირებულია მისი საშემოსავლო ნაწილის გადიდებასთან და გადასახადების აკრეფის ზრდასთან, ქმნის საგადასახადო შეღავათების სხვადასხვა ფორმების გაფართოების საშუალებას, მათ შორის ბიუჯეტისათვის შედარებით ძვირადღირებულისაც კი. ამ დროს შესაძლებელია საგადასახადო კრედიტის გაცემის ვადა გაიზარდოს 3 წლამდე და არა ერთ წლამდე, რაც იძლევა საგადასახადო

კრედიტისა და ინოვაციური პროექტის რეალიზაციის მოქმედებათა ვადების შეთავსების შესაძლებლობას.

დამატებულ ღირებულებაზე გადასახადების ამოღების პრაქტიკა არ ახდენს საინიციატივო მოღვაწეობის სტიმულირებას, რადგან ინოვაციური პროდუქცია ძირითადად მზადდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რაც მოითხოვს მომხმარებლის მხრიდან მის ავანსირებას. ამავე დროს, ავანსის სახით შემოსული თანხები უნდა დაიბეგროს დამატებითი ღირებულების გადასახადით. ჯერ კიდევ საქონლის მიწოდებამდე ან სამუშაოების დაწყებამდე.

ცვლილებას მოითხოვს ინოვაციური საწარმოების ქონების დაბეგვრის წესი. ინოვაციური საწარმოს ზარალს წარმოადგენს აგრეთვე მუშა მდგომარეობაში იმ აღჭურვილობის შენახვა, რომელიც ადრე გამოიყენებოდა ინოვაციური პროდუქციის დასამზადებლად, ხოლო ამჟამად არ გამოიყენება. ინოვაციური საწარმოების ტექნიკური და საკადრო პოტენციალის შესანარჩუნებლად მიზანშეწონილია მათზე დაუბეგრავი რეჟიმის გავრცელება ქვეყნის ეკონომიკის ვარდნის პერიოდში. საწარმოებზე, რომლებიც უშვებენ ახალ კონკურენტუნარიან ტექნიკას და იყენებენ პროგრესულ ტექნოლოგიას, უნდა გავრცელდეს შეღავათიანი ქონების დაბეგვრის წესი (მაგ.: მათი წარმოების 50%-ით მეორე წელს, 30%-ით მესამე წელს, 20%-ით მეოთხე წელს). ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვანი საწარმოებისათვის საგადასახადო ტვირთის შემცირება დააჩქარებს ეკონომიკური ზრდის პერიოდის დადგომას, რომლის დროსაც საწარმოები იძენენ კონკურენტულ უპირატესობებს, რაც უზრუნველყოფს მათი პროდუქციის კომერციულ ეფექტიანობას შიდა და გარე ბაზრებზე.

წარმოებაში ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების დანერგვის სტიმულირებისათვის, პროდუქციის თვითღირებულებაში ჩართულია არასაგნობრივი აქტივების ცვეთა. მათ მიეკუთვნება საწარმოს დანახარჯები, გაწეული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების შესაძენად, რომელიც გამოიყენება სამეურნეო საქმიანობაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში და მოაქვს შემოსავლები.

ინოვაციური პროდუქციის ღირებულების შემცირებას და ინოვაციური მეწარმეობის განვითარებას ხელს უწყობს პროდუქციის თვითღირებულებაში სკსსს-ზე გაწეული ხარჯების ჩართვა. პროდუქციის (სამუშაოები, მომსახურება) თვითღირებულებაში შედის

დანახარჯები, კერძოდ:

- არაკაპიტალური ხასიათის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებასთან და პროდუქციის ხარისხისა და საიმედოობის ამაღლებასთან;
  ახალი ტექნოლოგიების შესაქმნელად და არსებული ტექნოლოგიების გასაუმჯობესებლად;
- იმ პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის გაწეული ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია სკსსს-ის ჩატარებასთან;
- სკსსს-ზე გაწეული ხარჯები, რაც დაკავშირებულია მასალებისა და ნედლეულის ახალი სახეობების შექმნასთან;
- საწარმოს გადაიარაღებისათვის გაწეული ხარჯები.

საგადასახადო შეღავათების გარდა, ინოვაციური საწარმოებისა და ორგანიზაციების სტიმულირება უნდა მოხდეს ეფექტური საამორტიზაციო პოლიტიკით. ინოვაციური კვლავწარმოების დროს, სამორტიზაციო ფონდი წარმოადგენს ძირითადი ფონდების არა მხოლოდ აღდგენის, არამედ გაფართოების ფინანსურ წყაროსაც. საბაზრო რეფორმების პერიოდში, ამორტიზაციამ პრაქტიკულად შეწყვიტა ამ ფუნციების შესრულება, ძირითადი ფონდების დაბალი შეფასებისა და ამორტიზაციის დაბალი ნორმების გამო, რომელიც გამოწვეულია ინფლაციის ფაქტორის დროული გათვალისწინების შეუძლებლობით.

აუცილებელია სამართლებრივი ნორმატიული აქტის შემუშავება, რომელშიც ახალი საამორტიზაციო სისტემის ფორმირების პირობებში, ასახვას ჰპოვებდა საბაზრო მეურნეობის ეკონომიკური კანონები, ინოვაციური პროცესის სტიმულირების მოტივაციური მექანიზმი, ჰიპერინფლაციური ფაქტორის გათვალისწინებით.

ტრადიციულად, ინოვაციური საწარმოებისათვის და გაერთიანებებისათვის რეკომენდებულია ძირითადი საწარმოო ფონდების აქტიური ნაწილის დაჩქარებული ამორტიზაცია. იგულისხმება მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა, გამომთველი ტექნიკა, ხელსაწყოები და ა. შ. არსებითად, დაჩქარებული ამორტიზაცია წარმოადგენს შეღავათს, რომელიც დაკავშირებულია დასაბეგრი მოგების სიდიდის შემცირებასთან.

სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისათვის მიზანშეწონილია დაჩქარებული ამორტიზაციის

რეჟიმის გავრცელება ინვესტიციებზე სკსსს-ის სფეროში, ანუ ინვესტიციების 50%-მდე, რომლებიც გამიზნულია შენობების, ნაგებობების ასაშენებლად, სკსსს-ის ჩასატარებლად, ნაკეთობების (პროდუქციის) საცდელი პარტიების ან ნიმუშების დასამზადებლად და გამოსაყენებლად.

ინოვაციური სფეროსათვის პრაქტიკული მნიშვნელობისაა გადამხდელთა კონსოლიდაციის მექანიზმი, ანუ საწარმოების ჯგუფის ფორმირება ერთიანი გადამხდელის სახით. მოცემული ჯგუფი შეიძლება შედგებოდეს დედა-კომპანიისაგან (მსხვილი საწარმო) და ერთი ან რამდენიმე ინოვაციური საწარმოსაგან, რომლებსაც ე.წ. დედა-კომპანიასთან გააჩნიათ პარტნიორული ხელშეკრულებები.

მძლავრ ფინანსურ პოტენციალს ფლობენ სამრეწველო-ფინანსური ჯგუფები (სფჯ), რომლებიც ყალიბდებიან ერთი ან რამდენიმე ტექნოლოგიურად დაკავშირებული მსხვილი საწარმოს გარშემო, აგრეთვე განვითარებული ფილიალების მქონე საბანკო სტრუქტურები და სხვა „პროფესიული კორპორაციები“, რომლებიც უზრუნველყოფენ ეფექტურ შედეგებს წარმოებისა და მართვის სუბიექტების პასუხისმგებლობისა და დაინტერესების თვალსაზრისით. სფჯ ქმნიან დამატებით შესაძლებლობებს ინოვაციური პროექტების რეალიზაციისათვის კაპიტალის მოსაზიდად. სფჯ-ის მონაწილეთა ფინანსური რესურსების გაერთიანება აფართოებს მათ შიდა შესაძლებლობებს და აბდენს მათ მობილიზებას ყველაზე მთავარი ინოვაციური პროექტებისათვის. საწარმოებისათვის, რომლებიც ქმნიან კონსოლიდირებულ ჯგუფს, მოხსნილი უნდა იყოს საინვესტიციო შეღავათები, რადგანაც ასეთი შეღავათებით სარგებლობა მხოლოდ მოგების დიდი მოცულობის მქონე სტაბილურად მომუშავე საწარმოებს შეუძლიათ.

ინოვაციური და სამეცნიერო-კვლევითი სფეროების კრიზისის პირობებში, აუცილებელია ამ სფეროებში დაკავებულ ფიზიკურ პირთათვის საკმარისი საგადასახადო შეღავათების გაცემა. ასეთი შეღავათების რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს საშემოსავლო გადასახადებზე მინიმალური განაკვეთის დაწესება, მიუხედავად შემოსავლების სიდიდისა ამ სახის საქმიანობიდან, აგრეთვე უარის თქმა იმ შემოსავლების დაბეგვრაზე, რომლებიც იქმნება გამოგონებათა შემუშავებისა და რეალიზაციისათვის მიღებული ჯილდოებისგან,

რაციონალიზატორული წინადადებებისაგან და სხვა.

ვენჩურული კაპიტალი შეიძლება კანონმდებლობით იქნას გამოტანილი კაპიტალის საერთო მასიდან, ხოლო ინოვაციური სარისკო კომპანიების (ფონდების) საქმიანობა, რომელიც ორიენტირებულია ვენჩურულ ბიზნესზე, გათავისუფლდეს დღგ-საგან, ასევე დადგინდეს მოგების გადასახადის განაკვეთი არა უმეტეს 20%-ისა ვენჩურული კომპანიის მოგებიდან. დღგ-საგან თავისუფლდება აგრეთვე საბანკო და საინვესტიციო კაპიტალის დივიდენდები. კანონში „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ" მოცემული უნდა იყოს სარისკო (ვენჩურული) მეწარმეობისა და სარისკო (ვენჩურული) საწარმოს განმარტებები.

იმ პირობებში, როცა სახელმწიფოს არ გააჩნია შესაძლებლობები, ინოვაციურ საწარმოებს გაუწიოს ქმედითი დახმარება ტრადიციული ფორმით, რაც ითვალისწინებს ფართო მასშტაბიან პირდაპირ კაპიტალდაბანდებებს უგარანტიო უკუგებით, დაუბეგრავი ზონების შექმნა წინასწარ დაგეგმილი ვადით და კონკრეტული პირობებით ხელს შეუწყობს სამეცნიერო ტექნოპაკეტების, ტექნოპოლისებისა და რეგიონული აგლომერაციების ფორმირებას, რომლებიც მოიცავს სრული ინოვაციური ციკლის მქონე საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

დაუბეგრავი ზონების შექმნა ტერიტორიებზე, რომლებიც ხასიათდება დაბალეფექტიანი სამრეწველო საქმიანობით, გამოიწვევს ინოვაციური ფირმების აღჭურვილობის ცალკეული სახეობებისა და ტექნოლოგიური კომპლექსების, გამოუყენებელი შენობებისა და კორპუსების დატვირთვას, აგრეთვე შექმნის ვენჩურული ფირმების ფორმირების პირობებს. ეს სახელმწიფოსაგან არ მოითხოვს პირდაპირ ხარჯებს ინოვაციური და საწარმოო სფეროების რეანიმაციისათვის, რადგანაც ფინანსური ნაკადების გადანაწილება ნაკლებად აწევს ტვირთად ბიუჯეტს, ვიდრე ალტერნატიული პირდაპირი ფინანსური ზემოქმედებები.

თავი VI. ინოვაციური მეწარმეობა

6.1. სამეწარმეო საქმიანობის არსი და ინოვაციური ხასიათი

XVIII საუკუნეში რ. კანტილონის, ა. ტიურგოს, ფ. კენეს, ა.სმიტისა და ჟბ. სეის ნაშრომებში დაიწყო ეკონომიკის მეცნიერებაში სამეწარმეო საქმიანობის შესახებ პირველი სამეცნიერო გამოკვლევების ჩატარება. აღსანიშნავია, რომ ცნება "მეწარმეობა" დღემდე მრავალი მნიშვნელობის მატარებელია. ამ ცნების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული შეხედულებები, რაც ხშირად წარმოდგენილია ამ ემპირიულად არსებული ფენომენის ორგანიზაციული და ფსიქოლოგიური მახასიათებლების ეკლექტიკური ნაკრების სახით.

თავდაპირველად (XVIII საუკუნეში), მეწარმეობის ყველაზე უფრო არსებით ნიშნად ითვლებოდა განუსაზღვრელობის ფაქტორი, რომელიც განაპირობებდა მეწარმის შემოსავალსა და ზარალს. მეწარმის სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციად მიჩნეულია სარისკო საქმიანობა სხვადასხვა ბაზრებზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის დამყარების მიზნით.

XVIII საუკუნეში გარკვეული წარმოდგენა შეიქმნა იმაზე, თუ რატომ უნდა გაიმიჯნოს ცნებები „კაპიტალის მესაკუთრე" და „მეწარმე". ეს უკანასკნელი ახორციელებდა კაპიტალის ფუნქციონირებას, დაგროვებას და ასეთ შემთხვევაში მოღვაწეობდა როგორც მეწარმე კაპიტალისტი; ე.ი. პროფესიულად ანაწილებდა უკვე მოზიდულ ფინანსებს, რომელსაც სარისკო საწარმოში აბანდებდა მაღალი მოგების მიღების მიზნით და საქმის ორგანიზაციაში თავიანთ ცოდნას, იდეასა და ჩვევებს იყენებდა.

რ. კანტილიონის კვალდაკვალ, ნეოკლასიკური სკოლის წარმომადგენელთა ნაშრომებში მეწარმედ ითვლებოდა ინდივიდი, რომელიც საწარმოს ფლობდა და სავაჭრო საქმიანობას კონკურენციის პრინციპებზე დაყრდნობითა და ჩვეული რისკით ახორციელებდა. მოცემულ კონცეფციაში მეწარმის შემოსავალი მიიჩნეოდა საზღაურად გაწეული რისკის გამო. ამაში გამოიხატებოდა მისი განსხვავება იმ შემოსავლისაგან, რომელიც მიიღება ავანსირებული კაპიტალისა და ხელფასისაგან.

მიღებული შემოსავლის ხასიათი განასხვავებდა სამეწარმეო ფუნქციას მესაკუთრე-კაპიტალისტისა და მენეჯერისაგან; თუმცა ყველა მათგანს შეეძლო გაერთიანებულიყო ერთ ფიზიკურ პირში.

რ. კანტილონისა და ნეოკლასიკური სკოლის წარმომადგენელთა შეზღუდული შეხედულებები დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ისინი ბაზარს ისეთ სპეციფიკურ თვისებებს მიაწერდნენ, როგორიცაა პროდუქციის ერთფეროვნება, ერთი სახის ტექნოლოგია, კონტრაგენტებისა და კონკურენტების დიდი რაოდენობა.

აღნიშნულის გამო მათ ვერ განახორციელეს სამეწარმეო ფუნქციის შესახებ გამოკვლევები, ახალი პროდუქციის წარმოების საფუძველზე მოთხოვნების გაზრდის ან შექმნის თაობაზე. სამეწარმეო ფუნქციასთან რისკისა და ინოვაციური საქმიანობის განხორციელების შეერთებას ყურადღება მიაქცია ი. ფონ ტიუნენმა. ამ შეხედულების შესაბამისად, მეწარმის შემოსავალი იქმნება სარისკო საქმიანობისა და იმ საზღაურისაგან, რომელსაც მეწარმე იღებს ეკონომიკური ეფექტის მიღწევის შედეგად, რაც სიახლეების გამოყენების შედეგად ხდება.

ინოვაციური საქმიანობის, როგორც მეწარმეობის ფუნქციური მახასიათებლის საფუძვლის შესახებ, მოსაზრების დასაბუთება მოახდინა ი. შუმპეტერმა. მისი თვალსაზრისით, მეწარმე საწარმოო ძალების პროგრესის ძირითადი ფიგურაა, რომელიც ახორციელებს „ეკონომიკური ცხოვრების რეორგანიზაციას, ძირითადად კერძო მეურნეობის მიზანშეწონილების საწყისებზე“.

წინამორბედებისაგან განსხვავებით, რომლებიც მეწარმეობის შესახებ შეხედულებებს საბაზრო კონცეფციაზე დაყრდნობით აყალიბებდნენ, ი. შუმპეტერმა დაასაბუთა დინამიური წონასწორობის მეთოდი, რომელიც წარმოიქმნება წარმოების ფაქტორების არსებული კომბინაციის ახლით შეცვლის შედეგად და რომელიც შეესაბამება სამეწარმეო ძალების განვითარების მაღალ დონეს. ი. შუმპეტერი სამეწარმეო საქმიანობის თეორიული საფუძვლების დასაბუთებისას ეყრდნობოდა ჟ.ბ. სეის აზრებს. მისი აზრით, მეწარმე არის პირი, რომელიც ახდენს წარმოების ფაქტორების გაერთიანებასა და შერწყმას.

ი. შუმპეტერის აზრით, სამეწარმეო ფუნქციის არსი მდგომარეობს წარმოების რეფორმირებაში. სამეწარმეო საქმიანობაში შედის: წარმოების ახალი ფაქტორების რეალიზაცია, რაც ხდება ახალი პროდუქციის დამზადების შესაძლებლობების აღმოჩენითა და

პრაქტიკულად გამოყენებით, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, ნედლეულის ახალი წყაროებისა და გასაღების ახალი ბაზრების აღმოჩენის წყალობით, საწარმოების რეორგანიზაციის საშუალებით. შუმპეტერი უარყოფდა მეწარმისათვის მესაკუთრის სტატუსის ქონის აუცილებლობას. იგი ამტკიცებდა, რომ სამეწარმეო ფუნქცია სხვადასხვა კატეგორიის მომუშავე პირებს მიეკუთვნება და ეს ფუნქცია სამართლიანად მიიჩნევა საერთო ეკონომიკურ ფუნქციად.

ახალი ავსტრიული სკოლის მეორე გამოჩენილი წარმომადგენლის ფ.ფონ ჰაიეკის აზრით, მეწარმეობა კავშირშია ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ძიებასთან და გამოკვლევებთან. თუმცა პოტენციური მეწარმე შეიძლება იყოს ნებისმიერი ინდივიდი, რომლის საქმიანობა საძიებო ხასიათს ატარებს.

შუმპეტერის მსგავსად, ახალი ავსტრიული სკოლის წარმომადგენლები სამეცნიერო საქმიანობას მესაკუთრეობის განსაზღვრულ ფორმასთან არ აკავშირებენ; განსხვავებით კ.მარქსის იდეების მიმდევრებისაგან, მათ შორის მიზეზობრივ კავშირს უარყოფენ. სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება შესაძლოა აქციონერული, ჯგუფური და კერძო (ინდივიდუალური) საკუთრების ფორმების ფარგლებში. თუმცა აქციონერული და ჯგუფური მესაკუთრეობის ჩარჩოში სამეწარმეო საქმიანობა ხორციელდება იმ ფარგლებში, თუ რა შესაძლებლობები აქვთ მუშაკებსა და მენეჯერებს ინიციატივის, გადაწყვეტილების მიღების საკითხებში და რა პასუხისმგებლობა აკისრიათ მათ საქმიანობიდან გამომდინარე.

ამგვარად, ახალი ავსტრიული სკოლის მეცნიერთა ნაშრომებში მეწარმეობის დასაბუთებულ ნიშნად აღიარებულია ინოვაციური საქმიანობა. ახალმა ავსტრიულმა ეკონომიკურმა სკოლამ ლ.მიზესისა და ფ.ფონ ჰაიეკის სახით, საბაზრო პროცესში უფრო ფართო მნიშვნელობა მიანიჭა მეწარმეობის ფუნქციას. ფუნქციები განსაზღვრული სოციალური ჯგუფის კონკრეტულ სუბიექტს კი არ დაუკავშირეს, არამედ ეკონომიკური სუბიექტების მიერ განხორციელებად ყველა სახის საქმიანობას. თავად მეწარმეობა ხორციელდება არა მხოლოდ ინდივიდუალურ, არამედ მსხვილი ორგანიზაციების დონეზეც. იგი ვლინდება აშკარად ან ფარულად, გადაწყვეტილების მიღებისა და რისკის გაწევის სახით, სამეწარმეო ფაქტორების ახალი კომბინაციების ან სიახლეების სახით, შესაბამისად,

მეწარმეობა – ეს არის აღმშენებლობითი საქმიანობა, გადამხდელუნარიანობის მოთხოვნის პოტენციალის დაკმაყოფილების ახალი შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ეკონომიკური სისტემების არათანაბარი მდგომარეობის პირობებში.

ამ სკოლის მეცნიერთა კვლევების განსხვავება კ.მარქსის კვლევებისაგან არის ის, რომ ისინი მეწარმეობას განიხილავდნენ არა როგორც სოციალურ-ეკონომიკურ ფენომენს (რაც შეუძლებელია სამეწარმეო ფუნქციის საზოგადოების ნებისმიერი წევრისადმი მიკუთვნების აღიარების შემთხვევაში), არამედ ფუნქციონალურ-ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ ფენომენს და ყურადღებას აქცევდნენ სამეწარმეო საქმიანობის კულტურულ-შემოქმედებით მხარეს.

დასავლეთის ექსპერტთა აზრით, სამეწარმეო შემოსავლის ბუნების დასაბუთება უკავშირდება სამეწარმეო საქმიანობის შესაძლებლობების ურთიერთობას, თანასწორუფლებიან ფაქტორთან, შრომასთან, კაპიტალსა და მიწასთან ერთად. მეწარმის შემოსავალი ისევე იქმნება, როგორც წარმოების სხვა ფაქტორების შემოსავალი, ე.ი. მარჟინალური თეორიის შესაბამისად. მეწარმის შემოსავალი განისაზღვრება მოცემული ფაქტორის წარმოებით. არსებითად, აქ იშლება ზღვარი იშვიათი სპეციალობის მაღალკვალიფიციური მუშახელის ანაზღაურებასა და მეწარმის შემოსავალს შორის.

მკვლევართა მთელი რიგი მეწარმის შემოსავალს უკავშირებს არა მეწარმის მიერ გამოყენებულ მატერიალურ, შრომით და ფინანსურ რესურსებს, არამედ თავად მეწარმეობის იდეისა და უნარის ეფექტურობას, რაც პრინციპში რაოდენობით შეფასებას არ ექვემდებარება. ისინი მიიჩნევენ, რომ შემოსავალი არის რისკის საზღაური, რომელიც განისაზღვრება გასამრჯელოს სხვადასხვა სახეობითა და წარმოების 3 ფაქტორის გადასახადით. ამასთან, მეწარმის შემოსავალი განისაზღვრება იმით, რომ მესაკუთრეები გამოიყენებენ რესურსებს, მათ შორის იმ დაქირავებულ მუშახელს, რომლებიც თანახმა არიან ფიქსირებული შემოსავლის მიღებაზე, ეს კი მეწარმეს საშუალებას აძლევს, მიისაკუთროს არსებული სხვაობა ნავაჭრსა და ფიქსირებულ გადასახადებს შორის, რასაც ადგილი აქვს განუსაზღვრელი პირობების შემთხვევაში.

და ბოლოს, ი.შუმპეტერის მიმდევრები სამეწარმეო შემოსავალს განიხილავენ, როგორც მონოპოლიური შემოსავლის ფორმას, რომელიც

წარმოიქმნება ახალი მოთხოვნისა და მიწოდების კოორდინაციის შედეგად. მეწარმეობა, როგორც მეწარმის შრომისუნარიანობის რეალიზაცია, სამეწარმეო შემოსავლის შექმნისკენაა მიმართული, ეი ინოვაციური საქმიანობის დამატებითი შემოსავლისაკენ. სამეწარმეო შემოსავლის უმნიშვნელოვანესი წყაროა კონკურენტებთან შედარებით დაბალი ინდივიდუალური დანახარჯები, რაც ხდება საწარმოო რესურსების ბაზრის მარკეტინგული გამოკვლევის ახალი მეთოდების გამოყენების წყალობით. ეს მეწარმეს საშუალებას აძლევს, გაცილებით დაბალ ფასებში შეიძინოს საჭირო მარაგი, რომელიც უფრო ხარისხიანი და ეფექტურია, რაც მას წარმოებული საქონლის ინდივიდუალური დანახარჯების შემცირების ნებას მისცემს. ინდივიდუალური ხარჯების შემცირება ხელს უწყობს ახალი, უფრო კვალიფიციური მუშახელის გამოყენებას და ა.შ. სარეალიზაციო თანხების დაწევა მეწარმეს საშუალებას აძლევს, გაყიდოს დიდი რაოდენობის საქონელი და მიიღოს სამეწარმეო შემოსავალი. მეორე მხრივ, მეწარმეს, რომელიც სიახლეებს გამოიყენებს, შეუძლია მოძებნოს ისეთი ბაზრები (სეგმენტები), სადაც კონკურენტებთან შედარებით, თავისი პროდუქციის რეალიზაციას უფრო მაღალ ფასებში მოახდენს.

სიახლეების გამოყენებით მეწარმეს შეუძლია უფრო ხარისხიანი საქონელი აწარმოოს და შემოსავალი ამოიღოს პროდუქციის მაღალი ფასიდან, ან გაყიდული საქონლის დიდი რაოდენობიდან, ასევე ახალი საქონლიდან, რომელზეც დიდი მოთხოვნა არსებობს და რაც მეწარმეს მონოპოლიურ მოგებას აძლევს. კონკურენცია ამარცხებს მეწარმეს და იწვევს მისი მონოპოლიური შემოსავლის მოსპობას. ამ გაგებით კონკურენცია თავად მეწარმოების იგივეობრივია.

მეწარმის ოფიციალური სტატუსის მიღება ხდება შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებში რეგისტრაციის შედეგად, სახელმწიფო კანონის ფარგლებში. ამავე დროს, თითქმის ყველა ქვეყანაში ამა თუ იმ ფორმითა და მასშტაბებით არსებობს ე.წ. „ჩრდილოვანი ეკონომიკა“, რომელშიც დასაქმებულ სუბიექტებს არ შეიძლება არ ეწოდოთ „მეწარმეები“, თუმცაღა ისინი განსაზღვრულ კრიმინალურ ელფერს ატარებენ.

ბევრი ავტორი ამონაგებს განსაზღვრავს, როგორც "სამეწარმეო საქმიანობის წარმატების საზომს". სამეწარმეო საქმიანობის მიზნებს შორის გამოსაყოფია საქმის განვითარების მდგრადობა, საზოგადოებრივი

წარმატების მიღწევა, საზოგადოებასა და ბაზარზე ფირმისა და მეწარმის მაღალი პრესტიჟის უზრუნველყოფა. ამგვარმა წარმოდგენამ ასახვა ჰპოვა სამეწარმეო საქმიანობის განსაზღვრაში. ეს განსაზღვრება შემოთავაზებული იქნა მეწარმეობის ისტორიის კვლევითი ცენტრის (შეიქმნა ჰარვარდში 1940 წელს) მიერ: „სამეწარმეო საქმიანობა შესაძლოა განისაზღვროს, როგორც ინდივიდის, ან ასოცირებულ ინდივიდთა ჯგუფის ორიენტირებული საქმიანობა (გადაწყვეტილების ერთიანი თანმიმდევრობით მიღების ჩათვლით); ეს საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ შექმნას, მხარი დაუჭიროს ერთეულს, რომელიც მისწრაფვის თავისი პროდუქციიდან მოგების მიღებისაკენ, ან რათა განკარგოს ეკონომიკური სარგო ან მომსახურება; მისი მიზანი ან წარმატების საზომია ფულადი ან სხვა სახის მოგება. იგი ურთიერთქმედებაშია მოცემული ერთეულის შიდა სიტუაციასთან (ან ამ ერთეულის მიერ დამკვიდრებულ პირობებს ემორჩილება), ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ პირობებთან (ინსტიტუტებთან და პრაქტიკასთან), რომლებიც ამა თუ იმ პერიოდებში არსებობს, რათა მოხდეს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება. ზოგადი სახით განხილული ეს საქმიანობა ისეთი კატეგორიის მქონე სოციალურ ფენომენს მიეკუთვნება, რომელიც განსხვავებული უნდა იყოს სხვა სოციალური ცვლილებებისაგან".

მოცემული განსაზღვრება ხაზს უსვამს მეწარმის ინოვაციურ ფუნქციას, გამოყოფს იმ კავშირს, რაც არსებობს მეწარმესა და საწარმოს შორის, რომლის საქმიანობა განისაზღვრება სოციალური და ინსტიტუციური გარემოთი. ამგვარად, ამერიკელი მეცნიერები ყურადღებას აქცევენ იმ ფაქტს, რომ XX საუკუნის პოლიტიკური სტრატეგია აუცილებელი ხდება და მეწარმე იძულებულია, წინააღმდეგობა გაუწიოს არა მხოლოდ ბაზრის ზეწოლას, არამედ პოლიტიკურ ზემოქმედებასაც.

მეწარმე სუბიექტია, რომელიც სპეციფიკურ ფუნქციას ასრულებს ეკონომიკაში, ამიტომ ცნება „მეწარმე" არ შეიძლება ადეკვატურად შეიცვალოს ცნებით „კაპიტალისტი" ან „ფუნქციონრებადი კაპიტალისტი", „კომერსანტი", „მენეჯერი". სამეწარმეო შემოსავლისაგან განსხვავებით, კაპიტალისტის შემოსავალი დაიყვანება კაპიტალის ზღვრულ წარმადობაზე. კაპიტალისტის მიზანია არა ერთჯერადი მოგების მიღება, არამედ მისი განუწყვეტელი მოძრაობა, მაშინ როცა

მეწარმის მიზანია ერთჯერადი მოგების მიღება. მოგების მისაღებად კაპიტალისტმა უნდა მიიზიდოს დაქირავებული მუშახელი, რაც არაა აუცილებელი მეწარმისათვის.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მეწარმეთა მისწრაფება – მიიღონ მოგება, ხორციელდება მოთხოვნების ობიექტური დივერსიფიკაციის პირობებში იმ ბაზრებზე, სადაც კონკურენციამ პროდუქციის წარმოებისა და მასობრივი სტანდარტიზებული მომსახურების გადაჭარბება გამოიწვია; ეს ინდივიდუალურ მეწარმეებს აიძულებს ტრადიციულ საქონელწარმოებისა და მომსახურების სფეროში მონოპოლია დაძლიონ და აწარმოონ ადრე არარსებული, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე დაფუძნებული საქონელი და მომსახურება. მეწარმეობის შედეგები უნდა იყოს საზოგადოებრივი ღირებულების მქონე და იმუნიტეტი უნდა ჰქონდეს იმიტაციისა და მითვისების მიმართ. სიახლეების დაცვისათვის არსებობს საკუთრების კანონი, მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების, აღმოჩენის, გამოგონების, ბეჭდვითი მასალების, სავაჭრო მარკებისა და სხვა დაცვის კანონები. სამეწარმეო საქმიანობის მოგების წყაროს ასევე წარმოადგენს სიახლეების შემოტანა, საკუთრების უფლების გაყიდვა.

მეწარმეობის შესახებ წარმოდგენის ევოლუცია დაკავშირებულია იმასთან, რომ საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოს განვითარების ადრეულ ეტაპზე, მმართველობითი კვალიფიკაცია სამეწარმეო საქმიანობის ძირითად მახასიათებლად მიიჩნეოდა, ხოლო მენეჯერის როლი ინოვატორის როლთან მიმართებაში, მიჩნეული იყო პრიორიტეტულად. თუმცა მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკისაკენ გადასვლამ ჩამოაყალიბა მეწარმეობა, რომელიც უშუალოდ უკავშირდებოდა ინოვაციურ პროცესებს და გავრცელებული იყო საკუთარი ან გადმოღებული სიახლეების რეალიზაციის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით, აგრარულ-სამრეწველო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისათვის, რომლებიც ადრეული ინდუსტრიალიზაციის სტადიაში იმყოფებიან, დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტაციურ მეწარმეობას, რომელიც ეყრდნობა არსებული და ადვილად მოსაპოვებელი რესურსების გამოყენებას, მმართველობით კვალიფიკაციას, ტექნიკურ ცოდნას, გადმოღებულ ტექნოლოგიებს.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს სამეურნეო მეთოდებისა

და სტრატეგიის („ბიზნესის ფორმულის") გამოყენება, რაც გულისხმობს სათავო კომპანიის მონაწილეობას, უკანასკნელის საკუთრებაში პირველის არაპირდაპირი მონაწილეობის დადგენაში. სათავო ორგანიზაცია შეიმუშავებს ფირმა-ოპერატორი კომპანიის ფორმირებასა და შეფასების მეთოდებს, მართვის ძირითად ასპექტებსა და პროცედურებს, ბუღალტრული აღრიცხვის სისტემებს, კადრების ატესტაციის კონტროლსა და რეკლამირებას. ყველაზე უფრო მსხვილი ბაზარი „ბიზნესის ფორმულის" შეთანხმების გადაცემის თაობაზე ფუნქციონირებს აშშ-ში წლიური ბრუნვით, რაც წელიწადში შეადგენს ასობით მილიარდ დოლარს.

XX ს--ის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ჩატარებული სამეცნიერო კვლევები უკავშირდებოდა მეწარმის, როგორც ეკონომიკურ სტრუქტურაში მარეგულირებელი სუბიექტის, როლის ანალიზსა და კონკრეტულ ინსტიტუციონალურ ფორმებში მეწარმეობის მექანიზმის გამოკვლევას. გაძლიერდა წარმოების ორგანიზაციული ფორმების მექანიზმებისა და სამეწარმეო საქმიანობის საწყისების დისციპლინათაშორისი ძიება; მოხდა მართვის სამეწარმეო სტილის დასაბუთება, რომელიც სამეურნეო საქმიანობაში უზრუნველყოფდა უდიდეს ეკონომიკურ ეფექტიანობას. ამასთან, მმართველობა განიხილება როგორც უმნიშვნელოვანესი სამეწარმეო ფუნქცია, რომელიც დანარჩენის ეფექტიანად რეალიზების საშუალებას იძლევა. ამგვარად, სამეწარმეო სიახლეების ობიექტები არა მხოლოდ ახალი პროდუქცია, ტექნოლოგიური პროცესებია, არამედ — ორგანიზაციულ-მმართველობითი და ადმინისტრაციული საქმიანობაც.

ამერიკელი ეკონომისტის ჯ.კარლენდის წარმოდგენით, მეწარმე არის „ის ინდივიდი, რომელიც ქმნის ბიზნესს და მართავს მას პრინციპული მიზნით — მიაღწიოს მოგებასა და ზრდას. იგი ხასიათდება ინოვაციური ქცევით და საქმიანობაში იყენებს სტრატეგიული მართვის პრაქტიკას". ამ უკანასკნელში იგულისხმება: მზადყოფნა რისკისადმი (რაც დაკავშირებულია ბიზნესის განვითარების აღმოჩენის შესაძლებლობებთან), სიახლეების რეალიზაციისადმი აქტიური ხელშეწყობა (რაც უწყვეტი პროცესია ორგანიზაციის შიდა და გარე გარემოში), კონკურენტების გასწრებისადმი მისწრაფება. მართვის არასამეწარმეო სტილს, პირიქით, უკავშირებენ რისკის აცილებისაკენ მისწრაფებას; სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში აქცენტი კეთდება

მოკლევადიან გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ახდენს მიმდინარე შემოსავლის მაქსიმიზაციას, ხოლო სიახლეები გამოიყენება მიმდინარე დანახარჯების შესამცირებლად.

სამეწარმეო მართვა ძირითადად ორიენტირებულია პატარა, ახლადშექმნილი ფირმების დინამიკურ ზრდაზე. ეს დაკავშირებულია მათი გადარჩენისა და განვითარების პირობებთან, ხოლო მსხვილ საწარმოებთან დაკავშირებით, – სტაგნაციური პროცესების გადალახვასთან, რაციონალურ მართვასთან, რომელიც მიმართულია გრძელვადიანი განვითარებისაკენ და რაც მოითხოვს მეწარმეთაგან ისეთი თვისებების ქონას, როგორიცაა ცოდნა, ადმინისტრაციული უნარ-ჩვევები, რაც უკავშირდება პრობლემების გადაწყვეტას, დაგეგმვის ორგანიზებას, ფირმის შიდა კომუნიკაციებს, პერსონალის მართვასა და პიროვნებათაშორის ურთიერთობას.

ორგანიზაციაში მართვის კულტურის ფორმირება ძირითადი პირობაა სამეწარმეო ფირმების მიერ მეწარმეთათვის ფინანსების მიწოდებისთვის და მათ მიერ განიხილება, როგორც პერსპექტიულობის წინაპირობა ვენჩურული პროექტების კომერციალიზაციისათვის.

ამერიკელი მეცნიერი პ. დრუკერი, თანამედროვე მენეჯმენტის სპეციალისტი, მეწარმეობას განსაზღვრავს, როგორც კონკრეტულ საქმიანობას, რომლის შინაარსს წარმოადგენს სიახლეების დანერგვა ყველა სფეროში, მათ შორის მართვაშიც. დრუკერის თანახმად, „სიახლეების დანერგვა მეწარმეთა განსაკუთრებული ინსტრუმენტია, იგი საშუალებაა, რომლის წყალობითაც მეწარმეები ცვლილებებს გამოიყენებენ როგორც კარგ შესაძლებლობებს, მომსახურების სფეროში თავიანთი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. მეწარმის ამოცანაა სიახლეების წყაროების მიზანმიმართული ძიება, ასევე მათი ნიშან-თვისებების შეცვლა, რაც წარმატების მიღწევის შესაძლებლობაზე მიუთითებს“. პ. დრუკერი ამტკიცებს, რომ ყველა, ვინც პატარა ბიზნესს იწყებს, მეწარმე არ ხდება, თუ „არ ქმნის არც პროდუქციის დაკმაყოფილების წყაროს, არც სამომხმარებლო მოთხოვნას“. დრუკერის აზრით, კაპიტალისტი და ინვესტორი, თავისთავად აღებულნი, არ არიან მეწარმეები. მეწარმეების განმასხვავებელი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი „ცდილობენ რაღაც ახლის, ან არსებულზე უკეთესის შექმნას, ცვლიან და გარდაქმნიან ღირებულებით დოგმებს“.

შესაბამისად, სიახლეები მეწარმისათვის სპეციფიკური

ინსტრუმენტია, რომლის დახმარებით იგი ინოვაციებს გამოიყენებს როგორც რეალურ შესაძლებლობებს საქმიანობის ცალკეული სახეობების რეალიზაციისათვის. საჭიროა ყურადღებით იქნას შესწავლილი: გარე და შიდა კორპორაციულ გარემოში ცვლილებების შესახებ ინფორმაციის წყაროები, ამ ცვლილებების სიმპტომები, რომლებიც თავად სიახლეებს ახასიათებს, სიახლეების წარმატებით რეალიზაციის პრინციპების შეთვისება და მათი გამოყენება.

ამგვარად, დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არის სამეწარმეო საქმიანობის საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება. მეწარმეობის სპეციფიკის შესახებ აღმოცენებული ემპირიული წარმოდგენები, რომლებიც მას მესაკუთრისა და მენეჯერის საქმიანობისაგან განასხვავებს, ახდენს არა ობიექტური (ფუნქცია) და სუბიექტური (საქმიანობა) სამეწარმეო ასპექტების გამიჯვნას, არამედ მისი სამეცნიერო დასაბუთების მცდელობებს ერთ-ერთ ასპექტს უთანხმდება. ამავე დროს, აუცილებელია ობიექტური როლის მკვეთრი გამიჯვნა, რომელიც მეწარმეობას ეკონომიკურ სისტემაში უკავია (სამეწარმეო ფუნქცია). ასევე აუცილებელია ისიც, თუ როგორ ხორციელდება ეს როლი ეკონომიკური სუბიექტის მიზანმიმართული მუშაობისას (სამეწარმეო საქმიანობა).

მთელი თავისი დამოუკიდებლობის მიუხედავად, მეწარმე არ არის განკერძოებული სამეურნეო სუბიექტი. იგი ვლინდება როგორც ურთიერთობის კომპლექსი საზოგადოებასა და სხვა სამეურნეო სუბიექტებთან მიმართებაში, იმ ურთიერთწინააღმდეგობების დროს, რომლებიც სუბიექტების გათვითცნობიერებული ურთიერთობების სახით წარმოიქმნება და კონკურენციისა და თანამშრომლობის მეშვეობით რეალიზდება.

მეწარმეობა რთული ეკონომიკური შინაარსისაა, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ იგი მოვლენაა, რომელიც აღნიშნავს სპეციფიკური ეკონომიკური სუბიექტის — მეწარმის საქმიანობას, რაც ფუნქციონალურად დაკავშირებულია საბაზრო ეკონომიკასთან. აქედან გამომდინარე, თავად მეწარმეობა არის საბაზრო ეკონომიკის ელემენტი, კლავწარმოების საშუამავლო პროცესი, საქონლისა და კაპიტალის ბრუნვა. მეწარმეობა, რომელიც საბაზრო სტრუქტურის ელემენტია, ზემოქმედებას განიცდის საბაზრო სისტემის მხრიდან და ემორჩილება საბაზრო ეკონომიკის კანონებს. ამავე დროს, იგი

ზემოქმედებას ახდენს ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობასა და ფუნქციონირებაზე და მას დინამიკურობასა და მდგრადობას აძლევს. შესაბამისად, მეწარმეობა – ეს არის ეკონომიკური სისტემის კვლავწარმოების ფაქტორი, რომელიც ახდენს ამ პროცესის ორგანიზებას და მისთვის პირობებს ქმნის.

როგორც ეკონომიკური კატეგორია, მეწარმეობა ასახავს საკუთარი და ნასესხები კაპიტალის კვლავწარმოებისათვის საწარმოო ურთიერთობების მთელ სისტემას, კონკურენციის პირობებში მოგების მიღების მიზნით. მეწარმეობის არსი ვლინდება ურთიერთობაში, რაც რეალიზდება მეწარმეობის როგორც ეკონომიკური პროცესის განხორციელებისას. განასხვავებენ ამ პროცესის 4, ლოგიკური თანმიმდევრობისა და ერთმანეთში ურთიერთკავშირის მქონე, სტადიას: ახალი იდეის მოძებნა და მისი შეფასება, ბიზნეს-გეგმის შედგენა, აუცილებელი რესურსის ძიება, საკუთარი საწარმოს მმართველობა [13, გვ. 23].

მეწარმეობა განიცდის გარე ფაქტორთა და ადრე შექმნილი პირობების ზეწოლას. ე.ი. იგი არის განსაზღვრული ისტორიული პროდუქტი და ამავე დროს განიცდის ევოლუციას ხარისხის შესაბამისად, რაც დამახასიათებელია მოცემული ეკონომიკური ფენომენისათვის.

მეწარმეობა – ეს არის ეკონომიკური სუბიექტის, მეწარმის შრომითი საქმიანობა. მეწარმის შრომის განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის მწარმოებლური შრომა. მეწარმის შრომა იძლევა კაპიტალის შექმნის საშუალებას. ის ორგანიზებას უკეთებს კაპიტალის საზღვარგარეთ მოძრაობის პროცესს, რაც განისაზღვრება იმ რესურსების რაოდენობით, რომლებიც სამეწარმეო პროცესშია ჩართული. სამეწარმეო შრომა შემოქმედებითი ხასიათისაა, რადგან დაკავშირებულია ადამიანური ინტელექტის, ნერვების, ემოციის, და ა.შ ხარჯვასთან, რაც მიზნად ისახავს ბაზარზე წარმატების მიღწევას საქონლის, მომსახურების ხარისხის გაზრდით ან მათზე ფასის აწევის საშუალებით.

მეწარმის მიერ შექმნილი პროდუქტი არის არა კონკრეტული საგანი ან მომსახურება, არამედ ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ამ პროდუქტის ან მომსახურების წარმოებასა და რეალიზაციას. ე.ი. წარმოების პროცესის განსახორციელებლად მეწარმეობა აყალიბებს

გარკვეულ სამეურნეო პირობებს. ამ ასპექტში მეწარმეობა წარმოადგენს საზოგადოებრივ მექანიზმს, რომელიც განკუთვნილია ხელახალი წარმოების პროცესის ორგანიზაციისა და განხორციელებისათვის.

სამეწარმეო საქმიანობა უმთავრესი ფაქტორია საბაზრო ეკონომიკის მქონე იმ ქვეყნების განვითარებისათვის, სადაც ეროვნული სიმდიდრის გაზრდა ხდება წარმოებაში კომერციულად ეფექტიანი იმ რესურსების მოზიდვის ხარჯზე, რომლებსაც ადრე არ იყენებდნენ.

მეწარმეობის ეკონომიკური ფუნქციის გამოვლენა იმ მეწარმეთა მიერ, რომლებიც კონკურენტულ გარემოში სამეურნეო საქმიანობის გარეშე ექსპანსიას ახდენენ, მოახდინა ი.შუმპეტერმა, მან აღნიშნულს შემდეგი ფუნქციები დაუკავშირა (აღნიშნულ საკითხებზე ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესო, თუმცა განსხვავებული მოსაზრება აქვს ჩამოყალიბებული ლ.ჩიქავას „ინოვაციურ ეკონომიკაში“):

1. ახალი, მომხმარებლისათვის აქამდე უცნობი სიკეთის შექმნა;

2. ახალი, მრეწველობის დარგისათვის აქამდე უცნობი მეთოდების დანერგვა, რომელთა საფუძველში არ დევს ახალი მეცნიერული აღმოჩენები და რომელიც მდგომარეობს შესაბამისი საქონლის კომერციულად გამოყენების საშუალებაში;

3. გასაღების ახალი ბაზრის ათვისება, სადაც ჯერ კიდევ არ წარმოდგენილა ამ ქვეყნის მრეწველობის მოცემული დარგი, იმისდა მიუხედავად, ეს ბაზარი ადრე არსებობდა თუ არა;

4. ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ახალი წყაროს მიღება, იმისდა მიუხედავად, ადრე ეს წყარო არსებობდა თუ არა, იღებდნენ თუ არა მხედველობაში მის არსებობას, იყო თუ არა ის ხელმისაწვდომი და იგეგმებოდა თუ არა მისი შექმნა;

5. შესაბამისი რეორგანიზაციის წარმოება, მაგალითად, მონოპოლიური მდგომარეობის უზრუნველყოფა ან სხვა საწარმოს მონოპოლიური მდგომარეობის შერყევა.

ინოვაციური საქმიანობა ხასიათდება ი.შუმპეტერის მიერ აღწერილი წარმოების ფაქტორთა კომბინაციით. თავად მეწარმე ამ ავტორის მიერ ხასიათდება, როგორც ეკონომიკური ზრდის ბუნებრივი ფაქტორი, რომელიც მთავარ როლს თამაშობს სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესში.

სიახლეების გაურცელების ნიშნით ი.შუმპეტერი 2 ტიპის მეწარმეს

განასხვავებს: მეწარმე-ნოვატორი და მეწარმე-იმიტატორი. ეს უკანასკნელი მოგებას იღებს ახალი ბაზრიდან, რომელიც გახსნილია მეწარმე-ნოვატორის მიერ და რომელიც მონაწილეობას იღებს სიახლეების გავრცელებაში ბაზრის გაჯერებამდე.

სამეწარმეო საქმიანობა ხელს უწყობს საზოგადოების, რეგიონების, დარგების, საწარმოებისა და ორგანიზაციების გადახდისუნარიანი მოთხოვნის ეფექტურ დაკმაყოფილებას. ეს ფუნქცია იძლევა არა მხოლოდ იმის საშუალებას, რომ მოქნილად მოხდეს რეაგირება გადამხდელუნარიან მოთხოვნაზე, არამედ ეფექტურად განხორციელდეს უშუალოდ სამეურნეო საქმიანობის შესაძლებლობების რეალიზებაც.

სამეწარმეო საქმიანობის შედეგები, რომლებიც განიხილება საზოგადოების წევრთა მოთხოვნებთან მიმართებაში, გვევლინება საგანთა და პირობათა სახით, რაც საჭიროა საზოგადოების წევრთა, სხვა სამეურნეო სუბიექტთა და თავად საზოგადოების ცხოვრებისათვის. მეწარმეობის შედეგები შესაძლოა იმ ეკონომიკური გარდაქმნების ხასიათს ატარებდეს, რომლებიც ცვლის იძლევა თავად სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მდგომარეობას და ამ ცვლილებების შედეგად ზემოქმედებას ახდენს ამ სუბიექტის მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე.

მეწარმეობის შედეგები წარმოადგენს მატერიალური სამყაროსა და ეკონომიკური სფეროს ცვლილებებსა და გარდაქმნებს, რაც ეფუძნება შესაძლებლობების გამოყენებას. თავად მეწარმეობა არის ამ ობიექტური შესაძლებლობების რეალიზება, რომელიც მატერიალურ ხასიათს იძენს საქმიანობის შედეგად. მეწარმეობის მიმართულება გულისხმობს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში თვითდამკვიდრების მიღწევას და სუბიექტის შემოქმედებითი პოტენციის რეალიზაციას.

მისწრაფება თვითდამკვიდრებისაკენ გამოხატავს სუბიექტის ლტოლვას თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, რაც მის არსებობასა და განვითარებასთანაა დაკავშირებული. ორ მიმართულებას შორის არსებობს დიალექტური ურთიერთკავშირი, რომლის გამოც მეწარმეობის სუბიექტის არჩევითი დამოკიდებულება განვითარების ობიექტურ პოტენციებთან (ე.ი. შემოქმედებითი მიმართულება) ემსახურება თვითდამკვიდრებას, ხოლო საქმიანობა, რომელიც მიმართულების ობიექტივიზაციის თვითდამკვიდრებას ახდენს, ხორციელდება სამეწარმეო სუბიექტის მოთხოვნილებებისადმი, სამეწარმეო ფაქტორებისა და სოციალურ-ეკონომიკური გარემოს

ელემენტების შემოქმედებითად შეგუების საშუალებით.

კონკრეტული მოთხოვნით საგნების წარმოებისაკენ მიმართულება, დაინტერესება შრომის საშუალებების სრულყოფისადმი, ამ საშუალებების მრავალფეროვნება მეწარმის მოთხოვნილებასთან მიმართებაში აყალიბებს მეწარმის მიმართულებას თვითდამკვიდრებისაკენ, რამდენადაც თითოეული მათგანის რეალიზაციის შემთხვევაში, მეურნეობის სუბიექტი იღებს შედეგს, რაც ემსახურება თავად სამეწარმეო სუბიექტის არსებობასა და განვითარებასთან დაკავშირებული მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

თვითდამკვიდრებისათვის სამეწარმეო საქმიანობის მიმართულებასა და მოქმედებას შორის არსებული სიღრმისეული კავშირი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული მათგანი მეორის უშუალო მონაწილეობით ხორციელდება. მეწარმე, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ცალკე პირი, ასევე პირთა ჯგუფი, მეწარმეობის საშუალებების შეერთებას ახორციელებს სამეწარმეო საშუალებების წარმოებით, რომლებსაც ფლობს ან განკარგავს წარმოების პროცესში მუშახელის გამოყენებით. წარმოებული პროდუქტი ეკუთვნის წარმოების საშუალებების მესაკუთრეებს და რეალიზდება, როგორც საქონელი. სამუშაო ძალის მატარებელნი, მათთვის საჭირო მოხმარებით, სარგებლობას იღებენ პროდუქციის მესაკუთრისაგან, მისი ყიდვის საშუალებით. მეწარმეობისათვის დამახასიათებელია არა მხოლოდ შემოქმედებითი, საძიებო ფუნქცია, რომელიც გამომდინარეობს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტების ეკონომიკური თავისუფლების დონიდან, არამედ ორგანიზატორული ფუნქციაც, რომელიც ვლინდება საკუთარი საქმიანობის ორგანიზებისას მეწარმის მიერ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებაში, საკუთარი საქმის დივერსიფიკაციაში, შიდასაფირმო მეწარმეობის დანერგვაში, მართვის სამეწარმეო სტილის ჩამოყალიბებაში. მეწარმეობა იწყება სამეურნეო სისტემიდან კერძო ორგანიზაციის გამოყოფით, სხვა სამეურნეო სუბიექტთან მისი დაპირისპირებით. საუკეთესო შედეგის მიღწევის საშუალებით. რბარმა [2, გვ. 258] მოახდინა შიდა წესრიგის ფუნქციების კლასიფიცირება, მეწარმეთა დადებითი თვისებების გამოვლენა, რაც ხორციელდება ამ სუბიექტის საქმიანობის მეშვეობით და მიმართულია საწარმოსაკენ. შიდა წესრიგის ფუნქციებს მიეკუთვნება შემდეგი:

1. წარმოების ორგანიზაცია, რაშიც იგულისხმება შემდეგი

ოპერაციები:

— ეკონომიკური სიტუაციის შეფასება;
— მოქმედების გეგმის შემუშავება;
— ადმინისტრაციული მართვის ორგანიზაცია;
— გეგმის შესრულებაზე კონტროლი.

2. რისკის საკუთარ თავზე აღება. მეწარმე არის რისკიანი ადამიანი, იგი აწარმოებს ბაზრისათვის, რომლის მოთხოვნასაც წინასწარ ვარაუდობს. იგი არანაირად არ არის დარწმუნებული თავისი პროდუქციის გასაღებაში; მისი წარმატება გამოიხატება სუფთა მოგების მიღებაში. მის შეცდომებს, არასაკმარის აქტიურობას ან უუნარობას, თან სდევს დანაკარგები. თუმცა რისკის ლოკალიზება შეიძლება თავად საწარმოს კონცეფციის მიერ და საწარმოო გეგმის შემუშავებით და მისი შესრულებით.

3. მართვის ფუნქციის შესრულება. მეწარმე არის საწარმოო ერთეულის ხელმძღვანელი. ე.ი. ფლობს იძულებით უფლებას მათზე, ვინც მუშაობს მისი ხელმძღვანელობის ქვეშ და მისი ზეგავლენა მათთან მიმართებაში შეუქცევადია. ნებისმიერი სახის ორგანიზაციის შემთხვევაში, საწარმოო ერთეულის ხელმძღვანელის უპირველესი და განუყოფელი მახასიათებელია ის, რომ იგი არ არის ისეთივე მუშაკი, როგორც სხვები; მას ეკუთვნის ძალაუფლება.

სამეწარმეო საქმიანობა კონკურენციას, რაც სამეწარმეო მეურნეობის იმანენტური საშუალებაა. საწარმოს ორგანიზების დღიდან მეწარმე იწყებს კონკურენტულ ბრძოლას მეურნეობის გაძღოლის შესაძლებლობისათვის და სამეწარმეო საშუალებებისა და მუშახელის შესაძენად, რაც შეიძლება მცირე ხარჯების გაღებით. მეწარმე-დამოუკიდებელია, მაგრამ არა სრულად გამორჩეული სამეურნეო სუბიექტი, რომელიც საქმიანობს მეწარმეთა იმ თანამეგობრობაში, რომელიც სამეურნეო მიკროსისტემის (მაკროსისტემა) ორგანული ერთიანობაა. კონკურენცია შეუძლებელია გააზრებული ურთიერთქმედების, მეწარმეთა თანამშრომლობის გარეშე. მეწარმეთა საქმიანობა არა მხოლოდ მისი საკუთარი ინიციატივის შედეგია, არამედ განისაზღვრება მეწარმეთა იმ მთელი საზოგადოების ინიციატივით, რომელიც ასრულებს წარმოების საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფუნქციას.

მეწარმე ისწრაფვის, ერთი მხრივ, არსებული მოთხოვნის

დაკმაყოფილებისაკენ, მეორე მხრივ – მოთხოვნის ფორმირებისაკენ, მისი სტიმულირებისა და გაზრდისაკენ. განსაზღვრული სამომხმარებლო ღირებულებების მოთხოვნით და მის სანაცვლოდ ახლის შეთავაზებებით, მეწარმეები თავიანთი საქმიანობით უზრუნველყოფენ აუცილებელი სამეურნეო პროპორციის დადგენას, რომელიც აუცილებელი პირობაა როგორც საზოგადო, ასევე ინდივიდუალური კაპიტალის კვლავწარმოებისათვის. მეწარმეთა საერთო მისწრაფება, გაზარდონ საქმიანობის მასშტაბები, იძლევა საზოგადო წარმოების გაზრდის საშუალებას.

საკუთრების უფლების შემადგენლობის, მათი ურთიერთქმედების ხასიათის გართულება, საკუთრების ობიექტთა მზარდი მრავალფეროვნება იწვევს იმას, რომ საკუთრების ფორმებში ხდება ერთმანეთთან დაკავშირებული, ურთიერთშემავსებელი და ზოგიერთი საფუძვლისადმი (შემოსავალზე უფლება, განმკარგავი ფუნქცია) დაქვემდებარებული სხვადასხვა უფლებამოსილების კომბინაცია. ეს განსაზღვრავს საკუთრებითი კოალიზაციის, როგორც მეწარმეობის ერთ-ერთი ურთულესი სახეობის ჩამოყალიბებას, რომლის შიგნითაც გამორიცხულია ერთი პარტნიორის მეორეზე ზემოქმედება. კოალიზაციების შექმნის მიზნები დაკავშირებულია საერთო პრობლემებთან და მათი გადაწყვეტის ხერხებთან: დამოუკიდებელი მეწარმეობის გაძლოლისათვის არ არსებობს საკუთარი რესურსები, მოგება კოოპერირებიდან; არსებობს საკანონმდებლო შეზღუდვები და ა.შ. სამრეწველო საწარმოების ამჟამინდელი კავშირები უმალლეს სასკოლო დაწესებულებებთან და სახელმწიფო ორგანოებთან შეიცავს ინოვაციურ პროცესებს დანერგვის სტადიამდე და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების პრაქტიკულ რეალიზაციამდე, ძირითადად სამეცნიერო დარგებში (მიკროელექტრონიკა, ბიოტექნოლოგია, ქიმია, ხელსაწყოთმშენებლობა).

კოოპერატიული კავშირების დამყარება და ერთობლივი საქმიანობის ორგანიზება გადაიზარდა დამოუკიდებელ ინოვაციურ მეწარმეობაში. ამაში დაინტერესებულია არიან მსხვილი სამრეწველო საწარმოები და მცირე ნოვატორული კომპანიები.

ამ უკანასკნელთათვის, გადარჩენის მიზნით კონკურენტებთან ბრძოლაში სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნების აუცილებელი პირობაა სარისკო მიმართულების მაღალშემოსავლიანი ოპერაციები

და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. სახელმწიფო თავის უფლებებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისაკენ მიმართავს, ასევე დაინტერესებულია თანამედროვე ინოვაციური მეწარმეობით, რადგან ცენტრალურ ორგანოებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სფეროში არ შეუძლია ეკონომიკური ურთიერთობების ეფექტურად განხორციელება.

ამგვარად, სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში კორპორაცია გახდა თანაზომადი აშშ-ს სახელმწიფო უწყებების ეკონომიკასთან, მაგრამ მათგან განსხვავებით ინოვაციური ასოციაციები „მართავენ მათ მიერ ორგანიზებულ მეცნიერულ-ტექნიკურ პროცესებს არა დირექტივებისა და სხვა ბიუროკრატიული ინსტრუმენტების გამოყენებით, არამედ პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებითა და პოვნით, რაც ხელსაყრელია კოოპერატიული საწარმოების ყველა მონაწილისათვის“. ამით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ორგანიზაცია მოიცავს საბაზრო, ადმინისტრაციულ და პარტნიორულ მექანიზმებს, რაც ხელს უწყობს სიახლეების ეფექტურ მართვას.

მეწარმეობის ეკონომიკურ წინაპირობებს შორის, მასობრივი ნოვატორობის გვერდით, გამოსაყოფია გადახდისუნარიანი მოთხოვნების დიფერენციაცია, ამასთან დაკავშირებით, ასევე – მცირე ნედლეულის მჭონე წარმოების ეფექტიანობა, მეურნეობის ინტენსიური სტრუქტურის გარდაქმნა. თანამედროვე მეწარმეობის ტექნიკურ წინაპირობებს განეკუთვნება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მზარდი ნაირსახეობა, საინფორმაციო ტექნოლოგიის მასობრივი გავრცელება, ინფორმაციის გარდაქმნა ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს რესურსად, რაც ხელს უწყობს ინდივიდუალური და ჯგუფური ინტელექტუალური საქმიანობის გაერცელებას.

მცირე ინოვაციური კომპანიებისათვის აუცილებელია ის, რომ მიკროელექტრონიკა და ტელეკომუნიკაციების თანამედროვე საშუალებები ამარტივებს ნებისმიერ საინფორმაციო ფონდთან დაშვებას, ქმნის მათი ორგანიზაციისა და გამოყენების შესაძლებლობას და არ საჭიროებს კაპიტალურ აღჭურვილობას.

ინტენსიურობისა და გლობალურობის ზრდის პერიოდში მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში ძლიერდება მომავალი კომერციული წარმატების დამოკიდებულება ახალი ტექნიკური გადაწყვეტის დროულ დანერგვაზე. ასეთი სახის გადაწყვეტილების დეფიციტი უფრო მწვავე

ხდება, ვიდრე ყველა სხვა სახის რესურსების დეფიციტი (შრომითი, სანედლეულო, ფინანსური). კონკრეტული ეკონომიკური პრობლემების ადეკვატური ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების არსებობა მათ ირგვლივ ყველა სხვა საჭირო რესურსის შეგროვების საშუალებას იძლევა, ამ იდეების განსახორციელებლად. ამიტომ თანამედროვე მეწარმეობა შეიძლება განისაზღვროს როგორც ტექნოლოგიური, საბაზრო და სხვა შესაძლებლობების მოძიებისა და დამუშავების პროცესი, იმისდა მიუხედავად, თუ რა რესურსები არსებობს მოცემულ მომენტში.

მეწარმეობის განვითარება გულისხმობს კლავწარმოებადი და შეზღუდული რესურსების ორმაგ გამოყენებას. რესურსში იგულისხმება წარმოების ყველა მატერიალური და არამატერიალური პირობები და წარმოების ფაქტორები. უმალლესი შედეგების მისაღწევად, მეწარმემ უნდა მოახდინოს მეცნიერულ-ტექნიკური იდეის წინა პლანზე წამოწევა, გამოიყენოს მაღალკვალიფიციური მუშახელი, ეფექტიანად გამოიყენოს ყველა სახის რესურსი. თუმცა მაქსიმალურ მოგებაზე ორიენტირება ხშირად იწვევს რესურსების მტაცებლური სახით გამოყენებას, ზიანს აყენებს გარემოს, რაც სამეწარმეო საქმიანობის სარესურსო ფუნქციას საწინააღმდეგო ხასიათს სძენს. მეწარმე, როგორც რესურსების მესაკუთრე, დაინტერესებულია ამ რესურსების რაციონალურ გამოყენებაში. თუმცა, ამასთან, მას შეუძლია შეუბრალებლად მოექცეს საზოგადო რესურსებს, რაც აიძულებს სახელმწიფოს, დაადგინოს მეწარმეთა პასუხისმგებლობის ფორმები რესურსული ფუნქციის არასწორად გამოყენებაზე.

მეწარმეობის ტიპოლოგია იცვლება კლასიფიკაციის კრიტერიუმების მიხედვით. ამგვარად, საქონლის სიახლე და მომსახურება გულისხმობს სამეწარმეო საქმიანობის დაყოფას ინოვაციურ და რუტინულ სახეობებად. მეწარმეობის სამართლებლივ წესრიგთან შეფარდება მეწარმეობას ლეგალურ და „ჩრდილოვან“ (დანაშაულებრივ) სახეებად ჰყოფს. დარგობრივი კრიტერიუმების მიხედვით, იგი იყოფა ინდუსტრიულ, სამეცნიერო, აგრარულ, ფინანსურ და სხვა სახეობებად. საკუთრებასთან დამოკიდებულების მიხედვით, რაც განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღების სტატუსს, მეწარმეები იყოფიან საკუთარი საწარმოების მფლობელებად, დაქირავებულ მმართველებად და ა.შ.

სამეწარმეო საქმიანობის ფორმების კლასიფიკაცია

სხვადასხვაგვარად შეიძლება. კლავწარმოების ფაზის მიხედვით, მეწარმეობის ფორმებია:

- საწარმოო-სამეწარმეო საქმიანობა;
- ფინანსური მეწარმეობა;
- კომერციული მეწარმეობა (სავაჭრო-მყიდველობითი საქმიანობა, აღჭურვისა და გასაღების მომსახურება);

მეწარმეობა საყოფაცხოვრებო, სოციალურ-კულტურული, სამედიცინო და კომერციული მომსახურეობის სფეროში.

საქართველოს კანონმდებლობით „მეწარმე სუბიექტები არიან: ინდივიდუალური მეწარმე, სამეწარმეო ამხანაგობა, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი“ („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი - მუხლი 2, პუნქტი 1). საწარმოს ფორმა უშუალო ზეგავლენას ახდენს წარმოების ბუნებასა და მასშტაბებზე.

საქმიანობის მასშტაბების მხრივ, მეწარმეობა იყოფა მცირე, საშუალო და მსხვილ მეწარმეობად, რომელთათვის შემუშავებულია სამეურნეო კანონმდებლობის ზომები, რომლებიც მის ფუნქციონირებას არეგულირებს. ტერმინები „მცირე“, „საშუალო“, „მსხვილი“ ახასიათებს არა მეწარმეობის სამართლებლივ ფორმას, არამედ ზომებს მოშუშავეთა რიცხვის, რაოდენობის, სამეურნეო ბრუნვის მოცულობისა და საქმიანობის სხვა პარამეტრების მიხედვით.

მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოები შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებლივი ფორმების სახით, საკუთრების ნებისმიერი, მათ შორის შერეული ფორმების საფუძველზე. ყველაზე მომგებიანი ორგანიზაციულ-სამართლებლივი ფორმების შერჩევა ჩვეულებრივ ხორციელდება მისი დამაარსებლის — ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ.

კერძო მესაკუთრეობის სტრუქტურის დახასიათება წარმოშობის მიხედვით შეიძლება, როგორც პრივატიზებული, კომერციალიზებული და როგორც ხელახლა შექმნილი სახელმწიფო სუბიექტების, ასევე მოქალაქეთა პირადი დანაზოგების ხარჯზე.

ადმინისტრაციულ-სამართლებლივი ნიშნით, სამეწარმეო სტრუქტურები შესაძლოა ფიზიკური, იურიდიული პირის ხასიათს

ატარებდეს, რომლებიც წარმოდგენილია როგორც ინდივიდუალური მესაკუთრის, ასევე კოლექტიური მეწარმეების მიერ (საარენდო საწარმოები, სამეურნეო საზოგადოება ან ამხანაგობა, კოლექტიური საწარმო, უცხოური ფირმა ან მისი ფილიალები და სხვა).

სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტები მთლიანად შეადგენენ სხვადასხვა სისტემებს, რომლებიც პარტნიორულ ურთიერთობებში არსებობს და მათ შორის ეკონომიკური დამოკიდებულებაა. მეწარმის სტატუსი ითვალისწინებს მეწარმის ცნებაში გადაწყვეტილებისა და შესრულების გაერთიანებას. მეწარმის არსებობის პირობებია: პასუხისმგებლობის ქონა, კომერციული არჩევის რეალური შესაძლებლობა, კომპანიონთა და პარტნიორთა არსებობა, რომლებსაც იგივე უფლებები აქვთ, ანუ დაცულობის უფლებები.

სამეცნიერო და პოპულარულ ლიტერატურაში მეწარმის უფლებების სხვადასხვა ჩამონათვალია. ასე მაგალითად, „მეწარმის ენციკლოპედიაში“ შედის ნებისმიერი საწარმოს შექმნის უფლება, რომლის ორგანიზაცია აკრძალული არ არის მოქმედი კანონმდებლობით. მას შეუძლია, შეიძინოს სხვა საწარმოს ქონება და გაყიდოს საკუთარი საწარმოს ქონება, საკუთარი ქონებით მონაწილეობა მიიღოს სხვა სამეურნეო სუბიექტის საქმიანობაში, დაიქირაოს და გაათავისუფლოს მუშახელი კონტრაქტის საფუძველზე, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის დაცვით დადებულია სამუშაოს მიმცემსა და დაქირავებულ მუშახელს შორის; დამოუკიდებლად შეიმუშაოს და განახორციელოს ყველა სახის სააანგარიშსწორებო, საკრედიტო და საკასო ოპერაცია; თავისუფლად განკარგოს საწარმოს მოგება, რაც დარჩება სავალდებულო გადასახადების გადახდის შემდეგ და ა.შ. შესაბამისად, მეწარმე პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის შედეგებზე.

შემოქმედებითად მოაზროვნე მეწარმეები ქვეყნის ღირებულ ქონებას წარმოადგენენ. მათთან დამოკიდებულება ასახავს საზოგადოების პროგრესულობას, განსაზღვრავს ხალხის შესაძლებლობებს მსოფლიო ეკონომიკურ სამყაროში არსებული კონკურენციის პირობებში. ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლეობის საერთო შემადგენლობასთან შედარებით ცოტაა ადამიანები, რომლებიც ქმნიან ახალ წარმოებას, მუშაობის მეთოდებსა და ნაწარმს, რომელიც სიახლით გამოირჩევა და გამოყენებადია.

მეწარმე სპეციფიკური სოციალური ფენაა, რომელიც განსაკუთრებულ ადგილს იკავებს საზოგადოებრივ განვითარებაში და გააჩნია საკუთარი სტრუქტურა, ფსიქოლოგია და მოთხოვნები. მათ შორის უპირველესად გამოსაყოფია სიახლის შემქმნელნი და მათი რეალიზატორები. უკანასკნელი ჯგუფი - ეს იგივე ინოვატორებია, მაგრამ არა თავად სიახლის, არამედ სიახლის ათვისების, დიფუზიის, კომერციულად ეფექტურად გამოყენების პროცესისა. ხშირად მეწარმეობა ინტერმეწარმეობის სახით გვხვდება, როცა პროფესიონალი მუშები საწარმოს შიგნით ქმნიან და წინ წამოწევენ ორიგინალურ იდეებს, თავიანთი ძირითადი სპეციალობის ფარგლებში განახორციელებენ შემუშავებებს.

ვინაიდან მეწარმეობა საბაზრო ეკონომიკაში მეურნეობის სუბიექტების ეფექტური და ნოვატორული ეკონომიკურ-ორგანიზაციული ურთიერთობის ფორმაა, მეწარმეობის განვითარებისათვის ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია მოსახლეობის საერთო განათლებისა და პროფესიული დონის ამაღლება, რაც გაზრდის ადამიანის უნარს, მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება და გამოიყენოს შემოქმედებითი შესაძლებლობები.

6.2. ინოვაციური მეწარმეობის ფორმები

ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფისათვის საბაზრო გარემოში, რომელიც ხასიათდება ფინანსური მდგრადობით, პროდუქციისა და ტექნოლოგიების კონკურენტუნარიანობით, წარმოებისა და რეალიზაციის ეფექტიანობით, მსხვილი საწარმოები ახორციელებენ რეაქტიულ და სტრატეგიულ ინოვაციებს, რომლებიც განპირობებულია კონკურენტების გარდაქმნასთან დაკავშირებული რეაქციითა და გარემო პირობების ცვლილებებით.

მ. პორტერმა გააანალიზა კონკურენტუნარიანი დარგები და სამეწარმეო სტრუქტურები, ცხრა ყველაზე მაღალგანვითარებული მქონე ქვეყნის მიხედვით და განაზოგადა ანალიტიკური მასალა ბიზნესისა და ეკონომიკის სხვადასხვა სკოლებისთვის, სამინისტროებისათვის, ექსპერტებისა და მენეჯერებისათვის.

წარმოების უწყვეტი მოდერნიზაცია სტრატეგიული ინოვაციების რეალიზაციის საფუძველზე (უმაღლესი ტექნოლოგიები, აღჭურვილობანი, მათი შესაბამისი შრომის ორგანიზაციის, წარმოების, მარკეტინგული მომსახურების საშუალებანი) წარმოადგენს მყარი კონკურენტული უპირატესობის წყაროს სამეწარმეო სტრუქტურებისა და დარგების, აგრეთვე იმ ქვეყნებისათვის, რომლებშიც დინამიკურად მყარი წარმოება უზრუნველყოფილია. საწარმოებს, დარგებს, ქვეყნებს შეუძლიათ დაკარგონ კონკურენტული უპირატესობა, თუ უარს განაცხადებენ წარმოების განუწყვეტელ განახლებაზე, სიახლეების დანერგვის მაღალ ტემპებზე და ა.შ. სწორედ ასეთი სტრატეგია აირჩიეს იაპონურმა ფირმებმა, რომლებიც ომის შემდგომ პერიოდში მუშაობდნენ ეროვნული ეკონომიკის წამყვან დარგებში. ამან მათ საშუალება მისცა, ფაქტორული კონკურენციის სტადიიდან ინოვაციური კონკურენციის სტადიაზე განეხორციელებინათ გადასვლა.

კონკურენტული სტრატეგიის შესაბამისად, ინოვაციურ საწარმოებს მიაკუთვნებენ კომუტანტებს, პატიენტებს, ვიოლენტებს და ექსპლერენტებს.

კომუტანტები არიან ტიპური იმიტატორები,რომლებიც გამოავლენენ ახალ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს და მოქნილად მოერგებიან ცვალებად გადამხდელუნარიან მოთხოვნებს. ახორციელებენ რა წამყვანი ფირმების კოპირებას, კომუტანტებს შეუძლიათ სამომხმარებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება მცირე დანახარჯებით. ასეთი საწარმოები არამარტო განდევნიან, არამედ წარმატებით უწევენ კონკურენციას მცირე წარმადობის მქონე მსხვილი საწარმოების დამხმარე ქვედანაყოფების და აიძულებენ, ნახევარფაბრიკატების წარმოებაზე შეკვეთები პატარა ფირმა-კომუტანტებთან განახორციელონ. მიმართულნი არიან რა შეზღუდული მოთხოვნილების მქონე პროდუქციის დამზადებაზე, ინდივიდუალური მომხმარებლის სპეციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, პატიენტები ახდენენ ბაზრის სეგმენტაციას, რომელშიც მსხვილ კომპანიებს უკვე არ უკავიათ წამყვანი პოზიციები. პატიენტებს თავიანთი სტრატეგიის რეალიზაციისათვის უნდა გააჩნდეთ ან უნიკალური ტექნოლოგიური გამოცდილება, ან განსაკუთრებული გასაღების ქსელი, სავაჭრო მარკის პრესტიჟულობა და ა.შ., რათა შეინარჩუნონ პოზიციები მასობრივ, სტანდარტულ, მაღალ-

ტექნოლოგიური საქონლის კონკურენტულ ბაზარზე.

მსხვილი საწარმოო ვიოლენტები ახდენენ მნიშვნელოვანი საშუალებების ინვესტირებას ინოვაციურ მოღვაწეობაში და ახალი, ტექნოლოგიურად რთული პროდუქციის ეფექტურ წარმოებაში.

ტიპიურ ინოვაციურ საწარმოებს წარმოადგენენ ფირმა-ექსპლერენტები. სამეცნიერო-ტექნოლოგიური სიახლეების საფუძველზე ისინი აღმოაჩენენ ახალ ბაზრებს ან აწარმოებენ პრინციპულად განსხვავებულ საქონელს. მაგალითად, იაპონიის საავტომობილო წარმოებაში კონკურენტებზე ზემოქმედებას ახდენენ არა იმდენად გიგანტები, რამდენადაც პატარა ფირმები. სწორედ ისინი აიძულებენ გიგანტებს, მიესადაგონ ბაზრის მოთხოვნებს. ექსპლერენტების რისკთან დაკავშირებული ინოვაციური საქმიანობა გამართლებულია, თუ ფირმას შეუძლია განახორციელოს ახალი პროდუქციის საცდელი წარმოება, მიიღოს იმ პერიოდში მონოპოლიურად მაღალი შემოსავალი, სანამ მოხდება ექსპლერენტების ბაზარზე კონკურენტების მასობრივი შემოღწევა.

ინოვაციები დარგობრივი ნიშნით დიფერენცირდებიან: სათბობ, პოლიგრაფიულ მრეწველობაში, მეტალურგიაში სჭარბობს ტექნოლოგიური ინოვაციები, დანარჩენ დარგებში — სასაქონლო ინოვაციები, რომლებზეც მოდის დანახარჯების 2/3. ისინი მეცნიერულად უფრო ტევადნი არიან და მათი განხორციელებისათვის საინვესტიციო საშუალებების 1/3 იხარჯება.

საწარმოთა 70%-ზე მეტი ახორციელებს ინოვაციებს პროდუქციის ასორტიმენტის გასაფართოვებლად, რათა დაიპყრონ ბაზრის სეგმენტი. ინოვაციურად აქტიური საწარმოების მთავარი მიზანი წარმოების დანახარჯების შემცირებაა.

ნებისმიერი ინოვაციური საქმიანობა სამეწარმეოა და დაფუძნებულია:

— ახალი იდეების მოპოვებასა და შეფასებაზე;

— აუცილებელი რესურსების მოძიებაზე;

— ფულადი მოგების და პირადი დაკმაყოფილების მიღებაზე.

ყოველგვარი სამეწარმეო საქმიანობა არ არის ინოვაციური. ინოვაციურია მხოლოდ ისეთი სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც საშუალებას იძლევა, მიღებული იქნას სამეწარმეო მოგება საწარმოს შექმნის შედეგად, აგრეთვე ინოვაციური პროდუქტების გამოყენებისა

და დიფუზიის შედეგად. ინოვაციური მეწარმეობის სუბიექტებს მიეკუთვნებიან საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ინოვაციურ საქმიანობას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინოვაციური მეწარმეობის განვითარება დამოკიდებულია მომხმარებლის მხრიდან ინოვაციების მოთხოვნაზე, ეროვნული ეკონომიკის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის არსებობაზე, ინვესტირებისა და ვენჩერული ფირმების ფუნქციონირებაზე, რომლებიც სარისკო ინოვაციურ საქმიანობას აფინანსებენ.

ინოვაციური საქმიანობის სუბიექტების გამოკვლევა გულისხმობს იმის განხილვას, თუ რას წარმოადგენენ ისინი მაღალგანვითარებულ საბაზრო ეკონომიკაში, რა ფუნქციებს ასრულებენ და ა.შ. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სამეურნეო სუბიექტების ინოვაციური საქმიანობის თანამედროვე თეორიული წარმოდგენების ანალიზის გარეშე შეუძლებელია პრიორიტეტების გამოყოფა და პრაქტიკული განხორციელება.

ჩვენი რეფორმების მთავარი უბედურება მდგომარეობს იმაში, რომ არ არის ნათელი წარმოდგენა, რომელი ინსტიტუტებია აუცილებელი და რატომ, როგორ წარმოიქმნება ისინი და როგორია მათ შორის ურთიერთკავშირი. ინოვაციური სფეროსათვის აქტუალური რჩება კითხვები: რომელი ინოვაციური სუბიექტები უნდა წარმოიქმნას სპონტანურად, სახელმწიფოს ან მეურნეობის მაკროსუბიექტების მიერ, რომელი სუბიექტები განახორციელებენ მაკროსუბიექტის სამეურნეო აგენტების ინტერესების ეფექტურ რეალიზაციას.

მსოფლიო ლიტერატურაში ახალი ავსტრიული სკოლის წარმომადგენლების შემდეგ შეიქმნა წარმოდგენა, თითქოს სამეწარმეო საქმიანობა ასრულებს შემდეგ ფუნქციებს: წარმოების ტექნიკური დონის მუდმივი სრულყოფა, ახალი დოვლათის შექმნა, ახალი ბაზრების აღმოჩენა და ა.შ. მეწარმე გამოდის, როგორც წამყვანი ფიგურა ფირმის მართვისა, რომელიც ახორციელებს ორგანიზაციის ფორმირებას და რესურსების განთავსებას საწარმოს შიგნით, ამით კი ამცირებს ტრანსაქციურ დანახარჯებს.

კლასიკურ და ნეოკლასიკურ თეორიებში ჩამოყალიბებული წარმოდგენა მეწარმეზე, როგორც რეალურად მოქმედ ეკონომიკურ სუბიექტზე განსხვავებულია: ყოველგვარი ჩარევა გარედან რესურსების

განაწილებაში ართულებს ინდივიდის და, შესაბამისად, მთელი საზოგადოების მიერ ოპტიმალური მმართველობის მიღწევას.

საზოგადოების განსხვავებული შეხედულება მეურნე სუბიექტისა და საზოგადოების ურთიერთკავშირზე ჩამოყალიბდა ისტორიული სკოლის სახით, ინსტიტუციონალიზმისა და კეინზის თეორიაში. მათი მიმდევრები თვლიდნენ, რომ ეკონომიკური სუბიექტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს ინფორმაციის სიმცირე, მეხსიერების შეუზღუდაობა, და ა.შ. ეკონომიკური სუბიექტები ქმნიან საზოგადოებებს და კოლექტივებს ჯგუფური ინტერესებით, რის გამოც საზოგადოების დაყვანა არ შეიძლება სამეურნეო აგენტების უბრალო ერთობლიობაზე, რაც არ აძლევს მას ჰარმონიულ, წონასწორულ მდგომარეობაში ყოფნის საშუალებას.

საზოგადოების სამეურნეო სისტემის დინამიკა, რომელიც მუდმივად არღვევს წონასწორობას, მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული 1980-იანი წლების ე.წ. „სამეწარმეო რევოლუციასთან", რომელიც გამოწვეული იყო საწარმოო რობოტების, ინფორმატიკის, კომუნიკაციის ახალი საშუალებების გაჩენასთან. ამან საშუალება მისცა მსხვილ საწარმოებს, სწრაფად აეთვისებინათ პროდუქციის ახალი სახეობები, ხოლო მცირე საწარმოებსა და ინოვატორებს – მოქნილი ტექნოლოგიების საფუძველზე განეხორციელებინათ ინდივიდუალიზებული და მცირესერიული წარმოება საგნებისა, რომლებიც განკუთვნილია მომხმარებლის კონკრეტული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ინოვაციური საწარმოების მნიშვნელოვანი ფუნქციაა ეკონომიკური გაცვლის უზრუნველყოფა მეცნიერულ-ტექნიკურ და საწარმოო სფეროებს შორის. ინოვაციური საწარმოები მეცნიერულ-ტექნიკური საქმიანობით ახდენენ პროდუქციის იმ მდგომარეობამდე მიყვანას, რომელიც იძლევა სამრეწველო სფეროში მისი გამოყენების საშუალებას. გარდა ამისა, ახორციელებენ კომერციული პარტნიორის ძიებას, რომელსაც აქვს ახალი საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარი, განპირობებული შესაძლო მოგებით. ინოვაციური საწარმოები წარმოების ზოგიერთი დანახარჯის ლიკვიდაციის საშუალებას იძლევა, ე.ი. ისინი გამოდიან ინსტიტუციონალურ ფორმად, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუტებისა და კერძო სახელმწიფო სუბიექტების ეფექტურ ურთიერთქმედებას.

თვით ინოვაციური საწარმოები გამოიკვეთებიან როგორც დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტები, თუ მათი ფუნქციონირება დანახარჯების შემცირების საშუალებას იძლევა, რომელთაც გაიღებენ სამეცნიერო-ტექნიკური ინსტიტუტები და სამეურნეო სუბიექტები და რაც დაკავშირებულია ინოვაციური პროდუქციის შექმნასთან.

ინოვაციური საწარმოები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც სამეურნეო სუბიექტების ტრანსაქციური ზედნადები დანახარჯები, დაკავშირებული ბაზარზე ინოვაციური პროდუქციის შეძენასთან, ნაკლებია შინაგან დანახარჯებზე, რომლებიც დაკავშირებულია ანალოგიური პროდუქციის შეძენასთან თვით სამეურნეო სუბიექტის მიერ.

ინოვაციური მეწარმეობა მრავალწახნაგოვანი სახეა ეკონომიკური საქმიანობისა. მეწარმის სახით გამოდიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ინოვაციური პროდუქციის საწარმოო ციკლთან დაკავშირებულ საქმიანობას ანხორციელებენ:

- ინოვაციური პროდუქციის შექმნა (ინოვაციური მეწარმეობა);
- საშუამავლო ფუნქციების შესრულება (ინოვაციური პროდუქციის გადაცემა შემქმნელიდან მომხმარებლამდე);
- ფინანსურ სფეროში ფუნქციების განხორციელება ინოვაციური საქმიანობის უზრუნველყოფისათვის.

შედარებითი დამოუკიდებლობის გამო, მოცემული სამეურნეო საქმიანობის სახეები ინოვაციურ სფეროში ერთმანეთს ავსებენ, თუმცა არსებითად განსხვავდებიან ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, ოპერაციების შინაარსითა და განხორციელების საშუალებებით.

როგორც საზღვარგარეთული გამოცდილება მოწმობს, მცირე მეწარმეობა ინოვაციურ სფეროში ყველაზე მასობრივია და განვითარებული ქვეყნების საბაზრო ინოვაციური პოტენციალის ყველაზე დინამიკური სტრუქტურული შემადგენელი. პრაქტიკულად ინოვაციური მეწარმეობის საფუძველს წარმოადგენს მცირე ინოვაციური ფირმები, რომლებიც აღმოაჩენენ ბაზრის ახალ სეგმენტებს, განავითარებენ ახალ წარმოებას, ხელს უწყობენ ახალი ტექნოლოგიური წყობის შექმნას.

მცირე ინოვაციური საწარმოების ძლიერ მახასიათებლებს მიეკუთვნება:

- მმართველობითი გადაწყვეტილებების ოპერატიულობა, რომელიც საშუალებას იძლევა შემცირდეს ინოვაციური ციკლის

ხანგრძლივობა.

- ზედნადები დანახარჯების დაბალი დონე მათთან პირდაპირი და პერსონალური კონტაქტის გამო.
- ორგანიზაციაში ბიუროკრატიული პროცედურების არარსებობა მინიმალური მმართველობითი იერარქიის გამო.

ძირითადი სირთულეები დაკავშირებულია მენეჯმენტის დაბალ პროფესიულ დონესთან, ფინანსების შეზღუდულობასთან, სამუშაო ადგოლების დაბალ სპეციალიზაციასთან. მრავალი სტრუქტურული ქვედანაყოფების არარსებობის გამო, რაც შრომის დანაწილების უმნიშვნელო ხარისხთანაა დაკავშირებული, მცირე ინოვაციური საწარმოები ვერ იღებენ სინერგეტიკულ ეფექტს.

მცირე ინოვაციური საწარმოებისათვის დამახასიათებელია სამეწარმეო საქმიანობის მაღალი მოტივაცია. ინოვაციური მეწარმეობის მოტივებია: საკუთარი შემოქმედებითი პროექტების რეალიზაციის შესაძლებლობა, გადაწყვეტილების მიღებაში თავისუფლების მაღალი ხარისხი, შემოქმედებითი წარმატების აღიარება და ა.შ.

მცირე მეწარმეობის გაზრდილ (მომატებულ) ინოვაციურ აქტიურობას ხელს უწყობს ძიების, კვლევის თავისუფლება, ბიუროკრატიის არარსებობა. ინოვაციური საქმიანობა ერთადერთი საშუალებაა მეწარმისათვის, რომელიც თავისი სტატუსის ამაღლებისა და უფრო მასშტაბური ორგანიზაციის შექმნის საშუალებას აძლევს. რესურსების შეზღუდულობის გამო, მცირე ბიზნესი დაინტერესებულია ახალი ტექნოლოგიების დაჩქარებულ შემუშავებასა და გამოყენებაში, ახალი პროდუქტების შექმნაში.

მცირე ფირმების გარდა ფუნქციონირებენ მსხვილი და საშუალო ფირმები, რომელთა წარმოდგენა შეიძლება შემდეგი ორგანიზაციების სახით:

- საქმიანი ცენტრი (ბიზნეს-ინკუბატორი), რომელიც ხელს უწყობს ერთობლივი მეწარმეობის განვითარებას და უზრუნველყოფს მართვასა და მომსახურებას იურიდიულ, ეკონომიკურ, საბუღალტრო და სხვა სახის საქმიანობაში, მცირე საწარმოს მიერ.
- დანერგვითი ფირმა, რომელიც სპეციალიზდება დანერგვაში, პატენტირებასა და ლიცენზირებაში, ბაზარზე გადაადგილებაში, გამოგონებების კომერციულ საქმიანობამდე მიყვანასა და

ლიცენზიების გაყიდვაში.

- ინჟინირინგული ფირმები, რომლებიც ახორციელებენ ინოვაციური პროდუქტის შეფასებას, მომსახურებას ინოვაციური საქმიანობის პროცესში.
- მოგების ცენტრები – კონკრეტული სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანების გადასაჭრელად მეცნიერების, ტექნიკისა და მმართველობის მოსაზღვრე დარგის სპეციალისტთა კომერციულ-მიზნობრივი გაერთიანება.

ინოვაციური მეწარმეობის ჩამოთვლილი ფორმებისგან განსხვავებით, ვენჩერული ფირმები წარმოადგენენ დროებით სტრუქტურებს, რომლებიც კონკრეტული საბოლოო პროდუქტის მისაღებადაა შექმნილი.

მცირე ინოვაციურ საწარმოებს, მსხვილ სუბიექტებთან შედარებით, აქვთ უფრო დიდი შანსი სამეწარმეო მოგების მიღებისას:

- იმ სტრატეგიის გამოყენებით, რომელიც ორიენტირებულია ბაზრების მცირე ნიშებზე;
- ბაზარზე ხისტი კონკურენციისა და რთული ბარიერების არარსებობით;
- წარმოების დაბალი კაპიტალტევადობით;
- მომხმარებელთან პირდაპირი კონტაქტის შესაძლებლობით და ა.შ.

მსხვილი ინოვაციური საწარმოები ხასიათდებიან კონსერვატულობით და ნელა რეაგირებენ საზოგადოებრივ მოთხოვნებზე.

მსხვილი ინოვაციური საწარმოების ეფექტიანობა იზრდება:

- ინოვაციების მასშტაბური გამოყენების დროს;
- ხისტი კონკურენციის არსებობისას უკვე დაპყრობილ ბაზარზე, რომელიც მოითხოვს ინოვაციების დასანერგად მსხვილ დაბანდებებს;
- ინოვაციური პროდუქციის წარმოებისას მაღალი საწყისი ზედნადები დანახარჯების შემთხვევაში;
- რთული ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობით, სერთიფიკაციის ხანგრძლივი პროცედურების ჩატარებით.

მცირე საწარმოებისაგან განსხვავებით,საწარმოო ტიპის მსხვილ კორპორაციულ სტრუქტურებს აქვთ სტრატეგიული ინოვაციების ათვისების მატერიალური და ფინანსური შესაძლებლობა. მსხვილ კორპორაციულ მეწარმეობას დიდი კაპიტალი გააჩნია და

სტრატეგიული ტექნოლოგიების ათვისება შეუძლია ეროვნული ეკონომიკის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მისაღწევად. მათთან თანამშრომლობს სახელმწიფო და ქმნის შერეულ, კერძო, სახელმწიფოებრივ საწარმოებს გარკვეული სამეწარმეო პროექტებისა და პროგრამების განხორციელებისათვის.

ინოვაციური მეწარმეობის მსხვილ ორგანიზაციულ ფირმებს მიეკუთვნება: მეცნიერულ-ტექნიკური კომპლექსები, საინჟინრო ცენტრები, ტექნოპოლისები და მეცნიერულ-ტექნიკური პარკები, კვლევითი კონსორციუმები და ინკუბატორები. ინოვაციური მეწარმეობის მსხვილი ფორმები ხელს უწყობენ წარმოების მეცნიერებატევადი დარგების განვითარებას, ტექნოლოგიის ტრანსფორმაციას.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში არამატერიალური აქტივების საშუალო წილი სამრეწველო დაწესებულებაში შეადგენს 30%ს.

ინოვაციურ სფეროში კაპიტალის გადაადგილებას ზღუდავს ინოვაციური საწარმოების იზოლირება, ბაზრისა და რეგიონების სეგმენტებად განცალკევება, რაც დაკავშირებულია ინფრასტრუქტურების და კომუნიკაციების უკიდურეს განუვითარებლობასთან.

ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობა ეხმარება ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებს ორგანიზაციების, კომუნიკაციის, კომპეტენციების ბარიერების გადალახვაში.

6.3. ინოვაციური მეწარმეობა საზღვარგარეთ

მსოფლიოს გამოცდილება ცხადყოფს, რომ რადიკალური ტექნიკური სიახლეების გამტარებლები ძირითადად არიან მცირე სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური ფირმები, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში სახელმწიფოს მხარდაჭერას ეყრდნობიან.

განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნებში ეროვნული ეკონომიკის გაძლიერებამ, მსოფლიო მეურნეობაზე დამოკიდებულების ზრდამ და კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებლობამ თანდათანობით გამოიწვია ამ ქვეყნებში სახელმწიფო ეკონომიკის რეგულირების სისტემის ორიენტაციის შეცვლა ინოვაციური წარმოების მხარდაჭერის აქტივიზაციისაკენ. ასე მაგალითად, აშშ-ში, 80-იან

წლებში, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა გახდა სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური პროცესების რეგულირების უპირობო პრიორიტეტი.

ინოვაციურ სფეროში მომუშავე მცირე საწარმოების არაეფექტურობამ ეკონომიკის რეგულირების პირობებში აიძულა განვითარებული ქვეყნების მთავრობები შეემუშავებინათ და დაენერგათ მცირე ინოვაციური ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები. აშშ-ში ეს პროგრამები გავრცელდა 1982 წლიდან, როდესაც მიიღეს კანონი მცირე ბიზნესში ნოვატორული კვლევების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ფედერალური მთავრობის ყველა უწყების მიერ თანხების გამოყოფას არაფედერალური კვლევითი შეკვეთების შემსრულებელთა დასაფინანსებლად.

თანხების ნაწილი რეზერვირებულ იქნა მცირე ბიზნესისათვის სუბსიდიებისა და კონტრაქტების მისაცემად. 1982 წლის ეს კანონი ითვალისწინებდა იმ მცირე ფირმების ინოვაციური პროექტების სუბსიდირებაში მონაწილეობის მიღებას, რომლებშიც 500 კაცამდე იყო დასაქმებული, ყველა ფედერალური დაწესებულების მიერ, რომელთა საკვლევი ბიუჯეტი 100 მლნ დოლარი იყო. გადარიცხვების ნორმა მცირე ფირმების სუბსიდირებისათვის 1987 წელს გაიზარდა 7,25%-მდე. 1988 წელს ამ პროგრამის ყოველწლიურმა დაფინანსებამ მიაღწია 500 მლნ დოლარს.

ცხოვრების ციკლის სხვადასხვა ეტაპზე, ინოვაციური პროექტების სელექცია შემდეგნაირად გამოიყურება: პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ პროექტების 35%-მა თანხები მიიღო სამუშაოს გაგრძელებისათვის, მეორე ეტაპის დამთავრების შემდეგ ფინანსური მხარდაჭერა მიიღო 50%-მა. დაფინანსების მეორე ეტაპზე პროექტი შეფასდა, როგორც ნოვატორული. გამოკითხვების საფუძველზე დადგინდა, რომ ასეთი მხარდაჭერის გარეშე, მცირე ფირმების მიერ რეალიზებული იქნებოდა პროექტების მხოლოდ 16%. თავდაპირველად ცენტრალური ფონდების განაწილება ხდება საუწყებო პრინციპების მიხედვით. თითოეული უწყება პასუხს აგებს ინოვაციური ფონდების დაფინანსებაზე, მისი ოფიციალური ფუნქციების გათვალისწინებას თითოეული უწყების ხელმძღვანელობა წყვეტს, სახსრების რა ნაწილი უნდა დახარჯოს საუწყებო შემსრულებლის დაფინანსებაზე და რა ნაწილი გარე შემსრულებლის დაფინანსებაზე. ასე მაგალითად: აშშ-

ს თავდაცვის სამინისტრო თავისი ინოვაციური ფონდების არანაკლებ 75%-ს ასრულებს გარეშე შემსრულებლების (უნივერსიტეტებისა და სამრეწველო ფირმების) საშუალებით.

აშშ სახელმწიფო სამეცნიერო პოლიტიკის გატარებისას მთავარი როლი ენიჭება ამერიკელი მეცნიერების, პირველ რიგში უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხარისხს. თავდაცვის სამინისტრომ 80-იან წლებში გაატარა უნუვერსიტეტებისა და კოლეჯების სამეცნიერო განვითარების პროგრამა. ანალოგიური პროგრამები განახორციელეს სხვა უწყებებმა, მათ შორის ნაციონალურმა სამეცნიერო ფონდმა, რომელმაც გამოყო თანხები, რათა საუნივერსიტეტო მკვლევარებს ფედერალურ ლაბორატორიებში არსებული სუპერ-კომპიუტერებით სარგებლობის დრო მისცემოდათ.

ფედერალური მთავრობა მიზნობრივი სუბსიდიების, დოტაციების, საკვლევი სტიპენდიების საშუალებით ხელს უწყობს გრძელვადიანი კავშირების დამყარებაში ფუნდამენტურ მეცნიერებასა და წარმოებას შორის. ქმნის საინჟინრო კვლევის ცენტრებს, სადაც უნივერსიტეტის მეცნიერები დაკავებულნი არიან სამრეწველო კომპანიებისათვის საინტერესო პრობლემატიკით. ასეთი ცენტრების საერთო რაოდენობამ 100-ს უნდა მიაღწიოს. ნაციონალური სამეცნიერო ფონდი ქმნის ასეთი ცენტრების ინფრასტრუქტურას, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები (სკსსს) ფინანსდება სათანადო გამოკვლევების შემკვეთების მიერ.

საკვლევ პროექტებში ფედერალური სამსახურები შედიან, როგორც სრულუფლებიანი ფინანსური პარტნიორები, რომლებიც აერთიანებს კერძო კომპანიებს და მთავრობის ფინანსებს და ნაწილდება უნივერსიტეტებში ფუნდამენტალურ გამოკვლევებზე. ფუნდამენტალური მეცნიერების შედეგების უშუალოდ წარმოებაში დანერგვის კავშირს წარმოადგენს სპეციალური სწავლების კურსი, კერძო ფირმების სპეციალისტებისათვის იმ უნივერსიტეტებსა და ლაბორატორიებში, რომლებიც ახორციელებენ სკსსს-ს. ანალოგიური კურსები გახსნილია მთელ რიგ სამინისტროებთან და უწყებებთან (ნაციონალურ კოსმოსურ სააგენტოსთან, სტანდარტების ნაციონალურ ბიუროსთან, ნაციონალურ სამეცნიერო ფონდთან და ა.შ.) და წამყვან ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებთან.

ატარებს რა სამეცნიერო პოლიტიკას, მთავრობა:

- ქმნის ფუნდამენტური სამეცნიერო იდეების რეზერვს. ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიების დამუშავებისათვის სათანადო სპეციალისტების მომზადებას.
- ამცირებს სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების ფინანსურ რისკს.
- იღებს შუამავლის ფუნქციას აკადემიურ და გამოყენებით მეცნიერებას შორის ურთიერთკავშირის ორგანიზაციის დროს.
- სპობს პროპორციას სამეცნიერო სფეროში, ჩამორჩენას სამეცნიერო-ტექნიკურ ბაზაში, ავითარებს სამეცნიერო კვლევების საინფორმაციო ბაზას.

სამეცნიერო პოლიტიკის გარდა, სხვადასხვა ფედერალური სამსახურები აწარმოებენ სპეციალური ხასიათის ღონისძიებებს, რომლებიც უშუალო კავშირშია ბიზნესის ინოვაციური აქტივობის სტიმულირებასთან, რაც ითვალისწინებს ფინანსურ დახმარებას (მაგალითად, სიახლეების დანერგვის პროგრამა მცირე ბიზნესში). სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევების ჩატარებისას გამოიყენება ნაციონალური სამეცნიერო ფონდის ფინანსები, რაც წარმოადგენს კაპიტალს სახელმწიფო სახსრებიდან ინოვაციური ფირმებისათვის და ხელს უწყობს სიახლეების დანერგვის ცენტრებს (ახალი იდეების ინკუბატორს). ასეთივე დანიშნულების მიზნობრივი ფონდები წარმოიქმნება აგრეთვე ცალკეულ შტატებსა და ქალაქებში საკუთარი ბიუჯეტის ხარჯზე.

სიახლეების ცენტრები, ანუ სამრეწველო ტექნოლოგიის ცენტრები, როგორც წესი, იქმნება უნივერსიტეტებში, რათა მეცნიერებსა და სტუდენტებს მიეცეს საშუალება, დაიყვანონ თავიანთი იდეები სარეალიზაციო დონემდე.

ეროვნული სამეცნიერო ფონდი გამოდის, როგორც მონაწილე ამ ცენტრებში, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ფირმებთან ერთად. ზოგიერთი შტატი ეკონომიკურად ჩამორჩენილ რაიონში ახალი მეცნიერებატევადი ფირმების შექმნის სტიმულირებისათვის ქმნის შესაბამისი სიახლეების ცენტრებს. ცენტრები უზრუნველყოფენ გამომგონებლებს ფინანსებითა და სამუშაო ფართობით 3 წლის განმავლობაში და უზრუნველყოფენ სარისკო კაპიტალის მხარდაჭერას.

აშშ-ში ნებადართულია ისეთი გამოკვლევებისა და გამოგონებების დაპატენტება, რომლებიც ჩატარებულია სახელმწიფო სახსრებით

კერძო ფირმაში, აგრეთვე გაიცემა ლიცენზიები ამერიკის მთავრობის საკუთრებაში მყოფი პატენტების გამოყენებისათვის, შემდგომში კომერციული მიზნებისათვის გამოყენების უფლებით. ინოვაციური აქტიურობის სტიმულირების ფორმას წარმოადგენს შეღავათების სისტემა (უპროცენტო ან დაბალპროცენტიანი სესხები), რომლებიც მიეცემა ნოვატორ ფირმებს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ახალ მიმართულებებში, რაც მათ აძლევს საშუალებას, გარკვეული დროის განმავლობაში დასაქმდნენ სამეწარმეო საქმიანობის მონოპოლიურ პირობებში. ამ ტიპის სტიმულირება კოსმოსური სივრცის ათვისებისთვის კერძო ფირმების ჩართვის საშუალებას იძლევა.

ირიბი სტიმულირების ფორმას წარმოადგენს აგრეთვე საგადასახადო და საამორტიზაციო პოლიტიკა, რომელიც საშუალებას აძლევს მეწარმეებს, თანხისა და რესურსების დიდი ნაწილი ინოვაციური სიახლების დანერგვისაკენ მიმართონ. პირველ რიგში, ეს ეხება სარისკო კაპიტალის დაბეგვრას.

აშშ-ში კანონმდებლობით გათვალისწინებულია ინოვაციური ბიზნესის მხარდაჭერის შემდეგი ზომები: სპეციალური წესები და შეღავათები; წახალისებულია კომპანიების მიერ ასეთი კვლევებისათვის გაწეული ხარჯები; მცირე ფირმების მიერ განხორციელებული სამეცნიერო-საწარმოო პროცესების სარისკო დაფინანსება; სარისკო დაფინანსების ფონდების ფორმირების პირობების შემსუბუქება ღია ბაზარზე აქციების გაყიდვისა და სამეცნიერო-კვლევითი პარტნიორობის შექმნის გზით. ასე მაგალითად, ამ სამეცნიერო-ინოვაციური კვლევის ინვესტიციებზე დადგენილია 25%-იანი შეღავათი, რაც შესაბამისად ამცირებს მოგების იმ ნაწილს, რომელსაც იხდიან, როგორც გადასახადს. ასეთი შეღავათები მიღებულია როგორც დამატება არსებულ კანონმდებლობაში, რომლებიც უფლებას აძლევს, ჩამოიწეროს ყველა ხარჯი ინოვაციურ დაფინანსებაზე გადასახადების დასაბეგრი თანხიდან, როგორც მიმდინარე ხარჯები. საგადასახადო სტიმულირებამ საგრძნობლად შეამსუბუქა იმ კორპორაციების ვენჩერული ოპერაციები, რომლებიც მიმართულია დანერგვითი ფირმების დაფინანსებასა და სარისკო დაფინანსების ფონდების ფორმირებაზე. გადასახადები ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებზე შემცირებულია 23-დან 20%-მდე, შემოღებულია შეღავათები იმ კერძო პირებზე, რომლებიც ფულს აბანდებენ სამეცნიერო-კვლევით პარტნიორობაში. სამეცნიერო-კვლევით

თანამეგობრობას ეძლევა მთელი რიგი შეღავათები. მაღალმომგებიან კორპორაციებს და კერძო პირებს უმცირდებათ გადასახადები 50%-ით, ხოლო ხარჯები ინოვაციურ დაფინანსებაზე გამოირიცხება დასაბეგრი მოგებიდან. წახალისდება კოლექტიური ფონდების შექმნა, რომლებიც გამოყენებულია გამოგონებისა და ტექნოლოგიების დანერგვის დასაფინანსებლად. ასეთი თანამეგობრობა სარგებლობს შეღავათებით სამეცნიერო-კვლევითი ხელსაწყო-დანადგარების დაჩქარებულ ამორტიზაციაზე და აგრეთვე საგადასახადო შეღავათებით ხელსაწყო-დანადგარების ინვესტიციებზე. სამეცნიერო-კვლევითი თანამეგობრობის წარმატებული მუშაობისას და მისი ცალკეული წევრების მიერ მიღებული მოგებიდან ჰონორარების ან ახალი პროდუქციის რეალიზაციის გზით, გათვალისწინებულია ამ მოგების შეღავათიანი დაბეგვრა 20%-ით (42%-ის) ნაცვლად, რადგან ისინი შედიან კატეგორიაში – „მოგება კაპიტალის ზრდიდან".

კომერციულ თანამეგობრობებში ჩადებული ფული ამცირებს მეწარმეების რისკს, ძალიან ხშირად ხდება ამ თანხების 90%-ის ეკონომია საგადასახადო შეღავათების ხარჯზე. სახელმწიფოს საამორტიზაციო პოლიტიკა უშუალოდ მოქმედებს ახალი ტექნიკური ბაზის ძირითადი ფონდების ფორმირებაზე. მთავრობის მიერ ამორტიზაციის ვადების მკვეთრი შემცირება საშუალებას აძლევს კორპორაციებს, გამოათავისუფლონ მსხვილი თანხები, მათ ბალანსზე არსებული მანქანა-დანადგარების საბალანსო ღირებულების სწრაფი ჩამოწერით და აღნიშნული თანხები მიმართონ ავტომატიზაციისკენ. განსაკუთრებული შეღავათებით ამ დროს სარგებლობენ ახალი კომპანიები, რომლებსაც უფლება აქვთ, პირველი 5 წლის განმავლობაში ჩამოიწერონ ძირითადი კაპიტალის ღირებულება, როგორც უნდათ, ნაწილ-ნაწილ ან მთლიანად.

ახლადდანერგილი საქმიანობის რეგულირების არაპირდაპირ ღონისძიებას წარმოადგენს ანტიტრესტული კანონმდებლობა. ეს კანონმდებლობა თავიდან აცილებს ცალკეული ბაზრებისა და მიმართულებების მონოპოლიზაციას და ზღუდავს ამ სფეროში მომუშავე მცირე მეცნიერება-ტევადი ფირმების შთანთქმის შესაძლებლობებს.

კონკურენციის განვითარებას ხელს უწყობს ფედერალური ორგანოების მიერ ფედერალური კონტრაქტების განთავსების პრაქტიკა.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიმართულების ფორმირებაზე გავლენას ახდენს სახელმწიფოს მოთხოვნილება გარემოს დაცვის ღონისძიებებზე, ადამიანის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე იმ წარმოებებში სიახლეების დანერგვით, რომლებიც მუშაობენ ნედლეულისა და ენერგიის მიღება-დამუშავებაზე, აგრეთვე ქიმიურ, ფარმაცევტულ და კვებით წარმოებაში. ინოვაციური აქტივობის სპეციფიკურობა აშშ-სთვის არის საქონელსა და მომსახურებაზე ჩამოყალიბებული კონტრაქტების სისტემა. სახელმწიფო შესყიდვები არის მნიშვნელოვანი ელემენტი სიახლეების დანერგვისათვის, გარანტირებული გასაღების ბაზრის არსებობა აძლევს საშუალებას მწარმოებელ ფირმებს, მკვეთრად შეამცირონ დანახარჯები წარმოების ეკონომიის ხარჯზე. დანახარჯების შემცირება სიახლეების ტექნიკური ექსპლუატაციის პარამეტრების იმავდროულ გაუმჯობესებასთან ერთად, განსაზღვრავს მის სათანადო ეფექტიანობას სამოქალაქო პროდუქციის განაწილების ბაზარზე. ფედერალური კონტრაქტების კონკურენტული ხასიათი ხელს უწყობს ერთბაშად რამდენიმე სიახლის დანერგვას, რომელიც აკმაყოფილებს კონტრაქტის მოთხოვნილებებს. ამასთან ერთად ფედერალური მთავრობა მიისწრაფის დადოს ხელშეკრულება ახალი პროდუქციის შესყიდვაზე, ერთდროულად რამდენიმე ფირმასთან. უწყება ხშირად თხოულობს თავისი ძირითადი მომწოდებლისაგან, რათა მან გასცეს ლიცენზია სხვა ფირმების მიერ პროდუქციის წარმოებაზე, რაც სიახლეთა მწარმოებლებს შორის ზრდის კონკურენციას.

სახელმწიფო ბაზარზე სიახლეების უცხოური მწარმოებლების შეღწევის აღკვეთით ხელს უწყობს ადგილობრივ მწარმოებლებს, რათა მათ დააგროვონ უფრო მეტი გამოცდილება. ასე მაგალითად, ბევრი გამოგონება, რომელიც საფუძვლად უდევს სიახლეებს, იყო შექმნილი მთავრობის დაკვეთითა და დაფინანსებით. იმ პროდუქციამ, რომელიც თავის დროზე გათვლილი იყო სახელმწიფოს შესყიდვაზე (გამოთვლითი მანქანები, რადარები, რეაქტიული თვითმფრინავები, თანამგზავრული კავშირი და სხვა), თანდათანობით პრაქტიკულად გამოყენებადი გახდა სამოქალაქო დარგებში.

აშშ-ში არის 15 ათასამდე მცირე ინოვაციური ფირმა. ერთ დასაქმებულზე ანგარიშით მცირე ფირმები გვაძლევენ ორჯერ მეტ სიახლეს, ვიდრე მსხვილი ფირმები, ხოლო პრინციპულად ახალ

პროდუქციას – 2,5-ჯერ მეტს. სისწრაფის მიხედვით, მცირე ფირმები მკვეთრად უსწრებენ მსხვილ ფირმებს სიახლეების დანერგვაში. პროდუქტების შექმნიდან მის კომერციალიზაციამდე და ახალი პროდუქტის ბაზარზე გატანამდე პერიოდი მცირე ფირმებისთვის 2,2 წელია, ხოლო დიდი ფირმებისთვის – 1,5-ჯერ მეტი. აშშ-ს სამეცნიერო ფონდის მონაცემებით, უმსხვილესი გამოგონებების 98% მოდის წვრილ მეწარმეებზე. სკსსს-ზე ერთი დოლარი დანახარჯით, მცირე მეწარმეობა ქმნის 24-ჯერ მეტ სიახლეს, ვიდრე მსხვილი კორპორატიული მეწარმეობა [1, გვ. 20-21].

ინოვაციური მეწარმეების სახელმწიფო სტიმულირება ხორციელდება ყველა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაში. ასე მაგალითად, საფრანგეთში 1980 წელს მეწარმეებისთვის გრძელვადიანი და შეღავათიან ფასებში კრედიტირებისათვის, კრედიტების გაცემისა და ხელსაწყოების შეძენისათვის შეიქმნა სპეციალური ბანკი. სახელმწიფოში მუშაობს გამოგონების შედეგთა დანერგვის ნაციონალური სააგენტო, რომელიც მცირე და საშუალო კომპანიებს უნაზღაურებს ინოვაციური ხარჯების 50%-ს და ახალი ტექნიკის დანერგვის ხარჯების 30%-ს 1 მლნ ფრანკამდე. გერმანიაში სახელმწიფო ხელს უწყობს ნოვატორული ფირმების შექმნას და სარისკო კაპიტალის ფონდების ფორმირებას. ქვეყანაში არის ამ ტიპის 30-მდე ნაციონალური ფონდი, საერთო სარისკო კაპიტალით 2 მლრდ მარკა. ამ კაპიტალის 20%-მდე დაბანდებულია ნოვატორულ ფირმებში. მთავრობა აფინანსებს ექსპერიმენტულ პროგრამებს, რომლის რეალიზაციის დროსაც უწევს კონსულტაციურ მომსახურებას. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების გადამუშავებისას, აძლევს დოტაციებს ინოვაციური კრედიტების დასაფინანსებლად. თავის თავზე იღებს წარმოების ორგანიზაციისა და ბაზარზე ახალი პროდუქციის გატანაზე დახარჯულ სახსრებს. ყოველწლიურად ასეთი პროგრამების ფარგლებში ხდება 300-მდე ნოვატორული ფირმის მხარდაჭერა.

40-იანი წლების დასასრულს, იაპონიაში შექმნილია მცირე და საშუალო საწარმოების სამმართველო, რომელშიც არის 12 დეპარტამენტი და განყოფილება, მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი 9 რეგიონალური სამსახური, ვაჭრობისა და წარმოების სამინისტრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების კორპორაცია, მცირე და საშუალო მეწარმეობის კრედიტირების დაზღვევის კორპორაცია,

ცენტრალური კოოპერატიული ბანკი, სესხების გარანტირების ასოციაცია, რომლებიც აგრეთვე მონაწილეობას იღებენ მცირე მეწარმეობის მხარდაჭერაში. იაპონიაში მცირე საწარმოებს მიეკუთვნება ისეთი საწარმოები, სადაც მუშაობს 300-მდე კაცი და რომელთა საწესდებო კაპიტალი 700 ათას დოლარს არ აღემატება.

მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ძირითადი მიმართულებებია:

- სპეციალური დაფინანსება და შეღავათიანი დაკრედიტება;
- გარანტირებული კრედიტები;
- შეღავათიანი საგადასახადო სისტემა და ამორტიზაციის განსაკუთრებული წესი; მცირე და მსხვილი საწარმოების კონტროლი, იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელთა მიერ არ იყოს უსამართლო ხელშეკრულებები გაფორმებული;
- პერსონალის სწავლების ორგანიზაცია და სამეურნეო საქმიანობის ანალიზის ჩატარებაში დახმარება.

პრეფექტურებში შექმნილია რეგიონული საინფორმაციო ცენტრები, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფოს მიერ და რომლებიც მცირე მეწარმეებს ამარაგებენ მათთვის საჭირო ინფორმაციით. საბიუჯეტო სამეცნიერო ცენტრები ხშირად სახელმწიფოს მითითებით მცირე ფირმებს უფასოდ გადასცემენ დასანერგად თავიანთ გამოგონებებს.

იაპონიაში წახალისებულია აქციების გამოშვება, თუნდაც ძალიან მცირე ფირმების მიერ. სახელმწიფო მხარს უჭერს მსხვილ სააქციო საზოგადოებებს, რომლებიც სპეციალიზდება მცირე კომპანიების აქციების შესყიდვაზე და საკუთარი აქციების გამოშვებაზე, აგრეთვე მცირე და საშუალო საწარმოების აქციების გავრცელებაზე. მუშაობს სახელმწიფოების მიერ მხარდაჭერილი ურთიერთდახმარების სალაროების სისტემა (ბანკების ურთიერთდაკრედიტების). ეს სალაროები ყალიბდება საწარმოების შენატანებით და გამოიყენება უპროცენტო კრედიტების ოპერატიულად გასაცემად.

კორეაში მცირე ბიზნესის დაფინანსების სისტემაში დიდ როლს თამაშობს საგარანტიო ფონდი, რომელიც შექმნილია მთავრობისა და სპეციალიზებული საფინანსო დაწესებულებების ხარჯზე და ფუნქციონირებს კომერციულ საწყისებზე. ფონდი იძლევა საკრედიტო გარანტიებს სესხად მცირე და მსხვილი საწარმოებისათვის, რომლებიც მუშაობენ პრიორიტეტულ მიმართულებაში. თუ სესხი გაიცემა ბანკების მიერ მცირე და საშუალო საწარმოების ძირითადი ფონდების

ინვესტირებისათვის, 1500 მლნ ვონამდე, მისი 70% ავტომატურად დაზღვეულია. საკომისიო გადასახადების რაოდენობა წლიურად 1%-ია (მსხვილი საწარმოებისათვის – 1,5%).

ამგვარად, განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფოს ზემოქმედება ინოვაციურ აქტივობაზე ვლინდება შემდეგში:

1) მთავრობა გამოდის, როგორც სამეცნიერო-ტექნიკური იდეების მიმწოდებელი და სამეცნიერო-ტექნიკური გამოგონებების ინფრასტრუქტურის ჩამომყალიბებელი;
2) მთავრობა არის წამყვანი ფაქტორი ინოვაციური საწარმოების საერთო სამეურნეო სივრცის შექმნისათვის.
3) სახელმწიფო უწყებათა შესყიდვები ხშირად გვევლინება მრავალ სიახლეზე საწყის მოთხოვნილებად, რომელიც შემდგომში სამეურნეო პრაქტიკაში ფართო გავრცელებას ჰპოვებს.

სახელმწიფო იღებს თავის თავზე ფუნქციას, ბიზნესი უზრუნველყოს მთავარი ინოვაციური პროდუქტით – სამეცნიერო ცოდნითა და იდეებით, რაც კონკრეტულ გამოხატულებას ჰპოვებს სახელმწიფო პოლიტიკაში. ის განიხილება, როგორც სახელმწიფოს საერთო ეკონომიკური საქმიანობა. სახელმწიფო იღებს თავის თავზე იმ ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ფუნდამენტური სამეცნიერო გამოკვლევებისა და სამეცნიერო პროფილის სპეციალისტების მომზადებაში, აფინანსებს მრავალი ტექნოლოგიის შემუშავებას, რომლებიც შემდგომში გამოიყენება სამეცნიერო, თავდაცვითი, კოსმოსური და სხვა სახელმწიფო პროგრამების აღსრულებისას.

სახელმწიფო აწესებს ინოვაციური მეწარმეობის მხარდაჭერის სპეციალურ ზომებს, რომელთა რეალიზაცია ხდება საინვესტიციო, საგადასახადო და საამორტიზაციო პოლიტიკით.

6.4. ინტრამეწარმეობა

საწარმოო ძალების განვითარების თანამედროვე დონეზე ნედლეულის, მასალებისა და შრომის იარაღების ანალოგიურად, ადამიანის გამოყენება არ შეიძლება, როგორც მხოლოდ წარმოების ფაქტორისა. თვით საწარმოო ძალების განვითარების დონემ მიგვიყვანა

მატერიალურ წარმოებაში ხალხის მოზიდვის გართულებული ფორმების ჩამოყალიბებამდე, რომლებიც ორიენტირებულია ერთგვარ გარე იძულებაზე (მათ შორის ეკონომიკურზე) და მომუშავეთა შინაგანი განზრახვების ფორმირებასა და გამოყენებაზე. რისკის პირობებში სამეურნეო ორგანიზაციის მართვის საქმიანობის განცალკევებამ (მენეჯმენტი), რესურსების მოზიდვისა და გამოყენების ფორმების მრავალფეროვნებამ (არენდა, ლიზინგი და სხვა.), ავტონომიური ინოვაციური პროექტების გამოჩენამ, სამეურნეო გადაწყვეტილებებში თანამონაწილეობის პრაქტიკამ განაპირობა მეწარმეობის დელეგირება მომუშავეთა ფართო წრისათვის.

70-იანი წლებიდან დაწყებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ტარდება მეწარმის, როგორც ეკონომიკურ სისტემაში მარეგულირებელი სუბიექტის, როლის გამოვლენა და კონკურენტულ დარგებში მეწარმეობის მექანიზმის შესწავლა. მართვას განიხილავენ, როგორც უმნიშვნელოვანეს სამეწარმეო ფუნქციას. სამეურნეო ორგანიზაციებში სამეწარმეო საქმიანობის ობიექტებს წარმოადგენს: ახალი პროდუქცია, ტექნოლოგიური პროცესები, ორგანიზაციულ-მმართველობითი და ადმინისტრაციული საქმიანობა, რომელსაც მოიცავს ინოვაციური პროცესები.

მართვის ბიუროკრატიულ პრინციპებზე დამყარებულ სამეურნეო ორგანიზაციებში წარმოების პირობები ობიექტურად არ ითხოვს მომუშავეთა დაინტერესებასა და მოტივაციას კოლექტიურ ინოვაციურ საქმიანობაში. თანამედროვე სამეწარმეო ეკონომიკაში გაძლიერდა საკუთრების უფლებებისა და მეწარმეობის ფუნქციების დელეგირება, რაც მოიცავს მომუშავეთა კატეგორიებს მენეჯერებიდან სპეციალისტებამდე და მუშებამდე. ამ პროცესის განხორციელების ფორმებად გვევლინება მომუშავეთა მონაწილეობა აქციონერულ კაპიტალში, სამეურნეო გადაწყვეტილებებში მოზიდვა, სამუშაო ადგილზე მოქმედების თავისუფლების გაფართოება, ინოვაციის განხორციელებისათვის მეურნეობრივად დამოუკიდებელი, შიდაწარმოებრივი ქვეგანყოფილებების შექმნა.

კონკურენტუნარიანობისა და საწარმოს გადარჩენის გადამწყვეტ ფაქტორად ინოვაციების გადაქცევამ გაამძაფრა შიდასაწარმოო მართვაში წინააღმდეგობა, რომელიც გამოიხატება მომუშავეთათვის სამეურნეო შემოქმედების თავისუფლების მინიჭების აუცილებლობაში

და საწარმოო პროცესებზე კონტროლის შენარჩუნების მოთხოვნილებაში. სულ უფრო მეტი მენეჯერი მიდის დასკვნამდე, რომ უკვე შეუძლებელია ადამიანთა გაკონტროლება იძულებისა და ფორმალური წესების მეშვეობით, რამდენადაც იზრდება სამუშაოს ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების შესაძლებლობის მქონე მომუშავეთა რიცხვი, თუ კი სამეურნეო ხელმძღვანელები ხელს შეუწყობენ ინოვაციურ პროცესებს ინტრამეწარმეობას საწარმოში. სტაგნაციური პროცესების გადალახვამ, სამეურნეო ორგანიზაციის გრძელვადიან განვითარებაზე მიმართულმა რაციონალურმა მართვამ, განაპირობა მეწარმეებისა და დაქირავებული მუშაკების ისეთი ღირსებების პირველხარისხოვანი მნიშვნელობა, როგორიცაა ცოდნა, ასევე პრობლემების გადაჭრასთან, შიდასაფირმო კომუნიკაციების მართვასა და პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ორგანიზაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ჩვევები.

დამოუკიდებლად მომუშავე გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების მნიშვნელოვანი რაოდენობის მიუხედავად, ბევრი ადამიანი, რომელიც აყალიბებს ახალი საქონლისა და მომსახურების იდეებს, სწორედ მსხვილი საწარმოებისა და ორგანიზაციების მომუშავეა. საწარმოს შიგნით მოღვაწე მეწარმეებს უწოდებენ ინტრაპრენიორებს (ანტრეპრენიორებისაგან – დამოუკიდებელი მეწარმეებისაგან – განსხვავებით). საწარმოს შიგნით სამეწარმეო საქმიანობის განვითარებასთან დაკავშირებულ აქტივობას ინტრამეწარმეობა ეწოდება. ინტრამეწარმეობის მიზანია – საწარმოო საკითხების გადაწყვეტა ყველა კატეგორიის მუშაკების ნოვატორული მიდგომის საფუძველზე ისეთნაირად, რომ მათი ფუნქციები უახლოვდებოდეს სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღებას. ინტრამეწარმეობის საფუძველია მომუშავისათვის მაქსიმალური შესაძლებლობების მინიჭება, რათა მოახდინოს მეწარმეთა ინტერესებთან თანმხვედრი თავისი მოთხოვნილებების რალიზება.

ინტრამეწარმეობის (ინტრაპრენიორობის) ცნება ჩამოყალიბდა 80-იან წლებში აშშ-ში, როგორც მსხვილ ორგანიზაციასა და მის პატარა ქვედანაყოფს შორის ახალი ურთიერთქმედების გამოხატულება. ამ უკანასკნელს ენიჭება დამოუკიდებელი საწარმოო ერთეულის სტატუსი, ხოლო თვითონ ორგანიზაცია მას უქმნის წარმატებული მუშაობის პირობებს.

ინტრამეწარმეობის განვითარებას ხელი შეუწყო მცირე ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამამ, რომელიც გადაიქცა „რეიგანომიკის“ ერთ-ერთ საკვანძო რგოლად და მიგვიყვანა მსხვილი საწარმოებიდან მცირე საწარმოებში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გადანაცვლებამდე. მაგალითად, აშშ-ში 1985 წელს შეიქმნა 700 ათასი ახალი საწარმო, 1965 წლის 200 ათასთან შედარებით, რამაც დაიწყო მსხვილი საწარმოებისათვის პრობლემების შექმნა, რაც დაკავშირებული იყო ბიზნესის მცირე ფირმების მსხვილ საწარმოებთან წარმატებულ კონკურენციასთან, რაც აფერხებს ნოვატორობას და ნელა ავითარებს საქმიანობის დამხმარე სფეროებს. მცირე საწარმოებმა გადაბირეს ინიციატივიანი მომუშავეები, რომლებიც მისწრაფიან შემოქმედებითი შრომისაკენ, საქმიანობის მიმართულებებისა და მეთოდების თავისუფალი არჩევანისაკენ. ძველი შრომა ტრადიციული საწარმოს ჩარჩოებში მუშაკებისგან მოითხოვდა მოვალეობების განსაზღვრული წესის შესრულებას, რაც დაკავშირებული იყო ტრადიციული პროდუქციის გამოშვებასთან.

მსხვილი ფირმების მმართველები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ინიციატივიანი სპეციალისტებისათვის სამეწარმეო საქმიანობის შესაძლებლობების შექმნა ორგანიზაციის ფარგლებში და მათთვის ისეთი პირობების ჩამოყალიბება, რომლის შექმნაც შეიძლება შეიქმნას ფედერალური მთავრობის მიერ (ორგანიზაციის ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა, საკონსულტაციო, ფინანსური და სოციალური ხელშეწყობა და სხვ.), შესაძლებლობას იძლევა, გამომუშავდეს მყარი მექანიზმი, რომელსაც შეეძლება საუკეთესო სპეციალისტების შენარჩუნება, ეს უკანასკნელები კი მიიღებენ თავიანთი ინიციატივის რეალიზაციის პირობებს.

მსხვილ ფირმაში თანამედროვე მეწარმეობის კონცეფციის გამოყენება (ინტრაპრენიორობა) დაკავშირებულია მცირე კვლევითი ბიზნესის მაღალ ეფექტიანობასთან. ეკონომიკური ზრდა დაკავშირებულია მასობრივ ნოვატორობასთან კლავწარმოების ყველა სტადიაზე. ნოვატორული იდეების მატარებლად გვევლინება მაღალკვალიფიციური მუშაკი, ამიტომ მისი ინტელექტუალური პოტენციალი იქცევა თანამედროვე სამუშაო ძალის ძირითად „საქონლად“. საწარმოებში იქმნება ნოვატორული სამეწარმეო იდეების ჩამოყალიბების პირობები, გამოიყოფა რესურსები მათი რეალიზაციისა

და პრაქტიკული გამოყენებისათვის. ინტრაპრენიორობა მიმართულია პიროვნებათა და საწარმოს სამეწარმეო შესაძლებლობების ინტეგრაციისაკენ, საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, საწარმოს რესურსებისა და თანამშრომლების შემოქმედებითი პოტენციალის აქტივიზაციისა და უკეთესი გამოყენების, ბაზრის მოთხოვნების ცვლილებაზე ადეკვატური რეაქციის, ინიციატივიანი სიახლეების სწრაფი რეალიზაციის მეშვეობით.

საწარმოები, რომლებიც ავითარებენ ინტრაპრენიორობას, ადეკვატურად რეაგირებენ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ჩამოყალიბებულ ობიექტურ ტენდენციებზე. ადამიანის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რაც დაკავშირებულია მის გადარჩენასა და ფიზიკურ უსაფრთხოებასთან ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, მიმართულია დამოუკიდებელი საქმიანობისაკენ, თვითგადარჩენისა და შემოქმედებით საქმიანობაში თვითრეალიზაციისაკენ, კვალიფიციური მუშაკებისათვის მისწრაფების მოტივებს დომინირებულ ადგილზე აყენებს. ამ მოტივების არასათანადოდ შეფასებას მივყავართ სამუშაოსადმი ინტერესის შემცირებისა და მათი გადასვლისაკენ ისეთ ორგანიზაციებში (საწარმოებში), სადაც შექმნილია თვითრეალიზაციისა და შემოქმედების უკეთესი პირობები.

საკმაოდ სტაბილურად მომუშავე მსხვილ ორგანიზაციებში ინოვაციების დანერგვა აფერხებს მმართველობის კონსერვატიზმს, რომელიც იგნორირებას უკეთებს, უშუალოდ, ძირითად საქმიანობასთან არადაკავშირებულ ინიციატივებს. მსხვილ კომპანიებს, რომლებიც უშვებენ სტანდარტულ პროდუქციას მასობრივი მომხმარებლისათვის, როგორც წესი, გააჩნიათ ხისტი იერარქიული სტრუქტურა ანგარიშგების რთული და არაოპერატიული სისტემით, ინსტრუქციების კრებულით, რომელიც საწარმოო პროცესის ყოველმხრივ რეგლამენტაციას ახდენს.

საწარმოებში, რომლებიც ავითარებენ ინტრამეწარმეობას, ჰორიზონტალურად განშტოებული სტრუქტურა (შიდა ქსელი) საშუალებას იძლევა, შეიქმნას ძებნის, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების ატმოსფერო და ქმნის საშუალებას, რომ სამეწარმეო ინოვაციური პროექტის ავტორი გადაიქცეს კომპანიის თანამფლობელად და ბიზნეს პარტნიორად. ინტრაპრენიორს უნდა გააჩნდეს მაღალი

პროფესიონალური ჩვევები (კარგი პროფესიონალური ცოდნა თავის სფეროში, კოლექტივის მართვის სფეროში, თავისი გუნდის მუშაობის ორგანიზების უნარი).

ინტრაპრენიორების მოტივაცია დაკავშირებულია არა მხოლოდ მათი საქმიანობის მატერიალურ დაჯილდოებასთან. მის ფორმირებაზე გავლენას ახდენს შრომითი შეთანხმების პირობები, თანამდებობრივ იერარქიაზე გადაადგილების შესაძლებლობა, უფლებები და პასუხისმგებლობა, ინფორმირებულობის დონე და სხვა. საერთოდ, ინტრაპრენიორების საქმიანობის მოტივებს მიეკუთვნება:

- არსებული ნიჭის რეალიზაციის შესაძლებლობა;
- ერთობლივი საქმიანობისათვის პარტნიორების არჩევაში დამოუკიდებლობა;
- მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებასა და განხორციელებაში პირადი მონაწილეობისაკენ სწრაფვა;
- ცოდნის, ჩვევებისა და ინოვაციური პოტენციალის რეალიზაციის შესაძლებლობები;
- საწარმოს შიგნით და მის ცალკეულ სტრუქტურულ რგოლში კოლეგებისა და პარტნიორების ურთიერთობების წესების შემუშავებისა და დაწესების შესაძლებლობა.

ინტრაპრენიორების საქმიანობა საჭიროებს საწარმოს შიგნით განსაზღვრული ორგანიზაციული პირობების შექმნას:

— ყოველი მომუშავის ინდივიდუალურობისადმი პატივისცემა;
— ხელსაყრელი და შრომითი აქტივობის მასტიმულირებელი კლიმატის შექმნა;
— მომუშავეთა შორის ღია და სანდო ურთიერთობებისა და ურთიერთპატივისცემის ხელშეწყობა;
— მათი სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება;
— ინიციატივის გაფართოება;
— შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფა, ყოველი მომუშავის ინდივიდუალური რეალიზაციის შესაძლებლობების შექმნა;
— კარგად შესრულებული სამუშაოსათვის სამართლიანი გადახდა, დასახული მიზნების შესაბამისად მათი შეფასება.

ამ პირობების არსებობა ახასიათებს სამეურნეო სტრუქტურებში მეწარმეობის ორგანიზაციული კულტურის დონეს. 80-იან წლებში განვითარებული საბაზრო ეკონომიკის

მქონე ქვეყნებში ბევრმა მსხვილმა ფირმამ დაიწყო ინტრაპრენიორების – შიდასაფირმო მეწარმეების საქმიანობის გაფართოების პროგრამების განხორციელება ახალი პროდუქციის, ტექნოლოგიების, მომსახურების შემუშავების შესაძლებლობების მოსაძებნად ისეთი კომპანიების ფარგლებში, რომლებიც ახორციელებდნენ საგამომგონებლო და რაციონალიზატორულ საქმიანობას. კონცერნებმა, განსაკუთრებით, მეცნიერებატევად დარგებში გააფართოვეს თავიანთი კვლევითი ბიუჯეტები, ინტრაპრენიორების ფინანსური და სხვა სახის რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით. მათი საქმიანობის კოორდინაციისათვის იქმნებოდა მრავალფუნქციური და მრავალდონიანი საპროექტო ჯგუფები იდეების, სიახლეებისა და გამოგონებების პრაქტიკულ გამოყენებამდე მიყვანის მიზნით.

შიდა მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი საქმიანი გარემოს ჩამოყალიბებისათვის პირობების შექმნა გულისხმობს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:

– კონკრეტულ სფეროებში ცოდნასა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებთან დაშვების უზრუნველყოფა;
– შემოქმედებითი სტრუქტურების ჩამოყალიბება, რომლებიც ახორციელებენ ინტრაპრენიორულ საქმიანობას;
– მათი მომარაგება აუცილებელი მატერიალური, ფინანსური და საკადრო რესურსებით;
– ინტრაპრენიორული სტრუქტურების ფუნქციონირების დროებითი წესრიგის დადგენა იმ პერიოდისათვის, რომელიც შეესაბამება მათი ნამუშევრების გამოსყიდვის ვადას;
– ნებაყოფლობის პირობით ინტრაპრენიორული ჯგუფების ჩამოყალიბება;
– მატერიალური გაფართოების სპეციალური სისტემის დადგენა ინტრაპრენიორულ საქმიანობაში მონაწილე მომუშავეებისათვის.

ინტრაპრენიორობა არსებითად ცვლის კოლექტიური შრომის ხასიათს, აქცევს მას უფრო მრავლისმომცველად და მწარმოებლურად, თვითონ ინტრაპრენიორი კი გამოდის შემოქმედებითი კოლექტივის ხელმძღვანელად, რომელიც ხშირად წარმოდგენილია მოხალისეთა არაოფიციალური ჯგუფის სახით. ზოგ ორგანიზაციაში მრავალფუნქციური საპროექტო ბრიგადების წევრები მთლიანად

თავისუფლდებიან ჩვეულებრივი მოვალეობებისაგან და გარკვეული ვადით გადადიან გამომგონებლის დაქვემდებარებაში.

ინდივიდუალურიდან ჯგუფურ შრომაზე გადასვლასთან დაკავშირებით, იცვლება მომუშავეების შრომის მოტივაცია. ამერიკელი მენეჯერები აღნიშნავენ, რომ მომუშავეთა მონაწილეობა ფირმის საქმეებში მათ საშუალებას აძლევს, „თავი იგრძნონ მესაკუთრეებად, რამდენადაც, მათი პირადი წარმატება იზრდება ფირმის წარმატებასთან ერთად. ისინი იქცევიან, როგორც მეწარმეები“(Industrial Participation. 1985.Summe.P.23).

საბაზრო ურთიერთობების პირობებში, საწარმოს საქმიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მისი მომუშავეების შესაძლებლობაზე, ჩამოაყალიბონ და განახორციელონ თავიანთი იდეები ახალი ნაკეთობების, ტექნოლოგიების, ორგანიზაციულ-მმართველობითი ცვლილებების ფორმით. სიახლის კომერციულ რეალიზაციამდე მიყვანა, ანუ ინოვაციური შესაძლებლობების გამოვლენა და გამოყენება მმართველობით, ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ და საწარმოს სხვა ქვეგანყოფილებებში, ხორციელდება ინტრამეწარმეობრივი საქმიანობის საშუალებით.

კონკრეტული კომპანიის ინოვაციური პოლიტიკის განხორციელება დამოკიდებულია მის შიდა რესურსებზე, საბაზრო პოზიციებსა და ტრადიციებზე. კონკურენტების მხრიდან კომპანიის პოზიციებზე ზეწოლა აძლიერებს ინტრამეწარმეობის მნიშვნელობას. ნებისმიერ საწარმოს გააჩნია უამრავი გამოუყენებელი რესურსი, რაც ინიციატივიან მომუშავეებს აძლევს მათი კომერციული გამოყენების მოტივს. ინტრამეწარმეობა სხვადასხვა ფორმით ხორციელდება. ასეთებია: ფინანსურ-მატერიალური და შრომითი რესურსების პირდაპირი განაწილება, სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების წახალისება ინიციატივიანი მომუშავეებისა და რაციონალიზა-ტორებისათვის დახმარების გაწევაში, შიდა ვენჩურების (ავტონომიური ინოვაციური ქვედანაყოფების) ჩამოყალიბება, მომუშავეებისათვის თავიანთი შრომის დამოუკიდებლად ორგანიზაციის უფლების მინიჭება, შრომითი ფუნქციების როტაციის განხორციელება, შემგროვებელი კონვეირის მუშაობის სისწრაფისა და წესრიგის კონტროლი.

უცხოური კომპანიების პრაქტიკამ გამოავლინა, რომ

ბრიგადებისათვის რიგი საწარმოო და ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრის უფლების მინიჭებისას მათ გააჩნიათ სამუშაო ძალის გაზრდილი კვალიფიკაციური დონის უზრუნველყოფის უნარი და მომუშავეთა ინდივიდუალური ამაღლებული დახელოვნების უკეთესი გამოყენება. ბრიგადებს ენიჭებათ შემდეგი უფლებები:

- საწარმოო პროცესის დაგეგმვა;
- ბრიგადის წევრებს შორის დავალებების განაწილება;
- შრომის ნორმირება;
- მასალების მიწოდება და სხვა ქვედანაყოფებისათვის მზა პროდუქციის გადაცემა;
- ნედლეულითა და მასალებით მომარაგება (მატერიალური რესურსების საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექტაცია და ბრიგადაზე დანახარჯების აღრიცხვა);
- გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე კონტროლი, დაზგებისა და მექანიზმების გამართვა, მათი მომსახურება და რემონტი;
- ინსტრუმენტებით მომარაგება;
- საწარმოო სათავსოების დალაგება.

ბრიგადები დამოუკიდებლად ახდენენ შრომითი პროცესის რაციონალიზაციას, ცალკეულ შემთხვევაში სრულყოფენ ტექნოლოგიებს, მათ შორის - შრომითი დავალებების შემუშავებას, მათი განაწილების, მოწყობილობების განლაგების რუკას, ოპერაციების მიმდევრობის, საწარმოო ნორმატივებისა და შრომის ნორმების განსაზღვრას. განათლების დონის ამაღლება, რაც საწარმოო პრობლემებსა და მომუშავეთა მომზადებას შეეხება, მოიცავს ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებს. ამჟამად, ავტონომიური ჯგუფები (ბრიგადები) საწარმოო დონეზე აშშ-ის ყველა მსხვილ კომპანიაში ფუნქციონირებენ.

აშშ-ს საწარმოებში ბრიგადების კოლექტიური პრემიალური ფონდი ყალიბდება პროდუქციის თვითღირებულების ნაწილიდან, ან შრომის ჯგუფური რაციონალიზაციის შედეგად გაზრდილი მოგების ხარჯზე. ამერიკულ კომპანია „მოტოროლაში“ მოქმედებს ქვეგანყოფილება, რომელიც ითვლის და ყოველთვიურად ადგენს წახალისების ფონდს. მომუშავის პრემია აღწევს ხელფასის 40%-მდე თვეში, წარმოების დანახარჯების შემცირების პირობებში. პრემიის ზომა დამოკიდებულია ეკონომიის საკარაუდო თანხაზე და გაიცემა კრედიტის სახით

წელიწადში ერთხელ დამზადებული პროდუქციის მიხედვით, რომლის სამსახურის ვადაც არ აჭარბებს ორ წელს, მაშინ როცა სრულყოფის წინადადებები მოწყობილობების დანერგვაზე, რომელთა სამსახურის ვადაც აღემატება აღნიშნულ დროს, არ გამოიყენება.

მომუშავეთა მმართველობაში მონაწილეობის გაფართოებისაკენ მიმართული ზომები ქმნის ორმხრივ ნდობას მათსა და მენეჯერებს შორის და ამაღლებს მომუშავეთა პირად პასუხისმგებლობას.

მსხვილ საწარმოებში არსებობს სპეციალური ქვეგანყოფილებები, რომლებიც არჩევენ დამოუკიდებელი სამეცნიერო-ტექნიკური უწყებებიდან, მეცნიერებატევადი ფირმებიდან და თავიანთი საწარმოს მომუშავეებიდან შემოსულ ყველაზე ეფექტიან საწარმოო სიახლეებს. მომუშავეთა წინადადებების რეალიზაციას ხელს უწყობს ვენჩურების პრაქტიკა, რომელიც დაფუძნებულია კომერციულად ეფექტიანი პროექტების შესამუშავებლად ავტონომიური დროებითი რისკიანი კოლექტივების შექმნაზე.

შიდა ვენჩურებისათვის იდეების შერჩევისას კომპანიის ადმინისტრაცია გამოდის იქიდან, რომ პროექტის მიზნები არ უნდა შეესაბამებოდეს კომპანიის საქმიანობის ტრადიციულ სფეროს. პროექტი უნდა ხსნიდეს მისთვის ბაზრის ახალ შესაძლებლობებს.

სიახლეების შემმუშავებელი საპროექტო ჯგუფი, ჩვეულებრივ, შედგება წინადადების ავტორისა და საწარმოს სხვადასხვა ქვეგანყოფილებების სპეციალისტებისაგან, რომლებიც პროექტში მოიზიდებიან ნებაყოფლობით საწყისებზე. ჩვეულებრივ, იდეის ავტორი, თუ ის აგრეთვე კომპეტენტურია წარმოების ორგანიზაციისა და გასაღების სფეროში და აღჭურვილია ლიდერის თვისებებით, ხდება საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელი. ავტორი ჯგუფში შეიძლება ჩაირიცხოს, აგრეთვე, როგორც სპეციალისტი.

შიდა ვენჩურების ჩამოყალიბება ხდება შემდეგი საშუალებებით:

- სამეწარმეო სტრუქტურების ჩამოყალიბება საბაზო საწარმოს სტრუქტურული ქვედანაყოფების გამოყოფის გზით;
- სამეწარმეო სტრუქტურების ცენტრის ჩამოყალიბებით;
- საწარმოო ობიექტების შეძენა და მათი გადაქცევა ინტრაპრენიორულ სტრუქტურებად.

ინტრამეწარმეობრივი სტრუქტურების ჩამოყალიბების მეთოდები, ორგანიზაციული ფორმები და ასევე მათი ფორმები საწარმოს სხვა

ქვეგანყოფილებებთან დაკავშირებით, დამოკიდებულია სარესურსო შესაძლებლობებზე, პროდუქციაზე ინტრაპრენიორის პერსპექტიული ზრდის არსებობაზე. საწარმოს სტრუქტურული ქვედანაყოფის გამოყოფა ინტრამეწარმეობრივი საქმიანობისათვის ხორციელდება საწარმოო სიმძლავრეების, საწარმოო ფართობების, ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და სხვა რეზერვების არსებობისას. ინტრაპრენიორული სტრუქტურები შეიძლება განსხვავდებოდეს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, საქმიანობის სახით (სპეციალიზაციით), წარმოების მასშტაბებით.

ინტრასაწარმოებს შეიძლება ჰქონდეს შემდეგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები:

- საწარმოს სამეურნეო-სააღრიცხვო სტრუქტურული ქვეგანყოფილება;
- საწარმოს ფილიალი;
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- ღია ტიპის აქციონერული საზოგადოება;
- დახურული ტიპის აქციონერული საზოგადოება.

ინტრასაწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებივი ფორმის ამორჩევა დამოკიდებულია ინტრაპრენიორისა და საწარმოს შენატანებზე, მათ უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებიც გათვალისწინებულია გარიგებაში.

ინტრაპრენიორული სტრუქტურების საქმიანობის სახეები მრავალნაირია:

- სამუშაოების შესრულება, რაც ტექნოლოგიურად ავსებს ძირითად წარმოებას;
- პროდუქციის გამოშვება, რასაც გააჩნია ძირითადთან კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური მსგავსება;
- პროდუქციის გამოშვება საბაზო საწარმოს ნედლეულსა და ნარჩენებზე;
- პროდუქციის გამოშვება ძირითადი წარმოების დივერსიფიკაციის ფარგლებში (მათ შორის, თანამდევი საქონლისაც);
- მომსახურების გაწევა ძირითადი წარმოების პროდუქციის გადაადგილებაზე, მის სერვისულ მომსახურებაზე.

მასშტაბის მიხედვით, ინტრაპრენიორული სტრუქტურა, ყველაზე ხშირად, მიეკუთვნება მცირე ან საშუალო ბიზნესს. ინტრასაწარმოების

წარმოების მასშტაბები შეესაბამება პარტნიორების ფინანსურ შესაძლებლობებსა და გარემო პირობებს.

საბაზო წარმოებისა და ინტრაპრენიორების ურთიერთქმედება ხორციელდება შემდეგი კავშირების საშუალებით:

- საწარმოო-ტექნოლოგიური (პარტნიორების საწარმოო პროცესებს შორის);
- ორგანიზაციულ-სტრუქტურული (ახასიათებს ინტრასაწარმოს ადგილს საბაზო საწარმოს მართვის სისტემასა და სტრუქტურაში);
- ფინანსურ-ეკონომიკური (ახასიათებს პარტნიორების ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას და მათ შორის ფინანსური ნაკადების არსებობას);
- იურიდიული (უზრუნველყოფს დოკუმენტებით ინტრასაწარმოს ჩამოყალიბებასა და საქმიანობას – უწყისები, გარიგებები და სხვა);
- პირად-ფსიქოლოგიური (ინტრასაწარმოს მართვაში, მის წარმატებულ ფუნქციონირებაში პირადად დაინტერესებული საბაზო საწარმოს ხელმძღვანელობის მონაწილეობით).

საბაზო საწარმო ინტრასაწარმოს შექმნისას იღებს შემდეგ დანახარჯებს:

- ინტრაპრენიორის პროგრამის შემუშავებაზე;
- მარკეტინგული გამოკვლევების ჩატარებაზე;
- ინტრასაწარმოს დაფუძნების პირობების შექმნაზე;
- ინტრამეწარმეობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე.

საბაზო საწარმოს შეუძლია, მიიღოს ინტრაპრენიორის საქმიანობიდან მოგების ნაწილი და გაზარდოს საბაზო საწარმოს მოგების მოცულობა ინტრასაწარმოს რესურსების კომერციალიზაციის ხარჯზე.

შიდა ვენჩურებზე არ ვრცელდება ბევრი პროცედურული და ორგანიზაციული შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს საბაზო საწარმოს სხვა ქვედანაყოფებზე. შიდა ვენჩურები ფუნქციონირებენ იურიდიული და ფინანსური დამოუკიდებლობის პირობებში, მათში, ჩვეულებრივ, ხორციელდება დამოუკიდებელი საკადრო პოლიტიკა. საწარმო შიდა ვენჩურებს უყოფს მოწყობილობებს, უწევს მათ მმართველობით-საკონსულტაციო მომსახურებას.

შიდა ვენჩურის მიერ პროექტის მიზნების მიღწევისას იგი იქცევა საწარმოს ახალ ქვედანაყოფად, მისი პროდუქცია კი რეალიზდება ფირმის არსებული გასაღების არხების საშუალებით.

ვენჩურული კაპიტალის კომპანიების სახესხვაობად გვევლინება „ფოკუსირებული ფონდები“, რომლებიც კონცენტრირებულია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების განსაზღვულ სფეროებში ინვესტირებაზე. ეს სფეროები ინვესტორისათვის ყველაზე საინტერესოს წარმოადგენს და ინვესტორი ხდება ვენჩურული ფონდის ერთადერთი დამბანდებელი.

ამგვარად, შიდა ვენჩურების საქმიანობა დაკავშირებულია ინოვაციური პროექტების განხორციელების შიდასაწარმოო სტადიებთან და რეგულირდება შიდასაწარმოო კომერციული ანგარიშების ურთიერთობებით ან კონკურენტული ურთიერთობებით ინიციატივიან მომუშავეებთან, რომლებიც წარმოადგენენ სიახლეებს. ასეთ მომუშავეებს ეძლევათ ფინანსური სახსრების მიღების, სათავსისა და მოწყობილობის არენდის შეღავათიანი პირობები. შიდა ვენჩურები ხშირად დამოუკიდებელი საწარმოები ხდებიან. ასეთ საწარმოებზე კონტროლის შესანარჩუნებლად, მშობელი კომპანია იტოვებს მათი აქციების საკონტროლო პაკეტს და ასეთი საწარმოების დირექტორთა საბჭოში შედის ვენჩურული საწარმოს წარმომადგენელი.

ინტრამეწარმეობის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ინტრაპრენიორების ეკონომიკური სტიმულირების სისტემა, რომელიც მოიცავს ქმედით მატერიალურ წახალისებას და საწარმოო ინიციატივების შეღავათიან დაფინანსებას. ორგანიზაციის მიერ ინტრაპრენიორის სრულ განკარგვაში გამოყოფილი სახსრები, რომლებიც გამოიყენება ინოვაციური პროექტების განსახორციელებლად, იწოდება „ინტრაკაპიტალად“. საწარმოს სხვა დანახარჯებისაგან განსხვავებით, იგი რჩება ინტრაპრენიორის განკარგულებაში, გრძელვადიანი ინოვაციური პროექტის რეალიზაციის ვადით.

ინტრაკაპიტალი არსებობს შიდასაფირმო საანგარიშგებო ანგარიშის სახით, რომელიც იხსნება კომპანიის ან მისი განყოფილების დონეზე. ინტრაპრენიორის ანგარიშები შეიცნილ მომსახურებაზე, მოწყობილობის არენდაზე, სათავსოების არენდაზე და ა.შ. ხორციელდება ამ ანგარიშიდან თანხების გადარიცხვით. ორგანიზაციული რგოლის საბუღალტრო სამსახური, რომელიც ხსნის საანგარიშგებო ანგარიშს,

აკონტროლებს მის გამოყენებას და არ უშვებს სახსრების ხარჯვას ისეთი მიზნებისათვის, რომელთაც კავშირი არა აქვთ კომპანიის მიერ დაფინანსებულ ინოვაციურ პროექტთან.

შიდასაფირმო მეწარმეობის დაფინანსების წესი ვენჩურული (რისკიანი) დაფინანსების ანალოგიურია: საწყისი ეტაპი ფინანსდება ინტრაპრენიორის ან სპონსორის ხარჯზე; კორპორაცია დაფინანსებაში ერთვება ინოვაციის კომერციული მნიშვნელობის გამოვლენის შემდეგ. მსგავსი წესი იძლევა ინტრაპრენიორსა და კომპანიას შორის რისკის განაწილების საშუალებას. ინტრაპრენიორი თავისი თავისუფალი დროის (ან სამუშაო დროის ნაწილის) ხარჯზე ახორციელებს სიახლის თავისუფალ ძიებას და მის საწყის შემუშავებას.

უცხოელი მეწარმეების აზრით, კომპანიასა და შიდასაფირმო ვენჩურში გაერთიანებულ ინტრაპრენიორებს შორის რისკის განაწილება ამცირებს სოციალურ დაძაბულობას, რომელიც იმ შემთხვევაში წარმოიშობა, როცა წარმატებული ინტრაპრენიორები იღებენ დიდ ჯილდოს. ასეთ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი იღებს რისკისა და სირთულეების გადალახვის საფასურის სახეს.

ბევრ უცხოურ კომპანიაში გათვალისწინებულია ინოვაციების დამოუკიდებლად შემმუშავებელი და განმახორციელებელი მუშაკებისათვის ჯილდოების პირობები, რაც განსაზღვრავს სიახლის კომერციული წარმატების შემთხვევაში წახალისების მიღების ფორმებს, ზომებსა და ვადებს. ინტრაპრენიორის მზადყოფნა თავისი ქონების გასარისკად, წარმოადგენს კოპანიის მმართველობისათვის მისი წინადადების სერიოზულობის დამტკიცების საშუალებას.

კორპორაციასა და ინტრაპრენიორს შორის ვენჩურის მუშაობის მოგება, ჩვეულებრივ, სამ ნაწილად იყოფა:

— საერთოკორპორატიულ ფონდებში გადარიცხვები (ორგანიზაციის, ინვესტორის ან სპონსორის შემოსავალი);

— მეწარმეების, ვენჩურის მომუშავეების შრომის გადასახადი (პრემიები და მოგების წილი, მშობელ კომპანიაში მიღებული ჯილდოების სისტემის შესაბამისად, რომელსაც ისინი მიიღებდნენ, თუკი არ იმუშავებდნენ ვენჩურში);

— ინტრაკაპიტალი, მიმართული მხოლოდ მოცემული ვენჩურის მიზნების განვითარებისაკენ, ან მისი მომუშავეების მიერ ახალი იდეების შემუშავებისაკენ, რაც განისაზღვრება ინდივიდუალურად

ინტერკაპიტალის იმ წილით, რომლითაც მომუშავეებს შეუძლიათ განკარგვა ერთმანეთთან მოლაპარაკების შესაბამისად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ვენჩური იქცევა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად.

ამგვარად, ინტრამეწარმეობა მსხვილ სამრეწველო საწარმოებში წარმოადგენს მცირე და კერძო საწარმოების ფორმირების უმნიშვნელოვანეს რეზერვს რუსეთის საწარმოო და ინოვაციურ სფეროებში.

ინტრამეწარმეობის პრაქტიკული რეალიზაცია დაკავშირებულია მცირე დამოუკიდებელი ბიზნესის პრინციპების შიდასაწარმოო რეალიზაციასთან, ინიციატიული მომუშავეების ავტონომიური ჯგუფების ორგანიზაციის საფუძველზე. შიდასაფირმო ვენჩურებს ორგანიზაციულ ხელშეწყობას უწევენ ახალი რისკიანი საწარმოების განყოფილებები, რომლებიც ფუნქციონირებენ მსხვილ საწარმოებთან, ფუნქციონალური სამსახურები, რომლებიც მართავენ რისკიან პროექტებს და, რომელთა შემადგენლობაშიც შედიან საწარმოს განყოფილებებისა და სამსახურების წარმომადგენლები. ისინი უწევენ საკონსულტაციო მომსახურებას ინტრაპრენიორებს მარკეტინგის, ფინანსების, კვლევის, წარმოების, გასაღებისა და სხვა საკითხებზე.

1'. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. თბ., „სიახლე", 2006.
1. Аристер Н.И., Половинкин П.Д., Сахаров Ю.В. Предпринимательство как стратегический фактор экономического развтия. Спб УЭФ, 1996, с. 20-21.
2. Барр Р. Политическая экономия. т.1. 1995.
3. Булгаков С.Н. Философия хозяйствования. М., Наука, 1990.
4. Добров Г.М. Актуальные проблемы науковедения. М., 1968.
5. Зубчанинов В.В. Научная деятельность и технический прогресс. М., 1991.
6. Лившиц В.Н., Лившиц С.В. Об одном подходе к оценке эффективности производственных инвестиций в России.- в сб.: Оценка эффективности инвестициий. Выпуск I. М., 2000.
7. Ляликов А.П. Философия техники и технологическое творчество. Спб., 1996.
8. Меньшиков С.М., Меньшиков А.А. Длинные волны в экономике. М., Международные отношения, 1998.
9. Новая волна на западе. М., 1998.
10. Осипов Ю.М. Теория хозяйства. т.2. М.1997.
11. Экономическая безопасность: Производство. Финансы-Банки. Под ред. В.К.сенчагова. М., 1998.
12. Философия техники в ФРГ. М., Прогресс, 1989.
13. Хизриг Р., Питерс М. Предпринимательство или как завести собственное дело и добиться успеха. Вып.1. М., 1991.
14. Solomon S. Small Business USA: The role of Small companies in sparking America's economic transformation. N.Y. 1986.
15. Paul Geroski. Market Structure, Corporate Performance, and Innovative Activity (Hardcover). Oxford University Press, USA. 1995
16. David B.Audretsch. Entrepreneurship, Innovation And Economic Growth (Hardcover). 2006.
17. Debresson Christian. Economic Interdependence and Innovative Activity: An Input-output Analysis. 1996.
18. Birgitte Andersen, Jeremy Howells, Richard Hull, Ian Miles, Joanne Roberts. Knowledge and Innovation in the New Service Economy. 2000.

19. Small Country Innovation Systems. Globalization, Change and Policy in Asia and Europe. 2008.
20. Atrostic, B.K. Measuring U.S. Innovative Activity. 2007. US Census Bureau Center for Economic Studies Paper No. CES-WP-07-11 Available at SSRN: http://ssrn.com/abstract=1015612
21. www. exponet.ru.
22. www. mdf.org.ge.
23. www.geocities.com/tb_online2000.
24. www. parliament.ge.
25. www. tech.org.ge/investlaw.
26. www. gsif.org.ge.
27. www. epc.parliament.ge.
28. www. oars.utk.edu.
29. www. amsi.ge.
30. www. promptov.narod.ru.
31. www.unhabitat.org.
32. www.auditorium.ru.
33. www. econline.hl.ru.
34. www. ecsoman.edu.ru.
35. www. econom.nsc.ru.
36. www. finansy.ru.
37. www. eur.ru.
38. www.gks.ru.
39. www.hse.ru.
40. www.cefir.ru
41. www.innovativecapacity.com.
42. www.viernier.com/innovate.

შინაარსი

შესავალი 5
თავი I. ინოვაციური საქმიანობის კონცეპტუალური მიმართულებები 7
I.1. ინოვაციური საქმიანობის ეკონომიკური ასპექტები 7
I.2. ეკონომიკური გარემოს წინააღმდეგობები 27
I.3. შრომა ინოვაციურ პროცესში 39
I.4. სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი 59
I.5. ინოვაციური პოტენციალი ეკონომიკაში 77

თავი II. საკუთრებითი ურთიერთობები ინოვაციურ სფეროში 96
II.1. საკუთრებითი ურთიერთობები ინოვაციურ პროდუქტზე 96
II.2. ინოვაციური საქმიანობის პროდუქტის ეკონომიკური შინაარსი 115

თავი III. ინოვაციური სფერო და ბაზარი 127
III.1. ინოვაციური ორგანიზაციები 127
III.2 ინოვაციური ინფრასტრუქტურა 142
III.3. ინოვაციების ბაზარი 176

თავი IV. ფინანსები ინოვაციურ საქმიანობაში 198
IV.1. ინოვაციური საქმიანობის დაფინანსება 198
IV.2. ლიზინგი ინოვაციურ საქმიანობაში 213
IV.3. დაზღვევა ინოვაციურ სფეროში 225

თავი V. ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება 239
V.1. ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების საკითხები 239
V.2. ინოვაციური საქმიანობის საგადასახადო სტიმულირება 257

თავი VI. ინოვაციური მეწარმეობა 278
VI.1. სამეწარმეო საქმიანობის არსი და ინოვაციური ხასიათი 278
VI.2. ინოვაციური მეწარმეობის ფორმები 299
VI.3. ინოვაციური მეწარმეობა საზღვარგარეთ 306
VI.4. ინტრამეწარმეობა 315
ლიტერატურა 330

Contents

Introduction 3

I. Conceptual direction of innovation.....7
1.1. Economic aspects of innovation. 7
1.2. The contradictions of the economic environment.....27
1.3. Work in the innovation process.....39
1.4. Scientific and technical potential.....59
1.5. Innovation capacity in the economy.....77

II. Property relations in the innovation sphere.....96
2.1. Property relations of an innovative product.....96
2.2. The economic content of the product.....115

III. Innovation and market scope.....127
3.1. Innovative organizations.....127
3.2. Innovative infrastructure.....142
3.2. Market innovation.....176

IV. Finance in innovation.....198
4.1. Financing of innovation.....198
4.2. leasing in innovation.....213
4.3. Insurance in the innovation sphere.....225

V. State regulation of innovation.....239
5.1. Features of state regulation of innovation.....239
5.2. Tax Incentives for innovation.....257

VI. Innovative
entrepreneurship.....278
6.1. The essence and the innovative nature of
entrepreneurship.....278
6.2. The forms of innovative ntrepreneurship.....298
6.3. Innovative entrepreneurship broad.....306
6.4. Intrapreneurship 315
Literature.....330

გამომცემლობის რედაქტორი ლ. კვინიხაძე

ტექნიკური რედაქტორი: მ. ნოზაძე

საბეჭდი ქაღალდი 60X84

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 20,75

სააღიცხვო-საგამომცემლო თაბახი 22,50